

1959/3



# მნათობი

114/4

## 9

საქართველო



3

## 1959



სოციალური ლიტერატურული-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 36-ე

№ 9

სექტემბერი 1959 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

7779

**შ ი ნ ა კ რ ს ი**

აკაკი გაწერელია — ნოველები . . . . .	30-	3
ჟამაზ კვიციანი — ლექსები . . . . .		23
კლავდია დევიდარიანი — დაკარგული საყურე, რომანი. გაგრძელება . . . . .		25
ზაქარია შერაზადიშვილი — ზედაზენს ასელა, ლექსი . . . . .		42
ზაგრატ შინკუბა — ლექსები. თარგმანი არჩილ სულაქაძისა . . . . .		43
ალ. აბაშიძე — ატმის ყვავილი. ნაწყვეტი დაუმთავრებელი რომანიდან . . . . .		44
შოთა დედუბრიშვილი — სიყვარულის ხმა. ნაწყვეტი კინომოთხრობიდან . . . . .		55
ფოტუნა იანაყოძე — ლექსები. თარგმანი ოთარ კვიციანისა . . . . .		69
დ. ლომთაძე — შეტყუარები მშენებლობაზე. ნარკვევი . . . . .		70
ვ. ბეჭუელი — სასწაულების ლაბორატორიაში . . . . .		82

**კრიტიკა და პუბლიცისტიკა**

ალ. ბარამიძე — იოსებ გრიშაშვილი და ძველი ქართული მწერლობა . . . . .		92
გიორგი ლომიძე — ეროვნული ხასიათის პრობლემისათვის ლიტერატურაში . . . . .		101
ნოდარ კვაბაძე — კავკასია ძველგერმანულ ლიტერატურაში . . . . .		109
დერმინა გოგოლაძე — კავიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის რეფორმადელი ხანის საქართველოში . . . . .		115

**სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 800 წლისთავი**

ბექან გიორგაძე — ახალი მასალები მეფე ეპიტანე მე-VI-სა და სულხან-საბა ორბელიანზე . . . . .		122
---	--	-----

**ლიტერატურული მემკვიდრეობა**

ალ. კლავდიანი — ჰონორე ბალზაის გამოქვეყნებული წერილები . . . . .		127
გრიგოლ მაჭავარიანი — ივანე როსტომიშვილი . . . . .		134

(იხ. მეორე გვ.)

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“





**მეცნიერება**

კანდიდ ჩარკვანი — ლენინის მსხვილი მრეწველობის შექმნა საბჭოთა საქართველოში . . . . . 136



**ხელოვნების საკითხები**

ვაჟა გვახარია — ზაქარია ფალიაშვილი და ხალხური შემოქმედება . . . . . 159

**მეფარული ლიტერატურა**

ეჭო. თაყაიშვილი — მოგონებები. დასასრული . . . . . 168

**კუბლიკაცია**

შალვა გოზალიშვილი — ნიკო ნიკოლაძის წერილები სერგეი მესხისადმი . . . . . 178

**წიგნების მიმოხილვა**

გურამ კანკაეა — კონსტანტინე ჭიჭინაძის ერთგომეული . . . . . 183

ჯემალ შარაშიძე — როსტომ ბეგანიშვილის ახალი რომანი . . . . . 185

აკაკი კენჭოშვილი — ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში . . . . . 191

ახალი წიგნები . . . . . ვარუჟანის შესახებ გვ.

**რედაქტორი ს. ჩიჭოვანი**

**სარედაქციო კოლეგია:**

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მღივიანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IX-59-წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილების ზომა 7¼×12½. ნაბეჭდი თაბახი 12. უე 03755 ტირაჟი 6400. შეკვეთა № 616.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

## აკაკი ბანაძე



### ნოველები

#### ამბონი

საღამოვდებოდა.

თანდათან და შეუმჩნეველად ერთდებოდენ ჩრდილები. ელამი ჯუჯებივით გამოიყურებოდნენ აქა-იქ მინებჩამტვრეული, პატარა სახლები. მზის ჩასვლის შემდეგ გრილ ნიავს გარეთ გამოეფინა ბავშვები და არე-მარე ყრუ კრიამულს მოეცვა. ვიწრო მოსახვევში მკვეთრი ხმაური მხოლოდ მაშინ შემოიჭრებოდა, როცა მომიჯნე და ფართო ქუჩაში რახრახით გაივლიდა მძიმე საბარგული ან მგზავრი გვიანი თუ ბრუნდებოდა შინ სიმღერით, ვიღაც ჭაბუკი მიბარბაცებდა ქვაფენილზე და მის ნაღვლიან კილოში ისმოდა დაკოდილი გულის ჩივილი; იგი მოსთქვამდა ტურფაზე, რომელსაც მიჯნურის გული დაეხია და თუმცა ეს მიჯნური წყალში იდგა, მაინც ცეცხლის ალში იყო გახვეული. ყმაწვილს ალბათ ბებუთი ელო ჯიბეში და მარტოოდენ სიმღერისას უყვარდა გულამომჯდარი ჭეითინი.

ეს იყო და ეს.

დარაბების მიხურვის შემდეგ ხომ სრული მყუდროება დაისადგურებდა. შესახვევში დაეანებული სიჩუმე არც კი ირბეოდა — თითქოს ვიღაც უხილავ არსებას ერთბაშად მოეგროვებინა ცეკვისა და სიცილის ხმები და უცნობი მიმართულებით გაეტაცნა...

ტრავიას კონდუქტორის ცოლი დარეჯანი გამრჯე ქალად ითვლებოდა. თეთრეულს რეცხავდა, თავის მარჯვენით არჩენდა ორ შვილს — ოცი წლის ქალს, რომელიც საქსოვ ქარხანაში მუშაობდა, და ჯეველ ვაქს, სწორედ

იმას, ნასვამს რომ უყვარდა ხოლმე სიმღერით მოთქმა... დარეჯანი მთლად არ გაეტეხნა ცხოვრებას; ორმოცი წლის-ლა თუ იქნებოდა; სახის თეთრი, სწორი ნაკვეთები და დიდრონი შავი თვალები მოწმობდნენ, რომ ოდესღაც ლამაზი გოგონა უნდა ყოფილიყო.

ბინდის დაცემისას მან გაფენილი სარეცხი ჩამოხსნა და ბინაში შეიტანა. ქუჩაში გამავალი სარკმელი ქვაფენილს ებჯინებოდა. ბინა მიაგავდა ნახევარ სარდაფს, რომლის ქვის ოთხსაფეხურიანი კიბე მინებიანი კარით თავდებოდა... დიდი ოთახის მერე კარი გადიოდა ეზოში, სადაც პატარა წყალსადენთან დარეჯანს არ შეეძლო ერეცხნა: მეზობლები აყალბაყალს მოჰყვებოდნენ, მას კი აბეზარი ხალხი ეჯავრებოდა. მისი იმედი, მისი სასოება გიორგი რომ შინა ჰყავდეს!!! სწორედ ერთი კვირის წინ მიიღო წერილი და სურათი მისგან. აგერ, გულთან აქვს ორივე შენახული. წელიწადია ჯარშია და უკვე ვარსკვლავები უმშვენებენ ვაკეაქურ მკერდს. ენაცვალოს დედა. ის რომ აქა ჰყავდეს, დარეჯანს არაფერი გაუჭირდებოდა. სამსახურის უფროსს უყვარდა თავისი შოფერი, ვაქს ფული შემოჰქონდა ოჯახში, სულ არ ჰგავდა მამას... დარეჯანსაც პატივს სცემდნენ მეზობლები, გიორგის დიდი გალია ედგა წყალსადენის ახლოს, მტრედებს უვლიდა, ახლა არც მტრედებია და არც გალია (შეშად დაჰპარეს და ბუხარში ცეცხლს შეუნთეს!...). აბა ვინ მოერიდებოდა ან ვინ გამოესარჩლებოდა დარეჯანს? ვახტანგი კი მთელი დღე შინ არაა, მტრედების მოვლაც

ითაკილა და ჩუმჩუმად დაჰყიდა. ი-ი-ი, თვალი კი დაუდგეს...

დარეჯანმა სველი ზეწრები ერთად მოაგროვა და ოთახის კუთხეში, კალათაში ჩასდო. დაწოლის წინ გააფენდა თოკზე, ეგებ სტუმარი ვინმე მოსულიყო. შემდეგ აკარწახებული კაბის ქობა დაიბერტყა და მაგიდას მიუჯდა დაქანცული. სახელოები ჩამოიშალა და თავსაფარი მოიხსნა. ჰალარა თმა საოცარ კონტრასტს ჰქმნიდა მის თეთრ, ჯერ დაუნაოკებელ პირისკანსა და მიმზიდველ თვალებთან შედარებით.

დარეჯანი ისვენებდა.

გარშემო ყველაფერი თოვლივით სუფთად იყო მოვლილი: ლოგინი, სუფრა, დანარჩენი ავეჯი და ნოხდაფენილი იატაკი. კედელზე ეკიდა ქორწინების დღეებში გადაღებული სურათი ცოლ-ქმრისა. ამ სურათის ახლოს მოთავსებული იყო მათი უფროსი ვაჟის მოდილო პორტრეტი. გიორგის ჯარში წასვლის შემდეგ მშობლებს დიდხანს ვერ შეუტყვიათ მისი ამბავი. დედას ვაჟის სურათი გაუღიღებია და საგანგებოდ დაუკიდნია კედლის თვალსაჩინო ადგილას. მესამე, პატარა სურათზე კი გამოსახული იყვნენ ხუთივენი: ცოლ-ქმარი, გიორგი, მარგო და ვახტანგი. რატომღაც ყველანი განცვიფრებული გამოიყურებოდნენ.

სარკმლის რაფაზე ტკბილად ეძინა თეთრ კატას...

ოთახის განსაკუთრებულ თავისებურებას შეადგენდა ჰერის მარცხნივ დამრეცად ჩამოკვეთილი მხარე; მიტაცებული სივრცე სახლის ზემო სართულში მიმავალ კიბეს ეჭირა. კონდუქტორის ბინაში მკაფიოდ ისმოდა თუ ვინმე აღიოდ-ჩაღიოდა კიბეზე. ქვემო სართულში კარგად აღწევდა იქაური მდგმურების ხმაც...

დარეჯანი ოდნავ შეირბა როცა სარკმლიანი კარის წინ ვიღაცის ლანდი გამოჩნდა. დაბალმა მამაკაცმა კარი შეაღო. მას გამურული ტანსაცმელი ეცვა და ბოხჩის მსგავსი რამ გამოეჩარა იღლიაში. ერთი წამით შეჩერდა,

საოცრად მრგვალი თვალები შიშველი ქალს, შემდეგ ხმაამოუღებლევ გაეჭართა ოთახის მარცხენა კუთხისაკენ.

ეს კაცი დარეჯანის ქმარი იყო.

ქალი უსიტყვოდ ადევნებდა თვალს. იცოდა, ქმარი ტანსაცმელს გამოიცვლიდა, მერმე გარეთ გაეიდოდა პირის დასაბანად, ისადილებდა და ხმას არ გაიღებდა.

— მოვიდა!... — ჩილაპაპარაკა დარეჯანმა და ქვეშევს გახედა.

ახლადმოსულს კრინტი არ დაუძრავს.

— ხმას რომ არ იღებს?... — ჩიოდა დარეჯანი.

ქმარი ეზოში გადიოდა.

— ი-ი-ი! კარგი პატრონი მყევხართ მამა და შვილები. ხელები დამისივდა ამდენი რეცხვისაგან, მკლავი არ მერჩის... ერთხელაც არის იფიქრეთ, ექიმს ვაჩვენოთ ჩვენი დარეჯანო!... — განაგრძობდა ქალი და ხმადაბალი საყვედური მარტო ყოფნის დროსაც არ შეუწყვეტია. კარადა გამოეღო და მაგიდაზე ჰურჭელს ალაგებდა.

კატამ ყური მოჰკრა საინების ხმაურს და ისე მძიმედ გადმოხტა რაფადან ნოხზე, გეგონებოდათ დიდმა ცხოველმა ძირს ბრაგვანი მოაღინაო.

როცა ქმარი ოთახში დაბრუნდა და გაწყობილ სუფრას მიუჯდა, დარეჯანი ისევ თავის ჩივილს განაგრძობდა.

— ჩემი გამხარებელი შვილები მაინც გამოჩნდებოდნენ... ერთად მაინც ჯდებოდნენ...

კონდუქტორი მშვიდად შეეჭეცოდა სადილს, ხერეპდა წვეს, ლამბაქში პურს ალბობდა, ხანგამოშვებით კბილებს აჩენდა, მარილს აყრიდა წითელ ბოლოკს და მადიანად ახრამუნებდა. ხან მარცხენა ლოყას ბერავდა, ხან მარჯვენას.

— ი-ი-ი!... — თავისთვის ბუტბუტებდა დარეჯანი.

ოთახში სიბნელე თანდათან მატულობდა.

— სანდროანთ მაროს წაგვართვი ნავთი, კალთა ჩამოვახიე, თორე ბნელაში

იჯდებოდით... — ამბობდა დარეჯანი და პატარა აბაყურიანს ლამფას ახთებდა, შუქი მაგიდის არეს სწევდებოდა. მკრთალს სინათლეზედაც კარგად მოსჩანდა მზით დამწვარი კონდუქტორის სახე. შუბლთან თმა ორად ჰქონდა გაყოფილი. ფართონესტოებიან ცხვირზე მეტეტი ეჯდა. მკერდი გაელედა. ასაკთან შედარებით ბრგე და კარგად შენახული კაცი სჩანდა. იგი ისევ ისე, უდიდესი სიმშვიდით შეეკეცოდა კერძს და მადიანად ილუკებოდა. დარეჯანმა ტახტისაკენ გასწია.

— დაყრიან მტერიან ტანსაცმელსა, ხელსაც არ ვახლებ... ბუტბუტებდა იგი და მაინც თავს უყრიდა უწყსრივოდ გაფანტულ ტანსაცმელს.

დანიყრებული ქმარი უკვე ბატის ფრთით იჩიქნიდა კბილებს; მერე ბოხნიდან პატარა გაზეთი ამოიღო და ლამფის შუქზე გაშალა. შავზონარიანი სათვალე ზედ მეტეტიის ახლოს ედო. დარეჯანი მაგიდის მეორე მხარეს, მოშორებით დჯდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს კარგად ვერ არჩევენენ, მათ შორის ჩამდგარი სინათლე ორივეს თვალებს სჭრიდა. გულმოცემული დარეჯანი ამიტომ უფრო გაბედულად ლაპარაკობდა.

— ერთხელაც არის ივითხოს ოჯახის ამბავი... — იწყებდა იგი და შიგადაშიგ ატანდა: — ი-ი-ი!

ქმარი ტუნებს აცმატუნებდა. ყოველთვის უხმოდ კითხულობდა „ბიუგელს“, სადაც ტრამევის მუშაობა იყო აღწერილი. ეგრე მოუხდებდა სერგო ბეჟუაშვილსა! არაყის სმას უყლოს. დაღმართზე რომ ვაგონს მიაქროლებდი, შევილოსა, აბა რა მოგივიდოდა?!.. ე რა კარგი ამბავია: ჩვენი მოლარე გაუწყრიათ! ჯამაგირს აგვიანებდა პირმალლი! ერთხელ აქეთაც გამოლანძა! კედლის გაზეთშიაც რომ დახატეს ამას წინახედ?

— ი-ი-ი!

კონდუქტორს პირი გაღებულ დაჩენოდა. ნამოცილებით დაფარული წითელი ენის წვერო უმოძრაოდ დაბჯე-

ნოდა ქვედა ტუნს. სდუმდა. მუდამ გულმოდგინედ სდუმდა. **ერთხელსა**

მაგრამ ცოლი არ სდუმდა. დარეჯანის ქმრის შინ ყოფნის დროს წუწუნებდა. უწყინარი დედაკაცი იყო, მაგრამ ქმრის გულცივობას მოთმინებიდან გამოკაედა. მაინც ეს რა დასჩემდა: სახლში ხმას ვერ ამოაღებინებს კაცი. ეგებ დარეჯანის წარამარა და ერთთავად ჩივილმა მოაბეზრა თავი? მაგრამ კონდუქტორი საოცარი გულდამშვიდებით ისმენდა ცოლის ხმადებალ და სამუდამდღეო საყვედურს, თითქოს აინუნშიაც არ მოსდიოდა იგი; დარეჯანს კარგად არ ახსოვს, როდის ჩაიგუბა პირში წყალი მისმა ქმარმა. ეგებ ახსოვს და მიმხედარა კიდევაც, მაგრამ არ უნდა დაიჯეროს, სამერმისოს კარგს არაფერს უქადადა ამგვარი ფიჭრი. ერთხელ მაინც დასცდეს ტყბილი სიტყვა. მაშინ დარეჯანი ყველა ჭირვარამს აიტანს. მაგრამ ტყბილი სიტყვა რა ბედენაა, სამსახურის კაცს ასეთი რამეებისათვის ცხელა განა! — ვითომდაც თავის გულში ამართლებდა ქმარს და თანაც არ ამხელდა ნალოლიავებ ფიჭრს: თუ მთლად ღვთის ანაბარა არაა მიტოვებული დარეჯანი, ამ შაბათ საღამოსაც არ წაევა მათსა მისი ქმარი!

კარებთან ორი ახალგაზრდა შეჩერდა. ოთახში აღწევდა მათი საუბრის ბოლო:

— ...ხათრი არ გამიტეხო, აი! ეს ვახტანგის ხმა იყო. დედამ, რასაკვირველია, უმალვე იცნო იგი.

— აბა, აბა — აი... — მამბიჭურად პასუხობდა მეორე ხმა.

ლანდები ერთმანეთს გაშორდენ. ვახტანგმა ზღურბლს გადმოაბიჯა.

თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. თმა გადაეპარსნა, ოღონდ შუბლთან პატარა ქოჩორი დაეტოვებინა. ნარმის ხალათი, ამისავე შარვალი და მტვრიანი წალბები ეცევა. ქმარი მხარილივე შემოეჭირა. სახის პირისკანი გლუვი და გაფითრებული ქონდა. თამბაქოს ბოლისაგან კბილები შეტყევილდებოდა. თავქეიფა ვაეს უზრდელი დარდიმანდის იერი გადაპკრავ-

და, ეტყობოდა, მშობლების არ ერიდებოდა. დედ-მამას გადახედა. უმაღლვე მიხვდა, რომ ამ საღამოსაც ჩვეულებრივი და მოსაწყენი ამბავი ტრიალებდა სახლში. პირდაპირ მიაშურა ოთახის იმ მხარეს, სადაც საკმეელი ეგულებოდა.

— როგორ ჰგავს მამასა! — დაიწყო დარეჯანმა, — მთელი დღე კარშია, შემოვა და ზედაც არ შეხედავს დედას.

ოთახის ბოლოდან ისმოდა დანა-ჩანგლის ხმაური.

— სინათლეზე მაინც გამოიტა, ბიჭო, მაგ ბნელში რას დაინახავ, — ამბობდა ქალი. ლამფის შუქზე ხელს იჩრდილებდა და ვაქიშვილს აკვირდებოდა. ქმრის უმოძრაობას თითქოს ცოლიც მაგიდასთან მიეკრა.

დედის მოწოდებას ვაქი არ გამოხმაურებია.

— როგორ უყვართ მამასა და შვილს ერთმანეთი... კეულზე დაარიგე ე ბიჭი, მთელი დღე ქალაქში დაწანწალებს, კირისდღესავით ეხარება შინ ყოფნა...

ქმარმა ჭვედა ტუჩზე დაბჯენილი ენა უკან წაიღო, პირი დამუწა, პასუხის ნაცვლად გაზეთის მეორე ფურცელი გადაშალა და ისევ გულგრილად განაგრძო კითხვა. დარეჯანს არ უნდოდა მაგიდასთან მჯდარიყო, ისედაც ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ მთელი კვირის მანძილზე მას მხოლოდ შაბათ საღამოს შეეძლო ერთმხრივი საუბარი ქმართან, რომელიც სხვა დღეებში გვიან ბრუნდებოდა, ხშირად კი დამეს შინ სულ არ ათევდა...

აგერ, კიდევ გაიჭრიალა კარმა და გამოჩნდა მარგოც, გამხდარი-გამხდარი, წვრილკანკებიანი ქალიშვილი, ბედნიერი დედმამის ასული. მზისგან პირისკანი აპქერცლოდა. მოკლე კაბა მუხლებს ძლივს უფარავდა. მაღალქუსლე-ბიანი ტუფლები უფრო აგრძელებდნენ მის ტანს, რომელიც ანძასავით ირხეოდა. მშობლებს არც კი მისალმებია, რაღაც შეხვეული დაანარცხა ტახტზე და ძმასთან გაჩნდა.

საუბარმა დროებით გადაინაცვლა ადგილი.

— გასკდი ხომ?  
— ე მანდა ნახე.  
— სულ გამოვიცილია.  
— გეყოფა.  
— ძმაბიჭებთან ქეიფობ; დღეს რატომ არ გაჭამეს?...  
— შენ ვინა გკითხავს?  
— კიდევ როდის მიგაბრძანებენ მილიციამში?

წამიერი პაუზა. ახლა ძმა უტევეს:  
— გუშინ ვისთან იყავი მუშტაიდში?  
— ვისთან, ვისთან?  
— არ ვიცი განა! ესკიმო ვინ გიყიდა? მარგოს გაბზარულ ხმაზე ეტყობოდა, რომ შინ და გარეთ მოთვალთვალე მისი სიტყვების გასაქარწყლებლად საბუთი არ მოეპოვებოდა. ეს-ღა აღმოხდა:

— ენა დამოკლე!  
განსმა დედის სუსტი მუქარა, ხოლო გულმშვიდ მამას მონაწილეობა არ მიუღია ამ მცირე და უმნიშვნელო აურხაურში.

...ბოლოს ვახტანგი წამოდგა და უდარდელი სტვენით არხეინად გაიხურა კარები; არც მარგო აპირებდა დარჩენას, სარკესთან თმას ისწორებდა.

— საით შენა?  
დარეჯანი უთუოდ აუხიარდებოდა თავის ქალიშვილს, მას რომ შეხვეულინით არ ეჩვენებინა დედისათვის: აგდებული კილოთი აუხსნა, რომ სამსახურში დაუვალეზიან ვიღაცისათვის. დაუგვიანებლივ გადაცემა. საკაბე შლიყოფილა და ფულს ჩამორჩებოდა. დაპირდა, რომ მალე დაბრუნდებოდა.

ქალიშვილი ამრეზილი გამოიდა მშობლებს.

ის-ის იყო, აქ მომხდარი ამბავის გამო გამბული ჩივილი უნდა — დაეწყო დარეჯანს, მაგრამ ზემო სართულიდან ვიღაც მარდად დაეშვა კიბეზე. მისწყადა თუ არა კიბის ზანზარი, დარეჯანის ბინის კარი უმაღლვე შემოაღო ათიწლის ბიჭმა.

— ძია შაქრო — მიმართა დარეჯან-

ნის ქმარს თვალბმომოციმციმე ყმაწვილმა, — მამამ გთხოვა ჩვენსა ამოდიო, ძია შაქრო!

ძია შაქრომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ ბიჭს ფეხი არ მოუცვლია.

— აქ დაგიციდი, ძია შაქრო!

ძია შაქრო ადგა, ყელამდე შეიკრა ხალათის ღილები. ნიკას მალლა სწევდა, პირი ოდნავ გაეღო და ენის წვერი უმოძრაოდ დაებჯინა ქვედა ტუჩზე. პირდაპირ შესცქეროდა ცოლს, რომელიც თვალბმს მოუსვენრად აცეცებდა და თითქო ენა მუცელში ჩავარდნოდა. ნიშნს უგებს თუ რაა? ჩალადაც არ აგდებს.

კართან ატუხული ბიჭი კი სხაპასუხებით ლაპარაკობდა:

— ისეთი ქადები გამოაცხო დედამა, ძია შაქრო, რომა...

შაქრომ მაგიდას აუარა. თვალი არ მოუშორებია სასაოწრკვეთილი ცოლისათვის. კარებთან ამაყად ასწია თავი, ვეება მეჭეჭიანი ცხვირი წინ გაიძლოდა და ბიჭთან ერთად თვალთაგან მიეფარა.

კიბე შეზანზარდა.



დარეჯანი თავის ქერქში არ ეტეოდა. მაინც ხმაგაკმენდილი იჯდა. კახელი ქალის სიღინჯე არ ღალატობდა. ყურს უგდებდა ზევიდან მომდინარე ხმებს. ზემო სართულში ცხოვრობდნენ დავრდომილი ზეინკალი და მისი ცოლი შუშანა. ეს ქალი ყოველდღე ფერუმარილით იღებავდა სახეს, უსაქმური იყო და დაცინებით დაჰყურებდა ხოლმე გამრჯე დარეჯანს თავის პატარა აივნინდან. ეზოში ყველას ერიდებოდა ამ ავყია დედაკაცისა... ქმარს ართმევდა დარეჯანს... შაბათობით სულ მათსა იყო ხოლმე შაქრო. ეგებ ჯამაგირიც შუშანასთან მიაქვს. აბა ვინ უწყის, სახლში კი არა მოაქვს რა და.

შვილიც როგორა ჰყავს დარიგებუ-

ლი — სანამ არ გამოგყვეს, კართან დაუცადე, არ მოეშვაო.

— კაბ-კუბ, კაბ-კუბ, გამკუბში... მონა მოდა ჰერს ზემოდ მოსიარულის ფეხის ხმა. სუფრას აწყობს. არაყს ასმევს ხოლმე სტუმარსა... ახლა ისადილა, მაინც იქით მიუწევს გული... ძვირფასი თვლებით მოოკვილი რქის დიდი სავარცხელი გაურკვეია თმაში შუშანას. ისეთივე დიდრონი, ძვირფასთვლებიანი საყურეები ჰქილია, კოპწიაობს და კახასავით დაარხევს მსუქან თეძოებს...

კაბ-კუბ, კაბ-კუბ!..

იატაჯე კი არა, დარეჯანის გულზე დადის ი დედაკაცი. ოთახში მარტო დარჩენილი ქალის გული იზნიქება და ლამის გასკდეს... ზემო სართულში იცინიან და დარეჯანს ჰგონია, რომ შუშანა განზრახ, მისი გულის გასახეთქად იცინის ასე ხმამალა.

დარეჯანი ისევ აწრიალდა, მაგრამ უმაღვე დამშვიდდა. ოთხრიგად გააბა თოკი კედლიდან კედელზე, მერმე ზეურები ამოალგა კალათიდან და გაფენას შეუდგა. ჰფენდა და ფიქრობდა: რა ბედშავი იყო დარეჯანი, რა უიღბლო. მისი ტოლი გოგოებივით დარჩენილიყო სოფელში, რად მისთხოვდა ქალაქში გაზრდილ შაქროსა, რომელიც ზაფხულობით ეწვეოდა ხოლმე მათ სოფელს და გამოპრანჭული ყველას თვალს უყენებდა. დარეჯანს ხანდახან აგონდებოდა თავისი სიყმაწვილე და ბავშვობის სურათები უწესრიგოდ ირეოდნენ მის აფორიაქებულ ცნობიერებაში.

...ხოდაბუნები. მზვარი. ხილის ბაღები. დაღესტნის მყინვარწვერები. კალოობა. ყურძნის აკიდოები. გუგულის ძახილი ტყეში. კოდალას ხმაური ეღებდა არე-მარეს, ქადრისა თუ მუხის ქერქს აწვალებდა ნისკარტით. ლუში გორაკები და თხემები. ჭიჭინობელას სიმღერა სიციხიან ამინდში. ბოლოქანქალები, მწვერდიტები და ასკინკილა. გუნდ-გუნდად მოჯარული ქედნები... გადაყრუებული დედაკაცი იწყველე-

ბოდა ორლობეში, სოფლის გოგონები აჯავრებდნენ ბეჩავსა, გამხდარ მარჯვენას იშვერდა, მჯილით იმუქრებოდა... ყანები, ნახირი. თრიმლის ჯაგებს შორის ფეხშიშველად ტანტალი. სოფლის ტლუ-ბიჭები. პირველი ნაქურდალი კოცნა და მერმე ისევ ნახირში სირბილი (ი მურდალისგან გაბრაზებული და ლოყებატკეცილი, ნამდილად კი ბედნიერი გოგონა, უმოწყალოდ უტლა-შენებდა სახრეს უდანაშაულო პირ-უტყვის!). ქათიბივით რბილი, ლურჯი მდელოები. თათარა და ბადაგი...

მერმე ე მისი ცოდვით საესე შაქროს ჩამოსვლა სოფლად! რანაირად მოხიბლა ამ გულდაცარიელმა მამამისი: ჩვილ-მეტი წლის ლამაზი გოგონა სულ-მოუთქმელად გამაატანეს ტიას თბილის-ქალაქსა.

კაპ-კუპ, კაპ-კუპ, კაპ-კუპ!...

უცებ სამივე კედელზე რამდენიმე რიგად გაბმული თოკი ერთბაშად მოეშვა (აღბათ გულარძნილმა ქალმა კარგად ვერ დაამაგრა მისი ბოლოები) და თეთრმა ზეწრებმა იატაკის ნახევარი დაფარეს. დარეჯანი ხელბედაშვებული და შეძრწუნებული იდგა ამ თეთრ იატაკზე, როგორც მარტოხელა მგზავრი თოვლიან ველზე.

სულ შეშანას ბრალი კია!

იდგება და წავა, შინ მიუფარდება, კმარა, არ დააჩაგვრინებს დარეჯანს!..

ფერხთა ქვეშ გაფენილ ზეწრებს

გადაალაჯა, თავსაფარი წაიკრა და კარებს მივიარდა. გამოალო, ბნელი, ყრუ და მღუმარე ღამე აიშართა მის წინაშე, როგორც მრისხანე გაფრთხილება.

წვიმას აპირებდა. უფარსკვლავო ცას ცისარტყელსავეით გადაუვლიდა ხოლმე პროექტორის შუქი.

დარეჯანმა უკან დაიხია.

მერმე მთელი ეზო რომ ფეხზე დადგება? ვის მოუსმენია გულკეთილ დარეჯანის ხმამალა ლაპარაკი, ვისთვის დაუწევია ვაი-უშველბელი!.. ეგების ჩამდენი რომ არ იყო? რას იტყვის ხალხი?! როგორ დააჯეროს ისინი. მერმე ქმარშვილში კი დაედგომება?!...

და მან უმწეოდ გაასავსავა ხელები.

ისევ მაგიდას დაუბრუნდა. საგულედან შვილის სურათი ამოიღო. დაუცდის გიორგის. გამარჯვებული დაბრუნდება შვილი. არც ეს ომი იქნება და არც ეს ღამე. სიხარული მოვა მის ოჯახშიაც, მასთანაც...

\*  
\*

ძალიან გვიან, როცა შესახვევის ყველა სახლში პატარა ამბოხი თუ უმნიშვნელო ფუსფუსი მინელბულიყო, გაისმა ნაცნობი სიმღერა სატრფოსგან გულდათოთქული ჭაბუქისა. მერმე ისიც მინელდა.

## ბოსკოს შემხირი

შამილი კალუგაში იყო.

ტყვეები ცხოვრობდნენ სამსართულიან სახლში, რომელსაც პატარა ფლიგელი და ბალი ჰქონდა. ეს სახლი წინათ ვილაც პოლკოვნიკს ეკუთვნოდა. ყოფილი იმამი აქ თორმეტ ნოემბერს დაბინავებულა. ახალი პატრონის სურვილის თანახმად ოთახები სადად მოერითოთ, მხოლოდ ქვემოთ სართულის

ერთი დარბაზი გაემართათ ევროპულ ყაიდაზე, რბილი ტახტები და ვოლტერის საეარძლები დაედგათ, კედლებზე ზაფრანის ფერი შპალერი გაეკრათ. ერთ სარკმელს ალვის ჩრდილი ეცემოდა.

შამილს მესამე სართული აურჩევია და ცოლებისათვის ოთახები გაუნაწილებია. პირველ სართულში იცხოვრებდა მისი უმცროსი ვაჟი, ხოლო მეორე სართულში — იმამის უფროსი მეგვი-



დრე ღაზი-მუჰამედი მეუღლითურთ. ქვემოთ დაბინავდებოდნენ აგრეთვე შამილის სიძეები, ფლიგელში კი მეჯინები და მოსამსახურეები.

შამილი თავის საყვარელი ცოლის შუანეთის გვერდით დიდ ოთახში კითხულობდა და იძინებდა. კედლები აქ მწვანედ შეეღებათ, მწვანე ფერი უხდებოდა მის მტკივან თვალებს. ტყვილად როდი ჰყვარებია ეს ფერი ბავშვობიდანვე.

ახალ ბინაში გადმოსვლის შემდეგ შამილს არაფერი მიუმატებია ავეჯისათვის, მხოლოდ თავისი ოთახის ერთ კუთხეში ნაბადი გაუშლევინებია იატაკზე. ამ ნაბადზე მდგომი ან მუხლმოყრილი ლოცულობდა იგი.

სასტუმროებში დამე ნათევი მთიელი ამჟამად თავს უკეთ გრძნობდა, მაგრამ სულ ერთთავად გულჩათხრობილი იყო, თანაც კავკასიიდან ჯალაბის ჩამოსვლისათვის ლოდინი ურღვევდა სულიერ მყუდროებას (ღაზი-მუჰამედი წასულიყო თემირ-ხან-შურაში და ჯერაც არ სჩანდა). შამილი თავის ხეაში ადს პარვის ანდობდა — არც ხაზინადარ ჰაჯიოს, ერთგულ, მაგრამ გონებადამხუტ მართლმორწმუნეს, არც ამალის სხვა წევრებს, თოფსა და ცხენზე ოცნებას გადაყოლილ ჭაბუკ მურიდებს. იშვიათად დადიოდა სტუმრად და მხოლოდ კალუგის ეპისკოპოსს თუ გაესაუბრებოდა ხოლმე.

თარჯიმანი გრამოვი მალე დაღისტანს გაემგზავრებოდა. შამილის ყოფილი ზედამხედველი პოლკოვნიკი ბოგუსლავსკი რამდენიმე დღით ჩამოსულიყო პეტერბურგიდან და ისიც ხვალზევ სატახტო ქალაქში დაბრუნდებოდა. იმამის ახალი მცველი რუნოვსკი (ტყვეებზე ფხიზლად, მაგრამ შეუმჩნევლად თვალის მდევნელი კაპიტანი) ათასგვარ ღონისძიებას მიმართავდა კალუგის პატიმრის გასამხიარულებლად, მაგრამ შამილს უფრო მწვავედ უგრძენია თავისი მარტოობა აქ, უდაბური ველებით გარშემორტყმულ პატარა ქალაქში და გართობაზე უარი განუც-

ხადებია. როცა კალუგის თეატრმა გამოუგზავნა ფურცელი ხელმძღვანელს და რამდენიმე წარმოდგენის ანონსები, ტი შესთავაზა, რუნოვსკიმ ინახულა შამილი და გადაუთარგმნა მომართვის შინაარსი. ექსიმამი თავის ოთახში წიგნებს უჯდა. ქალაქს დახედა, ერთ წამს შედგა და მერმე იკითხა:

— ყიზლარ ბულურ?!

— რასაკვირველია, იქნებიან, — უპასუხა რუნოვსკიმ.

— მაშინ მე არ წავალ.

— მაგრამ შენ ხომ, მგონი, ძალიან გიყვარს თეატრი?

— დიად, მიყვარს, მაგრამ მე იქ არ წავალ, აი, ჩამოვლენ ჩემი ვაჟები და ისინი უთუოდ ივლიან თეატრში, — დაასკვნა შამილმა.

„რა გაეწყობა, ამ ადამიანს თავისი სულისა და სხეულის გვემა განუზრახავს“, — გაიფიქრა რუნოვსკიმ, ადგა და გამოემშვიდობა...

დიდი ხანი არ იყო გასული ქალაქში ტყვეების დაბინავების დღიდან, რომ კალუგაში ანახდად ხმა დაიარხა: ქუჩებში დახეტიალობს უცნობი მამაკაცი ფართო ქუდითა და ფრიალა მოსასხამით, ხელში ოქროცურვებულ ჯოხს ათამაშებს, საშაქარლამოების ხშირი სტუმარია და ქუჩის ძაღლებს აფრთხობს. ცნობისმოყვარეობას ბოლო არ უჩანდა, მაგრამ როცა ბოძებზე გაკრულმა აფიშებმა მოქალაქეებს აუწყეს უცნობის ვინაობა, ყველა კმაყოფილი ღარჩა: კალუგას გამოჩენილი ჯამბაზი სწევოდა.

აფიშაზე ჯამბაზის სურათის ქვემოთ მსხვილი ასოებით და რამდენიმე სტრიქონად ეწერა:

### გ ა ს ტ რ ო ლ ე ბ ი

აღმოსავლეთის თვალთმაქცისა და  
მექანიკოსის,  
ბოსკოს შეგირდის  
ფრანსუა კერისა.

! ქალიშვილები იქნებიან?



ფერადი რგოლების, ბაღდადური ფონების, გაღებულ ყუთებიდან აფრენილი მტრედებისა და ანთებული ჩირაღდნების გვერდით დაბეჭდილი იყო განმარტება, რომ ჯამბაზი შესარულებადა „შავი მაგიისა და ექსპერიმენტული ფიზიკის“ იშვიათ ნიმუშებს. სურათების მარცხნივ და მარჯვნივ, გაკვირვების ნიშნებს შორის, გამოყვანილი იყო ფრანგული სიტყვები: კუდე თეატრ!<sup>1</sup>

იღგა ცივი, მაგრამ მზიანი დღეები, იშვიათი ნოემბერში და ასე საოცნებო კალუგაში. ეკლესიის გუმბათის ჯვარი ოქროსფრად ლაპლაპებდა. მდინარე ოკას ზვირთები უხმაუროდ და მწყობრად მისდევდნენ ერთმანეთს, ხოლო ბაღებს ჯერაც არ განეძარცვათ სოსანისფერი ტანსაცმელი. ცაც გამჭვირვალე იყო, ოღონდ იქ, სადაც ტრამალი ცის თაღს უერთდებოდა, ღრუბლის ქულები იდგნენ, გვეგონებოდათ დათვის თეთრი ბელები ტორებს უღერენ ერთმანეთსო. ქალაქი ტკბილ ზმანებას მოეცეა...

კერის სახელი კალუგაში ყველას ენაზე ეკერა, იგი საუკეთესო მანიპულატორად ითვლებოდა რუსეთში. არავინ იცოდა ჯამბაზის ნამდვილი ვინაობა, ფიქრობდნენ, წარმოშობით ებრაელი უნდა ყოფილიყო. ფრანსუა კერი გაეწრთენა გამოჩენილ იტალიელ ჯამბაზ ბარტოლომეო ბოსკოს. ეს ბოსკო ჭაბუკობისას იტალიის ვიკე-კაროლის კორპუსში მოხვედრილა, 1812 წლის ომში მონაწილეობა მიუღია და რუსეთში ტყვედ წაუყვანიათ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ევროპის ქვეყნები მოუვლია და გაუგზავნა წარმატებანი ჰქონია, ვითარცა ცირკის ხელოვანი. ამჟამად იტალიაში ატარებდა მიხრწნის წლებს, ხოლო მის საქმეს განაგრძობდა ვაჟი, აგრეთვე არანაკლებ ცნობილი ჯამბაზი.

ფრანსუა კერიც ბარტოლომეო ბოსკოს მოწაფეთა სახელოვან და მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, ეს კი

<sup>1</sup> უჩვეულო ამბავი, სანახაობა.

იმდენად საყურადღებო იყო, რომ მსახიობს საგანგებოდ აღუწინააღმდეგებოდა.

კალუგაში პირველივე წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარებულა, როცა ამ ამბავს შამილის ზედამხედველის ყურამდეც მიულწევი, რუნოვსკის გადაუწყვეტია ტყვეების ბინაზე მიეწვია იგი. „შამილი ეხლაც ხომ არ შეეკითხება: „ყიზლარ ბულურ?“ ფიქრობდა იმამის მცველი. მართლაც, შამილი დასთანხმდა. ბოსკოს შეგირდთან გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და მსახიობის პასუხი მოიტანა: ამ ქალაქში ჩემი ჩამოსვლის მიზანს შამილის ნახვა შეადგენდა და დღესვე გეახლებითო.

დღის ორი საათი იქნებოდა, როცა ფრანსუა კერი შამილის ბინაში გამოცხადდა. ჯამბაზი მიიღეს პირველი სართლის დიდ დარბაზში, სადაც წარმოდგენა უნდა გამართულიყო. სარკმელის პირდაპირ, იმამისათვის განკუთვნილი ტახტის მახლობლად, ვოლტერის სავარძლებში ისხდნენ — პოლკოვნიკი ბოგუსლავსკი (შუახნის, სათვალეებიანი მამაკაცი, რომელიც ოქროს კბილებს აჩენდა საუბრის დროს), კაპიტანი რუნოვსკი და თარჯიმანი გრამოვი. ტახტის მახლობლად იდგნენ ხაზინადარი ჰაჯიო და ახალგაზრდა მურიდები. ტახტზე ფეხმორთხმული იჯდა თვითონ იმამი. მხრებზე ქურქი მოეხურა. ბეწვებიან საყელოში თავისი დიდი წვერი დაემალა, თავზე უჩალო ფაფახი ჩამოეთხატა და ხელები სახელოებში გაეყარა. ვინც ახლო არ დააკვირდებოდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთი კოსტუმი შეიძლებოდა სცმოდა საჩაჩნოსა და დაღისტანის მრისხანე მმართველს. იჯდა ეს დონდლო, თავისავე ქურქში ჩაეარდნილი მთიელი და გულდასმით უსმენდა ბოგუსლავსკის...

სტუმარს დარბაზში შემოუძღვა მოსამსახურე, ცეროდენა იახინი. ჯამბაზს ერთ ხელში ჩემოდანი ეკავა, მეორეში კი შავი ქუდი ექონია. მარცხენა მხარზე ყავისფერი მოსასხამი გადაეკიდა, შარვლის ფართო ტოტებში პა-

ტარა, სულ პატარა წაღები მოუჩანდა. სახე ისეთი ფერმკრთალი, თეთრი და უსიცოცხლო ჰქონდა, როგორც გამოჩენილ აქტიორებს აქვთ ხოლმე. უწამწამო ქუთუთოებს ახამხამებდა, მყვიანა და ჭალური ხმა ჰქონდა; მელოტ თავზე თმა მხოლოდ კეფასთან შერჩენოდა.

იერი გადაჭარბებული კოხტაობით მიესალმა დარბაზში მსხდომთ და როცა გრამოვს მოჰკრა თვალი, გაცეცხულმა ხელების გაშლა მოისურვა, მაგრამ ჩემოდანმა დასძლია და როცა სასწრაფოდ დასდო იატაკზე, შორიდანვე დაიძახა:

— ისაი გრამოვ!... საიდან?... მითხარი, ვეთაყვა, სიზმარია თუ ცხადი?...

გრამოვს მზით დამწვარ ლოყებზე ღიმილი უკრთოდა. იგი ისე უცქეროდა ჯამბაზს, როგორც დიდი ხნის ნაცნობს.

— რაო, არ მოელოდი განა... იმაშმა სთხოვა ვრანგელს მე გამოვეყოლებინე თარჯიმანად... მალე ალბათ თემირხან-შურაში დებრუნდები; — შემდეგ მხოლოდ ჯამბაზისათვის გასაგები წარბების აწევით შეეკითხა: — გახსოვს?

— მახსოვს, ისაი, ჩინებულად მახსოვს. ღმერთო ჩემო, ზღაპარია ნამდვილად... — (კერი სხაპასხუპით ლაპარაკობდა, თანაც გაკვირვებული შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს, თითქოს ამათგან მოითხოვდა დასტურს: ხომ სასწაულიაო). — ორი წლის წინ კავკასიის მიუვალ მთებში ვიყავით. ეხლა კი სად შევხვდით ერთმანეთს... ნება მიბოძეთ ამ თავგადასავლის ისტორია გიამბოთ.

რუნოვსკიმ სკამზე მიიპატყა იგი.

— მერსო! — უმაღლე გაისმა ბოსკოს შეგირდის ხმა. მსახიობი არ დამჯდარა. ქულის ზონარიდან ხელი გაინთავისუფლა. მოსახსამი სკამზე დაადგო და ისევ სხაპასხუპით მოჰყვა: — შარშანწინ კავკასიაში გახლდით. ჩემზე უკეთ მოგხსენებათ რასაც წარმოდგენდა მაშინ ეს მხარე. თემირ-ხან-შურაში ჩასვლისას გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანის

ნის კანცელარიის უფროსთან წარმადგინეს. ვთხოვე სალათაუში<sup>(1)</sup> გავეშვი, სადაც მაშინ საომარ ექსპედითიან თერთონ თავადი ორბელიანი მეთაურობდა. განზრახული მქონდა ჯარი გამერთოდა, უნდა გამოვტყდე, სულთ და გულთ მინდოდა სარდლის ნებართვით საჩანოში გადავსულიყავი და შამილს ვწვევოდი. რომელი მსახიობის ოცნებას არ შეადგენდა მაშინ კავკასიის ლეგენდარული გმირის ნახვა!! და, აი მე გავეჭვავებე ორბელიანთან ჩვენი ისაის მეთაურობით. წლის სწორედ ეს დრო იყო. მახსოვს შეუბრალებლად გვათოვდა საბარგულში მსხდომთ. ვეგენიევსკოედან სალათაუს მთებს შეკუდექით, თერენგულის საზარელი ხევი გავიარეთ და ბურთუნაის მალღობზე ავედით... ეხლაც ზღაპარი მგონია ჩვენი მგზავრობის ამბავი. თავადმა ორბელიანმა კარავში მიმიღო. კარგად მაგონდება, თვითონ დაესწრო ყაზარმაში გამართულ წარმოდგენას. ჩემს ნობრებს რომ ვუჩვენებდი, სალდათების ერთი ღრიანცელი და ხმაური იდგა... რა დრო იყო... მეორე მხარეს, ლუმბეთის მთებში შამილის ვაჟის მურიდები ედგნენ (ვწანობ, რომ იმამის ვაჟს ვერ მოუსწარი და წასული დამხვდა). წარმოდგენის მეორე დღეს ნება დამრთეს ისევ მენახულა ორბელიანი, ესეც ისაიმ მომიხერხა. თავადს ვთხოვე ვედენოში გავეშვი, რადგან ვიმედოვნებდი მთიელთა წინამძღოლი კარგად მიმოიბოძა. მადლიერი დარჩებოდა ჩემი ჯამბაზობით, ვფიქრობდი, ასეთი სასწაულები მაჰმადის ცხოვრებაშიაც არ ექნებოდა ამოკითხული. დიდად მეწადა პირადად მენახა კავკასიის მთების არწივი. მაგრამ თავადი ვააოცა ჩემმა განზრახვამ. მაგონდება მისი სიტყვები და ამოძახილი: „ოჰო, ვინ ჩაგაგონათ ეგ აზრი. ეგებ ამ ქულის კოლოფმა?“ (შენზე მიმითითა, ისაი, ხომ გახსოვს?). „ეს ვაჟბატონი ისე შეეჩვია შამილთან ვედენოში. სიარულს ჩემი ტყვეების საქმისათვის, რომ ჰგონია მურიდები ომიანობის დროსაც მასავით უმასპინ-

ძლებენ ყველა გიჟურსო“. უფალმა უწყის, ისაი აქ არაფერ შუაში იყო, მე თვითონ მინდოდა მთაში ასვლა. კიდევ შევებდე სათხოვარი. მაშინ ორბელიანმა წარბები შეკრა: „არა, ჩემო კეთილო, ჩემი თარჯიმანი აჩქარებულა. აქაურ მმართველობას ახლა ლეკებისაგან ერთი ტყვეც არა ჰყავს ფულით დასახსნელი და ჩემი ნებით მსუქან ძვალს არ გადაუგდებ მშიერ მგლებსო“. ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა, ბოლოს მკითხა: „მერმე იცით, როგორ დაგასაჩუქრებთ მასპინძელი თქვენი თვალთმაქცობისათვის?“ რა მეთქმოდა. მაშინ თავადმა სთქვა: „ის ნახავს წარმოდგენას და შემდეგ მურიდებს უბრალებს კუხე ჩამოგვიდონ ან ორმოში ჩავალპონ“. ამას კი არ მოველოდი. თვალწინ დამიდგა საშინელება, რომელიც შეიძლებოდა ჩემს გასტროლებს მოჰყოლოდა ვედენოში. „მთაში სასწაულებისათვის თვითონ იმამია გაჩენილი და ვინც ამ საქმეში შეეცილება მას უმაღლე თავს მოჰკვეთსო“, — დასძინა თავადმა. სარდლის სიტყვებმა საგონებელში ჩამავდეს. რამდენი რამ არ გამეგონა შამილის სისასტიკეზე, მაგრამ ამა რას ვიფიქრებდი, თუ ლეკების მეთაური უნებელ მსახიობსაც არ დაინდობდა. მომავლენა, როგორ ეთხოვებოდნენ მშობლები კავკასიის ომში გასაგზავნად ვაჟებს, ყველას ელანდებოდა შამილის 'შალი მათ კისერზე... გამოვემშვიდობე სარდალს, თემირ-ხან-შურაში დაგბრუნდი და შემდეგ გულში ფიქრადაც არ გამივლია შამილის სამფლობელოს საზღვრებთან მიახლოვება. რა დრო იყო, ისაი, ა?!

— ჭეშმარიტად!.. — დაუდასტურა გრამოვმა.

კერი ისე იყო გართული თავისივე მკერამეტყველებით, რომ სრულიად ვერ ამჩნევდა შამილის ყოფნას დარბაზში. მსახიობი ყურადღებას არ აქცევდა უბრალო მთიელებს და მარტო ბოგუსლავსკის შესცქეროდა, რომელიც მისგან ოდნავ ზურგშექცევით იჯდა და ვილაც მოხუც მთიელს უსაუბრებოდა.

კერი არც იმას ამჩნევდა, როგორი გამზერეტი მზერით აკვირდებოდა მას: ამ მოხუცის ფაფახიდან ~~სტამბოლის~~ თვალები.

— აპოლონ აპოლონოვიჩი, — მიუბრუნდა კერი რუნოვსკის, — როცა შამილი ჩამოვა აქ, გთხოვთ მოუყევთ ყოველივე და გადასცეთ, რომ აი, მე კინალამ არ ვინახულე იგი ვედენოში.

ბოგუსლავსკის უკვე გადაეთარგმნა შამილისათვის ჯამბაზის სიტყვები. ქურქის ბეწვიან საყელოში ჩაფლული წვერი და დიდი ფაფახი შეირბა, კერისთვის უცნობმა მთიელმა რაღაც მკაფიოდ წარმოსთქვა.

რუნოვსკის ნაცვლად ბოგუსლავსკიმ უპასუხა კერის:

— შამილი ამბობს: დე უმადლოდეს გამჩენს, რომ თავადმა ორბელიანმა არ გაუშვა ის მთაში, რადგან მე მას უეკველად ჩამოვახრჩობდიო.

ბოსკოს შეგირდი ერთბაშად გამოიცვალა. წინასწარი და მოულოდნელი პასუხით შემფოთებულმა გაბზარული ხმით იკითხა:

— სად არის შამილი? დაგვდებს პატივს და წარმოდგენას დაესწრება?

— აი თვითონ შამილი! — მიუგო ბოგუსლავსკიმ და მიუთითა იქვე მჯდომ იმამზე, რომელიც უდიდესი ცნობის მოყვარეობით ათვალთქვებდა ჯამბაზს.

აღმოსავლური მაგიის ოსტატი და თვალთმაქცი ფრანსუა კერი ერთბაშად განზე გახტა, მას, ალბათ, არასოდეს გაუკეთებია ასეთი ნახტომი თავის წარმოდგენებზე, უმაღლესი არტისტული პათოსის წუთებშიაც კი. ბოსკოს შეგირდი ერთხანს სდუმდა და ფხიზელი თვალი შეამჩნევდა, რომ ცახცახებდა. შამილმა კი მხიარული საუბარი დაუწყო ბოგუსლავსკის (კერი მიხვდა, რომ მისმა ნახტომმა გამოიწვია ყოფილი იმამის ღიმილი) და ჯამბაზიც თანდათან დამშვიდდა.

კერის განზრახვა ჩაეფუშა: მსახიობს უნდოდა აღმოსავლური თავაზიანობა გამოეჩინა, შესაფერი მიმოხვრა და მისალმებისათვის საჭირო ენაშქვერო-

ბაც მოფიქრებული ჰქონდა. გამოჩნდებოდა თუ არა კავკასიის გმირი დარბაზში, კერი გულზე ხელებს დაიკრეფდა, თავს დაჰხრიდა და ეტყოდა — მოხარული ვარ თქვენი ნახვისა და ბედნიერად ჩავთვლი თავს, რომ მაღალი ხელოვნებით გაგართობთ მთების სამაყო შვილს. მაშინ სამხედრო საქმის დიდი ხელოვანი უთუოდ ლმობიერად გაუწვდიდა ხელს ცირკის გამომჩენილ მსახიობს, ბოსკოს შევირდს.

გაცნობის სცენა ბრწყინვალე არ აღმოჩნდა.

კერიმ გაალო ჩემოდანი, რაღაც საგნები დაალაგა მაგიდაზე და საქმეს შეუდგა. ახლა მას ხელში კოლოფი ეკავა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა დიდი ცნობისმოყვარეობით აღევნებდა თვალს ჯამბაზის მოძრაობას.

ჯამბაზმა ბოგუსლავსკის სთხოვა მთიელებისათვის აესხნა: ამ კოლოფში მოხვედრილი ნივთები თავისით ჰქრება, თუმცა კოლოფი კარგად იკეტებაო. ნათქვამის დასადასტურებლად კერიმ საათი გამოართვა რუნოვსკის, კოლოფი ჰაერში დაიკავა და ის იყო, საათი შიგ უნდა ჩაედო, რომ შამილმა გასასინჯავად მოითხოვა კოლოფი. კერი დაიბნა და ეტყობოდა, არ უნდოდა მისი გადაცემა, მაგრამ დაინახა თუ არა იმამის მოკიაფე თვალები, ხელახლა შეძრწუნებულმა დაუყოვნებლივ გაუწოდა ის შამილს, რომელიც უცნობ ენაზე დაჟინებით იმეორებდა:

— ე-ე, მომე, მომე.

იმამმა დაკვირვებით ჩაათვალიერა კოლოფი, უმაღვე მიაგნო ყალბ ძროს და ყველას დასანახავად მალლა ასწია იგი. კოლოფის მოძრავე მხარეს საჩვენებელ თითს ადებდა და კმაყოფილი იმეორებდა:

— ა-ა, მას კი ჩვენი მოტყუება უნდოდა!

ბოსკოს შევირდს ეს ნომერიც ჩაეფუშა.

კერი თავს უხერხულად გრძნობდა, ხედავდა კედელთან ატუხულ მური-

დებს დამცინავი ღიმილი აღბეჭდოდათ თხელ ბაგეებზე; იმამის მიხვედრილობით გახარებულებმა სატყვეობის პირობებს შეუცვალეს ადგილი ჩოხის კალთებზე და გამარჯვებულებივით ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს, თითქოს აქ არაფერიაო, კერი მაგიდასთან მივიდა, ხელში ფერადი რგოლები დაიჭირა და თავის მართლებას მოჰყვა: პირველი ნომრები მუდამ მარტივია და ყოველი მომაცვდავი მას ადვილად შეასრულებს მცირეოდენი გავარჯიშების შემდეგო. ჯამბაზი ასეთ ნომრებდ სთვლიდა რგოლების თამაშსაც, რომლის დროს საჭიროა ერთი სავალდებულო, მაგრამ უბრალო კანონის დაცვა: როცა ისინი სივრცეში მოძრაობენ, ჯამბაზმა კარგად უნდა ადევნოს თვალი მათ, ხელიდან გაშვებული რგოლები მაშინ მსახიობის ყველა განზრახვას შეასრულებენო.

ამ სიტყვებთან ერთად კერიმ ჰაერში აისროლა რგოლები. ისინი წრებს აკეთებდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ბოლოს პატრონს უბრუნდებოდნენ. კერი გაფაციცებით აღევნებდა თვალს უთვალავი რგოლების სრბოლას ჭერამდე. მზის შუქით განათებულ დარბაზის კედლებზე ისახებოდა მათგან გამოყოფილი რკალური ლანდების ტრიალი. ჩია და მელოტი კერი დაუცხრომლად და მკვირცხლად მუშაობდა, არც ერთი რგოლი არ გასხლტომია ხელიდან.

შამილი თანდათან გაიტაცა ფრანსუა კერის ოსტატობამ. ნომერი ნომერს სცვლიდა; კერიმ აიღო ვერცხლის აბაზიანი, ჰაერში აისროლა, მაგრამ ფული სადღაც გაქრა. ჯამბაზმა ფული მოიკითხა; ის არავის აღმოაჩნდა; მაშინ კერი მიიჭრა შამილის ხაზინადართან, ფრთხილად მოჰკიდა ხელი ცხვირზე და გაოცებული ჰაჯიო გრძნობდა, თუ როგორ გამოჰქონდა თვალთმაქც ვერცხლის აბაზიანი მისი ცხვირის ნესტოდან.

ექს-იმამმა წარბები შეჰყარა, ხოლო მთელი მისი ამაღა ერთი კაცივით

შეირხა. მურიდებს ხელები ჩაველოთ სატერვრების ვადაზე და უხმოდ მძვინვარებდნენ: ჯამბაზს ეგება სწადია მართლმორწმუნეთა წინამძღოლიც შეურაცხეოს? ასეთი გამომეტყველება ჰქონდათ ლეკებს, ალბათ, კავკასიური ომის დროს. ბაგეები მოეკუმათ, ჰროლა თვალებიდან ბოროტ ნაპერწყმებს ჰყრიდნენ.

ფრანსუა კერი ნაცემ კატასავით მოიკუნტა და უკან დაიხია. მესამედ განიცადა შიში აქ მოსვლის შემდეგ. მაგრამ როცა რუნოვსკიმ დაარწმუნა შამილი და მისი ამალა, რომ არავინ იქნებოდა შეურაცხყოფილი, კერიმ განანგრძო შეწყვეტილი სახიობა. თვითული ახალი გამოგონება იმამის სრულ მოწონებას და გაკვირვებას იწვევდა. დაშოშმინებული მურიდები თანდათან გამზიარულდნენ, წინანდელი გულზვიადობა დასთმეს და ახლა ლმობიერად შესცქეროდნენ ბოსკოს შეგირდს, რომელიც ლამის ხანჯალზე არ წამოაგვს მათ რამდენიმე წუთის წინ.

ჯამბაზს გული მოეცა (მართლა-და, კალუგა ხომ ვედენო არაა?!). თავისი გამბედაობის დასამტკიცებლად ხაზინადარს ისევ ვერცხლის ამბიანი და ბაღდაღური მანდილი გადასცა. შემდეგ ხელებით ანიშნა ფული გაეხვია.

დარბაზში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

ხაზინადარმა ხელმანდილის ბოლოებს თავი მოუყარა და ორი თითით მალლა ასწია. კერიმ მხოლოდ წამით დააყოვნა სიგნალი. შემდეგ ანიშნა მანდილი გაეხსნა და ჰაჯიომაც ფრთხილად გაშალა იგი.

ფულის ნაცვლად ხაზინადარს ხელში შერჩა სასაცილო ტიკინა სულთანის გამოსახულებისა, რომელსაც მხრებზე ჭათმის ფრთები გამოსხმოდა.

ეს იყო მწვერვალი კერის ჯამბაზობისა. დიდხანს უსიტყვო გაკვირვებით შესცქეროდნენ სულთანის ტიკინას კალუგის ტყვეები. ბოლოს შამილის ხა-

ზინადარს და მურიდებს გულიანი სიცილი წასკდათ.

— ოპ, ოპ, ოპ, ჰე, ჰე, ჰე... <sup>არეზნეული</sup> <sup>ქვინძრობა</sup> ხარებდნენ ისინი, მოკლედ შეკრეპილ და ინით შელებილ წვერებს აცანცარებდნენ, ჩერქეზულ ჩოხებში გამოკვართულ მხრებს ისე არხეიდნენ, თითქოს ძუნძულით მიმავალ ზერდაგზე მსხლარიყვნენ. ბოლოს ხველება აუვარდათ და ახალუხის სახელოებით შეიმშრალეს ცრემლი.

მაგრამ იმამი უტბად წამოდგა (ახლა ის დონდლო კი არა, ბრგე და ახოვანი გამოიყურებოდა), ჯამბაზს გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა. მართლმორწმუნეთა წინამძღოლს არ შეჰდევროდა სულისათვის ურგები სანახაობის დიდხანს ყურება და არც მის ჭაბუქ თანამეამულეებს უქადალა კარგს რასმე ასეთი გართობანი — ყველანი ლოცვას გადაეჩვეოდნენ.

შამილა მოკლედ შეუქო სახიობა ბოსკოს შეგირდს. მთიელები გარს შემოეხვივნენ ჯამბაზს. რუნოვსკი და ბოგუსლავსკიც ხელს ართმევდნენ და ულოცავდნენ.

გრამოვი კი ხმამაღლა ჰყეობოდა:

— ...სალათაუშიაც ასე მოაჯადოვა კასპიის ჯარები ამ წყეულმა. თეადი ორბელიანი სულ იმას გაიძახოდა: ჯადოჭარი არ ყოფილა ეს ბოსკოს შეგირდიო!

გამზიარულებული შამილი კარებისაკენ გაემართა, ბოგუსლავსკი გვერდით მიჰყვებოდა და ეკითხებოდა:

— იმამ, მართლაც ჩამოჰკიდებდით ხეზე ამ ჯამბაზს, ვედენოში რომ გწვეოდა და იქ ეჩვენებინა თავისი თვალთმაქცობა?

შამილი შედგა. სახის მზიარული გამომეტყველება გაუქრა და მტკიცედ მიუგო:

— მით უფრო ჩამოგკიდებდი! შემდეგ ხაზინადარს მიუბრუნდა, რომელიც ახლა მეგობრულად ემასლათებოდა ბოსკოს შეგირდს და უბრძანა:

— ბოლურ, გელაბ აშამაპა! <sup>1</sup>

<sup>1</sup> კმარა, წაიფეთ საჯახშოდ.

მეორე დღეს შამილს სადილად დაეპატივნა ბოგუსლავსკი და თავისი მცველი. გრამოვიც აქ იყო. ყველას იმამის ოთახში მოეყარა თავი და ცხერის ხორცსა და თაფლს შეეჭკეოდნენ. ნაშუადღევს ხუთი საათი იქნებოდა. სარკმელებიდან შემოდოდა ჩამავალი მზის შუქი, ფარდები ჯერაც არ ჩამოეშვათ; თუმცა გარეთ კარგი დარი იდგა, ოთახი მინც ვეთბოთ.

დაბალ ზურგიან ტახტზე ფეხმორთხმით მჯდარ შამილს თეთრი, საშემოდგომო ხალათი და მსუბუქი ბეშმეთი ეცვა, თავზე დახვეული ჩალმა ეხურა. მშვიდად და ხმადაბლა უხსნიდა სტუმრებს თავისი დამარცხების მიზეზებს. ერთერთ მიზეზად ნაიბების გაუმადრობას, ვერაგობასა და გაუტანლობას სთვლიდა. მათს ღალატში იმამი ადრე დარწმუნებულა.

— ცუდი ყოფაქცევის ხალხს ვმეთაურობდი, — ამბობდა შამილი; — მთიელნი მხოლოდ მაშინ სჩადიან რაიმე კეთილს, როცა მათ თავზე ბასრი ხმალი ტრიალებს... სხვაგვარად არ შემეძლო მოქცეულიყავ, მაშინ პასუხი უნდა გამეცა უფლისათვის და ის გამკიცხავდა იმის გამო, რომ მკაცრად არ ვსჯიდი ჩემს ხალხს...

იმამატი მიაგავდა პატარა სამლოცველოს, რომლის ქონებებზე სათოფურები იყო მოწყობილი. ყველა მზად უნდა ყოფილიყო ომისათვის. ამიტომ შამილი სასტიკად ებრძოდა ყოველგვარ ფუფუნებას მთიელთა საშინაო ყოფაში. იმამი უღმობელი იყო: ჰკრძალავდა თრობას, თამბაქოს წევას, მუსიკას, აზარტულ გართობას. მთიელთა შორის დავას მიუჯერძობებლად არჩევდა. ამიტომ შესძლო ოცდა ხუთი წელი გამკლავებოდა კავკასიის უძლიერეს მხედრობას. მაგრამ ციხე შიგნიდან ტყდებოდა, ხალხი მალულად ძველ ადათებს უბრუნდებოდა, მოღალატენი მრავლდებოდნენ. შამილს ჯოჯოხეთად გადაქცევიდა დაღისტანში ცხოვრება,

მოუწვევია დივანი და საჯაროდ ვანუცხადებია სურელი მექაში და უფლებამოსილი ყოფილა. დაღისტანში ცხოვრობს მისი სიმამრი, შეეკითხონ, მართალს ამბობს თუ არა. იქვეა მირზა ამირ-ხანიც, შეუძლია სიტყვა-სიტყვით გაიმეოროს შამილის თქმული. ახლა ხომ მათ შორის არ იმყოფება და ტყუილის თქმას აბა რა აზრი აქვს?

შამილი ლაპარაკობდა მკაფიოდ, არავითარი ავსნება არ ემჩნეოდა... როცა ბრძოლის წაგებაში დარწმუნებულა, იმამის წოდებაც შეჰზიზღებია. შინაური მტრები გამრავლებია, ხალხს ყური არ მიუგდია მისი ქადაგებისათვის და ასეთი ხალხის წინამძღოლობა კი მძიმე და აუტანელ ტვირთად დასწოლია.

ოთახში შემოვიდა ჯუჯა იახინი, ლამფა შემოიტანა და სარკმლის ფარდები ჩამოეშვა.

— მბრძანებელნი ადვილად არ შეეღვევიან ხოლმე გავლენის დაკარგვას და მათ უთუოდ უმძიმთ ძალა-უფლებზე ნებაყოფლობით უარის თქმა. ამაზე რას იტყობით, იმამ? — ჰკითხა ბოგუსლავსკიმ, რომელსაც შამილთან გულახდილი საუბარი უყვარდა.

— ათი წლის წინ რომ დამემთავრებია ომი მექაში გამგზავრების გარდა არაფერს ვისურვებდი. შემიძლია თუ არა ამის შემდეგ ვიდარდო ძალაუფლებზე, რომელიც ნამდვილ საპატიმროდ გადამექცა?

— არც დაკარგულ სიმდიდრეზე ფიქრი გაწუხებთ? — შეჰბედა ახლა რუნოცკიმ.

— მე არასოდეს ვყოფილვარ მდიდარი, — მიუგო შამილმა. — ესეც არ იყოს, თქვენ ყველანი ხედავთ — მე მცირედითაც კმაყოფილი ვარ. მე მაშინაც კმაყოფილი-გიქნები თუ არაფერი მექნება. ჩემმა ვაჟებმა კი თვითონვე უნდა იზოვონ საზრდო ისევე, როგორც მე ვმოულობდი მას შრომითა და ჯაფით. მათთვის ეს გაცილებით ადვილი იქნება, რადგან ისეთ შემეკიდრეობას ვუტოვებ, რომლის მსგავსი თვითონ არ

მიმილია: ისინი შამილის ვაყები არიან! ბოლო ფრაზა შამილმა შთამავგონებლად წარმოსთქვა.

— მე მხოლოდ ერთი მსურს: ყველა ჩემი წიგნი დამიბრუნდეს, — განაგრძობ მან. — სხვა სიმდიდრე ფუჭია! ჩემს ცოლებსა და ქალიშვილებს ადვილად შეუძლიანთ იყიდონ მათი მოსაწონი სათამაშოები. მე კი მცირე რამ მჭირდება, ჩემი აღსასრული მოახლოვებულია და საფლავში არაფერს ჩავეიტან...

რუნოესკიმ ფრანგულად მიმართა გვერდით მჯდომ ბოგუსლავსკის:

— ეს სიტყვები ჩემთვისაც უთქვამს. ექს-იმამი მაგონებს ფილოსოფოს-სტოიკოსს, იგი ყველაზე ღარიბი და აუღლებელი ფაქირია ამ ქვეყანად.

— ვიცი, — უპასუხა ბოგუსლავსკიმ, რომელიც სათვალეებში თეფშს დასტკეროდა და ჩანგლით პურის ნამცეცებს ურევდა. — ასეთივე აზრი გამოვიტანე მასთან მგზავრობისას!

რუნოესკის უნდოდა როგორმე გაემხიარულებინა გუნებაშეცვლილი იმამი და რადგან იცოდა, მის უსაყვარლეს მოწოდებას ბრძოლის ცეცხლი შეადგენდა, ფრთხილად შეეკითხა: წახვიდოდით თუ არა რომელიმე ომშიო.

შამილის მოჭუტულ თვალებში შუქმა იელვა და პასუხი არ დაუყოვნებია:

— წავიდოდი!

შემდეგ დაუმატა:

— მხოლოდ... კავკასიაში კი არა!

— საჩაჩნოში ან დაღისტანში თუ მოიძებნებოან ადამიანები, რომელნიც შესძლებენ ისევ აქციონ ეს მხარე მიუღდომელ ციხე-სიმაგრედ? შეეკითხა ისევ რუნოესკი.

ხანგრძლივი და შესანიშნავი მზერით უპასუხა შამილმა აფილონის (ასე ეძახდა თავის მცველს) შეკითხვას. იმამის გამომეტყველებაში ისახებოდა ყველაფერი — წარსული, რაც ნამდვილად ჰქონდა და მომავალი, რაც არასოდეს ექნებოდა.

— არა, — წარმოსთქვა ბოლოს შამილმა და თვალებში ჩააქრო წამიერად

ანთებული ნაპერწკალი. — კავკასია ახლა კალუგაშია!

სტუმრებმა თავები ჩაქინდრეს. შემდეგ იმამმა თვითონ დააბრუნა სიჩუმე.

— რატომ მაჩვენეთ გუშინ ეგ ჯამბაზი, — ამბობდა შამილი და სადაფისფერ კბილებს აჩენდა. — ლოცვის დრო ახლოვდება და არ შემიძლია უფალს აღუვლინო ვედრება: შევუდგები თუ არა ნამაზს, უმაღლე მისი სულთანის დამიდგება თვალწინ...

ლოცვის გახსენებაზე სტუმრებმა წამოდგომა დააბირეს, მაგრამ შამილმა არ გაუშვა ისინი, ცოტა ხანს შეიცადეთ, რაღაც მაქვს სათქმელიო. მცირეოდენი პაუზის შემდეგ შამილმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძო:

— ...მარდად მუშაობდა, არც ერთი რგოლი არ გასხლტომია ხელიდან... ყველა ჯამბაზმა იცის ამგვარი მართივი თამაშიო, უთქვამს... მართალი უთქვამს, ვალა, ძალიან მართალი...

კრიალოსანი გადამარცვლა. მერმე:

— ...ბრმად ვენდობოდი ნაიბებს, უნდა კი ისე მედენებოდა თვალი მათთვის, როგორც ბესკოს შეგირდი ადევნებდა სათამაშო რგოლებს. ბებერი შამილილ ცუდი ჯამბაზი გამოდგა...

იმამის ხმა თანდათან ყრულ ქღერდა:

— ...ოცდახუთი წელი ვმეთაურობდი ჰაზვათს, ფეჰამბერმა კი ჩვიდმეტწელიწადი იომა. დავმარცხდი, მაგრამ საიქიოში პირნათლად წარვსდგები უზენაესის წინაშე — აქი მან დააწესა კანონი, რომელიც რწმენისათვის გადახდილ ომსა და ჯამბაზის თვალთმაქცობასაც ერთნაირად უაზროსა ხდის!.. ჩვენ ყველანი სათამაშო რგოლები ვართ განგების ხელში!..

მსმენელებისათვის გაუგებარი დარჩა კანონის სახელი. შამილი მიუხვდამათ, ტახტის ზურგს მიეყრდნო და გასაგონად წარმოსთქვა:

— ალ — მავთი! <sup>1</sup>

<sup>1</sup> სიყვდილი (არაბ.).



## საბედისწერო შეთხვევა

ეს ამბავი საყვავილეში მოხდა.

ვაშლოვანის ქუჩის თავში, ვერის ბაზართან, სამსართულიანი სახლის მაღალქერიან დარბაზში გარდაცვალებულთა გვირგვინებია გამოფენილი. ვიტრინაში ხელოვნური მთის ფერდობი გამოუყვანიათ. ერთგან რამდენიმე ზორბლის ღეროს გაუზარია და აქა-იქ თავის კუდებივით ამოუშვერია თავებში. იქვე აკვარიუმში დგას და შიგ ოქროს თევზები ცურაობენ. ქვის იატაკზე კი, კარნიზებთან, სხვადასხვა ზომის ყვავილებიანი ქოთნებია გამწკრივებული.

დარბაზის უკანა დერეფნის კარის ახლოს მაგიდა დგას. მის ზემოთ, კედლის მოგრძო დაფაზე ცარკით აღნიშნულია ვარდებისა და ნაირ-ნაირ მცენარეთა სახელები. წლის სხვადასხვა დროს და სეზონის მიხედვით აქ იყიდება ხარისძირა და გეორგინი, ჩინური პიონი და ქართული ნარგისი, ჩაის ვარდი და მიხაკი. რამდენი მოსთვალოს კაცმა.

მაგიდას დაჰყურებს ვიწრო და უმოაჯირო ბალკონი. დარბაზის იმ შიდა აივანზე ასასვლელი კიბე დერეფნიდან ზევით მიემართება. ბალკონი უერთდება დაბალქერიან ოთახს, სადაც გვირგვინებს ამზადებენ.

ზაფხულის დილა იყო. ანეპოდისტემ საყვავილეს კარი შეაღო. ეს კაცი ლენტეხზე დასაბეჭდ წარწერებს ამოწებდა და ასწორებდა... ზაფხულობით მაღაზიაში ყოფნა ისედაც კარგი იყო. ბერს აგრილებდნენ ქვის იატაკი და ვიტრინაში გამოწყობილი მიწის ბელტები, ხოლო საიჭიოს გამგზავრებულთა დასამშვენებლად გამოკიდებული გვირგვინები უკანასკნელად აქმედნენ თაბერულამხევე სურნელს. ყველაფერი ეს ერთვოდა ზავის სუნს და ანეპოდისტე ყნოსვით იგებდა ჟამთა ცვლას. ეს იყო ოღონდ: ქვის იატაკმა რევმატიზმი შეჰყარა მას, ამიტომ წინასწარ გრძობდა ამინდის მოსალოდნელ

ცვლილებებს და მოწმენდილი ცის ჰერეტის დროსაც ზოგჯერ სახსრების ტკივილი აუვარდებოდა. მაშინ იგი სრულიად უტომლად იწინასწარმეტყველებდა ხოლმე ძლიერ წვიმას ან ღრუბლიან დღეს.

ანეპოდისტე მუდამ სუფთად იცავდა, ზაფხულობით პიკის თეთრი ხალათით დაიარებოდა, მთლად ქაჩალ თავზე ჰილობის ქუდი ეხურა. ჩვეულებად ჰქონდა თვალების გაშტერება. თუ ქუთუთოებს ხურავდა (წამწამების ბოლო გათეთრებოდა, გეგონებოდათ ზედ თოვლის ფიფქი აძევსო) ასევე დიდხანს არ ალებდა. ღრმა ნაოკები მიუყვებოდა ტუჩის ორივე კიდესთან, შორიდან თუ შეხედავდით, იფიქრებდით ნიკაპი პროტეზივით აქვს მიღგმული სახეზეო. თხელ და უსიცოცხლო ბაგეს უშნოდ მანკავდა, ამიტომ მოკლე ფრაზები უყვარდა, ხშირად ორ-სამ სიტყვას სჯერდებოდა. ერთი შეხედვით დინჯი და ჰკვიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

შეაღო თუ არა საყვავილეს კარი, ხმაძალა იკითხა:

— არავინა ხართ, ბოშო?!

შიდა ბალკონზე ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, მარცხენა იდაყვით კედელს მიეყრდნო, მეორე ხელში პაპიროსი დაიჭირა და დონიჯ შემოყრილმა ანეპოდისტეს გადმოსძახა:

— გამარჯობა მითქვამს, ბიძაე! აი, მანდა ნახე, საქმე გიციღის. დაიცა, ჩამოვიდი! — მიიმალა და მერმე ისევ გამოჩნდა პატარა ბავშვივით და კიბეზე დაეშვა.

— ბიძაე, ამას მიმიხედე ცოტა ხანს, ძაან შეწყობილი ხართ, ჩემმა მზემ. მე ეხლავ დაებრუნდები, ერთი ბაღში გაგზედო უფროსსა..

ბიძაე!!!

ეს უტყვირპირო მუდამ ასე ეძახის. აბა რა მისი ბიძაა, თუ ხათრი გაქვთ! ეგერ, იმ ბაღში, ფანჩატურის ქვეშ რომ უზრდელი ყმაწვილები იყრბები-



ან, იმათგან აქვს შეთვისებული ლაზ-  
ლანდარული კილო. თუ ვინმე ჭიკაძეს  
მოჰყრეს თვალი მათ, უმაღლეს ფრუ-  
ტუნს ასტეხენ და უცნობის ზურგს  
უკან სევნებ-სევნებით გაიძახიან: ფი-  
ლიმონ!... კოწია!... პორფილე!... თანაც  
რა ძლიერ მახვილს უკეთებენ პირველ  
მარცვალს! ერთხელ კიდევ მოარტყეს  
მიზანში: ვიღაცას მართლაც პორფილე  
რქმევია! საბრალომ ყურები სცქვიტა,  
თვალეებს აცეცებდა, მაგრამ ის კი ვერ  
დაინახა, ვინც მის სახელს იძახოდა.  
ტუტუცებს კი ამ დროს ცხვირები მალ-  
ლა აეშვირაო და, ვითომც აქ არაფე-  
რიაო, თავისთვის უსტევენდენ.

ანეპოდისტესაც უხდება ბალში გასე-  
ირნება და კიდევ კარგი, რომ იქ მას  
სრულიად არ იცნობენ. წარდგენისდრო-  
ინდელი და სასაცილო სახელი შეარ-  
ქვეს მშობლებმა: ანე-პო-დის-ტი!.

საყვავილეს უფროსის თანაშემწეც  
მათ მიივავს. მაგრამ ეს საშოთხის ვარ-  
დოვით ბავშვი როგორ გააჩინა ამ მუტ-  
რუქმა. რამდენიმე დღეა მას უტოვებს  
და (ყოფა გამხელილი სჯობია!) სულ  
არ ეგონა, თუ ასე შეიგუებდა. ნამდ-  
ვილი ამურია. აბა, დახეთ, რა კარგი,  
ცოტა ზევით აწეული ცხვირი, ხატპე-  
პელას ფრთების ოდენა წამწამები და  
ხუჭუჭა თმა აქვს (მამამისის ჯაგარი-  
ვით თმას არა ჰგავს მთლად?!). რა ზი-  
ზია კაბა აცეია!

ანეპოდისტემ მიიხედ-მოიხედა, შემ-  
დეგ ხალათის ჯიბიდან კამფეტის ამო-  
იღო და ბავშვს გაუწოდა. ეს ერთი  
კვირაა, თითქმის ყოველდღე ყიდულობს  
მისთვის და ფარულად უმსპინძლდე-  
ბა. ბავშვმა ამჟამადაც ღიმილი შეაფრ-  
ქვია. ანეპოდისტემ თვალები დახუჭა.  
ამხელა კაცია და ბავშვიდან ოჯახში  
არ უცხოვრია, ადამის მოდგმის ეს ასა-  
კი ისედაც არ იზიდავდა. ახლა კი,  
როცა ამ ბავშვთან რჩება საყვავილემ,  
რადაც მანამდე უცნობი და აკრძალუ-  
ლი ირჩევდა მის არსებობაში. ვინ უღამის  
ან ვინ შესცქერის ასე მიამიტად და  
უმწიკვლოდ?! არაფინ!... როცა ხანდაზ-  
მულებს ვუცქერით, მათი თვალები

მუდამ უტიფრად არეკლავენ ხოლმე  
ჩვენსავე აზრებს!...

ანეპოდისტეს გული მოუვიდა ამგვა-  
რი ფიქრების გამო. მაგიდას მიუბრუნ-  
და და სამგლოვიარო წარწერების კით-  
ხვას შეუდგა. „დაუვიწყარ ბებია ელე-  
ნეს ნელი და ვალიკოსაგან“. „ჩემი  
ცხოვრების ერთადერთ მეგობარს თა-  
მაზის უბედურ მანანასაგან“. „ძვირ-  
ფას მუღლეს ვარლამს გაუბედურე-  
ბულ ნათელასაგან“... ანეპოდისტე ას-  
წორებდა ზოგიერთი წარწერის შეც-  
დომებს, ჰკვეცდა ზედმეტ ი-ს და თა-  
ვისთვის ფიქრობდა: „როგორ თაღლი-  
თობენ ეს მამაცხონებულები. სიცოც-  
ხლეში, ალბათ, ერთმანეთს ღალატობ-  
დენ და ახლა ლენტეხზე ღვრიან ცხარე  
ცრემლებს“.

მეოთხე წარწერა მთლად ყალბი  
ეჩვენა: „დიდად პატივცემულ ერმილეს  
არტელ „კოლხიდას“ თანამშრომლები-  
საგან“. ანეპოდისტემ მთელი სურათი  
წარმოიდგინა: დიდი ზარ-ზეიმით დაი-  
ტირებენ ამ გვამს. მისი ქვრივი, ერთი  
სოფლელი და უზრდელი დედაკაცი  
(რომელმაც ახალგაზრდობაში, ალბათ,  
სამი-ოთხი ამორტის შემდეგ უმანკო  
არსებად მიიჩნია თავი ამ ერმილეს),  
პირისკანს დაიკაწრავს და სამძიმრის  
სათქმელად მოსულთა შორის უეჭვე-  
ლად ვისმეს დაუწყებს მოთქმით წყევ-  
ლას (ეს ვინმე განსვენებულის ჭურდო-  
ბის ან სხვა რაიმე უნამუსობის მამხი-  
ლებელი იქნებოდა ოდესმე). მერმე  
ქელებს გამართავენ. ბევრი ყალბი და  
თავგამოდებული ქება-დიდება დაი-  
ხარჯება უფასოდ მოტანილ ღვინოსა  
და მდიდრულ სანოვანებთან ერთად ამ  
სპეტაკი, პატიოსანი და უზალო ადამიან-  
ის პატივსაცემად. ბოლოს შეზარხო-  
შებული დაიშლებიან იმ ფიქრით, თუ  
ვინ იქნება არტელის ახალი გამგე და  
გასწევს თუ არა იგი ნამდვილ ბიჭო-  
ბას დღეს დაკრძალულ ერმილეს მსგავ-  
სად („თვითონაც სქამოს და მათაც  
აქამოსო!!“).

ანეპოდისტე კითხულობდა და ასწო-  
რებდა, თან გული მოსდიოდა: მთელი

კვირაა ამ ახლო-მახლო არც ერთი შორეული ან მახლობელი ნათესავი არ გარდაცვლილა. იგი არავის თანაუგრძნობდა, მაგრამ დიდი ხნის უნახავ ნაცნობთა პანაშვილებზე მინც დაიარებოდა ქელეხზე მოხვედრის მიზნით. დერეფანში კედელთან ატუხული და სერიოზული სახით იდგა იგი ყოველ საღამოს და ჭირისუფლებს უკვირდათ ამ კაცის მოულოდნელი გულკეთილობა.

„დაუვიწყარ...“

მაგრამ დროებით დაეტოვოთ საყვავილეში ჩვენი გმირი, ნურც ბავშვს მივაქცევთ ყურადღებას, თავისთვის რომ დაბაჯბაჯებს ან აკვარიუმთან მისული ოქროს თევზებს ადევნებს თვალს. უფრო ახლო გავეცნოთ მაგიდასთან მჯდომის თავგადასავალს.

ანეპოდისტე ჯერ სამოცი წლისაც არ იყო, სულ სამი-ოთხი წელი აკლდა ამ ასაკის მიჯნამდე. მამამისს რევოლუციამდე იმერეთში უმსახურნია მომრიგებელ-მოსამართლედ. იგი დაახლოვებული ყოფილა ქართველ ხალხსნებთან, მწერლობაშიაც უცდია კალამი, ბოლოს მოგონებანი დაუწერია, რომელსაც მისი ერთადერთი ძე თვალისჩინივით უვლიდა. მოგონებანი ავტორის სიცოცხლეშივე დაბეჭდილა, მაგრამ მთლიანად კი არა. მეშვიდრე ფიქრობდა, რომ ხელნაწერს დიდ ფასად მიჰყიდდა რომელიმე მუზეუმს, მაგრამ დღემდე ეს ვერ მოხერხებია. წყალწაღებული ხაგსს ეკიდებოდაო, სწორედ მასზე იყო ზედგამოჭრილი.

ანეპოდისტეს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში უსწავლია, მოწიწებით იგონებდა თავის დირექტორის ოცხელის სახელს. შემდეგ პეტროგრადს გამგზავრებულა, მაგრამ უნივერსიტეტი ვერ დაუმთავრებია, რევოლუციას მოუსწრია და სამშობლოში დაბრუნებულს ერთხანს უსაქმოდ უხეტიალნია. როცა თვალბუქელა ცხოვრებისა და შეცდომების დრო გასვლია (ამ ხანებში მამაც გარდაცვლია) სამსახურში შესულა, მაგრამ ერთ ადგილას დიდ-

ხანს არ უმუშავნია. მერმე სოფლად, მამისეულ სახლში ცხოვრება გადაწყვეტია. ისედაც ხელმოკლე და მოხუც დედას უსაქმური შვილის რჩენა გასძნელებია და მეზობლებსაც მედღემგზავლიე შეურქმევიათ მისთვის, მოგვხსენებათ, სოფელს პირს ვერავინ აუკრავს. ნათესავებს იგი ჭვეყანაში გამოწყვეტილად მიაჩნდათ. როცა ვინმეს მიადგებოდა, ცივად და უპურმაროდ გამოისტუმრებდნენ. ანეპოდისტესაც ყველა ნათესავი წუწურაქად და პირძვირად მიაჩნდა.

მოგახსენებენ ცოდვილნი ხალხნი, ვითომ ერთ ახალგაზრდა მეზობელს რომელიღაც კამათში საქვეყნოდ დაუმარცხებია იგი, რის შემდეგ ყოფილი პეტროგრადელი სტუდენტი შებლაღული ჩანდა სოფლის თვალში. ანეპოდისტეს ადრე უსწავლია სიტყვის ფასი, ყველაზე და ყველაფერზე აღრენილი აზრის ხმამალა გამოთქმას გაურბოდა. ხშირად უნახავთ ორლობებში თავდახრილი და მარტოდ მიმავალი. ახირებულ კაცად თვლადნენ. „მამამისს სირცხვილი არ უქმნია, მტერ-მოყვრის დახვედრა იცოდა, ეგ კი რა სერ-სერ მოსაბრუნე გაუჩენია ღმერთსო“ — სჩიოდენ მისი თანამეყოფლენი. ერთი ალთას გაიძახოდა, მეორე ბალთას. ზოგი სიბრალულით ესარჩლებოდა კიდევ, მაგრამ ანეპოდისტეს დაუნახავს, რომ სოფლად არ დაედგომებოდა, ბოლოს უკადრებია და აპარგებულა, თბილისში ჩამოსულა და სოფელში გაყიდული მიწის ნაკვეთის საფასურად ბინა დაუქირავებია გოგებაშვილის ქუჩაზე. ორსართულიანი სახლის გრძელი აივნის ბოლოს, სულ პატარა ოთახში ცხოვრობდა იგი. კედლის განჯინაში ქურჭელთან ერთად სხვადასხვა აუცილებელი ნივთი და რამდენიმე წიგნი (ჩელპანოვის „ლოგიკა“, ნიქშეს „ზარატუშტრა“ და კიდევ რალაც) ელაგა, ტახტის პირდაპირ კედელზე მიკრული ჰქონდა ძველი ყურნალიდან ამოჭრილი სურათი: შალიაპინი ბორის გოდუნოვის როლში. მთელი ეს ავლადიდება

მისი პეტროგრაფიული და მდიდარი (?) ქონების ნაწილს-და შეადგენდა.

სახლის პატრონთ, რაჰველ ცოლ-ქმარს, ზემო ოთახები გაქირავებული ჰქონდათ. სამ ოთახში შვიდი თუ რვა სტუდენტი ცხოვრობდა. ანეპოდისტეს ყოველდღე მათ წინ უნდა გამოეყო. ზაფხულობითა და შემოდგომობით ახალგაზრდა მდგმურები აივანზე ისხდნენ, გაკეთილებს თუ არ ამზადებდნენ, დომინოს და ჭადრაკს თამაშობდნენ. ზოგ მათგანს ხშირად მოსდიოდა სოფლიდან ღვინო ტიკით ან კასრით. მაშინ ზთელი კომპანია ანეპოდისტესაც მიიპატიებდა ხოლმე სუფრაზე. „უცოლშვილოდ გადაგებული ამხელა კაცი, ცოდვითაა“, — ამბობდნენ ისინი. ანეპოდისტესაც არ გამოეპარებოდა მათი ლხინი, ვითომც მოულოდნელად წაადგებოდა თავზე და როცა მაგიდასთან მიიწვევდნენ, მცირე ხნით შეყოყმანდებოდა: „გმადლობთ, რას იხარჯებით“, — იტყოდა ხოლმე და რამდენიმე წუთის შემდეგ გემრიელი ლუქმა პირში ჰქონდა გაჩრილი. სიტყვაძმუნწ ანეპოდისტეს ჭურის ღვინო თანდათან პირს უხსნიდა და ახალგაზრდებსაც ეს უნდოდათ. ანეპოდისტე მოკლედ ჰყვებოდა თავის წარსულს, იშვიათად, მაგრამ მაინც იგონებდა რომანიულ შემთხვევებს (თვალის უპესთან ნაოჭები ნუ შეჰყარეთ, ყმაწვილებო: ჩემი საცოლე, სპერანსკის ლამაზი ასული რომ გენახათ, მაშინ... ეკ, რევოლუციის ბრალი, ასე კუდის რიკივით რომ ვარ გაფცქვნილი...). იმერულად უქცევდა, ამასთან შიგა-და-შიგ ფრიად დახვეწილ, ბრძნულ და ახალგაზრდებისათვის ბუნდოვან გამოთქმებს ურთავდა. ანეპოდისტე ფილოსოფიურად ამართლებდა თავის სიღარიბესაც: მთლად ღატაკი როდია, თუ გაჭირდა მამამისის მოგონებებს გაჰყიდის და კარგ ბინაში გადავა, მაგრამ რა ჭირად უნდა? ერთი სიტყვივით, არც ფუფუნებითაა განებივრებული და არც სიღარიბით დაჩაგრული — ორივე ამ უნების უბადრუკობა საუცხოოდ ესმის!

მაინც ცოლი რატომ არ შეირთო?

უშნო ქალი წყალსაც წაუღრია, ღამა-ზი კი... ყი! ყი! ყი — ხორხით იცინებდა ანეპოდისტე, მაგრამ მუდამ ზომიერად და მესამე ყი-ს ამოშვებისთანავე სწყვეტდა სიცილს. სიცილი არ უხდებოდა ანეპოდისტეს.

გულის სიღრმეში ზედმეტ ადამიანად მიაჩნდა თავი, ისტიბარს მაინც არ იტებდა. იმ უნიადაგოებს ეყუთნოდა, რომელთაც ცხოვრებაში ადგილი ვერ უპოვიათ, თანაც ყველაფერ მშობლიურს ჰქირდავენ და აბუჩად იგდებენ. მის ჭაბუკ მეზობლებს ჩვეულებად ჰქონდათ ზოგიერთი ქართული ნაწარმოების ხმამაღალი კითხვა. ისინი სწრაფად მიაგნებდნენ ხოლმე ბოხორა რომანის ეროტიულ ადგილებს და ანეპოდისტეც თვალდახუჭული უსმენდა მათ. ჭილობის ქუდს იხდიდა და ხმაგაკმენდილი იჯდა. და როცა ნერწყვიმორეული სტუდენტი გატაცებით კითხულობდა იმ ადგილს, სადაც აღწერილი იყო თუ უფლისწულმა როგორ დააბჯინა მუხლი მკერდზე ნუკრისთვალბა და ღვთისმშობელივით უმანკო ასული. ან როგორ დაეწაფა იგი ამ ტურფა ასულის პატარა და მაგარ ძუძუს თავს (ამ დროს თურმე ილეკროსფერი ცა და მთელი ბუნებაც თანაუგრძნობდა წყვილის ვენბიან ჭიდილს), ანეპოდისტე ძარღვების სისუსტეს გრძნობდა და მოსმენილი ამბავი ძვლებგაციებულ სხეულში სისხლს უჩქროლებდა. ყველანი წამით მიჩუმდებოდნენ. ბოლოს ანეპოდისტე თვალს ახელდა და ავზნებულ ჭაბუკებს ცივ წყალს გადაასხამდა: „ცუდი სენი არ შეგყაროთ, ყმაწვილებო, მაგნაირი რომანების კითხვამ“. „მაინც რა სენი, პატივცემულო ანეპოდისტე, ა?“ — ეკითხებოდნენ მზიარული მეზობლები, მაგრამ ანეპოდისტე მხოლოდ თვალს ჩაუკრავდა მათ და ცალ ყბას ზემოთ სწევდა.

არც რომანში ამოკითხული სენტენციები მოსწონდა ამ ახირებულ მსმენელს. ახალგაზრდა მკითხველი კი ცდილობდა დაერწმუნებია ანეპოდისტე —

ამ წიგნის დამწერი დიდი მოაზროვნეა და დაინებით ეკითხებოდა ორი-ოდე ნიშნის მოყვანის შემდეგ: „ხომ მაგარი თავია, ა!“ „მაგარია, მაგარი. ყი! ყი! ყი!“ — ქირქილებდა ანეპოდისტე და აივანზე თავმოყრილ საზოგადოებას ეს ქირქილი სათაყვანებელი მწერლის გაბიაბრუებულ მიაჩნდა. სტუდენტი კი ისევ თავისას გაიძახოდა „უდიდესია, უდიდესია“, ხოლო ერთს გულიც მოუვიდა და ანეპოდისტეს მისამართით ამხანაგს გადაულაპარაკა:

— დარტყმულია!

უკაცრავად: დარტყმული კი არა, სრულიად სალი გონების პატრონი გახლდათ. ოღონდ ეს იყო, ანეპოდისტე გულდარდიანი და მარტოხელა კაცი იყო. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ რადაცის გაკეთება ეწადა, ვეჭილის ხელობა არ იზიდავდა. სოფელშიაც ფეხი ვერ მოიკიდა. მერმე ცხოვრებას მოსწყდა. ქვეყანა იცვლებოდა, ის კი უცვლელი რჩებოდა. ახლა მხოლოდ უშიზნოდ გაფლანგულ ქაბუკობაზე დარდობდა. დრო მიდიოდა, დარდი არ აკლდებოდა, უფრო ემატებოდა. ანეპოდისტეს გულში დარდაც ეღალატნა თავისი ბუნებისათვის: დარდი თავისთავად თბილია, ანეპოდისტეს კი ცივი დარდი ჰქონდა. ფიქრებიც ცივი ჰქონდა.

მგონი არავინ უყვარდა. არც იგი უყვარდა ვისმე. თუ გინდა პატივს გცემდნენ, შენც უნდა პატივს სცემდე ვისმე. ეს ჰეშმარიტებაც კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ მაინც ყველასთან გულგრილად იყო. არაფერი მოსწონდა.

ომის წლებში სულ შიმშილობდა და სული კბილით ეჭირა. ბოლოს სახლის პატრონს შეჰპრალეგებია და საქმე გაუჩენია მისთვის: ნაცნობ მეყვავილესთან მიუყვანია. ანეპოდისტემ რუსული ჩინებულად იცოდა, მისი წყალობით ლენტეხის წარწერები შეცდომებისაგან დაზღვეული იყო. ამ ხელობაზე გული შეჰვარდნია. ვარდ-ყვავილების ბევრი სახელი ზეპირად იცოდა, თუმც ერთხელაც ფიქრად არ მოსვლია სადმე ან

ვისმესთან გამოეყენებია ეს ცოდნა. ბარათებს არავის სწერდა, სპორტფორმა ჰყავდა... მისმა სულმა მაინც მწყურდროს საეანე იპოვა ამ დარაბაში. ანეპოდისტეს თვალწინა ჰქონდა ყოველდღიური საბუთი თავისი ფილოსოფიისა: ყველაფერი თავდება ცხედართან ერთად დასაქნობად გამზადებული გვირგვინების მოგზაურობით სამგლოვიარო კორტეის დღეს. შემდეგ კი — მიწა და დაფიწყების ფერფლი... მაგრამ გარედ რომ ცხოვრება ისევ სდულს, ახალ-ახალ სახლებს აგებენ და ქალაქი მუდმივი ქრიამულითა და მოძრაობითა აღსავსე? ტყუილია! ყველაფერი თავის გამოსავალ წერტილს უბრუნდება და წრე იკვრება!.. ნილ აღმირარი!... (ანეპოდისტე ძველი გიმნაზისტია, მან ზეპირად იცის ციკერონის სიტყვა კატილინას წინააღმდეგ). ასეა, თქვენს თავს ვფიცავარ...

• •

— ლუ! ლუ! კვიტ! კვიტ!.. — მტრედით ღულუნებდა ბავშვი. ანეპოდისტე ყურადღებას არ აქცევდა, უნდოდა შეებღვირა კიდევ, მაგრამ როცა სახეს მისკენ მიაბრუნებდა, ბავშვის სილამაზე იტაცებდა. ამგვარი ვითარება არ მოსწონდა, ცხოვრების წესრიგი ეშლეობოდა: ხომ უნდა გაუღიმოს, დაუყვავოს და მოუაროს?!

მაინც რაღა ანეპოდისტეს შეატეის ხელში ეს ცინდალი?...

ცინდალი კი თავისას არ იშლიდა, ხან ერთ ქოთანს დასწვდებოდა, ხან მეორეს, ყვავილებს აფუჭებდა. ანეპოდისტემ იკადრა წამოდგომა, ბავშვი ღმობიერად დატუქსა და მერმე ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა. ბავშვი პატარა კველაზე ჩამოჯდა კუთხეში და გაყუჩდა.

გარედ ხალხის ფუსფუსმა იმატა. სანოვავით დატვირთული დიასახლისები შინ მიიჩქაროდნენ, ვიღაც ლოთს

<sup>1</sup> არაფერი არ უნდა გაიკვიროთ (ლათ).

უკვე მოესწრო გაღეშოლიყო, საყვავი-  
ლეს წინ ატუზულიყო და შემთხვევით  
გამგლელს რაღაცას დაჟინებით უხსნი-  
და.

ანეპოდისტეს ქუჩის ხმაური არ  
აწუხებდა, ყური მიჩვეული ჰქონდა.  
საქმე გამოლოდა და ლამის არ ჩას-  
თვლიდა.

უცბად თითქოს ცული რამ იგრძნო,  
წამოღდა და მიმოიხედა. ბავშვი არ ჩან-  
და. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მაგრამ სულ  
ამაოდ. სად უნდა გამქარალიყო? დარა-  
ბის კარი გადარაზულია...

ანახლად ზემოდან ბავშვის ლულუნი  
შემოესმა. აიხედა და კინაღამ გული არ  
გაუსკდა: ბავშვი უმოაჯირო ბალკონ-  
ზე დაბაჯბაჯებდა, სულ მცირე, ალ-  
მაცერი ნაბიჯი და ამ სიმაღლიდან  
გადმოვარდებოდა და ქვის იატაკზე  
სულს გააფრთხობდა. ამძვრალა და  
რაღაც მანქანებით ჯერ არ გადმოვარ-  
დნილა, მაგრამ სანამდის?...

შეძრწუნებულ ანეპოდისტეს ერთბა-  
შად შეუფაცლდა გაფითრებული ლაწ-  
ვები, თითქოს ნაოქებიც გაუქრა. იგი  
ხეწუნა-მულარით აღსავსე თვალებით  
შეპყურებდა ბავშვს და იქეთ მიიწე-  
და, საითაც წერაატანილი პატარა არ-  
სება მიბაჯბაჯებდა და კიბესთან მი-  
სული, ისევ უკან ბრუნდებოდა. ანე-  
პოდისტეს ორივე ხელი მაღლა აეშვი-  
რა, მზად იყო გადმოფრენილი ამური  
დაეჭირა. შეშფოთებული მიდი-მოდიო-  
და ბალკონის გასწვრივ ქვემოთ და  
ბავშვს ემუდარებოდა:

— ნელა, ფისო, ნელა შენი ჰირიმე...  
აქეთ, აქეთ!...: კიბისაყენ, ჰო, კიბისა-  
ყენ!...: დანა არ გამომისვა კისერში ბი-  
ძია!...: ჰო, შენ შემოგველე, კიბისაყენ...  
ა, ქოთნებიც აქაა, ყველა შენი იყოს...  
აჰ, იქეთ არა, იქეთ ნუ, გენაცვალე,  
ლოღო!... უკან გადადგი-მეთქი ფეხი,  
არ დამკლა, წინ არ წამოხვიდე! ჰო,  
კიბისყენ, მასე, მასე! გინდა, აი ეს შრო-  
შანა გაჩუქო, ცისტვალასაც გიშოვი,  
ზიზილასა და ენძელას! აქეთ, აქეთ!...  
ვაი, ჩემი თვალების დავსება, როგორ

გამეპარე!... კიბისყენ, ფისო, კიბისა-  
ყენ... წინ ნუ იყურები, გვერდზე დარჩე-  
მე მომყევი, მე, ფისო, ფისო!

სწორედ ახლა, პირველად მთელი  
მისი ცხოვრების მანძილზე, ყველა  
ტკბილი და საალერსო სიტყვები ერთ-  
ბაშად ამოტივტივდენ ანეპოდისტეს  
სულში. ძლივს სუნთქავს და თითქმის  
გადარეული სახით ცდილობს ბავშვი  
კიბესაყენ გამოიტყუოს. ორიოდ საფე-  
ხური თუ ჩამოიარა, მერმე მის ხელთაა.  
ახლა კი ეს ბუნჩულა უფსკრულს ეთა-  
მაშება და გაბმით ლულუნებს, ხან წინ  
მიიწევს და ღვინას ყვავილივით თავს  
გადმოკიდებს, ხან უკან, კედლისაყენ  
იხევს და გაიტრუნება. ანეპოდისტეს  
გაჯავრება თუ უნდა. ამას კი თავისი  
მოსდის, ტანში ზარავს ეს სურათი და  
ლულულდება:

— არა მეთქი ფისო, არა-მეთქი!...  
ნუ, ნუ ჩემო... ჰო, მასე, მასე! აქეთ,  
აქეთ!... აი, კამფეტი, ხედავ? ფისო,  
ფისო...

გული ამოვარდნაზე აქვს ანეპოდის-  
ტეს და მინც არ ელევა თაფლიერი  
სიტყვების მარაგი. ბოლოს ბავშვი  
მართლაც კიბისყენ გამოეშურა და რა-  
მოდენიმე საფეხური უვნებლად ჩამო-  
იარა. ანეპოდისტემ მკვირცხლად აირ-  
ბინა კიბე და ბავშვი მკერდზე მიიკრა.  
იქვე ჩაიკეცა.

ბავშვმა თბილი ხელები შემოაქლო  
კისერზე. ენით უთქმელი და ქრუ-  
ანტელისმომგვრელი ბედნიერება იგრ-  
ძნო ანეპოდისტემ, მას თითქო დარდი  
და ფიქრებიც გაუთბო ბავშვის მოხ-  
ვევამ. ხატბეგელას ფრთებივით გრძელი  
წამწამები რიტმულად ეცაცუნებოდნენ  
მარცხენა ლაწზე. თვალები მილულა და  
გაინაბა.

საცაა ბალიდან დაბრუნდებიან და  
ანეპოდისტეს ნეტარებით აღსავსე გა-  
მომეტყველება უმაღვე შეიცვლება  
სახის ჩვეულებრივი და ცივი ნიღაბით.

## თამაზ ჭილაძე



### თბილისი

შენით ვარ, ქვეყნად შენ შეგულეები  
ჩემი შემწე და ზარის მრეკავი,  
და ვარსკვლავები, ვით ბელურები,  
თითქო ჩემს მკერდზე ზორბალს  
კენკავენ.

თუ გაჩერდება ამ გულის ფეთქვა  
და შენს ლამაზ ცას გავეხიზნები,  
არაფერს ვიტყვი,  
ანდა რა მეთქმის,  
თუ იმ ძილშია და მესიზმრები,  
თუ ჩამესმება შენი მხურვალე,

გაბრუებული, მთვრალი ზარები  
კი არ გაეჭრები—თითქო მწყურვალეს  
წყლის მოსატანად გაგეგზავნები,  
რომ დაებრუნდე და გიგრძნო თავიდან  
და დავინახო ისევ და ისევ,  
ციხარტყელები ოქროყანიდან  
როგორ გიწვდიან გაწუწულ კისრებს  
ვნახო, იზრდები ცით და მინდორით,  
შენს გაშლილ მზეში ისევ გაეება,  
ეთქვა: ვით სიცოცხლე გუშინ მინდოდი  
და ახლა მსურხარ, ვით უკვდავება.



ცოტა ხანს კიდევ... ცოტა ხანს კიდევ...  
ცოტა ხანს კიდევ და... გათავდება,  
გულზე ცეცხლივით წამეკიდება  
შენი ღიმილი და... გათავდება.  
ადრე თენდება, ადრე ღამდება,  
აჩქარებული ჩემი ცხოვრება,  
პატარა რამე გამიხარდება  
და სიკვდილამდე მემახსოვრება,  
შევალ შენს სულში — თოვლის  
ბუდეში—  
მის ცივ კედლებზე ჩამომსხვრეული

და იფარფატებს შიგ უნუგეშოდ  
ვეება ჩრდილი ჩემი სხეულის.  
ცოტა ხანს კიდევ... ცოტა ხანს კიდევ...  
ცოტა ხანს კიდევ და... გათავდება,  
გულზე ცეცხლივით წამეკიდება  
შენი ღიმილი და... გათავდება.  
და ალბათ უკვე ვეღარ გიხილავ...  
დიდი ხნის მერე,  
დიდი ხნის მერე  
თიხად ვიქცევი... დე, იმ თიხიდან  
შენ გამოგძერწონ... დიდი ხნის მერე.

### აჭარის მთები

დაღლილი ქარი მკერდზე მერხევა  
და გამტყდარ ძილში ფათურობს  
წყნარი,  
ელსადგურების ორჩოფეხებით  
ბნელში აბიჯებს აჭარის წყალი.  
და ვარსკვლავების თეთრი რგოლები  
ღამის ცახცახა მძივი მგონია,  
გამიგონეო,

გამიგონეო! —  
სადღაც შორიდან რეკავს გონიო  
სად მომელანდე, საიდან სადა,  
ცეცხლოვებული როგორ გადარჩი,  
ზის შენს ჩრდილებში დაღლილი საბა  
და საქართველოს არწევს კალთაში.  
რეკავს გონიო და ხიხადირი  
ჭრიალებს კარი,

ტყდება ყავარი,  
ჩერდება წუთი,  
წყდება მანძილი  
და ზღაპრებიდან კვიცის ყამარი.

ვერ დავიძინე და შეშფოთებით  
მიწაზე წარსულ ქრილობებს ვეძებ.  
და, ვით თუთუნის მძიმე ღრთობიდან  
მთვარე ირხევა აქარის მთებზე.

თვალივით ხარბი,  
ხელივით ხარბი  
ჩამავალი მზე — გახეთქილ წარბით  
ეცემა,  
დგება  
და ხრიოკებზე  
გამწარებული კივილით გარბის.  
და ეკიდება მავთულებს, ბარდებს  
და ეწაფება წყალსა და ნიავს  
და მოცახცახე, დაქიმულ ბადით  
განათებული ქვეყანა მიაქვს.  
ერთი დღეც ასე,  
ერთი დღეც ასე,  
ცაზე ან ზღვაზე,  
მდინარის პირას

მისი სურნელით ვიყავი სავსე  
და მის უბეში მეც მქონდა ბინა.  
და ამქვეყნიურ უამრავ ვნებას,  
როგორც ველურ წაბლს, ვაცლიდი  
ეკალს,  
მზეც სანთელივით უბრალოდ ქრება,  
მხოლოდ ხვალინდელ დიდ ზარებს  
რეკავს.

ყოველდღე ასე,  
ყოველდღე ასე  
მშორდება, გარბის,  
მწყდება და გარბის  
ჩემი ფიქრით და სიმღერით სავსე  
ჩამავალი მზე — გახეთქილ წარბით.

## ზ ლ ვ ა

იგი საღამოს ამოდის და აკაცებზე  
წითელ თმებს აფენს და ცხელ  
კედლებს  
შუბლით ეყრდნობა,  
გავსებულია მეზღვაურთა მკვახე  
სიმღერით,  
ანძების თრთოლვით და საყვირებით.  
მას დაეძებენ ყინულებში და უდაბნოში  
და გამწარებით მოუხმობენ და ეძახიან.

ეპარებიან ანკესებით, ნიჩბებით,  
ბადით —  
ტკივილით სავსე ნეტარება რომ  
განიცადონ

აღამიანის და სტიქიის ერთად ქცევისა.  
იგი საღამოს ამოდის და აკაცებზე  
წითელ თმებს აფენს და ცხელ კედლებს  
შუბლით ეყრდნობა.



## დაკარგული საყურე\*

### ლემსის ჯაღოძარი

— რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი ეწვია თბილისს, — ამბავი მოიტანა ბარათაშვილებთან ილიამ. ორთაქალის ბაღში ქეიფს მართავენ პუშკინისათვის. ჩვენც წავიდეთ, ვნახოთ „ევგენი ონეგინის“ დამწერი. — დაამთავრა თბრობა ილიამ.

— მეც წამოვალ, მეც! — ხელს ხელი შემოაკრა ტატომ.

— შენი ფეხი?

— ფეხი? კარგად მაქვს, სირბილიც კი შემძძლია.

— ჩვენ უკვე შეეთანხმდით, მწუხრი-სას გამომივილიან. ჯერ სიცხეა, გაპირდება სიარული.

— მაშ, ჯერ შინ შევიდეთ, გრილა, სოლომონმა გიბონის შრომა მათხოვა „რომის იმპერიის დაქვეითებისა და დაშლის ისტორია“, გიჩვენებ.

ოთახში შევიდნენ. მაგიდაზე ხელნაწერი ფურცლები იყო მიმოფანტული. ილია მაგიდასთან დაჯდა, ქაღალდები აიღო.

ტატომ თახჩაფუჩი გადასწია, წიგნი გამოიღო.

ოთახში ბარბაღემ შემოირბინა, სულ-მოუთქმელად თქვა:

— ლევანიც მოვიდა, კონსტანტინეც მოვიდა.

ტატო და ილია ეზოში გაეარდნენ.

დასაუღეთით გადახრილ მზეს მხურვა-ლება დაქარგვოდა, კოჯრიდან მონაბერი სიო აგრილებდა ქალაქს, ბიჭები აურხაურით მიდიოდნენ, ავანანთ ხევის მარჯვნივ გაუხვიეს. ქუჩის ორსავე მხარეს ღია დუქნები ჩამწკრივებულიყო.

მკედლების და მკალაეების ჩაქუჩისა და უროს ხმაურით ყურთასმენა აღარ იყო.

— აი, ქიტესას სახელოსნო, წამოდით, მიტო ვნახოთ, ავადმყოფობის შემდეგ არ ვყოფილვარ მათთან, — ტატო ოქრომკედლების მწკრივისაკენ წავიდა.

მიტო ლითონს ქლიბავდა, ბიჭები რომ დაინახა, წამოხტა, კალთა დაიბერტყა, მათკენ გამოეშურა, ქიტესამაც ხელი უშვა სამუშაოს:

— თქვენი ჰირიმეთ, ბიჭებო, რომ არ მივიწყებთ, — ტატოს მხარებში წაწვდა, შორს დაიყენა, შეათვალიერა, შემდეგ კი მკერდში ჩაიკრა.

— ლობიანასთან მივიღვართ, ძია ქიტეს, შენთანაც გამოვიარეთ.

— თქვენი ჰირიმე, თქვენი, არ დაგვივიწყოთ მოხუცები.

ყმაწვილებმა ორთაქალისაკენ გასწიეს, შესახვევი გაქედილი იყო დასასვენებლად დაწოლილი აქლემებით, ისინი უკმაყოფილოდ ადევნებდნენ თვალს ბიჭებს, რომლებიც ძლივს მიიკვლევდნენ გზას მათ შორის.

შორიდან გამოჩნდა ლობიანას ბაღი. ბაღის შესასვლელში დაყოჩებული ერთკემალი იყო გამობმული, წინ თანგირა ქვაბით დამტვრეული პური ედგა. ერთკემალმა შეუბღვირა სტუმრებს, უკან დაიწია და მერე მათკენ გამოეჭანა, ჯაჭვმა არ გაუშვა, გაბრაზებულმა წინა ფეხების ბაკუნნი და მიწის ფხვნა დაიწყო.

შესასვლელიდან ბაღს ბილიკი მიჰყვებოდა, ბილიკის ორივე მხარეს ვაზები ერთმანეთს გადახლართოდნენ, შევარდისფერებულიყო საფერავის მტევნები.

ლობიანას ცხვარი ხეზე ჩამოეკიდა, შავი ლასტიკის ახალუხი იდაყვებამდე წაეკარწახებინა და ცხვარს ატყაყებდა.

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 7, 8.



შემოსულები შორიდანვე დაინახა, სახე სიხარულმა გაუბადრა, ვეება მხრების რხევით მათეენ გამოალაჯა.

— ჭირიმე, თქვენი ჭირიმე! ჩემი მომავალი ამქარი მოვიდა, გამახარეთ, გამახარეთ, კარგებო, თორემ ალექსანდრე და გრიგოლი მიბერდებიან, თქვენ ხართ ჩემი იმედი. ტატო ჩემო, ტატო, შენზე ამბობენ ლექსებს სწერსო. აბა, შენ იცი, ისეთი რამ დასწერე, ლოპიანამ დაამღეროს, გულს ჩაწედეს და სულს გაუხარდეს.

ბიჭები ბაღს შეესივნენ, ჭრელი ბაღადები ლოყებდაბრაწული ატმებით გაავსეს.

ლოპიანამ მტკერის ნაპირზე გაშალა ლურჯი სუფრა, აზარფეშები, კულები და ფიალა-ჯამები მიმოაბნია, ვერცხლის ლარნაკებით აქა-იქ ყვავილები ჩადგა, ქორთა მწვანილი და შურასა ლავაშები მიმოფანტა ზედ. ნამგალა მთვარე დაეკიდა ცაზე. ვეებერთელა კაკლის ჩრდილი ჩაწვდა მტკვარში. სუფრის გარშემო ჩირაღდნები დაამაგრა ლოპიანამ:

— მომეშველეთ, თქვენს გახარებას, ეს სვეტი დავამაგროთ!

ბიჭები მიესივნენ ლარივით ატყორცნილ სვეტს. ტატომ ახედა წითელი ყვავილებით შემკობილ სვეტს, რომლის წვეროზე თეთრი ყვავილებით გაკეთებული წარწერა „პუშკინ“ ჩირაღდნების შუქზე შექურასავით ჩანდა.

— ეცადე, ტატო, ასევე ზე აღვმართო შენი სახელი, — ლოპიანამ ამ სიტყვებით ტატზე ჩამოკიდებული დარბაისი ახალუხი ჩამოიღო, — უნდა მოვიართო, ყმაწვილებო, სტუმარს ვინმე მუდრეგი მდღეჟნე არ ვეგონო, მე ლოპიანას მეძახიან. — ვიწრო წელზე გრიგოლის ნაჩუქარი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოირტყა, ჭრელი ბაღადი ჰაერში შეაფრიალა და ქამარში გაიკეთა.

• •

აივნის მოაჯირზე ჩამომჯდარი ეკატერინე გაღიმებული დასცქერის ტატოს, რომელიც მოუთხრობს, როგორ

იქეიფა პუშკინმა ორთაქალის ბაღში.

— ნადიმმა დილაზე გასტანა პუშკინს თავზე ბაბათწულის გვირგვინი დაადგეს, ვაშას ძახილით მიიყვანეს ყვავილებით მორთულ თალარში და დასვეს. სათითაოდ მიდიოდა ყველა, აზარფეშით სვამდნენ მის სადღეგრძელოს, უსურვებდნენ დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას.

— ბედნიერი ხარ, ნახე.

— განა შენ არ ვინახავს?

— ქეიფზე ვამბობ, თორემ თითონ, როგორ არა, ვნახე. ალექსანდრეს საფლავეზე ვახლდი მასა და ნინოს. კარგახანს იყო მუხლმოყრილი და, როცა ადგა, ცრემლებს იწმენდდა.

ეკატერინე მოაჯირიდან ჩამოხტა.

— წამოდი, ტატო, მაიკოსთან წაივლეთ.

— ვერ წამოვალ, სოლომონთან მივდივარ.

ეკატერინე გაიბუტა. ტატომ თითქოს წყენა ვერ შეატყო.

— თუ დამელოდებით, მოვალ.

— ტყუილს რად ამბობ, თქვენ რომ შეიყრებით, ეკატერინე და მაიკო მოგაგონდებთ?

ტატოს გაეცინა.

— მაშ, გაგაცილებ და მაპატიე.

— მაიკოს ვეტყვი, იმან დაგსაჯოს.

ეკატერინე და ტატო ქუჩაში გამოვიდნენ.

ვაჭრები და ხელოსნები გრილ ხალხის გარეთ გამოეკრიფა. ისხდნენ დუქნების წინ, რიგი ნარდს თამაშობდა, რიგი დარბაისლურად საუბრობდა და კრიალოსანს ათამაშებდა. ქუჩაში მომავალ ნიკოსა და ეკატერინეს თვალი გააყოლეს.

— კარგები არიან.

— აფსუს, რა ბიჭი დაკოჰლდა.

— ორბელიანების სახლის შვილია და დედის ჯილაგი გამოჰყვა.

ქუჩაში ეტლი გამოჩნდა. მოსაუბრეები შეჩერდნენ.

— აგერ მელიტონის ეტლიც, აბა, იბარგენით, თორემ, თუ რაიმე არ მოეწონა!

— რად უნდა მეშინოდეს, მაგის ყმა ხომ არა ვარ? — შეუტია მოსაუბრეებს შაქროხიანმა ახალგაზრდა ხელოსანმა, რომელიც ნარდს თამაშობდა.

— არა, ძმაო, მაგის შარის თავი ვისა აქვს, — გაეპასუხა ახალგაზრდა ხელოსანს ნარდის მოთამაშე, ნარდი აიღო და ღუქანში შევიდა. ქუჩა სწრაფად დაცარიელდა. ზოგმა ღუქნის კარიც კი მიხურა. მხოლოდ ცარიელი სკამები იდგა აქა-იქ, რომელთა შეტანა სიჩქარით ვეღარ მოასწრეს.

ნიკომ შორიდანვე შეამჩნია ეტლი. ეკატერინეს ხელი წაავლო.

— აქეთ წამოდი, ეკატერინე, არ მინდა მამამ დამინახოს.

ისინი სწრაფად შევიდნენ ღიად დარჩენილ ალაყაფში. ეტლმა გრილით გაიარა. ტატო და ეკატერინე საფარიდან გამოვიდნენ. ეკატერინემ დაცარიელებულ ქუჩას თვალი მოავლო და ხარხარი აუტყდა:

— ხა, ხა, ხა, ხედავ, ტატო, როგორ დაატრთო მამაშენმა, შეხედე, როგორ იჭკირებებიან, ეშინიათ, იქნებ რაიმე არ მოეწონოს მელიტონს და კვლავ მოაბრუნოს ეტლიო. — მართლაც, ღუქნებიდან ვაჭრებსა და ხელოსნებს თავი გამოეყოთ და გზას გასცქეროდნენ.

ეკატერინემ თვალი ტატოს შეავლო, მისი ნაღვლიანი სახე რომ დაინახა, სიცილი შეწყვიტა.

— ლევანიც იქნება სოლომონთან?

ტატომ პასუხი არ გასცა.

— ტატო, შენ გეკითხები, ლევანიც იქნება სოლომონთან?

ტატო გამოერკვა.

— უსათუოდ.

ლაპარაკი აღარ ხერხდებოდა, ხასიათი გაუფუჭდა ტატოს.

ეკატერინე შეეცადა საუბარში აეყოლებინა, მაგრამ ტატო ხმას არ იღებდა, გაბრაზდა ეკატერინე, სწრაფად წავიდა წინ და შორიდან მიძახა:

— ასეთი არ მიყვარხარ, ტატო! — უეცრად ადგილიდან მოწყდა და გაიქცა. ტატომ დაწევა სცადა, ეკატერინემ მისკენ კოჭლობით გამოქცეული რომ დაი-

ნახა, შედგა, წარბები შეიკრა და შემოუტია:

— გამოქცევა არ გაბედო! ~~ჩველები~~ ჩირვეულად დაუბაქუნა და კვლავ გაიქცა. ტატო შორიდან ხედავდა, ვიწრო ქუჩაში როგორ მიფრიალებდა ეკატერინეს თეთრი კაბა.

გუნებაწამხდარი ტატო ახლა სოლომონის ბინისაკენ წავიდა. იცოდა, ადრე იყო, მაგრამ, თუ სოლომონი შინ არ დახვდებოდა, შეეძლო წიგნი ეკითხა. მსახურმა კარი გაუღო.

— სოლომონი შინ ბრძანდება?

— შინ გახლავთ. მობრძანდით. —

ტატომ აივანი გადაჭრა და სოლომონის კაბინეტის კარი ფრთხილად დააკაუნა.

— შენ ხარ, ნიკო! — მიეგება სოლომონი, საათს დახედა.

— ადრე მოვედი? ჟურნალებს გადავათვალერებ.

— ძალიან კარგი, მეც დავასრულე ფილადელფოსისადმი წერილის წერა, მინდა ყოველ ქართველს გამოუცხადოს, თუ დასწერენ რასმე თხზულებას, ლექსს ან განსჯას რომელსამე საგანზე, გამოგზავნონ დასაბეჭდად ჟურნალისათვის. ფილადელფოსი ჩვენი ქვეყნის კეთილისმოსურნეა, დიდად ახარებს ქართული ჟურნალის გამოსვლა; იქნებ ათიოდე ხელისმომწერი გეიმოვნოს, რვა მანეთი როგორ უნდა დაზოგოს ქართველმა ენის გამდიდრებისა, მამულის დიდებისა და გონების განათლებისათვის, სირცხვილია ქართველებისათვის. ბეჭდვა რომ შედგეს, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, ხელის მომწერნი ცოტანი გვყავს, ხარჯი კი მრავალი უნდა.

— იმერეთში წერილი გაგზავნეთ?

— ზესო ლორთქიფანიძე იყო ჩამოსული, იმასა ვთხოვე დახმარება გაეწია ჟურნალის გავრცელებაში, ზურაბ ერისთავსაც მივწერე წერილი.

კარებზე დააკაუნეს, ტატო წამოხტა, კარი გააღო. კარებში ლევანი და ილია იდგნენ. თანდათან გროვდებოდნენ წრის მონაწილეები, პეტრე ბაკრატიონი, დავით მანაბელი, კონსტანტინე, მოვიდნენ ორბელიანებიც, ერისთავებიც, ანტონ

აფხაზიც, სოლომონ რაზმაძეც და სხვე-  
ბიც.

მსახურმა მოახსენა: სუფრა მზად  
არისო. სოლომონმა სტუმრები მიიწვია  
და სუფრის გარშემო უფროს-უმცრო-  
სობით ჩამწკრივდნენ. ტატომ, პეტრემ,  
დავითმა, ილიამ და კონსტანტინემ სუფ-  
რის ბოლოში მოიყარეს თავი.

სოლომონი აღვა:

— დღეს განზრახული გვაქვს წაეიკი-  
თხოთ დავით მაჩაბლის ლექსი, აგრეთ-  
ვე ჩემი წერილიც „მოკლე განხილვა  
ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყ-  
ვიერებისა“. დავით, შეგიძლია ლექსი  
წაიკითხო.

დავით წამოდგა, ქაღალდის გრავნილი  
გაშალა. კითხვა დაიწყო, ხმა უკანკალებ-  
და, გაუბედადად კითხულობდა, წამით  
შეჩერდა, იქაურობას თვალი მოავლო,  
ამხანაგების გამამხნეველ თვალებს  
წააწყდა. დაწყნარდა, ხმასაც სიმძლავრე  
მოემატა და უკვე მკვეთრად გაისმა:  
„ძლიერი მძლავრობს, მას ზედა, ვის  
ოდენ თვით მოერევის... მაღალს სხვა  
მაღლობს, თანდისთან ზედ მიდის, ცაში  
ერევის“. — ტაშით შეხვდნენ ლექსის  
დამთავრებას.

— ჩვენმა ვიწრო წრემ გადაწყვიტა  
დაისტამბოს ქურნალში, თქვენ რას იტყ-  
ვით, ბატონებო? — მიმართა სოლომონ-  
მა დანარჩენებს.

— აუცილებელია, დაისტამბოს.

— მაშ, გადაწყდა. ქურნალის შემდეგ  
ნომერში დაისტამბება დავით მაჩაბლის  
ლექსი „თოვლი“. — დასტური დასცა  
სოლომონმა.

ტატო, პეტრე, ილია და კონსტანტინე  
კვლავ ტაშით შეხვდნენ სოლომონის  
ნათქვამს, ისინი განსაკუთრებით გაახარა  
დავითის ლექსის გამარჯვებამ.

— ჩემი წერილი კი ახლად გავრცე-  
ლებულ უგვანო აზრს ეხება, თითქოს  
ქართულ ენაზე არ შეიძლებოდეს თხზუ-  
ლებათა წერა, რადგან ქართული ენა  
არაა განვითარებული, — დაიწყო სო-  
ლომონმა.

— მხოლოდ გონებით ჩლუნგებს შე-  
უძლიათ იმის თქმა, რომ იოანე პეტრი-

წისა, ეფრემ მცირისა, ჩახრუხადინა და  
შოთა რუსთველის ენაზე წერა არ შეიძ-  
ლებათ, — აღელდა ლევანი.

— სამწუხაროდ, მომრავლდნენ გო-  
ნებით ჩლუნგები. ახალგაზრდობას რომ  
არ ავნონ, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე  
პასუხის გაცემა.

— აუცილებელია, ბატონო სოლო-  
მონ, ბრიყვთაც გაეწიოს ანგარიში, რათა  
ფესვი არ მოიკიდოს მათმა აზრებმა.

— კარგმა მწერალმა, რომელი საგნის  
აღწერაც არ უნდა მოინდომოს, მას ძა-  
ლუქს თავის ენაზე თვით უმცირესი აზ-  
რისა და გრძნობის გამოთქმაც კი, —  
ჩაუერთო კონსტანტინემ.

— რამდენი საჭირბოროტო საკითხი  
აქვს ჩვენს ქვეყანას გადასაჭრელი! ჩვე-  
ნივე ერის შვილთა მოქმედება ზოგჯერ  
ყველაზე მეტად ვნებს ჩვენს საქმიანო-  
ბას, — დაუმატა დაფიქრებულმა ტა-  
ტომ.

— ერთი კარგი ამბავიცა მაქვს სათქ-  
მელი — გიმნაზიის დირექტორი გრუ-  
ბერი თანახმაა წინადადება შეიტანოს  
გიმნაზიისათვის საკუთარი სტამბის გახ-  
სნისა, რათა შესაძლებელი იქნეს სახელ-  
მძღვანელოების ბეჭდვა, — ახარა სო-  
ლომონმა, — მაშინ გიორგი პიჭაძის ჩა-  
მოყვანაც იქნებ შევძლოთ, ის უხელმძღ-  
ვანელებს სტამბას.

## ძნელ გზაზე

გახშირდა მიმოსვლა ორბელიანებთან,  
დღეს გრიგოლს რუსეთის ისტუმრებენ  
და მთელი სახლობა ემზადება: კერავენ,  
რეცხავენ, აცხობენ. ეფემია რამდენიმე  
დღეა აქ არის და ამზადებს ძმას შორი  
გზისათვის. დილიდანვე ეწვიათ მანანა  
და ყაფლანი.

გაამზადეს დროშკები გრიგოლისა-  
თვის და მისი მრავალი გამცილებლისა-  
თვის, კაკალა თან მიჰყავს და იმასაც ამ-  
ზადებენ შინაურები.

გამოვიდა სახლიდან გრიგოლი, ხორე-  
შანმა დროშკამდე მიაცილა შვილი, გრი-  
გოლმა ხელები დაუკოცნა დედას, ხო-

რეშანმა გულში ჩაიკრა, პირუჯვარი გადასწერა:

— შორი გზა გაქვს საველი, შვილო, ვინძლო თავს გაუფრთხილდე, მუდამ წინ გიძლოდეს ჩემი ლოცვა-კურთხევა.

დაიძრა დროშა. გრიგოლი დიდხანს ხედავდა დედას, შემოდგომის ფოთლებშემომძარცულ ხესავით მარტომარტო რომ იდგა დაცარიელებული სახლის აივანზე.

მიუახლოვდნენ ვერას, გამოთხოვება დაიწყეს გამცილებლებმა, მანანას ხელებს უკოცნიდა გრიგოლი.

— გული მტკიცია, რომ ველარ ვიხილავ თქვეს გაბრწყინებულ სალოსს.

ახლა ეფემიას გადაეხვია გრიგოლი.

— ჩემო საყვარელო დაო, ფრიად მაფიქრებს შენი მდგომარეობა, მელიტონის აურაცხელი ვალების მოგონება მოსვენებას არ მაძლევს, მხნედ იყავ ჩემ დაბრუნებამდე. ტატოს გაუფრთხილდი. ხშირად მომწერეთ მისი ფეხის ამბავი.

ყაფლანიც გადაეხვია.

— ჩემო კურკავ, ყველაზე მეტად მე გამიჭირდება უშენობა, ველარ მოგესალმები ყოველ დღით ჩემი აივნიდან.

აღუქსანდრე ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე დიდხანს ესაუბრებოდნენ საიდუმლოდ გრიგოლს. ბოლოს ტატოს გადაეხვია იგი.

— ჩემო ტატო, მარჯვედ იყავ, ბიჭო! — მეტი ვერაფერი უთხრა.

დროშა გაგრიალდა მტერიან ჭუჩაზე, დარჩენილები დიდხანს იდგნენ და გასჩერებოდნენ მტერის ბულში გახვეულ კარეტას. გაიფანტა მტერი, დაცარიელდა გზაც და სადღაც დაუსრულებელმა სივრცემ შთანთქა მგზავრები.

\* \* \*

გაკვეთილები დამთავრდა. ტატომ, ილიამ და ლევანმა კიბე ჩამოირბინეს და ის იყო გარეთ უნდა გასულიყვნენ, რომ კარებში დარაჯის ხმა მისწვდათ.

— ბარათაშვილო, უფალი სოლომონი გთხოვთ.

— იარეთ, დაგეწევით, — უთხრა ტატომ მეგობრებს. კიბე აიჩინნა ნუშლი სოლომონი მარტო იყო ოთახში, ბოლთას სცემდა, ტატო კარებში გაჩერდა, ვერ გახედა დაფიქრებული სოლომონისათვის მყუდროება დაერღვია. სოლომონი მოტრიალდა და კარებში ტატო დაინახა.

— მოხვედი? დავალება მინდა მოგცე.

— მიბრძანეთ!

— ქალბატონ მანანასთან მიხვალ, რასაც გამოგატანს შებინდებისას ბატონი-შვილებიანთა ამოიტან.

ტატომ თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

— არავინ უნდა იცოდეს, სად იყავ, სად მიდიხარ და რა მიგაქვს.

— ჩვენი ქვეყნის საიდუმლო წმინდაა და გაუცემელი, — დაუდასტურა ტატომ.

გარეთ გამოსულ ტატოს ნაკვიანვეი შემოდგომის ცივმა ნიავმა დაჰკრა. თბილისის ცა ლურჯად კამკამებდა, ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა, მზეს ცხუნვარება დაკარგოდა, მაგრამ დუქნების წინ ჩამწკრივებული მედუქნეები მაინც ეფიცებოდნენ მას. ჭუჩაზე შეყვითლებული ფოთლები მიმოფანტულიყო. ბელურები შესეოდნენ ხეებს და ღამის გასათევ მყუდრო ადგილის ძებნაში ყივიყვიებდნენ.

ტატომ მანანა ორბელიანის სახლის წინ მოედინა გადაჭრა. აივანზე ფრთხილი ნაბიჯით ავიდა, დარბაზის ფანჯარაში შეიხედა, შიგ არავინ იყო. მანანას ოთახის ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ, სიბნელეში ვერაფერი გაარჩია. შედგა, ვერ გადაეწყვიტა დაეკაუნებინა თუ არა. ამ დროს ოთახი განათდა. ტატო ფანჯარას მიეკრა, მანანა სანთლებს ანთებდა. განიერ ტახტზე რამდენიმე ქალი იჯდა.

— ორბელიანი ეკატერინე, მელნიკოვის მელანო, მიკო, — ჩურჩულებდა ტატო და ოთახში მჯდომარებს გონებაში ჩამოთვლიდა. — ქალები დაბალი ხმით საუბრობდნენ და ხელსწრაფად ქარგავდნენ, ტატომ ფანჯარაზე ფრთხი-

ლად დააკაუნა, ქალები შეკრთნენ. მანანა წამოდგა, ტახტზე მიგდებული ბიანონი მხრებზე მოისხა და დარბაზისაკენ წამოვიდა. აივანზე ტატო დაინახა, გაუღიმა.

ტატო ოთახში შეპყვა. მანანა ქალებს მიუჯდა, ტახტზე გაფენილ ხელსაქნარს ყურადღებით დააჩერდა:

— კურთხეული მარჯვენა გაქვს, მაიკო, არ მეგონა, თუ ასეთი ფერების გამოყვანას შესძლებდი, — ყველანი ხელსაქნარს დააჩერდნენ.

— მშვენიერია! — დაადასტურა ეკატერინემ. ტატო მაიკოსთან მიიჭრა, ხელზე ხელი მოუჭრა.

მანანამ ბისონის ფარჩა მაგიდაზე გაშალა.

— როგორ მოგწონთ ჩემი ნახელავი? ქალებს აღტაცებული შექახილი აღმოხდათ. ტატოც მივიდა, მაგიდაზე გაშლილ ფარჩას დახედა.

— ახ! — წამოიძახა, თვალს ველარ აცილებდა, ბისონის ფარჩა ხალსად იყო ნაკერი, ფერმიხდილ ლეთისმშობელს მავედრებელი თვალები ზეცისკენ მიეპყრო და ტატოს მოეჩვენა, თითქოს ბაგეებს ამოძრავებდა ლეთისმშობელი.

— მაიკო, ხაიათის ყუთი მომეცი, წასაღებად გავამზადებ, — მიმართა მანანამ. — კვლავ ლეთისმშობლის სახეს დააჩერდა და ოთახში მისი ჩურჩული გაისმა:

— ლეთისმშობელი დედავ, შენი წილხვედრია საქართველო, შენ უწინამძღვრე ყოველ საქმეში, ნუ დააგდებ უპატრონოდ, — ცრემლი ჩამოუგორდა მანანას, ქალები თავდახრილი იდგნენ. ახლა ტატოს მიუბრუნდა მანანა: — ტატო, ამ ხაიათის ყუთს წაიღებ, თუ ვისმეს გადაეყარო, უთხარი: მანანამ გამოტანა თეკლა ბატონიშვილთან-თქო. ამაღამდელმა თათბირმა უნდა მოიწონოს ჩვენი ნახელავი, — დაიჩოქა მანანამ, ქალებიც გვერდით ამოუდგნენ და განაგრძო: — დამილოცნია, და თუ დროის სახელს მიიკუთვნებენ, მუდამ გამარჯვების გზით ეტარებიანოთ ჩვენი

ერი. ჩვენი ქვეყნისათვის კეთილმოსურნეა ყველა, ვისი ხელიც შეხებია, დემურთი არ გასწორავს ლეთისმშობლის წილხვედრ საქართველოს.

ტატოს ქალები აივანზე გამოპყვნენ, ტატომ კიბე ჩიარბინა და სიბნელეში მიიშალა, გზიდან გადაუხვია, ბილიკს გაპყვა ბატონიშვილის სახლისაკენ. ბილიკს გაძარცვული იყო. მოწყენით იდგნენ ხეები. მხოლოდ ბზის ბუჩქები გამოიყურებოდნენ მწვანედ, თითქოს სხვის მამულში შეჭრილი დამპყრობელიაო. ტურების კივილი ისმოდა მთაწმიდიდან.

ორბელიანებისას გაშლილ მაგიდას შემოსხდომოდნენ ყველანი. ტატომ ალექსანდრე ორბელიანს გადასცა ყუთი, ალექსანდრემ გახსნა და სამი ხალსად ნაკერი ბისონის დროშა ამოიღო:

— აი ჩვენი დროშები, ამათ უნდა უწინამძღვრონ ჩვენ წმინდა საქმეს. ლეთისმშობელი, რომლის წილხვედრია საქართველო, წმინდა ნინო — ქართველთა განმანათლებელი და წმინდა გიორგი, რომელიც მუდამ იცავდა ჩვენს ქვეყანას. — ალექსანდრე დროშებს ეამბორა.

სათითაოდ მიდიოდნენ დროშებთან თაყვანის საცემად—ალექსანდრე ჰავჯავაძე, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, იავგორა ქილაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, იასე ფალავანდიშვილი, ანდრია მელნიკოვი და პეტრე ზაეილისკო. ტატო უყურებდა მათ და გული უცნაურად უფართხალბდა, დროშები, დროშები, ეს დროშები წაუძღვება წინ აჯანყებულებს.

— აჯანყების დღედ ოც დეკემბერს ვნიშნავთ, — განაგრძობდა ალექსანდრე, — ამ დღისათვის დანიშნულია თავად-აზნაურთა საზოგადო ყრილობა. ქალაქში ჩამოვა ყველა, ხალხთა დენა ყურადღებას არ მიიქცევს, ჩვენ კი შეკრების შესაძლებლობა მოგვეცემა. ლუარსაბის სახლი მოსახერხებელი ადგილია, მის წინ გაშლილი მოედანი სწრაფი მოქმედების საშუალებას მოგვეცემს. ლუარ-

საბ ორბელიანის სახლში მეჯლისი გაიმართება, მანანა მოიწვევს ყველა მოხელეს და ღირსშესანიშნავ სამხედრო პირებს. ღამის პირველ საათზე, როცა სიონის ზარი ყველას ამცნობს აჯანყების დაწყებას, დაეატყვევებთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, როცა ჩვენი სიმართლე და ჩვენი დროშები გამარჯვებას მოგვიპოვებენ, სამ კაცს სიონის სამრეკლოზე მახარობლად ავგზავნით და იქიდან ამცნობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში დამყარდა თავისუფლება და სიყვარული ყოველსა ერსა ზედა.

შეთქმულები ზე წამოდგენ და ყველამ ერთხმად გაიმეორა:

— თავისუფლება და სიყვარული ყოველსა ერსა ზედა, ამინ!

— გადაეწყვიტეთ — ქვეყანას მართავდეს ორი პალატა, სახელმწიფო მმართველობის ზედა პალატის თავმჯდომარედ მე მასახლეებენ, სამხედრო მინისტრად — ალექსანდრე ქვეკვაძეს, იუსტიციის მინისტრად — მუხრან ბატონს, ფინანსთა მინისტრად — ფალავანდიშვილს, შინაგან საქმეთა და განათლების — იაგონა ჭილაშვილს, გარეშე საქმეთა მინისტრად კი ბებუთაშვილს. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს ეროვნული სეიმი. სამხედრო მოქმედების გეგმას ალექსანდრე ქვეკვაძე მოგახსენებთ.

ბატონიშვილების სახლიდან გამოსულ ტატოს თავი უზურდა, შემოდგომის სუსხიანი ქარი სახეში ურტყამდა და ისე მიჰქროდა, თითქოს ფრთები შესხმიაო, აღარც კოკლობას გრძნობდა, ნაჩვევ ბილიკებზე სიარულს სიბნელე ვერ უშლიდა. სახლის მაგიერ, როცა წინ სიონის ტაძარი აღემართა, შეკრთა. აქ როგორ გაჩნდა? ის ხომ შინ მიდიოდა. „სიონის ზარმა ყველას უნდა ამცნოს აჯანყების დაწყება“ — ჩაესმა ალექსანდრეს ხმა.

და იდგა ტატო სიბნელეში, თითქოს ხედავდა სიონის ვეებერთელა ზარს, ხელები უკანკალეზდა, ახლავე უნდოდა ასულიყო სამრეკლოზე, ახლავე შემოეკრა სიონის ზარი. ცდუნებას ვერ გაუძ-

ლო, მოსასხამის საყელო აიწია და კიბეს შეჰყვია, სიბნელეში ხელით მიიკვლიდა გზას. აი ავიდა, ხელი მოაფართოვა, მნათეს კედელზე ზარის ბაწარი ჩამოეკიდა, ჩამოიღო, ორივე ხელით ჩაბლუჯა, კანკალმა აიტანა, ოდნავ შეარხია ბაწარი, ზარმა ყრუდ დაიკვნესა, შეკრთა, ზარის ბაწარი გულზე მიიკრა, ქალაქს გადახედა, ჩაბნელებული იყო ქალაქი. არსაიდან არ ისმოდა ჩამჩხუმი. ერთი ხელის გაქნევა და ახმაურდება სიონის ზარი, წამოიშლება ჩაძინებული ქალაქი. მაგრამ დღეს არა, დღეს ტატოს შემოკრულ ზარს სიბნელე ჩანთქავს. დაიცდის ტატო და დადგება დღე, როცა ტატოს შემოკრული ზარი გაიწყრიალებს ყოველი ქართველის გულში.

• •

ზამთრის ცივი ქარი დაქროდა თბილისის ქუჩებში, თოვლის ფიფქებს იტაცებდა და ნამქერს სახეში აყრიდა ყველას, ვისაც ქუჩაში გამოსვლა გაეებდნა. ნამქერმა ააესო სახლის აივნები და ფანჯრები. მიტოვებულს დამსგავსებოდნენ კარებამოქოლილი სახლები.

ცივმა ქარმა და ნამქერმა დაბინდებისთანავე სახლში შეყუჟა ყველა. ქარი ახმაურებდა სახლის სახურავებს. სადღაც თუნუქის ფურცელი აეტაცებინა, ხან ერთ ბანს მიახეთქებდა, ხან მეორეს და ბუხართან მიყუჟულებს აკრთობდა.

ბარათაშვილებსაც დარბაზში მოეყარათ თავი. დარბაზის ოთხივე კუთხეში გუზგუზებდა ბუხარი. სახლობა დიდ ბუხარს შემოსხდომოდა. ეფემია ტახტზე იჯდა. ბარბარე და კატო ბუხრის კუთხეში მიყუჟულიყვნენ. ფარეშები კი გამდელს შემოხვევოდნენ, ძირს გაგებულ დათვის ტყავზე ჩუმად ისხდნენ და ხან-გამოშვებით ფანჯრისაკენ იხედებოდნენ. გამდელმა გარშემო მიმოიხედა და წყნარად თქვა:

— ვიი იმას, ვინც ამ საშინელ დამეში თავის კერას არ უზის.

ეფემიამ გამდელს გადახედა, გრიგო-

ლი გაახსენდა, პირჯვარი გადაიწერა, წაიხურაჩულა.

— ღმერთო, უშველე თავის კერასა და სამშობლოს მოცილებულს.

— ამინ! — დაუდასტურეს.

ეფემია წამოდგა, ტახტის წინ დაგდებულ ფოსტლებში ფეხი წადგა:

— ცუდი ღამეა, სჯობს მოვისვენოთ.

წამოიშალნენ ყველანი. ეფემიამ მაგიდასთან მჯდომ ტატოს მიმართა:

— შეილო ტატო, გეყოფა კითხვა, დაწევი, ასეთ ღამეში მხოლოდ ძილი უშველის აღამიანს.

დიდხანს არ დააძინა ტატო ქარის გრიალმა. ქარი ზოგჯერ მიეჭრებოდა სახლს, შეარყევდა, თითქოს ზევით ატაცებას უპირებო.

ტატო კარის ძლიერმა ბრახუნმა შეაკრთო, გამოეღვიძა, ალბათ, ქარმა რაღაც მოახეთქა კარსა — გაიფიქრა. მაგრამ კარის ბრახუნი არ სწყდებოდა: სანათით ხელში გამოვიდა თავის ოთახიდან ეფემია, გამღელიც მოჰყვა.

— ვინ უნდა იყოს ასეთ ღამეში?!

ტატო სწრაფად წამოხტა, კარისაკენ მიმავალ დედასა და გამღელს გაჰყვა. ქარის ხმაური და შალში გახვეული ქალი ერთად შემოიჭრნენ გაღებულ კარში. ქარმა სინათლე ჩაუქრო ეფემიას და ძლიერს წაიხურაჩულა:

— ვინა ხარ და რა მოგვლია?! — შემოსულს ხელი შეაგება.

— მელანია ვარ, ეფემიავ!

— მელანია? რა მოხდა?!

მთელი ტანით კანკალებდა მელანია.

— ჩქარა ბუხარი გამოჩხრიკე, გამდელი!

გამღელი ბუხარს მივარდა. მელანია ეფემიას ხელს დაეყრდნო და მორჩილად გაჰყვა ტახტისაკენ.

ეფემიავ, ჩემი ანტონი წაიყვანეს, ასეთ ღამეში... — სიტყვები ველარ დაამთავრა მელანომ; ცრემლები წასკდა.

— ანტონი წაიყვანეს? — ყრუ ხმით გაიმეორა ეფემიამ, — სად წაიყვანეს?

— განა ვიცი, სად წაიყვანეს?

— ასეთ ღამეში. რაღაც დიდი ამბავი უნდა იყოს.

— მაგას ვჩივი, — მელანიამ თვალელებზე ხელები აიფარა და აქვიანდნდა.

კანკალმა აიტანა ტატო. ანტონ აფხაზი წაიყვანეს, ვინ წაიყვანა? რატომ?

ახლავ სოლომონთან წავალ, ყველაფერს გავიგებ, — დასტური დასცა თავის ფიქრებს.

ქარის მოპირდაპირე მხრით მირბოდა ტატო, მოსასხამის საყელო აეწია, თავი ყაბალახით შეებურა და აკვიატებული ფიქრიც თან მისდევდა — ანტონ აფხაზი წაიყვანეს, ვინ წაიყვანა? სად წაიყვანეს?

სოლომონ დოდაშვილის სახლის კარებს ორივე ხელით დაეტაკა ტატო. კარი უეცრად გაიღო. ოთახის შუაში იდგა სოლომონი, პოლიციელები შემოხვეოდნენ, სოლომონის გაფართოებული თვალები შეეფეთა. წამით შედგა, სწრაფად მიხურა კარები, ოთახიდან პოლიციის მოხელის ბრძანებზე მოესმა:

— დაკეტეთ კარი, ხედავთ ქარი არ აყენებს! — ბნელი ღამე ჩამოდგა ტატოსა და ოთახს შორის. ახლა სადღა წავიდეს? სიონის სამრეკლო აღიმართა ტატოს წინ, ჩაიშალა მრავალი დღის ოცნება. სიონის ზარს ველარ ახმამურებს ტატო, მთვრალივით მიბარბაცებს, კი არ მიბარბაცებს, ქარი მიათრევს, იქით-აქეთ ახეთქებს, სახლის სახურავიდან აგლეჯილი თუნუქის ფურცელივით. აი, ქარმა ძლიერად მიახეთქა ტატო ხეს და გამოერკვა კიდევ. ჩქარა, ჩქარა უნდა გაიქცეს, ყველას გააგებინოს. კვლავ ქარის ქროლვას აჰყვა. პირველსავე სახლთან გაჩერდა. კარს თავგანწირვით დაუწყო ბრახუნი. იასე ფალავანდიშვილმა კარი გაუღო. გაოცებული მიაჩერდა. ტატოს ყაბალახი სულს უხუთავდა, სათქმელს უხშობდა. სწრაფად მოიგლიჯა ყაბალახი და შეჰყვირა:

— შეთქმულება გასცეს, შეთქმულება! — თავისმა ხმამ შეაკრთო, მიიხედ-მოიხედა — იასეს შეშინებულ თვალებს წააწყდა, უაზროდ მისჩერებოდა შიშდაუფლებული, რაღაცას ბუტბუტებდა:

— ვინ გასცა?

იასე უკან-უკან წავიდა, ათრთოლებული ხელები ტატოსკენ გაიშვირა; ტატს წააწყდა, ჩაჯდა, თავი ხელებში ჩამალა და მთელი ტანით ათრთოლდა.

ტატო სწრაფად მოსცილდა. ქუჩაში გამოვარდა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ სიფრთხილეა საჭირო. ქუჩა ცარიელი იყო. ფეხი აღჩქარა, თან იქაურობა მოათვალიერა. დეკემბრის მსუსხავი ქარი სახეში სცემდა. ქვეკვაძეებს უნდა გააგებინოს.

შუქი არ ენთო ქვეკვაძიანთ, ჩანს, ეძინათ. ასეთ დამეში სტუმრები არ ეყოლებოდათ. მაგრამ ახლა გვიან არის. სახლს ვარშემო შემოუარა. აივანზე ავიდა, ყური მიუვლო, არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ყოყმანობდა, ეძნელებოდა ალექსანდრეს ოთახის კარზე დაკაკუნება. უეცრად ქუჩიდან ხმაური მოესმა, შეკრთა, იქნებ აქაც მოდიან და ის კი... ალექსანდრეს ოთახთან მიიჭრა, ფრთხილად ფანჯარაზე დააკაკუნა. ეტყობოდა, არ ეძინა ალექსანდრეს. კარები მალე გაიღო. მოსასხამწამოსხმული ალექსანდრეს მალალი ტანი გამოჩნდა:

- ვინ არის?!

— ტატო ვარ, — ჩურჩულით გასცა პასუხი.

— შემოდი, რა მოხდა?

— შეთქმულება გასცეს, ანტონი და სოლომონი წაიყვანეს.

ალექსანდრემ მალალ შუბლზე ხელი გადისვა. ოდნავ გაფითორდა.

— საიდან იცი?

— ანტონის დედა მოვიდა, სოლომონთან გავიქეცი, ის უკვე მიჰყავდათ.

ალექსანდრემ გაიარ-გამოიარა, ერთხანს ჩუმად იყო დაფიქრებული. კარი ფრთხილად დააკაკუნეს, მსახური შემოვიდა.

— ქალბატონი კითხულობს, რა ამბავიაო?

— მოიცადოს, ახლავ გამოვალ, ტატო, სასტუმროში გადი. — ალექსანდრე ჩვეული არ იყო ცოლსა და შვილებს ჩაუცემელი ჩვენებოდა. ჩაცმა დაიწყო. მსახური მიხვდა, საშური იყო და მარჯვედ აწვდიდა ტანსაცმელს.

სალომე დარბაზში დახვდა ტატოს, არა ჰკითხა, რა ამბავიაო, იგრძნო მდგომარეობის სიმძიმე და უნდოდა თავის შეუღლისაგან გაეგო, რაში იყო საქმე.

ოთახში სათითაოდ შემოვიდნენ გამდელი, ნინო და ეკატერინე. ისინი სავარძელში შჯდომ დედას შემოეხვივნენ. ნინო არაფერს ეკითხებოდა, ეკატერინე კი არ ასვენებდა.

— რა იყო, დედა?

— მოითმინე, ახლავ გამოვა მამა.

ოთახში ალექსანდრე ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა.

— სალომე, ანტონ აფხაზი და სოლომონ დოდაშვილი წაუყვანიათ, პოლიცემისტერთან მიინდა წავიდე, გავიგო, რაშია საქმე, — წამოდგა სალომე, ქმართან მივიდა:

— მალე დაბრუნდები, ალექსანდრე?

— აუცილებლად, ჩემო კარგო, მანამდე კი შენი ჰკუის იმედი მაქვს, — ხელზე აკოცა მეუღლეს ალექსანდრემ, კარებისაკენ წავიდა, შედგა:

— ტატო, ორბელიანთა ჩაირბინე, თან ნუ გამოძევები. დროშა მზად არის? — მიუბრუნდა ალექსანდრე მსახურს.

სალომემ ბილიკისაკენ გასასვლელი კარი გაუღო, ტატო კვლავ სიბნელეში შთანთქა.



ქარი მოსვენებას აღარ აძლევდა ქალაქს. ღვეღვებდნენ ქართა და ყინვით შეწუხებული ძაღლები, მთაწმიდაზე გაჰკიოდნენ ტურები, თბილისის გარშემო ღმუროდნენ მგლები და ქალაქში შემოჭრას ლამობდნენ.

ჩაკვდა ქალაქი, აღარ ისმოდა თარისა და საზანდრის ხმა, აღარც ბაიათებს მღეროდა ვინმე. მოიშალა საღამოს შეკრებილებაც. გარეთ გამოსვლა ეზარებოდა ყველას. აღარც ძილი ჰქონდათ დამშვიდებული. ფხიზლობდა მთელი ქალაქი. აატარა ხმაურიც კი აკრთობდათ. ყურს მიუვლებდნენ, ვის კარზე დააკაკუნებდა ბელი მოარული.



შუალამე გადასული იყო. ჰაეჰვაძი-  
ანთ არ ეძინათ, სტუმრები არავენ ჰყავ-  
დათ. ალექსანდრეს ოთახში გაჩაღებუ-  
ლი ბუხრის წინ ისხდნენ ალექსანდრე,  
სალომე და ნინო, წყნარად საუბრობდ-  
ნენ.

გრიბოდოვის ქვრივი შალწამოსხმუ-  
ლი, დაფიქრებული იჯდა საეარძელში,  
თვალი ბუხრისათვის გაეშტერებინა.

ალექსანდრე, ვერ მოახერხებ იასეს  
ნახვა? — იკითხა სალომემ.

— არ მიცდია. აღმაშფოთა ჩემი ნათ-  
ლულის საქციელმა, სურვილი აღარ  
მაქვს ვნახო.

— მაოცებს მისი მოქმედება, თითქოს  
მის ბუნებას არ ეგუებოდა უმსგავსოე-  
ბა. — ალექსანდრემ ქალიშვილს გადა-  
ხედა. — სამუდამო ჩირქი მომცხო, არა-  
სოდეს ვიფიქრებდი გამცემლის მომ-  
ნათვლელი ვიქნებოდი.

— რას იზამთ, მამავ, ბატონო, ზოგ-  
ჯერ ოჯახშიც გამოვა მახინჯი.

— როგორც ნათლიას, მე მიფარავს.  
უარყოფს ჩემს მონაწილეობას შეთქმუ-  
ლებაში, მაგრამ სხვებიც უარს ყოფენ, —  
ციცხლის ენებს მიაჩერდა ალექსანდრე.

— ამიტომაც მეტი სიფრთხილე  
გვმართებს, მამავ ბატონო.

— დღეს დაუსრულებლად მეკითხე-  
ბოდნენ ჩოლოყაშვილის შესახებ. ნათ-  
ლად მახსოვს მაშინდელი ჩვენი საუბარ-  
ი, ვურჩევდი, მთავრობას ვაცნობოთ ამ  
გადასახადების შესახებ-მეთქი. კახეთის  
ხალხი ძლიერ იყო შევიწროვებული და  
მეშინოდა კვლავ აჯანყება არ გამოეწე-  
ვია. რაც შეეხება ალექსანდრე ბატონი-  
შვილს, არასოდეს ვყოფილვარ მისი  
მომხრე. მთელმა საქართველომ იცის,  
რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა დაიმ-  
სახურა რისხვა საქართველოს ორი უკა-  
ნასქნელი მეფისა, მამისა და ძმისა, ეს  
რისხვა მისდა საუბედუროდ სამართლი-  
ანი იყო.

— თუ ყველა დაპატიმრებული ცდი-  
ლობს უარყოფს თქვენი კავშირი აჯან-  
ყებასთან, ვფიქრობ, არაფერი გვექნება  
საშიში, — გაამხნევა მამა ნინომ.

— დაველოდოთ, ვნახოთ, რა იქნება,

სხვა გზაც არა გვაქვს. ამტანი და გამ-  
ტანია ჩვენი ხალხი, მას გაეჭრებოდა ვერ  
შეაშინებს. — ამოიოხრა სალომემ.

სინამდვილეში ჩამოვარდა. კვლავ ალექსანდ-  
რემ დაარღვია იგი:

— სადაც არის, გათენდება, სჯობს  
მოვისვენოთ. შვილო ნინო, გაენებს ამ-  
დენი უძილობა.

დასაწოლად გაემზადა სალომე. ქუჩის  
ხმაურმა მიიქცია მისი ყურადღება, ლო-  
გინზე ჩამოჯდა, სულგანაბლად უსმენდა  
და, როცა მათი კიბის საფეხურები მძიმე  
ჩექმებმა აახმაურა, სწრაფად დაიწყო  
ტანსაცმელის ჩაცმა. გაფითრებული ნი-  
ნო შემოვიდა და ძლივს ჩაიჩურჩულა:

— დედა, მოვიდნენ!

— ვიცი, შვილო, ვაი ჩემს თავს, ჩემი  
წინათგონობა აცხადდა. — სალომემ  
ხელი მოხვია ნინოს, გულზე მიიკრა,  
თითქოს უნდა მისი კანკალი შეაჩეროსო.

— მამასთან გავიდეთ.

ალექსანდრემ მოსული მეუღლე და  
ქალიშვილი რომ დაინახა, შეეგება:

— სალომე, გადაეცით ყველას, რაც  
უნდა გეტანჯონ, არ გაეტყდეთ, ამის  
მეტი ველარა გამოგვიხსნის რა. თქვენ  
კი ამის შემდეგ დიდ უბედურებაში ჩა-  
ვარდებით, მაგრამ მოითმინეთ, დიდსუ-  
ლოვნად იყავით, ღმერთი მოგვხელდაც  
და კვლავ ვნახავთ ერთმანეთს.

ოთახში დაგუბებული სიწყნარე პო-  
ლიციმეისტერის, კომენდანტის და ჯა-  
რისკაცების ჩექმების ხმაურმა დაარღ-  
ვია; პოლიციმეისტერმა ალექსანდრეს მი-  
მართა:

— ბარონ როზენმა საჭირო საქმეზე  
დაგებართ. მაგრამ, რაც ქალღღებ-  
ვაქვთ, ისიც თან უნდა წამოიღოთ.

პოლიციმეისტერი ახლა სალომეს მი-  
უბრუნდა:

— თქვენ ამაზე ნუ შეწყუხდებით,  
თქვენი ქმარი მალე დაბრუნდება.

სალომე მხრებში გასწორდა, თავი ას-  
წია, მედიდურად უბასუხა:

— პოლიციმეისტერო, ვიცი თქვენა  
სიტყვა მართალი არ არის, მე კი იქ ყოფ-  
ნას ვირჩევდი, სადაც ჩემი ქმარი იქნება.

ალექსანდრემ აცრემლებული ნინო გულში ჩაიკრა.

სალომე უხმოდ გამოეთხოვა ქმარს.

კარებში მიმავალ ალექსანდრეს ეკატერინეს შეკვივლება მოესმა. მიიხედა, თმები ჩამოშლოდა ეკატერინეს, ორივე ხელი მაშისკენ გაეშვირა:

— მამა! — ხელები შეაგება შეილს ალექსანდრემ. გულზე მიიკრა.

— დრო არის, თავადო! — წამოიხრიალა პოლიციის მოხელემ.

ეკატერინე სწრაფად მოსწყდა მამას მკერდს, თავი აიჭინა:

— კარგად იყავ, მამა! — მიიძახა კარებში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მამას.

ქალები ალექსანდრეს ოთახში კვლავ ბუხართან მიიყუენენ. ჩუმად ისხდნენ, თავთავიანთ ფიქრებში გართულნი. გაძდელთან მოსამსახურებმა მოიყარეს თავი და დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ ყაზარმობაზე.

თითქოს ქარმა აცნობაო ქალაქს ალექსანდრე ჭკვევაძისას მომხდარი ამბავი, ხალხმა დიდიდანვე დაიწყო დენა, მანანა, მაიკო, ეფემია, ილია, ტატო, ხორეშანიცი კი მოვიდა. კარებში სალომე შეეგება ხორეშანს:

— თქვენც მობრძანდით, ხორეშან, ახლა იგრძნო გულმა, რა დიდი უბედურება ეწვია ჩემ ოჯახს, ასეთ ამინდში თქვენც კი გაბედეთ მოსვლა.

— გაჭირვება უცხო არ არის ჩემთვის, შეილო, ჩემი გრიგოლი იქ დაუბატონებიათ, ამბობენ ჩამოიყვანენო, ნეტავ მართლაც ჩამოიყვანონ. შენს ქვეყანაში ჭირიც ადვილი ასატანია.

— აქ ვინ ამყოფებთ, ბატონო, თორემ მაგას ვინ შეუღწინდება, ამბობენ მალე ყველას გაგზავნიანო.

— არც სხვათა ქვეყანაში გაგზავნა ჩვენი ხალხისათვის უცხო, ვერც მაგით შეგვაშინებენ.

განიერ ტახტზე ნინოსა და ეკატერინეს გარს მაიკო, ტატო და ილია შემოსხდომოდნენ და გაცხარებული ლაპარაკობდნენ.

— იასეს მოკვლავ უთუოდ, თუ გამო-

უშვებს, საზიზლარი, გამცემი. — წამოიძახა ეკატერინემ.

— ვინ არის გამცემი? — დაეხედა მისთვის მოიკრა აქამდე ჩუმად მჯდომი ტატო.

— იასე ფალავანდიშვილი! ტატო ეკატერინესთან მიიკრა, ორივე ხელებში წვდა:

— რა სთქვი, ეკატერინე?

— რა გინდა, მამამა თქვა, იასემ გაგვცაო, მისმა ძმამ ჩააგონა და იმანაც გაგვცაო.

ტატომ უეცრად ხელი უშვა ეკატერინეს, ტახტზე ჩამოჯდა, იდაყვები მუხლებზე დაიბჯინა, მომუშტულ ხელებზე ნიკაპით დაეყრდნო და აჩურჩულდა:

— მამ, იასემ გასცა, იასემ გასცა.

ტაკუნობდნენ ცეცხლის ენები ბუხარში და ტატო ცეცხლის ალში ხედავდა იასეს შეშინებულ თვალებს, იმ დამის შემდეგ რომ არ სცილდებოდა.

## უაზარმოზა

საკანის კართან გაბმულმა სიმღერამ ყველანი ფეხზე წამოაყენა.

— ეს რომელია? — გაისმა ჩურჩული.

— ერისთავი უნდა იყოს.

— სწორედ ის არის.

— რაიო?

— ახალი ამბავიაო.

— წერილიაო.

— წავალ, ამოვიტან, — ფილადელფოსი წამოდგა, მხრებზე შავი ანაფორა მოისხა.

— ფილადელფოს, კედელს ჯვარი დაუსვი, არ დაგავიწყდეს იმ დღეს შეშინებულობევენ, იქნებ სხვამ ჩაიგდო წერილი ხელში. — ფილადელფოსმა საკანის კარზე სამჯერ დააკაკუნა, მეკარემ კარი გაუღო და გაუძღვა.

საკანში დარჩენილები ფილადელფოსს მოუთმენლად მოელოდნენ, როგორც კი მეკარემ კარი გააღო, ისინი სარკმელთან შეგჯგუფდნენ და უცდიდნენ, რას იტყოდა ფილადელფოსი. ფილადელფოსმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინოდა, აქ არაეინ შემომყვესო. უბი-

დან დაქმუნული ქალად ამოიღო, ფრთხილად გაშალა, კითხვა დაიწყო:

— რა დაგემართათ, ამ ხაზებს ტყვილად რად უსვამთ? გამიგონეთ, პეტერბურგში ქართველები სულ დაქერილი ყოფილან, გრიგოლ ორბელიანი ჩამოუყვანიათ, ხმა მიაწვდინეთ, ვის ულაყბია ეს სისულელე. ეშმაკმა იცის მისი თავი და ტანი, ეს კედელზე ხაზი რად იყო? — კითხვა არ დაუმთავრებიათ, მეორე საკნიდან კაცუნი მოისმა:

— მამა ფილადელფოსი ხარ? — შეეკითხნენ კაცუნით.

— სოლომონ დოდაშვილი სად არის? — კიდევ მოისმა კაცუნი.

— გრიგოლი ხარ? შენი გამარჯვების იყოს, როდის ჩამოგიყვანეს?

— მაგრად იყავ, არ შეგეშინდეს! — არ ეშვებოდა ფილადელფოსი.

— სხვაც ჩამოიყვანეს ვინმე? — ესმოდა გრიგოლს აგურით ამოშენებული ფანჯარიდან.

— გრიგოლ! გახსოვდეს, დაკითხვის დროს ამ საქმის ალექსანდრე ჰავაიძემ და პეტრე ზაველიცკომ არაფერი იცის. იმათ ნუ გავრევთ, ჩვენთვისაც უმჯობესია.

გრიგოლმა მოსაუბრე ხმაზე ვერ იცნო, კარგახანს იჯდა დაფიქრებული, მოიწონა შეთქმულთა მოსაზრება. მართლაც, უმჯობესია ალექსანდრე და პეტრე არ გაურთონ.

დაკითხვა გაახსენდა: საიდან ჰქონდათ ეს დაწერილებითი ცნობები?.. მაშ, გამცემი მარტო ივანე ყორღანოვი არ ყოფილა. ივანეს საიდან ეცოდინებოდა დაწერილებით ყველაფერი. წამოდგა გრიგოლი, საკანში გაიარ-გამოიარა, გააქწასმულ ფანჯარასთან მივიდა. საკამი მიადგა, ზედ შედგა, ფანჯრის ნაწილიდან ორბელიანთა უბანი მთლიანად ჩანდა. აივანზე მყოფებსაც ხედავდა გრიგოლი, მხოლოდ ვერ არჩევდა, რომელი იყო. აგერ მისი მწვეარი ეზოში რალაცას დასდევს, მაგრამ რომელია? დამკა თუ რეიდა?

გრიგოლს კვლავ ფიქრი არ ასვენებდა,

ვინ უნდა ყოფილიყო გამცემი, ალბათ, აქაურებმა იციან, უნდა მრახტობონ მათთან დაკავშირება. გაახსენდა, ხვალ თავისიანები უნდა ნახოს.

ღედის ავადმყოფობა შეატყობინეს გრიგოლს, აფორიაქდა, გულს როგორ უხაროდა სამშობლოში დაბრუნება, სადაც ტანჯვისა და მწუხარების დაეწყვებას ფიქრობდა, წყეულიმც იყოს ასეთი ბედი. გულს აღარ ახარებს მშობლიური ცა, მარად ბრწყინვალე მზით განათებული, აღარც ყვაეილთ ფეროვნება, არც ბულბულის სტვენა, დაიხურა გრიგოლისათვის ცა მშობლიური და. აი, თავის ქვეყანაში დაბრუნებულს მხოლოდ ბნელი საკანი ხვდა წილად.

იყო დრო, ივერთ თვისებას შეადგენდა: ერთგულება; მამულისათვის ბრძოლა. გრიგოლი იგონებდა მათ, ვინც სიცოცხლე თავის მამულს შესწირა, მაგრამ არც ეს არგუნა გრიგოლს ბედმარად შემოკვენსის გული ასე? აღარა გრძნობს ცისკრის ბრწყინვალებას, ვერ არც მწუხრის ეამს, აქ დღევ დამედ გადაქცა გრიგოლს, დამე კი უმთვართა და უუარსკვლაეო. სიკვდილს ნატრობს გრიგოლი. მაგრამ განა სამარეს არა ჰგავს ეს საკანი? ნუგეშის სხვიც არსად ჩანს ამ წყვდიადში. იცის გრიგოლმა, რომ ჰმუნვის ცეცხლით დამწვარ გულს მხოლოდ ცრემლი აგრილებს, ცრემლი კი სრულიად გაუშრა, სად წავიდნენ ნეტარების წამში ძვირფასნი? მათი აზრდილიც აღარ დარჩა ნუგეშად. გულს მხოლოდ ჰმუნვა მორევი და გლეჯს ულონო მსხვერპლს შეუბრალებლად.

ფიქრებში გართულ გრიგოლს არ შეუშინებია, როგორ დარეკეს მთაწმიდაზე მწუხრისა, უეცრად სიმღერა შემოესმა, ყური მიუგდო, ვილაც მისივე ლექსს მღეროდა და გრიგოლს მკაფიოდ მოესმა:

„თავისუფლება გაქრა ჩვენთვის, რალა გვახარებს“ — წამოდგა გრიგოლი, ფანჯარასთან მივიდა.

ყაზარმასთან მოქეიფე ბიჭები ჩამწკრივებულებიყვნენ, ლოპიანა მოუძლოდითღვინით, სიმღერით, ზურნით. გრიგო-

ლის ფანჯარას გაუსწორდნენ და კვლავ გაისმა მკვექარე ხმა მოქეიფეთა:

— „მისი სახელი კიცხვით მარადის იხსენებოდეს, ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს“, — ახლა კი ცრემლი მოუზღვავდა გრიგოლს, ლაწვებზე ჩამოუგორდა და შესძახა:

— თქვენი ჰირიმე, ბიჭებო, შენც გაიხარე, ლოპიანავ!

სხვა ფანჯრებიდანაც ისმოდა შეძახილები, მაგრამ მათი ხმაც, ისე როგორც გრიგოლის, სივრცეში იკარგებოდა.

ლოპიანა წინ წამოდგა, ხელში ვეებერთელა ყანწი ეჭირა და ზურნის ხმასთან ერთად ქუხილივით გაისმა:

— თქვენი საღვგრძელო იყო, ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მოთმინება იქონიეთ, ღმერთი მოწყალეა!

ფანჯარასთან თავმოყრილი შეთქმულნი აცრემლებულნი გასცქეროდნენ მოქეიფეებს, ხედავდნენ, ხელებშემართული იდგნენ ისინი ყაზარმის წინ სავსე ყანწებით და დღეგრძელობას უსურვებდნენ საკნებში დამწყვედულთ.

ყაზახები შემოეხვივნენ მოქეიფეებს, გრიგოლი ხედავდა, როგორ დაიმკლავა ლოპიანამ, ფუთიანი მუშტი ცხვირწინ დაუტრიალა ყაზახებს. გრიგოლი ყაზარმიდან ამხნევებდა მათ:

— ყოჩაღ, ლოპიანავ, ტყუილად არ მქონდა შენი იმედი!

ყაზახებმა გაფანტეს მოქეიფენი.

გრიგოლმა ახედა მთვარის შუქით განათებულ მშობლიურ ცაბ, მოეჩვენა, ვარსკვლავებს შორის ეფემია მიცქერსო მზრუნველობით. ორივე ხელი გაიშვირა მისკენ და გულს აღმოხდა:

— დაო სასურველო! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ...

### იყო და აღარ არის

ღარღი ჩამოწვა ქალაქში, მწუხარებამ მოიცვა ყველა სახლი და ყველა ოჯახი. ერთადერთი სალაპარაკო ყაზარმიბაღა იყო. ერთი ღარღი გასჩენოდათ ორბელიანებს, ჭავჭავაძეებს, ერისთავებს, ბარათაშვილებს და სხვებს.

მოწყენით გამოიყურებოდა ორბელიანების ორსართულიანი შენობა, ხანგამოშვებით თუ გამოჩნდებოდა კდრითო მოაჯირშემოვლებულ აივანზე რომელიმე ფარეში, რომლის შემფოთებულ სახეს და აჩქარებულ ნაბიჯს ეტყობოდა, რომ სახლში მწუხარებას დაესადგურებინა...

ხორეშანი მძიმე ავადმყოფი შექმნილიყო. პატიმარი გრიგოლის ღარღი თითქოს შეემსუბუქებინა ამ ახალ ღარღს, ეფემია განუშორებლად თავთან უჯდა დედას. გაზაფხულის საკმარისად თბილი დღე იყო, მაგრამ ავადმყოფის ოთახში მაინც ბუხარი გუზგუზებდა. ხორეშანს საბნის ზემოდან დაეწყო უღონო ხელები, თვალი ჰკრისათვის გაეშტერებინა, თითქოს იქ განვლილი დღეების სანატრელ სურათებს ხედავს: — აი, დასაძინებლად ჩააწვინა ხორეშანმა პატარა გრიგოლი, ახლა კი ჩუმად ლოცულობს მისთვის, თან წმინდა აიაზმას ასხურებს... და სურათს სურათი სცვლის: ზამთრის გრძელ დამეგებში აღა-მამადხანისაგან თბილისის აოხრების შესახებ მოუთხრობს პატარა გრიგოლს ხორეშანი. აი, ეზოში ჯოხის ცხენს დააქნებს მისი კურკა ბიჭი, აგერ ანჩისხატის დეკანოზთან ფეხების ბაკუნით მორბის პატარა და ხორეშანი აივნიდან გადასცქერის მას.

ახლა, ახლა კი ციხეში ზის მისი გრიგოლი და სნეულებამ ისე დაიჯანა ხორეშანი, ძალა არ შესწევს მიეშველოს. წარსულის სურათებმა გაირბინეს ხორეშანის თვალწინ; მოაგონდა ეფემიას პირველი და თავისი უკანასკნელი ძეობა, ორი ვაჟაკი გაჩნდა მაშინ ორბელიანებისას; ერთი მემკვიდრე და მეორე მათი სახლის შვილი. როგორ ახარებდა მასა და გრიგოლს ტატოს გაჩენა. რა განსაკუთრებული სიყვარულით უყვარს გრიგოლს ტატო. ეფემიას შეხედა ხორეშანმა.

— ეფემიავ შვილო, უკანასკნელად გრიგოლს რომ რუსეთისაკენ ეისტუმრებდი, გული მეუბნებოდა: ველარ ნახავო საყვარელ შვილს, ამისრულდა

გულის წინათქმა, — ღრმად ამოიოხრა ხორეშანმა, წამით შეისვენა:

— ხედავ, შეილო, ლაპარაკი მიჭირს.

— ავადმყოფობამ დაგასუსტათ, დედავ ბატონო.

— შენ ეგრე ფიქრობ, შეილო? არა, ეფემიავ, სიკვდილი მიახლოვდება, სიკვდილი, გრიგოლი როცა გამოვიდეს, გადაეცი: დედაშენის უკანასკნელი სიტყვები შენი ლოცვა-კურთხევა იყო-თქო. იცოდეს, ჩვენი ოჯახის დედაბოძი ის არის და მარად ჰქონდეს თავისი ქვეყნისა და ოჯახის სიყვარული. — გამდელს მოუხმეთ, ბიჭი მღვდელთან გაგზავნოს, ზიარება მინდა მივიღო, ჯალაბსაც დამიძახე უკანასკნელად.

— დედავ ბატონო, ვანა რა გკირთ საამისო?

— დრო არის, შეილო. ბევრი სიხარული და ბევრი მწუხარებაც უნახავს დედაშენს: თბილისის აოხრება, მეფე ერეკლეს სიკვდილი, შავი ჭირი ქალაქში... რომელი ერთი მოვიგონო? ახლაც კი დრო არის გუდანაბადი ავიკრა, ჩემს წინაპრებს მივაკითხო.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ ხორეშანის გახშირებული სუნთქვა და ბუხარში ცეცხლის ტაკუნის ისმოდა ხანგამოშვებით. ჯალაბობა შემომწკრივდა. ხორეშანმა ხელით ანიშნა მის საწოლთან მისულიყვნენ. ილიამ და ტატომ ხორეშანის წინ დაიჩოქეს. ხორეშანმა ტატოს ხელი თავზე დაადო, წაიჩურჩულა:

— ჩემო ტატო, უკვალოდ არ გაგველოს ცხოვრება, შენი ერის უკვდავებისათვის ერთი ქვა შენც მიგეტანოს. მოსაგონრად დარჩენოდე შთამომავლობას.

ხორეშანმა დალოცა ყველა.

ანჩისხატის დეკანოზს ალექსი მესხიშვილს მიუბრუნდა:

— შეტოდებანი შემინდეთ, მამაო, საუკუნო სამყოფელს მივდივარ.

ზიარების მიღების შემდეგ თანდათან ცუდად გახდა ხორეშანი. გამდელმა ბიჭი გაგზავნა და ქალაქს სწრაფად მოედო ხორეშანის ცუდად ყოფნის

ამბავი. დარბაზში თავი მოყვარეს: თეკლამ, სალომემ, მანანამ, ხორეშანის ოთახიდან გამდელი გამრდოლად დღევამოშვებით და ავადმყოფის ამბავი გამოჰქონდა.

ბინდი ჩამოწვა ქალაქში, თანდათან უარესად ხდებოდა ხორეშანი, თითქოს დღის დაღვევასთან ერთად იხურებოდა მისი ცხოვრების კარებიც.

სათქმელი წართმეოდა ავადმყოფს, უყურებდა მის ლოგინთან ჩამწკრივებულ ილიას; ტატოს, ბარბალეს, ნინოს და ცრემლი დიოდა თვალთაგან. ეფემია ცხვირსახოციტ წმენდა ცრემლს, გულში იკრავდა ცხვირსახოცს, თითქოს სამუდამოდ უნდა შეინახოს დედის უკანასკნელი ცრემლებიო.

ტატო უხმოდ იდგა დიდედის სასთუმალთან. ხედავდა, სიკვდილი როგორ ეპარებოდა დიდედს. შეაერთო სიკვდილის აჩრდილის პირისპირ შეყრამ, მოეჩვენა, შორს, სადაც შორს იყო მისგან დიდედა. დასჩერებოდა მის გამხდარ, დანაოკებულ სახეს, ჩამქრალ თვალებს და ასე ეგონა, არც კი იცნობდა მას. დედის ხელს მზერა გააყოლა, ცრემლის მოსაწმენდად რომ მისწვდა ხორეშანს. გაუელვა, რა თეთრი და ლამაზი ხელები აქვს დედას, ოდესღაც ასეთი ხელები ჰქონდა დიდედასაც.

— იყო და აღარ არის.

გაახსენდა დიდედა ხორეშანი, ახალგაზრდა, სიცოცხლით, სიკეთით და სათნოებით სავსე და ახლა, როგორც მბუხტავი კელეპტარი ოდნავ ციაგობს ბნელ ტაძარში, ისე ოდნავლა ისმის ხორეშანის სუნთქვა, და ხედავს ტატო, როგორ თანდათან ნელდება საბნის მოძრაობა ხორეშანის კეერღზე. აღარ უნდა დიდედის ფერმკრთალი საბნისა და ჩამქრალი თვალების მზერა. მხოლოდ საბნის ოდნავ მოძრაობას უყურებს. შეწყდა ეს მოძრაობაც და... იყო და აღარ არის.

ხორეშანმა სუნთქვა შეანელა. ტატომ დაინახა, როგორ ჩამოუგორდა დამკვნარ ლაწევებზე უკანასკნელი ცრემლი.

დედის ქვეთინი ჩაესმა ტატოს. დარბაზიდან შემოვიდნენ ქალები, ჩამობნელდა ოთახში, აღარც ცეცხლის ტაკუნის ისმოდა, ბუხრისაკენ მიიხედა ტატომ, ჩამქრალიყო ცეცხლი, გარუჯული კენჭიღა ეგდო ბუხარში და უძრავად იწვა ხორეშანი. კელეპტარი ანთო გამდელმა ხორეშანის თავთან, ანჩისხატის დეკანოზი ლოცვას ბუტბუტებდა, თითქოს საიდუმლოს ანდობსო მიმავალს. კელეპტარის შუქი დაციმციმებდა ხორეშანის დაღარულ შუბლს.

— იყო და აღარ არის! — კვლავ ჩაესმა ტატოს, ასე იქნება დედაც, მამაც, ილიაც და ტატოც. შეერთა. გაქცევა მოუნდა. მიიხედ-მოიხედა, ქალების ქვეთინმა ფიქრი შეაწყვეტინა, დედა ჩუმი ხმით დასტიროდა დიდედას.

— ჩვენი ქვეყნის კირვარამის მუღმივი მოწმე იყავ, დედა, მუღამ შენ ქვეყანას დასტრიალებდა შენი ფიქრი. შენ გვასწავლე ქვეყნისა და მოყვასის სიყვარული, დედა!

უსიხარულოდ მიდიოდნენ ღლეები. ხორეშანის სიკვდილმა მწუხარება შემატათ, შავით მოსილი ორბელიანები და ბარათაშვილები იშვიათად გამოდიოდნენ გარეთ.

გული დაეხშო ტატოსაც. საყვარელი დიდედის დასაფლავების შემდეგ პირველად მიდიოდნენ სკოლაში ისა და ილია. შედგნენ, ყაზარმებს გახედეს, უსიამოვნოდ გამოიყურებოდა ნაცრისფერი შენობა.

— იქნებ გვხედავდეს გრიგოლი?

— შორსა ვართ, ვერ დაგვინახავს.

— იმ ღლეს ფანჯრის ჭუჭრუტანიდან ხედავდა თურმე, როგორ გამოვასვენეთ დედა.

— საწყალი, რარიგ დაიტანჯა, ფანჯრის ჭუჭრუტანიდან უყურებდე, როგორ ასაფლავებენ შენთვის საყვარელ ადამიანს, მისვლა კი არ შეგეძლოს, იმიტომ რომ ვილაცას არ მოსწონხარ. რად აძლევს ადამიანი ადამიანს ამდენ უფლებას?

— იასეს საქციელმა უბედურება დაგვატეხა, დედასაც ამეამბავსა მოუზიზღოთქა

— ძია გრიგოლმა არა თქვა, იასეს რომ არ გაემკლავებინა, შეთქმულება მაინც გაეცმული იყო ივანე ყორღანოვისაგანო.

— ეგ იასეს არ ამართლებს. ყორღანოვს დაწვრილებითი ცნობები არ ჰქონდა.

— ძია გრიგოლი მართალია; ნიკო ფალავანიშვილია დამნაშავე, იმან დაგვლუა, ის საქართველოსაც გაპყიდის, თუ დასჭირდა.

ამ ლაპარაკით მივიდნენ ბიძა-ღის-შვილი გიმნაზიასთან.

მოსწავლეებს დერეფანში მოეყარათ თავი, ჩუმად საუბრობდნენ, მის შემდეგ, რაც სკოლის მასწავლებლები წაიყვანეს, სკოლაში ყველა ბავშვი ფეხისწვერებზე დადიოდა, ცდილობდა ჩუმად ყოფილიყო და ჩურჩულით ელაპარაკა, თითქოს სკოლაში მიცვალებული ყოფილიყო დასვენებული. ტატოსა და ილიას შემოეხევივნენ და ჩურჩულით დაუწყეს თავის აზრების გაზიარება.

— საღამო გვინდა გავმართოთ!

— თქვენ მოსვლას ველოდით! — ესმოდათ აქეთ-იქიდან ტატოსა და ილიას.

— რა დროს საღამოა, — ხელი აიქნია ილიამ.

— ეხ, ვერ გაიგეთ, ეს ხომ ჩვეულებრივი საღამო არ იქნება.

— სოლომონს გავაგებინეთ, აზრი მოგვიწონა — ბრძოლის განგრძობა აუცილებელიაო, მეც აქედან გიხელმძღვანელებთ, როგორც მომიხერხდებაო.

— ამ გაკვეთილზევე მოვილაპარაკოთ, დემენტეევმა იცის, დახმარება აღგვითქვა.

— წავიდეთ, საკლასო ოთახში წავიდეთ!

საკლასო ოთახიდან გაცხარებული ლაპარაკი ისმოდა.

— საღამოზე მოწაფეებს შეუძლიათ წაიკითხონ საკუთარი ლექსები, ან გამოვიდნენ სიტყვით.

— სალამო გაიხსნება სენის დეპარტამენტის მოწოდებით „თავისთა თანამოქალაქეთა მიმართ“, მას ლევანი წიკითხავს, როგორც საკუთარ წერილს.

— რაზმადის თარგმანი? — იკითხავილაქამ.

— დიას, ეურნალში რომ დაიბეჭდა.

— ტატო, შენ რილეევის წერილი წიკითხე, ცოლისადმი მიწერილი.

— ნაწარმოების ავტორებს არ დავასახელებთ, სათაურებს შევეუცვლით, მხოლოდ პირველი სიტყვებისთანავე არ უნდა მიგვიხვდნენ ეშმაკობას.

— გუნდისათვის აღექსანდრეს „მთვარე“ გამოგვადგება, „ნალივიაციო“ კარგია.

შეორე დღეს გიმნაზიის დერეფანში ვეებერთელა აფიშის წინ მოსწავლეებს თავი მოეყარათ და სალამოს მონაწილეთა გვარებს კითხულობდნენ.

ჭავეჭავეებისას მისულ ტატოს, ილიას და ლევანს ეკატერინემ კარბ-შივე მიაძახა:

— სალამოს მართავთ?

— ვინ ვითხრათ, ჩიტმა მოგიტანათ ამბავი?

— აი, ჩიტო, ამან მოიტანა ამბავი, — ეკატერინემ მაიკოზე მიუთითა.

— აი, მაიკო, შენც აქა ხარ, შენთან წამოსვლა აღარ დაგვჭირდება.

— ჩემი ნახვა გინდოდათ? — მაიკომ ლევანს თავისი მშვიდობიანი თვალები მიაპყრო.

— მანანას დაკითხვის ამბავი გვინდა გავიგოთ. გეცოდინებათ, რა ჩვენება მისცეს.

— მანანა იქიდან ჩვენთან მოვიდა, — ახლა ამოიღო ხმა სავარძელში მჯდომმა ნინომ და წამოდგა, — ჩამოწერილი ჰქონდა კითხვები: იცნობდი თუ არა აღექსანდრე ჭავეჭავეს? გრიგოლ ორბელიანს? გუბერნატორ ზავილეისკისო?

— რა პასუხი გასცა მანანამ?

— ეს პირები ყველანი ჩემი ნათესავები არიან და როგორ შეიძლება არ ვიცნობდეო. სხვა რამე მე არაფერი არა ვიცი რა და ვერც მოვიფიქრებდი,

რომ ამისთანა საშინელი განზრახვა ჰქონდა ვისმესო.

მარკინეშვილი  
ნიკოლოზი

• •

მიძინებული ქალაქის ცხოვრება სალამო-კონცერტის მოლოდინმა გამოაფხიზლა. დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.

ნინო, ეკატერინე, მაიკო და ტასო ერთად შეჯგუფდნენ. ნინო მეუღლის დაკარგვის შემდეგ პირველად გამრავდა საზოგადოებაში, ამიტომაც ყველას ყურადღებას იქცევდა.

შავი ხავერდის კაბა ეცვა, მკერდს ბრილიანტის ბახჩაქინძისთავი უმშვენიებდა:

ეკატერინე ადგილზე ვერ ისვენებდა, ხან ერთთან მიიჭრებოდა, ხან მეორესთან.

— როდის დაიწყება?

— მოიცა, კატინკა, დაწყნარდი! — ამშვიდებდა ნინო.

კონცერტი დამთავრდა, ხალხი წასასვლელად გაემზადა, დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, ვილაქამ ვილაქაზე მიიწია, ხმები აიჩრა.

— ვინ დაგვცინის? — ვინ არის მაგათი დასაცინი?

— რა ნახეს დასაცინი?

— რაო, რა თქვეს?

მოჩხუბრები დააწყნარეს, აღელვებულები დააშოშინეს. ხალხი ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად გამოეფინა, ცხარობდნენ სალამოთი უკმაყოფილონი.

ნინო, ეკატერინე, მაიკო და ტასო დროშკაში ჩასხდნენ. ნინო დროშკიდან გადმოიხარა, დაფიქრებულ ტატოს უთხრა:

— არ დაღონდე, ტატო, მიზანი მიღწეულია, დაცინვა დამარცხებულთა იარაღია.

ტატო მომავალ დროშკას მიაჩერდა, როცა დროშკა მოსახვევში მიიშალა, წაიჩურჩულა: — დაცინვა დამარცხებულთა იარაღია, — თავი გაიქნია, მაგ-

რამ არა, მაინც ვერ აპატიებს მთ. ამხანაგების ჯგუფს შეუერთდა.

ყველანი ერთად მიდიოდნენ, ერთ-მანეთს ლაპარაკს არ აკლიდნენ, მხოლოდ ტატო მისდევდათ ჩუმად, შეურაცხყოფით გამოწვეული ტკივილი მწვავე ჭრილობასავით არ ასვენებდა და სათქმელს უხშობდა.

ეფემია კარებში შეეგება ტატოს, შვილის გაფითრებული სახე რომ დაინახა, შეშფოთდა:

— რა იყო, შვილო?

— არაფერი, დედა, დავიღალე.

— როგორ ჩატარდა საღამო?

— კარგად, — ტატომ ხელი ჩაიქნია.

მიხვდა ეფემია, ახალი ჭრილობა გასჩენოდა შვილს.

— წადი, შვილო, დანაყრდი, ლოგინიც მზად არის.

დაწვა ტატო, სიბნელეში თვალგაშტერებული მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: სამაგიერო უნდა გადაუხადოს, სამაგიერო, დაცინვისათვის, ძია გრიგოლისათვის, სოლომონ დოდამვილისათვის, დიდდა ხორეშანისათვის, და პირველად თავის ცხოვრებაში მთელი ღამე არ უძინია ტატოს.

ეფემიამ დილით თავის ოთახში შემოსული ტატო რომ დაინახა, გაოცდა, ტატოს წუხანდელი დარდის არაფერი ეტყობოდა; სახე გაბრწყინებოდა, თვალები ანთებოდა:

— სკოლაში მივდივარ, დედა!

— ისაუბრე, შვილო?

— მეჩქარება, ძალიან მეჩქარება!

— ნახუქი წაიღე!

ტატომ ნახუქი ჯიბეებში ჩაიჩარა, არც გაუგია, რა უთხრეს.

ეფემია დაფიქრებული მისჩერებოდა სირბილით მიმავალს.

— სად გაქრა წუხანდელი დარდი? ღმერთო, რა სწრაფად იცვლის ხასიათს...

სირბილით მიდიოდა ტატო, სკოლის

კიბე აირბინა, ცარიელი საკლასო ოთახი რომ დაინახა, შეკრთა, კარებში შეჩერდა, როგორ ეჩქარებოდა ამხანაგებისათვის ეამბნა თავისი ნაფიქრი. ეგონა, მოუთმენლად ელოდებოდნენ. ისინი კი არც მოსულან. უსიამოვნოდ გაიქნია თავი, ოთახში სიარული დაიწყო. ოთახში პეტრე ბაგრატიონი შემოვიდა.

— რამ მოგიყვანა ასე ადრინაღ?

— მოდი, რა გაჩვენო. — ტატომ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და პეტრეს გაუწოდა. პეტრემ ქაღალდი ჩაიკითხა.

— შენი ჭირიმე, ტატო! — გადაეხვია ტატოს პეტრე და რამდენჯერმე შემოატრიალა.

— რა მოხდა? — იკითხა ოთახში შექმოსულმა ლევანმა.

— შითხარით, რა იყო?

— რა მოხდა? — კითხულობდა საკლასო ოთახში ყოველი ახლადშემოსული. როცა ყველამ თავი მოიყარა, პეტრემ ფურცელი ჰაერში ააფრიალა, სკამზე შეხტა, კითხვა დაიწყო:

— კონცერტებში დაგვაპატიეს, დაგვათვლევინეს ფულები, — დაიწყო პეტრემ.

— მშვენიერია!

— ყოჩაღ, ტატო!

— ახლაც დაგვეცინონ!

— ვნახოთ, რომელი ვაჯობებთ!

— როგორ გაგავრცელოთ?

— ჯერ გადავეწეროთ.

— ლევან, გადასწერე, კარგი ხელი გაქვს.

ლევანი მაგიდას მიუჯდა, დანარჩენები გარს შემოეხვივნენ; გვერდით მოუსხდნენ, წინ დაუდგნენ, სკამებზე ავიდნენ, ყველას ეწადა დაენახა, როგორ წერდა ლევანი.

— მზად არის, — წელში გასწორდა ლევანი, ნაწერს კმაყოფილი ღიმილით დახედა.

კონვერტი მიაწოდეს.



ზაქარია შერაზარაშვილი



ზედაზენს ასკლა

სამი დღე-ღამე ვემზადე,  
მერე ამოველ ზედაზენს  
ზორაგითა და მაჭრითა.  
თბილისში ჩამოყვითლებულს,  
თბილისში დაჩიავებულს,  
ზედაზენის ჰავა დამჭირდა.

ზედაზენის მიწამ მიშვილა,  
სამი დღე-ღამე ვიძინე,  
გამომადვიმა შიმშილმა,  
მუხლზე მომხსნოდა სიმძიმე.

სამი დღე-ღამე ვსადილობ,  
ვერ ვიპირები სადილით,  
შენ, სიცოცხლეო ნამდვილო,  
ყოფილხარ ასე ადვილი.

სისხლმა დაბერა ძარღვები,  
ზორცმა გამივსო ყვრიმალნი,  
დედა ქართლს ისე დავცქერნი,  
როგორც ირემი მყვირალი.

განა უბრალოდ ავბარგდი,  
სამი დღე-ღამე ვემზადე,  
შარშანწინ მადა გამერთო,  
იმის წინ ძილი დავკარგე,  
დღეს დავიბრუნე ზედაზენს.

აღარ ვარ ჯანით ღარიბი,  
დაეუძმაკაცდი ტოროლას,  
ნაიალღარ ხარივით  
ჩამოვბრძანდები სოლოლაქს.

ამ ტყეებს ეკალ-ბარდიანს,  
ამ დედამიწას ვიფიცებ,  
ო, რა მსუბუქად დავდივარ,  
ო, რა მხნედ გამოვიღვიძე.

## ბაბკაშ შინაუბა



ჩლოუ<sup>1</sup>, ჩლოუ! აქ დამერწა  
ყრმობის აკვანი  
და პირველი ჩემი ლექსის  
ბუდეც აქ არი.  
მინდა ვითხრა, ლაგანიანს<sup>2</sup>.  
ძველი სათქმელი...  
შემომილო, რა ხანია,  
მთვარემ სარკმელი.  
ირველივ მთვარით შევერცხლილი  
შენი მთებია,  
ჩემს სარკმელთან მოსულან და  
მომჩერებთან,  
მოსულან და მოჯარულან,  
დგანან ამაყად,

მეძახიან, მომძახიან  
თითქო ხმამალლა:  
„შენი სიტყვა ძლიერია  
ქარიშხალივით?  
ანდა თუა გამჭვირვალე  
წყაროს თვალივით?  
შენი ფიქრი მაღალია,  
როგორც ერცახუ?<sup>3</sup>  
შენი ლექსი თუ დაიტევს  
მთების მოძახილს?“  
ჩლოუ! ჩლოუ! აქ დამერწა  
ყრმობის აკვანი  
და პირველი ჩემი ლექსის  
ბუდეც აქ არი...

როდესაც ღამეა უკუნე  
და თვალებს გიბრმავებს ღამე,  
როდესაც მიარღვევს გუგუნით  
მდინარე ხევეებს და ხრამებს,  
მე თვალახვეული გამიშვით,  
გამიშვით, დამაგდეთ გზახე,  
ჩემ ჩლოუს მივავნებ ღამეში,  
ჩემ სოფელს ვიპოვი ასეც.  
მოვარდეს, მოდიდდეს დვაბი<sup>4</sup>,  
თვალი ვერ ხედავდეს ნაპირს  
გადავალ ნაკვალევს ჩემსას  
დაიმჩნევს მდინარის ქაფი...  
ღრუბელს მოვეხვევი ხელებით  
ღრუბელი წამიყვანს ცისკენ  
ქედებს გადავლახავ მერე კი

გავხედავ შავი ზღვის სივრცეს  
კალთებს ავიყეცავ ჩოხისას  
ყაბალახს ნისლეზად გავშლი,  
ჯენიხუს<sup>5</sup> მივალ და მოყმის ხმა<sup>6</sup>  
იქნებ გავიგონო ქარში  
საზღვარი არა აქვს არსაით —  
უსაზღვროდ მიმაფრენს ფიქრი,  
გახედე, აწყდება ზღვასავით  
მთებს ჩაის ბუჩქების რიგი.  
ეს შენ ხარ პატარა სოფელი,  
ჰო, ჩლოუ, ძვირფასო, შენ ხარ,  
გულისგან ხარ განუყოფელი —  
ყველაზე ღამაში ქვეყნად!

თარგმანი ბ. სულბაბაშინისა

<sup>1</sup> ჩლოუ — პოეტის მშობლიური სოფელია

<sup>2</sup> ლაგანიანი — ჩლოუს ერთ-ერთი უბანია.

<sup>3</sup> ერცახუ — ყველაზე მაღალი მთა აფხაზეთში.

<sup>4</sup> დვაბი — მთის მდინარე.

<sup>5</sup> ჯენიხუ — მინდორი ჩლოუსთან, ხადაც შეიპყრეს ზღაპრული გმირი — ღმერთებთან მორკინალი აბრისკილი.

<sup>6</sup> მოყმეში იგულისხმება აბრისკილი.



## აბმის ყვავილი\*

ერთ დიდ ქალაქში, რომელიც ახლა, ვინ იცის, იქნებ არც კი არსებობს, ოდესღაც ცხოვრობდა ერთი გამოჩენილი მკურნალი.

მას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, სახელად ნადირ, რომელსაც თვითვე ასწავლიდა სამკურნალო მეცნიერებას, რომ მისთვის დაეტოვებინა დიდ ქონებასთან ერთად დიდი სახელი და გავლენა.

ნადირ სამეცნიერო ფოლიანტების კითხვას რომ მორჩებოდა, ხარბად ეწაფებოდა ძველ არაბულ და სპარსულ წიგნებს და მისი ახალგაზრდა გული თრთოდა საოცარი ამბებისა და ზღაპრულ თავგადასავალთა თავბრუდამსხმელ უცნაურობისაგან.

ყმაწვილმა ადრე შეითვისა სიყვარულის დაუთრგუნავი ძალა და, თუმცა მამა ზრდიდა მას კარჩაკეტილად და ჯერ მის თვალებს არ ეგემნა ქალის ღიმილის სიტკბოება, მისი ნორჩი გული სავსე იყო სიყვარულის ათასფერი ელვარებით.

ერთხელ, როცა ნადირევმა აპრილმა თითქოს ოქრო-ნარევი ფირუზი გამოანგრია და ქალაქის ქუჩები აავსო მზისა და ცის ნამსხვრევებით, ნადირ მივიდა მამასთან და უთხრა:

— ძვირფასო მამავ, ეს ერთი კვირაა ჩემი ოთახის ფანჯრებს შეეჩვია ჰეროვანი მოჩვენებები, რომელთა შეუწყვეტი შრიალი და ელვარება არ მაძლევენ მოსვენებას და მეცადინეობას მიშლიან. როცა მზე ცის დასავალს ჩაიძირება და ღამე გაშლის ვარსკვლავიან კალთას, მე არ მაძინებს უცნაური ჩურჩული, რომლითაც ივსება ჩემი

ყურები, მეჩვენება, თითქოს ნიავი არხეეს ვარსკვლავებს და ისმის ჩუმი რეკა და წვრილი ვერცხლის ეფენებისა. თითქო მიდის ზღაპრული ქარავანი ჰაეროვან არსებათა და ჩემი ფანჯრის მინებს ასკდება გაუგონარი მუსიკის აბრეშუმის ტალღები. მამავ, მასწავლე, როგორ მოვიშორო მოჩვენებათა მოუსვენარი გროვა.

მამამ შეიღს მაჯა გაუსინჯა, ჩახედა თვალების ქუთუთოებში და უთხრა:

შეილო ნადირ, შენ უკვე შეგისრულდა თვრამეტი წელი, კვაბუჯური სისხლი გიჩქეფს ძარღვებში და გაზაფხული ანთებს ოცნებებს. უნდა ასეა თვალებს მზისა და ყვავილების შუქი, უნდა ასმინო ყურებს ტყისა და წყალთა ხმაური. ხვალ, მზე რომ ამოვა, შეჰკაზმე ცხენი და წადი ქალაქ გარეთ. გააჰენე ცხენი, რომ მზიანი ჰაერის წივილმა დაგიტკბოს სმენა, ესტუმრე ტყეს, მინდვრებს და წყაროებს. შინ დაბრუნდი მზე-ნასვამი და დაღლილი, ივანშემ მადიანად და უღარდელად დაგეძინება.

ნადირმა შეასრულა მამის დარიგება. მეორე დღით, მოაჯდა ცხენს და ქალაქიდან გავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ნადირ მიადგა ერთ განიერ ველს, რომელსაც შუა ჰყოფდა პატარა მდინარე.

ნადირ აძევა მდინარის პირს აღმა, გაიარა ველი და მალე ავიდა ერთ ბეჭობზე, რომლის ერთ მხარეზე გამოჩნდა ნუშის თეთრ ყვავილებით დათოვლილი არე, ხოლო მეორე მხრით — ატმის ბალის ვარდისფერი ზღვა.

ნადირმა იცნო ეს ადგილი. ერთხელ, ათიოდე წლის წინათ, როცა მას საყვარელი დედა ჯერ კიდევ

\* ნაწყვეტი დაუმთავრებელი რომანიდან „ირმა“.

ცოცხალი ჰყავდა, აქ გაიარა დედ-მამას-თან ერთად.

მას მოაგონდა, თუ როგორ ჩამოსხდნენ იმ ატმის ბაღში დასასვენებლად და როგორ უამბო მას მოხუცმა მეზობელმა მშვენიერი ზღაპარი ატმის ყვავილზე. ეს ზღაპარი მას ისარივით ჩაესო მაშინ გულში და ახლაც ახსოვს მომხიბვლელი ამბავი შეყვარებული ქალი-სა, რომელმაც წვეთ-წვეთად შეასვა თავისი გულის სისხლი ატმის ხის ფესვებს საყვარელი არსების გადასარჩენად.

ნადირ გაემართა ატმის ბაღისაკენ. მზე თითქოს აღუღდა და ოქროს ქვაბიდან გადმოიღვარა სხივების ნათელი წვიმა და წარმტაცად ააფერადა ატმის ოდნავ აწითლებულ ყვავილების მორევი.

ბაღში რომ შევიდა, ნადირ ცხენიდან გადმოხტა, ცხენი საძოვრად გაუშვა და თვითონ გაჰყვა ხეივანს.

ბაღში ტრიალებდა დამათრობელი სურნელი ყვავილებისა და მზისა ათსგვარ ბალახისაგან უცნაურად შეზავებული.

გაიარა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, ბილიკის ერთ მოსახვევზე უეცრად წააწყდა ბალახზე დაჩოქილ ახალგაზრდა ქალს.

ქალი თითებით ურევდა ბალახს, თითქო ეძებს რასმეო.

ნადირ შეჩერდა.

ქალი შეკრთა და შეშინებული ირმის თვალუბი მომართული ისრებივით მოუღირა ვაჟს.

ნიავე ოდნავ არხევდა ყვავილებით დატვირთულ ატმის შტოებს და ქალის შავ თმაზე ნელა ირხეოდა შტოებიდან გადმონადენ მზის სხივების ბაღე.

ყველაფერი, რაც ქალის სილამაზის შესახებ ნადირს გულში დაეგროვებინა, ერთად აენთო და ნადირის თვალბეშა დაგუბდა:

ალტაცებული ვაჟი გარინდებით უცქერდა დაჩოქილ ქალს, ხოლო ვაკვირებული და შეშინებული ქალი მიანგ-

რებოდა ვაჟს, როგორც მოჯადოებულ ღიტი გველს.

— ბაბუ შინ არ არის? — თქვა დაუხამხამებლად წარმოსთქვა ქალმა და გაინაბა.

— ვინ არის შენი ბაბუ? — როგორც იყო, გაბედა ნადირმა.

— მეზობელი.

— შენ რა გქვია? — გათამამდა ვაჟი.

— ნანა.

— აქ რას ეძებ?

— ბალახს.

— რად გინდა ბალახი?

— წამლად უნდა ბაბუს.

ნადირმა სული მოითქვა და ალერსიანად უთხრა ქალს:

— მე თქვენი სტუმარი ვარ, შენი ბაბუ მიცნობს მე.

ქალი უცებ წამოდგა, თითქო ბურანიდან გამოერკვაო, და მოკრეფილი ბალახი კონად შეჰკრა.

ნადირ ალტაცებისაგან გაშეშდა. მის წინ იდგა არაჩვეულებრივი სილამაზის სულ ახალგაზრდა ახლად აყვავებული ქალი, თავ-ფეხშიშველი, ვარდისფერ ზოლებიანი თეთრი კაბით შემოსილი, სხივებით დაცხრილული ჩრდილი გამჭვირვალი ნისლივით ეხვია გარს და შეშინებულ სახეს გადაჰკრა ვაჟს უხეად ანთებული ატმის ყვავილთა ელფერი.

— შენ რა გქვია? — მოულოდნელად იკითხა ქალმა.

— ნადირ, — მიუგო ვაჟმა.

— ხელმწიფის შვილი ხარ? — ჰკითხა ქალმა და თვალუბი გაუნათდა.

— რომელი ხელმწიფის?

— ბაბუს ზღაპარში რომ არის, მზეთუნახავი რომ მოიტაცა.

— არა მე აქიმის შვილი ვარ, — უთხრა ნადირმა და უცებ იგრძნო, რომ სტყუის, რომ მისი სიცოცხლე დღემდის იყო სიზმარი, მას ახლა გამოეღვიძა როგორც ხელმწიფის შვილს და უყვარს მზეთუნახავი ნანა.

— ხელმწიფის შვილსაც ნადირ ჰქვია, — თითქოს თავისთვის თქვა ქალმა და თავი დაჰხარა.

ნადირს უცებ სული შეეჩუთა, იგრ-

ძნო, რომ გულს ალი მოეკიდა და თუ ამ წუთსვე არ ამოისუნთქა, გულმკერდს გამოუნგრევს დაუნდობელი ცეცხლი.

— მე არ ვარ, ნანა, ხელმწიფის შვილი, — როგორც იყო შეიმაგრა თავი ნადირმა, — მაგრამ მეც ნადირ მქვია და მეც მიყვარს ჩემი მზეთუნახავი.

— სად არის შენი მზეთუნახავი? — ბავშვური ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ნანამ.

— აგერ, — უპასუხა ვაჟმა და თვალებით ორი პეშვისოდენი ცეცხლისალი შეასხა ნანას პირისახეში.

ნანას გააყრვოლა, ხელიდან გაუვარდა ბალახის კონა და ატმის ხეს მიეყრდნო.

კოტა ხნის შემდგომ თავდახრილმა ქალმა წარბებს ქვემოდან ორი შავი ვარსკვლავი შეანათა ნადირს და ისევ დაჰხარა თავი.

ნადირ ახლოს მივიდა ქალთან, ნიავივით ფრთხილად გადაუსო თმაზე ხელი, დაიხარა და ქალს ყურში ოდნავ გასაგონად ჩასჩურჩულა:

— ბაბუს ზღაპარი ჩვენზეა ნათქვამი, დიდი ხანია მე შენ მიყვარხარ და დღეს წამოველ შენს საქებნელად. აჰა, გნახე, ჩემო ნანა, და გეკითხები: ხომ შენა ხარ ჩემი მზეთუნახავი?

ქალმა ამოისუნთქა.

ნადირს მოესმა, თითქოს ჰაერმა ქალის თმაში ჩამარხა რაღაც „პო“-ს მაგვარი ამოხვრა და მეტის მოთმენა ველარ შესძლო, ათრთოლებული ქალი მკერდში ჩაიკრა და კოცნით დაჰფარა მისი სახე.

როცა ბაბუ დაბრუნდა, ძალიან გაუკვირდა ნანასთან ტკბილად მოსაუბრე ვაჟი რომ დაინახა, მაგრამ როცა გაიგო ვინ იყო და ნადირმა გაახსენა მასთან პირველი შეხვედრა, მეტად იამა და დიდხანს ესაუბრა ქალაქის ამბებზე.

სალამოს ნადირ სახლში დაბრუნდა, მადიანად ივანშმა და ტკბილად დაიძინა.

მეორე დღეს ნადირმა უამბო მამას, როგორ გაატარა გუშინდელი დღე, რა დიდი სიამოვნება განიცადა მთელი

დღის განმავლობაში და სთხოვა ხშირად მისცეს ასეთი სეირნობის უნება.

ნანას შესახებ — კი ვერაფერი უთხრა.

მამა შეჰპირდა: ორი დღის მეცადინეობის შემდეგ, ყოველი მესამე დღე შენი იყოს, ვიდრე ჰაეროვან ჩვენებათა გუნდი მთლად არ გაქრება და უცნაური ქარავანიც არ განიადდებაო.

• •  
•

გაიარა სამმა კვირამ.

ქალ-ვაჟი ყოველ მესამე დღეს ერთად ატარებდნენ.

ჰაეროვან ჩვენებათა გროვა თითქოს გაქრა, მაგრამ ნადირს დღედაღამ განუშორებლად თვალწინ ედგა ნანას სახე და ლამით, ჭარავნის ექვნების წკრიალის ნაცვლად, ნადირის სმენას ათრობდა მშვენიერი ქალის თავბრუდამსხმელი ჩურჩული.

მაგრამ ყოველ დღით ნადირ მაინც ეტყოდა მამას, რომ ჩვენებათა ხმაურმა თუმცა იკლო, მაგრამ აბეზარ ქარავნის ძლიერი ჯერ კიდევ არხევს მისი ფანჯრის ფარდას.

ბაბუ არ უშლიდა ქალვას ერთად ყოფნას.

ნანა კვლავინდებურად აგროვებდა ბაბუსთვის სხვადასხვა ბალახს.

ნადირმა ისწავლა საჭირო ბალახის გამოცნობა და ჰშველოდა მას.

როცა ბალახს საკმაოდ მოკრეფდნენ, ისინი დასხდებოდნენ ატმის ხის ძირში და არჩევდნენ და კონავდნენ მოკრეფილ ბალახს.

აპრილი ილეოდა.

ატამს ფოთოლი ესხმოდა და ყვავილი თოვლივით სცივოდა.

ბალი მოფენილი იყო დაცვენილ ყვავილებით და ბაბუ ყოველ დღით ბაღს ჰხვეტდა ტოტით და ზვინებდა აგროვებდა ვარდისფერ თოვლას.

ერთხელ ნანამ ჰკითხა ნადირს:

— თეთრია ბამბასავით ვაშლისა და მსხალის ყვავილი, თოვლივით თეთრია ნუშისა და ტყემლის ყვავილი, მხოლოდ



ატმის ყვავილია შეწითლებული, თითქოს სისხლი გარევიანო. რათ არის აგრე?  
— ჩანს, ბაბუს შენთვის არ უამბნია მშვენიერი ზღაპარი ატმის ყვავილზე — უპასუხა ნადირმა, — ყური დამიგდე და მე გიამბობ, რატომ ურევია ატმის ყვავილს სისხლის წვეთები.

და ნადირმა უამბო ნანას შემდეგ:  
— ხომ ჰხედავ, ეგერ ლურჯ ბურუსში მთა რომ მოსჩანს? იმ მთის ძირს, აქედან ერთი დღის სავალზე, ოდესღაც ასეთივე ატმის ბალი ყოფილა გაშენებული.

ახლა იქ ბალი აღარ არის, მაგრამ მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, იქაური ბალი საუკეთესო ატამს ისხამდა თურმე.

ბალის პატრონი იყო იქაური ქვეყნის მფლობელი, დიდი მემამულე, კაცი მრისხანე და სასტიკი.

მას ჰყავდა ერთადერთი ქალი თიანა, რომელიც ძლიერ უყვარდა.

იქვე ბაღში ცხოვრობდა ხილით მოვაჭრე მოხუცი, რომელსაც იჯარით ჰქონდა ის ბაღი აღებული.

მოხუცს ჰყავდა ახალგაზრდა ვაჟი, სახელად გია.

სიყვარულის გზა უხილავია და გაუგებარი.

ამიტომ არაეინ იცის ბედი ვის რას უშნადებს.

მოხდა ისე, რომ გიასა და თიანას ერთმანეთი შეუყვარდათ.

ეს რომ ქალის მამამ გაიგო, სასტიკად დატუქსა შვილი და იმავ დამეს სახლიდან გახიზნა შორეულ ნათესაეთან.

გიამ არაფერი იცოდა და უკვირდა, რომ ქალი არსადა ჩანდა.

ვის არა ჰკითხა ვაჟმა, მაგრამ ვერავინ გააგებინა, რა მოუვიდა თიანას.

ბოლოს ქალის მამამ ხმა დააგდო. თიანა გათხოვდაო.

გია აუტანელი ჯავრისაგან ლოგინად ჩავარდა.

ერთხელ თიანას მამა სანადიროდ წავიდა, გაცივდა ნადირობაში და მძიმე ავად შეიქმნა.

მომაკვდავმა მამამ თიანა დაიბარა,

გამოეთხოვა შვილს და სული განუტევა.

როცა გიას თიანა დაუბრუნდა, მყოფს სიხარულის ფრთები მოესხა, მაგრამ სენს ფესვები ღრმად გაედგა და გიამ ვერ მოიკეთა.

დადგა ვაზაფხული. ატმის ბალი კვლავ შეიმოსა უმტვერო თოვლივით თეთრ ყვავილებით.

უნდა იცოდე, ნანა, რომ სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, ატმის ხესაც ისეთი თეთრი ყვავილი ესხა, როგორც ნუშსა და ვაშლს.

ავადმყოფ გიას მოუნდა აყვავებულ ატმის ბალის ნახვა და იგი გამოიყვანეს სახლიდან და ატმის ხის ქვეშ დააწვიანეს.

ამ დროს გზად გაიარა იმ ქვეყანაში განთქმულმა მისანმა. თიანამ მისანი მოიწვია გიასთან და გამოჰკითხა ავადმყოფის ამბავი. მისანმა უბიდან ძველი წიგნი ამოიღო, ჩახედა შიგ და სთქვა: — ვიღრე ამ ბაღში ატმის ხეს ყვავილი ესხმება, ავადმყოფი იცოცხლებს, სიკვდილის ერთი ფრთა უკანასკნელ ყვავილს მოსწყვეტს, ხოლო მეორე ავადმყოფის სულს გააქრობს.

მისანმა დაკეცა შავი წიგნი ჩაიღო უბეში და თავის გზას გაუდგა.

დალონდა გია. სევდით აეცხო გული თიანას.

ამის შემდგომ გია ყრველ დღე ეკითხებოდა თიანას: ასხია თუ არა ატამს კიდევ ყვავილიო.

თიანას ყოველ დღილით მოჰქონდა გიასთან ყვავილით დაბუმბული ატმის შტო და ღებდა ავადმყოფის საწოლთან.

გია უცქეროდა ყვავილიან შტოს და თიანას თვალებს და გრძნობდა, რომ თბებოდა მის ძარღვებში გაციებული სისხლი.

ყოველ დღილით ყვავილთან ერთად თიანას მოჰქონდა გიასთან ერთი დღის სიცოცხლე.

და გია ისე შეეჩვია ამას, რომ დაევიწყდა შავწიგნიანი მისანი, და თვალეში სიხარულის შუქი ჩაუდგა.

თიანა მთელი დღე თავს დასტრიალებდა ავადმყოფს და თბილი ალერსით უტკობდა დასენილ გულის ტრევილს.

აპრილი მიიწურა.

ნიაჲმა ბალში ჯერ ფრთხილად, თითო-თითოდ, შემდეგ უფრო მოურიდებლად, ჯგუფ-ჯგუფად, ააფრინა ატმის ყვავილის თეთრი პეპლები.

ბალახი დაიფარა ყვავილთა ფურცლებით.

თიანას გული უკედებოდა როცა ხედავდა, როგორ თანდათან იძარცვებოდა ყვავილებისაგან ატმის ტოტები.

მაგრამ ყოველ დილით მოქონდა მაინც ვიას საწოლთან ყვავილიანი შტო, თუმცა თანდათან უძნელდებოდა ყვავილებით საესე შტოს მონახვა.

აღსასრულის მოლოდინმა თიანას გული შიშითა და მწუხარებით აავსო.

ვიასთან თიანა განგებ იჩენდა მხიარულებას და სახეს ნაძალადევი ღიმილით ინათებდა.

მაგრამ, როცა ყვავილის მოსატანად მიდიოდა, დიდხანს იდგა ატმის ხეს მიყრდნობილი და მდუღარე ცრემლით ასველებდა ხის ძირს.

თანდათან ილეოდა ხეზე ყვავილი და თიანას გულში სასოება.

აპრილი დაიღია.

მაისმა ფოთლებით შემოსა ატმის ბაღი, მაგრამ ერთი ატმის ხე, რომლის ქვეშ ყოველ დილით გულამოსკენით სტროდა თიანა, რაღაცა სასწაულით ინახვდა ყვავილებს.

მიდიოდა დღეები, ვიასთან ყოველ დილით მოქონდა თიანას ყვავილიანი შტო, მაგრამ ჰხედავდა, რომ თანდათან ილეოდა მისი სიცოცხლის ძალაც.

შეუწყვეტ ტირილისაგან თვალებში ცრემლი დაშრა, მაგრამ შეყვარებულმა გულმა თავგანწირვის გრძნობით ანთებული სისხლი გადმოღვარა თვალთაგან.

სტროდა ქალი და სისხლნარევი ცრემლით იკვებებოდა ატმის ხის ფესვები.

და აღიოდა სისხლი ფესვებიდან

შტოებში და ასაზრდოებდა ყვავილებს. და თანდათან სისხლის წვეთებით იფერებოდა ატმის თეთრი ყვავილებს. ასე გაიარა მთელმა ზაფხულმა.

თიანა სტროდა.

ატამი ჰყვოდა.

გია ცოცხლობდა.

დადგა შემოდგომა.

ერთ სუსხიან დილას ლანდალ ქვეულმა თიანამ ძლივს მიიტანა ატმის ხესთან დაღეული სხეული.

იმ დამის ქარიშხალს დაებერტყა ატმის ხე და მხოლოდ ერთ შტოზე ერთი ყვავილი დაეტოვებინა.

დამეზო თიანა ხის ძირს და უცრემლოდ აქვითინდა.

ცრემლი უკვე აღარ იყო.

აღარც სისხლი.

ნელ-ნელა შესწყდა ქვითინი.

თიანას გულმაც ძგერა შესწყვიტა.

ზევით შტოს მოწყდა და თიანას უსულო სახეს დაეცა ობლად დარჩენილი ატმის ყვავილი.

იმ წუთსვე სიკვდილის მეორე ფრთამ გააქრო ვიას სული.

უცებ თიანას სახეზე შუქი აენთო, ავარდა ზევით ვარდისფერი ალი და ატმის ხე კოცონივით აბრიალდა.

როცა შუქი ჩაქრა, ყვავილებით დატვირთული ატმის ხე ვარდის ქოლგასავით ადგა თიანას სხეულს.

ამბობენ, მას შემდეგ ის ერთი ხე ზამთარ-ზაფხულ უქცნობ ყვავილებით არის შემოსილი, მაგრამ მას მხოლოდ ის დაინახავს, ვისაც თიანასავით წმინდა სიყვარულით უცემს გულიო.

ნადირმა დაასრულა ზღაპარი და ნანას შეჰხედა.

ნანას ნადირისაკენ მიეპყრო დაღერევილი სახე და ღია თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

ნანამ გაიღიმა.

სველ წამწამებზე ნაპერწკლებად დაიფანტა კბილთა შუქი, თითქოს ნაწვიმარ ტყეს თეთრ ღრუბლიდან მზე გადაესხაო.



მოახლოვდა ატმის დაკრეფის დრო. მალე ხაფხულოც გაივლის და ბაბუ წაიყვანს აქედან ნანას სადღაც შორეულ სოფელში.

მაგრამ ნადირმა იცის, რომ ეს არ მოხდება.

ნადირ გაუმხელს მამას ბრწყინვალე საიდუმლოს და მიგვრის მას თავის შვეს.

მამა, რასაკვირველია, ჯერ წინააღმდეგობას გაუწევს ნადირის გულისთქმას, მაგრამ დაინახავს თუ არა ნანას, სიხარულით გადააკოცნის ორივეს.

ასე ფიქრობს ნადირ, და ამიტომ უჩრდილოა მისი ნეტარება და გულში მისი — სინათლით სავსე.

ერთხელ ნადირ და ნანა სასეირნოდ წავიდნენ.

როცა ბაღს კარგა მანძილზე დაშორდნენ, ნადირმა ბუჩქებში შენიშნა შვეფოთლებიანი წითლად დაწინწკლული უცნაური რამ ყვავილი, და მოსაწყევტად წაიწია.

— არ მოსწყვიტო! — შეჰკივლა ნანამ, ჩაელო ხელი ნადირს და, შეშინებულმა, საჩქაროდ მოაშორა იქაურობას. — განა არ იცი, რომ ის სიკვდილის ყვავილია?

— მე ჯერ არსად მინახავს ასეთი ყვავილი და არც არაფერი გამიგონია მის შესახებ, — თქვა ნადირმა.

— ჩანს, შენთვის ბაბუს არ უამბნია საშინელი ზღაპარი სიკვდილის ყვავილზე, — ღიმილით წარმოსთქვა ნანამ და, როცა საკმარისად განშორდნენ იმ ადგილს, უკვე დამშვიდებულმა უამბო ნადირს შემდეგი:

— ოდესღაც, ძველ დროში, ამავე ბაღში ცხოვრობდა თურმე ერთი მეზობლე, რომელსაც ჰყავდა ორი ტყუბად შობილი ქალი ია და ლია.

ორივე და, როგორც სჩვევიათ ტყუპის-ცალებს, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, მხოლოდ ია იყო შვსავით ნათელი და ოქროსთმიანი, ხოლო ლია — ღამესავით მუქი და შავთმიანი.

დებს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ერთ წუთსაც ვერ შარდებოდნენ ერთიმეორეს და მუდამ ერთად სჩქობდნენ და ერთად ისვენებდნენ.

ერთხელ გზად გაიარა ერთმა ახალგაზრდა მონადირემ და ბაღში დაისვენა.

სტუმარს ჩვეულებებისამებრ ორივე და გაუმასპინძლდა.

ოქროსთმიანი ია გულში ჩაუვარდა ახალგაზრდა მონადირეს და იმ დღის შემდგომ ხშირად იწყობდა ბაღში სტუმრობა.

გავიდა ხანი და მონადირის ზრდილობიანი მოქცევითა და სიყვარულით გამთბარი ტუბილი სიტყვებით მოიხიბლა ია და ერთხელ, როცა ქალის მოჩვენებითი უყურადღებობით სასოწარკვეთილმა მონადირემ განუცხადა იას, რომ მან გადასწყვიტა სამუდამოდ გადაიკარგოს და სადმე მხეცებს შეაპამოს თავი, იამ დარცხვენით, მაგრამ სიამოვნებით გაულო შეყვარებულ ვაქს თავისი გულის კარი.

მაგრამ ამბობენ, — სიყვარულს ჰყავს მისი ტყუპის-ცალი და-სიკვდილი, რომელიც მუდამ თან ახლავს მას.

ია ტუბებოდა მონადირის სიყვარულით, მაგრამ ლიას გულში დაიბუდა შხამიანმა გველმა.

ლიას გაშმაგებით და თავდაიწყებით შეუყვარდა მონადირე და გადასწყვიტა თავიდან მოეშორებია ია.

ერთხელ ლიამ თვალი მოჰკრა მოლზე წამოწოლილ შეყვარებულებს, რომელთაც ატმის ხის მწვანე-ფოთლიანი კარავი მოჰფარებოდა სიყვარულის ანგელოზის ცისფერ ფრთასავით.

ლიას თვალებში ავმა სულმა შხამი გალესა.

მან მოსწყვიტა რამდენიმე შხამიანი ბალახი, საჩქაროდ დანაყა, შემდეგ გაბლინა ატამი და ერთ ნახევარს დააწვეთა ხუთიოდე წვეთი.

ატმის ორივე ნახევარი ვაზის ფოთოლზე დასდო და შეყვარებულებს მიაჩრთვა: შხამიანი გაუწოდა თავის დას, მეორე — მონადირეს.

ია ავად გახდა და მოკვდა.



მონადირე შეიპყრო საშინელმა მწუხარებამ.

ბევრი ცრემლი დაღვარა ლიამაც.

იას ბაღს-ზემოთ გაუთხარეს საფლავი.

უზომო სევდისაგან გულმოკლული მონადირე ყოველდღე მიდიოდა იას საფლავთან და დასტიროდა სატრფოას.

ლიამ შავი ჩაიცვა და სასოწარკვეთით ჰგლოვობდა საყვარელ დას.

როცა მონადირე იას საფლავთან მიდიოდა, მას ყოველთვის იქ ხედებოდა საფლავზე დამხობილი, მწარედ აქვითინებული ლია.

მონადირე შეეჩვია ლიასთან ერთად იას საფლავზე ტირილს.

ერთხელ, როცა ლიამ მონადირეს მიაპყრო აცრემლებული თვალები, მონადირე ჩააქერდა ლიას სახეს და გააკვირდა: ლია, როგორც ორი წვეთი წყალი, ჰგავდა იას, მხოლოდ თვალისა და თმის ფერი ჰქონდა განსხვავებული.

აქამდის მონადირეს ამისთვის ყურადღება არ მიექცია და ახლა გაოცებული შესცქეროდა ლიას.

რამდენსაც მეტად აკვირდებოდა მონადირე ლიას, იმდენად უფრო იბნიდებოდა და იფერფლებოდა მის ხსოვნაში იას სახე და თანდათან მის გონებას ეუფლებოდა თვალცრემლიანი, თმაგაშლილი ლია.

მონადირემ დაჰკარგა იასა და ლიას შორის განსხვავების მოგონების უნარი და მასში უეცრად იფეთქა შიშითა და სიხარულით შეზავებულმა გრძნობამ: საშინელის სიცხადით მოეჩვენა, რომ მას უყვარდა ლია.

მონადირე განცვიფრებული შესცქეროდა ლიას, ხოლო თვალცრემლიანი ლია მწუხარების ქანდაკავით უძრავად მისჩერებოდა მონადირეს.

ასე გასტანა ორიოდ წუთმა.

ბოლოს მონადირემ, თითქოს გონს მოვიდაო, ხელი მოხვია ლიას, მკერდს ჩაიკრა და მხურვალე კოცნით ამოუშრო ცრემლიანი თვალები.

უცებ თოფნაკრავებივით ზეზე წამოცვიდნენ.

ორთავეს გარკვევით მოესმათ, თითქოს საფლავში იამ ღრმად ამოთქვენესა. შეშინებულნი გაშორდნენ საფლავს და ატმის ხის ქვეშ მოითქვეს სულ.

განვლო ერთმა თევმ.

მონადირე და ლია თავდავიწყებით მიეცნენ სიყვარულის დაუცხრომელ ნეტარებას და ერთხელაც არ მოპგონებიათ იას საფლავი.

ერთხელ, სეირნობის დროს, შემთხვევით წააწყდნენ იას საფლავს, რომელზედაც ამოსულიყო უცნაურად ლამაზი შავი წითელ-წინწყლებიანი, მაღალ-ღეროიანი ყვავილები.

ლიას მოეწონა ყვავილები, მოსწყვიტა და დაწნა ორი გვირგვინი, ერთი მონადირეს გაუყვიათ თავზე, მეორეთი თითონ დაიმშვენა თმა. როცა უკან ბრუნდებოდნენ, ორთავემ იგრძნეს მოულოდნელი დაღლილობა.

ჩამოსხდნენ ხის ძირს დასასვენებლად, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ძილი მოერიათ და ძარღვებში ჩაედვართ უცნაური სირბილე.

ჩაეხვივნენ ერთმანეთს, მიწვნენ და მიიძინეს.

სალამოს მებაღემ ჩამოიარა და ხის ქვეშ დაინახა, ერთმანეთს ჩახვეული ლია და მონადირე.

გაუკვირდა, ეგონა სძინავსო, ბევრი აღვიძა, მაგრამ მცვდარს რა გააღვიძებდა.

ისინი მოიწამლენ შხამიანი ყვავილის მომაკვდინებელი სურნელებით.

ასე იძია შური იამ მოღალატე სატრფოსა და მუხანათი დის მიმართ.

\* \*

\*

დაიწყო ატმის კრეფა.

სოფლიდან ჩამოვიდნენ მოფარდული ურმებით ატმის მკრეფავი გლეხები და ჩამოიტანეს განიერი გოდრები, კიბეები და ორკაპი ჯოხები.

ბალი აივსო ხმა-მაღალი ლაპარაკით, სიცილით და მოძრაობით.

ნანას გაუჩნდა სამუშაო.

დილიდან სალამომდინ დარბოდა იგი



გოდრიდან გოდრამდის, ჰკრეფდა ხავერდის ბუსუსით შეწითლებულ ატმებს და სიამოვნებით თამაშობდა ახალგაზრდა სოფლელებთან.

ნადირს იგი უკვე აღარ ხედებოდა, როგორც ყოველთვის, საყვარელი ხის ძირს მოუთმენლად მომლოდინე. ახლა თვით ნადირს უნდა ეცადნა, სანამ მისთვის მოიცლიდა შრომითა და სიხარულით დატვირთული ნანა.

ნადირ დაღონდა.

შავი ფიჭვი, როგორც მატლი ჩაუჯდა ტვინში და გონებას უღრღნიდა იჭვის ბასრი კბილებით.

— იქნება ჩემთანაც ასე თამაშობს, როგორც ამ გლეხებთან, — პფიჭრობდა ნადირ. — ვიდრე მარტო იყო, მე შეაღერებოდა, ეხლა-კი თვის ტოლ სოფელს ბიჭებთან მეტს სიახლოვესა გრძნობს.

ნადირ თანდათან იფლობოდა იჭვის შავ ბურუსში და ახლა ბევრი რამ, რისთვისაც წინათ ყურადღება არ მიუქცევია, სულ სხვა სახით წარმოუდგა.

ხვალვე ეტყვის მამას ყველაფერს და წაიყვანს ნანას.

რას უნდა უცადოს, ან რას უცდიდა ამდენ ხანს?

სისულელე იყო ეს ლოდინი, ყმაწვილური გამოუტყდლობის ნაყოფი.

და ამ გადაწყვეტილებით უკვე იმედმოცემული ნადირ მივიდა ნანასთან და უთხრა:

— ნანა, ამ ორ დღეში უნდა წაგიყვანო სახლში, მოემზადე.

ნანამ თვალეზი ფართოდ დააღო, გაიღიმა და სხივებით სავსე თვალეზში, როგორც ნადირს მოეჩვენა, ათასი ეშმაკი ააცეკვა.

— ჯერ ვერა, ნადირ. — ბაბუს ვერ დაეტოვებ მარტოს! ატმის კრეფას უნდა მოვრჩეთ და ბაბუ სოფელში წავიდეს.

— დამცინის, — გაიფიჭრა ნადირმა და ბრაზისაგან წარბები აუთამაშდა.

უნდოდა ეტაცნა ქალისათვის ხელი, მიეკრა ცხენზე და გამოქცეულიყო, მაგრამ მოაგონდა მამა და თავი შეიკავა.

— ვხედავ, ნანა, ძველებურად აღარ გიყვარვარ, — შესჩივლა ნადირმა. — არც იგი მჯერა ახლა, წინათ თუ გიყვარდი, — დაუმატა ნადელიანად და თავი ჩაჰკიდა.

ნანას გააყრყოლა და ფერი ეცვალა.

— რას ამბობ, ნადირ? — გაკვირვებით წამოიძახა ქალმა და თვალეზი ცრემლით აევსო.

ნანას დაუძახეს და ნადირ მარტო დარჩა.

არ მოუცდია ჩვეულ დროსთვის, მოაჯდა ცხენს და წამოვიდა.

ნანას არ გამოშვებდებოდა.

იმ ღამეს არ დაუძინია: იჯდა სარკმელთან და ყურს უგდებდა თუ როგორ ჰხრავდა ტვინში ჩამჯდარი მატლი მის ბედნიერების უკანასკნელ ძაფს.

შემდეგი პაემანის დღეს ნადირ ბაღში რომ მივიდა, ასეთ სურათს წააწყდა: დაყირავებულ ურმის თავზე იჯდა ახალგაზრდა გლეხი და შორს სივრცეს გასცქეროდა. ნანა იდგა იმის ზურგს უკან, ერთი ხელი ყმაწვილის მხარზე დაედო, ხოლო მეორეთი შორეულ მთისაკენ ანიშნებდა და რალაცხე გაცხარებით ელაპარაკებოდა.

ნადირის თავში იჭვის მატლმა შხამი დაანთხია.

როცა ნანამ ნადირ შენიშნა, — უცხად შესწყვიტა ვეათან ლაპარაკი და მაშინვე გაემართა ნადირისაკენ.

ნადირმა შეატყო ქალს ზედმეტი აწითლება და მის ტვინში ჩამჯდარი მატლი უზარმაზარ შხამიან გველად იქცა.

— რას ელაპარაკებოდი იმ ბიჭს? — სალამის მიუცემლად ჰკითხა გაფითრებული ნადირმა ნანას.

ნანამ შიშნაკრავი თვალეზი ნადირს მიანათა და დაბნეულად უპასუხა:

— არაფერს... ვერ გეტყვი... მერე გაიგებ...

ნადირ მიხვდა ყველაფერს.

მის გონებაში თითქოს მაშხალა აენთო: ცხადად აისახა და გამოჩნდა ცბიერი ქალის ყველა სიყალბე.

— საოცარია, — ფიჭრობდა გაშეშე-

ბული ნადირ, — როგორ ახერხებდა ასეთ ბავშვურ სახის უკან ამდენ მუხანათობის დამალვას?

— ვისი ბრალია შენ რომ ბრმა იყო? — სისინით უბასუხა ამ ფიქრს ნადირის ტეინში ჩამჯდარმა გველმა — თვალების ნაცვლად რომ რკოები არ გასმოდა, ათასჯერ შეამჩნევდი, როგორ ქსელავდა შენი მზეთუნახავი ცბიერების ბაღეს. ახლაც შეგიძლია მოიგონო ბევრი რამ, რაც ღირსია სხვაგვარი მიხვედრის... — და სისინებდა გველი ათას რასმე, შავსა და უკუღმართს და ნადირს ყველაფერი სჯეროდა.

— მამ მატყუებდი, განა? — დაიწვილა დიდხნის გარინდების შემდეგ ნადირმა და შეჰხედა ნანას, მაგრამ თვალები დააცილა და ვიდაცას, ნანას უკან მდგომს ჩააშტერდა.

ნანამ შენიშნა ეს და უცბად უკან მოიხედა, მაგრამ ვერაინ ნახა.

— ნადირ! — ძლივს ამოთქვა შეშინებულმა და ცრემლმორეულმა ნანამ, — არ ვიცი, რატომ მიწყრები. მე არ გატყუებ, ნადირ...

მაგრამ ნადირს არ ესმოდა ნანას გულამოსკენილი აღსარება, გველის სისინმა დაჰფარა ნანას სიტყვები.

ნადირ უცებ მობრუნდა და ცხენს მოახტა.

— ნადირ, კვლავ რომ მოხვალ, პასუხს დაგახვედრებ, — მიიძახა მიმავალ ნადირს ნანამ, მაგრამ ნადირს არათვარი გაუგონია, — მის გარშემო მთელი ჰაერი სავსე იყო შხამიანი გველის შეუწყვეტი სისინით.

ფერწასულმა ნანამ თვალი გააყოლა გაქინებულ ცხენს და, როცა ნადირ თვალთ მიეფარა, მობრუნდა, მონახა წვრილანდელი ყმაწვილი გლეხი და განაჩიო მასთან ნადირის მოსვლისას შეწყვეტილი საუბარი.

ნადირს იმ ღამესაც არ სძინებია. მეორე დღე და ღამეც მოუსვენრად ხატარა.

მოქანტულს განთიადზე სავარძელში წასთვლია.

ესიზმრა, თითქოს ეყენის წყრილით

მიდიოდა ჰაეროვან ჩვენებთან ქარავანი. წინ მიუძლოდა ქარავანს გამკვირვალე ნისლით განათებული ურემი, რომელსაც ესხა ორი დიდი ცისფერი ფრთა. ურემზე იდგა ატმით სავსე გოდორი. ზედ იჯდა ატმის ყვავილით შემოსილი ნანა. უცებ მთელი ქარავანი ნელის შრილით ცაში აფრინდა. ნანამ ნადირს გაუღიმა; ხელი დაუქნია და ატმის ყვავილიანი შტო გადმოუგდო.

ნადირს გამოეღვიძა და გაეხარდა. გველის სისინი მიმწყდარიყო.

მოაგონდა სიზმარი და იმედით გული გაუნათდა.

— ვინ იცის, იქნება ვცდებოდი და ნანას უბრალოდ ვაწყენიე, — სიხარულით გაიფიქრა და მამის ოთახისაკენ გაემართა.

იქ გაიგო, რომ მამა დილით ადრე ავადმყოფთან გაეწვიათ და სადამოძღვარ დაბრუნდებოდა.

უცებ თავში გაუელვა: ისარგებლოს მამის შინ არ ყოფნით და ნანა ინახულოს დანიშნულ დროზე ერთი დღით ადრე. ამრიგად ორი დღე ზედი-ზედ ნახავს ნანას და გამოისყიდის დანამაულს.

გაფიქრება და შესრულება ერთი იყო. შეჰკაზმა ცხენი და გაჰქუსლა.

ბალი ცარიელი დახვდა. ატამი დაეკრიფათ და ურემები წასულიყვენ.

გველმა სისინი დაიწყო და ნადირს სახეზე ალი მოეკიდა.

ნანაც ვერსად ნახა. გაიქცა მებაღესთან.

ბაბუ ქოხში იჯდა დალონებული.

— ნანა სად არის? — მიიხალა ნადირმა მოხუცს.

— არ ვიცი, შეილო, გუშინ დილის აქეთ ვეძებ და არსად არის, — დალონებით უბასუხა მოხუცმა და ნადირს მიიჩერა მზისაგან გახურებული სახე.

— მე შენი იმედი მქონდა, მეგონა შენ გეცოდინებოდა, — წაიბუტბუტა მოხუცმა და წამოდგა, — ხომ არ გაპყვა, ნეტა, მეურმეთ?

ახლა უკვე ყველაფერი ნათელი იყო ნადირისათვის.



— როგორ არ იცი, მოხუციო! — გაბრაზებით შეუყვირა ნადირმა გაკვირებულ ბაბუს, თითქოს ამისი ბრალი ყოფილიყოს მისი უბედურება. — როგორ არ იცი, რომ ნანა გაპყვა ახალგაზრდა გლეხს, რომელთანაც ამდენი ითამაშა და იბაასა აქ! მოგატყუა და დაგაგდო მოხუცი და ახლა აღბად დასციინის კიდევ შენს სიბრძავეს და უპკუობას.

ნადირ ცოფიანივით გავარდა ქოხიდან და დაიწყო ბაღში ხეტიალი.

ათასმა სიამოვნებით განციდილმა წუთმა ქარიშხალივით ჩაიქროლა მის გონებაში და გული მწარე ნაღველმა დაუთუთა.

ყოველი ხე, თვითეული ბალახი ჯერ კიდევ ინახავდა ნანას თვალების იერს და მისი სხეულის დამატორობელ სითბოს.

ჰაერი სავსე იყო ლოდინით — საცაა დაიწკრიალეხს ნანას სიცილი და დაობლებულ ატმის შტოებში ისევ იელვებს მისი სახე.

არასოდეს ასე ძვირფასი, ასე სანატრელი არ ყოფილა მისთვის ნანა, როგორც ახლა, როცა სამუდამოდ დაჰკარგა იგი.

ნადირ უაზრო ხეტიალში გასცდა ბაღს და მოულოდნელად წააწყდა იმ შუე ყვავილებს, რომლის მოწყვეტის ასე ეშინოდა ნანას.

ნადირმა შეჰკრა სიკვდილის ყვავილების თაიგული, წამოიღო და დასდო მისთვის საყვარელ ხის ქვეშ, სადაც უყვარდა ლოდინი ნანას.

ნადირს მოეჩვენა, თითქოს დაობლებულმა ხემ ფოთლების ნაღვლიანი შრი-ალით მიუსამძიმრა მას და მის ყურებს გარკვევით მოესმა საყვარელი ქალის ალერსიანი ჩურჩული.

— დე, სიკვდილი სუნთქავდეს იქ, სადაც სიყვარულის ხმა ღალატმა ჩააქრო, — ამოიკვნესა ნადირმა, უკანასკნელად მოავლო აქამდის ასე ძვირფას მიდამოს ცრემლიანი თვალები და წამოვიდა.

მეორე დღე ნანასთან შეხვედრის დღე იყო.

ნადირს მოაწვა აუტანელი ხევა. ყველაფერი, რაც უკანასკნელ დღეებში მოხდა, მას წარმოუდგენლობრივ სულის მიერ შეთხზულ მოჩვენებად.

დაუძლეველმა ძალამ მოსწია მის გულს და ანდამატივით მიიხიდა საყვარელ ადგილისაკენ.

ნადირს ძალა არ ეყო გამკლავებოდა ქარიშხალსავით მომძაფრებულ სურვილს, შეჰკახმა ცხენი და გზას გაუდგა.

ნეტავი გაჰქრეს ეს საშინელი სიზმარი, დადუმდეს გულის წამღები სისინი მანე სულისა და კვლავ აყვავდეს სიყვარულისა და ერთგულების სადგური.

ნადირ ცხენიდან გადმოხდა და ბაღში შევიდა.

სამარისებურმა სიჩუმემ და სიცილიერემ ერთის შეხებრვით ჩააქრეს ნადირის გულში ოდნავ ამკუტებული იმედის შუქი.

ნადირმა მგლოვიარესავით დაღუნა თავი და ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა ნაცნობ ხეს.

უცებ მის წინ გადაიშალა საშინელი სურათი:

ხის ძირს იწვა მშვენიერი ნანა.

მარჯვენა ლოყის ქვეშ ბალიშით ამოედო ნადირის მიერ დაკრეფილი შავი ყვავილის თაიგული და ეძინა გაუღვიძარის ძილით.

იქვე სიკვდილის ყვავილს, ნანას სახესთან ერთად, ზედნანათოდა ახლად მოწყვეტილი აყვავებული ატმის შტო.

თითქოს მეხი გავარდა და დამაბრძალებელმა ელვამ ერთი წამის განმავლობაში ერთბაშად სულ სხვა სახით გაანათა საბრალო ნანას უკანასკნელი დღეები...

ნადირის მოულოდნელმა გულის აქცევამ ნანა საგონებელში ჩააგდო. მას მოავონდა ზღაპრული ატმის ხე და გადასწყვიტა, ნადირის გულის მოსაბრუნებლად ატმის ყვავილის მოტანა. ამის შესახებ მოელაპარაკა ახალგაზრდა გლეხს, რომელთანაც ბაასს მოუსწრო გაშმაგებულმა ნადირმა. გლეხს გაპყვა ნანა უბედურ თიანას აყვავებულ საფლავისაკენ და მისმა სიყვარულით ან-

თებულმა თვალეზმა ნახეს კიდევ თიანას გულის სისხლით წითლად შეფერილი, მუდამ ყვაელიანი ატმის ზე. ნანამ მოიტანა ატმის ყვაელი და ბაბუსაგან გაიგო ნადირის მოსვლა და გაბრაზება. როცა საყვარელი ხის ქვეშ დაინახა ნადირის მიერ დატოვებული სიკვდილის ყვაელი, იგრძნო, რომ სიკვდილი ჩადგა მათ შორის. ნანა ქვეთინით დაემხო შავ ყვაელის თაიგულზე და სიკვდილის სურნელებას შეუერთა თავისი უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ერთი წამის განმავლობაში ნადირ მიხვდა ყველაფერ ამას. სასოწარკვეთილების გრძნობამ მოიცივა მისი გული.

სინანულის უშრეტმა აღმა აუნთო გონება.

ატირდა ნადირ, დაიჩოქა ნანას წინ

და მგზნებარე კოცნით შემოსა ნანას გაცივებული სახე.

ნანას თმის სურნელებასთან ერთად ნადირის გულმა შეიწოვა მის მიერ დაკრეფილ სიკვდილის შავი ყვაელის ოხშივარი.

ორიოდე წუთის შემდეგ ნანას უსულო სხეულის გვერდით ესვენა მასთან სიკვდილში დაქორწინებული მისი საყვარელი ნადირ.

იქვე სიკვდილის შავ ყვაელს ზედ დანათოდა გარდუვალი სიყვარულის უტკნობი ნიშანი — აყვავებული ატმის შტო.

როცა ბაბუმ დაინახა...

— სადა ხართ, ქალბატონებო, ასე უნდა სტუმრებს მიღება? — გააწყვეტიანა მაგდას მოთხრობა მოულოდნელად აივანზე გამოსულმა კახაჩენკომ.



## სიყვარულის ხმა

(ნაწევები კინომოთბრობიდან)

ჩამავალი მზის სხივი ადგას არაგვის ხეობას. შორიდან ისმის მესტიერის მომხიბლავი სიმღერა. „მესტიერული“ მთებით შემოზღუდულ ველებს ეფინება.

თვალწინ გვეხატება ძველი კოშკების ნანგრევები, რომელნიც გარდასულ ეამთა უტყვი მოწმენი არიან. მაგრამ ახლა ნანგრევებს თითქოს ენა ამოუდგამთ და ბერი მესტიერის სიმღერით გვამცნობენ მას, რაც დავიწყების ხავსით დაფარულა.

გაძლიერებული სტიერის ხმა თანდათან გვაახლოვებს ძველი კოშკის ნანგრევებს, იქვე წყაროსთან ხალხს თავი მოუყრია და მესტიერეს უსმენს.

ბერი მესტიერე ნისლიან სივრცეს გაჰყურებს. სტიერზე დამღერის ძველ ამბებს. მისი სიმღერა აღვიძებს, აცოცხლებს, ზულს უდგამს ქალარამოსილ წარსულს.

მღერის მესტიერე:

იყო და არა იყო რა... ერთ სახელმწიფოში... უხსოვარ დროს, ბოროტებით მოცემულ წყვილიაღში აინთო სიყვარულის ცეცხლი, მან საუკუნეებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია მისმა შუქმა...

ბერი მესტიერის უქანასკნელი სიტყვები და სიმღერის ჰანგი იკარგება ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდში.



მაღალი მთიდან ბადრი მთვარე ამოცურდა. ოჭროს გვირგვინივით აკაშკაშდა, ვერცხლის სხივები გადაეფინა ჩვენთვის უცნობ მხარეს. მთვარის სხივებზე ცოცხლდება დიდებული სანახაობა.

ხალიჩასავით გადაშლილა თვალუწვდენელი ველი. მარჯვნივ და მარცხნივ

პირქუში ქედები აყუდებულან. ქედებს შუა ზანტად მიიზღაზნება ვერცხლისფერი მდინარე. მაღალ კლდეზე ნანგრევებიდან ნელნელა ამოიზიდა ლამაზი კოშკი. კოშკის დაფრდებულ მისადგომებზე, ხავსმოკიდებულ ლოდებიდან დგებიან ზღაპრული სახლები და მთაზე მიყუდებული პატარა ქალაქი ჩანს.

უეცრად, ქონგურს პატარა შავი ღრუბელი წამოედო. ხრამის კიდეზე ნორჩა ხე თრთის. ქარი ამოვარდება. ნელნელა, მერე სულ უფრო და უფრო სწრაფად ფრთაშავი საავდრო ღრუბლები მიჰქრებიან და აბნელებენ ქვეყანას. ხან აქ, ხან იქ გაივლებს, საზარლად დაიქუხებს. ტყის ნადირი აქეთ-იქეთ აწყდება, ეძებს თავშესაფარს. ნორჩი ფურიერეში კამარას შეჰკრავს, ათრთოლებული ეკვრის ფრილო კლდეზე წამოხირულ, ჩამავებულ დიდ ძირკვს. წვიმს. საშინელი ქარიშხალი ამოვარდა.



ორი კაცი და ქალი ფრილო კლდეზე ფოთოლგაცვენილ ბუჩქნარს ეკიდებიან, თავქვე ეშვებიან. ქალს გულზე მიუხუტებია ძონძებში გახვეული ძუძუთა ბავშვი. ელვა თვალსა სჭრის.

ზევით, უფსკრულის პირას ხალხი მოვარდა. ჯაკვებით ძლივს იმაგრებდნენ ვეებერთელა ქოფაკებს, ძაღლების გაავებული ყეფა გაქცეულების ყურამდე აღწევს, ისინი — ნაბიჯს ააჩქარებენ, ღამის უფსკრულში ჩაცვივდნენ. მათი ბედი ბეწვზე ჰკიდია.

ერთი ყველაზე მდიდრულ სამოსელში გამოწყობილი მღევართავანი, კლდის კიდეზე გადაწოლილ უფსკრულს ჩასცქერის.

— წყეული ყმები! — შესძახებს ის, წელში გასწორდება, კარ-პაჭიდან ისარს იღებს, — დამაცათ თქვე ძაღლის ჯიშისანო. — ღონივრად მოსწყევს მშვილდს და გაქცეულთ ესერის.

გაქცეულთაგან ერთი მოსწყდება კლდეს და უფსკრულში ვარდება. გამძვინვარებული მსროლელი მეორე ისარს მიაყოლებს. ისარი მოხვდება ქალს. ქალი ხელს უშვებს ბუჩქს, ნელნელა ჩაეცურდება ძირს, მაგრამ მესამე ხელსა სტიკებს და ძლივს მიჰყავს მაღალი ძირკვისაყენ.

— როგორ მოგწონთ? დამიხედეთ რაინდს! — მსახურებს გადახედავს და ტრაბახით წამოიძახებს: — აბა, მიყურეთ ახლავე ორივეს შამფურზე წამოვაგებ.

ერთი მსახური ყველას გასაგონად მიმართავს მეორეს:

— ჩვენს მოურავს სროლაში ბადალი არა ჰყავს.

გადო გულზეიადად მოზიდავს შვილდს. ამ დროს გაქცეული ახერხებს ქალი შეაფაროს საიმედო ადგილს და ნასროლი ისარი ღრმად ესობა ძირკვს. მოულოდნელად ძირკვიდან გამოვარდება ფურიჩემი, კამარას შეჰკრავს და ხრამში ინთქმება.

მღვერებს შიში და ძრწოლა აიტანს. იქაურობას მოსწყდება იან და თავგანწირული ნახტომებით აქეთ-იქეთ გაიფანტებიან. წყვედიადიდან ისმის გამოძახილები:

— კუდიანი... ეშმაკი... ფურიჩემად გადაიქცა.

თავად მოურავი მთელი ტანით ცახცახებს. ყველაზე წინ ის გარბის.

მაღალ ძირკვს უკან კი, მომავლადეფა დედა. დედა გულზე აგვაროვს ჰკიდებს შვილს და დასუსტებული ხმით კაცს ეუბნება:

— უპატრონე, ბერიკა...

ბერიკა ბავშვს აიყვანს, ქალს ხმა უწყდება.

ბერიკა ფრთხილად უხუტავს ქალს თვალებს, სმენადქცეული თავს ასწევს და როცა ძაღლის ყეფა თანდათან მიწყდება,

ბავშვს გულში ჩაიკრავს, მიძიმე-მიძიმედ და ფრთხილად თავშეკრება.

\* \* \*

ოქრომპედლის მყუდრო სახელოსნოში, სპილენძის შანდლის შუქზე თოქმა მაგიდას შემომსხდარი ხანში შესული კაცი და ქალი ვახშობენ. ქალი ეუბნება:

— გვყარდებით, მამისა, შვილი კი არა აგვეფს. ვის უნდა გადასცე შენი ხელობა.

— ეჰ... ნარგიზა... ღმერთმა ვაჟიშვილის ღირსი არ გაგვხადა.

საუბარს აწყვეტილებს კარზე კაკუნი. ნარგიზა კარს მიაშურებს.

— ვილაცა არის. ნეტა რამ მოიყვანა ასეთ ამინდში.

კარებს აღებს და სახტად დარჩება. ზღურბლზე დასველებული, ძონძებში გახვეული კაცი დგას და ბავშვს აწვდის.

— აბა, წაიყვანე და გაუფრთხილი. ასე მიანდერძა ბავშვის დედამ. ვიცი, პატიოსანი ხალხი ხართ. ღვთის ანაბარად არ დასტოვებთ... მე კი უნდა ვაჟიქცე... თავს ვუშველო, მღვეარი მომღვეს, ღვენილი ვარ...

გაოცებული ნარგიზა ძალაუნებურად ბავშვს გამოართმევს. გაშეშებული ადგილიდან ველარ იძვრის. კაცი ზღურბლს მოსწყდება და წყვედიადს მისცემს თავს.

\* \* \*

ფანჯრის დაკბილული ბადიდან ჩანს გაჩირადღნებული მდიდრულად მორთული დარბაზი ხალიჩებში ჩაფლული. უზარმაზარი ტანის კაცი მდიდრულად, მაგრამ სადად ჩაცმული, ზურგზე ხელებდაწყობილი დიდრონი მიძიმე ნაბიჯებით ბოლთასა სცემს. იგი ჩაფიქრებული და მრისხანია.

დარბაზის კუთხეში მოხუცი მსახური დგას და თვალს არ ამორებს ბატონს. ფარდა გაიწევს, კარებში გამოჩნდება მოურავი გადო. გაუბედავად ერთ ადგილს ტყეპნის. ეშმაკური და ცბიერი

თვალეზი თვალთმაქცურ მორჩილებას გამოხატავენ.

— თავადო, რა წყეული ამინდია! — აცხადებს გადო.

თავადი აღმაცერად გადახედავს. ისევ ბოლთას სცემს.

გადო უახლოვდება ბატონს.

— თავადო, წუხელ სამინ გაიქცენ.

თავადი შეჩერდება, განზე გადავს ფეხებს, მრისხანედ დასცქერის ტანდაბალ სქელ გადოს.

— წამისწამ ვაეიშვილის დაბადებას ველო, ჩერჩეტო, მაგრამ ვიდრე ჩემი შემკვიდრე დაეყვაცდებოდეს, რაც ყმები მყავს, სულ გაგეჭყვიან. რამდენი დარჩება ჩემს ძეს, შენ გეკითხები! — პირქუშად ამბობს თავადი.

გადო მუშტისოდენა გახდება.

— თავად კაცისა ყმა ათასობითა მყავს, სამი ყმის გაქცევა, რა ბედენაა. ორი ჩავაძლდე, ქალი კი ფურიერმად გადაიქცა და გაქრა. კუდიანი ყოფილა. კიდევ კარგი, რომ თქვენი შამულიდან თან გაიყოლა ორი ეშმაკი.

— რაო! — დასქეკა თავადმა. სჯობია ვირად გადაიქცე და ახლავ გადაიკარგო აქედან. — გაჯავრებული ხელს აუქნევს გადოს და ისევ ბოლთასა სცემს. ამ დროს ცა ღრუბლებს გადაიყრის და ცი-აგი რიქრაცი ოთახში შემოკრთება.

— საცაა ირიქრაციებს, მე კი ბედნიერ ამბავს არავინ მატყობინებს. — მიმართავს თავადი მოხუც მსახურს.

უცებ კარებში შუახნის ქალი გამოჩნდება, გახარებული ხმამაღლა აუწყებს თავადს:

— თავადო, ასული შეგეძინა...

თავადი თოფნაკრავივით შეხტება და შეჰყვირებს:

— რაო, მარიამ, რა სთქვი?

— თავადო, ასული შეგეძინა.

თავადი ზურგს შეაქცევს ქალს, კუშტად შეხედავს მოურავს, რომელიც ხელად მოარიდებს თვალს.

— შენ ისე აქა ხარ? — დასქეკავს თავადი. — ასულიო, ჰა, გაიგონე! ეს იყო შენი ვარსკვლავების წინასწარ-

მეტყველება? ახლა რაღას გეწინასწარ-მეტყველებენ, ხმა ამოიღეს... გადო მთელი ტანით კანკალებს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, მაგრამ უცებ ქლესურად გაიღიმებს:

— თავადო, ვაეიშვილს ნატრობდი, მაგრამ ის თავადად დაბადებული, თავადადვე დარჩებოდა, ახლა კი ასულს დედოფლობა ელის. ამას მეუბნებოდნენ ვარსკვლავები. ეს სასიხარულო ამბავი დედოფლის დაბადებამდე არ გამცნეთ.

თავადი შეხედავს გადოს, ნელნელა მიუახლოვდება, ღონივრად დაჰკრავს მხარზე ხელს. გადოს მობრეცილი ფეხები მოეკვეთება. თავადი ხარხარებს:

— ვირად ქვეული, ისევ ჰკვიან გადოდ იქეცი. — დიდრონი ნაბიჯებით კარებისაკენ მიდის. კარებთან გაჩერებული მარიამი გზას აძლევს.



სადაღ და გემოვნებით მორთული საძილე ოთახში ვანიერ სარეცელზე ლამაზი ქალი წევს. გვერდით დაუგორებიით ნაზ ქსოვილებში გახვეული ბავშვი.

კარებზე ჩამოფარებული ფარდა გაიწევს და თავადი გამოჩნდება. სარეცელთან მივა, დიდრონი ხელებით პაწაწკინა არსებას აიყვანს და ღია ფანჯარასთან მიდის. სარკმელთან თავადი ათვალეერებს ასულს, მხიარულად გაიცინებს და შესძახებს:

— ეთერივით ჰაეროვანი ხარ, ასული ჩემო! — მერე თავს მეუღლისაკენ მიიღებს და მიმართავს:

— მარიამ, ნავიანევეად, მაგრამ მაინც ბედნიერება მომანიჭე.

მომაკვდავი ქალი მისუსტებული ხმით უპასუხებს:

— მთელი სიცოცხლე მტანჯავდი, ახლა ასული გაჩუქე, ღმობიერად მოეჭეცი. ჩემი ქალი ბედნიერი იყოს... მე ვავდები.

თავადი მაღლა ასწევს ქორფას და გრძნობით ამბობს:



— ეთერ, ჩემო ასულო, შენა ხარ ჩემი იმედი და ჩემი სასოება.

მზის პირველი სხივი ბავშვის ჩვილ სახეს მივაღერებდა. ბავშვი ტირის.



თავადი კაცის კოშკის ძირში ათასნაირი ყვავილით მოქარგულ მდელის მზე დაკაშკაშებს. ყვავილებს ბუბულები დაჟრუნუნენ. გვერდაზე ცხრა წლის შავთვალა თმბუქუქა ბიჭი მოდის. ოქრომკედელ მამისას შეგირდი და შეილობილი მახარე. ერთი ხელით გულზე ყვავილების თაიგულს იკრავს. მისი წკრიალა სიმღერა მთელ ხეობაში გაისმის. იქ, ბობოქარ ჩანჩქერთან ფეხშიშველი ჭრელ-ჭრულ ძონძებში გახვეული, მზეზე გახუნული გოგოები ჭყუმალაობენ. წიოკობითა და კრიამულით ეცებებიან მახარეს.

— მახარე, ჩვენი მახარე მოდის!

გოგოები თვალისდახამხამებაზე, ვინ წინა და ვინ უკან მწვანე მდელისაკენ გარბიან, ფუტკრებივით შემოვხვევიან მახარეს და ერთმანეთს არ აცლიან:

— მე, მახარე, მე მომეცი, ჩქარა მახარე, ჩქარა!

მახარე დინჯად ჯიბეში ხელს იყოფს და სათითაოდ იღებს პატარა სპილენძის ქინძისთავ-ყვავილებს. სათითაოდვე უღებს ყველას გამოწვილ მზემოკიდებულ ხელში.

გოგოები ქინძისთავების ცქერით ვერა ტყებთან. მერე თავიანთ ჭრელჭრულ ძონძებს იმკობენ.

უცებ ისმის მაღალი, ნაზი ხმა:

— მე არ მომცემ? მეც მინდა!

ბეჭობზე კაშკაშა მზის სხივებში გოგონა დგას, თხელი, გამჭვირვალე ოქრომკედლშემოვლებული კაბა აცვია.

— ეთერი, თავადის ასული ეთერი! — გოგოები აქეთ-იქით გაიფანტებიან.

ეთერი გოგოებს სევდიანად გააყოლებს თვალს, მერე ბეჭობს ჩამოიბრუნს და მახარესთან მიიჭრება.

— მეც მარტყე, ბიჭო, რა ლამაზებია, რა ლამაზები...

მახარე ჯიბეებს ამოიბრუნებს, ხელს გაშლის და მრავალმნიშვნელოვნად წარბებს აჭიმავს. *ბიჭულითა*

ეთერი გაჯავრებული შუბლს შეიკრავს და საყვედურით შესძახებს:

— ფუ, რა ცუდი ბიჭი ხარ, აღარ მეყვარები. — ხელებს უკან დიწყოხს. ოქროს ქუსლებზე შემოპროჩივალდება და გვერდზე გამოხედავს მახარეს.

მახარე აჯავრებს.

— გასწი, მამაშენსა სთხოვე, იმას ბევრი ოქროს ყვავილები აქვს, მე აღარა მაქვს. აი, ნახავ, აღარც მე მეყვარები.

ეთერი მოტრიალდება. მახარე შიშველ ფეხებს გაჩაჩხავს, ჯიბეებში ხელებს ჩაიწყოხს, ილიაში თაიგული უჭირავს და იმანჭება. მერე გულიანად იცინის:

— გასწი აქედან, გასწი, საძაგელი ხარ, საძაგელი! ეს ჩემი მამულია.

მახარეს არც აცივებს, არც აცხელებს, ნაწნავში ხელს წაავლებს და დასწევს. ეთერი მიწაზე დაენარცხება. პატარა ხანს გაოცებული უყურებს მახარეს, მერე წამოხტება, ნატყენ ადგილზე ხელს იღებს და მირბის ჯაგნარისაკენ. იქ უხმოდ ღერის ცრემლებს და ტოტებიდან დამფრთხალი გამოსცქერის მახარეს.

მახარე ღიმილით ჩაჯდება მიწაზე და გაჩქარებული სწნავს ყვავილების გვირგვინს. რომ მოათავებს, თითოთ ანიშნებს ეთერის მოდიო. გოგონა გატყე-დავად უახლოვდება. მახარე წამოდგება და მაღლა ასწევს გვირგვინს. მერე ნელ-ნელა ადგამს თავზე.

— ეს შენ დაგიწანი. აქ ერთი კი არა, ბევრი ყვავილია, სულ ცოცხალი ყვავილები.

ეთერს სიხარულით უბრწყინავს თავლები. ტაშს შემოპკრავს და მხიარულად კისკისებს. მახარე ბანს აძლევს. უცებ ეთერი ადგილიდან მოწყდება და გაფრთხილდება ყვირილით:

— გადიავ! გადიავ!

მახარე გაოცებული ფვალს გააყოლებს. მერე ყვავილების თაიგულს შეპკრავს და უდარდელად კენტრუშუნ-

ტრუშით თავქვე მიჰქრის სახელოსნოსაკენ.

ხეობაში მისი მზიარული სიმღერა გაისმის.

\* \* \*

მდინარის პირას, დიდ, სიბ ლოდზე ჩამომჯდარი გადია მარიამი თვლემს. ფერდაზე თეთრი პეპელასავით მისკენ მოფრინავს პატარა ეთერი. აწითლებული, ბედნიერი გოგონა კალთაში ჩაუვარდება გამდელს. გამდელი შეკრთება.

— უი, შენა ხარ, შვილო, ეთერი ძლივს ითქვამს სულს.

— ნახე, თავზე გვირგვინი მადგას დედოფალასა ეგვევარ. მამაჩემი მუდამ მეუბნება: შენ დედოფალი იქნები.

გამდელი იცინის, გვირგვინს უყურებს, წამოდგება, ხელს ჩასჰიდებს ეთერს. ეთერი კი ისევ ლოდისაკენ ეწევა, თან ეუბნება:

— მოიცა, გადია გაიმბო.

მაგრამ გამდელს აღერსით მიჰყავს.

— წავიდეთ, შვილო, დროა. გზადაგზა მიაშვებ ყველაფერი.

ისინი გზას მოეფარებიან.

\* \* \*

საძილე ოთახი. გამდელი ეთერს მუხლებზე დაისვამს და აღერსით უსწორებს გვირგვინს.

— აბა, შვილო მეხვეწები ხელმწიფესა და ხელმწიფის ცოლზე მიაშვებო. ყური დამიგდე.

გამდელს სახე მოეღუშება.

— შენ დედოფლობა რად გინდა, ჩემო საუნჯევე, დედოფლები ყველანი ბოროტები არიან, ბოროტები...

გამდელის სიტყვები მისწყდა. ეთერის საძილე ოთახი ნელნელა სასახლის მდიდრულად მორთულ დარბაზად გადაიქცევა. ხავერდგადაფარებულ დიდ მაგიდასთან შევწამოსასხამიანი ღრმად მოხუცებული კაცი ზის. ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ ლამაზად გამოწყობილი ბიჭი და გოგონა უსხედან. წინ გადაშლილი აქვთ დიდი რუკა, მოხუცი საჩვე-

ნებელ თითს აყოლებს. ბავშვები გულსურით ადევნებენ ფეხსა და მხრით მშვიდი ხმით ამბობს: *СИБИРЬ*

— ჩემო უფლისწულო, ნადირ და ჩემო ხელმწიფის ასულო მარეხ, ყური დაუგდეთ თქვენს მასწავლებელს და დაიხსომეთ:

მოხუცი თითით შემოხაზავს საზღვრებს.

— მთელი ეს მხარე მამათქვენის მეფე ფინეზის საბრძანებელია, ხოლო როცა მამათქვენი მიიცილებს, ყველაფრის მფლობელი შენ იქნები ნადირავ.

მარეხი უცბად სკამზე შეხტება, ცალ მუხლს რუკას დააბჯენს, ბოროტად დააბრიალებს თვალებს და შესძახებს:

— მე?

გაბრაზებული ნადირა ორივე ხელს დასტაცებს რუკას.

გაშველებას ვერ მოასწრებს მოხუცი, რომ ბავშვები ერთმანეთს ეცემიან და ხალიჩაზე გაგორდებიან, ერთმანეთს ხელიდან რუკასა გლეჯენ და ბოლოს შუაზე გაფხრეწენ და ორივენი გულაღმა გადავარდებიან, მაგრამ რუკის თავთავიანთ ნახევარს ხელს არ უშვებენ. ამ დროს კარებში გამოჩნდება მოხუცი ხელმწიფე ფინეზი. შევწამოსასხამიანი მოხუცი წამოდგება და ღრმა სალამს აძლევს მეფეს.

— რა აღიაქოთია, რას ჩხუბობთ, ჩემო თვალისჩინებო?

მეფე ხალიჩაზე წაქცეულ ბავშვებთან მიდის.

პირველი მარეხი წამოხტება, ტირილით მიირბენს მამასთან და შესჩივლებს:

— ყველაფერი მაგას უნდა, მე კი არ მინდა? ფინეზი რუკას დახედავს და გულკეთილად გაეცინება.

— კარგი, კარგი, მაშ რაც შენ გიჭირავს, ის შენი-იყოს და რაც ნადირას, ის ნადირასი.

მარეხი მოუთმენლად დააბაკუნებს ფეხს და დაყინებით იმეორებს:

— არა, არა, ახლავე ვეზირს უბრძანე სახელმწიფო გაყოს და ჩემი ნახევარი მომიტანოს.

მეფე მიუბრუნდება ვეზირს და ხმამალა ეტყვის:

— ვეზირო, გაიგონე? აღსრულება მიბრძანებია.

თვალისდახამხამებაზე ვეზირი კარს მიეფარება.



უზარმაზარ სივრცეზე გადაშლილია სოფლები, მინდვრები, ვენახები, ქალაქები. პორიზონტიდან ელვასავით დაკლანძვილი წითელი ხაზი გაიბრუნს, მიწას დაეფინება და ყველაფერს გასკრის, რაც გზაზე ხედება. შორს მიჰქრის, და გზადაგზა ვიწრო ცეცხლოვან კვალს სტოვებს.

სოფელი. გლეხკაცის ღარიბ სახლთან ხალხი ჩოჩოლებს. აქეთიქით აწყდებიან, ბალები ტირიან. მეფის ნაზირვეზირები შუაზე ხერხავენ ყველაფერს, რაზეც ცეცხლს გადაუვლია: სახლს, ღობეს, მიწაზე დაგდებულ უღელს, წუმპეში ჩაწოლილ ღორს, ეზოში გაშლილ ფარდას და ზედ დაგდებულ მუთაქას.



მოხუცი თავს აქნევს და ფრთხილად აწყებებს რუკას. მოხუც მეფეს ხელი შემოუხვევია მუხლებზე შემომსხდარ ნადირასა და მარეხისათვის. ბავშვები მზიარულად კისკისებენ, თან ფინებს წვერს უწყეწავენ.

— აი, შერიგდით კიდეც. ახლა ერთად ითამაშებთ ერთ სახელმწიფოში.

— ჰო, ერთად ვითამაშებთ არც მოგეწყინდება. — ერთხმად უპასუხებენ ბავშვები და ტაშს უკრავენ.

მეფე ფინეზი ორივეს ალერსით თავზე ხელს უსვამს. მარეხი მამას წვერით მოსწევს და შესძახებს:

— მამა, უბრძანე შეაკოწიწონ მთელი შენი საბრძანებელი და მოგვიტანონ ფინეზი მაღალი ხმით მიმართავს ვეზირს:

— გაიგონე, ვეზირო, აღსრულება მიბრძანებია.

ვეზირი თვალის დახამხამებაში კარს მიეფარება.



იგივე სივრცეა. ცეცხლის ხაზი, რომელიც სივრცე გადაჭრა, იმავე გზით ბრუნდება და პორიზონტზე ქრება.

დამკმუნებარებული ხალხი ზის დანგრეულ სახლებსა და ქვებთან. საბრალოდ დასცქერიან დამტვრეულ ავეჯს. ბავშვები ტირიან.



ბურუსი თანდათან იფანტება და ჩნდება ეთერის საძილე ოთახი. გამდელი ნელი ხმით ამთავრებს ზღაპარს:

— ასე, ჩემო გულის ვარდო. ჩვენი მეფეებისა და დედოფლების წყალობით იტანჯება ხალხი და შენსავით პატარა გოგოები.

გამდელი ალერსით მხარზე ხელს უსვამს ეთერს, ჩაფიქრებული უსმენს ეთერი. უცებ კალითდან გადაუხტება, ფეხებს დაამაკუნებს და დაიძახებს:

— არ მინდა დედოფლობა, არ მინდა დედოფალი ავია და ბოროტი — ფანჯარასთან მიირბენს, რაფაზე შეხტება, ოჭროს ბაღეს შუბლით მიეკვრის და ბოხოქარ მდინარეს ჩასცქერის, სადაც კვლავ ქრიაშულითა და სიცილ-კისკისით ჰყუჰპალაობენ გოგოები.

გამდელი ეთერს მიუჯდება და მუხლებზე ნაზად მოხვევს ხელს.

ეთერი თავს არ აბრუნებს, ნელი ხმით ჩურჩულებს:

— ოჰ, გადია, რარიგ მინდა იმათთან თამაში, რატომ არ მიშვებენ...

გამდელი ეთერის მუხლებს ალერსით მიადებს თავს.



მხარე პატარა მაგიდას უზის, სადაც ათასნაირი იარაღია გამწკრივებული. გულმოდგინედ აჩუქურთმებს სპილენძს. წინ უღევს, ეს არის ახლა მოწყვეტილი, მინდვრის ყვავილი. ფანჯარაზე მოოკვილი ლარნაკი დგას. მრავალნაირი ყვავილების თაივლით. სახელოსნოს სიღრ-

მეში ქურასთან დგას, საბერველს ამუშავებს და ალერსითა და მზრუნველობით გამოსცქერის თავის შევირდს ოსტატი მამისა. მახარე აიხედავს და უეცრად თვალს შეაჩერებს თეთრ ყვავილზე, რომელიც თაიგულში გამოირჩევა, ეს კობტა მინდერის ყვავილი ნაზ, მაღალ ღეროზე ქოლგასავით ირზევა. მახარე აღგება, ფანჯარასთან მივა, ფრთხილად ამოიღებს ყვავილს ლარნაკიდან და ციმციმ მიაქვს მაგიდისაკენ. მერე დიდხანს სიყვარულით დასცქერის.



დიდ სამუშაო მაგიდასთან ჰაბუკი მახარე ზის, ხელში ფრთხილად უჭირავს ყვავილი. სიყვარულით სინჯავს. ეს ყვავილი ოქროსია — მახარეს ხელით გაკეთებული. შუბლის ჭინძისთავია, რითაც იზნევენ მანდილს. მახარე ყვავილით ხელში მორიდებით მიდის ოსტატ მამისასთან, რომელიც ღონივრად ამოუშვებს გაგარვარებულ ქურასთან მოთავსებულ საბერველს. მამისასთან მისული მახარე ხელში აძლევს ოქროს ჭინძისთავს, მამისა ფრთხილად იღებს და გულმოდგინედ ათვალიერებს, მერე წამოდგება, ჰაბუკს მხარზე ხელს დაადებს და სიამაყით ეუბნება:

— ჩემო შვილო, ნამუშევრით შენ ოსტატის სახელი დაიმსახურე. ხვალ უნდა ვაკურთხოთ შევირდები ოსტატებად და იმედი მაქვს, რომ ამ სიამაყო სახელს არ შეარცხვენ.

ამ სიტყვებით მამისა ალერსიანად გადაეხვევა მახარეს და აკოცებს. მოხუცს თვალეზზე ცრემლები მოადგება.



საძილე ოთახში ფანჯარასთან ზის ეთერი. გამდელი იქვე მიყუჟულა. ეთერი ოქროს ბადეს შუბლით დანდობია, დასცქერის მქუხარე მდინარეს, სადაც ყმაწვილი გოგონები ევილხივილითა და სიცილიკისკისით დაფხავებულ თეთრეულს წყალში ავლებენ. ფეხშიშვე-

ლები, მზემოკიდებულები მზიარულად ეხმინებთან ერთმანეთს. მერე მხედრულ სიმღერას წამოიწყებენ. *ზიზლირთქა*



ვიწრო დიდრონ ფილაქანით დაგებული შუკაში ჰაბუკი მახარე მოდის. ხელში თავისი ნახელავი ჭინძისთავი უჭირავს. ხელმარცხნივ მძიმე ჭვის სვეტებზე დანდობილი თალებია. ყოველი თაღის სიღრმეში ოქრომქედლის, თოქმაქჩისა და სხვა ხელოსანთა სახელოსნოები მოჩანს.

სხვადასხვა საამქროებიდან ჰაბუკა ქარგლები გამოდიან. თითოეულს ხელში უჭირავს თავისი გაკეთებული ოქროს, ვერცხლის, ძელის ან სხვა მასალის სხვადასხვა ნივთი. ისინი ნელნელა გროვდებიან. მახარეც მათ უერთდება.

მზიარული შეძახილებით აჩვენებენ ერთმანეთს თავიანთ ნამუშევარს. ზუმრობენ, იცინიან, ქილიკობენ. ყველას მოსწონს მახარეს გაკეთებული ოქროს ყვავილი. ერთ სქელსქელ ვაყს ხელში უჭირავს მახარეს ყვავილი, ყნოსავს და სიცილით შესძახებს:

— ჩვენი მეოცნებე მახარე დიდ სახელს გაითქვამს. მაგის ოქროს ყვავილი ნამდვილი ყვავილის სურნელებას აფრქვევს.

მეორე ბიჭი სქელსქელს ყვავილს გამოსტაცებს და ცხვირწინ უქნევს:

— აი, შე ქარაფშუტავ, ამ ყვავილს — „სამყურას“ სუნი არა აქვს.

ყველანი იცინიან. სქელსქელი ზურგს უკან მუშტში რაღაცას მაღავს. ამხანაგები ხელში სწვდებიან და უყვირიან:

— აბა, გვაჩვენე, ერთი! შენ რა გააკეთე.

მუშტს გაუშლიან და თითებში ჩამალულ პაწაწკინა, ოსტატურად გაკეთებულ ვერცხლის ტიკპორას ამოაცლიან. ყველანი იცინიან. „ტიკპორა“ გაწითლდება. ერთ-ერთი ჰაბუკი შესძახებს:

— დღეს შუაღლისას ხელოსნებად უნდა გვაკურთხოთ, ჩვენ ხელოსნის სახ-

ელწოდებას მივიღებთ, ჩვენი ძვირფასი მეგობარი კი — ტიკჭორისას.

ამ სიტყვაზე ყველანი იცინიან.

უეცრად გაისმის ცხენების თქარათქური და ყვირილი:

— გზა! გზა! რას შეგროვილხართ უსაქმურებო!

ეს ყვირილი იპყრობს ყველას ყურადღებას, „ტიკჭორას“ თავს გაანებებენ ჰაბუკები, სახლების კედლებს გაეკვირიან და გზას აძლევენ.

ამაყად აგლევებენ ცხენებს, თავადის მსახურნი შუბის წვერებს აძგერებენ გამტარებულ ხალხს. მსახურებს მოსდევს ცხენზე შედგმული ტახტრევანი. შიგ ზის ეთერი. გვერდით ცხენდაცხენ მოსდევს გამდელი მარიამი. ეთერი ცნობისმოყვარობით ათვალეერებს სახელოსნოებს. თვალში მოხვდება მახარე, ის აწურული მიჰკვრია კედელს და მიაბიტი ალტაცებით შესცქერის ეთერს. იმდენად ლამაზი და ზემთაგონებით აღსავსეა მისი სახე, რომ ეთერსაც თვალევერ მოუშორებია და ტახტრევანი რომ გაივლის უკან მოიხედავს და ჰაბუკის მზერითა ტყებება. მახარეს ალტაცება ეხატება სახეზე. ეთერს თავისდაუნებურად დარცხვენიით ელიმება, სწორედ ამ დროს ტახტრევანი ერთ მობრეცილ შუკაში წამოჭიმულ მაღალი სახლის კუთხეს მოეფარება.

თავადის ასულის სახეზე გადაფენილი ღიმილს რომ დაინახავს მახარე, ერთ ნაბიჯს გადადგამს და იქვე გაშეშდება. ვერ ამჩნევს, რომ ქარგლები ერთმანეთს მუჯღლუგუნებსა ჰკრავენ და მახარეზე იცინიან.

„ტიკჭორა“ მახარესთან მივა, მობრუნდება და ამხანაგებს ეუბნება:

— დაიჭით, მეგობრებო, ოცნება ცაზე გააფრენს. ჩქარა, კიდევ მიფრინავს, უშველეთ... — და „ტიკჭორა“ სასაცილოდ იმანჭება.

ერთ-ერთი ჰაბუკი ბოხად გუგუნებს.

— მაღლა მაღლა იწევ, მახარე, არ ჩამოვარდე, ბიჭო!

მახარე პატარა ხანს დგას. მერე თავჩაღუნული მძიმე ნაბიჯით აჰყვება ქუ-

ჩას, კოშკის მისადგომებთან, სადაც მამისას სახელოსნო მიყუუქლა და მაღალი ჰადრის ძირში ჯდება. ჩაფიქრებულ ღიღინებს რაღაც პანგს, რომელიც მოულოდნელად ყურებში ჩაესმის.

პანგი, რომელიც თვითონ მახარეს ოდნავ ჩაესმის ყურში, უეცრად მოსწყდება მის ბაგეს, მთას გადაიფრენს, ტახტრევანს დაეწევა და ეთერის პატარა ყურებს ჩასწყდება. ფიქრში წასული ეთერი შეკრთება. მასაც ჩაესმის ნაწყვეტი უცნაური პანგისა.

კოშკის მხარიდან მონადირეთა გუნდური სიმღერა ისმის. პანგი წყდება. გამდელი ეთერისაკენ დაიხრება და ეუბნება:

— გესმის, ეთერ, იღბლიანი ნადირობიდან ბრუნდება მამაშენი, ხვალ შენი დაბადების დღეა და სთხოვე, რასაც მოისურვებ, შეგისრულებს.

ეთერი გამოცოცხდება, ეშმაკურად გაუღიმებს და ისევ ფიქრებში წავა.

\*  
\*  
\*

თავადი კაცია კოშკის სადარბაზო კარზე მიაგდებს ყორანა ცხენს. გარს ახვევია მრავალი მსახური. ხელებზე მიიმინოები უსხედან. ისმის მამაცი მონადირეების ძველებური სიმღერა.

გადო, რომელიც თავადის მხარდაშარ მოაქნებს ცხენს, უღვაშებში ეშმაკურად იღიმება. თავადი ჩინებულ გუნებაზეა, თვალებს მოკუტავს და გადოს მიუბრუნდება:

— ოდესმე მოსწრებიხარ ამისთანა ნადირობას, სამწყვროდ წავედით და ოთხი ირემი კი მოგვკალით

ცხენიდან ჩამომხტარი თავადი ხარხარებს, თან თავის ლამაზად შეკაზმულ ცხენს ხელს არტყამს გავაზე, მერე აღვირს მსახურს გადაუგდებს.

თვალემოკუტებული თავადი ეშმაკური ღიმილით უყურებს გადოს, რომელიც მუთაქასავით ჩამოკურდება ცხენიდან.

— შენი ვარსკვლავები რას გეუბნებიან ამისთანა ნადირობაზე?

გაღო ტანისამოსს შეისწორებს და წელში მოხრილი პირმოთენე უპასუხებს:

— ბედის გაღიმებაზე ლაპარაკობენ, თავადო.

თავადი ჩაფიქრდება:

— ბედის გაღიმება კი ბედის გაღიმებაა, მაგრამ ის არ არის რაც მე ჩავიფიქრე.

გაღო ხელებს გააქნევს:

— არა, არა, თავადო, სწორედ ის არის რაც თქვენ ჩავიფიქრიათ. როცა ვარსკვლავები უკულმა მოქმედებენ. ეს ჩანაფიქრის შესრულებასა ნიშნავს.

— კარგი, კარგი, აბა ვნახოთ, მაგრამ ვწიშობ, რომ შენ და ვარსკვლავები ველარა რიგდებით.

თავისი ხუმრობით კმაყოფილი თავადი ის არის დააპირებს კოშკში შესვლას, რომ ეთერიც გამოჩნდება. ტახტრეწინიდან გადმოფრინდება და ნიავქარივით მიიბრუნს მამისთან. კაცია სახეგაბრწყინებული ორივე ხელს გაშლის მის მისაგეგებლად:

— რაო, ასულო, ჩემო!

ეთერი გაუბედავად ეუბნება:

— მამავ ზვალ ჩემი დაბადების დღეა, მინდა...

— ვიცი, ვიცი, მადლობა ზენას, ზვალდიდ ზეიმს გადავიხდით. რამე თუ გაკლია, მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ.

— მამავ ისეთი საყურეები მსურს, რომელთა მსგავსიც არავისა აქვს, მე ისიც ვიცი, რომ ასეთ საყურეებს მამისას მეტი ვერაინ ვააქეთებს.

— ჩემო საყვარელო ეთერ, შენ მართალი ხარ, მამისას მეტი ვერაინ ვაგიკეთებს ისეთ საყურეს, რომელიც დედოფალსაც კი შეშურდება.

— ხალხი ლაპარაკობს, რომ ქარგალმა მახარემ ბევრად აჯობა ოსტატობაში მამისასო. — ცბიერად ჩაურთავს სიტყვას მოურავი გაღო.

თავადი უბრძანებს ერთ-ერთ მსახურს:

— ახლავ აქ მომგვარეთ ოქრომჭედელი მამისა.

— დღეს, თავადო, სახალხო დღესასწაული გახლავთ — ჰაბუკუკის დღესასწაული ოსტატებად ნათლავენ და საღმრთოების ვერაინსა ნახავთ.

ეთერის თვალები გაუბრწყინდება, ტაშს შემოკრავს და შესძახებს:

— მამავ, რარივ მინდა ამ სანახაობის ნახვა, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! თავადი ჭადარაშერთულ უღვაშებს იგრებს და მოწყალედ გაუღიმებს:

— კეთილი, კეთილი, წაბრძანდი მთელი შენი ამალის თანხლებით, საყურე კი საღამოს შეუკვეთე. მამისა ერთ დამეში მოგისწრებს.

ეთერი სიხარულით შემოკრავს ტაშს.

\* \* \*

მთის ძირში, სადაც ქალაქია გაშენებული და თავადი კაციას სასახლე დგას, გარშემო ფიქვებშემორგულ უზარმაზარ მინდორზე უამრავი ხალხი ირევია. ჰაბუკუკი მხედრები — ქარგლები თავს ძლივს უჭერენ ფიცხ ცხენებს. შორს, მინდვრის ბოლოს მწვანე ტოტებითა და ყვავილებით შემკულ ხის სვეტზე ოქროს თასი ბრწყინავს და ელავს. თასის ხელმარცხნივ უხუცესი ხელოსნები დგანან. მათ ხელში უჭირავთ სხვადასხვაფერის და სხვადასხვა ნიშნით ამოქარგული დროშები. მთიდან აქოშინებული ჰაბუკუკი ჩამორბის. აი, მივიდა ერთ გჯუფთან.

— რას იტყვი?

— არაფერს. — უპასუხებს მას ერთი.

გარშემომყოფნი იცინიან.

— ჩვენმა მექოთნემ არ დააგვიანოს, არ შეიძლება.

— არა ხუმრობთ? ვითომ აკურთხეს კიდეც?

— რა ხანია, ცანგალავ, თამაშობებიც დასრულდა. აი, იქ ზედავ ერთი ოქროს თასილა დარჩა და ახლა იმისათვის დიწყება ასპარეზობა. ვინც პირველი დასტაცებს ხელს, ის მიიღებს გამარჯვებულის სახელსაც და თასსაც

— ეშმაკმა წაგიღოთ, უყურე! კალ-

თაზე მოსწევს ერთ ბიჭს. — ახლა მისცემენ ნიშანს და დაიწყება ასპარეზობა. მაღლა სწევენ კიდეც დროშებს.

ამ დროს ფეხმალალ თეთრ რაშზე, თეთრებში გამოწყობილი ოქროქსოვილი ლეჩაქით მსახურთა თანხლებით, ლობესთან მოქენდება ეთერი. ცხენს უცბად შეაყენებს და მსუბუქად ჩამოხტება. მსახურნი გორაკზე შესანიშნავ ხალიჩას დააფენენ და ზედ აბრეშუმის ქრელ მუთაქებს დაყრიან. ეთერი, თვალს არ აშორებს ჰაბუჯ მხედართა ჯგუფს და ნელნელა ეშვება ხალიჩაზე. მის გვერდით მოთავსდება გაღია მარიამი. ხალხი ორად გაირღვევა მინდორს ზურგს შეაქცევს და ალტაცებით ათვალიერებს ეთერს.

ყოველივე ეს ერთ წამში ხდება. და ეხლა, როდესაც უხუცესები დროშებს აღმართავენ, საყვირის ხმა გაისმის, ხალხის ყურადღებას ისევე მინდორი მიიპყრობს.

საყვირის ხმის გაგონებაზე, ჰაბუჯი მხედრები ადგილს მოწყდებიან და თავდავიწყებით მიაქენებენ სასურველ მიზნისაკენ. ყორანა რაშზე ყველაზე უკან მახარეა; მის უკან მოჩაქჩაყებს ლიპიანი შეგირდი. — ტიკჭორა.

როდესაც მახარე ეთერს გაუსწორდება, წამით ცხენს შეაჩერებს და ალტაცებით შეჰყურებს ქალიშვილს. ეთერი საყვედურით იღიმება, მახარე შეერთება, ცხენს ზურგზე გაეკვრება, გვერდებზე ფეხებს მოუქერს და შურდულივით გაქანდება წინ.

ერთ წუთში წამოეწევა შორს წასულ ამხანაგებს.

ხალხის წამახალისებელი გუგუნნი, წამოძახილები, ყვირილი — მახარეს ყურებში უცნაურ ჰანგში აერევა. ეთერი დამაბული ადევნებს თვალს თავგანწირულ ჯიროთს, ამ დროს ეთერის ყურებშიც იგივე ჰანგი გაჟღერდება.

— მახარე, გასწი, მახარე!

მახარეს ამხანაგი და მახარე დაწინაურებულები მოჰქრიან, შორს მოიტოვებენ მეგობრებს. სულ ბოლოში მოჯალღალებს „ტიკჭორა“. აგერ ორი

ჰაბუჯი მხედარი მიახლოვებულია მიწანთან. ამ დროს მახარეს რაშზე არაჩვეულებრივ ნახტომს აკეთებს, შეზობელს უკან მოიტოვებს და ქაირშალივით მიჭროლდება სვეტთან. მახარე ცხენს სხარტად მოახტება ზურგზე მოგლეჯს თასს და კარგა მანძილზე გაპრილ მერანს უცბად შეაყენებს.

ალტაცების გუგუნნი ქუხილივით მოესმის მახარეს, ერთბაშად შემოატრიალებს ცხენს და ადგილიდანვე თოხარით მიაქენებს უკან. როდესაც მახარე უხუცესთა წინ გააქროლებს ერთერთ მათგანი წამოიძახებს:

— ჩვენს მეოცნებეს დაავიწყდა, რომ ჩვენთან უნდა შეჩერებულიყო!

— უყურეთ საით მიაქენებს! — ხელში ხელს სტაცებს მამისას უხუცესი.

მახარე ქენებით მიაგვლეებს ცხენს გადაღობილ ადგილთან, სადაც ეთერი ზის. ბრბო თავზარდაცემული შეძახილებით უკან დაიწევს.

— მოჰკლა... მოჰკლავს... თავადის ქალს...

გადაღობილთან ცხენი ბრინჯაოს ქანდაკებასავით შედგება.

მახარე მაღლა აღმართული თასით ხელში ალტაცებით შეჰყურებს ეთერის გაფითრებულ სახეს, უცებ ცხენიდან ჩამოხტება და თვალისდახამამებაზე ცალ მუხლზე დაჩოქილი თასს თავადის ქალის ოქროს ქოშით შემოსილ პაწაწინა ფეხთანა დგამს.

ისმის ბრბოს ალტაცებული გუგუნნი:

— ვაშა! ვაშა! მახარე! — ტალღასავით მიგრიალებს თვალუწვდენელ მინდორზე.

ეთერის ფერმკრთალ სახეს ალი ედება. ფეხზე წამომდგარი ნაზი ხმით მიმართავს მახარეს. მახარეს სიტყვები არ ესმის, მხოლოდ ნაზი ხმა აღწევს და ხედავს მშვენიერ შეტოკებულ ბაგეს. ჰაბუჯი ლამობს წამოდგომას, მაგრამ არ ძალუძს. გაქვავებულივით არის. როცა ეთერი წასვლას დააპირებს, ესმის ეთერის უკანასკნელი სიტყვები:

— მე მგონია, თქვენ ისეთივე ოსტა-

ტი ხართ, როგორი მხედარიც ყოფილხართ.

მსახურები ხელს მიაშველებენ და ეთერი ცხენზე შეჯდება. მხედრები თავადი კაციას კომისიასკენ მიაგულევენ ცხენებს. მახარე მხოლოდ მაშინ ჰოდის გონს, როცა ხეებს მიეფარებიან მხედრები და ოსტატი მამისა ხელს შეახებს.

შეშოთებულ მამისას ჰაბუჯი სახელოსნოში მიჰყავს.



ოქრომკედლის სახელოსნოში ჩამქრალ ქურასთან დიდ საბერველის სახელოზე დაყრდნობილი დგას მახარე. ფიქრებში წასული დასკვნების მოვერცხლისფერო ნაყარს, რომელიც გაგრილებულ ლითონს დაჰფენია. მხარზე ფერადი ბაბთი აქვს გადაკიდული. ზედ ჩაქუჩი და გრდემლია ამოქარგული.

მახარეს უჩუმრა მიუახლოვდება მამისა და ფრთხილად ეუბნება:

— შეილო ჩემო, დღევანდელი დღე ჩვენთვის ნათელი და სასიხარულოა. მე სიამაყით შევეცქერი მაგ ბაბთს, რომელმაც ოსტატის სახელი მოგვანიჭა, შენ კი დანაღვლიანებული ხარ. მითხარი, შეილო, რა გაწუხებს:

მახარე თავს მიაბრუნებს და შემკრთალი უბასუხებს:

— მამე... ნაღველი ჩემი სიხარულმა შვა. მამისა გაოცებული წარბებს აჭიმავს, მერე აღურსიანად მხარზე ხელს დაარტყამს. შეილობილს:

— არაფერია, შეილო, გაივლის. — და უცებ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შესძახებს: რა დროს ლაპარაკია, ერთი კარგად უნდა ვივახშმოთ, დღეს ხომ ჩვენი დღესასწაულია. ნარგიზასთან წავალ, რატომღაც დაიგვიანა.

მამისა ხელების ფშვინტით და ეშმაკური ღიმილით მიდის.

მახარე ფიქრებშია წასული. უცებ შეკრთება. ვილაც ოღნავ აჯაკუნებს

კარს. მახარე ურდულს გასწევს. ზღურბლზე ზმანებასავით დგას ეფერე...

მახარეს თვალი ვერ მოუშორებია უკან მიდის და ოღნავ მიეჯახება თოქმა მაგიდას და გაშეშდება. აღუღებული ეთერი ოთახში შემოდის. უკან მოსდევს გამდელი. ეთერი დაბნეულად ლულულუღებს:

— მაპატიეთ ოსტატო, ხელისათვის მინდა საყურეები დამიშინაოთ, უსათუოდ ხეაღინდელი დღისათვის...

სიტყვების წარმოთქმაზე ეთერი შეკრთა... თვალები დახარა.

მოულოდნელად საიდანღაც შემოფრენილი ჰრეღფრთიანი პეპელა ეთერის მხარზე დააჯდა. მახარე თვალს ვერ ამორებდა პეპელას. მერე მზერა პეპელიდან ეთერის პატარა ყურისაკენ გადააქვს. მახარეს თვალები უბრწყინავს.

— ო, თავადის ქალო, ხეალ განთიადისხანს მზად იქნება საყურე, რომელთა გამო არ გაწითლდება ოსტატი მახარე.

ამ სიტყვებს მახარე აღფრთოვანებული ეუბნება და თვალს არ ამორებს ეთერის.

ეთერი უფრო შეკრთება, ერთხელ კიდევ შეავლებს თვალს მახარეს და ჩურჩულით ამბობს:

გმადლობთ... მშვიდობით იყავი... — მსუბუქად შემოტრიალდება და გადიასთან ერთად გადის სახელოსნოდან.

მახარე ერთ წუთს გაშეშებული დგას, მერე უცებ ეცემა საბერველებს და რაც ძალა და ღონე აქვს, გაციეებულ ლითონს უბერავს. ლითონი თვალის მომჭრელად ბრწყინავს. მახარეს სახე უხურს, თვალები ვარსკვლავებით უბრწყინავს, მკერდი საბერველივით ასდის და ჩასდის.



სახელოსნოს კარებში შემოდინ მამისა და ნარგიზა. როცა მუშაობაში გართულ მახარეს დაინახავენ, მამისა



ნარგიზას შეაჩერებს და ჩურჩულით ეუბნება:

— ნარგიზა, ხელს ნუ შეუშლი... ვიცი რასაც ნიშნავს ეს...

ნარგიზა აღშფოთებულია:

— არ უეხეშვია, კაცო მშვიერია.

მამისას ცოლი გაჰყავს და ყურში უჩურჩულებს:

— თავი გაანებე.

• •

ეთერის პაწაწინა ყურებში ოქროს საყურე — პებლები ციმციმებენ... თავიანდად ემშვიდობება იგი თავის დობილებს.

სასახლის დიდი დარბაზი მოფენილია ძვირფასი ხალიჩებით. ძველებურ შანდლებში სანთლები ანთია. დარბაზის სიღრმეში თავადი კაცია ემშვიდობება ახალგაზრდა თავადებს და მხარზე არტყამს ხელს.

ერთერთი თავადის ასული საყურეებს მისჩერებია და აღტაცებული ამბობს:

— ოჰ, რა ლამაზია, მთელი საღამო თვალი ვერ მოვაშორე.

— მართალია, მშვენიერია, — კეკელუცად უდასტურებენ სხვა ახალგაზრდა ქალებიც.

— ეს მახარე ჭეშმარიტად დიდოსტატია. სიტყვას ურთავს ერთი მათგანი.

— მერე რა ეუყოთ, მაინც ხელოსანია და მე ხელის ჩამორთმევასაც არ ეიკადრებდი, — აღშფოთებული ამბობს წითელლოყევა ჩასუქებული ახალგაზრდა ქალი.

ეს სიტყვები გულიან სიცილში იკარგება.

ეთერი თავს მიაბრუნებს, გადაკალმულ წარბებს შეჰყარის და ფანჯარაში იყურება. ცაზე მთვარე მედიდურად მიტურავს. მედიდურად მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდა ქალები და ვაჟები ოთახიდან გადიან. ისინი თავქვე მისდევენ გზას, რომელიც ხეობაში იკარგება. მსახურები გზას უნათებენ ჩირაღდნებით. ვაჟები საგუნდო სიმლე-

რას მღერიან. სიმღერა, ღამის სიჩუმეში იკარგება. მხოლოდ ჩირაღდნებიღა ციმციმებენ აქა-იქ სიბნელეთა მოკლე ხეობაში.

ბურჯის გაღებულ საარკმელიდან ეთერი სტუმრებს გაჰყურებს.

• •

საოქრომჭედლოს აიენიდან მახარე გაჰყურებს გაბრღვიალებულ სასახლეს, შორს მოციმციმე ჩირაღდნებს, კოშკის საარკმელს, რომელშიც შუქი ნელნელა ჭრება და უცნაური ჰანგი ისევ უდგას ყურებში. ის ნელი ნაბიჯებით ბრუნდება საოქრომჭედლოში.

საოქრომჭედლოში დაბრუნებული მახარე საბერეველს ამუშავეს და ჭურას აღევიებს. უცნაური მელოდია ხეობიდან მოდის კოშკისაკენ.

• •

ეთერი ისევ მიმჭრალ ჩირაღდნების ცქერაშია გართული, ამ დროს რბილ ნახეზე ჩუმი ნაბიჯებით უახლოვდება თავადი კაცია.

— სასიამოვნოდ მღერიან. — ბოხი ხმით ამბობს თავადი.

ეთერი შეკრთება.

— მამავ, როგორ შემაშინე!

— ოცნებობდი განა? რაზე ოცნებობდი?

— მამავ, გემუდარები ნურაფერს მკითხავ. ეთერი ოხრავს და დალონებული იცქირება საარკმელში.

— დღეს მეტისმეტად მომხიბვლელი იყავი; ნამდვილ დედოფალს ჰგავდი.

— ისევ დედოფალს... თავი დამანებე, მამავ.

— კარგი, კარგი... არაფერს გეტყვი, მოისვენე. საარკმელთან ნუღარ დგახარ ღამის სიგრილემ დაჰკრა.

თავადი მიიმე ნაბიჯებით გადის დარბაზიდან.

მოხუცი მსახური შანდლებს ჩამოუვლის და აქრობს.

ღარბაზი განათებულია მთვარის შუქით, ეთერი დაღონებული და თავდაბრილი ნელნელა აღის საძილე ოთახში. მოულოდნელად ღია სარკმელში შემოიჭრება ჩვენთვის ნაცნობი უცნაური მგლოდია და ეთერის ყურამდე აღწევს. ეს მგლოდია თანდათან უსიტყვო სიმღერად გადაიქცევა. ეთერი ყურს მიუგდება, საძილე ოთახში შედის და კარებს მიხურავს.

ეთერის თეთრი საღამური ტანსაცმელი აცვია, თმები გაუშლია და საძილე ოთახის სარკმელთან დგას. ბროლ და ნათელ მკლავებს სმენად ჭკეული გაიწვდის მთვარისაკენ, ჯერ ნელა, მერე კი ხმაამალა მღერის მშვენიერ ჰანგს და ამ სიმღერაში ურთავს გულიდან ამოსულ სიტყვებს.

ოჰ, მთვარევე, მთვარევე, ჩემო  
მეუფევე,  
შენ გაბარებ ჩემს გულის  
სურვილს...

ამ სიმღერაში ეთერი მთვარეს უზიარებს სიყვარულის ამბავს. დიდი თელის ფოთლების შრიალი და აქაფებული მთის მდინარე იმეორებს მის სიმღერას. ეთერი თვალს ვერ ამორებს შუქს, რომელიც ხან ქრება, ხან ენთება. ეს მახარეს ჭურის ალი ციმციმებს შორიდან.

მახარეს საოქრომჭედლოს ღია სარკმლიდან შემოდის ეთერის სიმღერის ნახი ჰანგი და მახარეს მოაჯადოვებს.

\* \* \*

მახარე საბერველს აჩერებს. საბერველის ფრთები ანელებენ მუშაობას. გამლვალი, თვალისმომჭრელად მბრწყინავი ლითონი ცივდება, ფერფლის ლეჩაქით იბურება... მახარე გაშეშებული ზის. ის ყურს უგდება სიმღერას, რომელშიც ხან მუდარა და ხან აღერის ისმის. მახარე ფერმერთალი გამოდის აივანზე. სარკმელში თვალს მოკრავს თუ არა ეთერის, რომელიც ქანდაკებასავით დგას, სიმღერის ხმაც მიწყდება.

დაღონებული ბრუნდება მახარე სა-

ოქრომჭედლოში, ნელა უახლოვდება ჭურას, გონებადაფანტულად იღვრება: ლითონის ნაჭერს ხელში მტკიცედ აკაბრებულია სიმღერით, რომელიც, კვლავ ყურებში უდგას. ლითონი ხელიდან უვარდება და ფილაქანზე ეცემა. უცნაურად გაიწვრიალებს ლითონი ფილაქანზე. მახარე დასწვდება და აიღებს. სხვადასხვა საგანს უქაქუნებს. ლითონის ამ წვრილს ადარებს იმ ხმას, რომელმაც იგი მოაჯადოვა. მახარე ეძებს ახლა სხვა საგანს, რომ ახლა სხვა ხმა გამოაცემინოს ლითონს.

\* \* \*

მზის კაშკაშა შუქი შემოდის საოქრომჭედლოში. კარი იღება და შედის ოქრომჭედელი მამისა. არეულდარეულია საოქრომჭედლო. ქვაფენილზე იარაღები და ლითონის ნაჭრები ყრია. შუაგულ საოქრომჭედლოში მახარე დგას. მამისა შემფოთებული ეკითხება:

— რას ეძებ, შვილო?

— ხმას ვეძებ ოქრომჭედლო, ხმას..

მამისა მხარზე ხელს მოხვევს და შეშინებული ეკითხება:

— გატუობ, მთელი ღამე არ გძინებია... წადი, დაიძინე, მე კი აქაურობას მივალავ-მოვალავებ.

მახარე გონზე მოდის. თვალს მოაველებს საოქრომჭედლოს და შერაცხვება. ოქრომჭედელი ძალისძალათი აწვეწის ტახტზე მას. მახარე თავს მისდებს ბალიშზე, მაგრამ ყურში ისევ ის სიმღერა უდგას.

მამისა ფრთხილად წაათარებს საბანს, თავს სევდიანად გადაიქნ-გადმოიქნევს და საოქრომჭედლოს მილაგებას შეუდგება.

მწვანე ტოტიც აპყვება და სარკმელს ეხეტყება. მახარეს თვალბში ბედნიერება იხატება.

\* \* \*

ჭურა ჩამქრალია. მახარე კვარის შუქზე მოჩანს. მოუთმენლობა ეხატება სახეზე, საოქრომჭედლო ისევ მირეულ-

მორეულია. მთვარის შუქი ეცემა ფილაქანზე და უცებ ეთერის სიმღერაც შემოიჭრება.

მახარეს ხელში უპირავს ოქროს ზარი. ზარს რბობის ქსელივით ნაზი ჩუქურთმა ამშვენებს. მახარეს თითები ოდნავ შეარხევს ზარის ოქროს ენას, ჰარმონიულად შეერთებული ეთერის ხმა მღერის სიყვარულის სიმღერას. ამ სიმღერაზე ირხვევა იასამნის პატარა ტოტი. იასამნის ტოტი თეთრად ბრწყინავს მთვარის შუქზე.

• •  
•

მზის პირველი სხივი ისარივით იჭრება საოქრომჭედლოში. იქიდან ხალისიანად გამოდის მახარე. ბედნიერად იღი-

მება, მას უახლოვდება მამისა, სახეში აშტერდება და შესახებმსახურს.

— ეჰე, მახარე, გატყობ კარგად გამოგიძინია, რა დასვენებული სახე გაქვს!

მახარე გონს ახლა მოდის, იგი გარშემო იყურება, აღრეულ მგზავრებს ხედავს. კოშკს, მთებს, ხევს, რომელშიც დილის ნისლი წვება და ლულულუღებს:

— არა, მამი, მთელი ღამე ვმუშაობდი.

მამისა გაოცებული უყურებს:

— მაშ ერთ ღამეში ასე რამ გამოგცვალა, ველარა გცნობ... თითქოს ამ ერთ ღამეში დავაქაყადი! ის მაინც მითხარი, რასა ხელოსნობდი?

— ამაღამ გაგაგებინებ ჩემს საიდუმლოს, მამი.

## წოგნა იანაოკაუ



### გამარჯვება

ის იბადება გმირთა ძელებიდან,  
ის იბადება გმირთა სისხლიდან...  
ჩვენ მას ველოდით და სულ გვეჯეროდა,  
რომ მოვიდოდა და დაგვიხსნიდა.  
რომ მოგვისწრებდა და უმიზეზოდ  
დაღვრილ სისხლსა და ცრემლს  
გვაკმარებდა:  
დარდით და შიშით ქვაღქეულ დედებს  
ღიად დარჩენილ სისხლის კარებთან.  
ჩვენ სულ გვეჯეროდა, რომ  
მოგვინახავდა  
მისი ყველაფრის მკურნატი შხეფი, —

ბავშვებს, დამფრთხალებს და  
დაფანტულებს  
და დაქანცულებს უკაცურ გზებით.  
ის შეახორცებს ყველა ჭრილობას,  
ყველა ტყვიელი გაჭრება უცებ  
და იმედებით ივსება გული,  
როცა მის ნათელ ჩირაღდნებს  
ვუცქერთ.  
დაუბრუნდება ჭერი ყვავილებს  
და უძილობით ჩაცვენილ თვალებს...  
მაღე! შენ ახლა ისე გვეჭირდები,  
როგორც ჰაერი... ძვირფასო, მაღე!

### დაჭრილი გული

მოდინ ისევ ჩუმი დღეები  
და სულს მწუხარე ფიქრით მივსებენ...  
ნუ გამიხსენებ, აღარ ვარ თითქოს,  
და ნურასოდეს ნუ გამიხსენებ.  
თუმცა მე ვიცი, თუმცა მე მჯერა,  
რომ შენ გიყვარვარ მართლა და  
ძლიერ,  
როგორც ქარიშხალს გაშლილი სივრცე  
და როგორც დილის ნათელი — იებს...  
მაგრამ მე მაინც ვერ მოგცემ იმედს,  
რადგან მე თვითონ დავკარგე იგი  
და დანებივით მიწყვია გულში  
უკვე გარდასულ დღეების რიგი.

მე მტკივა გული და მტკივა ისე,  
რომ, ალბათ, ველარ განიკურნება  
და ფრთაშეჭრილი ჩემი ოცნება  
სადღაც წაიღეს მწუხრის ღრუბლებმა.  
რა უნდა ვნახო ამ ქვეყნად კიდევ,  
რა შემემთხვევა ამაზე მეტი...  
აშენებული პირველი თრთოლვით  
სულში დამენგრა ნათელი სევტი.  
და ეს დღეც ასე ჩუმი და ბაცი  
ოთახს მწუხარე ფიქრებით მივსებს  
და არაფერი არ მიხარია,  
რადგან ის ჩემგან შორს არის ისევ.  
თარგმანი ოთარ ბილაძისა



## შეხვედრები მშენებლობაზე

### გულწრფელი საუბარი

ერთ-ერთი დიდი, რესპუბლიკური სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ავტორიტეტთანაა ინჟინერმა, რომელმაც მოკრძალების გამო არ მოიხურვა, რომ მისი პიროვნება აქ დაგვესახელებინა, კითხვაზე, თუ რომელი მშენებლობა მიაჩნია მას საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან, დასაჩქარებელ ისეთ ობიექტად, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას — შეიძწლდის მოწინავე ხაზზე მორიგი ასაღები სიმაგრეაო, განაცხადა:

— უსათუოდ, ლაჯანურქესის მშენებლობა!

— მაშ, შეიძწლდის ფრონტის „მოწინავე ხაზი“ ლაჯანურქესის სამშენებლო მოედანზე გადის?

— რასაკვირველია, ნამდვილად! ოღონდაც არა მარტო ლაჯანურქესის სამშენებლო მოედანზე, „მოწინავე ხაზი“ მოიცავს მეორე ხრამქესის მშენებლობასაც, სიონმშენსაც, თბილისის გახსადენის მშენებლობასაც, ბევრ სხვა ობიექტს, მაგრამ ლაჯანურქესი სხვაა. ლაჯანურქესის მშენებლობაზე უაღრესად დიდმნიშვნელოვანი სიახლე ხორციელდება: პირველად საბჭოთა ჰიდროენერგომშენებლების პრაქტიკაში შენდება თალოვანი კაშხალი.

ამ სიახლით დაინტერესებულია არა მარტო რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკოსთა საზოგადოებრიობა, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის, მოძმე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ჰიდროტექნიკოსები და ენერგეტიკოსები. ამიტომ არის, რომ ლაჯანურქესის მშენებლობის დასათვალისწინებლად ხშირად ჩამოდიან ინჟინერ-სპეციალისტთა ჯგუფები

მოკავშირე რესპუბლიკებიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

რას წარმოადგენს ეს თალოვანი კაშხალი?

— დანიშნულება ყოველგვარი კაშხალისა, — განაგრძობდა ინჟინერი, — ერთია: შეაგუბოს მდინარე, დააგროვოს წყლის მარაგი შემდგომში მის გასაშვებად ჯეროვანი მიმართულებით. ჩვენში დღემდე უფრო ხშირად ვაშენებდით საგრაეიტაციო კაშხალს. ასეთი კაშხალია აღმართული ზაქესში, რიონქესში, გუმთის კასკადზე და ა. შ. მაგრამ ტექნიკა წინ მიდის, ვითარდება და ჰიდროენერგომშენებლობაშიც მიგნებულ იქნა კაშხალის მოყვანილობის მტკიცედ საიმედო და ბევრად უფრო ეკონომიური პროფილი — თალოვანი ფორმა. საერთოდ თალი, როგორც სიმძიმის დიდად ამტანი ნაგებობა ათასი წლის წინათაც იყო ცნობილი. საქართველოში შემორჩენილია მრავალი თალოვანი ხიდი, სხვა ნაგებობებიც, რომლებიც დროთა ვითარებაში დანგრეულან, მაგრამ თალოვანი ნაწილები ამ ნაგებობებისა ჯერაც ისევ მტკიცედ დგანან.

ჩვეულებრივი კაშხალიც ყოველთვის სიმძიმის დატვირთვის ქვეშ არის. იგი აკავებს წყალსაცავში დაგროვილი წყლის მასის წნევას. ჰიდროტექნიკოსებმა დააყენეს კითხვა, რაკი კაშხალმა წინალობა უნდა გაუწიოს წყლის მასის წნევას, განა უფრო მიზანშეწონილი არ იქნება კაშხალი თალის მოყვანილობისა გავაკეთოთ? ასეთი თალის მოყვანილობის კაშხალს ვაშენებთ ლაჯანურქესში. აქვე რომ ჩვეულებრივი კაშხალი აგვეშენებინა, საჭირო იქნებოდა ასი ათასზე ბევრად მეტი კუმენტრი ბეტონის ჩასხმა, თალოვან კაშხალს კი, რომელიც,

სხვათაშორის, თხუთმეტსართულიანი სახლის სიმაღლისა იქნება, ამის მეოთხედი ბეტონიც ეყოფა. მაშასადამე, თაღოვანი კაშხალის აგება შეიძლება ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვეულებრივი კაშხალისა, მშენებლობა დაჯდება ბევრად ნაკლები თანხა, ვიდრე გვიჯდებოდა, ხოლო მშენებლობის გაიფხვებას რა მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის, გასაგებია.

ლაჯანურქისის შესახებ შეიძლება კიდევ ისიც ითქვას, რომ ეს სადგური ჩვენი რესპუბლიკის ახალი სიამაყე, საქართველოს ჰიდროენერგეტიკოს მშენებელთა და დამპროექტებელთა შემოქმედებითი გამარჯვებისა და შრომითი შემართების დიდებული ძეგლი იქნება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... თუმცა, რათა ამაში დარწმუნდეთ, საჭირო იქნება საკუთარი თვალთ ნახოთ ეს მშენებლობა, დაათვალიეროთ ის ხეობები, სადაც სადგურის ნაგებობებს აშენებენ, გაეცნოთ მშენებლებს, რომლებიც უსაზღვრო ერთუზააზმით და თავდადებით მუშაობენ... ლაჯანურქისი უჩვეულოდ ორიგინალური აღნაგობის, ისეთი გონებამახვილობით მოფიქრებული სქემის ჰიდროელექტროსადგურია, რომ მისი მსგავსი ჯერ არსად შეგულება... ერთი სიტყვით, სჯობს წახვიდეთ მშენებლობაზე...

### კლდევის სამყაროში

ქუთაის-რაჭა-ლეჩხუმის გზატკეცილით მრავალჯერ ნამგზავრ ადამიანს აღარ აკვირვებს არც ამ გზის მოუვლელობა და არც ამ ბუნების სიზვიადე, ფერთა თამაში, ველური სიუცხოვე.

ჯერ გუმათისა და ოფურჩხეთის აბინებული ველ-მინდვრები, ლედვის ხისა და ბროწეულის ხეივანი, ჩაის პლანტაციები, ბაღები, ვენახები. შემდეგ იწყება კლდე-იწროები. თვალშეუდგამ შვეულ კლდეებს ძალზე შეუზღუდავთ მშფოთვარე რიონის კალაპოტი, კლდეებს მხარდასაქერად ზურგში ამოსდგო-

მიან გოლიათი მთები. მაგრამ არ დაშორჩილებია მდინარე ქალაქმურელებს, უბრძოლნია, თავგამეტებში მშენებლობა დაბრკოლებებს, გაურღვევია მათა და კლდეთა რკალი, თავისი გაუტანია, კოლხიდისაკენ ლაღად გაქრია.

გზატკეცილი კი გაპყოლია რიონის ხმაურს, შემპარავად მიიკლაცნება კლდის ერთი კალთიდან მეორე კალთისაკენ.

ქორენიში, ტვიში, ღვირიში, ალპანა... კლდეები, კლდეები, კორტოხები და საღაც კორტოხზე სასწაულებრივად დამუშავებული სიმინდის ყანა. უკვე იგრძნობა დიდ მშენებლობასთან მიახლოება. მოდიან თვითსაცლელები, გოლიათური „მას“-ების ქარავნები, მიდიან სარმატურო რკინით, ათასნაირი საშენი მასალებით, ტურბინა-გენერატორების დეტალებით დატვირთული მანქანები, დუთმა-ნესვისფერი და ასევე ნესვივით წაგრძელებული მოყვანილობის ცემენტსაზიდები.

კლდეებში გაისპის პერფორატორების ხმაური, ბულდოზერები და გრეიდერები იძულებული არიან აეტოტრანსპორტს გზა დაუთმონ, მათი ნაკადი რომ მიწელდება, მერე განაგრძონ გზის გაფართოება.

ეგერ, კლდის ძირში რიონის რიყისკენ ბეტონით მოსალტული პირი გამოუჩენია ცალთვალა გვირახს. თურმე აქ არის ლაჯანურქისის მშენებლობის დასკნითი უბანი, ეს არის იმ დიდი საწნეო გვირახის ბოლო, რომელმაც ცხენისწყლისა და ლაჯანურის გაერთიანებული ნაკადი უნდა გაატაროს ალპანის კლდოვანი მთის წიაღში, უნდა აამუშავებინოს ლაჯანურქისის ყველა ტურბინები და მათ ქვესკნელიდან სინათლის უხვი შუქი მოაცემინოს, ხოლო „გადამუშავებული“ წყალი ამ გვირახით გადმონათხიოს რიონის კალთაში.

— ალპანა — ცაგერის რაიონის მშვენიერი სოფელი, ცენტრი ლაჯანურქისის ძალოვანი უბნის მშენებლებისა. გაღმიდან და გამოღმიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სოფელს კლდეები ამოფარებია, გიგანტურ

თორწეში მოუქცევიათ და არ იქნებოდა ალპანა მიზიდველი, ზაფხულში—გრილი, ზამთარში — მშვიდამინდიანი, რომ ამ სოფელს ორი მხრიდან ორი მდინარე ლაჯანურა და რიონი არ ჩამოუდიოდნენ. კლდეების ზემოთ ტყით დაბურული მთები აწვდილან მაღლა, საამო სიოქპრის ერთი მხრიდანაც, მეორე მხრიდანაც.

• •

ქუჩაში ხე-ტყით დატვირთულ მანქანასთან ნაცნობი სახის კაცი დგას, რაღაცას უხსნის მძღოლს, აქეთ არ იყურება და ბოლოს გაისმის კატეგორიული კოლოთი ნათქვამი მისი სიტყვები:

— თუ ძმა ხარ, ოც წუთში აქ იყავი! მანქანა დაიძრა, გაქანდა დანიშნულუბისამებრ.

— ვალერიან!

როგორ არა, ეს ვალერიან ვარაზაშვილია, სამგორში საცხენისკვისის უბანზე რომ მუშაობდა, საცხენისის სწრაფდენს რომ აშენებდა.

— წავიდეთ, ერთ ვეტერანს გაჩვენებ, ჩვენს მთავარ ინჟინერს ნიკოლოზ მაკარევიჩს, — მიმართა მან ახალჩამოსულს პირადი ამბებისა და ჩამოსვლის მიზნის თაობაზე გამოკითხვისთანავე.

— საშვილიშვილო საქმე, მართლაც დიდებული რამე კი კეთდება, მაგრამ დიდი დამბავით კი გვიხდება მუშაობა, — მოუთხრობდა ძველ მეგობარ-სტუმარს ვარაზაშვილი. — წარმოიდგინე, ჩვენმა მშენებლებმა პარტიის ოცდამეერთე ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს მშენებლობის ვადის ერთი წლით შემცირება, ლაჯანურკვისის ამუშავება მომავალი 1960 წლის ნაცვლად მიმდინარე წელს, ხუმრობა საქმეა?!

— გუშინ კურსდამთავრებული ინჟინერი არ ვარ — განაგოძობდა იგი, მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობია, ჩემთვის რომ ეკითხნათ, ვიკისროთ თუ არა ასეთი ვალდებულებათ, ვურჩევდი თავის შეკავებას. ასეთი რამე, ჩვენთან რომ სასწაულები ხდება, არსად მინახავს. კა-

ცო, რამე შესცვალა ეს ხალხი, რამე მთაბერა მათ ესოდენი ენერჯია? მშრომითი ენთუზიაზმი... არავის, პარკ-მაცხად ჩვენს კადრის მუშებს, არც ახალმოსულებს არავის სკირდება წაბიძგება, მოწოდება, წახალისება. საქმე წინ მიდის და... ეკვი არაა, წლის ბოლოსათვის მშენებლები გაღმობილი გამოვლენ... არა, დამიჯერე, საარაკო რამე იქნება ჩვენი ლაჯანურკვისი! ჯერ სამმართველოში შევიდეთ, მაკარევიჩი ვნახოთ (მშენებლობის უფროსი აკაცი ცნობილად, სამწუხაროდ, აქ არაა!) და მერე კლდისქვეშეთში წავიყვან, აი ნახავთ, თუ ასე არაა!

მიქქრიან დატვირთული ავტომანქანები, მოქქრიან ცალიერნი და, აგერ, ერთი მათგანიდან ჩვენს გასაგონად მძღოლმა გადმოიძახა:

— გბრუნდები!

ვარაზაშვილმა ხელის აწევით ანიშნა — დაგინახე, ჩინებული ბიჭი ხარო და თანამგზავრს მიუბრუნდა — ოცი წუთი დრო მივეცი, მეთხუთმეტე წუთზე კი ბრუნდება, ხომ გითხარი! ახლა ბევრი ბეტონი გვინდა, ბედათ კლდისქვეშეთში იდეალური სიგრილეა, ბეტონის ჩასხმას არაფერი აბრკოლებს და ახლა მთელ ავტოტრანსპორტს ინერტული მასალის, ცემენტისა და ხე-ტყის მონიღვით ვტვირთავთ...

• •

ნიკოლოზ მაკარევიჩი საქართველოს პიღროენერგომშენებელთა ძველი კადრის წარმომადგენელია. დიდი და სახელოვანი შრომითი გზა გაუვლია მას. ჩრდილოეთიდან საქართველოში ერთ დროს გაღმობვეწილ მის პაპის პაპას თეთრიწყაროს რაიონში სახლის საძირკველი გაუსკვნია, დასახლებულა დიჯახსაც მოკვიდებია. ასე წარმოიშვა მაკარევიჩების გვარი თეთრიწყაროში... საქართველოს პიღროელებქტროსადგურების მშენებლობაზე ნიკოლოზ მაკარევიჩი 1929 წლიდან მუშაობს.

— მახსოვს რიონქესში რომ ვმუშაობდი, — იხსენებს იგი — და პატარა,

მაგრამ ახლა უკვე დამსახურებული მწვანეყვავილას გვირაბი გაგვყავდა, ჯერ ისევ მაშინ იყო ლაპარაკი ხან ალპანესის, ხან ტვიშესის მშენებლობის პერსპექტივის შესახებ. ისიც მახსოვს, ჩვენთან რიონქესში ვილაც გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ჰიდროენერგეტიკოსი ჩამოიყვანეს საკონსულტაციოდ. შემდეგ ეს მეცნიერი წაიყვანეს ცაგერში, დაათვალიერებინეს ახლანდელი ლაჯანურქესის მთელი სამშენებლო ტერიტორია და სთხოვეს დააკანა ცხენისწყლის რიონთან შეერთების საკითხზე... იცით რა დასკვნა მოგვცა?

— 14-კილომეტრიანი გვირაბი უნდა გაგვეყვანა ხომლის კლდოვანი მთაგრეხილის წიაღში. ცხენისწყალი რიონთან შეგვეერთებინა ტვიშის კლდეკარში...

— მაშინ ლაჯანურქესის აგება აღარ იქნებოდა შესაძლებელი!

— რასაკვირველია! ლაჯანურქესის აგების შესაძლებლობასთან დაკარგავდით მდინარე რიონის ყველაზე პერსპექტიულ ჰიდროენერგეტიკული რესურსების უბანს... ახლა რომ ვაშენებთ, ასეთი რთული აღნაგობის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მაშინ ოცნებაც არ შეგვეძლო, გამოუცდელნი ვიყავით, განსაკუთრებით გვირაბმშენებლობაში...

...ალპანიდან კლაკილი გზით კლდის თითქმის შუა წელამდე მანქანით ამოსულებს და პაპანაქება ზაფხულის სიცხით გათანგულებს მაკოცხლებელი სიგრილით შეგვხვდა ლაჯანურქესის საბოლოო გვირაბის სატრანსპორტო განშტოება, რომელშიაც ორი ავტომანქანა კი არა, ორი მატარებელიც კი თავისუფლად აუვლიან გვერდს ერთიმეორეს. აქა-იქ გვირაბში ამოკვეთილია ნიში, სადაც ადამიანს შეუძლია დაისვენოს, ელექტროშუქზე გაზეთი წაიკითხოს. ვზივართ ამ გაგანია სიცხეში, კომფორტულად გრილ ადგილას, ვისმენთ საბჭოთა გვირაბმშენებლების ერთ-ერთი მოწინავე რაზმის — ქართული გვირაბმშენებლების ნაცადი მეთაური ინჟინრის საუბარს.

რიონქესისა და პირველი ხრამქესის მშენებლობებზე ჩვენში კონსტრუქციის საუკეთესო გვირაბმშენებლები — სულთანა კადრები. იყო ასეთი ფაქტი: სამამულო ომის შემდგომ წლებში მოძვე აზერბაიჯანში შეუდგნენ ძძლაფრი ჰიდროელექტროსადგურის — მინგეჩაურქესის მშენებლობას. ამ სადგურის კომპლექსისათვის აუცილებლად საჭირო იყო საგრძნობლად გრძელი გვირაბის გაყვანა ჰესის წყალსაცავიდან ყარაბაღის ტრამალებიდან გაქრილ სარწყავ არხში წყლის უსაშვებად. მთა, რომელიც გვირაბით უნდა გავხვრიტათ, გეოლოგიური ამოწმობის გამო დიდ დაბრკოლებებს უჭადდა გვირაბმშენებლებს. საჭირო აღმოჩნდა აზერბაიჯანელი მშენებლებისთვის დახმარების გაწევა და ეს დახმარების ზელი მათ ქართველმა გვირაბმშენებლებმა გაუწოდეს. მათ იკისრეს ჰიდროელექტროსადგურის მთის გულის გახვრეტა, გვირაბის გაყვანა. იკისრეს და კიდევაც გააკეთეს.

ყარადაღის გვირაბის მშენებლობას გვირაბმშენებელთა ეს კოლექტივი აწარმოებდა. მაშინაც მათ ხელმძღვანელობდნენ კეთილი გულისა და დიდი გამოცდილების სპეციალისტები — აკაკი ცნობილად და ნიკოლოზ მაკარევიჩი. სანაქებოდ შეასრულეს საქართველოდან წარგზავნილებმა აზერბაიჯანელი თანამოქმედებისათვის მიცემული სიტყვა — ყარადაღის გვირაბი დანიშნულ ვადაზე და საუკეთესოდ გამოადებული ჩააბარეს ექსპლოატაციისათვის და საქართველოს გვირაბმშენებელთა სახელი შორს, მთელ საბჭოთა კავშირში გასტყორცნეს.

ახლა ჩვენს რესპუბლიკას გვირაბმშენებლობაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია. ჩვენში, საქართველოში შექმნეს ახალი ტექნიკური საკვირველება — გვირაბგამყვანი კომბაინი, რომელიც არა მარტო ჰრის საგვირაბებზე ხვრელს, არამედ ამასთან თვითონვე ამგარებს გამონამუშევარ სივრცეს. გვირაბმშენებლის შრომას უსაშიშროს ხდის, ამასთან აბეტონებს გაქრილ



ხერხებს და დღელამეში რამდენიმე გრძივ მეტრზე სრულიად გამზადებულ სრულპროფილიან გვირაბს სტოვებს.

გერმანელ სპეციალისტს კი მაშინ, ოცდაათიან წლებში, ჩვენი მუშების ალოოიანობასა და სიმარჯვეში ეჭვი შეპარვია „თუ შეძლებთ ხომლის მთაში გვირაბის გაყვანას“... ერთი დეტალი:

გერმანელ მეცნიერ-სპეციალისტის რჩევა არ მოსწონებიათ რიონისკელ მუშებს. მათ შორის ყოფილა რაჭველი მუშაც ტრიფონ ვაწაძე, რომელიც თურმე მრავალჯერ ყოფილა ნამყოფი ცაგერის რაიონის ყოველ სოფელში და იქვე აღშფოთებით უთქვამს:

— მაგას ქვე რა ენაღვლება, შე კაცო, ჩვენი შრომა და ხარჯი! თუ გვიინდა ცხენისწყალი რიონს შევეუერთოთ, რაღა მაინცდამაინც ხომლის მთაგრეხილში შევიქრათ, უკეთესი არ იქნება, განა, ორბელის მთა გავქრათ და ლაჯანურის კალაპოტით გადმოვუშვათ ცხენისწყალი რიონში?!

ტრიფონ ვაწაძის ეს წინადადება უშედეგოდ არ დარჩენილა. დამპროექტებლებმა გულდასმით შეისწავლეს ეს წინადადება, აქედან წარმოიქმნა ლაჯანურპეისის აგების სქემა.



განცვიფრებაში მოვა ლაჯანურპეისის „კლდისქვეშეთის“ მნახველი. რა ხელმა გააკეთა კლდის წიაღში ამოდენა სივრცე, გაიყვანა ეს ვეებერთელა დიდი გვირაბი, ასე ოსტატურად, ასე გონებაშეუხერხებლად მოაწყო გვირაბთა სართულები, ხელოვნური მზე ააკაშკაშა ბნელეთით მოცულ ქვესკნელში და ისიც როგორ? სინათლის წყარო-ელექტროქალი არსად ჩანს, შუქი კი უხვად იგრძნობა, ნემსში ძაფს გაუყრის მოხუცი დიდდა.

აქ აშენებენ ალპანელები საგენერატორო შენობას, თუმცა... რა საჭიროა შენობის კედლები განა უფრო საიმედო და მრავალ და მრავალ საუკუნეთა გამ-

ძლე არ იქნება თვითონ კლდის ეს უზარმაზარი გამოლადრეულ ქვიშაქვი შენ გითხრა და არ დასწვიმოს აგრეთვე ტებს, ყინვამ არ შებოქოს ტურბინებზე მიშვებული წყლის ნაკადი! მთის შორეულ სიღრმეში ტაროსის ჭირვეულობა არ არის მხედველობაში მისაღები, აქ ყოველთვის ერთნაირი ტემპერატურაა ამ მთას ვერავითარი ძალა ვერ შეეხება ისე, რომ ტურბინა-გენერატორების მუშაობა შეაფერხოს. მაგრამ მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესრულება მაინც საჭიროა, მოვლენ ჩვენი მომავალი შთამომავლობის წარმომადგენლები, დათვლიერებენ აქაობას და სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ წინაპართა მარჯვენის მადლს, კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებელთა შრომითს გმირობას, როგორც ჩვენ აღვნიშნავთ და ქედს ვიხრით ვარძიისა და უფლისციხის, ნიკორწმინდისა და გარეჯის მშენებელთა ოსტატობის ნიჭისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ თავდადებისათვის მზადყოფნის, გაკაჟებული პატრიოტიზმის წინაშე.

ცხრასართულიანი უზარმაზარი საცხოვრებელი სახლი მოთავსდება თავის ეზოთი იმ სივრცეში, რომელიც აქ მშენებლებს კლდის გულში გამოუყვეთიათ. ამ სივრცის თავზე მეორე სართულია. იქ კლდის გულში უზარმაზარი გამათანბრებელი რეზერვუარის ადგილია ამოკვეთილი და მოპირკეთებული ბეტონით და რკინატორკრეტით, რეზერვუარის თავთან წყალმომყვანი გვირაბი მთავრდება. დაეშვება მალა სართულიდან წყალი იმდენ ცალკე ჰაულ-ნაკადად რამდენი ტურბინა-გენერატორიც იმუშავებს, ამუშავდებიან დანადგარები, დენს მოგვეცემენ, ხოლო გადაამუშავებული ნაკადები, ერთად გაერთიანებულნი, ამ გვირაბის პარალელური, მაგრამ ერთი სართულით დაბლა გაქრილი გვირაბით დღის სინათლისკენ წადგაფუნდებიან.

ტურბინა-გენერატორებს, სხვადასხვა საზომ-საკონტროლო აპარატებს, რომლებიც აქ უნდა გამართონ ადამიანის

მეთვალყურეობა დასჭირდება. როგორ უნდა გაუწიონ მომსახურება ამ მანქანებს, აპარატებს, ავტომატებს მორიგეებმა, ძნელია „კლდისქვეშეთში“ სართულებზე ასვლა-ჩამოსვლა. ამიტომ აქ გამართავენ ლიფტებს, რომლებიც ორი-ორდე წუთის განმავლობაში აიყვანენ კაცს საჭირო სართულზე, სათანადო დანადგართან, ნაგებობასთან, აპარატურასთან.



აღპანიდან თუ ცაგერისაკენ გაემგზავრება კაცი, ლაჯანურის შეხუთულ ხეობას გვერდს ვერ აუვლის. აქაც კლდეები, პირქუში, საშინელი გადმოხურული კლდეები. მათ ძლევაშისილი კალთა გადაუფარებიათ ცაგერის გზატკეცილისთვის, პატარა ლაჯანურა სადღაც უფსკრულში გადაუჩეხიათ, შენც ხომ რიონი არ ხარო, თვითონ კი მედიდურად წამოქიმულან ზურმუხტოვანი ცის ფონზე.

ასე გრძელდება რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, ხოლო შემდეგ იწყება ორბელის ქალა. ამ ქალაზეა გაშენებული ლაჯანურაქსის მშენებელთა ცენტრალური საცხოვრებელი დაბა, აქ არის მშენებლობის სამართავი „მთავარი პულტი“ — მშენებლობის სამმართველო, საწყობები, ბეტონის ცენტრალური მექანიზებული ქარხანა, სხვადასხვა სახელოსნოები. აქ გამოდის ორბელის მთის გადაღმა, ცაგერთან ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროდან დაწყებული დიდი გვირაბი და აქ შეაერთებს ეს გვირაბი ცხენისწყალს მდინარე ლაჯანურასთან. აქვე, ამ ქალაზეა შემოფარგლული ადგილი ლაჯანურაქსის წყალსაცავისათვის, რომელსაც ორპირის კლდეკართან აღმართული მაღალი თაღოვანი კაშხალი შეაგუბებს.

თაღოვანი კაშხალის უბანთან იწყება მეორე, საგრძნობლად გრძელი სადაწნეო გვირაბი, რომელიც უმოკლესი მანძილით მიემართება აღპანის კლდოვანი მთის გულისაკენ პილროელექტროსად-

გურის კლდისქვეშა საგენერატორო შენობისაკენ — კლდეში გამოკვეთილი სივრცისაკენ.

გამოკვეთილი სივრცისაკენ



მშენებელთა ცენტრალური დაბიდან კარგა მოშორებითაა ცაგერის საამშენებლო უბანი.

— ლაჯანურაქსის შემცირებულ ვადაში ამუშავების ბედი, — განმიმარტავდა მშენებლობის მთავარი ინჟინერი რევაზ კლდიაშვილი, — დამოკიდებულია ოთხი გადამწყვეტი უბნის — ცაგერის, თაღოვანი კაშხალის მშენებლობის, ძაღოვანი კვანძის უბნის კოლექტივებისა და შემოსავლელი გზის მშენებლების სიმამაცეზე.

არსებული გზა, რომელიც ორბელის ქალაზე გადის და ლაჯანურას შხუილს მხარდამხარ მიჰყვება, სულ მალე წყალში ჩაიძირება, ორბელის წყალსაცავის ფსკერზე აღმოჩნდება. ახალით გზა გვერდს აუვლის წყალსაცავს. გზის მშენებლებმა, რომელთაც გამოცდილი ინჟინერი ვალერიან ყორაოლაძე ხელმძღვანელობს, ლაჯანურაქსელებს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში — 1959 წლის ბოლოსთვის სადგურის ამუშაებაში, დიდი დახმარება და მხარდაჭერა აღუთქვა და კიდევაც უსრულებენ დანაპირებს.

ბევრი რამ უამბეს, მთელი მშენებლობა დაათვალიერებინეს ბევრი მოწინავე მშენებელი გააცნეს ახლადჩასულ სტუმარს ლაჯანურაქსის მშენებლობის ხელმძღვანელებმა.

1959 წლის თებერვალში, როცა მოსკოვში პარტიის ისტორიული ოცდამეერთე ყრილობა მიმდინარეობდა, ლაჯანურაქსელებს თაღოვანი კაშხალის აგება დაწყებულიც არ ჰქონდათ. ისიც ისეთი კაშხალისა, რომელიც ახალი ტექნიკური პრინციპების მიხედვით უნდა აეშენებინათ. არც პირველი და მეორე გვირაბების მოპირკეთება იყო დაწყებული, არც სათავის ნაგებობათა მშენებ-

ლობა იყო ისეთ დონემდე მიყვანილი, რომ კაცს ევარაუდებია მათი საქება-ლოტაციოდ გამზადების სიადვილე. მაგრამ მშენებელთა გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი იყო. — მნიშვნელოვანი რამ საქმით ავლნიშნოთ პარტიის ამ ისტორიული ყრილობის მუშაობა, ახალი საქართველოს მშენებლების მარჯვენის ძალა, სიძნელეთა წინაშე ქედმოუხრებლობა ვერცხვნივთ სამშობლოსო, — თქვეს მათ.

ლაჯანურჰესის ვადამდე ერთი წლით აღრე ამუშაებდა. ეს იანგარიშეს მშენებლებმა, ნიშნავდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას, სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის რესპუბლიკაში ხელსაყრელი პირობების შექმნას, წინგადადგმულ სერიოზულ ნაბიჯს შეიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

თითქოს განზრახ, თითქოს საგულდაგულოდ იმისათვის, რომ მშენებლებს უფრო მკაფიოდ ეჩვენებინათ ბეჯითი, თავდადებული შრომის ყოვლისშემძლეობა, ბუნებამ ახალი გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები აღუმართა მათ. ყველაზე სასწრაფო საქმე იყო თაღოვანი კაშხალის მშენებლობის დაწყება, მაგრამ ისე დიდი თოვლი დადო, ისეთი მკაცრი ყინვები დაიჭირა ლაჯანურის ხეობაში, რომ შეუძლებელი გახდა კაშხალის საფუძვლის დაბეტონება. ელოდნენ მშენებლები ამინდს და მოახლოვდა გაზაფხული მთელი თავისი ბრწყინვალეობით, უკვე შეიძლებოდა ბეტონის სამუშაოთა გაჩაღება.

თაღოვანი კაშხალის აგება დიდად პასუხსაგები, უაღრესი მნიშვნელობის ამოცანაა. კაშხალის ლაჯანურჰესელ მშენებელთა გამოცდილებაზეა დამოკიდებული დაბეჯითებით დადგენა იმისა, მიზანშეწონილი იქნება თუ არა ასეთი კაშხალების მშენებლობაზე გადასვლა მასობრივად, ყველგან, სადაც ამას საჭი-

რობა მოითხოვს. ლაჯანურჰესის თაღოვანი კაშხალი უნდა ბუქსი პრაქტიკულ პირველი დედამიწის ამჩვენს მუქქესტად ნაწილზე, არამედ სანიმუშოც, მსუბუქი, პაეროვანი, მხედველობითი სიამოვნების მომგვრელი და ამასთან — მტკიცე, სამუდამო, ბეჯითად ნაგები.

კაშხალის, თუ ის მიწაყრილისგან არ კეთდება, სამშენებლო ძირითადი მასალა არის ბეტონი. ბეტონი კი ახირებულ-ლი, ჰირვეული ხასიათის საშენი მასალაა. არც დიდ სიცივეში, ყინვების დროს, არც ცხელ მზიან ამინდში არ არის მიზანშეწონილი ბეტონის ჩასხმა. შეიძლება, რასაკვირველია, ბეტონის სამუშაოების წარმოება ყოველ ამინდში, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ან დათბუნება, ან ხსნარის ხელოვნურად გაგრილება, რაც ყოველთვის და ყველა ვითარებაში ხელსაყრელი არაა, ვინაიდან მშენებლობის გაძვირებას გამოიწვევს. ისეთი პასუხსაგები და პრინციპულად ახალი ნაგებობის ასაშენებლად, როგორც პირველი საბჭოთა თაღოვანი კაშხალია, გარდა ხელსაყრელი ამინდისა საჭირონი არიან მაღალკვალიფიციური მეტეტონეები, მექარგილები. ისეთი მეტეტონე მუშა, მათი ისეთი ბრიგადირი, რომელიც ცდილობს როგორმე მეტი ბეტონი ჩაასხას, მეტი მანეთების მისაღებად მეტი კუმბეტრები აღინიშნოს და ჩაიწეროს შესრულებულად, თუნდაც ბეტონის ჩასხმამ იმეამად ნაგებობის ხარისხი გააუარესოს, ასეთს ახალს, პასუხსაგებ მშენებლობაზე არ გამოდგება. აქ სჭირდებოდათ ისეთი ადამიანები, რომლებიც მაღალი შეგნების, ბეჯითი, კეთილსინდისიერი, პატრიოტული შრომის, საქმისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს გვიჩვენებდნენ.

თაღოვანი კაშხალის მშენებლებს თბილისის ნაგებობათა და ჰიდრო-ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ბეტონის ლაბორატორიაში სპეციალური ინსტრუქციები გაუმზადეს. ამ ინსტრუქციებით გათვალისწინებულია ბეტონის ხსნარის დამზადების რეცეპ-

ტურა — როგორი სისუფთავისა უნდა იყოს ქვიშა და ხრეში, როგორ ტემპერატურულ პირობებში უნდა დამზადდეს ხსნარი, რომელი მარკის ცემენტი რა პროპორციით უნდა გამოიყენონ და შემდეგ: როდესაც ბეტონის ხსნარს კაშხალის ტანში ჩაასხამენ, როგორი წესით უნდა აწარმოონ ჩასხმული ხსნარის ვიბრაცია, როგორ უნდა აარიდონ ვიბრატორი ხსნარში არეული ხრეშისა და რუყის ქვის დიდ ნაჭრებს, რათა ეს ნაჭრები კაშხალის კედლის განაპირას არ აღმოჩნდნენ.

ბეტონის მაცოცხლებელი წყალი, მაგრამ იგივე წყალი, რომლითაც ქვიშა-ხრეში და ცემენტი ერთმანეთშია აქნილი, ბეტონის მომაკვდინებელი მტერიცაა. ბეტონის ხსნარი ვიბრაციის შემდეგ თავზე მორითმევს ხოლმე წყალს, როგორც სუბი — ცხიმს. სანამ ამ წყალს თავისთავად არ გაქრება ან არ გააქრობენ, ახალი ბეტონის დასხმა არ შეიძლება, თორემ წყალი ბეტონის მასაში მოყვება, ცემენტის მიერ სიმწიფისას გამოყოფილი ტემპერატურის გავლენით ორთქლად გადაიქცევა, ორთქლი გამოსავლის ძიებას დაიწყებს ბეტონის მასაში ბზარებს წარმოშობს.

თბილისიდან, ნაგებობათა და პილროენერგეტიკის სამეცნიერო-საეკლვევი ინსტიტუტიდან აქ ჩამოსული არის ბეტონის სპეციალისტ-კონტროლიორთა მთელი ჯგუფი, რომელიც თვალყურს ადევნებს, რომ მშენებლებმა კაშხალის ბეტონირების დროს არ დაუშვან ინსტრუქციიდან რაიმე გადახვევა.

15 გრადუსი ჰაერის ტემპერატურა ითვლება ყველაზე ხელსაყრელ პირობად კაშხალის ტანში ბეტონის ჩასხმისათვის. აქ კი დღისით ჰაერის ტემპერატურა მეტია, ზოგჯერ ღამითაც — მეტი. მაშ, როგორ მოიქცნენ მშენებლები? დრო გადის, იგი ლოდინის უფლებას არ იძლევა, პარტიის, ქვეყნის, ხალხის წინაშე დადებული პირობა მშენებლებმა უნდა შეასრულონ. დიდი გმირობა და ვაჟკაცობა იქნება, თუ მშენებლებმა მაღალნაყოფიერი შრომით შეძლეს გა-

სულ ზამთარში კაშხალის მშენებლობაზე უამინდობის გამო დაკარგული თითქმის ორი თვის ანაზღაურება. კედელზე კარონ, თუნდაც ერთი დღე? — არაერთარ შემთხვევაში ეს იქნებოდა საქმის დაღატი, ლაჯანურქესელთა მთელი კოლექტივის ღირსების შეზღაურება. არა და, დიდი სიციხეებია, ამარად არახელსაყრელი ამინდი. როგორ მოიქცნენ, სად არის გამოსავალი?

მოიწვიეს მშენებლები შექმნილი მდგომარეობის განსახილველად, ხოლო მათ წინაშე მშენებლობაზე შექმნილი სიტუაციის თაობაზე მოხსენებით გამოსვლა მშენებლობის უფროს გიორგი წულეისკირს დაავალეს...

— ვის სურს გამოთქვას აზრი? — გაისმა დარბაზში თავმჯდომარის მოწოდება, როგორც კი მოხსენება დამთავრდა და შეკითხვები ამოიწურა.

ტრიბუნისაკენ ბარაქიანი გლეხური ნაბიჯით გაემართა მეზობელი სოფლიდან — ლაილაშიდან მოსული ვაჟკაცი, ენერგიული გამომეტყველების, მთიელის პროფილის ახალგაზრდა რაქდენ თვარაძე.

— ლაილაშიდან ჩამოსულმა მშენებლებმა დამაეალეს მე რომე ვთქვა — ჩვენ გყირულობთ „ქარშხალის“ აშენებას, ვიმუშავებთ ღამით, დღისით — დავისევენებთ. რაყი ეს ქარშხალი...

ხმა ადგილიდან: — ქარშხალი კი არა, ბიჭო, კაშხალი!

რ. თვარაძე: — ჰო, კაშხალი... ასეთი დიდი მნიშვნელობისა ყოფილა, ლაილაშელებს მისი საუკეთესოდ აშენება სახელისა და ღირსების საქმედ მიგვაჩნია! თუ სხვებიც დაგვეხმარებიან, ამას რა აჯობებს! ვიმუშავებთ ისე, რომე წულეისკირმაც კი თქვას — ყოჩაღ ლეჩხუმლებო.

მართლაც მეორე საღამოდანვე კაშხალის მშენებლობაზე შრომითს ვახტზე დადგნენ — რაქდენ თვარაძის, კოსტა სილაგაძის, ვარდენ ბანძელაძის და შუქრი თვარაძის მეგეტონეთა და მექარგილეთა ბრიგადები.

ავგისტოს გრძელი დღის ცაზე ზანტად მსურავი მზე, დიდიდანვე რომ შეუბრალებელი გახელებით აფრქვევდა მწველ სხივებს, ორბელის მთის დასავლეთით გადაიხარა და ლაჯანურის ხეობას სიგრილის მაუწყებელი დაისის ფრთები გადაათარა.

— ახლა იწყება კაშხალზე მუშაობა, წავიდეთ!

პეტრე წულუკიძე — ღრმა თეორიული ცოდნით აღჭურვილი მეცნიერი კაშხალზე მიიჩქარის. უკეთეს თანამგზავრს და ავტორიტეტული განმარტებების მომცემს აბა, ვის ინატრებდა ცნობისმოყვარე სტუმარი, რომ მას არ გაჰყოლოდა. უცნაური კაცია წულუკიძეო, ამბობენ. არავინ აძალებს გარეგრაჟამდე მშენებლებთან დარჩენას, ყოველი კუმბეტრი ბეტონის ტემპერატურის შემოწმებას. იგი ზან ბეტონის ქარხანაშია, ზან კაშხალზე, ზან ქვემო-ხრეშის დამხარისხებელ მექანიზმთან. დგას და ვაი იმის ბრალი, ვისაც შეამჩნევს სამუშაოს ზერელედ შესრულების განწყობილებას, ვისაც ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის ფაქტზე წაასწრებს. ან შენ დარჩები ლაჯანურჰესის მშენებლობაზე ან მეო, მაშინვე ასე დააყენებს საკითხს. ისე კი, კაცს რომ შრომაში კეთილსინდისიერებას, სიბეჯითეს, საქმისადმი ერთგულებას შეამჩნევს — მისი მეგობარია, ამხანაგი, დედისპურის გამტეხი. შეიძლება მისი ასეთი პირადი ხასიათი იყოს იმის მიზეზი, რომ პეტრე წულუკიძე ყოველთვის მზად არის, თავისი სამუშაო კაბინეტისა და ლაბორატორიის სიმშვიდე გაცვალოს მშენებლობის აურხაურიან ვითარებაზე და კვლავაც პრინციპული მიმდევარია ძველი სიბრძნისა — „თეორია უპრაქტიკოდ მკვდარ არს!“

სიღრმე, მაგრამ ბონდის ხიდიდან, რომლითაც კლდის ერთი მძიმე მუორე კლდის პირთანაა შეერთებული, ძირს თუ გადაიხედავთ, ეს სამოციოდე მეტრი უსასრულო უფსკრულად მოგჩვენება და თვალშეუჩვევი კაცი უფრუანტელოდ, თავით ფეხის ფრჩხილებამდე რომ ცივად გაივლის, ვერ გადარჩება. სივიწროვე, კლდეების კედელთა მოხაზულობა და სიღრმეში ჩაბუდებული სიბნელე ქმნიან მხედველობის შემაშფოთებელ ასეთ შთაბეჭდილებასო, ამიხსნეს.

ამ „უფსკრულის“ ფსკერში, რომელსაც კლდეებიდან ელექტროშუქის ქღალი ანარეკლიც ვერ აღწევს, მშენებლებს თაღოვანი კაშხალის საფუძველი ჩაუდულაბებიან, კლდის მაგარ ძარღვებთან გადაუსკენიან და დაუწყიათ ზემოთ ზურგმიბრუნებული, ფრჩილისებრად მოყვანილი კაშხალის ტანის ამოყვანა. პროექტორები ყოველი მხრიდან და მზეზე არანაკლები ბრწყინვალეებით აშუქებენ სამუშაო ადგილებს. კაშხალის მახლობლად აღმართულია გრძელხორთუმინი უზარმაზარი ამწე, რომლის შუაწელიდან მერცხლის ბუდესავით ჩანს მემანქანის კაბინი, ხოლო თვით ამწის წვერი, კლდეების სიმძლესთან ერთად ამ ვარსკვლავებით მოქმედილი უმთვარო ცის ქისონ სიბნელეში იკარგება. ბონდის ხიდიდან ჩანან მოფუსფუსე ადამიანები. გაისმის შეძახილები კაშხალის ხან ერთი, ხან მეორე სექციიდან: „ვირა“, „მაინა!“ ეს ამწის მემანქანეს ანიშნებენ — დაუშვი ბეტონის ხსნარით საესე ბადია, ახლა ასწიე, მოგვაშორე, ბეტონის მორიგი კერძი მოგვაშველე, მალე, მალე...

შეიძლება დადგეს კაცი შორიახლოს, ისე რომ ხელი არავის შეუშალოს და უცქიროს, გატაცებით, როგორც საინტერესო სპექტაკლს, როგორც ვახტანგ ქაბუკიანის „ოტელოს“ თვალყუ-

რი ადენოს ამ მოფუსფუსე ადამიანების შეწყობილ, რიტმულ მუშაობას. აჰა, ბადია ეშვება, ათი ტონა — ორნახევარი კუმბეტრი ბეტონის ხსნარი მოაქვს, მიიმედ ეშვება, სადაცაა დაახვევებს ხსნარს და ნუ გაგიკვირდება მაყურებელო, თუ გულმა გაგიწიოს მშენებლების დასახმარებლად. შენ ხომ დანიხე კაშხალის იმ კუთხეში შაურიანის ოდენა გუბურები, ელექტრო შუქზე რომ ბრჭყვიალებდნენ... წყალს მაინც ამოწრიტაეს კაცი ჭინჭით ან ბუშტით, სანამ ბადია დაეშვებოდეს, სანამ ბეტონის ძველ ფენაზე ახალ ფენას მისაწორ-მოსწორებდნენ! ნუ აჩქარებები, მაყურებელო, ეს ბურთის გატანისათვის ბრძოლა როდია, თუმცა მაინც ბრძოლაა, ბრძოლა მოგებისათვის, გამარჯვებისათვის ჯიუტ, ძლიერ მტერთან — მთებთან, კლდეებთან, სტიქიონთან.

მიხეილ აბზიანიძეს — თაღვანი კაშხალის უბნის უფროსს, ამ შუალამისას სიგრილეში, როცა საგრძნობლად ცივი ნიავეი პიჯაკს მოგანატრებს, ოფლი ღვარად ჩამოსდის. 13 ბლოკად — განყოფილებად არის განაწილებული კაშხალის მშენებლობა. აბზიანიძეს უხდება ყოველთვის იქ იყოს, სადაც ბადია ეშვება. ხან პირველ ბლოკზე, ხან მეორეზე, მეთერთმეტეზე და ა. შ. ახოვანი ამწე-ლონიერი მექანიზმი მსუბუქად ათამაშებს ათტონიან საესე ბადას, მისი გამოდევნება უბნის უფროსს არ გამოადგება, მაგრამ გული არ უთმენს. თაღვანი კაშხალის სანიმუშოდ აგებისათვის პირველი პასუხისმგებელი ის არის! სადღა წავიდეს, სად ჯანდაბაში გადაიკარგოს მაშინ, რომ უბედურად, კაშხალის ტანში წყალმა ნორმაზე მეტად გაეონოს! ბრიგადები ამას არ დაუშვებენ, მეტ სიბეჯითეს, კეთილსინდისიერებას, საქმისადმი ერთგულებას, ვიდრე ლაილაშელი მშენებლები იჩენენ, კაცს ვერ მოსთხოვ, მაგრამ იქნებ შემთხვევით, აჩქარებისას მშენებლებმა უნებლიედ რაიმე არასიზუსტე დაუშვან, ან ბეტონის ვიბრაცია ვერ მოახდინონ, როგორც საჭიროა, ან ქარგილში პატარა ჭუჭყრუ-

ტანები გამორჩეთ, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს...

მარტინული

ფუსფუსში, ადამიანთა უცნებოდელ-ვაში, სტიქიის ძალებთან მათს თავდავიწყებულ ბრძოლაში ამოდის, ზევით და ზევით მიიწევს პირქუში კლდოვანი პეიზაჟის მშვენება — თაღვანი კაშხალის ტანი. იგი თვალდათვალ იზრდება, როგორც ზღაპრული საკვირველება, როგორც მარადიული ძეგლი შრომის სასწაულმოქმედებისა.



ამ სასწაულმოქმედების მონაწილეთა გმირებით, მათი მარჯვე, შეწყობილი, გამარჯვების წყურვილით აღსაესე შრომით, ოსტატობით, გულდადებული, აკურატული მუშაობით ამაყობენ ლაჯანურაპესელები. აღარავის აკვირვებს ძველი ვეტერანების, აღიარებული ნოვატორების მიღწევები. ამას უკვე შეეჩვივნენ. ოთარ ბლიაძეს, ალექსი ნიშუტას, როგორც სახელოვან გვირაბმშენებლებს მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ, მათი გამოცდილებით, აბა სად, რომელი გვირაბის გაყვანისას არ სარგებლობენ და, რატომ უნდა გაგიკვირდეს, თუ ამ ვეტერანებს აქ, ბევრი თაყვანისმცემელი ყავთ, ბევრი მოწაფე, რომლებიც მათი ოსტატობის დაუფლებით, მათი შრომითი ჩვეულების ათვისებით უკვე ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში.

მეორე რამ არის გასაკვირველი: თავი გამოიჩინეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც გუშინდლამდე საკოლმეურნეო ყანებისა და ვენახების გარდა სხვა შრომითი ასპარეზი თვალითაც არ უნახავთ. ჰიდროენერგეტიკოსი მშენებლის პროფესია მათთვის უცნობი იყო, ბეტონსარევი დანადგარი, კლდის სანგრევი პერფორატორი, მძლავრი ამწე და ბეტონის ვიბრატორი არასოდეს ჰქონდათ ნანახი. თავი გამოიჩინეს ამ ადამიანებმა არა ჩვეულებრივს, არა ტრადიციული საინჟინრო ნაგებობის სამშენებლო სამუშაო-

ოთა შესრულებაში, არამედ სრულიად ახალი ტექნიკური პრინციპის ნაგებობის, საინჟინრო შემოქმედების უახლესი მიღწევის მიხედვით, მათემატიკურ გაანგარიშებათა ფოლადის ლოგიკით განმტკიცებული ნაგებობის მშენებლობაში, თავი გამოიჩინეს პროგრესული ტექნიკის დანერგვაში წარმატებით, შრომისადმი შეგნებული კომუნისტური დამოკიდებულებით.

ისტორია ხომ იტყვის, ხომ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პირველი საბჭოური თაღოვანი კაშხალი ააშენეს სოფელ ლაილაშიდან ჩამოსულმა ვაჟაკებმა შექრი და რაქდენ თვარაძის ბრიგადებმა, ლეშქედელი ხუროს კოსტა სილაგაძის, ორხველი მებეტონის ვარდენ ბანძელაძის, პავლე ლაშხის, ვლასი თვარაძის და მათი ამხანაგების, თანამებრძოლების მარჯვენა.

აღნიშნავს ამას ისტორია და იმასაც შეუნახავს ცნობად შთამომავლობას, რომ ამ სახელოვან მშენებელთა შრომითს ამალეებაში, ამ საშვილიშვილო მშენებლობის განხორციელებაში საკუთარი წვლილი შექონდათ ახალგაზრდა ნიჭიერ, უსაზღვრო შემოქმედებითი ენერჯით აღსავსე ინჟინერ-ტექნიკოსებს — მიხეილ აბზიანიძეს, ვიზი კუჭუხიძეს, ვლადიმერ ჭარბაძეს, თენგიზ ჩუბინიძეს, ლევან ბლიაძეს და ბევრ სხვას მათი სახელისა და საქმის დამამშენებელს.

ეს მათზეა ზედგამოჭრილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის მიმართვის სიტყვები, რომლებიც ფაქიზად ამოუწერიათ, დიდ ფარზე გადაუტანიათ და მშენებელთა ცენტრალური დაბის მშვენიერად მოწყობილი მუშათა კლუბის შესასვლელთან კედელს აუტოლებიათ:

„შვიდწლედის გმირთა საგმირო საქმეებს, ჩვენი დროის ადამიანთა თავდადებულ შრომას არ დაივიწყებს ჩვენი ხალხი, ამ საქმეებით იამაყებენ მომავალი თაობები, იამაყებენ კომუნისტური საზოგადოების ადამიანები, იამაყებენ მთელი მოწინავე კაცობრიობა“.

## ქიდეზ მართი სუბარჩი

— საყურადღებო მარტოობა არ არის, — ამბობდა ლაჯანურჰესის მშენებლობის უფროსი გიორგი წულეისკირი, — რომ ავამუშავებთ შეიღწლედის პირშმოს — ლაჯანურჰესს, რესპუბლიკას შეემატებთ ახალ ჰიდროცენტრალს, იათი ელექტროენერჯიის წყაროს, არანაკლებ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამასთან ჩვენს მუშათა კლასს გაეამდიდრებთ ჰიდროენერჯეტიკოს მშენებელთა მაღალკვალიფიკური კადრებით, ადამიანებით, რომელთაც აქეთ სიახლეთა ძიებისა და მიგნების ალლო, შემოქმედებითი წინსვლის მძაფრი მისწრაფება, სამშობლოს ღრმა სიყვარული და კომუნისტის მშენებლობაში გამარჯვების უდრეკი ნებისყოფა.

ეს ლაჯანურჰესის ერთი პლუსი, აბა დაითვალეთ!

რას ნიშნავს ლაჯანურჰესის მშენებლობის ვადის ერთი წლით შემცირება? — ეს ნიშნავს... თუმცა ზუსტად განგარიშება ჯერ ნადრევია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს ნიშნავს მრავალათ მილიონ მანეთ ეკონომიას სახელმწიფოსათვის, ნიშნავს სახალხო მეურნეობის დაჩქარებისათვის საქმით ხელშეწყობას. ამას ჩვენ პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ვ. ი. ლენინის სახელობის ეოლოგის ჰიდროცენტრალის მშენებელთა მიტინგზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ენერჯეტიკოს მშენებლებს მიგვითითა — ახლანდელ პირობებში მთავარია მოვიგოთ დრო, შევამცუროთ მშენებლობის ვადები და მცირე ხარჯის გაწევით მივილოთ მეტი ელექტროენერჯიაო. მაშასადამე, ამ მითითებას ვასრულებთ.

ეს მეორე პლუსი.

ცხენისწყლის გადაგდება ლაჯანურის ხეობით რიონში განა მცირე მნიშვნელობის სიახლეა რესპუბლიკის ეკონომიკისათვის? დადგენილია, რომ მარტო ამ ლონისძიების განხორციელებით ცხენისწყლის ნაკადით რიონის ნაკადის გაუხეხებით მდინარე რიონის კასკადის

ჰიდროელექტროსადგურებს გაუხანგრძლივებთ სრული დატვირთვით მუშაობის საშუალო წლიურ პერიოდს, ამ სადგურებს საშუალებას მივცემთ გამოიმუშაონ იმდენად მეტი ენერგია (იმასთან შედარებით, რასაც ახლა გვაძლევენ), რამდენსაც გამოიმუშავებდა ერთი საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. მაშასადამე, რიონში ცხენისწყლის ნაწილის გადმოშვება უდრის ჩვენი, რესპუბლიკური მასშტაბებით ერთი საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის აგებას.

ეს შესაძლებელია...

თაღოვან კაშხალს საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენ ვაშენებთ. მთიანი რელიეფის პირობებში ასეთი პროფილის კაშხალის აგება ნაგებობის ხანგამძლეობის თვალსაზრისით ყველაზე მეტად მიზანშეწონილია, ხოლო პრაქტიკის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად ეკონომიური და ხელსაყრელი. ავაშენებთ ამ კაშხალს, ამუშავდება ლაჯანურჰესი, ეს სულ ახლო მომავლის საქმეა, მაგრამ შემდეგ? ამის შემდეგ ხომ ჩვენ ახალი მშენებლობები მიგველიან, საქართვე-

ლოს მდინარეთა ენერგეტიკულ რესურსები ხომ ზღვასებრ ამოუწურავია! ესეც არ იყოს, სხვა მთიან რესპუბლიკებს კები და მხარეებიც არის საბჭოთა კავშირში, არიან მოძმე სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, სადაც თაღოვანი კაშხალების მშენებლობა (არა მარტო მთიან ქვეყნებში) უთუოდ ფართო ასპარეზს იპოვნის.

ამ ახალი პროფილის, პროგრესული საინჟინრო ნაგებობის მშენებლობაში გამოცდილებამიღებული კადრები ჩვენ გვეყავს, ჩვენ დავეხმარებით მოძმეებს ახალ საქმეში, წინსვლის, ზრდის მაჩვენებელი სიძნელეების გადალახვაში. ესეც ხომ ლაჯანურჰესის პლუსია!

• •

... მესტიიდან თვითმფრინავი მოფრინავს, ხომლის მთაგრეხილის ზურგზე საკუთარ ჩრდილს მოათამაშებს... აჰა, მოუახლოვდა იგი შვიდწლედის მოწინავე ხაზს — ლაჯანურჰესს, ფრთები შეატორტმანა — სალამი და გამარჯვება თქვენ, ლაჯანურჰესის მშენებლებო!





## სასწაულების ღაბორატორიაში

არ გაგვიყრდეთ ეს საბელწოდება. დიხ! სწორედ „სასწაულების ღაბორატორიაში“. იქ-ნებ თქვათ, ქვეყნიად სასწაულები არ ხდებაო?... წარმოიდგინეთ რომ ხდება! და ამასთანავე, არა რომელიმე მითიურ საბელსონში, არამედ ჩვეულებრივ საბჭოთა კვლევით ღაბორატორიაში. აი, ეს „სასწაულები“: ლითონები, რომლებიც შეშასავით გამჟვრვავდება და არა მარტო ისინი. თურმე, ნახევარგამტარებიც, ბეტონიც, ხეც, მღვრივ წყალიც, ნავთობიც და, ასე გასინჯეთ, ცოცხალი ორგანიზმებიც, ე. ი. მთელი ეს გაუმჟვრვავებელი სამყარო, ჩვენ რომ გარს გვაკრავს... გამჟვრვავდება!

ბევრ ჩვეთაგან უნახავს წყლის შადრევანი, მაგრამ ვეუკნო ვინმეს ენახოს შადრევანი... გამდინარი ლითონისაგან! ასეთი შადრევანი გასართობი არ გვეგონოთ. იგი გამიზნულია სხვადასხვა ლითონებისაგან და მათ შენადნობთაგან სიფრთხანა მავთულის მისაღებად; მათ შორის ასეთი მყიფე ლითონისაგან, როგორცაა ტყვია. დღემდის ხომ ტყვიისაგან მავთულის დამზადება ტექნიკურად შეუძლებლად ითვლებოდა. მაგრამ, ეს გვარ კიდევ ყველაფერი როდია. ასეთი არამე-უღებრივი შადრევანისაგან მიღებული მავთული მეტად საინტერესო თვისებების აღმოჩნდა...

ან განა ეს სასწაული არ არის — მეცნიერები, ზუსტად ერთი წვეთი გაღვებობილი ლითონისაგან, მავალითად თუჯისაგან, იღებენ დაახლოებით სამი კოლომეტრის სიგრძის უწყვილეს მავთულს! ამ მავთულის სისუფ ადამიანის თმის სისქზე ბევრად უფრო მკირეა. თვით მავთულს კი მეტად დიდი გამოყენება აქვს მეცნიერებსა და ტექნიკაში, უმისობა დღეს უკვე შეუძლებელია.

როგორ უნდა ავხსნათ ყველა ეს „სასწაულები“ და რომელ ღაბორატორიაში ხდება ისინი? უპირველეს ყოვლისა, ჩვენ არ უნდა გავივით სიტყვა „სასწაული“ პირდაპირი მნიშვნელობით. როდესაც ჩვენ ვამბობთ: „სასწაულებრივი თვითმფრინავი“, „სასწაულებრივი მანქანა“ ანდა „არამეცნიერებრივი მოწყობილობა“, ამით ჩვენ უმალეს შეფასებებს აქმლეთ ჩვენს საბჭოთა მეცნიერების და ინჟინრების მართლაც რომ განსაკუთრებულ მიღწევებს.

სწორედ ასეთი არამეცნიერებრივი მიღწევები გვსურს გააცნოთ თქვენ: აპარატები, ხელსაწყოები და დანადგარები, რომლებიც შექმნილია

ა. ბაიკოვის სახ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიული ინსტიტუტის ვლადიმეროვი-კურ ღაბორატორიაში. ამ ღაბორატორიას ხელმძღვანელობს ცნობილი საბჭოთა მეცნიერი, მსოფლიოში პირველი რადიოლოკატორული სადგურის შემქმნელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი — პავლე კონდრატეს-ძე ოშენკოვი.

### I თახჯარა უხილავ სამყაროში 1. ხედავს თუ არა ბევრს ადამიანის თვალი?

— რასაკვირველია ბევრს ხედავსო! — დუფიკრებლად უნახუებს ბევრი თქვენგანი ამ კითხვაზე. ასე კია? მოდი შევამოწმოთ.

...ჩვენ ქუჩაში ვართ. მზიანი დღეა. სკვერებისა და ხეივანების ხასხასა სიმწვანე თვალს ახარებს. ჩვენს აბლს მიმოდინ ადამიანები, მიქტრინ ავტომანქანები, ტროლეიბუსები, ავტობუსები. ქალაქის ერთ-ერთ უბანში მოაერდება დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, და ცოტა მოცილებით მიმდინარეობს კიდევ ერთი მშენებლობა: მდინარეზე ხილს აგებენ. ერთი სიტყვით, დიდი ქალაქის ჩვეულებრივ სურათს ვხედავთ.

... თქვენ ქარხანაში იმყოფებით. გზაზედ შეჩერება მოგიხდით ვიდრე შედგენილობა გაივლიდა, რომლის ვაგონებზეც ეწყო მომავალი მიწისმთხრელი მანქანის უზარმაზარი ნაწილები; სამქროში კი ჩვეულებრივი დანადგარებია: დაზგები, მექანიზმები, მათ გვერდით უკვე დამზადებული ნაწილებია, ხელსაწყოები და სხვა დანარჩენი.

ასეთ და მისი მსგავსს საგნებს, — რომლებიც ყოველდღე და ყოველ საათს გარსგვაკრავს, — ჩვენ ვხედავთ. მაგრამ როგორ? ვხედავთ მხოლოდ მათ ზედპირს, ზომას, მოყენილობას, ფერს. ეს არის და ეს. ხოლო, მავალითად: მანქანის ნაწილის, მექანიზმების, სამშენებლო მასალის შიგნითა აგებულება, ე. ი. ყველაფერი ის, რად მეცნიერებაში ოპტიკურად უხილავ გარემოდ იწოდება, ჩვენ თვალს მათი უშუალოდ დანახვა არ შეუძლია.

ბევრია კი ასეთი ხილული ვარემო სამყაროში? ირკვევა რომ ძალიან ცოტა! ასეთებია: პაერი, წყალი, შუშა, ბროლი, ზოგიერთი სიბზე და რამდენიმე საბის პლასტმასი.

ახლა თქვენ, ილბით, უკვე დარწმუნდით, რომ

ჩვენი თვალი არც თუ ისე ბევრს ხედავს, როგორც ეს შესაძლებელია დასაწყისში გვეჩვენოს. საკმარისია, ყურადღებით მივიხედ-მოვიხედოთ, რომ შეატყობთ, ჩვენი მხედველობა ყოველ ნაბიჯზე სრულიად გაუმჭვირვალე საგნებს აწყდება. ჩვენ საუკუნეში კი, მეცნიერებისა და ტექნიკის მძაფრი განვითარების ხანაში, როდესაც ილწვიან რათა შეადწინონ ჯერ კიდევ ბუნების ამოუცნობ საიდუმლოებებში, ასეთი „ხილვები“ არ აწყობს აღამიანებს.

ტექნიკისა და წარმოების ინტერესები თითქმისად შეუძლებელს მოითხოვს — დაინახონ უხილავი რამ! საჭიროა ჩვენ სწრაფად შევიცნოთ და შევიწყალოთ ჩვენგან უხილავი სამყაროს შინაგანი აგებულება. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება ვაიხისენოთ, როგორ სრულყოფდა აღამიანები, განუწყვეტელი ძიებების დროს, იმ საშუალებებს, რომელიც მასწავლებელს აძლევდა, გაეფართოებია ბუნებაზე დაკვირვების საზღვრები.

მე-17 საუკ. დასაწყისში გაჩნდა პირველი მიკროსკოპი, რითაც შესაძლებელი გახდა დავხედინა ჩვენგან უხილავი სამყარო, თავისი მცირე მოცულობის წყალობით. ამ ოპტიკურმა ხელსაწყომ ძალიან მალე პოვა გამოყენება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. მან საშუალება მისცა აღამიანებს, დაენახათ ბიოლოგიური ქსოვილის წმინდა სტრუქტურა, მიკრობები, უამრავი საგნებისა და ნივთიერებების მიკროსტრუქტურა და სხვ.

მეორე მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც განეუთვნება იმავე მე-17 საუკ. და რომელმაც გააფართოვა დაკვირვების შესაძლებლობანი — ტელესკოპია. ამ აღმოჩენამ, გაიღვივოს სახელთანა რომაა დაკავშირებული, შესაძლებლობა მისცა აღამიანს დაენახა მისგან უხილავი შორის მანძილზე მდებარე საგნები. ტელესკოპის წყალობით დადგინდა ციური მნათობების მოძრაობის კანონები, აღმოჩენილი იქნა ახალი ვარსკვლავები, გალაქტიკური ნისლიანობა და ა. შ.

მაგრამ, მიკროსკოპებიც და ტელესკოპებიც საშუალებას იძლევიან საგნები დაინახოთ ოპტიკურად გამჭვირვალე სფეროში, და ისიც მხოლოდ დასაკვირვებელი საგნების ზედაპირი. რატომ ხდება ასე? ეს ახსნება იმით, რომ ყველა ოპტიკური ხელსაწყოების საშუალებით თვალი ხედავს ელემენტარმაგნიტური გამოსხივების სპექტრის ძალიან ვიწრო მონაკვეთს. და ის სინათლედ, რომელსაც ჩვენი თვალი ხედავს — ეს არის იგივე ელემენტარმაგნიტური გამოსხივება. ისინი იზომებიან ტალღების სიგრძით, ოთხი-მეათედღიან რეა-მეათედ მილიმიტრით. (1 — მიკრონი — მილიმეტრის მეათასედი ნაწილია, ხოლო 1 მილიმიტრი — მილიმეტრის მეშვიდედი ნაწილი). ამანვე უფრო გრძელ ტალღებს, — ინფრაწითელსა და რადიოტალღებს, და მასზედ უფრო მოკლეს — ულტრა-

სიღერს, რენტგენის და გამა-სხივებს ჩვენი თვალი ვერ ხედავს, რადგანაც უნაძლეველად ვერ შეიგერძნობს.

გნეზლიონთქანა

**2. უხედავან შედწევადა სხივები**

უდაა, ვეეა თქვენთაგანი გამუქებულხართ რენტგენზე და ვინახათ ამ პროცედურის შედეგი. აი ეს, რენტგენის სხივების გამოყენება ჯერ მედიცინაში და შემდგომში კი ლითონის ნაკეთობებში წუნის აღმოსაჩენად, იყო აღამიანის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რათა გაეფართოებია გაუმჭვირვალე სფეროს ხილვადობის საზღვრები.

თუკი ჩვეულებრივი სინათლის, ე. ი. თვალისათვის ხილული სხივებისათვის, ცოცხალი ორგანიზმი ან კიდევ ლითონი, მიუწოდომელ ზღუდეს წარმოადგენს, უხილავი რენტგენის სხივებისათვის ეს დაბრკოლება არ არის. ასეთ სხივებს შეუძლია გააღწიონ გაუმჭვირვალე სფეროში და ან განსაკუთრებულ ეკრანზე, ან კიდევ ფოტოფიზიკურად აღებულის ამ სფეროს შინაგანი გამოსახულება. მართალია, რომ რენტგენის გამოსახულება საკმაოდ ბუნდოვანია, ის არაა უშუალო, არამედ ჩრდილოვანია, ამიტომაც კარგი სპეციალისტი უნდა იყოთ, რომ მასში სწორად გაერკვეთ.

რენტგენის სხივებთან ერთად დეფექტოსკოპებში (კონტროლისათვის) ლითონის ნაკეთობებში, მეცნიერებმა გამოიყენეს რადიოაქტიული გამა-სხივები, და აგრეთვე მაღალი სიხშირის რხევები, — ე. ი. ულტრაბგერები; მაგალითად ულტრაბგერა კარგად ვადის 10 მეტრისა და მეტი სისქის ლითონში. გამა-სხივებიც ასევე თავისუფლად აღწევენ, მართალია უფრო თხელი სისქის ლითონებში, მაგრამ მათ (ე. ი. გამა-სხივებს) აქვთ უბირატესობა. ასეთი სხივების მიღება შედარებით ადვილია, ვიდრე ულტრაბგერისა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ რადიოაქტიული კობალტის პატარა ამპულა და არა ისეთი რთული რადიოდეტექტორული მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია საჭირო სიძლიერის ულტრაბგერის „მისაღებად“. შითუმეტეს, საწარმოებში მეტწილად ერთი მეტრის სისქის ნაკეთობების გასინჯვა უხდებათ.

ამრიგად: ულტრაბგერაც და გამა-სხივებიც ეითარების მიხედვით ფართოდ გამოიყენება წარმოებაში. ამ მიზნით ვენება მრეწველობამ ითვისა რენტგენული დანადგარების ე. წ. „კოზმალტის ქვეშეხების“ გამოშვება, რომლებიც გაზოივენებთან ლითონების დეფექტოსკოპიაში. მიუხედავად იმისა, რომ გამა-სხივები რენტგენისაზე უფრო „ძლიერი“ აღმოჩნდა, მაინც ვერ მივიღეთ მათგან ლითონის ნაკეთობათა შინაგანი მოწყობილობის მკაფიო ფოტოსურათები. ცუდი გამოსახულება ხომ ერთი სერიოზული ნაკლია რენტგენისა და გამა-სხივებით

ლითონების გაშვებისას; ხოლო რაც შეეხება ულტრაბგერას, უფრო სწორად ულტრაბგერულ დეფექტოსკოპიას, აქ გამოსახულება საყოთოდ არ გვაქვს; გამოსახულებას აქ ცვლის ოსცილოგრაფის ეკრანზე მიღებული სხვადასხვა მრუდეები.

სამწუხაროდ, თანამედროვე დეფექტოსკოპიას ზემოდამოთვლილი ნაკლოვანებების გარდა გაანინია კიდევ მთელი რიგი უარყოფითი მხარეები, რომელთა შესახებ აუცილებლად საჭიროა ითქვას.

**2. ნაწარმის კონტროლი მოძრაობაში**

ბევრი თქვენთვისაც მემოიბს ფარბიყება და ქარხანებში, და ყარჯად იციან, რამდენი დრო და ენერჯია იხარჯება ყოველგვარი ნაკეთობის შემოწმებაზე და გაროშვებზე. ამისათვის იქმნება ურთულესი ხელსაწყოები და მექანიზმები, გამოიყენება ავტომატიკა და ტელემექანიკა. ყველაფერი მიმართულია იქეთყენ რომ, რაც შეიძლება ჩქარა და ზუსტად ჩაბარდეს შემოწმების ოპერაცია. ადვილი მისახვედრია, რომ ნებისმიერი მანქანის, ავტოგატის, დაზვის, ან მექანიზმის შრომის ნაყოფიერება ბევრითაა დამოკიდებული შემოწმებელ-გამოწმებელ აპარატურაზე და ხელსაწყოების სისწრაფესა და სიზუსტეზე. წამი და წამის შეათედები — აი ეს მინიშნები დრო შემოწმებისათვის, რომელიც ჩვენ გვეჩინება. მაგრამ, ეს არც თუ ისე იოლი ამოცანაა.

საქმე იმაშია, რომ ლითონების თანამედროვე ტექნოლოგია არ უზრუნველყოფს სხვადასხვა ნაკეთობებს, რაიმე წუნის გარეშე. მაგრამ, ყველა ნაწილ ლითონის დეტალის ბრალი როდია. ზოგჯერ დეტალის ნაწილ ზეგაყენას ახდენს დეტალის ხარისხზე, ზოგჯერ არა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა პირობებში უბდება დეტალს მუშაობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ნაწილს, რომელსაც აქვს პატარა ნაწილ, მავალთად ფერბი, მუშაობის დროს დიდ დაწოლას არ განიცდის, მაშინ ყველაფერი წესიერად იმუშავებს და არც არაფერი საფრთხე მოყლის მას. მაგრამ, თუკი ეს ხდება რთულ და უნიკალურ მანქანაში? აქ უკვე საჭიროა ხანგრძლივი რემონტი, რომელიც აუცილებლად გამოიწვიებს შრომის უდიდეს დახარჯებას, დროსა და სახარებას.

აი, რატომია, რომ ძლიერ საჭიროა სპეციალიტებმა იციოდნენ არა მარტო დეფექტის ახლომდებარეობა და ზომა ნაწარმში, არამედ, მისი წარმოქმნის მიზეზებიც. მაგრამ, დღესდღეობით დეტალში წუნის კონტროლის არსებული შე-

თოდი, რომელიც დამყარებულია „სწრაზრო რენტგენის აპარატისა და „კუბალტ-ქვეშების“ გამოყენებაზე, აგრეთვე ულტრაბგერის რენტგენზე, უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

თვითონვე განსაჯეთ. 150 მმ ფოლადის დეტალის შინაგანი სტრუქტურის „კუბალტ-ქვეშების“ გამასახებებით ფოტოსურათის გადაღებისათვის აუცილებლად საჭიროა ათეული საათები და მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი ეს დრო შევამოკლოთ და დაიყვანოთ რამდენიმე წუთამდე, ეს მაშინ, თუკი ასეთი დეტალის გაშვებისათვის გამოიყენებთ ბეტატრონს — ვეება, რთულ ელექტრომაგნიტურ მანქანას. (ამ მანქანით ხერხდება მივიღოთ ინტენსივობა ბეტერჯერ უფრო მეტი, ვიდრე ამის უნარი „შესწევს“ „კუბალტ-ქვეშების“. მაგრამ ასეთი შედარებით მცირე დროეშვითა შეუძლებელია უშუალოდ კონვეიერზე განვახორციელოდ მოძრაი ნაწარმის ძლიერ საჭირო კონტროლი.

ითქმის და ამაზედ ადვილი რადაა: რამდენჯერმე გაგვედიდება გამოსხივების წყაროს სიძლიერე და რამდენადმე გავვეუმჯობესებოთ ფოტოემულსიების ხარისხი, მაშინ ხომ მოძრაი ნაკეთობების კონტროლიც უზრუნველყოფილი იქნებოდა. მაგრამ... ეს შეუძლებელია შეცინებრება ჩაბარეს შესაბამისი გაანგარიშებანი და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მაშინ საჭირო გახდება გამოსხივების ინტენსივობის გაზრდა-ათასჯერ! ეს კი რაი მიზეზის გამო შეუძლებელია ერთი, რომ ტექნიკურად ვაძენებუდია, მეორეც, დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანების ბიოლოგიურ სიცოცხლეს, რომლებთაც მოუხდებათ ასეთ მანქანებთან მუშაობა.

მაგრამ სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი? და ამის კი ასეთი გამოსავალი? დიას, არის და იპოვის კოდევაყ სასწაულების ლაბორატორიაში.

**4. ინტროსკოპია**

ნუ დაუწყებთ ამ სიტყვას ცნობარებში და ლექსიკონებში ძებნას. სულერთია, მას მაინც ვერ იპოვით. ეს სიტყვა დაიბადა ა. ა. ბაიკოვის სახ. სსკ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგული ინსტიტუტის ელექტროფიზიკურ ლაბორატორიაში — ან რაგორც ჩვენ მას ვუწოდებთ — სასწაულების ლაბორატორიაში. მაგრამ, რას ნიშნავს სიტყვა — „ინტროსკოპია“. სიტყვა-სიტყვით — ნიშნავს „შიგნით ხედვას“ ან უფრო სწორად „ხილვა შიგნით“. ასეთი ხედვა ხორციელდება სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით, რომლებიც აგრეთვე სასწაულების ლაბორატორიაშია შექმნილი. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის პ. კ. ომჩეპკოვის ხელმძღვანელობით. ამ ხელსაწყოებს ეწოდებათ — ინტროსკოპია.

თუკი მიკროსკოპია საშუალება მისცა ადამიანებს, დაენახა ის რაც უხილავი იყო ზომის სიმა-

ციროს გამო, ხოლო ტელესკოპმა — ხილული გახდა შორ მანძილზე მდებარე საგნები, ინტროსკოპმა შესაძლებლობა მოგვცა დავეხახა, ის რაც უხილავი იყო გაუმჭვირაველ ვარჯის მიუხეობთ. სხვაგვარიად რომ ვთქვათ, ამჟამად ლითონებში, საამრნებლო მასალებში, ხეც, ცოცხალი ორგანიზმშიც, ჩვენთვის უკვე გამჭვირვალეა. ინტროსკოპმა ფანჯარა გაუხსნა ადამიანებს უხილავ სამყაროში.

რამ შეუწყო ხელი, რომ საბჭოთა მეცნიერებს შეეძინათ ინტროსკოპი?

უპირველესყოფლისა ეს შესაძლებელი გახდა თანამედროვე ელექტრონიკის შესანიშნავი მიღწევებით. პრინციპში შესაძლებელი გახდა გარდაქმნათ, რომელიც გინდათ უხილავი ელექტრომაგნიტური რხევა (ინფრაწითელი, ულტრა-იისფერი, რენტგენის სხივები და აგრეთვე რადიოტალღები) ოპტიკურად ხილულ გამოსახულებად. შესაძლებელია ხილული გავხადოთ ულტრაბერკა.

ამ მიღწევების შედეგად ეხლა იქმნება (ნაწილობრივ უკვე შექმნილია) ისეთი ინტროსკოპები, რომლებშიაც შესაძლებელია ყოველგვარი დეტალისა და სხეულის შიგნითა ნაწილის ხილვა. ვადუბარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამას იქნებ სამყარო, რომელიც გასრკვევარეს, უკვე შემსახეთ გამჭვირვალე გახდა. თქმულება «ყოვლისმხედველ თვალზე» სინამდვილედ იქცა.

**5. «ყოვლისმხედველი თვალი» — მუშაობს**

...დაზგათმწენებელი ქარხანა — აეტომატის ერთ-ერთი საამქრო. მუშები აქ არ ზანს. აეტომატური დაზგები თეთონვე ამუშავენ ლითონის ნაწარმს, რომელიც საჩამომსხმელო საამქროდან აქ კონვეიერის წყნარად მოძარევი ლენტის მეშვეობით ხდება. «მექანიკური ხელები» ზუსტად ხსნიან ლენტის დეტალს. დაზგაზე დგამენ და რამდენიმე ხნის შემდეგ კონვეიერზე ბრუნდება უკვე მზა დეტალი. სატრანსპორტო ლენტს მიაქვს იგი ამწყობ საამქროში...

უცებ, დიდ დაფაზე, რომელიც კონვეიერის თავთანაა მოთავსებული, წითელი ნათურა იწებება და გამოჩნდება წარწყრა: «ნაწარმი გასინჯესა სავირობეს». კონვეიერი მოძრაობას განაგრძობს და საამქროში არაფერი იცვლება. მაგრამ აი, ვადის რამდენიმე წამი და ახალი წარწყრა აინთება «წუნია». «მექანიკური ხელი» ერთ რომელიმე ნაწარმს იმავე წუთში ვადმოიღებს ლენტის დანაპარაკი ვაგონეტზე ვადასდება. კიდევ რამდენიმე წამი და ვაგონეტს დანამზადი მიაქვს.

რა მოხდა?

...პატარა ოთახში, კედელზე დიდი ტელეეკრანი. მის გვერდითაა სამართავი პულტი. აქვე ზის მორიგე ინჟინერ-ტექნოლოგი. დიდ ტელეეკრანზე განუწყვეტლივ მოძრაობენ რაღაც გამჭვირვალე ხილუბები. ყურადღებით თუ დააკვირდებით,

დაინახებთ დამზადებული დეტალის კონტურებს, რომელსაც კონვეიერზე ვადმდევდებით!

— თქვენ არ სცდებით — ვმზობს [ჩვენს ინჟინერს, რომელსაც ვაკვირებთ] შეგატყობს — სწორედ ისაა, უფრო ზუსტად, დეტალის შიგნითა აგებულება.

ნათუ ჩვენ ახლა ეხედით უხილავს, ის რაც ამ დრომდის არავის შეეძლო დანახა?

— დიახ, ეს ასეა — წყნარად მოგვიგებენ ჩვენ...

მოჯადოებულებით შეეცქერით ეკრანს. დასაწყისში არც კი ვჯერათ, რომ ადამიანმა შესძლო ჩახხედა ლითონის სიღრმეში. მაგრამ ყველაფერი ეს სიზმარი არაა. — ჩველადი სინამდვილეა.

ინჟინრის მონათობრობიდან ვგებულობთ, რომ საბჭოთა მეცნიერებმა განსაკუთრებული ხელსაწყო შექმნეს, რომლითაც შესაძლებელია შორ მანძილზე ჩიხხედო ლითონში. ამ ხელსაწყოს — გამა-ინტროსკოპს უწოდებენ. სახელდობრ, მისი დახმარებით გახდა შესაძლებელი ტელეეკრანზე დაგვენახა დამზადებული ლითონის დეტექტი. ახლა მორიგე ინჟინრის ძალიან უადვილდება შეამჩნიოს წუნე, შემდეგ კი ლიკვე უბარბო თითის დაჭერაა საჭირო, რომ იმავე მექანიკურმა ხელმა კონვეიერის თეთონ მოხსნას უვარგისი ნაწარმი. სწორედ ამ ოპერაციის დროს იწებება წითელი სიგნალი: «ნაწარმი გასინჯესა სავირობეს».

რა მოხდება თუკი, მორიგე ინჟინერი რაღაც-ნაირად ვერ შენიშნავს ამ სიგნალს? ასეთ შემთხვევაში ამუშადება სპეციალური მოწყობილობა. ისინი იძლევიან დამატებით სინათლისა და მზიან სიგნალებს, და თუ აქაც არ გამოჩნდა მშველელი, მაშინ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ იწებება სიგნალი «წუნია!» და დეტალი აეტომატურად მოიხსნება კონვეიერიდან. ჩვენ აი, ამ ოპერაციას ვადვენებდით თვალყურს საამქროში.

სად და რომელ ქარხანაში მუშაობს ასეთი შესანიშნავი აპარატი? ჯერ-ჯერობით... არსად, მაგრამ აქ მოყოლილი ფანტაზია არაა. ამდაგვარი გამა-ინტროსკოპი უკვე არსებობს სასწაულებიანი ლაბორატორიაში და მზადდება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მანქანათმშენებელ ქარხანაში დასაბამელად. მოდით და დავათვალიეროთ ეს სასწაული ლაბორატორია.

...გამა-ინტროსკოპის სამართავი პულტი, განკუთვნილია რათა შორი მანძილიდან ლითონების მუთაულები ჩავჯახედოს, მეცნიერ თანამშრომელი ბორის ნეესკი ანაბატს რთავს. როგორც კი ხელსაწყოს სახელურს მოვებრუნებთ, ტელეეკრანზე უკვე იწყებს გამოხატვას დეტალის შიგნითა ნაწილის გამოსახულება. თეთონ დეტალი კი ისე გამოიყურება, თითქოს მუშისგანაა დამზადებული. ვადის რამდენიმე წუთი და უკვე ვარგად ზანს დეტალს ფურჩი. ამ დეტექტის ვახომეა დევილია და ზუსტად შეიძლება მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა...

— ახლა კი, — ამბობს ტექნიკურ მეცნ. დოქ-

ტორი ლაბორატორიის ხელმძღვანელი პ. კ. ოზნეკოვი — თქვენ ისეთ საინტერესო რაიშეს დანიხავთ, რომელიც ჯერ არავის უხილავს.

თვალშეუცილებლად შევეურვებთ ეკრანს — ეს პირდაპირ ჯადოქრული სატყმელა მოთავსებული უხილავი ლითონების სიღრმეში. ეკრანზე აფორაჯდა რაღაც უფროსი მასა. შემდეგ თანდათან გამოისახა რაღაც გაურკვეველი მოხაიჯა. აი, აქ უკვე იგი შემასავით გამჟვინვალა-ღამსწრენი უხმოდ შესსკვრიან ეკრანს, მხოლოდ ძალიან იშვიათად გადახედვენ ერთმანეთს.

— ეს ხომ... არა, ეს შეუძლებელია! — ძალუწუნებელი წამოგვტყდა ხოლმე გაკვირვებულთუ ახლა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ციფდება გავარჯერებული ლითონი?

— თქვენ არ შემეღატაკათ — გვიასუხებენ. თქვენ ხედავთ თხიერი ლითონის კრისტალიზაციის პროცესს.

ამ დავიერების მნიშვნელობის შესახებ ლაბორატორიის მეცნიერები შემდეგს მოგვიყვინ: როგორც ცნობილია, ფოლადის განუწყვეტელი ჩამოსხმისას დანადგარებში ლითონის ხაჩისხი, დამოკიდებულია ჩამოსხმული ლითონის ვაციებისა და კრისტალიზაციის სწორ რეჟიმზე. აი, აქ გამოვადგება გამა-ინტროსკოპი. მის შეუქმალა სწრაფად და ზუსტად შეამოწმოს ეს რეჟიმი და შემდგომშიც ავტომატურად აწარმოოს ფოლადის განუწყვეტელი ჩამოსხმა. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანა მიიღებს გვეგმის უფეთ კიდევ უფრო მეტ მაღალი ხარისხის ფოლადის ნაწარმს. და არა მარტო ფოლადისას! ინტროსკოპი გამოყენებას პოვებს შავ და ფერად მეტალურგიაში. ამის შედეგად საწარმოები დაამზადებენ დამატებით მეტ სასარგებლო და აუცილებელ საგნებს თუჯისაგან და ბრინჯაოსაგან, ალუმინისა და სპილენძისაგან, ვოლფრამისა და თუნუქისაგან.

გამა-ინტროსკოპის მორიგი გამოცდა დამთარებულა .ეხლა შესაძლებელია დავათვალიეროთ „ყოველსმხედველი თვალ“. შევდივართ დიდ დარბაზში. კედელთან ახლოს — სქელი ტყვიის სფერო კილია, რომლებშიც ინახება რადიოაქტიული კობალტის პატარა ამპულები. აქვეა გამა-ინტროსკოპი, მხოლოდ უბრუნებრანოდ (იგი სხვა შენობაში).

მეცნიერები გვიხსნიან, რომ გამა-სხივების წყარო სწორედ ეს რადიოაქტიული კობალტის ამპულებია. როდესაც ისინი შიდად დეტალის ან გმდნარი ლითონით სავსე ქოთანში, სხივები ქმნიან მის უხილავ გამა-გამოსახულებას. შემდეგ ისინი ხედებან დეტალის უკან მდებარე ხელოვნურ კრისტალში. მასში კი გამა-გამოსახულების უმეტესი ნაწილი, კრისტალის ვანსაყურებელი თვისების წყალობით, ვადაიტყვეა ოპტიკურად ხილულ გამოსახულებად.

ვათვალიერებთ ახლოს ამ „ჯადოქრულ“ კრისტალს. ჩვენ ხელში გვეჭირავს დიდი მაგარამ ძლიერ მზატი გამჟვინვალე კვადრატული ლინზა, იგი დამზადებულია ვანსაყურებელი

სინთეტიური პლასტიკური ნივთიერებისაგან; როდესაც მას დღის სინათლე ვეცემა, ლინზა მრგოლურჯო ნაპერწყლებად ანათებს. თითქმის ვინეულზე თითქმის დაუღიანო. ამ ლინზას უკვეა გამა-ოპტიკურ გარამჟმენელი. იგი, აქვე ლაბორატორიაში შექმნეს.

გარდამჟმენლის შემდეგ, სხივებს გზაზე ჩვეულებრივი საჩყ ხედება. საჩყ ორ ამოცანას ასრულებს: ერთი, რომ ატარებს ბეტონის დამცველ კედელში გარდამჟმენის შემდეგ დარჩენილ ცოცხალ ორგანიზმისათვის მავნებელ გამა-სხივებს. მეორეც, იგი აბრუნებს ხილულ გამოსახულებას პირდაპირი კუთხით ობიექტივის მხარეს, რომელიც გადაეცემა სატელევიზიო ოთახს.

უკანასკნელი რგოლი ლითონის გამოსახავი სქემისა — სატელევიზიო მშლები — განლაგებულია მეორე შენობაში. სწორედ ამ ეკრანზე ვხედავთ ვამოსარკვევი ლითონის შიგნითა მზარე.

პ. კ. ოზნეკოვის კაბინეტში ინახება პატარა საქალაღე. მასში — წერილებია. წერილები ბევრია, იწერებათ მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინერები, მწარმოებელი და ყველა მათგანს აინტერესებს ერთი საკითხი: როგორ და როდისაა შესაძლებელი რომ ლაბორატორიის ამ ნახაზებით აიგოს შესანიშნავი ინტროსკოპი. ასე მაგალითად, უკრანის მეცნიერებმათა აჯადუბის ვიდე-პრეზიდენტი შერბანი სწერს, რომ ძალიან სჭირდებათ გამა-ინტროსკოპი ძლიერ გამძლე მუხლზეა ლილვის კონსტრუქციის კონტროლისათვის, რომელიც განკუთვნილია ტრაქტორის ძრავისათვის. ვიდე-პრეზიდენტი იქვე სწერს, რომ ამ საქმისათვის არსებული კონტროლის ყველა საშუალება უეარგისია, რადგანაც, ისინი ნაკლებ სწრაფა ნაყოფიერი აიან და საკმარად არა ზუსტია.

რასაკვირველია, გამა-ინტროსკოპის შემდგომი გამოყენება არ ვანისაზღერება, მხოლოდ ნაწარმის კონტროლით და ლითონის კრისტალიზაციის პროცესით. მისი გამოყენების ფარგლები უფრო ფართია. სასწაულებს ლაბორატორიის სწავლულებმა უკვე ნახეს მანქანის ძრავის მუშაობა ტელევიკანზე. ამასთანავე თვითონ ძრავი ვრანზე ისე მოხანდა, თითქოსდა იგი სხედასხვა ელფერის შემისაგან იყო დამზადებული. კარგად ჩანდა თუ როგორ სწრაფად დასრიალებდა უფეთ და ქვევით დღეში. ნუთუ ეს შესანიშნავი ხელსაწყო არაა?

გამა-ინტროსკოპი აგრეთვე საშუალებას გვაძლევს თვალური ვადენით ფოლადის დამცველი ცილინდრის სქელი კედლის იქით. საცდელად დაუწებულ ლითონის მდგომარეობას, რომელიც კოლხალური წვევის ქვეშ იმყოფება — ათასიდან ათი ათას ატმოსფეროზე!

და ეს ყველაფერი — მხოლოდ ნაწილია ასეთი ინტროსკოპის გამოყენების შესაძლებლობისა. დღეიდან ლითონი ვერაფერს დამალავს ადამიანის თვალთვან, იმას რაც ჩვენ ძლიერ ვესრუდა ვეხილავ!

6. არაჩვეულებრივი მიკროსკოპი

ჩვენ განზრახ ვაევიტრებოთ თხრობა ასე დაწვრილებით გამაინტროსკოპის მუშაობასა და მოწყობილობაზე. ეს ვასაგებოდა. ის ხომ გამიხსნულია ლითონებისა და მისი შენადნობების გამოყენებისა და კონტროლისათვის. ლითონი კი პრეპარატების პერდა. და რაც უფრო ხარისხიანი იქნება იგი, მით უფრო ხანგრძლივად იმუშავებს უოველგვარი მანქანები, შექანისებები, ხელსაწყოები და მით უფრო ხანგრძლივად და უმწიკლოდ გვემსახურება ჩვენ სხვადასხვა ნაგებობებში, სადაც კი ლითონია გამოყენებული. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს, ჭლიერ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესისათვის.

მაგრამ, როგორადაც დიდი არ უნდა იყოს გამაინტროსკოპის მნიშვნელობა მეცნიერებასა და ტექნიკაში, მარტო მას ვინც არ შეუძლია გადასჭრას ყველა ამოცანა, რომლებიც ამჟამად დგას სწავლელების წინაშე მეცნიერების ზოგიერთ სფეროში.

აი, ერთი ამ ამოცანათაგანი. როგორც ჩვენ ვიცით შეიღწილიანი გვეგმის მხედვით, საბჭოთა მეცნიერებს მოუხდებოთ ძალიან დიდი მუშაობის ჩატარება, რომელიც მიმართულია კოსმოსურის სხივების, ბირთვული რეაქტივის, ნ ა ხ ე ვ ა რ გ ა მ ტ ა რ ე ბ ი ს (ხაზი ჩვენია — ვ. ბ.) შიველი რიგი პრობლემების გადასაწყვეტად. ცნობილია, რომ, რაც უფრო სუფთაა (უცხო მინარეების გარეშე) ნახევარგამტარი, მით უფრო კარგად მუშაობს მისგან დაზნადებული ხელსაწყოები: დიოდები, ტროდები, ფოტოწინააღმდეგობები, გამმართველები, მზის ბატარეები და ა. შ. ამგვარად, დიდი მნიშვნელობა აქვს ზედმიწევნით სუფთა ნახევარგამტარი ნივთიერებების მიღებას.

მიიღეს რა მხედველობაში ეს სასწავლების ლაბორატორიის სწავლელებმა, თავიანთი წვლილი მათ აქაც შეიტანეს, და შექმნეს კიდევ ერთი ხელსაწყო — ინფრაწითელი ინტროსკოპი. ეს არის თავისებური მიკროსკოპი, რომელიც ინფრაწითელი სხივების მეშვეობით ჩაგვახედებს ისეთ ნივთიერებებში, როგორიცაა ნახევარგამტარები: პლასტმასი (გაუმჭვირვალე) ებონატი, მერქანი. ინფრაწითელი ინტროსკოპის მუშაობის პრინციპი დაახლოებით ისეთივეა, როგორც გამაინტროსკოპის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ (ინფრაწითელი ინტროსკოპში) გამოსახლება დიდდება თასაჯერ და მეტჯერ, და იხმარება სხვა გარდამქმნელი უხილავი ინფრაწითელი სხივების გარდასაქმნელად.

...ლაბორატორიის თანამშრომელი ფიზიკა-მათემატიკის მეცნი. კანდიდატი ანატოლ პეტრესსკე მიცეკვიანი ხელში იღებს თვალისათვის სრულად გაუმჭვირვალე გერმანიუმის პატარა კუბიკს და დებს ინფრაწითელ ინტროსკოპის ქვეშ.

— შეხედეთ — გვიჩვენებს იგი — კუბიკი დიდ, დება 600-ჯერ. ხელსაწყოს უკუღრმად გერმანიუმი მოსწანს, როგორც გამჭვირვალე ჭურჭელი. მაგრამ სადაღე მასში მოსწანს ზნული მარცვლები. ეს არის უცხო მინარეები. ინტროსკოპი ისეა მოწყობილი, რომ შეგვეძლია დავათვალიეროთ ნახევარგამტარები, როგორც მთლიანად. ისე სხვადასხვა სიღრმეზე. ვიცით რა ახლა გერმანიუმის სისუფთავის ხარისხი, სწავლელებს შეუძლიათ შესაფერისი ზომები მიიღოს უცხო მინარეების მოსაცილებლად.

ასევე კარგად „ხილვს ზღის“ ინფრაწითელი ინტროსკოპი გაუმჭვირვალე: პლასტმასებს, ებონეტს და მერქანს. ლითონების ხარისხის გასინჯვის გარდა მეცნიერები სწავლობენ მათ საინტერესოსა და ადრე უხილავ სამყაროს, ასე ვთქვათ, ბუნებრივ პირობებში, სრულიად დასაშვებია, რომ ინტროსკოპი საშუალებას მოგვცემს ვაევიტოთ დამატებითი მნიშვნელოვანი აღმოჩენები ხელოვნური და ბუნებრივი საგნების აგებულებაზე, და როგორ მოქმედებენ ისინი სხვადასხვა პირობებში.

7. გაშუქება. ულტრაბერკით

უკანასკნელ წლების მანძილზე ულტრა ბერკამ დიდი გამოყენება პპოვა ლითონის ნაყეთობებში დეფექტების აღმოსაჩინად. ამის შესახებ უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, მეცნიერება და ტექნიკა თითქოს უკვე კარგად ცნობილ ჩვეულებრივ საგნებს ახლებურად იყენებს. ასე მოხდა ულტრაბერკის მიმართაც. სასწავლების ლაბორატორიაში საინტერესოა ცლა გვაჩვენეს. რკინის კასრი აავსეს სქელი და გაუმჭვირვალე სითხით და შიგ ლითონის ბურთულა ჩაუშვეს. თვითონ კასრი ჩვენთვის უცხო აპარატის ახლოს იდგა. შემდეგ ჩვენ შემოგვთავაზეს ტელევიკანისათვის შეგვეხედა.

როგორ ვაევიტებოთ დავრჩით, როდესაც ეკრანზე გამოჩნდა... შემასაივით გამჭვირვალე კასრი, რომლის ძირზე იდო ბურთულა. შემდეგ უფრო საინტერესო რამ მოხდა, ერთ-ერთმა თანამშრომელმა კასრში ხელი ჩაყო. თან ტელევიკანს უუბრებდა და ისე თითქოს სარკეშია (ეკრანზე სუფთად აღიბეჭდა მისი ხელი), უცხად, უშეცდომოდ შიავნო ბურთულას და კასრიდან ამოიღო...

ეს რა „ჯადოსნური სარკეა“? უნივერსალური ხელსაწყო — ულტრაბერკული ინტროსკოპი შექმნილია იმავე სასწავლებლის ლაბორატორიაში. იგი განუთვნილია, რათა ულტრაბერკის მეშვეობით ჩავიხედოთ ლითონებში, სააღმწებლო მასალებში, ზეთში, ნავთობში, მღვრივ სითხეებში და ცოცხალ ორგანიზმებშიც კი.

ულტრაბერკული ინტროსკოპის საშუალებით ლაბორატორიის სწავლელებმა კარგად დაინახეს მღვრივ წყალში სხვადასხვა საგნები, მილები,

არამტრია და სხვ., რომლებიც შეუძლებელი იყო შეგვეჩინა ჩვეულებრივი თვლით. აქედან, ადვილია წარმოვიდგინოთ, რომ ეს ინტროსკოპი ყველაზე დიდ გამოყენებას პოუვს სხვადა-სხვა საინჟინრო ნაგებობებში, მავალითად, — ჰიდრომშენებლობაში; ამგვარად ლითონისა და რკინაბეტონის ნაგებობათა ვარჯისიანობის კონტროლი უზრუნველყოფილი იქნება, არა მარტო ხელყოფით, არამედ წყალშიც.

ულტრაბეტონი ინტროსკოპი გამოყენებას პოუვს აგრეთვე ელექტრომედულუნის დროსაც. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია და აგრეთვე აუცილებელიც. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მანქანების, გემების, თვისმფრინავების, ორთქლის ქვაბების, სხვადასხვა მექანიზმების, ნაგებობებისა და აგრეთვე კოსმოური რაკეტის შექმნისას, ელექტრომედულუნის გარეშე შეუძლებელია რამეს გაკეთება და აი, აქ, ჩვენი ინტროსკოპი შესძლებს კარგად განწყობის მათი ხარისხი.

ამ ინტროსკოპს აქვს კიდევ ერთი განსაკუთრებული ფასდაუდებელი თვისება.

...სამკურნალო კაბინეტი. ერთი შეხედვით იგი ყველაფრით რენტგენულ დანადგარს მოგვეგონება: დიდი ეკრანი, მის იქვე ავადმყოფი.

— მის ასე დაიწყეთ, — ამბობს ექიმი.

ეკრანი ლიაისფრად განათდა. გამოჩნდა ადამიანის გულის ყაფაზის სურათი და ნათელი გამოსახულება. საინტერესოა, რომ გამოსახულება აქ სრულიად არ ჩამოგავს იმ მუჭ და ბნელ სურათს, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივ რენტგენოსკოპის ხმარების დროს ვიღებთ.

— ახლა კი — თქვა ექიმმა — ჩვენ ვნახავთ ავადმყოფის გულს.

გულის ყაფაზის გამოსახულება ეკრანზე ნელ-ნელა ჭრება და ასევე ნელ-ნელა გამოჩნდება გულის გამოსახულება. შემდეგ კი ყველაფერი ხდება ისე, როგორც ზღაპარში: ჩვენ თითქმის „გაეიარეთ“ გულში, ისე ძირფხვიანიად ვათვალიერებთ მის აგებულებას.

— ეს გულის გარეთა ზედაპირია — ვეიხსენის ექიმი, და ეკრანზე მივვითითებ. ეს კი გულს პერანგია. შემდეგ — გულის ძირლები, მულისკარი, პარკუჭი...

სულგანაბელი თვალუფრს ვადევნებდით გულის მუშაობას და სისხლის მოძრაობას. ექიმი კი ახსნას განავრძობდა:

— გულის არტერიები და ვენები... მისი უკანა ნაწილი... ძირლები. გულის პერანგის გარეთა (უკანა ნაწილის) ზედაპირი... ხოლო უფრო სიღრმეში: ნეკნები და ხერხემალი...

— სწორედ რომ დაუჯერებელია ეს რაღაც საოცრებაა! წამოვიძახებ ჩვენ, როდესაც ეკრანი ჩაქდა.

— დიხ, ეს ნამდვილად „საოცრებაა“! დავეთანხმე ექიმს, ხოლო იგი იწოდება ულტრაბეტონულ ინტროსკოპად, მისი შექმნით განსაკუთრებულა ექიმების დიდხინს ოცნება: მივწე რენტ-

გენის გამოსხივება, შეცვლილი უნებელი ულტრაბეტონი. ახლა ჩვენ შეგვიძლია ჰვიღოთ, ადამიანის, რომელიც ვნებავთ, მისი სურათი და ნათელი გამოსახულება... **ბიზნისიონიკა**

რასაკვირველია თქვენ შეგვეკითხებით: რომელ სამკურნალო დაწესებულებაში იყენებენ ულტრაბეტონულ ინტროსკოპს. ვიპასუხებთ — ჯერ-ჯერობით არსად. მაგრამ, ჩვენ არაფერი მოგვიფიქრა. არასწავლუების ლაბორატორიაში შექმნილი ულტრაბეტონული ინტროსკოპი საშუალებას გვაძლევს ისევე კარგად „გავაშუქოთ“ ადამიანის ორგანიზმი, როგორც ლითონი ამისათვის საჭიროა ოდნავ შეიცვალოს ხელსაწყო სქემა. (რაც უკვე კეთდება). მაგრამ არ უნდა დავვიფიქდეს, რომ ლაბორატორია მოთავსებულია მეტალურგიის ინსტიტუტში და არა სამედიცინო დაწესებულებაში. აზიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ იქ დამზადებული ინტროსკოპები, პირველ ყოვლისა მეტალურგიის და მანქანათმშენებლობის საჭიროებისათვისაა განკუთვნილი. მაგრამ ევკი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ვაივლის ძალიან მცირე დრო და რენტგენი მედიცინაში მოსაგონებლად დაგვჩრება.

ვამთარებთ რა საუბარს თქმაზე — „სარკმელი უნდაე სამყაროში“, საჭიროა აღინიშნოს, რომ ინტროსკოპების შექმნით, მედიცინაში წარმოიშვა ახალი მიმართულება — ინტროსკოპია. საბჭოთა მეცნიერებმა კიდევ ერთი საიდუმლოება გამოსტაცეს ბუნებას. ინტროსკოპის შემდგომი განვითარება, აუცილებლად გაამდიდრებს მეცნიერებასა და ტექნიკას ახალი მნიშვნელოვანი მიღწევებითა და აღმოჩენებითა.

**II მიკრომეტალურგია**

ეს სიტყვა ახლა იწერება ცხოვრებაში. იგიც, ისევე სასწაულებს ლაბორატორიაში დაიბადა. რას ნიშნავს — მიკრომეტალურგია? უპირველესად — ეს არის ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მეთოდი, რომლის საშუალებითაც მიღდება პატარა ზომისა და ძლიერ უმნიშვნელი წონის, განსაკუთრებული თვისებების მქონე, ლითონის ნაკეთობა. ამისთანავე, უმეტეს შემთხვევაში ასეთი ნაკეთობათა მიღება შესაძლებელია, მხოლოდ მიკრომეტალურგიის დახმარებით. არცერთი სხვა თანამედროვე მეთოდი არ იძლევა ასეთ შემთხვევაში დადებით შედეგს.

რომ უფრო ვასაგები იყოს მიკრომეტალურგიის მნიშვნელობა, ჩვენ მოგიყვებით ამ სფეროში ჩატარებულ ზოგიერთ კონკრეტულ სამუშაოებზე.

**1. გამდნარი ლითონის... შადრევანი**

არც ისე დიდხინია, რაც სასწაულების ლაბორატორიაში ამოხეთქა... შადრევანმა. დიხ, წარმოიდგინეთ, რომ ეს ასეა. ამოხეთქა სრულიად ნამდვილმა შადრევანმა მხოლოდ წყლის მაგივრად ნაკადად მოედინებოდა... გამდნარი

ლითონი. ამ შადრევანს ერთი თვისება აქვს: თუ დღეს მაგალითად იქედან თუთიის ნაკადი მოედინება, შესაძლებელია, სურვილის მიხედვით ხვალ-აღუშინის ნაკადი მივიღოთ, ზევ კიდევ — ტუეის; და რაც უველაზედ საინტერესოა, მავთული, უკვე ჰაერში ამოხეთქილი გამდნარი ლითონის ცალკეული ნაკადებისაგან მიიღება.

თქვენ რასაკვირველია ვინდათ იყოდეთ, რისთვისაა საჭირო ეს? აი, რისთვის.

ის ვინც ნამყოფია ქარხანაში, სადაც მავთულს ამზადებენ, იცის თუ როგორი ურთულესი და ხანგრძლივი პროცესია მავთულის მიღება. დასაწყისში ლითონი ახურებენ, ადნობენ, შემდეგ კი გავლიან და ვეებერთელა დაზგაზე ადიდაში გამოიყვანენ. მხოლოდ შემდეგ გაკვირება ასეული წყაროი აღმასის ნახერტში ლითონის ჩხირები, და ეიღებთ შხა მავთულს. მისი დიამეტრის დამოკიდებულება ნახერტის ზომაზე.

როგორც ხედათ, მავთულის დაზგალება არც თუ მთლად ადვილი საქმეა. ნუთუ არ შეიძლება გავიილოდ ეს პროცესი და ვისწავლოთ მავთულის დამზადება, არა მხოლოდ სიღრმის, ფოლადისა და ალუმინისაგან, (როგორც ჩვეულებრივ), არამედ ისეთი მუიდე ლითონებისაგან, როგორცაა, მაგალითად ტუეია და თუთია? მათ ხომ ვერ გავიშვთ უწეროდეს ნახერტებში, რადგანაც გადატყდებიან.

ეს ამოცანა შეიძლება რომ გადაწყვიტოთ — გვითხარეს სასწაულებიზ ლაზოკატორიაში... და მოაწეს გამდნარი ლითონის შადრევანი.

შადრევანის შესაობა უბრალოა. ეს არის თანესებური პულვერიზატორი. პარწმინდათ დახურულ ჰერმეტიკში (აბრტლავში) | ათავსებენ გამდნარ ლითონს. შემდეგ მასში შეიშებენ შეკუმშულ ვაზს — აზოტს, როგორც ცნობილია, იგი არ უერთდება მეტალს, ნეიტრალიტებს იცავს; აზოტის გაზი აწევბა ჰერმეტიკში ჩასხმულ თხევად ლითონს და პატარა ნახერტებიდან ასერის ჰაერში. ჰაერში ავარდნილი ლითონის ნაკადი იცვლება და მიიღება მავთული.

მართალია ჯერ-ჯერობით ისეთი მავთული ცალკეულ გრძელი ნაჭრების სახით მიიღება და არა უსასრულოდ გრძელი, მაგრამ მეცნიერები ცდილობენ, რომ პირდაპირ ჰაერში გასროლილი ლითონის ნაკადს დახვდეს სპეციალური მოწყობილობა, რომელზედაც მავთული დაეხვევა.

მაგრამ, როგორც გამოიჩრევა, ეს არაა მთავარი. მთავარია სხვა გამოცადეს რა შადრევნის მეოოდით დამზადებული ალუმინის მავთული, მეცნიერებმა იგი შვიდრიოდ ფირფიტებად დაწმინახეს. როდესაც მისი სიმტკიცე განიჩრეს, გამოიჩრევა, რომ იგი 2-3 ეერ უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ალუმინის ფირფიტა.

ამ აღმოჩენის მნიშვნელობა ფასდაუდებელია უნდა ვაიხსენოთ, რომ ალუმინი უფრო და უფრო მეტ გამოიყენება პოულარს სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში. უმისოდ შეუძ-

ლებელია სარაკეტო მშენებლობა, ავიაციი, მანქანათმშენებლობა და სხვ.

რის ხარჯზე დიდდება ალუმინის სიმტკიცე? ეს იმით აიხსნება, რომ ჰაერში ამოხროლილი ალუმინი ძალიან იფანება. დაწნეხილ ფირფიტებში ეანგრულები ძლიერ ამაგრებს ალუმინს, ამითი დიდდება მისი სიმტკიცე. აქვე საჭიროა ითქვას, რომ არცერთი სხვა მეოოდით არაა შესაძლებელი ალუმინის ასე მაგრად დაეანგვა. როდესაც სცადეს ასე მაგრად დაეანგვა — ალუმინი აფეთქდა. არა ნაკლები, საუკეთესო თვისებები აღმოაჩნდა ტუეის მავთულისაგან დაწნეხილ ფირფიტებს; როგორც ცნობილია, ბევრ აკუმულატორებში ელექტროდებად იხმარება ტუეის ფირფიტები. თუკი ჩვენ ასეთ ელექტროდებს გავაკეთებთ დაწნეხილი ტუეის ფირფიტებისაგან, მაშინ აკუმულატორის ტევალობა (ე. ა. მისი მუშაობის დრო) რამდენჯერმე გაიზრდება და თუკი ეს ასეა, მაშინ შეიძლება მნიშვნელოვნად შეეამციროთ აკუმულატორის წონა და ამავე დროს შეუნარჩუნოდ მას ტევალობა.

ესეც ფასდაუდებელი აღმოჩენაა. აკუმულატორები ხომ უველაფერს უღვას: გეშებს, წყალქვეში ნაკებს, ავტომანქანებს, ელექტრო და რადიოსადგურებს და ა. შ.

რისგან იზრდება აკუმულატორის ტევალობა? ცნობილია, რომ რაც უფრო დიდაა მათი ზომა, მათში უფრო მეტია ტუეის ფირფიტები და მით უფრო დიდხანს მუშაობს. დაწნეხილ ტუეის ფირფიტებს აქვთ ძლიერ ფოროვანი იგებულება. ამის ხარჯზე მათ უფართოედებათ საერთო მოედანი, თემეცა ზომა ისეთივე რჩება, რაც ჩვეულებრივ ტუეის ფირფიტებს აქვთ. ეს კი იმას უდრის, რომ ჩვენ ვაგვეზარდა ჩვეულებრივი ფირფიტების რიქები.

ეს რომ უველაფერი გასაგები იყოს, საჭიროა მოვიყვანოთ ასეთი (მართალია უხეში) მაგალითი, რომ ავილოთ ერთი ზომის ყურძნის ბტევიანი და ნესვი, შეიძლება შეეინწინოთ, რომ საერთო ფართობი ყურძნის უველა მარცელისა ნესვის ფართობზე მეტი იქნება.

კიდევ ერთი საუკეთესო გამოყენება ჰჰოვა დაწნეხილი მავთულმა. მისგან ამზადებენ შესანიშნავ ფილტრებს, რომელსაც ქიმიურ წარმოებაში იყენებენ. ასეთი ფილტრები საიმედო-ნი, მაღალხარისხოვანნი არიან და ძალიან დიდხანს სძლებენ.

**2. აღმოჩენის თმაზედ უფრო თხელა მავთულის შესახებ**

უკანასკნელ დროს ელექტროსაზომ ხელსაწყოებში, სატელეგრაფი და რადიო აპარატურაში, ავტომობილისა და ტელეფონიის სქემებში უფრო ფართო მასშტაბით გამოიყენება წერილი მავთული, რომელსაც მიკრომავთული ჰქვია.



მისი სისტემა მილიმეტრის მუხებზეა. მიუხედავად ამისა, ასეთი მიკრომეტრი უკვე არ გამოიყენება გაზრდილ მოთხოვნილებებს, რაზედაც აღვნიშნავთ შეცვლასა და ტექნიკის შევსებებს.

საქმე შემდეგია, რომ მიკრომეტრის ჩვეულებრივი მეთოდით დაზღვევისას (გაქვივითა და აღიარებულ გამოყენებით) ვიღებთ მხოლოდ მინიმალური დიამეტრისას — 30 მიკრონს. (1 მიკრონი მილიმეტრის მეთასხელი ნაწილია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადამიანის თმის ღერის სისქე 40-დან 60 მიკრონამდე). უფრო სიფრთხიანი მეთოდის მიღება შეუძლებელია, რადგანაც აღმასის ნაჩერებებში გატარებისას მათი წყდება. მაგრამ შეცვლიერება და მწარმოებლებს არა მარტო 10 — 20 მიკრონის სისქის მათი სტრუქტურა, არამედ 1 — 2 მიკრონის და მიკრონის მათი ნაწილის სისქის მათი კი ასეთ მათი ჩვენი თვალი, თითქმის ვერც კი ხედავს.

რისთვისაა საჭირო ასეთი უწყვეტის მეთოდი?

ყველა თქვენგანმა ნახა ალბათ ვაზითი და ბუცილი ფორსურათი, რომელზედაც ნაჩვენებია იყო დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის კომპლექტური აპარატი. მისი პატარა ზომა და წონა მგრანობელობის ერთდროული ამღებებისას, ეკონომიურობის გაზრდა ელემტარობისაზრდობელობა, მიღწეულია ნაწილობრივ ძალიან წერილი ზომის, რადიოდეტალების გამოყენებით. როგორცაა ნახვევარგამეტარები, წინალომები, კონდესატორების და ა. შ. და აგრეთვე მიკრომეტრისაგან. აქედან ძნელი არაა დავასკვნათ რომ, რაც უფრო პატარა იქნები იყო დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თარობით თუი ჩვენ მათ შევარჩუნებთ მაღალ ხარისხს და მუშაობის უნარს, — მით უფრო მსუბუქი, მცირე მოცულობისა და ეკონომიური იქნება ყველა შეცვლიერული ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება რადიოდეტალონიკაში, ელემტროტექნიკაში, ხელსაწყოთა მშენებლობაში.

უინტერესო არ იქნება ამასთან დავაშირებით თუ მოვიყვანთ რამდენიმე ციფრს. მინიატურული მათი დიამეტრის დაზღვევის დიამეტრი მტარდება ათჯერ, თვითი მტარი მათი წინალომის იზრდება 100-ჯერ, და რაც მთავარია — ლითონის ხარჯვა მტარდება თითქმის 10 000-ჯერ! ამდენჯერვე (10-ჯერ) მათი დიამეტრის შემცირება, — მაგალითად ელემტრონიკაში გაღვანობელობის დაზღვევის დროს — ზრდის მის მგრანობელობას 100-ჯერ. და ამავე დროს დიდად ამცირებს მათ ზომასა და წონას.

ყველა ეს ციფრი თვითონ მტყველებს თავისთავზე და, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

კი მაგრამ, იტყვიან თქვენ, როგორ მივიღოთ ასეთი წერილი მიკრომეტრი და ისიუ ვანამ-

ხოლოებით დაფარული? შესაძლებელია თუ არა ეს?

ამ კითხვას რომ ვუბასუხოთ უბრალოდ ვეღვე შევიდეთ სასწავლების ლაბორატორიაში. აქ დამუშავებს მიკრომეტრის მიღების ახალი მეთოდი, რისთვისაც შექმნილია სპეციალური დანადგარი. სწავლებები აქ დანადგარიდან უწყვეტლევ იღებენ მაღალი ხარისხის მათი, დიამეტრით 20-დან 1-2 მიკრონამდე, და უფრო წერილ მათი. ერთდროულად მათი დაზღვევისას, მას ეხვევა უწყვილი, მაგრამ გამძლე შეშის განამხოლოებელი.

**მ. რა შეიძლება დავაზადოთ. ერთი წვეთი ლითონისაგან?**

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი. ლითონის გასაცემის კედლებზე მოთავსებულია სპეციალური მაღალი სიხშირის დენის (მსდ) მოწყობი გენერატორი, მასზე დამატებულია წერილი შეშის მილი. მილის ქვედა ნაწილი ვერდნობა პატარა ლითონის მარყუცს.

— ამ მარყუცს ქვედა ინდუქტორი — გენისის შეცვლიერა. ეს მარყუცი აქ დაახლოებით ისეთ როლს ასრულებს, რასაც ელემტროტრაში სპარაალი. მაგრამ ინდუქტორში უშვებენ არა ჩვეულებრივ ელემტროდენს, არამედ დიდი ძაბვის დენს (მსდ) შეხედეთ რა ხდება. ერთად (მსდ) გადის სულ რაღაც წამები. ამ დროის განმავლობაში მაღალი ძაბვის დენმა გაახტრა, შემდეგ კი შეშის მილი ჩადებულ სპილენძის ჩხირის ბოლო გააღწო. სითხე ქვეულმა ლითონმა თავის მხრივ, გააღწო შეშა...

ერთ-ერთი შეცვლიერ თანამშრომელი, ახალგაზრდა სწავლული ვასილ პარხაოვი (სწორედ მან შექმნა ეს დანადგარი) მილიდან სპილენძის ჩხირს აძრობს. მის ძირზე მხოლოდ ერთი წვეთი თხევადი სპილენძი დარჩა. აი, ეს წვეთი წყნარად ეკიდა პარში, რომელიც გარემოტრულ იყო გამძნარი შეშით. რატომ არ ვაძღვებ წვეთი თავისი სიმძიმის გამო ძირს. ეს იმიტომ ხდება, — ამბობს ე. პარხაოვი — რომ ინდუქტორში გამავალი დენი არა მარტო აღნობს ლითონს, არამედ მის ირგვლივ ქმნის ძლიერ მაგნიტურ ველს. აი, ეს არ აძლევს სპილენძის წვეთს ძირს ჩამოვარდნის საშუალებას.

**— როგორაა ამზადებენ მიკრომეტრს?**

ო, ეს უკვე არაა ძნელი. შეხედეთ!

პარხაოვი, შეშის ჯიხით ამოდული\* დარბილებულ შეშას. შემდეგ ჯიხით ძირს დაუშვა, და თან გაქვია წერილი მშინავი შეშის ძაფი, რომლის შეგნით აღმოჩნდა მიკრომეტრი, სწრაფად დამაგრა ერთი თავი სპეციალურ მიღებ კოჭზე, ხართო ელემტრომძირავი და კოჭი იწყებს ბრუნვას, და თან იხვევს მათი აღბაბუდას; რადგანაც მიკრომეტრს უშე-

ლოდ გამდნარი ლითონისაგან იღებენ, საჭიროა მისი გაციება, ამისათვის კი გაეარეარებულ ძაფს ატარებენ წყლის ნაქადში...

რამდენიმე ხნის შემდეგ პარხაჩოემა დაგორგ-ლილი მიკრომავთულიანი კოქი მოგვანოდა.

— შორია და გათვალა — მხიარულად თქვა მან — როგორც ზედათ ყოველივე ჩქარა და უბრალოდ ხდება! აბლაბუდის სისქე — 2 მიკრონი.

— აჰ, რაღაც ძალიან ბევრი მავთულია — მივმართეთ ჩვენ მეცნიერ-თანამშრომელს, თუ არ ევლებით მის დამზადებას დასჭირდა მხოლოდ ერთი წვეთი სპილენძი?

— თქვენ არ შემეძარხართ ერთი წვეთი ლითონიდან ჩვენს დანადგარზე მიიღება დაახლოებით სამი კოლომეტრის სიგრძის განმხოლოებელი მიკრომავთული. მისი სისქე დამოკიდებულია დაბვევის სისწრაფეზე და ნაწილობრივ გაციების ხარისხზე.

საინტერესოა, რომ კოქზე დაბვეული მავთული ერთ მთლიან მასას წააგავდა, როდესაც ში-სი ცალკედ გასინჯვა ეცადეთ, გამოირკვა, რომ ძლიერ-ძლიერობით ვხედავთ მას და ისიც სინათლის სხივზე. რასაკვირველია თქვენ არ იფიქროთ, თითქოს ამ დანადგარზე მხოლოდ ერთი წვეთი ლითონისაგან იღებენ მიკრომავთულს. ასეთი ცდა სპეციალურად იქნა ჩატარებული, რათა ეჩვენებიათ თუ რა შეიძლება მივიღოთ ერთ წვეთი ლითონიდან. ჩვეულებრივ კი, შუშის მიღში ვაწეწვებლივ შედის ლითონის ჩხირი, რომელიც ნელნელა იხარჯება და ავტომატურად ჩადის ძირს საჭირო სიგრძეზე.

კიდევ ერთი საკითხი. იქნებ მოგეჩვენოთ, რომ ასეთი მიკრომავთული შუშის იზოლაციით არც თუ ისე გამძლეა? ეს არაა სწორი! ჩვეულებრივ მეთოდით მიღებული მავთულთან შედარებით, (ერთი და იგივე ზომის) ლაბორატორი-

აში დამზადებული მიკრომავთული გამოირჩევა უფრო მაღალი მექანიკური და ელექტრიკი გამძლეობით. იგი კარგად უძლებს ნაწიის ვოლტ ძაბვას.

მაგრამ ეს კიდევ აბალი მეთოდის ყველა დირ-სება არაა. თუკი კოქზე დაბვეულ აბლაბუდას გაეახურებთ (650°-მდე) მაშინ შუშის გარსი (იზოლაცია) პლასტიკური ხდება. ეს კი თავიდან აცილებს მასში ბზარებისა და წყვეტილების გაჩენას. მავთულის ძლიერ სწრაფად დაბვევა იზოლაციის შეცხოვას იწვევს, ასეთ შემთხვევაში მრავალფენიანი გორგალი იმონანდება ჩასმული მთლიან შუშის გარსში. სწორედ ამით ვახდა შესაძლებელი აბალი შუშალითონის ნივთიერების მიღება, რომელიც წარმოადგენს განიერ მრავალძარღვიან მიკრომავთულს, თავისი საიმედო და გამძლე იზოლატიით. ასეთი ნივთიერება კი ძლიერ საჭიროა რადიოელექტრონიკაში, ელექტროტექნიკაში და ხელსაწყოების მშენებლობაში. მას დიდი მომავალი აქვს.

#### დასკვნის მაგიერ

ა. ა. ბიკოვის სახ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროფიზიკური ლაბორატორიის ზოგიერთი სამუშაოების გაეცნობა დავამთავრეთ, როგორც უკვე დარწმუნდით არავითარი „სასწაულები“ ამ ლაბორატორიაში არ ხდება, მაგრამ თუკი მხედველობაში მივიღებთ ინტროსკოპისა და მიკრომეტალურგის უდიდეს მნიშვნელობას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ:

— დიახ, ჩვენ ვიმყოფებით სასწაულების ლაბორატორიაში, სადაც მუშაობს საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავი კოლექტივი. ისინი იღწვიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მაღალ დანერგონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის აბალი მიღწევები, რათა შემდგომში გააფართოონ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესის საჭმე.



პ. ბარამიძე



## იოსებ გრიშაშვილი და ძველი ქართული მწერლობა

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტის იოსებ გრიშაშვილი, როგორც სიტყვის სახელოვანი ოსტატი, აღიზარდა და დაუნჯდა თბილისური ხალხური პოეზიისა და ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე. გრიშაშვილის უაღრესად ორიგინალურ შემოქმედებას მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი ამისი სპეციფიკური ნირი.

და ვიზრდებოდი დანავრული ყასბის  
მორებთან,  
და მუხამაზებს ჩემი ვული  
იმვორებდა.—

ამბობს გრიშაშვილი ავტობიოგრაფიული ხასიათის ერთ უახლეს ლექსში. „მასწავლელთ წიგნი“ ჩემი ძახილი არვის ესმოდა შეითანაზარითო“, შენიშნავს იგი სხვაგან („საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს“). იოსებ გრიშაშვილი, ისე როგორც მისი საყვარელი მგოსანი საიათნოვა, გამოზრდიდა და გაწაფა „ძველი თბილისის ცხოვრების დარჯაქმა“. პოეტის მოწმობის თანახმად, თბილისის მღაბიო საზოგადოებრივი წრეების „სულიერ საზრდოს“ შემადგენდა ნაკვიანევი ხელნაწერებით შემორჩენილი ან იაფფასიანი, „ბარბაროსული“ წესით დაბეჭდილი ისეთი მოთხრობები, როგორც იყო — ბეჟანიანი, ქალვაიანი, ბარამიანი, ვარშაყიანი, შეიდევიზირიანი, რუსუდანიანი და სხვა მისთანანი, განსაკუთრებით კი ყარამა-

ნიანი<sup>1</sup>. „ყარამანიანი იყო განცვიფრების და მოულოდნელობის წიგნი. ამით აიხსნება მისი პოპულარობა და ის დაუბერებელი სილამაზე, რომელიც ხშირად თანამედროვე მკითხველსაც იზიდავსო“, ამბობს გრიშაშვილი<sup>2</sup>. მეტიც, „ძველად ყველა ქართულ ოჯახში ვეფხისტყაოსანთან ერთად ყარამანიანის უზარმაზარი ხელნაწერიც ინახებოდა“<sup>3</sup>. რაც შეეხება პოეზიას, ამ სფეროში ბატონობდნენ ბესიკი, საიათნოვა, შამში მელქო, სკანდარნოვა, გვივიშვილი, ჰაზირა...

ქალაქის გარეუბნების ლიტერატურაზე თქმული უშუალოდ შეეხება პირადად იოსებ გრიშაშვილსაც. პოეტის მამის დაეთარხანაშიც დაცული ყოფილა ალექსიანი, ქალვაიანი, ჩარდავიზიანი, შეიდევიზირიანი (თიმსარიანი), სარიდონიანი, ბეჟანიანი, მირიანი, უთრუთიანი, შეიდთა იყლიმთა ხელმწიფეთა ამბავი, ბარამგურიანი. სირინოზიანი, რუსუდანიანი, ლელიმიჯნუნიანი, ყარამანიანი<sup>4</sup>. მამა და „მისი ტოლ-ამტსონები“ ხმამაღლად აკითხებდნენ ამ წიგნებს მამის უკვე წერაკითხვას დაუფლებულ მომავალ პოეტს. ყარამანიანის ფანტასტიკური მოთხრობები „ყველამ ზეპირად

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემა, თბილისი, 1927, გვ. 83—91.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>3</sup> იქვე, 88 (მღრ. ვ. თაყაიშვილი, Описание рукописей, 11, გვ. 61ა).

<sup>4</sup> ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თბილისი, 1918, გვ. 46, შენ.

იკოლოა“. საგულისხმოა, რომ აღნიშნულთა გარდა გრიშაშვილის მამის საწიგნოში საპატიო ადგილი სჭერია აკაკი წერეთლის, დავით გურამიშვილისა და შოთა რუსთაველის თხზულებებს, რომ არაფერი ვთქვათ ცნობილი თუ უცნობი ავტორების სასიძღვრო ლექსების კრებულებზე.

იოსებ გრიშაშვილს ოჯახიდან გამოჰყვა წიგნისადმი ღრმა სიყვარული. უკვე ბავშვობაშივე შეუვისია მას მამისეული ბიბლიოთეკა არჩილიანით, ვისრამიანით, ამირანდარეჯანიანით, სიბრძნე სიცრუის წიგნით, ქილილა და დამანათი, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონით, კალმასობით და სხვებით. მისივე სიტყვით, გრიშაშვილი აღრე გამზდარა „ძველი წიგნების ჩრჩილი და ავანჩავანი“ (ბოჰემა, გვ. 23). შემდეგში ხომ მან შექმნა საქვეყნოდ ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელიც ითვლის იშვიათ კოლექციებსა და უნიკალურ გამოცემებს.

იოსებ გრიშაშვილს ბავშვობიდანვე სჩვევია თავის „არხაიულ წიგნთსაცავში“ განმარტობა და დღე-ღამის გასწორება წიგნების კითხვით. წაკითხული მოთხრობების პერსონაჟები ღამით ელანდებოდნენ და ძილს უფრთხობდნენ ცნობისმოყვარე ყმაწვილს. გრიშაშვილს ყოველთვის ხიბლავდა და ატკობდა ძველი წიგნებისა და ძველი ხელნაწერების სუციფიკური სურნელება, „ძველ ხელნაწერთა სურნელებას ხარბად ვყნოსავდიო“ (საიათნოვა, 22). 1916 წელს მას საგანგებო ლექსიც კი შეუთხზავს საგულისხმიერო სათაურით „სურნელება ძველი ხელთნაწერებისა“. 1918 წელს არის დაწერილი გრიშაშვილის ბრწყინვალე ლექსი „მეფე ვახტანგი“. მოგვყავს ამ ლექსის პირველი სტროფი:

მე შემოყვარა ძველ წიგნების ნესტი და ფანგი  
 ვატრფი უოველგაჲრ ძველ დანაშოთს, ძველ  
 ნატამალსა.  
 ახ, ნეტამც იმ ღროს, როცა სწურდა  
 „დასტურლამისა“

მეფე ვახტანგი  
 შრომამ, ჯათამ, წიგნის დიდმა სიყვარულმა თავისი გაიტანა, დაძლია დაუძ-

ლეველი. ხარფუხის ვიწრო შუკებიდან გრიშაშვილი მალე გამოვიდრ შემტქმე-დებითი ცხოვრების ფარმბ „შმჩაგმხმზე, ხოლო დამადების სამოცდამეთე წლის-თავს იგი ეგებება როგორც სახელმოხვეპილი პოეტი-აკადემიკოსი, ლეაწლმო-სილი მეცნიერი-მკვლევარი და ღირსეული მოქალაქე-მამულიშვილი.

გავლილია დიდი მანძილი, მოწეულია დიდი ნაყოფი.

გრიშაშვილის პიროვნება თავისუფლად ითავსებს და იკუებს ნატიფი ღირიკოს პოეტის მთრთოლვარე გულს და სკრუპულოზური სიზუსტის მოჩემე მკვლევარის ინტელექტს. თუცა მგზნებარება თანაბრად ახასიათებს გრიშაშვილის ლექსებსა და გამოცვლივებს. როგორც მკვლევარი, გრიშაშვილი ყოველთვის გაურბოდა მშრალსა და ცივ აკადემიზმს, ორიგინალურ, მისებურ გზას ადგა ამ მხრითაც, „ეწერ ჩემებურადო“, ხაზგასმითაც კი აღნიშნავს ერთგან (საიათნოვა, გვ. 21). მკვლევარ გრიშაშვილის მოხმობილი ფაქტები სანდოა და უცილობელი, შენიშვნები ჩვეულებრივად მახვილგონივრული, მსჯელობა ლოგიკური და საბუთიანი, გაზრება ნათელი, ენა მარტივი და გამომეტყველი. კვლევაძიება და კრიტიკული წერილების პუბლიკაცია გრიშაშვილმა აღრე დაიწყო. ჯერ კიდევ 1913 წელს დაუბეჭდავს მას მახვილი შენიშვნები სკანდარნოვას ლექსებზე<sup>1</sup>. შენიშვნებს გესლიანი პასუხი გამოუწვევია<sup>2</sup>. ერთს საპასუხო ლექსში სკანდარნოვა გრიშაშვილზე წერს:

ბელისკის ვბამება,  
 კრიტიკობა დაიწყო.

გრიშაშვილს ბრმად არავისთვის წაუბამავს, ხოლო „კრიტიკობა“ მართლაც ბეჯითად დაიწყო და ინტენსიურად განაგრძო, 1914—1918 წლების განმავლო-

<sup>1</sup> თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 110—112.  
<sup>2</sup> იქვე.

ბაში მან დასწერა თავისი პირველი დიდი მონოგრაფიული ნაშრომი „საიათნოვა“. 1927 წელს გამოვიდა ი. გრიშაშვილის მეორე შესანიშნავი მონოგრაფია „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. დრო და დრო იგი აქვეყნებდა და აქვეყნებს სხვადასხვა ხასიათისა და მოცულობის ლიტერატურულ ნარკვევებს, წერილებს, შენიშვნებს, რეცენზიებს და ა. შ. ამ შრომების უმრავლესობა თავმოყრილია დიდ კრებულში „ლიტერატურული ნარკვევები“, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა, 1952 და 1957 წლებში. ამას გარდა ტექსტოლოგიური თუ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ფრიად მნიშვნელოვანი შენიშვნები დართული აქვს იოსებ გრიშაშვილის პუბლიკაციებს, როგორცაა: 1. საანდაზო ლექსები, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი. წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბილისი, 1935; 2. აექ. ცაგარელი, კომედიები, თბილისი, 1936; 3. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1940; 4. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებულის მესამე და მეხუთე ტომები, თბილისი, 1940; 1949; 5. ოვანეს თუმანიანი, რჩეული ნაწერები, ი. გრიშაშვილის თარგმანი, მისივე შესავალი წერილით, თბილისი, 1924<sup>1</sup>; 6. მიჩხა ფატალი ახუნდოვი, პუშკინის გარდაცვალებაზე, თარგმანი და შესავალი წერილი ი. გრიშაშვილისა, თბილისი, 1938 და სხვ.<sup>2</sup>

ი. გრიშაშვილი თვითონვე ამბობს, რომ იგი არის „ძველი თბილისის ტრუბადური და ქეშიკი“ (ბოჰემა, 23), მისი გულმხმრველე მიჯნური, მისი გატაცებული მომღერალი. პოეტი გამოტეხილად აღიარებს: „მე თბილისი მიყვარს... მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს... დასა-

წყისი და დასასრული ჩემი ობოლი არსებობისა“ (გვ. 191). იგი ნიშნავს გრძობით აცხადებს, რომ მისი „შარლევებში (ძველი თბილისის) მადლიანი (წყაროს) ნაკადი მჩქეფარებს“ (გვ. 190). ამიტომაც ბუნებრივი იყო, რომ პოეტი გრიშაშვილი მონდომებით შეუდგა თბილისის ძველი სულიერი კულტურის დაწვრილებით შესწავლას და შედეგის გამოშვებებს. სხვადასხვა ჯურის ნიჰილისტებმა და უარისმყოფელებმა ერთ დროს გრიშაშვილს ბრალათაც კი დასდევს, თითქოს პოეზიას გამოეთხოვა, აედევნა წარსულის ლანდებს, წარსულის ნანგრევებს შეაფარა თავი და წარსული დროების ნაყარს დაუწყო ქექვა. ამ ნიჰილისტებს პოეტმა საგანგებო ლექსით გასცა საკადრისი პასუხი. ეს ლექსია „საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს“.

ასოთამწყობად გამოყვანილი ნიჰილისტი პოეტს უსაყვედურებს წარსულში გამოკეტვას, „დაარხივებას“, „გაყვითლებული კაბადონების“ გაფტერშებას, ხოლო აწყყოს „უზარმაზარ მიღწევათა“ მიმართ კი გამოწვევე დუმილს:

განა ცოტაა ვასალექსიო,  
რომ ლექსის ნაცულად რჩეობ  
სამუნჯებს?

— „მე მტერს სხვა მხრიდან ვესერი ქიმუნჯებსო“, უჭრის პოეტი შენიღბულ მქირდაეს, „ეწერ გამოკვლეებსო“. ასოთამწყობისა და პოეტის ეს თავისებური „გაბაასება“ იხურება პოეტის სიტყვით:

გზ, მოგრჩეთ, მამო, კამათს და ნისლვას,  
ამოდ მავსებთ საყვედურებით;  
ახალი ქვეყნის ზრდასა და წინსვლას  
ჩვენ სხვადასხვა მხრით ვემსახურებით.

ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ მშობლიურ წარსულს გრიშაშვილი სწავლობდა არა როგორც აწინდელით განაწყენებული და განზე გამდგარი მოჩივარი, არამედ როგორც ნამდვილად „თანამედროვე ადამიანი“ (ბოჰემა, 191), როგორც თავისი ქვეყნის ღრმა პატრიოტი, რომელსაც არ უნდოდა რომ ძველი სა-

<sup>1</sup> ეს წიგნი შემდგომი რამდენიმეჯერ გამოიცა.

<sup>2</sup> შტრ, ლეონ მელიქსეთ-ბეგო, იოსებ გრიშაშვილი და სომხური ლიტერატურა (მუსეიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1957, გვ. 249—277).

ქართველო და ძველი თბილისი დარჩენილიყო მართოდენ არქეოლოგთა ხედვარი. „მეგობრებო, მწერლებო, პოეტებო, ნუ დავეთმობთ თბილისს არხეოლოგებსო“. მგრძნობიარედ მიმართავდა პოეტი თავის თანამოკალმეებს. გრიშაშვილის სამართლიანი მოსახრებით კულტურული წარსულის მეცნიერული შესწავლა და მისი სწორი შეფასება თანამედროვეობის მოვალეობაცაა და მოქალაქეობრივი ღირსების საქმეც. ესეც შრომაა, სანაქებო და სასახლო შრომა, საძრახავი და საკიცხავი აქ არაფერია. სამწუხაროდ, ამ ანბანურ ქეშმარიტებას მტკიცება სპირდებოდა 30-იან წლებში.

ანგარიშგასაწევეია მეორე გარემოებაც. ი. გრიშაშვილმა კი შეიყვარა „ძველი წიგნების ნესტი და ეანგი“, იგი ხარბად ყნოსავდა სიმძველეთსაცავეების სურნელებას, ხალისით კრებდა „ყვითელ ციტატებს“ და საუცხოო გამოკვლევებს წერდა. მაგრამ გრიშაშვილი იყო პოეტი და პოეტურ მოწოდებას როდი დაღატობდა. სწორედ 30-წლებში, ზუსტად 1929 წელს, შეუთხზავს მას ფართოდ გახმაურებული ლექსი „აპრილი თბილისში“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ავტორისეული შენიშვნა: „მ უ ნ ა ს ი ბ ი არხივიდან ამოსვლის შემდეგ, როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა“. „ჰაერში ოქრო ლივლივებს“, მზიანი, თბილი აპრილის ქუჩებში გამოფენილან „ლამაზმანები“. ჰაუ, რა კარგი დღე არის! ჰაუ, რამდენი ქალია!“ ეს-ეს არის პოეტი გამოსულა არქივის ცივი შენობიდან, შეუსუნთქავს სუფთა ჰაერი, იგი გაუბრუნებია მზესა და სილამაზეს, გულისთქმას გაუმხელა:

რად ვეპილები ამ გუჯრებს —  
 ამ ცხრა თვიან მღვევსა, —  
 ერთ კარგ რთმამი არ გავცელი  
 მე ამდენ გამოკვლევებსა!

რა თქმა უნდა, აქ საქმე გვაქვს პოეტურ გადაჭარბებასთან, ერთგვარ ჰიპერბოლასთან, მაგრამ ისიც უდაოა, რომ გრიშაშვილის გულიც ამბობდა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. მკვლევარ გრი-

შაშვილს ყოველთვის მაინც პოეტური გული უცემდა, ქართულ კულტურის ისტორიაში მისი მნიშვნელობა შემოვიდა და მან იქ მყარი ადგილი დაიმკვიდრა როგორც პოეტმა. პოეტს ეს არ უშლიდა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე სიყვარულით ეზიდა სიმძველეთა მკვლევარის შიშამე ქაპანი.

გრიშაშვილი-მკვლევარი — სპეციალური გამოკვლევის თემაა. აქ ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ორიოდ სახელდახელო შენიშვნით. ი. გრიშაშვილის პირველი, სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევაა „საიათნოვა“. ამ ნაშრომით გამოქვეყნდა გრიშაშვილის ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი სამაგალითო ნიჭი<sup>1</sup>. „საიათნოვას“ გამოქვეყნებამდის ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით XVIII საუკუნის სახელოვანი პოეტი — აშულის თაობაზე. გრიშაშვილს მოუხდა ნამდვილად ყამირის გატეხა, დიდძალი წერილობითი და ზეპირი წყაროების შესწავლა. სამუხებურო-საარქივო მასალების გამოწვლილვა-გამოძიება, მათი „აზიზად და დიდის სიფრთხილით“ მკვლევრის „დაკვირვების საცერში“ გატარება, დარჩენილის გაანალიზება და გააზრება.

საიათნოვას შესწავლას გრიშაშვილმა მოახმარა დიდი ენერჯია და ჩააქსოვა დიდი სიყვარული. 1945 წელს გრიშაშვილი წერდა: „მე, თბილისზე შეყვარებულ პოეტს, საიათნოვას სიმღერები ბალღობიდანვე მიზიდავდა. ჯერ კიდევ ყრმას მომხვდა მისი დიდი ნიჭის ეშხიონი ნაპერწყალი და მგოსნის აღმოუჩენელ ქართულ ლექსებს გაფაციცებით დავეძებდი ყველგან — არქივებსა თუ მომღერლებს შორის“<sup>2</sup>. ასე დაგროვდა საიათნოვას ლექსთა კრებული, ასე მომ-

<sup>1</sup> სხვათა შორის, მოღწეულია პროფ. ი. ყიფშიძის აღფრთოვანებული რეცენზიის ფრაგმენტი „საიათნოვაზე“ (ცერნალი „ხელოვნება“, ქუთაისი, 1921, № 3, გვ. 27 — 28).

<sup>2</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1957, გვ. 222.

ზადდა მონოგრაფიული გამოკვლევა. XVIII საუკუნის თბილისის გარკვეული სოციალური წრის ცხოვრების მკაფიოდ, მოხაზულ ფონზე ი. გრიშაშვილმა აღადგინა საიათნოვას მგოსნური სახე, გრიშაშვილმა ნათლად გააჩვენა პოეტ-ამუღლის ძირითადი საბიოგრაფიო ფაქტები, მოხდენილად გააჩინა მისი შემოქმედება. საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის მზრით თუმცა შეზღუდვაც ბევრი რამ გაკეთდა ჩვენში, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საიათნოვამ არსებითად ის ადგილი დაიკვიდრა, რაც მას გრიშაშვილმა მიუჩინა. გრიშაშვილის „საიათნოვა“ დღემდის რჩება საიათნოვას ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილ საუკეთესო გამოკვლევად. საიათნოვას თემას გრიშაშვილი კვლავ დაუბრუნდა 1945 წელს, როდესაც გამოაქვეყნა განმარტებული ხასიათის პატარა, მაგრამ ფრიალ მნიშვნელოვანი წერილი, „საიათნოვას მოსაგონრად“<sup>1</sup>.

მონოგრაფიაში „საიათნოვა“ ი. გრიშაშვილს გამოთქმული აქვს საგულისხმო მოსახრებანი ძველი ქართული ლექსთწყობის, კერძოდ მუხამბაზის თაობაზე. ნაშრომში გაბნეულია საყურადღებო მოკლე შენიშვნები შოთა რუსთაველზე, ბესიკზე, სულხან-საბა ორბელიანზე, ზაქარია გაბაშვილზე, იოვანე ბატონიშვილზე და სხვებზე. საკმარისია თუ ვიტყვი, რომ ი. გრიშაშვილმა თავის ნაშრომში არ დაივიწყა ვეფხისტყაოსნის ყალბისმქნელი მანუჩა ციციშვილი (გვ. 24) და პირველად მიაქცია ყურადღება რუსთველური ალიტერაციის პრობლემას. გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ რუსთველისა და ბესიკის ლექსებში სიტყვათა ბგერული ორგანიზაცია („შეხმატკბილება“) ხელს უწყობს აზრის ნათელყოფას. მას მოჰყავს რუსთველის განთქმული ტაბები (593, 1): „ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამყად ჰყოდა“. აქ დაყოფილი სიტყვები მას ხაზგასმუ-

ლი აქვს, მკვლევარი განმარტავს: „ასო ყარის შემწეობით ჰგონებდნენ ყრუმთთქოს უღალ მთების შორებშიცმნიშვნელოლი ომახიანად და მკვეთრად მოისმისო“ (გვ. 73).

„საიათნოვაში“ წამოჭრილი რიგი საკითხის კვლევა ი. გრიშაშვილმა გააღრმავა თავის მეორე მშვენიერ მონოგრაფიაში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემა“. აქ განმარტებული ძალით არის გაცოცხლებული XIX საუკუნის თბილისის კოლორიტული სურათები, მკაფიოდ არის დახასიათებული თბილისის ამუღური საზოგადოების ლიტერატურული ცხოვრების სპეციფიკა და დახატულია ნაგვიანვე პოეტ-ამუღთა (გიორგი სკანდარნოვას, დავით გივიშვილის, ანტონ განჯისკარელის, იეთიმ გურჯის, ბეჩარას და პაზირას) ლიტერატურული პორტრეტები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გრიშაშვილი იჩენს სანიმუშო მეცნიერულ პირუთენელობას, იგი თუმცა დიდი სიყვარულით არჩევს საიათნოვასა და მისი მიმდევრების შემოქმედებას, მაგრამ არა თუ არ აიდუალებს მათ, არამედ არ ზოგავს, დაუნდობლად აშიშვლებს იდეურ-თემატურად და მხატვრულად მათი ლექსების სუსტ მხარეებს.

მახვილი და მართებული შენიშვნები დაურთო ი. გრიშაშვილმა ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი საანდაზო ლექსების გამოცემას (თბილისი, 1935). განსაკუთრებით საინტერესოა შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ხალხური ვარიანტებისა და ქილილა და დამანას შესახებ<sup>1</sup>. ძველი ქართული მწერლობის ისტორიკოსისათვის დიდად საინტერესოა ი. გრიშაშვილის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ესკიზები: ოდოევსკის „ვარდი და ბულბულის“ ჭავჭავაძისეუ-

<sup>1</sup> ამის თაობაზე იხ. აღ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1957, გვ. 37, 40, 56); მისივე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 306, შენ. 417.

<sup>1</sup> ლიტერატურული ნარკვევი, გვ. 220—223.

ლი თარგმანი<sup>1</sup> და „ბულბულის ყეფა ქართულ პოეზიაში“<sup>2</sup>. ი. გრიშაშვილმა გაარკვია ვარდ-ბულბულიანური პოეზიის ლიტერატურაში გავრცელების ერთი საგულისხმო შტრიხი, დადგინდა საყურადღებო კუროზული ფაქტიც: „ლექსანდრე ჭავჭავაძეს რუსულიდან ქართულად უთარგმნია, უკეთ, გადმოუკეთებია (გადმოუქართულებია) დეკაბრისტი პოეტის ალექსანდრე ოდოევსკის ლექსი „Роза и соловей“ (გრიშაშვილი ასაბუთებს, რომ „თარგმანი გაცილებით მალა დგას ორიგინალზე“), ხოლო შემდეგში ვითომც ალექსანდრე ჭავჭავაძის საყურადღებო ნაწარმოები, ეს ლექსი ორგზის გადაუთარგმნიათ ქართულიდან რუსულად. გრიშაშვილი წერს: — „დაე, თვითონ საზოგადოებამ განსაჯოს—რომელი სჯობია: ორიგინალი, თარგმანი თუ თარგმანის თარგმანი“ (გვ. 104). „ბულბულის ყეფა ქართულ პოეზიაში“ არკვევს ამ თამაში პოეტური ლიცენციის გამოყენების საკითხს ქართულ მწერლობაში შოთა რუსთაველიდან გრიგოლ ცეცხლაძემდის. თანაც დასაბუთებულა, რომ: „არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც «ბულბულის ყეფა» არა ჰქონდეს მოხსენებული“.

მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია აღძრული და გაშუქებული გრიშაშვილის იმ წერილებში, რომლებიც შესავლისა თუ წინათქმის სახით უძღვის მის მიერვე ჩინებულად შესრულებულ თარგმანებს. ამ მხრივ უთუოდ გამოირჩევა დიდი სითბოთი და სიფაქიზით დაწერილი ნარკვევი „ოვანეს თუმანიანი“<sup>3</sup>. იოსებ გრიშაშვილის წყალობით ოვანეს თუმანიანის ნაწერები ისე იკითხება ქართულად, თითქოს ისინი თავიდანვე ქართულად იყვნენ შექმნილი.

ოვანეს თუმანიანისა და იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი თანამშრომლობა შეუპირობებია საიათნოვას, „მე და ოვანეს თუმანიანი საიათნოვამ დაგვიგვობაო“, ამბობს გრიშაშვილი (გვ. 17). პოეტური გზებით დაწერილი ნარკვევები უძღვნა იოსებ გრიშაშვილმა გაბრიელ სენდუციანსა და მირზა ფატალი ახუნდოვს<sup>1</sup>. ამ ნარკვევებში დიდი ცოდნით არის განხილული ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობანი. კონკრეტული მასალების სიუხვითა და დამუშავების გულმოდგინეობით ხასიათდება ნარკვევთა მთელი რიგი, რომლებიც შეეხება ქართულ-რუსული და ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს<sup>2</sup>.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ი. გრიშაშვილის კრიტიკულ წერილებზე XIX და XX საუკუნეების ქართული მწერლობის გარშემო (ეს სცილდება ჩემ თემას). საგანგებოდ უნდა გაიხაზოს იოსებ გრიშაშვილის დაუფასებელი ღვაწლი როგორც ტექსტოლოგისა (ამაზედაც აქ სიტყვას ვეღარ ვავრძელებ).

ი. გრიშაშვილი არა მარტო იკვლევდა ძველი საქართველოს და ძველი თბილისის სულიერ ცხოვრებას, ძველი საქართველო და ძველი თბილისი მისი პოეზიის შთამაგონებელი ორგანიული თემებია. გრიშაშვილი თვითონ გვიმოწმებს, რომ მისი „სულის ფესვებიც ღრმად არის გადაგული ძველი მწერლობის ყამირში“ (ბოჰემა, 191). ჩვენ არ ვეხებით ყრმობისდროინდელი გრიშაშვილის გატაცებას მუხამბაზური პოეზიით და მისი ნიმუშების წაბაძვას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოეტურად საკებით მოწიფული და ჩამოყალიბებული გრიშაშვილი. ამ გრიშაშვილს ჰყავდა და ჰყავს თავისი „გულის მურაზი“. ესაა, უწინარეს ყოვლისა, დიდება და გვირგვინი ქართული პოეზიისა „უკვდავი შოთა“. „ჩვენ გვი-

<sup>1</sup> ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1957, გვ. 99—104.

<sup>2</sup> ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1957, გვ. 485—490.

<sup>3</sup> ოვანეს თუმანიანის რჩული ნაწერების გრიშაშვილისეული თარგმანის პირველი გამოცემა, შესავალი წერილი (თბილისი, 1924).

<sup>1</sup> ლიტერატურული ნარკვევები, 1957, გვ. 234—251, 252—262.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 123—219.



ყვარს შოთა, — ეს თავადი ქართული მგონობისა, — გვიყვარს ვეფხისტყაოსანი, გვიყვარს მთელის ჩვენის მოცეკვავე ნერვებითო“, ამბობს გრიშაშვილი (საიათნოვა, 24). გრიშაშვილის სიტყვით, იგი „დიდი შოთას მემკვიდრეა“ (დათოვლილი მედროშე), მას უმღერია „შოთას პანგები“ (ქალი მსახიობი). 1951 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც სათაურად აქვს „ო, შოთა! შოთა!“ პოეტი ნატრობს, მუდამ თან ახლდეს შოთას „აჩრდილი“, „რუსთველის ლანდი“, რომ რუსთაველის „საკერებელით ჩემი ლექსები უხვად დავბლანდო“. რუსთველის ლანდს ბინაც უპოვია პოეტის ბიბლიოთეკაში (შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში), საკმარისია პოეტმა თვალი დახუჭოს, მის წინაშე „აიმართება რუსთაველის ლანდი“, რუსთველის სიტყვას კი დაუპყრია პოეტის გულიც და ინტელექტიც. „შე იმის სიტყვებს ეხლაც ტავედ ვყვარო“, აღიარებს გრიშაშვილი 1937 წელს დაწერილ ლექსში (შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში). გასაკვირიც არაფერია, რუსთველის „ლექსი ისე მძაფრია, როგორც სურნელი გაღწეულ ხობლის“.

რუსთაველს შთაუგონებია გრიშაშვილის არა ერთი და ორი პოეტური ნაწარმოები. რუსთველური სახეები, რუსთველური გამოთქმები, რუსთველური სიტყვები თინათინობენ გრიშაშვილის პოეტურ სტრიქონებში. რუსთველის გმირები (ნესტანი, ტარიელი, შერშადინი...) ცოცხლობენ გრიშაშვილის პოეტურ წარმოსახვაში. გრიშაშვილის ზოგიერთ ლექსს — ილია ჭავჭავაძის ლექსების მსგავსად — ეპიგრაფად ამკობს რუსთაველის აფორიზმები. მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებშიც არ ავიწყდებოდა იოსებ გრიშაშვილს „რუსთაველის დანაბარები“ (ჩვენს დებს და დედებს). გრიშაშვილის ლექსებს შნოსა და ლაზათს მატებს ზომიერად მოხმობილი ძველ-ქართულის ლექსიკა. აქიდან ზოგი რამ უცილობლად რუსთველურია. ასე, მაგალითად, სპეციფიკუ-

რად რუსთველურია გრიშაშვილის ლექსის „სოქალი“ (ლოტოსი), რუსთველურია „ლამაზმანებიც“ (ლამაზმანებს, აზრილი თბილისში). ლამაზმანებმა (მრავლობითი ფორმით!) გრიშაშვილის წყალობით სამოქალაქო უფლება დაიმკვიდრა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. რუსთველურია პოეტის შეძახილი „ამიტომაც გამიგონეთ, გესმათ ჩემი ნაუბარი“ (მეგობარი). საგულისხმო ისიცაა, რომ ამ შეძახილის შემცველი ლექსი თემატიკურად და აზრობრივად რუსთველური მეგობრობის იდეაზეა აგებული, ლექსს ეპიგრაფად უძღვის რუსთაველის უკუდავი აფორიზმი „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისი მტერია“.

რუსთაველის სახეებსა და რუსთაველის სახელს გრიშაშვილი იყენებს მხატვრული შედარებებისათვის, მაგალითად:

რუსთაველის ბეჭდივით დგას თბილისის  
გალავანი

(გრიგოლ ორბელიანი ახალ  
ნარიყალზე).

რუსთველურია გრიშაშვილის ასეთი სალექსო სტრიქონის წყობა: „სიბრძნე, სიუხვე, ლექსის დინება“. რუსთაველის მსგავსად გრიშაშვილიც ზოგჯერ იყენებს ე. წ. სინონიმური პარალელიზმის ხერხებს. მაგალითად:

როგორ გეტყვო: იუაე ჩემი ან,  
შეუღლდეთ ტოლად, აუფთად  
(ლია).

1937 წელს ი. გრიშაშვილმა შექმნა რუსთაველის თემაზე მშვენიერი ლექსების ციკლი: „შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“, „ვეფხისტყაოსანი და ჭიკაოკონა“, „მაიკო ორბელიანის ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველის მოგონებებით არის გამთბარი იმ პერიოდის ისეთი ლექსებიც, როგორცაა „გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალზე“ და „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“.

რუსთაველი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომღერალია. გრიშაშვილი აგონებს აზერბაიჯანის პოეტებს, რომ: „ჩვენს რუსთაველს და თქვენს ნიზამს



ერთი აზრი ასულდგმულებს“ (ანერბაი-ჯანელ პოეტებს). ქართველ პოეტს სჯე-რა, რომ სომეხთა დიდ შგოსანს ოვანეს თუშანიანს ხელში ლანგრით შეეგებე-ბა „ჰომერი; ფირდუს და რუსთაველი“ (საქართველოს მეგობარს).

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეპი-ური პოეზიის აპოლოგეტ რუსთაველს ლირიკოსი გრიშაშვილი თუმცა თაყვანს სცემს, მაგრამ არორაზროვანი შეფარ-ვით ეკაპათება კიდევაც ერთი ოთხტაე-პიანი ლექსით, „ლირიკის დასაცავად“:

განა ლექსის სიკარგე  
მის სიგრძეზე ჰკილია?  
ეპოპო: სჯობს „რუბიას“  
მძავს „დასტანს“ დილია.

უნდა მოვიგონოთ, რომ რუსთაველის პოეტიკით „მომთარე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გ რ ძ ე ლ ა დ“ (17, 4) და კარგ პოეტს მოვთხოვება „ლექსთა გრძელთა თქმა“ (13, 3). გრიშაშვილი კი გამომწვევი კილოთი კითხულობს „განა ლექსის სიკარგე მის სიგრძეზე ჰკილია?“ გრიშაშვილი ოთხტაეპოვან „რუბიას“ ამჯობინებს დიდ, გრძელ დასტანს“ (ამ-ბავს, მოთხრობას, პოემას).

ი. გრიშაშვილი პოეტური ტრადი-ციით დაკავშირებულია თეიმურაზ პირ-ველთან, ზესიკთან და საიათნოვასთან. თეიმურაზი მისი გულის მურაზია, გან-თქმულ ლექსში „ტრიოლეტები შეითან-ბახარში“ გრიშაშვილი აცხადებს:

ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის  
მურაზი,  
მოშწონს მაჯამის ამირბარი  
თეიმურაზი.

თეიმურაზმა ქართულ პოეზიაში და-ამკვიდრა ვარდისა და ბულბულის თემა, რასაც თავისებური ფორმით ეხმაურება ი. გრიშაშვილიც. ამასაც აწუხებს ბულ-ბულის ტრადიციული კენესა. თეიმურაზმა შეთხზა შამისა და ფარვანას სა-ტრფიალო პოემა. გრიშაშვილის ლექ-სებშიც ვხვდებით შამისა და ფარვანას (სანთელისა და პეპელას) სახეებს. ნა-თელი შექმის მოტრფიალე ჰრელი პეპე-ლაც — გრიშაშვილის ლექსიდან „პეპე-ლა“ — თეიმურაზის ფარვანას მსგავსად

„ფრთებ გადამწვარი ძირს დაეცა, გადიქ-ცა ფერფლად“. სიყვარულის დაწვეარი ფარვანას სიბრაალულის გვერდით გრიშაშ-ვილის „სანთელიც მუდამ ცრემლად იღვენება“ (თქმულებიდან: სანთლის ტირილი).

თეიმურაზის სტიქია მაინც იყო მაჯა-მა. სწორედ მაჯამამ აქცია თეიმურაზი გრიშაშვილის გულის მურაზად. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მაჯამები ამკობს გრიშაშვილის რიგ ლექსებს. ჯერ კიდევ 1907 წელს დაწერიდა გრი-შაშვილს მთლიანად მაჯამური ლექსი საგანგებო სათაურითვე „მაჯამა“. ამ ლექსის ტექსტი მომყავს სრულად:

რა ლექსი ვსურს არ გამოკრას მაჯამა,  
მუხამაში, თეჯლისი თუ მაჯამა  
ეს გოგონა საყდრისი მეფეთა,  
აქ პირველად ქურციკით მეფეთა,  
სიბარულმა თვალი ცრემლით მონამა,  
გაეიმარჯვე სიყვარულის მონამა.  
ახ, ნეტავი, კოდეე ერთელ მეხილე...  
შენ — მეუთარი, მე კი შენი მეხილე.

მთლიანად მაჯამურია 1920 წლის ლექსი „მაჯამა აღმოსავლეთს“, რომე-ლიც ასე იწყება:

თუმც აკაკი ბევრს ჩხუბობდა დაობდა,  
მაგრამ მაინც ძველი სიტყვა დაობდა,

აქ შემთხვევით არ არის მოხმობილი აკაკის სახელი. ახალ ქართულ პოეზია-ში სწორედ აკაკი გახდა მაჯამის ნამდ-ვილი ამირბარი. მაჯამებით (ომონიმე-ბით) ი. გრიშაშვილის აღრინდელი ლექ-სები თეიმურაზთან ერთად აკაკისგან არის დაეალებული. მაგალითად:

ეს მახლობლად ფეხქვეშ ვიკრძენ,  
მიწა მ მე,  
ესთქვი: ცხოვრებაჲ, მეც ერთ კაცად  
მიწა მ მე.

(აკაკი, „აღმართ-აღმართ“).  
რადგან ცოცხლადვე შენ არ მიწა მ მე,  
მკვლას მომყავრე შეგი მიწა მ მე,  
(ი. გრიშაშვილი, „ჩემის ღალატით“).  
აღმართ-აღმართ მიედიოდი ნეტა რ ა დ,  
თუ მალლობზე თავს ვერ ვგრძნობდი  
ნეტა რ ა დ?

(აკაკი, იქვე).  
ჩემს თავს შენს მკერდზე ვგრძნობდი  
ნეტა რ ა დ,  
შენ კი გამცალე, მოთხარ, ნეტა რ ა დ?  
(ი. გრიშაშვილი, იქვე).

მაგამური რითმები საზოგადოდ დამახასიათებელია გრიშაშვილის ლექსებისათვის, მაგალითად (პოემიდან — ეთერ):

ქალო, ა, ქალო, საღ ოღბეი, სიტყვა  
 მაქვს, დაღვ, და ი ც ა,  
 შენგნით დაშვარმა ვაჟაკმა გულში  
 ხანჯალი და ი ც ა.

ნამეტნავად ახლოს იყო ი. გრიშაშვილი (უფრო აღრინდელ პერიოდში) ბესიკისა და საიათნოვას პოეზიასთან. კერძოდ, გრიშაშვილს ატკობდა ბესიკისა და საიათნოვას მუხამბაზური ლექსების ხმები. საგულისხმოა, მაგალითად, ასეთი შედარება:

შენ კარგი ხარ, ვით ბესიკის ქვანჭური  
 მუხამბაზი  
 (დამიბრუნდი, დამიბრუნდი)

ოლონდ ი. გრიშაშვილმა მალე დააღწია თავი ყრმობის დროინდელ ცთუნებას (ვევლისხმობ, მუხამბაზებით გატაცებას). მხოლოდ მის ერთადერთ გვიანდროინდელ ლექსში გაისმა მუხამბაზის მოდერნიზებული კილო („მუხამბაზი სომხეთს“). გრიშაშვილის წარმოდგენაში საიათნოვა ცოცხლობს უპირატესად როგორც ხალხთა ძმობის მომღერალი აშული და საქართველოს დიდებისათვის მებრძოლი მეომარი. 1942 წელს გრიშაშვილი ასე მიმართავდა თავის წინამორბედ მგოსანს:

პოეტო და მეომარო, გვიგნებ და გიშვრ,  
 შენ მღერობი ჭიანჭურით საქართველოს  
 გმირზე.

გრიშაშვილი არ არის ბესიკის ბრმა თავყვანისმცემელი. თვითონ რითმის ვირტუოზი, იგი ამ მხრით წუნს სდებს ბესიკის ლექსებს — „არ მომწონს რითმა ბესიკისა გა ზ ი თუ რ ა ზ ი ო“, აზობს დაუფარავად (ტრიოლეტები შეითანაზაზარში). ამისდა მიუხედავად ბესიკი ყოველთვის იყო გრიშაშვილის პოეზიის თავისებური მეტრი, გრიშაშვილის ლექსების ლირიკულ გმირს ბესიკივით ბევრი ცრემლი უღვრია ტრფობის უცხოდ მორთულ წალკოტში (დაე-

ტოვე ბალი), მისი გულიც დაჭრილი და დაცხრილული იყო „ცრემლის ისარიით“, (ცრემლის ისარიით; შდრ. ბესიკის „ცრემლთა ისარნი“). ი. გრიშაშვილის ლექსებიც ამკობს კეკელუცი ქალის მწიფე ნარინჯებს (ჩემი საღამო და სხვ.).

ვახტანგ ორბელიანივით ი. გრიშაშვილს აღტკინებით შეუშვია „ჰეტეროფის შადრევნები“. იგი ფხიზლად უგდებდა ყურს „ქართლის ცხოვრების ძვირფასი წიგნის“ პატრიოტულ მოწოდებებს (ჩვენს დებს და დედებს). ძველი ქართული მწერლობა ბევრ მასალას აძლევდა მას ორიგინალური შედარებების მისაღებად. მაგალითად, პოეტი ერთგან ხაზგასმით ამბობს: „დღეს შე კენტი ვარ, კენტი როგორც ასომთავრული (1914 წელი). თათრის ქალის წარბები სუფსარქისში პოეტს აგონებს „სახარების წაშლილ სტრიქონებს“. „რითმებს ესრუტავდი ხარბად და მკაცრად, ვით იოანეს ტუჩებს სალომე“, ამბობს პოეტი ლექსში „ჩემს ეშხისავარს“. იოანე ნათლისმცემლის, სალომეს, მარიამ მაგდალინელისა და რიგი სხვა ბიბლიური სახე არ არის სასხვათაშორისო გრიშაშვილისათვის. გრიშაშვილის ლექსებისათვის ორგანულია სახეები ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა—ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ნინოს, ქეთევანის, ვახტანგის, ერეკლესი და სხვ. მისთვის უცხო არ არის არც ფრთებანსხული ქართული სახალხო მითოლოგიური გმირი ამირანი (დათვლილი მედროშე).

ი. გრიშაშვილს იმავეითვე არ ასვენებდა საქართველოს დარდი და ბოლშე. სახელმოხვეჭილი პოეტი მოესწრო მისი საყვარელი სამშობლო ქვეყნის მკვდრეთით აღდგომას ნანგრევებიდან (შდრ. საშობლოს ნანგრევებში), მოესწრო მისი სათაყვანებელი თბილისის 1500 წლის ზეიმს. ი. გრიშაშვილთან ერთად ჩვენ შეგვიძლია დღეს სიამაყით გავიმეოროთ მისი სიტყვები:

მეტებს, შეშანიას დღესაც ამკობს  
 შექნი მზისანა.



# ეროვნული ხასიათის პრობლემისათვის დიბემატურაში

ეროვნული სპეციფიკის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს ეროვნული ხასიათის ცნება. ეროვნული ხასიათი იქმნება თანდათანობით, ნელ-ნელა, ერის რთული, მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად. ეროვნული ხასიათის შექმნის პროცესი მიმდინარეობს შობირდაპირე ძალთა ბრძოლის გზით, ეროვნული ხასიათის სხვადასხვაგვარ თვისებათა ერთმანეთს შორის შეუწყვეტელი შეჯახებების გზით, ერთ-ერთი მისი თვისების მოსპობისა და ახლის წარმოშობის გზით. ეს შინაგანი ბრძოლა მწვავე, შეუერგებელ ფორმებს იღებს კლასობრივ საზოგადოებაში.

წარსულის ზოგიერთი მკვლევარი ეროვნული ხასიათის ფორმირების პროცესს უკავშირებდა ბუნდოვან ზოგადკაცობრივ ატროფიკებს.

მაგალითად, ინგლისელი ფილოსოფოს-ავნოსტიკოსი დავიდ იუმი აყენებდა კითხვას, რითი, როგორი პირობებით განისაზღვრება ადამიანთა ეროვნული ხასიათი? იუმი აღიარებდა არსებობას ორი ფაქტორისას, რომლებიც ეხებოდა ეროვნულ ხასიათს. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის სულიერი საწინდრები, ანდა სხვაანაირად — განათლება და საზოგადოებრივი ზეგავლენა, და შემდეგია — ფიზიკური პირობები, ესე იგი, ჰავა და ბუნებრივი გარემო. იუმის აზრით, პირველი მიზეზის — სულიერის გავლენა წარმოადგენს ძირითადს, რამდენადაც ადამიანისათვის დამახასიათებელია მიმზამველობა, მაშინ როცა მეორე მიზეზი თამაშობს მხოლოდ უმნიშვნელო როლს. სულიერი მიზეზების უპირატეს მნიშვნელობას იუმი იმით ხსნის, რომ თუ მიმოვიხილავთ სამყაროს ანდა ისტორიის ანაბლებს, ზეწკ თითქოს, ყველგან აღმოვაჩინო სიმპათიის ანდა ზნეობრივი მიმზამველობის ნიშანს, მაგრამ არავითარ მითითებას ჰაერისა ანდა ჰაერის გავლენაზე, იუმის ფილოსოფიაში ეროვნული ხასიათი მოკლებული იყო თავის ნაციონალურ გარკვეულობას და შინაარსიანობას. ეროვნული ხასიათის ფორმირებისა და განვითარების მამოძარკებელ ძალად გამოდიოდა არა საკუთარი ისტორიული ეროვნული ძალა, არამედ გარეშე ფაქტორი — ადამიანთა მიერ სხვა ხალხების ზენ-ჩვეულებების გადმოღების უნარი, სხვა ქვეყნებთან მომდინარე საზოგადოებრივი გავლენის აღქმა. ხასიათში საკუთრივ ეროვნული მომენტის უქონლობა ითვლებოდა ეროვნული ხასიათის თვისებათა უმადლეს გამოვლენად. ამ თეორიას არაფერი საერთო არ ჰქონდა ეროვნული ხასიათის ნამდვილ შინაარსთან, ხალხთა ეროვნული თვითმგენების ფორმირების ისტორიულ გამოცდილებასთან.

კ. კაუტსკი ეროვნული ხასიათის მასზარდობებელ ნიადაგად თვლიდა ადამიანთა გეოგრაფიულ პირობებს, მსგავსი სამეურნეო განვითარების პირობებს. კ. კაუტსკის აზრით, ხალხთა ეროვნული ხასიათის მუაი ბუნების შემსახველს წარმოადგენს სოფელი, რომელიც არაა ფენებელ დანაწილებული ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ეკონომიური და სულიერი ცხოვრების გარემოებით; გარკვეული მატერიალური საშუაროს თანაბრობა — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია ეროვნული ხასიათის ერთიანობისთვისა და დამახასიათებელი საზოგადოებრივი განვითარების მხოლოდ პირველადწვებითი საფეხურებისათვის, როდესაც ჯერ კიდევ არაა მიღწეული მნიშვნელოვანი სოციალური დიფერენციაცია; იგი, გარდა ამისა, დამახასიათებელია მცირე ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ხალხებისათვის, რამდენიმე ათეული წლის წინ კიდევ შეიძლებოდა ლამპარაკი რუსული ანდა უნგრული ეროვნული ხასიათის შესახებ, იმიტომ რომ ამ ხალხებში ნაციონალური მათეარის მამა შედგებოდა გლეხებისა და გლეხებულნი შემამულეებისგან. მათ ქვეყანას ყოველთვის გააჩნდა ადამიანთა ერთი და იგივე ხასიათი, ეკონომიური განვითარება ისე წელა მიმდინარეობდა, რომ თითქმის არ იწვევდა არავითარ შესამჩნევ განსხვავებას ერის ცალკეულ ნაწილებში, ჰალაქის მოსახლეობა უმნიშვნელო იყო, და ისიც ნაწილობრივ შედგებოდა ჩამოსული გლეხებისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი გლეხური თვისებები, ნაწილობრივ კი სხვა ეროვნებებთან (უნგრეთში გერმანელებსა და ებრაელებსაგან), რომლებიც არავითარ გავლენას არ ახდენდნენ ქვეყნის ეროვნულობაზე<sup>1</sup>.

ხასიათის ერთიანობას აქვს ტენდენცია, გაჭრეს იმასთან ტეკვერებით, თუ როგორ ფართოვდება და იზრდება ერები კლასებად და პროფესიებად. ჰალაქის წარმოქმნის შემდეგ, როგორც კ. კაუტსკი წერს, ეროვნული ხასიათის

<sup>1</sup> К. Каутский, Национализм и Интернационализм. Петроград. Книгоиздательство «Жизнь и наше», 1918, стр. 16—17.

თვისებები კარგავენ მტკიცე კანონზომიერებას. ყოველ შემთხვევაში, დიდი კულტურული ხალხების ეროვნული ტიპი წარმოადგენს ისეთ პრობლემატურ და უჩინარ მოვლენას, რომ სრულიად შეედრებულა ნიავის ყოველგვარი ქრონული გაუჩინარებულ ამ მოვლენაში დაინახო ის კეისარი, რომელიც ტყინისებური ძალით აშვიდროებს გერბს და ნათლად გარკვევით აცლაყვევს მათ ერთმეორისაგან.

ქ. კეცკი კამბოლიზებული ქალაქისა და სოფლის მეშებსა და გლეხებს არ თვლიდა ხალხის ეროვნული ხასიათის წარმომადგენლებად. სახელდობრ, ეს კლასები, თურმე, განიცდიან ყველაზე მეტ ეროვნულ დეფორმაციას და დეცემს.

სოფლის პატრიარქალური იერის დამლის გამო ქალაქთა განმტკიცებისა და სამრეწველო ინტენსიფიკაციის გამო, მეშები და გლეხები შორდებიან საკუთარ ეროვნულ ნიადაგს. მეშებისა და გლეხების ძირითადი ეროვნული ტიპი იწყება ვაჭრობას იმ საზოგადოებრივ პროცესთა განმარტვრებულ ზემოქმედებით, რომლებიც თავის ვახზე სპობს ეროვნული განკერძოებულობის ზღვადებს. ეროვნული თავისთავადობის და ინტერნაციონალიზმის დროშა ვადადის ვაჭრებისა და ინტელიგენციის ხელში. ვაჭრები და ინტელიგენცია, — გარწმუნებს ქ. კეცკი — იქცევა ინტერნაციონალური კულტურული საზოგადოების შემაჯავლ. ამავე დროს, ისინი არიან ყველაზე მოწინავე გამტარებლები ნაციონალური შეგნებისა, რომელიც მტკიცდება და პოულობს ნიადაგს ხალხში. იმდენადვე, რამდენადაც ვითარდება ინტერნაციონალური ურთიერთობანი და კულტურის ინტერნაციონალური ერთიანობა.

ქ. კეცკის ლოგიკურ დასკვნაში არის ქვემარტივების ზოგიერთი მარცვალი. მავალითად, შეიძლება დაეთანხმო მას იმაში, რომ ცხოვრების დაქარებული მოძრაობის წყალობით განსაკუთრებით მეოც საუკუნეში, პატრიარქალური ყოფაცხოვრების საფუძვლების დატეხის წყალობით, იშლება უფრო ფართო შესაძლებლობანი ხალხთა შორის ერთობისათვის, კულტურულ ღირებულებათა და ისტორიული გამოცდლების გაცლა-გამოცვლისათვის. ხალხთა ურთიერთ შეხედარს ხელს უწყობს მათი თვითშეგნების ზრდას, მათი სულიერი სამყაროს, მათი წარმოდგენების გამდიდრებას. ხალხთა ეროვნული ხასიათები, ხედვოდნენ რა ურთიერთის, იხვეწებოდნენ, უმჯობესდებოდნენ, იხედნენ რაღაც ახალს, სსარგებლოს, თავისთავისთვის ნაყოფიერს.

თუთ ცხოვრების კარნახით, თუთ სინამდვილის ლოგიკით განპირობებულ ამ ბუნებრივ პროცესს მცდარად, დამახინჯებულად და გულუბრყვილო-პარამიტული პოზიციებიდან განიხილავდა თეორეტიკოსებისა და მკვლევართა ნა-

წილი. ეროვნული ხასიათის ზრდა და განმტკიცება. მათ შიერ სხვა ხალხებთან ურთიერთობის საფუძველზე წარმოქმნილი ახალი მარტების ორგანულ შეთვისება არ შეიძლება ვაჯინიროს რაღაც ეროვნული ხასიათის ძველ-ძველთვისებათა დაკარგვა, ქ. კეცკისა და მისი თანამოაზრეების შეცდომა იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ამსავსებდნენ ეროვნულ ხასიათს უძრავ მეტაფიზიკურ არსს ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცებულს თავის თავდამირველთვისებებში.

სასიციუცხო ურთიერთობებით გამოწვეულ ეროვნული ხასიათის შემდგომ განვითარებას ქ. კეცკი თვლიდა ეროვნული ხასიათის იმ არსობრივ საფუძვლად ნგრევის დასაწყისად, რაც თითქოს უცდელი უნდა ყოფილიყო.

რა ელემენტებიდან წარმოიქმნება ეროვნული ხასიათის შინაარსი? ხანდახან ამა თუ იმ ეროვნული ხასიათისთვისებების განსაზღვრისას აღნიშნავენ: ამა და ამ ეროვნულ ხასიათს მოსდგამს სტრუქტურული ვარჯობა, სიმამაცე, შივალეობისადმი ერთგულება, უბედურებაში შეუდრეკელობა, კაცთმოყვარება და ა. შ. იღებენ ძალზე ზოგად ცნებებს და აცხადებენ მათ შივლოდ ერთა რომელიმე ხალხის ეროვნული ხასიათის საკუთრებად. სხვა ხალხების ეროვნული ხასიათის წილად თითქმის არაფერი არ რჩება. მართლაც ასეა ყოველივე ეს? ვინა ამსებობს ქვეყნად ამსოღებურად არასტრუქტურული მოყვარვ. არამამაცო, უბედურებაში არაგამალე არაკაცთმოყვარე ხალხი? ასეთი ხალხი არ არსებობს. სიმამაცე, შეუდრეკელობა ვაჭირებებაში, კაცთმოყვარება და ა. შ. წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ხალხთა საგრძნობი უმრავლესობის საკუთრებას. საქმე უნდა ცხებოდეს ხალხის ისტორიული არსებობის მთელ მანძილზე გამოშეყვებული და განმტკიცებული სიმამაცის, შეუდრეკელობისა და კაცთმოყვარეობისთვისებებზე, არათანაბარ ფორმებზე. თუკი აუცილებელია ხალხთა შორის არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი სხვაობის აღმოჩენა, მაშინ უნდა ელამარაკოთ სხვა ხალხთა წარმომადგენლების შიერ ამთვისებების (სიმამაცე, კაცთმოყვარეობა, სტრუქტურული ვარჯობა) არა უქონლობაზე, არამედ მათი გამოვლენის ზომისა და დონეზე, რა თქმა უნდა, თუკი ისტორიული გამოცილილება იმდენ საფუძველს ასეთი მსჯელობისათვის. მრავალი საერთო ადამიანურითვისება, მართლაც, წარმოადგენს საერთოს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისათვის: ხალხთა შორის განსხვავება ის კი არაა, რომ ზოგი ხალხი დაჯილდოებულია სიმამაცის ყველა ნიშნით და სხვები კი სულაც არ განაწინ იგი. განსხვავება დღინდება ამ ზოგადი კონკრეტული ფორმის გამოვლენაში. მის ეროვნულად განუმეორებულ ყოფიერებაში, ყოველი ხალხი წარმოადგება ჩვენ წინაშე თავისი ყოფიერების მრავ-

ვალი მხარის რთული ერთიანობით — ზოგიერთ საყოველთაო თვისებათა ერთიანობით, თვისებათა, რომლებიც თავისებურადაა აღქმულა და გამოხატული და საკეთარი ისტორიული ცხოვრებით გამოქვეყნდნ ერთნულ ხასიათში. ამასთან, ჩვენ ზეარ ჩამოთვლილი და ცალკეულ ხალხში გამომდგენებული საყოველთაო თვისებები არ წარმოადგენს ვარიაციას რაღაც უბრალოდ საწყისისას, რომელიც არსებობს როგორც დამოუკიდებელი უსხეულო ამტრატკიკი. სხვადასხვა ხალხში საერთო თვისებები გამოიხატება სხვადასხვაგვარად და სხვადასხვაგვარად. ეს ხასიათი ხორკს, მათს ნაწილობრივ ზოგად, საყოველთაო იერთან ერთად, წარმოიშობებიან რა ხალხის ცხოვრების წილიდან, ისინი ყოველთვის გვევლინებიან თავისებურ, განუმარტებელ, ორიგინალურ თვისებებად, ხალხი თავის შინაარსს აძლევს ამ საყოველთაოს, ზოგადადამიანურს.

ხალხთა შორის განსხვავება მარტო ამაში რთული გამოიხატება. ხალხებს აქვთ უღრესად თავისებური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებები და ჩვეულებები. ისინი განსხვავდებიან ერთნული ფსიქიკის ზოგიერთი თვისებებრტებებითაც — მინარტი, უნარით თავისებურად აღიქვან საგნებს და მოვლენებს. ხალხის მიერ განვილი ისტორიულ გზას, ცხოვრების გარემოებას, რომელთანაც მას ბრძოლით ან მორჩილებით უხდებოდა შეტაკება, თუკი სხვა გზა არ იყო, გარემოს, მატერიალურ ბუნებას და მრავალ სხვას, გვარდს ვერ აუღლის ერთნული ხასიათი, ის მარტოდ აღეცალს კი არ ახვეს მათ, არამედ წარმოადგენს ნიადაგს ერთნული ხასიათის აღორძინებისთვის.

უნდა გვახრჩოთ ორი რამ: ერთნული ხასიათის კატეგორია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და ერთნული ხასიათის კატეგორია საბჭოთა საზოგადოებაში. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ერთნული ხასიათი მკიდროდაა დაკავშირებული მატერიალურ გარემოსთან, საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების პირობებთან და იგი პოულობს თავის თავს საწინააღმდეგო ფორმაში. სრულიად არა აქვს ერთნაირი შინაარსი ერთი ერის მტრულად განწყობილ კლასთა ადამიანებში.

მშვიდობის, ძმობის, მეგობრობისა და ერთობისაკენ მისწრაფება წარმოადგენს ადამიანის ერთნული ხასიათის ძირითად თვისებას, იქნება იგი ინდოელი, ბირმელი, ჩინელი, ჩილეელი, მონღოლი, გვეიპტელი თუ ინგლისელი. ერთნული და კლასობრივი სხვაობაც კი, რაც დავაუშინებელია ხასიათის სწორედ ამ მხარესთან იქცევა ინტერნაციონალურ თვისებად, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ხალხების და ქვეყნების წარმომადგენლებს. მეორე მხრივაც, ერთი ერთნული ხასიათის შიგნით, ერთი ერის

შიგნით შეიძლება იყოს ერთმანეთის საწინააღმდეგო მტრული თვისება, რომელიც ერთმანეთის უარყოფს. ვინ დაამტკიცებს, რომ წვეულობა იარაღით ელარკენ, მოწოდება ხალხის ატომური მოსპობისკენ შეადგენს ამერიკელი ხალხის ერთნული ხასიათის საფუძვლს? ეს იქნებოდა ცილისწამება შრომისმოყვარე და მშვიდობიანი ამერიკელი ხალხისადმი. მხოლოდ ამერიკის განსაზღვრული იმპერიალისტური წრეები აძლავებენ თავისი ხასიათის ამ თვისებას, საეჭვოა, რომ ისინი ამითვე გამოხატავენ, საერთოდ, ამერიკელი ხალხის ნაციონალური ხასიათის დედაარსს. პირიქით, ისინი დამირისპირებულნი არიან ხალხთან, მის სასიცოცხლო მისწრაფებებთან, მის ყთილ წებასთან, თუმცა, რასაკვირველია, გამოდიან ხალხის სახელით.

იქნებ ერთნული ხასიათის თვისება მიიწვეუნდა ვეძოთ არა აქ, არა საზოგადოებრივი და პოლიტიკურ პრობლემათა სფეროში, არამედ სხვაგან — საყოფაცხოვრებო ურთიერთდამოკიდებულებაში, ჩვეულებებში, ჩვეულებში და სხვ. ვიქრო ეთნოგრაფიული რიგის მოვლენებში? ძნელია დაეთანხმო ერთნული ხასიათის ცნების ასეთ გათიშვას და დანაწევრებას, უდაბოა ერთნულ ხასიათს, ერთნული ხასიათის განსაზღვრულ ელემენტებს აღვიღად აღმოვანთ უოფაცხოვრებით გარემოშიც, ჩვეულებებში, ქცევაში და ა. შ. მაგრამ ერთნული ხასიათის მხოლოდ ამ შინაარსით შემოფარგვლა არ იქნებოდა სწორი, ერთნული ხასიათი იქნება ორი საწყისისაგან, რომელიც მკიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებულნი: საზოგ.დოებრივი პოლიტიკური წინაპირობიდან და საყოფაცხოვრებო, ადამიანური ურთიერთდამოკიდებულებასა და ნორმებიდან. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ერთნული ხასიათის საზოგადოებრივი პოლიტიკური და ეთიკური მხარე, მიუხედავად ერთი ერისადმი კეთილშინებისა, სხვადასხვაგვარად გამოიხატება საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, იმ ფენებში, რომლებიც ეკონომიური კეთილდღეობის სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ერთნული ხასიათი შედარებით მყარია პირად ურთიერთდამოკიდებულების სფეროში, ზნე-ჩვეულებებში, საყოფაცხოვრებო ქცევაში, თუმცა აქაც ძნელია ვიპოვოთ აბსოლუტურად ერთნაირი თვისებები ერთი ერის ადამიანთა შორის აღბათ, როდესაც ერთნული ხასიათის შესახებ ლაპარაკობენ, მუდგეულობაში ბევრ არა ერის თვითნული წარმომადგენლის ერთნული ხასიათის ყველა მხარის სრული სიახლოვე, არამედ უბრაბტესი, წამყვანი ნიშნები ერთნული ხასიათისა, ხალხი მთლიანად შეიძლება იყოს მამაციც, გულკეთილიც, სტემარტომიყვარეც, ხოლო ამ ხალხის წილიდანვე გამოდიან ცალკეული მნიშვნები, ბოროტნი, ძენწნი. ერთნული ხასიათის თვისება, რომელიც ზოგიერთი საერთო ნიშნების მფლობელია, სხვადასხვაგვარად განსა-

ხედავდა? ერის ყოველ წევრში. ერთ შემთხვევაში ეროვნული ხასიათი, რომელიც პარმონიულადაა შეტყუებული ადამიანის ხასიათში, წარმოვადგება თავისი სისრულთი, თავისი უფრო სრული განმოსახლებით. სხვა შემთხვევაში ადამიანი უახლოვდება თავისი ხალხის ეროვნულ ხასიათს რაღაც მნიშვნელოვან ნაყოფებში. ხანდახან კი იგი მთლიანად სცილდება და გამოეყოფა ეროვნულ ხასიათს, რჩება რა მხოლოდ მასთან გარეგნულ კავშირში. ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა, ერთმანეთისგან დიდი სივრცეებით დამორჩეულ ერთა წარმომადგენლებს შორის შეტია საერთო და ნათესაური ეროვნული ხასიათის მხრივ (მაგალითად, ისეთ თვისებებში, როგორიცაა გულუხვაობა, სიყვით, გულისხმიერება, სტუმართმოყვარეობა და ა. შ.), ვიდრე იმ ადამიანთა შორის, რომელნიც ერთ ერს ეკუთვნიან.

ბურჯუაზია, განსაკუთრებით მისი გაბრწყინებული წილით, აღარაა გამომატყველი ხალხის ეროვნული ხასიათის ძირითადი თვისებებისა. ხომ არ უნდა ვაღიაროთ იგი ამიტომ არაეროვნულ ფუნდ? იქნებ სჯობს ვილაპარაკოთ იმის შესახებ კი არა, რომ ბურჯუაზია შორდება ეროვნულ ხასიათს, არამედ იმაზე, რომ იგი წვეტს კავშირს ხალხის მისწრაფებებთან და ზრახვებთან, მაგრამ მინც ინარჩუნებს ეროვნული თვითშეგნების რაღაც განსაკუთრებულობას? დავთანხმდით ამ თვალსაზრისს, დიამ, ბურჯუაზია აბსოლუტურად როდი კარგავს ეროვნული ხასიათის ყველა თვისებას, ლაპარაკი ამაზე როდია. ლაპარაკი სულ სხვაზეა. ისტორიულად უფრო ნაყოფიერი და პროგრესული თვისებები ხასიათის, როგორცაა თავისუფლების სიყვარული, პირდაპირობა, გულახდილობა და, აგრეთვე, ეროვნული ხასიათის სხვა მხარეებიც, დაკავშირებულია ზემოხსენებულ მხარეებთან, უპირისპირდებიან იმ რაღაც, რომლის თამაშსაც იწვევს ბურჯუაზია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბურჯუაზია იძულებულია უპარყოს ანდა დაძლიოს ეროვნული ხასიათის განსაზღვრული თვისებები, რომლებიც არახელსაყრელი მისთვის და ეწინააღმდეგება მის ანგარებთან ინტერესებს, ანდა ვარდამქმნას ისინი, დაუპირიჩილოს საკუთარ კლასობრივ მიზნებს, ბურჯუაზის ხშირად ხელს აძლევს შემოსის ეროვნული სამოსილი, ილაპარაკოს ერის სახელით. მაგრამ იგი ამის გამო არ ხდება ეროვნული იმედების შეუწყვეტელ ძალად, ერის მოწინავე იდეების მდგრადი. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ბურჯუაზია აღარ არის ეროვნულად გარკვეული საზოგადოებრივი ძალა, რომ იგი საყვებით უარს ამბობს თავის ეროვნულ ხასიათზე. ეს მართლაც ასეა? ნუთუ არ არსებობდა არაერთი განსხვავება ესტონელ და ლატვიელ მემამულეს შორის, რუს და უკრაინელ კულაკს შორის, სომეხი და აზერბაიჯანელი ბურჯუაზიის

წარმომადგენლებს შორის? ლატვიელი ანდა ლიტვიელი მემამულე დაკავშირებული იყო ლატვიისა და ლიტვის ცხოვრების სპეციფიკურ პირობებთან, და მას ვერ მიახლოებდნენ, მაგალითად, ქართულ თავდას ანდა აზერბაიჯანულ ბევს. ცხოვრების პირობებში ნაციონალური მხარეები რჩება, რჩება გარემო, წარ, ზოგიერთი თვისება ადამიანური ქვეყნისა და ფსიქოლოგიისა, რაც დაკავშირებულია ეროვნული ხასიათის თავისებურებებთან. ამ თვალსაზრისით ბურჯუა, უსათუოდ, ეროვნულია, ის იმყოფება გარკვეულ სასიციოცხო გარემოებაში, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარადაა მოწყობილი, აიღეთ ნოვდრიოვი, მინილოვი, კორნობოკა, ობლომოვი, გოლოვნიოვი და სხვები. არ შეიძლება ისინი არ მივათვინო რუს ერს, ისინი რუსები არიან წარმომოებით, ცხოვრობენ რუსეთში, დაკავშირებული არიან მასთან თავისი არსებობის გარემოებით. მაგრამ დასაშვებია ლაპარაკი იმაზე, რომ ისინი გამოხატავენ მხოლოდ და მხოლოდ რუსული ეროვნული ხასიათის რაღაც მხარეებს და თავისებურებებს? მხოლოდ მტრები და ცილისმწამებლები ამტკიცებდნენ ამას. ესენი არ არიან ხალხის, შეიძლება ერის წარმომადგენლები. ეს ის ადამიანებია, ის ძალა, რომელთა ბრძოლასა და განადგურებაში იჭედებოდა ნამდვილი თავისებურება ხალხის ეროვნული ხასიათისა: ეს ასე იყო რუსეთში, ასე იყო უკრაინაში, ბელორუსიაში, თურქმენეთში და ყაზახეთში, კორნობოკას, შეილოქის, გობსეკის, მეჯლანთაშვილის, ზიშნიშოვის სოციალურ ტიპებში ბუერია საერთო ზნეობრივი, საზოგადოებრივი, ადამიანური თვალსაზრისით. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი „ფილოსოფიური“ კონკრეტული შინაარსით, რასაც ამჟღავნებენ არა ერთნაირად წრის, გარემოცვისა და ა. შ. მიხედვით. მათ შესახებ ზეენ არ შევეძლია ვთქვათ: აი, ისინი — მათიოდ განმოსახული ეროვნული ხასიათები! თეთ კოტეჯების, სიბუნის იდეის მიხედვით არაფერი ასხავეებს ფრანგ გობსეკს ქართველ მეჯლანთაშვილს და სომეხ ზიშნიშოვს. ეროვნულად განმსაზღვრებელ ხორცს ეს იდეები იძენენ პირობებთან, ადგილთან, დროსთან, ხალხის ცხოვრებასთან დაკავშირებისას, განა საყვარია ეს დამოკიდებულება ეროვნული ხასიათის შესაქმნად? ურეღვევარი კავშირი ეროვნულ ცხოვრებასთან და პირობებთან არ ქმნის ადამიანს თავისი ერის ეროვნული ფილოსოფიის მატარებლად. ეროვნული ხასიათი როდი ემთხვევა ერის მრავალ წარმომადგენელთა შორის გაბნეულ ყველა თვისების მქაჩიის ჯაშის.

როგორ შინაარსს ეუღლებთ ზეენ ეროვნული ხასიათის გაცემას? ეროვნული ხასიათი — ესაა ხალხის ეროვნული გონება. ეროვნულში გონება უკეთვადებს ცენტრწმენება და ნაშრეებს,

თუმცა ისინი, შესაძლოა, წარმოიშენენ ეროვნულ ნადავზე და თავისებურად პრეტენზიას აცხადებენ იუნ ერის წარმოამდგენლები. ამ ტერმინებსა და ნაშრომებს შეუძლიათ დამკვიდრდნენ ეროვნულ ხასიათში, საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე გახდნენ მის შემადგენელ ნაწილად. მაგრამ ეროვნული ხასიათი როდი დგას ერთ ადგილზედრო და ცხოვრება ცდის მის ხასიათს, უცუბედებს დაქველდებულს, გახვედებულს. ის, რაც ეკვება, ის რაც განწირულია გარდევანი ისტორიული დამარცხებისათვის, ის, რაც განსახიფრებს ეროვნულ ფსიქოლოგიას მის ასე თუ ისე მოქმედ, აქტიურ, ხალხურ ფორმში, — არ შეიძლება გახდეს ეროვნული ხასიათის შემადგენელ ნაწილად, თუკი, რასაკარგველია, მოცუბული საზოგადოების განვითარება მიმდინარეობს პროგრესის გზით, დემოკრატიისა და თავისუფლების გზით, თუ თვითონ სიოცუბლის მოპარობა შეინარჩუნებს ჯველა საუკეთესოს, მოწინავეს ეროვნულ ხასიათში, და არა მის წამორჩენილ, რეაქციულ მხარეებს. სასიოცუბლო ვითარებას, რომელიც წარმოიშეება ხელსაყრელად, ან არახელსაყრელად, აქეთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეროვნული ხასიათის კონკრეტული თვისებების ფორმირებისათვის. ეს თვისებები არა მუდმივი, ისინი შეიძლება შეიცვალოს, როდესაც იცვლება მისი გამომწვევი გარემოება, როდესაც ახალი ვითარება არსებითად გამოირჩევა იმათგან, რომელთა შედეგს წარმოადგენდნენ ეროვნული ხასიათის გარკვეული თვისებები.

ბურჟუაზიული თეორეტიკოსები და ანთროპოლოგები მრავალჯერ წერდნენ ინტერულობას, შეოცუბების, მორჩილების შესახებ როგორც აზიისა და აფრიკის ხალხთა ხასიათის ძირითად ეროვნულ თვისებაზე. მაგრამ, არ, შეიძლება ისტორიული ცხოვრების პირობები. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ბრწყინვალე ეკონომიკრმა და პოლიტიკრმა გამოარჩევენება, მშეიდობისა და სოციალისმის ძლევამოსილი ბანაკის შექმნამ, მეორე მხრივ, და შეუდარებელი კოლონიური ჩაგვრისა და გვსპლოატაციის გაძლიერებამ და აგრეთვე თეთი აზიის ქვეყნების შინაგანმა განვითარებამ გააღვიძეს აზიისა და აფრიკის ხალხები, მათ ხელი მოკიდეს იარაღს და ჩიებნენ სამკერდი-სასაოცუბლო ბრძოლაში თავისი მხაგრელების წინააღმდეგ, წინანდელი მორჩილებისა და გაუბეჯობის კვალიც კი აღარ დარჩა. ასეთ პირობებში ვაიფანტა მითი იმის შესახებ, თითქოს, სახელდროს, ხასიათის ეს მხარეები წარმოადგენდე! აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ, ფსიქოლოგიის უცვლელ კუთვნილებას.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ძალ-ღონეს არ ამუშრებენ, რათა მიწქვალონ მეშათა კლასისა და

ბურჟუაზიის შორის არსებული შესაძინველი სოციალური წინააღმდეგობანი. ისინი ყველ, ფუხის ნაბიჯზე გააყვირან მათი ბუღარების ერთობისათვის, მტრული კლასების წარმოადგენელთა გულსამაჩუვექელი სოლიდარობისა და ნაციონალურ-ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური თანამეგობრობის შესახებ. მათი ტუბილი კოკეკის მოსმენისას შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს მართლაც სუფვედეს. მშეიდობა და მეგობრობა კლასებს შორის. თითქოს ყველგან იყოს სათნოება და სიუვარული.

ზოგიერთი დასავლეთული თეორეტიკოსი იგონებს ახალ თეორიებს. საუკუნის დამდეგს შვედი მწერალი ქილი ელენ კეი გვარწმუნებდა: ნამდვილი ეროვნება შეიძლება მხოლოდ პატარა ქვეყანაში, რომელშიაც ადამიანთა მცირე რიცხვია დასახლებული. ახლაც მღერიან იმავე სიმღერას უფრო მკაფიო ბურჟუაზიულ პანგზე. ლამარაკობენ მომხიბველ ეროვნულ პარმონიაზე და ადამიანთა შორის სიუვარულზე პატარა ქვეყნებში. იქ, მცირე ტერიტორიის გამო, ხალხმა ვერ მოასწრო ერთმეორისაგან გამოეჯანო, ისინი წარმოადგენენ განუყოველ, პარმონიულ ოჯახს.

1956 წელს ქალაქ ტორინტოში გამოვიდა „1955 წლის ივლისში კინგსტონის უნივერსიტეტში შემდგარი კანადის მწერალთა კონფერენციის შრომები“. ამ შრომებს დართული აქვს ფ. გ. სკოტის წინასიტყვაობა, ფ. გ. სკოტი თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს კანადის ცხოვრების სპეციფიკური პირობებს. რითაა შესანიშნავი ეს სპეციფიკური პირობები? ისინი, — წერს ფ. გ. სკოტი, — შეპირობებულთა ქვეყნის მცირე მოცულობით. მოცულობით პატარა ქვეყანაში ცხოვრობს მცირე რაოდენობის მოსახლეობა. ყველა ეს ერთად აღებული, თურმე, ხელს უწყობს სხვადასხვა სოციალური ფენების ერთიანობას. მართალია, ფ. გ. სკოტი შენიშნავს: მას მხედველობაში ჰქავს განსაკუთრებით მათ შორის ისინი, რომლებიც ასბრებენ ხელმძღვანელ ფუნქციას (სწავლელები, ბიზნესმენები, პროფესორის მოღვაწეები). მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, ფორმულის მეორე დამატებითი ნაწილია, პირველი — „სხვადასხვა ფენის ერთიანობა“ კი მთლიანად რჩება ძალში.

საბჭოთა საზოგადოებაში ეროვნული ხასიათის პრობლემა იღებს სხვაგვარ სასიოცუბლო გაზრებას. ერთ დროს ევლგარიზატორები თავე გამოდებით ამტკიცებდნენ ასეთ აზრს: საბჭოთა ხალხი, ამბობდნენ, ისინი, აერთიანებს მსოფლმხედველობისა და იდეური საფუძვლების ერთობლობას. რამდენადაც ყველა ისინი ისწრაფიან ერთი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ, მაშინ როგორი შეიძლება იყოს განსხვავება ხასიათებში? ეს „ულტრარაგეოლუციური“ თეორია, მიუხედავად გარგნული მომხიბველობისა, მეტისმეტად სა-



ზიანთა და არასწორია არსებითად. საბჭოთა საზოგადოებაში კი არ ქრება ხალხთა ეროვნული ხასიათები, არამედ ვითარდება და მტკიცდება. სხვა საქმეა, თუ ჩვენ ვიტყვი: საბჭოთა საზოგადოებაში ხალხთა ეროვნულ ხასიათებში ვაჩნდა და განმტკიცდა უფრო გამაერთიანებელი, ვიდრე გამოიშველი ანდა მტრული ურთიერთგამომრიცხველი. ზდება ეროვნული ხასიათების კონსოლიდაცია.

ეროვნული ხასიათის ცვლილებათა ცალკეული მხარეები დეკლარირებულია გარემომცველი სინამდვილის ცვლილებასთან, გარკვეულ მატერიალურ სამუაროსთან, ადამიანის დამოკიდებულების ცვლილებასთან, ეროვნული ხასიათი არ არის განსაყუთრებით ერთი ხალხისათვის დამახასიათებელი ბიოლოგიური და ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების ჯამი. ეროვნული ხასიათის არსის განსაზღვრისას ჩვენ უნდა გავიღებთ არა მარტო სინამდვილიდან, არა მხოლოდ იქედან, რაც ამრევედა ეროვნულ ხასიათში ისტორიული განვითარების შემდეგ მოწვეულაა, არამედ დღევანდელი შემდგომი შესაძლებლობანი ეროვნული ხასიათის გარდაქმნაში. სხვათაგან, ზღვილია ჩაეარდნა შედეგში, ახგავარად ეროვნულ ხასიათად შეიძლება მივიღოთ დროებითი, წარმავალი, არაორგანული, ეროვნული ხასიათის თვისებებად არ შეიძლება შევიცნოთ ფსიქოლოგიისა და ყოფის ის განსაკუთრებულობანი, რომელთა წარმოშობა არ იყო გამოწვეული გარდუვალი შინაგანი ეროვნული განვითარების მოთხოვნიდან. ხანდახან ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების არასრულყოფილობას და ჩამორჩენილობას და აქედან გამომდინარე ზნე-ჩვეულებებსა და ადამიანს, რომელნიც დროებით შემორჩებიან ხოლმე ეროვნულ ფსიქოლოგიაში, მიიჩნევენ ეროვნულ განსაკუთრებულობად.

შექმნილი ისტორიული პირობების და ისტორიის უძველესი კანონების ძალით ხალხებს დროდადრო იძულებით უნერგავენ ფსიქოლოგიისა და მსოფლმეცნიერების ზოგიერთ თვისებას, რაც სულაც არ წარმოადგენს მათ ეროვნულ შემპრობებულ თვისებურებას. ბევრი რამ ეროვნულ ხასიათში განსაზღვრავს არსებულ ადამიანურ დამოკიდებულების შინაარსს, ამ სოციალური ძალების ხარისხსა და დონეს.

რითი აფხსნათ სამუაროს კანონების შესახებ გულუბრყვილო წარმოდგენას მომთაბარე მონილონისა, რომელიც ცხოვრობს ფეოდალური დასშულობისა და ჩამორჩენის პირობებში? რითი აფხსნათ მისი უბრალოება და ცალმხრივობა, მისი შეზღუდულობის შეზღუდულობა რთულ საზოგადოებრივი მოვლენებზე? ოდინდელი თვისებები ეროვნული ფსიქოლოგიისა, რის შესახებაც ასე უყვარს მტკიცება მრავალ ბერძენულ სოციოლოგსა და ეთნოგრაფს, — ესადა, აქ არაფერ შეაშია, საქმე ფსიქოლოგიაში რა-

დია. საქმე კონკრეტულ სასიციოცლო და საზოგადოებრივ პირობებში; სასიციოცლო და საზოგადოებრივი პირობები ისეთი იყო, რომ ისინი წარმოშობდნენ, ავთარგუნდნენ, სტიქულს აძლევდნენ სწორედ მსოფლგაგების ამ და არა სხვა თვისებებს.

თანამედროვე თვალსაჩინო მონილონი მწერლის დამდორჯინ ნაცადორჯის მოთხრობა „ძველი სამუაროს შვილი“ თითქოს დაწერილია როგორც პასუხი ზოგიერთი თეორეტიკოსის გასაოგნებელ კითხვებზე. ფსიქოლოგიის, ეროვნული თვითშეგნების უცუელი თვისებები არ არსებობენ, გვეუბნება თავისი მოთხრობით ნაცადორჯი. ჩაიხედეთ ცხოვრების სიღრმეში, ყურადღებით შეისწავლეთ ის გარემოებები, რომელშიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ადამიანის სინამდვილე, მაშინ გამოკანა ნათელი გახდება, ძნელად ამოსახსნელი — აშკარა ქვეშეშარბება. დაბდორჯინ ნაცადორჯი გვიხატავს მონილონის ტრამპლების რვეოლუციონდელი ყოფის ზუსტ მხატვრულ სურათს. ტრამპლების ცხოვრება ერთფეროვანია, ერთმეორის მსგავსი დღეები მიიზღაზნებიან. ბავშვობიდან თმის გათეთრებამდე ადამიანები ერთი მდინარის ახლოს ცხოვრობდნენ, გადაბარგდებიდნენ ნაპირის გასწვრივ ერთი ადგილიდან მეორეზე. მთელი ცხოვრების მანძილზე ისინი ტრამპლებდნენ ერთ და იმავე ქის ირგვლივ. „დღე დღეზე ერთფეროვანად მიიზღაზნებოდა უფერული ტრამპლის ცხოვრება უსინათლოდ, როგორც გაუბარუნებულ ქვაბში, და იგი თავის ირგვლივ ზედადა მხოლოდ ზაზუნას, რომელიც შემოდგომზე ჩაიქვდა დასაძინებლად და ვახუფტულზე გამოიშობებდა ხოლმე. იგი ფიქრობს, რომ ქვეყანაზე არაა გზები, გარდა საზაფხულო და საზამთრო, საგაზაფხულო და საშემოდგომო მომთაბარეობისა, მისთვის არ იყო სხვა სიშარბე, გარდა წინამარბებისა და უფროსების სიტყვებისა. როგორ მისაწყენი, ველური ცხოვრებაა!.. მთელი ხალხი ცხოვრობდა ძველი ადამიანით, ტანჯვა ბედნიერებად შიანდათ, სიბნელე და უციცობა — კეთილდღეობად. უმრავლესობა ძველი ქვეყნის ამ შვილივით თვალდაბუქული, ყურბდაბუქული იყო და არ იცოდა, რა არის სამუარო, კანაღამ არ დაჩნა მარტოდაბრტო უყარბილ ტრამპულზე; მარამ ამ დღიდან, როცა დიდმა ადამიანმა, რომლის შესახებ ბევრი ვაგგონა ძველი სამუაროს შვილს, მოახდინა ჩრდილოეთში რვეოლუცია, გადაბარუნებულ ქვაბს ქვეშ შეიჭრა სინათლე. გამოიღვია მთელმა მონილონმა ხალხმა. ყველამ გაავო, რომ პირიზონტს გადაღმა არის მიწა, ზეთი ოკეანე და ზეთი სინათლის ნაწილი. ხალხმა გაიხსნა გზა ახალი ქვეყნისაკენ, საყოველთაო განვითარების გზისაკენ“.

ნათქვამია მნიშვნელოვნად და გამომაბტეველად. — „...ბნელი ტრამპლის ცხოვრება იყო

უსინათლო, როგორც გადაბრუნებულ ქვაბში...“ ძველმა ცხოვრებამ თავისი სიბნელითა და შეშინებულობით, თავისი ერთფეროვნებითა და ბუნდოვანებით გამოიმუშავა გარკვეული ჩვენები, ფსიქოლოგიის დეტალები, გარკვეული დამოკიდებულებები გარემო სამყაროსთან. შებორკვამ, ერთფეროვნებამ, ყოფაცხოვრებითმა უღიბლომამათ თავისი კვალი დატოვა ერთვნილი ხასიათის თვისებებს, ადამიანური აღქმის კონკრეტულ შინაარსსა და შეგრძნებას. იმყოფებოდა რა „გადაბრუნებული ქვაბის ქვეშ“, მოკლებული სინათლეს და ჰაერს, ადამიანს, ბუნებრივია, არ შეეძლო განვითარებინა თავის თავში თავისი ნატურის ის განსაკუთრებულობა, რომელიც შეეძლებოდა გასწრაფო სხვა, შედარებით ხელსაყრელ საზოგადოებრივ და სასოციალურ პირობებში. ჩვენ უმართებულოდ მოვუჭყეოდიო, რომ განვითარებლობის მდგომარეობა და ერთვნილი ხასიათის განვითარების შედეგად გამოგვეცხადებინა მის უცვლელ არსად. ეროვნული ხასიათი მარტო ის არაა, რაც ჩამოყალიბდა, არამედ ისიც, რაც ყალიბდება და შეიძლება გახდეს. ამ რთული, არანვეულებრივად მოქნილი, ცვალებადი დიალექტიკის აღრიცხვის გარეშე ჩვენი მსჯელობა ამა თუ იმ ერთვნილი ხასიათის განმსახვებელ თვისებაზე ცალმხრივი და არაობიექტური იქნება.

შეადარებ ჩვენები და ფსიქოლოგია ძველი მომთაბარისა, „ძველი სამყაროს შვილისა“, რომელიც მშვენიერადაა აღწერილი დ. ნაუბადორჯას მოთხრობაში, თანამედროვე მონღოლის ფსიქოლოგიასთან, რომლის თვალთახედვის წინაშე გადაშლილია მთელი დედამიწის სივრცე. და რომელიც შეიქმნა ცხოვრების ახალი ფორმის შემქმნელი, თავისუფალი ქვეყნის დიდი მოქალაქე. მათ შორის ვინ უფრო ახლო დგას ერთვნილი ფსიქოლოგიის ძირითად თვისებებზე მათთან? ჩვენ ვუჭიკობთ, ახალი მონღოლეთის შვილი, რომელმაც კვლავ აღმოაჩინა და გაამარავლა თავისი ხალხის წინათ ბნელში მყოფი ტალანტები. იგი უფრო ახლო დგას ხალხის გონებასთან, ვინც „ძველი სამყაროს შვილი“, რომელსაც, არსებითად, წართქველი ჰქონდა შესაძლებლობა ყოფილიყო თავისთავადი. თუმცა, უპიკვლად, „ძველი სამყაროს შვილიც“ ერთვნილი ტიპი იყო; იგი გამოხატავდა იმ მონღოლის ერთვნილი ფსიქოლოგიის თვისებებს, რომელიც ოვერლეიშივე ცხოვრობდა იმ პირობებში, რაზედაც მოვეითხრობს დ. ნაუბადორჯა.

ერთვნილი ხასიათის თვისებები ისტორიულ და საზოგადოებრივ პირობებთან დამოკიდებულებით იცვლის თავის ბუნებას, წარმოიქმნება ჩვენ წინ სრულიად საწინააღმდეგო მხარეებით.

ლტველმა კრიტიკოსმა ი. ლანკეტისმა თავის შინაარსიან წერილში „ერთვნილი სპეციფიკის

პრობლემა ჩვენს პროზაში“<sup>1</sup> ცოცხალი მავალი-თებით კარვად დავეანახა ლტველს ვრთვნილი ხასიათის მოქნილი დიალექტიკის ლიტერატურულ ერთვნილი ხასიათის დამახასიათებელ თვისებებზე მიღებულია ჩიოთვალის — და არა უსაფუძვლად — მიმე შრომაში გამომუშავებული თავ-შეკავებულობა, დიდი სიმტკიცე, მოთმინება, ჭკამად გახსნილი ლირიკულობა და მეოცნებეობა. ფსიქოლოგიური ინერტულობა უნდა ჩიოთვალის დამახასიათებლად ერთვნილი ფსიქოლოგიური წუბობის ბევრი გლუბისათვის. იგი წარმოიშვა ლიტერტური სოფლის სპეციფიკური ისტორიული და სოციალური პირობების გავლენით. ეს პირობები იყო განსაკუთრებით არახელსაყრელი ლიტველებსათვის და ყოველთვის მოითხოვდა გლუბებისაგან დიდ სიფრთხილეს, გულჩახვეულობას და სიმტკიცეს, რათა შეეწინააღმდეგებინათ მის, რაც მოიპოვეს. ამას გარდა ყოველთვის ეს სათანადო სახით დაეკვირვებოდა ჩრდილოეთის მშვიდ ტემპერამენტთან, რომელიც არ მიისწრაფვის მოულოდნელი ცვლილებებისაკენ, — აღნიშნავს ი. ლანკეტისი ზემოხსენებულ წერილში. ძირითადად იგი მართალია. უპიკვლად, არსებობს ერთვნილი ხასიათის განმსახვებელი თვისებები, რომელიც გამტკიცებელია ხალხის ცხოვრების ისტორიული გამოცდილებით. მაგრამ მათი თვისება არა უცვლელი და ყოველთვის არ გამოდიან ისინი ერთვნილად „განწმენდილი“ სახით. საზოგადოებრივი ცხოვრების ახალმა პირობებმა, ხალხთა შორის ახალ-დასამოკიდებულებამ, რომელიც წარმოიშვა საზოგადოებასთან ადამიანის დამოკიდებულების ცვლის საფუძველზე, შეიძლება გამოიწვიოს ერთვნილი ხასიათის იმ თვისებების გარდაქმნა, რომელნიც ჩვენ მართლვლად გვეჩვენებოდა. ლტველი მწერლის ი. ავიციუსის ნარკვევი „შდინარე და ნაბირი“, რომელიც დასახლებულია ი. ლანკეტისის წერილში, გვარწმუნებს ჩვენ ამში. ი. ავიციუსის ნარკვევში აწერილია კოლმეტრნობის კრება, — არჩვეულებრივად მზუნებარე, ტემპერამენტური. საქმე შემდეგშია: რაიონის ხელმძღვანელმა კოლმეტრნობის თავმჯდომარის პოსტზე თავისი კანდიდატურას თავაზობს. გლუბები სხვაგვარად მსჯელობენ, ისინი არ ეთანხმებიან რაიონის აზრს და ატარებენ თავის გადაწყვეტილებას. კოლმეტრნობის თავმჯდომარედ მათი არჩეული — შაულისი ინიშნება. ამის გამო გლუბები აშფოთებენ იმუნებულობას, ემოციონალურ სიტყარეს, მაღალ ფსიქოლოგიურ აქტიურობას, ამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს. ეს ცვლილებები მათს თვისებებში გამოწვეულია სოციალური გარემოს თვისებებრებით, გლუბის ახალი მდგომარეობით სამუთო საზოგადოებაში, ლტველმა გლუბმა

<sup>1</sup> ეტრნალი „პირაგაღე“, 1957 წ. № 4, ლიტერტურ ენაზე.

ფერწი თავი ცხოვრების სრულფუნქციან ბატონ-პატრონად, მის მბრძანებლად. ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, იგი იღებს, როგორც უაღრესად პირადულს, სუბიექტურს, რომელიც უშუალოდ ეხება მის ყოფა-ცხოვრებას და კეთილდღეობას, როგორც მის ნებასურვილზე დამოკიდებულს. იმის შეგნებაში, რომ იგი არის ქვეყნის შემქმნელი და შემოქმედი, ისტორიის ბედ-იზღვის ვადამწყვეტი, გლეხში გამოაღვიძა ინციტიკა, კაცობრიობის ინტერესების სიფაჩოვე, ი. ავიციელის ნარკვევში ლიტველი გლეხები დაუცქვებლად „არღვევენ“ ეროვნული ხასიათის რაღაც წმიდათა-წმიდა საფუძვლებს, გაბედულად სძლევენ ფსიქოლოგიური ინერტულობის, კარჩაკეტილობის, სიფრთხილისა და სიმშვიდის ზღერბს. შენარჩუნებული ხდება მხოლოდ ერთი თვისება — ჯიუტობა, — და ისიც კი იღებს ახალ შინაარსს, — სიჯიუტე, რომელიც ნაქარნახევია თავისი საქციელის საზოგადოებრივი სიმართლით, თავისი მოქმედებით, სიჯიუტე, ღრმად გააზრებული და მიზანსწრაფველი. ასეთ სიჯიუტეს, მართლაც ძნელია დაერქვას სიჯიუტე. ეს ხოც — პრინციპულობა, იდეურობაა, თქმა ი. ავიციელის ლამარკობს ევმაიტელთა სიჯიუტეზე და გლეხთა სიფრთხილზე. მწერალი, ალბათ, დავეთხამებოდა: კოლმურნების სიჯიუტე დაიციან მათთვის კარგად ცნობილი ადამიანის კანდიდატურა და მათი სიფრთხილე ადამიანის მიმართ, რომელიც მათ ნაყლებად მოსწონდათ — ეს სიჯიუტის და სიფრთხილის უბრალო დემონსტრაცია როდია საერთოდ. მსგავსი სიჯიუტე და სიფრთხილე უცხო არაა საბჭოთა კოლმურნების უმრავლესობისათვის, მათი ეროვნული კეთილშობის მიუხედავად.

— მაშასადამე, ეროვნული ხასიათი გაჭრა? — შეგვეკითხებოდა მოუთმენელი მკითხველები, არა, არ გაჭრა. მხედველობაში უნდა მივიღოთ პირობები, საზოგადოებრივი ატმოსფერო, რომელშიც ბრწყინავენ ანდა ქრებიან ეროვნული ხასიათის ცალკეული მხარეები. შენადლოა, კოლმურნობის კრების სცენა ი. ავიციელის ნარკვევში იყო ღრამატულ შეჯა-

ხებათა თავისებური კელმინაცია, უმაღლესი კვანძი. ამ შეჯახებამ აიძულა „ლტველი“ გლეხები ამდენად თვალსაჩინოდ დაეჩვენათ ეროვნული ხასიათის ახალი, მოულოდნელი მხარეები, შეპირობებული სოციალისტური სი-ახალით. ხოლო შემდეგ როგორღა? განა ეროვნულმა ხასიათმა ყველაფერში, ყველა სფეროში აითვისა ნოვატორული თვისებები, რომელნიც მკვეთრად ასხვევებდნენ მას ძველისაგან? როდესაც დაცხრება გზნებათა ნიაღვარი, როდესაც აღარ იარსებებენ ამდენად მკვეთრი და მწკავე ვითარებანი, რომელნიც მოითხოვენ გრძნობათა დიდ სოციალურ დაძაბვას, შეიძლება თუ არა კვლავ გამოვლავდნენ, თუნდაც ოჯახურ პირობებში ლიტვერი ეროვნული ხასიათის ზოგიერთი ნაცნობი თვისება? შეიძლება. მაგრამ ერთი კი ცხადია: ნუთუ ლტვერმა ეროვნულმა ხასიათმა ხელშეუხებლად შემოინახა ყველა თავისი წინანდელი თავისებურება, ნუთუ დაჩინა ხელშეუხებლად წინანდელი პრაპორცია და თანაფარდობა მათ შორის? ეროვნული ფსიქოლოგიის მრავალი თვისების შინაარსი სულ სხვაგვარი გახდა. საყვებთ ადვილია იმის შემჩნევა, რომ ეროვნული ხასიათის ბუნებაში მოხდა მეტად დიდი და საყვითლო პროცესები. ლტველი გლეხის ფსიქოლოგიური ინერტულობა, კარჩაკეტილობა, სიფრთხილე გამოწვეული იყო ლტვერი სოფლის სპეციფიკური, სოციალური პირობებით, როცა გაჭრა ეს სპეციფიკური პირობები და, ბუნებრივია, მათ მიერ გამოწვეული ფსიქოლოგიისა და ყოფაქცევის თვისებები, თანდათან უნდა გამქრალიყო და სახე შეეცვალა. მაგალითად, ლტველი გლეხის სიჯიუტე და სიფრთხილე ვარდაქმნილი საბჭოთა პირობებში, აკამყარდნენ ახალი ზნეობრივი და სასოცოცხოლო აზრით, გადაიქცნენ იდეურ პრინციპულობად, საზოგადოებრივ სიფრთხილად. უფრო გაფართოვდა ეროვნული ხასიათის ფარგლები. ეროვნული ხასიათი შეივსო სოციალისტური შინაარსით და ამის გამო მან შეიძინა კიდევ მეტი მშვიდველობა და ფსი. მასში გავრთიანდა ეროვნული და სოციალისტური. და ეს შენაერთი აღმოჩნდა ჭეშმარიტად საუცხოო.

(გაგრძელება იქნება)



## კავკასია ძველგერმანულ ღებრატურაში

ადრეული შუა საუკუნეების გერმანულ ლიტერატურაში შემონახულია ცნობები კავკასიის შესახებ. მე-13 საუკუნის დამდეგის საჩინდო რომანში — „პარტიფალიში“, რომელიც ევროპული ადრეული შუა საუკუნეების უდიდეს მწერალს, ვოლფრამ ფონ ეშენაახს ეკუთვნის, ოთხ ადგილასაა მოხსენებული კავკასია.

„პარტიფალის“ 11 წიგნში აღწერილია გამურეტის, პარტიფალის მამის შეპყრობა და მის ახგარზე ნათქვამია: (სიტყვა-სიტყვით პროზაულად ეთარგმნი ტექსტს).

„დამზადებული იყო იგი ოქროსაგან, რომელსაც კავკასიის მთებიდან ბრწყინებით გლეჯდნენ გრიფები და იქვე ინახოდნენ და დღესაც ინახვენ. არაბეთიდან მოდიან ადამიანები, რომლებიც ეშმაკობით იგდებენ ხელთ ოქროს (უკეთესი ოქრო არსად არაა სხვაგან) და გააქვთ იგი არაბეთში, სადაც მისგან საუკეთესო ქსოვილებს ამზადებენ“ (71, 17 — 27).

რომანის ერთერთი პერსონაჟი კლამიდე, რომელსაც პარტიფალმა წაართვა საყვარელი ქალი, კონდიტამბრი, ეუბნება პარტიფალს: — შე ისეთი რამ დავარჯე, რომ ამ დანაკლისს ვერ ამინაზღაურებს ვერავითარი სიმიდრე და განძეულობა. ვერც ტრიბალიზობი (ე. ი. ინდოეთი—ინდოეთის სიმიდრე ზემს ხელში რომ გადმოვიღეს, ჩემი კუნუნა მაინც არ გამოქარდებოა), ვერც ოქროთი მდიდარი კავკასიის მთები და ვერც თეთვ ვრავალს ყოვლის მომნიჭობაო (dar zu'r gebirge in Kaukasus, 32, 2).

მათილია, დედანში ოქრო არაა ნახსენები, პირდაპირაა ნათქვამი: — კავკასიის მთები, — უფრო ზუსტად: — მთები კავკასიაში, — მაგრამ ამ მთებში ოქროთი მდიდარი მთები იგულისხმება და ასევე თარგმნიან ამ სტროფის თანამედროვე გერმანულზე: „Und des Kaukasus goldreicher Grund. (Simrok, 32b, 23) „Der Kaukasus, der von Golde gleißt (Pannier, 32b, 23) და სევა...“

„პარტიფალის“ მე-7 წიგნში ერთგან ვითხულობთ: „კავკასიის ოქრო წითელია, მისგან წარმართები (იგულისხმებიან არაბები ნ. კ.) ქსოვენ მშვენიერ სამოსელს: დიდის ხელოვნებით აქსოვენ ისინი ოქროს აბრეშუმში“ (374, 30 — 375, 1 — 3).

პარტიფალისა და ფაირფეციის შერკინებისას ვოლფრამ ფონ ეშენაახი აღნიშნავს:

„ძალა ემატებოდა წარმართს (ე. ი. ფაირფეციის ნ. კ.), როცა ის წამოიძახებდა ხოლმე „თაბრონიტს“, სადაც დღემდეა სეკუნდოლე იმყოფებოდა, კავკასიის მთის წინ“ (742.1-4).

კავკასია მოხსენებულია, აგრეთვე, მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანულ საგმირო ეპოსში — „ორტნიტში“. კონდრისკაცი აღბერბი თხოვს ორტნიტს სიოცხლის შენარჩუნებას, რისთვისაც კპირდება მახვილს, მოგარაყებულს ოქროთი: „მე ვფიქრობ, რომ დედამიწაზე არ მოიპოვება უკეთესი მახვილი. მე ის წამოვიღე ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია აღშართი. იგი მოგარაყებულა ოქროთი და კრიალაა ვითარცა შინა. ოქრო მე ამოვიღე შიიდან, რომელსაც კავკასია ჰქვია“. (Simrock Das kleine Heldenbuch, „Ortnit“, S. 2.)<sup>1</sup>

მე-13 საუკუნის მიწურულის საგმირო ეპოსში — „რაინფრიდ ბრაუნშეიგელში“ მოთხრობილია შემდეგი ამბავი: რაინფრიდი თავის რაინდებთან ერთად სპარსეთში მიდის. აქედან ის სპარსეთის მეფესთან ერთად კავკასიის მთებს მიაშვრებს. სადაც გრიფები ბინადრობენ, რომლებიც თავიანთ კერცხებს ოქროზე ღებენ. ოქროს ხელში ჩასაგდებად ადამიანები ეშმაკობას მიმართავენ:

„როცა ოქროს მოპოვება სურთ, ადამიანები კლავენ ღიდ ხარებს, მათ ატყაყებენ, ხარის ტყაში ღებენ ღიდ. წვეტიან ქვეებს, შემდეგ ტყავს პირს შორეკაყვენ და ხარის ტყავენს იქვე დაღებენ, ისე რომ გრიფებმა ყარგად დაინახონ... და ადრე, დილით, როცა ის-ისაა ინათებს, გრიფს ჰკონია, რომ საზარდო იპოვა, ის იტაცებს ქვეებით გამოტენილ ტყავენს და მთებზე აფრინდება, და როცა მიფრინდება თავის ბუდეში, მაშინდა მხეგდება, რომ ის მოტყუებულია. გრიფი ტყავენსა და ქვეებს ვადყარის მითად ძირს...“ ჩამოყარდნისას ქვეები ტეხენ და თან გაყოლებენ ოქროს ზოდებს, რომელთაც ადამიანები ღამით ავროკებენ და ეპატრონებიან. „მთებს შორის მღებარკობს ზღვა“ (იხ. Bartsch, „Herzog Ernst“—Wien, 1869, CXXXII).

მე-13 საუკუნის დასასრულის საჩინდო რომანში, ე. წ. „ემპეროს ტიტურელში“, რომელიც

1 სამწუხაროდ, ხელთ არ მქონია დედანი. ვისარგებლენ ყარლ ზიმროკის ახალგერმანული თარგმანით, რომელიც სიზუსტით ხასიათდება.

აღბრეტს მიეუფუნება, შემდეგია მოთხრობილი:

„მთებში ბატონობდნენ ელური გრიფები. ამ მხარეში მცხოვრებთ მათი შიშით დამფრთხალი ჰქონდათ ძილი. თუნდაც ოთხი ცხენი ყოფილიყო ერთმანეთზე გადაბმული, გრიფებს არც მათ გატაცება არ გაუქირდებოდათ.

შორიასლო მიდამოები დაკარიგებული იყო, გრიფების მახლობლობაში არავის არ შეეძლო ჰქონოდა სამოსახლო, ადრე ოქრო სხვაგვარად იყო განაწილებული... გრიფები ადვილად არ თმობდნენ ოქროს; მათ ადგილსამყოფელი თანდათანობით ზევით იწევდა.

გრიფები მთებში გლეჯენ ოქროს დიდ ზოდებს და მიაჭუთ კავკასიაში გასაქადად, რათა ოქრო ტუფილებრალად არ გაფუქლეს. როგორც კი გრიფები ოქროს გამოსდგამდნენ, ადამიანები მაშინვე დაჰკლავდნენ ხოლმე რქოსან საქონელს, რაც ძვირი არ ჯდებოდა. გრიფებს დაკლული საქონელი მიჰქონდათ მთებზე თავიანთ ბუდეებში“ (Bartsch) (აქ ცოტა ვაღრვევთლად და ბუნდოვან დაახლოებით იგივეა ნათქვამი, რაც „რახინგიდ ბრაუნშვაიგელნი“). ზოგერთი ძველგერმანული ეპოსის მიხედვით ოქრო ანდა ძვირფასი ქვები მოიპოვება სკითეთში (სკითთიაში, Cithia ან Scythien), გრიფების ადგილსამყოფელადაც სკითთია შინველი. მაგ. „ყველაზე ძვირფასი სმარაგდი სკითთიაში მოიპოვება, აქვე ბინადრობენ გრიფები, რომლებიც სმარაგდს იყვანენ“. (Hasler ZI 689, შეადარე Hagen-ის Germania-ს, 10, 10) 1.

როგორც დაინახეთ, ძველგერმანულ ეპიკურ ძეგლებში კავკასიისა და სკითეთის შესახებ ანალოგიური ამბავია მოთხრობილი.

მე-16 საუკუნის „ხალხურ წიგნში დოქტორ ფუსტერსზე“ ვაღმოცემულია შემდეგი ამბავი: ფუსტერსის თხოვნით მეფოსტოფილესი (ასე ჰქვია ბოროტ სულს „ხალხურ წიგნში“ ნ. კ.) მას მსოფლიოს შემოატარებს. ისინი მოივლიან მთელ ევროპას, აფრიკასა და აზიას, რუსეთსაც ინახლებენ (Moscowiterlandt), ეწევიან კონსტანტინეპოლსაც და კავკასიაში შემოღებულან ფესს.

კავკასია აქ ასეა აღწერილი: „კავკასია, ინდო-

1 თომას მანის რომანში — „რჩეული“, რომელშიაც ბერი კლემენს ირლანდიელი მოგვიითხრობს გრეგორიუსის ამბავს, ერთგან ჰერცოგ გრიმალდის სიმლიდრია აღწერილი და სხვათა შორის ესეცაა ნათქვამი:

„...საიდუმლო ოქროს კიდობნებში ინახებოდა ფული, კავკასიაში გრიფების ბრწყალბიდან გამოვლადელი—(Thomas Mann, Gesammelte Werke, 8. Bd., Aufbau Verlag, Berlin 1935, S. 16) ბერ კლემენს ძველ გერმანულ თქმულებებსა და ეპიკურ ძეგლებში ვაგრცელებული ვაღმოცემა პირდაპირ შეაჭეს თავის თხრობაში.

ეთსა და სკითეთის შორის მდებარე, უძალესი კენჭელია თავის სიმაღლეებითა და მწვერვალებით. იქედან დოქტორ ფუსტერსმა, ვაღაქვდა მრავალ ლანდშაფტს და ზღვის სივრცეს, იქ აღდენი პილარის ხეა, რამდენიც ჩვენში დღვის ჩირაგვები“. მეორეგან ვკითხვლობთ: „და თუ მე საქმიანად ვილაპარაკებ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დოქტორი ფუსტერსი ასეთ სიმაღლეებზე აღიოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქედან მას ზღვა და გარემომოცული სამეფოები ეხილა, არამედ ფიქრობდა, რადგან ზოგიერთი კენჭელი თავისი მწვერვალებით ეგვრომ მალაია, სურდა მას ბოლოსდაბოლოს სამოთხის დანახვა... და განსაკუთრებით კენჭულ კავკასიიდან, რომელიც თავისი მწვერვალებითა და სიმაღლეებით ყველა სხვა კენჭულს აღემატება; ფიქრობდა, მოახერხებდა იგი სამოთხის დანახვას. კენჭულ კავკასიის ამ მწვერვალიდან იხილა მან მთლიანად ინდოეთისა და სკითეთის ქვეყანა. აღმოსავლეთით მან დაინახა სინათლე, მსგავსი მოყავაშვი მზისა, იხილა: მიწიდან ვიდრე ზეცამდე ცეცხლის ნაკადები ამოდიოდა... შეაჩინა ველები ოთხი დიდი მდინარე მოედინებოდა, ერთი — ინდოეთისაკენ, მეორე — ეგვიპტისაკენ, მესამე — სომხეთისაკენ და მეოთხე იქითკენ (სადა ფუსტერსი იმყოფებოდა). იხილა რა ეს, ფუსტერსს ეწადა შეცნობა ყოველი იმის საფუძვლისა და წარმოშობისა და კითხა მეფოსტოფილესს, მაგრამ მან ეს შემინებელი გული მოიმოქმედა, თუ რა იყო ეს. მეფოსტოფილესმა მას სწორი პასუხი გასცა: ეს სამოთხე არისო!“ — („Historia von D. Johann Fausten“, Verlag der Nation, Berlin, S. 101—102—103).

როგორც ჩანს, კავკასიონი ძველთაგანვე აღიზიანება მსოფლიო ხალხების ფანტაზიას: ადამიანებისათვის ცეცხლის მომტაცებელი, ღმერთებისაგან განმდგარი პრომეთეოსი ხალხურმა წარმოსახვამ კავკასიონის ქედზე მოაჯიკა. სამყაროს არსის შეცნობით დანტერესებულნი, პუმანიზმის ეპოქის პირში, დიაბოლთან განდობილი ფუსტერსი ხალხურმა ფანტაზიამ კავკასიონზე აიყვანა, რათა იქედან დაეკარული სამოთხე დაენახებინა!

რამდენადაც მე ვიცი, უკლებლივ ყველა დასაყვეთ ვეროპელი ანდა გერმანელი მკვლევარი, რომელიც კი ძველგერმანულ ლიტერატურაში მოხსენებული კავკასიის საკითხს შეხე-

1 საგანებოდ უნდა შევნიშნოთ: „ხალხური წიგნის“ ტექსტი სინტაქსურად, სტილისტიკურად და ლოგიკურადაც ერთობ აბნეული და უწყისობა, ხშირად იწყება ერთი წინადადება და ისე, რომ იგი არ დამთავრებულა, მას მეორე მოსდევს. წინადადების ერთი ნაწილი ზოგჯერ არც სინტაქსურად და არც ლოგიკურად არაა შეთანხმებული წინადადების მეორე ნაწილთან.

ბია, მას, ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცების გარეშე, ე. წ. ინდურ კავკასიად, ინდოეთის გარკვეულ ნაწილად, პინდიად მიაჩნევენ, ასე, მაგალითად, გუსტავ როზენშაიფი „პარციფალის“ ერთერთ გამოცემაში შენიშვნის სახით წერს: „კავკასიის ოქროსმადლიან მთებში იგულისხმება Caucasus indicus, პინდიაში“ (Parzival von Wolfram von Eschenbach, neu bearbeitet von Wil. Hertz, fünfte Auflage, mit einem Nachtrag von Gustav Rosenhagen, 1911.).

და, მართლაც, ამისთვის არსებობს საბუთები როგორც იმ ეპოქებში, რომლებშიც კავკასია ხსენებული, აგრეთვე სხვა ლიტერატურულ ძეგლებშიც. ასე, მაგალითად, „პარციფალი“, როგორც უკვე აღინიშნა, ერთგან წერია: „ძალა ემბატობდა წარმართს, როცა ის წამოიძახებდა ხოლმე „თაბარონიტს“, სადაც დედოფალი სე-ჟონილუ იმყოფებოდა, კავკასიის მთების წინ“. „თაბარონიტი“, ამ რომანის მიხედვით, ერთერთი ნაწილია „ტრინალიბოტიის“, ხოლო ტრინალიბოტი რომ ინდოეთს უდრის, ესეც თვით რომანშივე ჩანს: „Wir heizen hie Indii: dort heizet ez Triballhot“ (E23, 7—3) (აქ ზეენ ვეძახით ინდოეთს, იქ ისინი ეძახიან ტრინალიბოტს“).

მე-15 საუკუნის შვედური პერმან ფონ ზაქსენჰაიმის თავის „მოჩინში“ წერს:

„მრავალ უცხო ენებულზე, გამსაკეთრებით კი შორეულ ინდოეთში, სადაც ერთდროს გაემგზავრა თომა მოციქული, აღმართულია მალდი ოქროთი მდიდარი მთები, რომლებზედაც ვრიფები ბინადრობენ და მუდამაჲმ აყენებენ ზაანს ნისკარტოვან აღამიანებს“ (იხ. Bartsch).

როგორც ვხედავთ, აქ აღრე განხილულ ეპოსებში შემორჩენილი ცნობას ანალოგიური ცნობაა მოწოდებული, იმ განსხვავებით, რომ კავკასიის ნაქველად აქ ინდოეთია „ჩასმული“.

მაგრამ, მეორე მხრით, თვით ლიტერატურულ ძეგლებშივე გვხვდება ისეთი აღგილები, სადაც ინდოეთი და კავკასია სხვადასხვა ქვეყნებად თუ მხარეებადაა მიჩნეული.

იმავე „პარციფალი“ში, თუ ერთ უკვე ციტირებულ აღგილს გავიხსენებთ, წერია: „წარმართთა ქვეყანა ტრინალიბოტი (ე. ი. ინდოეთი ნ. კ.) და მთები კავკასიისა“.

„ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტუსზე“, როგორც უკვე ითქვა, წერია: „კავკასია, ინდოეთსა და სკითეთს შორის მდებარე, უმაღლესი ენებულა“.

ანდა იმავე წიგნში მეორეგან ვითხულობთ: „კუნძულ კავკასიის ამ შვედრელებიდან იხილა მან მოლიანად ინდოეთისა და სკითეთის ქვეყანა“

ოქროსმეველი ვრიფების ზღაპრული მოტივი საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობას მოკ-

ლებულია. გერ კიდევ ძველ ხალხებში ვხვდებით ამ მოტივს: უკვე პერიოდულ მოხსენებებს ვრიფებს ასეთ ვითარებაში გვხვდებით (იხ. Bartsch-ის უკვე დასახელებული წიგნი, აგრეთვე Gustav Eirismann, „Geschichte der deutschen Literatur bis zum Ausgang des Mittelalters“, zweiter Teil, erste Hälfte, München, S. -5)

ამ ცნობიდან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოქრო მალღ მთებშია, ოქროს მთებში თუ მთებთან თხრიან და იღებენ, რომ ეს ოქროსმადლიანი მთები შპარსეთთან ახლოსაა, ამ მთების მახლობლად მდებარეობს ზღვა საინტერესოა, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ სკითეთი გაიგივებულია კავკასიისთან, ხოლო ზოგჯერ მის მეზობელ-მოსაზღვრე მხარედაა მიჩნეული.

მე ვფიქრობ, დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში ხალხში გავრცელებულ ამ შეხედულება-წარმოდგენას კავკასიაზე და მის ოქროზე, რომელიც შემდეგ ლიტერატურაშიც გადავიდა, გარკვეული ისტორიულ-რეალური ვითარება უნდა ედოს პირველსაფეხქვად, სახელდობრ, რეალურ ფაქტზე დაფუძნებული გადმოცემები და თქმულებები იმ კავკასიის ოქროზე, რომელიც თუ ედა კასიის ზღვებს შორის მდებარეობს.

ძველთაგანვე ლიტერატურასა და ხალხურ წარმოსახვაში კავკასია და, კერძოდ, კოლხეთი ოქროსა და განძეულობის მხარედ ითვლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია ბერძნული მითი ოქროს საწმისის შესახებ.

სტრაბონი, ახალი და ძველი ერის მიჯნაზე მდგარი ბერძენი გეოგრაფი წერს: „მითთან (სიანებთან ნ. კ.) წყლის ნაკადებს უნდა ჩამოქონდეთ ოქრო და ბარბაროსები მას უნდა აგროებდნენ დარგრებილი როფებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით. ზღაპარი ოქროს საწმისზე ამაზე უნდა იყოს დაფუძნებული“ (ესარგებლობდი სტრაბონის გერმანული თარგმანით: Strabo's Erdbeschreibung, übersetzt und durch Anmerkungen erläutert von Dr. A. Forbiger, Stuttgart, 1853, S. 15).

ამიანე, II საუკუნის რომაელი, ბერძნულ ენაზე შვედრული ისტორიკოსი წერს თავის „რომაულ ისტორიაში“: „კავკასიონიდან გამოდინება მრავალი მდინარე, რომელთაც ნატოფი, ძლიეს სახილველი ოქროს მტერის ჩამოაქვთ თან. იქაური მცხოვრებლები სდებენ წყალში გრძელბეწვიან ცხერის ტყავებს და ამგვარად აგროებენ ოქროს მტერს. ევარის რა ოქრო ტყავსა ალბათ, აეტვის ოქროს საწმისი ამდაგვარი სახისა იყო (Appian's von Alexandrien Römische Geschichte, übersetzt von Ferdinand L. I. Dillenius, sechstes Bändchen, Stuttgart, 1830 12. Buch, S. 832).

არსებობს კიდევ სხვა ძველ შემართიანთა ანალოგიური გადმოცემები.

მე-6 საუკუნის ბიზანტიელი მემკვიდრე პროკოპი კესარიელი წერს თავის „De bello persico“-ში:

„მაშინ რომელმაც დაიპირეს სპარსელთა ადგილები პერსარმენიელთა ქვეყანაში: სიმაგრე ბოლონი და ე. წ. ფარანგიონი, სადაც სპარსელები ოქროს თბიან და მეფესთან მიაკეთეს“ („გეორგია“, ტომი II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო პროფ. ს. მ. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1934, გვ. 25).

იგივე პროკოპი კესარიელი მეორე ადგილას წერს: „იმის შემდეგ კი პერსარმენიელთა საზღვრები იწყება, სადაც ოქროს მადანი არის, რომელსაც ვანავებს კავადის გადაწყვეტილებით (სპარსელთა მეფეა ნ. კ.) ერთი ადგილობრივთაგანი, სახელად სიმეონი. როდესაც სიმეონმა დაინახა, რომ ორივე მხარე (ე. ი. ბიზანტია და სპარსეთი — ნ. კ.) ბრძოლაში იყო გართული, გადაწყვიტა მოესპო კავადისათვის გადასახადი, ამიტომ თავისი თავი და ფარანგიონი რომ რომელმაც ჩააბარა, არც — ერთისათვის სურდა მადნის მიკვრა. რომელმაც არაფერს ეტყოდნენ. მათ თავისთვის ისიც დამამყარებლად მიიჩნიათ, რომ ბტრისათვის დაკარგული იყო მადნის შემოსავალი“ (გვ. 27 — 28).

პროკოპის წიგნში კიდევ ვკითხულობთ: „მდინარე ზოასი (ე. ი. ჭოროხი — ნ. კ.) გამოდის სადაც ჭანუბის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის მახლობლად ცხოვრობენ“ (გვ. 71).

მაშასადამე, ფარანგიონი ადგილი უნდა იყოს პერსარმენიაში, ჭანუბის მეზობლად იმ მიდამოებში, სადაც მდინარე ჭოროხის სათავეა. ფარანგიონში ოქროს მადანი ყოფილა და პროკოპი ჩანს, მის დასაცავად აუვითა ციხესიმაგრე ბოლონი, (იხ. „გეორგია“, II, 35-36).

„ვსავეგებია ისიც, რომ ბიზანტიელი სარდლის სიტტას ერთერთ დანიშნულებას შეადგენს იმ ადგილის დაპყრობა. სიტტა თავისი ნაყადი პოლიტიკით, სხვადასხვა სიყუთის დაპირებით (ყრძოლ, ოქროს მადნით სარგებლობის უფლებას მინიჭებით), მიიძნობს ფარანგიონის მმართველს სიმეონს და ოქროს მადნებს ბიზანტიის ტერიტორიას შემოეერთებს. თუ არა დიდ ამოწმებლობას აღეუდნენ ბოლონი-ფარანგიონის საეთხს მეგრძოლი მხარეები, იქიდან ჩანს, რომ 532 წლის საზაო მოლაპარაკების დროს ეს საეთხს ერთი უმთავრესთაგანია: სპარსელები არასგზით არ თმობენ ამ ადგილებს და კიდევაც მიაღწევენ იმას, რომ ბიზანტიელები დაუთმობენ მათ ფარანგიონს და ბოლონის სიმაგრეს“ (ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა „გეორგიაში“, ტ. II, 35-36).

პროკოპის გარდა ფარანგიონის ოქროს მადნებს უხედა მე-6 საუკუნის მეორე ბიზანტიელი ეპითალომერაი, იოანე მალალა. ის თავის „ქრონოგრაფში“ წერს: „მიზეზად მოიყვანა ოდეს-

დაც ანისტასი მეფის დროს აღმოჩენილი ოქროს მადნები, რომლებიც რამდენიმეჯერ უხედა იყო, წინათ ხომ ეს მთები სპარსელებს უფლებების ქვეშ იყო; ეს ოქროსმადანი მთები მდებარეობენ რომელი არმენიისა და პერსარმენიის საზღვრებს შუა, როგორც ამბობენ ამ საქმის მცოდნენი. ეს მთები დიდძალ ოქროს იძლევიან, დიდი წიგმების დროს ამ მთებიდან ჩამოეცრებება მიწა, საიდანაც სკეოვა ოქროს ნატეხები“ („გეორგია“, გვ. 269).

პროკოპისა და იოანე მალალა მიერ აღმოჩენილი ოქროს მადნების ზუსტი ადგილობრეობის დადგენა შეუძლებელი ჩანს, მაგრამ ფაქტი ისაა, და ამაზე არაფერს დავობს, რომ ეს მთები კავასიის ფარგლებშია საუფლებელი.

ყოველივე ამან თანდათანობით ჩამოაყალიბა წარმოდგენა კავასიის, ზოგ შემთხვევაში, ყრძოლ, კოლხეთის სიმაღლესა და ოქროზე. მე-17 საუკუნის გერმანულ ჰიპოკრესტოლოგ მანში — „სიმპლიციუს სიმპლიციუსისში“ ორ ადგილასაა ნახსენები კოლხეთის ოქროს საწმისი. აქვე შეიძლება დავსძინოთ: არ უნდა ვაგვიკვიროს იმ გარემოებაში, რომ „ხალხურ წიგნში დოქტორ ფუსტისზე“ კავასია კუნძულადაა მიჩნეული. გრემელსჰაუზენის „სიმპლიციუსისში“ ერთგან ვკითხულობთ: „მე ისეთი მზიარული გბრუნდებოდი იქედან, თითქოს კუნძულ კოლხეთიდან ოქროს საწმისი გამოქონდა“ („Der abenteuerliche Simplicissimus“, Aufbau-Verlag, 1955, S. 433).

ჭველდროების მემკვიდრეთა ვადმოცემების შორეულ გამოძახილს ვხედებით გოეთეს „აქილადაში“, რომელშიაც ერთგან „ფახისის ოქროს“ ნახსენები. („...und körniges Gold des hintersten Phasis“).

1633—1666 წლებში აზიაში უმოგზაურნია ფრანგ ტავერნიე. ის კავასიაშიც ყოფილა თავის მოგზაურობაშია წიგნში მას შეუნიშნა: „ერთი ოქროს მადანი მთაშია, არტანუჯის მახლობლად“ (იხ. „მოამბე“, 1898 № 6). მეორეგან ტავერნიე წერს: „დავებრუნდები ისევ იმ ქვეყნებს, რომელთა აღწერას შეუდევში და შეუნიშნა, რომ ამ ქვეყნებში მოიპოვება არა თუ მხოლოდ რკინა, არამედ ოქროც და ვერცხლიც ორ ადგილას, ტფილისიდან ზუთი-ექვსი დღის სავალზედ. ერთ ადგილას ჰქვია სვანეთი და მეორეს აბახეთი [Obetet?]" (იქვე).

ძველგერმანულ ლიტერატურულ ძეგლებში კავასიის შესახებ დაცულ ცნობებს თუ შემოვლილით ზღაბრულ, ფანტასტიკურ სამოსელს, მაშინ შემდეგ სურათს მივიღებთ: კავასის მთებში არის ოქრო, მას ვლუჯენ, თხრიან, იღებენ მთებიდან თუ მთებში, ოქროს ნატეხები მთებიდან ძირს იყრება, ამ მთების მახლობლად მდებარეობს ზღვა, ოქროთი მდიდარი ეს მთები რაღაცნაირად დაეკვირებულა

სპარსეთის მეფესთან (გაიხსენოთ „რაინფრიდ ბრუნშვიციელი“, რომელშიაც პოემის გმირი სპარსეთის მეფესთან ერთად კავკასიის ოქროთი მდიდარ მთებს მიაშურებს). ხელა შოვიგონოთ რას მოვიგოთბრუნებ მე-ნ საუკუნის ბიზანტიელი მემარტინეები — პროკოპი კესარიელი და იონან მალა: სადღაც კავკასიის სამხრეთში არის ოქროსმადინანი მთები, ოქროს აქ ობრიან სპარსელები და თავიანთ მეფესთან მიჰქუთ, დიდი წვიმების დროს ამ მთებიდან ჩამოუტრდება შიწი, საიდანაც ცეფა ოქროს ნატეხები...

მე გვინდა, ამ ცნობათა შორის საერთო და შესავსი ბევრია.

მაგრამ უფროზე უფრო საინტერესო ის ფაქტია, რომ, თურმე, კავკასიის ზოგიერთ ხალხში შემონახული ყოფილა ისეთი თქმულებანი და ზღაპრები, რომელთა შინაარსი საოცრად ჩამოკავს და ძირითად ხაზებში ვითხოვდა კიდევ ძველბერძნულ ლიტერატურაში შემორჩენილ ცნობებს კავკასიის ოქროს შესახებ. ამის შესახებ ცნობები მომწოდო დოქ. დავით იმანი-შვილმა, რომელსაც, ვსარკებლობ შემთხვევით და უღრმეს მადლობას ვუწირავ.

მას 1951 წელს ვედენოში, სოფელ ხუშეთში მსოფრებ დიდოღ საბით მამოშტროვისაგან ჩაუწერია ზღაპარი დიდოღრ ვენახ. მომაქვს ამ ზღაპრიდან ჩემთვის საინტერესო ადგილის შინაარსი: მახაქალაში ცხოვრობდა ერთი ეშმაკი კაცი, რომელმაც იყოდა ერთგვარი ბალახისა და ნახშირის შერეული ოქროს მიღება. მას ვაღ და მალახი იზრდებოდა მხოლოდ ერთ სად ამ მალა კლდეზე, რომელსაც ირგვლივ ზღვა ვერა. ამდენად ეს კლდე მიუვალა იყო, ეს ეშმაკი კაცი მოტუეებით მიიყვანდა ამ კლდის ახლოს რომელიმე უცნობს, სტევეით მოეზობდა ცხენებს ჯოგს, ერთერთ ცხენს დაუვალდა, ვაატყავებდა მის და მის ტყავისაგან ტყის აკეთებდა, ამ ტყივი ჩასეამდა ამ უცნობს, ტყის პირს მოუკრავდა და თავითონ შორიახლო ვაჩერდებოდა მოფრინდებოდა დიდი ფრინველი და ამ ტყის აიტაცებდა იმ კლდეზე, რომელზედაც ის არასეუღლებრივი ბალახი იზრდებოდა. კაცი ვამოვიდოდა ტყიდან, მოწვევტდა ბალახებს და ჩაუყრიდა ძირს იმ ეშმაკ კაცს, რომლისგანაც ეს უკანასკნელი ოქროს ამზადებდა...

არსებობს ამ ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტები.

ეს ფაქტი, რომ ძველბერძნულ ლიტერატურაში კავკასია და სკეთითი ან გაიგივებულია ანდა მეზობელ ქვეყნებდაა მიჩნეული, ამ ნაშრომში წამოყენებული მოსაზრების სასარგებლოდ ლაბარაკობს. მართლაც, ისტორიულად სკეთითა შუა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე კავკასიის მეზობელ მხარეს წარმოადგენდა, და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და ჩათვლილიყო ასეთად ინდოეთის მიმართ.

რაც შეეხება კავკასიისა და სკეთითის გაიგივებას: ძველბერძნულ წყაროებშიც მოიხილება უამრავი შემთხვევა ასეთივე გაიგივებისა ეს ცნობები მომწოდო დოქ. აკ. ურუშაძემ, რომელსაც განსაკუთრებულ მადლობას ვუცხადებ. გავცნობ ზოგიერთ მთგანს.

ვერიბიდეს „მედესა“ II ტომში წერია „კოლხეთის აიასაცენ“. სქოლიასტი განმარტავს აიას: „ქალაქი სკეთითში ასე წოდებული“ (Sch Eur. Med ad V. 2) მამსადაიმე, კოლხეთი და სკეთითა აქ გაიგივებულია.

მე-8-7 საუკუნის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ებიკოსი, რომლის ნაწარმოებთა მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული, ვეშლოს კორინთელი II ფრაგმენტში მოიხსენიებს „სკეთითის კოლხეთს“ (Kinkel E. G. F.).

სტრაბონი (XII, 19-25) ლაბარაკობს პალიძონებზე, რომელთაც ხალიბებთან იგივეებს, ხოლო ამ უკანასკნელ-სკეთითთან, როგორც ცნობილია, ხალიბები კოლხური ტომებია.

სტრაბონის ეს ადგილი მოაქვს ევსტათი თესალინივეს „ილიადას“ განმარტებებში (II, 856), „ზოგიერთები პალიძონებში სკეთიებს გულისხმობენ“.

ერთ ფრაგმენტში „ქალთა კატალოგიდან“, რომელიც პესილოეს მიეწერება, ასეთი ადგილია: ფრევესი დანსაჯა ღმერთების მიერ, იმის გამო, რომ „ფრიქსეს გზა უჩვენა სკეთითისკენ“. (ცნობილია, ფრიქსე, ათამანტის შვილი, კოლხეთში ოქროს ვერზე ვადაშვდარი ჩამოფრინდა).

პინდარეს მე-4 პითერი ოდის სქოლიოებში ერთერთი ასეთი შენიშვნაა: „ისინიმა თვითონ წახალისა სკეთითში განზრახული ლაშქრობა“ (სქოლიო 301), „აიტემა სკეთითის კოლხეთში დაიკავა ერთი მხარე“ (სქოლიო 51) (ვევლა ეს ცნობა ამოღებულია დოქ. აკ. ურუშაძის დასაბუღვად გამზადებული კამიტალები შრომიდან: „არგონავტთა თქმულების შესახებ მასალები ანტიკურ მწერლობაში“; პინდარეს ოდის სქოლიოთა ნუმერაციაც აკ. ურუშაძის ეკუთვნის).

არსებობს, აგრეთვე, მრავალი სხვა ანალოგიური ცნობა ძველბერძნულ წყაროებში, სადაც კოლხეთი და სკეთითი (ასევე სკეთები და კოლხები) გაიგივებულია. ხოლო სკეთეთში რომ საქართველოს დასავლეთი ნაწილი იგულისხმება, ეს უდავოა.

მაგრამ არსებობს, აგრეთვე, ძველბერძნულ წყაროებში კავკასიისა და სკეთითის გაიგივების ფაქტაც. ამოლიონოს როდოსელის სქოლიასტი იმოწმებს მე-6 საუკუნის-მოღვაწეს, პეტროლორეს: „პროშეთე-ამბობს პეტროლორე — სკეთიების მეფე იყო...“; „...იგი სკეთითა მიერ ბორკლებში იქნა ჩაქვდილი“ (იხ. აკ. ურუშაძემ, პროშეთეს მითის ერთი თავისებური ვერსიის შესახებ“, თ. ს. უ. შრომები, 45, 1951, გვ 225-226). ცნობილია, პროშეთისი კავკასიაში, კავკასიონის ქედზე იქნა მიჯაჭვული.



ამრიგად, მე ვფიქრობ, ძველგერმანულ ლიტერატურაში შემონახულ ლეგენდარულ, ზღაპრულ გადმოცემებში შესაძლებელია ამოვიკითხოთ ისტორიული ფაქტი.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ხდება, რომ ძველგერმანულ ზოგიერთ ეპოსში კაცასია ან ინდოეთის ნაწილადაა წარმოდგენილი, ანდა მის უშუალო მეზობელ ქვეყანად?!

მე ვფიქრობ, საჭმე ისაა, რომ შუა საუკუნეობრივი გეოგრაფიული უმცეტრების პირობებში ხალხური ფანტაზია ერთ „ზღაპრულ“ ქვეყანასთან — ინდოეთთან, ანდა მათ აიგივებს, ზოგჯერ კაცასიას ინდოეთის ერთ ნაწილად წარმოიდგენს და ა. შ., ისე რომ როგორც ინდოეთის, ასევე კაცასიის გეოგრაფიული აღვლმდებარეობა ისევე დაუკონკრეტებელი და გაურკვეველია, ვითარცა ბიბლიური ედემისა.

საინტერესოა, რომ, მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, ძველ ბერძნულ წყაროებშიც კი ხდებოდა ინდოეთისა და კოლხეთის (ანდა: ინდოელებისა და კოლხების) აღრევა. ასე, მაგალითად, მე-10 საუკუნის კომენტატორ-კომპილიატორი იოანე ცეცე, იმეორებს რა მე-4 საუკუნის (ჩვენი ვრამდე) ისტორიკოსს, თეოპომპეს, წერს: „კოლხები ინდოელი სკეთებია“. (ეს ცნობაც დოც. აკ. ურეშაძემ მომართა).

მაშასადამე, რეზიუმეს სახით: ძველგერმანულ ლიტერატურაში შემორჩენილი გადმოცემების ისტორიული პირველსაფუძველი არის შავ და კასიის ზღვებს შორის მდებარე კაცასია, მაგრამ თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში ხალხური ფანტაზია ამ ისტორიულ-ფაქტობრივ საფუძველს ურთავდა და უმატებდა ახალ ზღაპრულ პლასტებს, რომელთა მეოხებითაც ჩვენი კაცასია დაუახლოვდა თუ გადიქცა ინდურ კაცასიად.



## კავშირის განვითარების საკითხისათვის გეოგრაფიული ხანის საქართველოში

რეფორმადმიდელი ხანის საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში დღემდე დიდი ღვაწა. საკითხი რთულია და რაც სიმწვლეებს შეიცავს, განსაკუთრებით სათანადო მასალების სიმცირის გამო. ამ საკითხის შესწავლას აღნიშნულ ხანაში დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ჩვენ გვეხმარება რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების გზებისა და თავისებურებებისა გაგვივსაძინოს, მუშათა კლასის ფორმირების პროცესის შესწავლაში, ასევე XIX ს. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკური მრწამსის გარშემო და მათთან დაკავშირებული რიგი პრობლემების გადაჭრაში. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ბერძენული ურთიერთობის არსებობის დადასტურებისათვის აუცილებელია დამატებით წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობა, უნდა დამატებით ამოთხუ იმ სამარწველო საწარმოს კაპიტალისტური ხასიათი. ჩვენი მიზანია შევებოთ და რამდენადაც მასალები შესაძლებლობას მოგვცემს ვაგვიჩვენოს საკითხის შესახებ თუ რა დროიდან იწყება საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება.

XIII საუკუნიდან დაწყებული გარეშე მტრების შემოსევა-აღმტრებანი უაღრესად აბრკოლებდა საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. გეოგრაფიულად ხანაში მან ხელი შეუწყო ქვეყნის პოლიტიკურად დაშლას და მოშალა საუკუნეების განმავლობაში დაწინაურებული ქვეყნის ეკონომიკა. მაგრამ მშვიდობიანი პერიოდის მცირე მონაკვეთებშიც კი სწრაფად ხდებოდა საწარმოო ძალთა აღდგენა და განვითარება, რაც ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეზე, მის დაწინაურებულ ეკონომიკაზე და ხალხის შემოქმედებით ნიჭსა და ენერჯიაზე მიუთითებდა.

შედარებით ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ჩვენში შეიქმნა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს საქართველო პოლიტიკურად შედარებით განმტკიცდა: ვაგროიანთა ქართლ-კახეთი, ვაჭარმებული იქნა სავრისთაო სახანოები, ცენტრალურმა ხელისუფლებამ სასტიკო ბრძოლა გამოუცხადა ფეოდალურ რეაქციას, გაძლიერდა

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა.

განვითარება დაეტყო სოფლის მეურნეობის რიგ დარგებს—მიწათმოქმედებას, მევენახეობას, მებაღეობას და სხვ.

ვითარდება მრეწველობა, რომელიც უმთავრესად იმ დროს ხელისნული წარმოების სახით იყო წარმოდგენილი, ხშირდებოდა დაქირავებული შრომის გამოყენება როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში.

მატერიალური დოვლათის წარმოების ზრდამ გამოიწვია ვაჭრობის განვითარება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთთან. საქართველოში შემოდინდა არა მარტო აზიური, არამედ ევროპული საქონელიც. ქართველი ვაჭრები საეპროდ დიდიოდნენ და ქართული ნაწარმი გაქონდათ ირანში, ოსმალეთში კავკასიის შოიანეთში, რუსეთში და სხვაგან. საშინაო და საგარეო ვაჭრობის შედეგად გროვდებოდა დიდძალი ფულადი კაპიტალი ვაჭრების ხელში.

ქვეყნის ეკონომიკურმა წინსვლამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოაცხადებდა საქალაქო ცხოვრება. იზრდებოდა ქალაქები თბილისი, გორი, თელავი კუთხისი. იზრდებოდა ქალაქების მოსახლეობა და მათი საეპრო-ეკონომიკური მნიშვნელობა. XVIII ს. მეორე ნახევარში დაიღრმავდა ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა—მოქალაქეები და სამეფო ვაჭრები. გამრავლდა ე. წ. „საპატიო“, „უპირველესი“ მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. საქალაქო ცხოვრების აღორძინება თავის მხრივ დიდად ზემოქმედებდა მიწის ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული განვითარებაზე.

საქართველოს სამეფოს (ქართლ-კახეთის) ტახტზე ამ პერიოდში იჯდა ერეკლე II, ქვეყნის ძლიერი მმართველი და იმ დროის „მოწინავე კაცი“. მას კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური სიმტკიცე და სამხედრო სიძლიერე დიდად იყო დამოკიდებული ეკონომიკის განვითარების დონეზე. ამიტომ იგი მთელი ენერჯითა და მონდომებით მფარველობდა და ხელს უწყობდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. ერეკლემ კარგად გაიგო ეპოქა ამ მხრივ და ენერჯიას არ იშურებდა ფეოდალური

ქვეყნის „ვერობულ ყიდაზე“ გარდაქმნიასთვის.

მრეწველობის განვითარების მიზნით ერეკლე II უტყობოთიდან საქართველოში იწვევდა კაპიტალისტ წამოწყევთ რომელთაც სხვადასხვა სახის საწარმოები უნდა გაეხსნათ. ასევე ცდილობდა იგი მრეწველობისათვის საქირის სათანადო ოსტატთა ადგილობრივი კადრი შეექმნა. ერეკლეს თაოსნობითა და ზელმძღვანელობით ადგილი ჰქონდა რაც სამრეწველო „საფაბრიკო-საქარხნო“ წამოწყევთებს, რის შედეგადაც XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოში არსდება შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმოები, როგორც იყო სპილენძის სადნობი და ვერცხლისადნობი ქარხნები ალავერდისა და ახტალაში, თოფ-ზარბზუნების ქარხანა, საპნის ქარხანა, შინის საწარმო, სამეფო ზარაფხანა, თოფის წამლის ქარხანა, სტამბა, რიგი სამღებროები და სხვა.

ჩვენ აქ შევეხებით ზოგიერთ სამრეწველო საწარმოებს: სამღებროებს, თოფის წამლის ქარხანას თბილისში და განსაკუთრებით სამთო წარმოებს და რამდენადაც სათანადო მასალები მასშალეობას მოეცემა, შევეცდებით გავარკვიოთ მათი სოციალური ბუნება და ასევე საკითხი — არსებობდა თუ არა წარმოების კაპიტალისტური წესი XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში.

ფეოდალურ საქართველოში მრეწველობის მრავალ დარგი სათანადოდ იყო განვითარებული. მათ შორის სამღებრო წარმოებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა. XVIII ს. სამღებროები მონოგრაფიულად შეისწავლა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. როგორც მონოგრაფიიდან ჩანს XVIII ს. დასაწყისის სამღებროები სულ სადედლო იყო, ხოლო ამ საუკუნის სიგრძეზე მრავალი სადედლო სამღებრო საფეოდალო ხდება (საუფლისწულო, სათავადო, საეკლესიო) და თანდათან ფეოდალთა მონოპოლიად იქცევა. ამავე დროს იზრდება სამღებროთა რიცხვი, ახალი სამღებროები ეკუთვნება. XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთში 50—60-მდის სამღებრო უნდა უოფილიყო<sup>1</sup>.

სამღებროების ექსპლოატაცია „ჩვეულებრივ“ „სათჯარო წესით“ სწარმოებდა. სამღებროთა საიჯარო ფასი სხვადასხვა იყო სამღებროთა სიდიდის შესაბამისად. სამღებროების იჯარა „სრული ნებაყოფლობისა და თავისუფალი შესაქმების შედეგი იყო“. საიჯაროდ გამოცხადებული საქმე გარკვეული ხნის განმავლობაში (40 დღე) ღია იყო კონკურენტისათვის<sup>2</sup>. მით-

ჯარადრეები იყვნენ როგორც ღებვის ოსტატები ისე სხვებიც, რომლებიც ამ საქმის ოსტატები არ იყვნენ. როცა სამღებროს მოთხოვრადრე თეით არ იყო ღებვის ოსტატ, მათი იგი სათანადო ოსტატს ქირაობდა და ჯამაგირს აძლევდა. ამას მოწმობს XVIII ს. ერთი მნიშვნელოვანი საბუთი, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის მღებართუხუცესს ელიზბარა ფუთეაშვილს სამღებრო წარმოებაში დაქირავებული ჰუავდა აღღწურტილი მღებართოსტატი ავაქა და მას სათანადო „ჯამაგირს“ აძლევდა<sup>3</sup>.

მღებართოსტატ ავაქას დაქირავებული მღებართუხუცესი ფუთეაშვილი ელიზბარა მღებართოსტატი არ არის. ეს მოთჯარადრე არც ფეოდალია, რომელსაც შეეძლო თავისი ყმა-ოსტატები (თუ კი ასეთი ჰუავდა) დაესაქმებინა სამღებრო წარმოებაში. იგი ვაჭარი იყო. რადგან ფუთეაშვილს ყუმები არ ვაჭნდა, ცხალია, მას ოსტატთან ერთად შევირდები და მუშებიც უნდა დაქირავებინა და სათანადო საზღაური ეძლია. მოთჯარადრის მიერ დაქირავებული ოსტატებიც, შევირდებით და მუშებით გამართულ სამრეწველო საწარმოში კი ექსპლოატაციის ფორმა ახალია და ასეთი საწარმო თავისი სოციალური ბუნებით არსებითად განსხვავდება ფეოდალურ ამქრული საწარმოებისაგან. ფუთეაშვილის სამღებრო იმის შანგეხებულია რომ მრეწველობის ამ დარგში წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესი ჩასახულა, რომ XVIII ს-ში რიგი სამღებროები ფეოდალურ სამღებროთა გვერდით და მისგან განსხვავებით წარმოების ახალ წესზე ეყრუება. აკად. ნ. ბერძენიშვილი საუხებით სწორად აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საწარმო „მნიშვნელოვანა და არა საშუალო საუკუნეების სახელოსნო“ და აქვეა მოცემული შესაძლებლობა<sup>4</sup> იმისა, რომ მრეწველობის ამ დარგში „ადრე დაირღვევა ზელოსნურ-ამქრული წარმოების წესი და მის ადგილას მანუფაქტურულ-ბერეუაზიული წესი დაიქვეს<sup>5</sup>. აკად. ნ. ბერძენიშვილი ევოქის ანალიზში დაარწმუნა ამ მოვლენის განსაკუთრებული მნიშვნელობაში. იგი წერს: „მე-18-ე საუკუნეში, როცა ქვეყნის ყველა კარებით ვეროპის ბერეუაზია მოსჩანდა თავის წარმოების პროგრესული წესით (იმ დროისათვის), ასეთ მოვლენას შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭებოდეს. ასეთი მოსაზრება არც თუ უსაფუძვლო მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ საბოლოად წარმოებებს (ალევერდი, ჩათახი, ახტალა) და სხვა წამოწყევთათა პროექტებს, მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რომ ჰქონდა ადგილი საქართველოში“<sup>6</sup>.

აღნიშნულ ხანაში სამღებრო წარმოება მა-

<sup>1</sup> აკად. ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში გვ. 438, 440, 445 (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. VI, თბ., 1937 წ.).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 441.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 437.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 441, 446.

<sup>5</sup> იქვე.

სობრაცი მოხმარების საქმეს ემსახურებოდა და იგი სათანადო განვითარების ღონეზე იდგა. სამღებროთა რიცხობრივი ზრდა, ასევე მათი იჯარის ზრდა მიუთითებს ჯერ ერთი „საფეიქრო-სახელოსნო მეურნეობის სათანადო ზრდა-განვითარებას“ და მეორეს მხრივ მრეწველობის და სახეში წარმოების ახალი წესის— ბურჟუაზიული ურთიერთობის ზრდასაც.

XVIII ს-ში თბილისში არსებობდა თოფის-წამლის ქარხანა. ამ საუკუნის 70-იან წლებში ეს ქარხანა ეკუთვნოდა თბილისელ მოქალაქე ისაია თაყუაშვილს. ისაია თაყუაშვილის განცხადებით ქარხანა მეფე ერეკლემ მას და მამას, ნიშნად ერთგული სამსახურისა, უბოძა 1773 წელს. ქარხნის ბოძებისთან ერთად ერეკლემ მას პრივილეგიაც მიანიჭა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თბილისში და მთელ ქართლ-კახეთში თაყუაშვილის „ოსტატების“ გარდა, რომელიმეც მას ქარხანაში ჰყავდა დასაქმებული, თოფისწამალს და გვარჯილას ვერაინ დაშხადებდა. ასევე მათ საზღვარგარეთიდან ვერაინ შემოიტანდა თავისუფალი გაყიდვის მიზნით. თუ ვინმე თოფისწამალს შემოიტანდა იგი მხოლოდ ისაია თაყუაშვილისათვის უნდა მიეყიდა<sup>1</sup>.

როგორც ხვანთა, ქარხანა, თაყუაშვილის ხელში გადასვლის დროს სუსტად, ან სრულებით არ მუშაობდა, რადგან ქარხნის ბოძებისა და პრივილეგიის მინიჭებისთანავე, თაყუაშვილმა „მაშინვე“ „ქარხანა“ „გაშარტა“ და „დასაქმა“<sup>2</sup>. ე. ი. ააშუშავა შემდეგში ერეკლე II თაყუაშვილის ქარხანა „თოფხანისა და ციხეების საჭიროებისათვის“ „დროებით ჩამოართვა“, „სამაგეროდ მამულის ბოძება“ დაბრუნდა. ქარხანა ზაზინის, ერეკლეს ხელში იმყოფებოდა და მუშაობდა 1795 წლამდე. ამ წელს ალაშქმაღლხანამ თბილისის აღებისა და აოხრებისას ეს ქარხანაც დასწვა. 1796 წელს მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა ერეკლეს კვლავ სთხოვა დამწვარი ქარხნის ბოძება. ერეკლემ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. თაყუაშვილმა ქარხანა კვლავ მოაწყო და ააშუშავა. ქარხანამ იარსება 1808 წლამდე<sup>3</sup>.

ესე როგორც ფუთაშვილის სამღებრო მანუფაქტურა, ასევე თაყუაშვილის თოფის-წამლის ქარხანაც კაპიტალისტურ წესზეა გამართული და ისინი ფეოდალურ სახელისწილებს სრულებით არ ჰკავანან. ფუთაშვილი და თაყუაშვილი ფეოდალები არ ყოფილან და მათ ყმები არ გააჩნდათ. ისინი ვაჭარი მოქალაქენი და ქარხნის მენეჯერები არიან. ამიტომ მათ ზსტატები დაქირავებული ჰყავდათ. ასევე, ცხადა, მუშებიც დაქირავებული ეყოლებოდათ. ქარხანაში დაქირავებული შრომის წარმომა-

ვნელების (ოსტატები, შევირდები, მუშები) სოციალური მდგომარეობის, მათი წინდობრივი კუთვნილების მიუხედავად (იხივი დოკუმენტულ ყმები იყვნენ თუ უმერი დამოკიდებული მამან-გან თავისუფალი), ეს საწარმოები ჩვენ კაპიტალისტურად მივიჩნიათ. თუ რატომ ამას ქვემოდ გავარკვევთ. ახლა კი განვიხილოთ სამთო-საქარხნო წარმოება.

XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი ნახევრის სამთო-საქარხნო წარმოების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ჩვენ გვეხმარება კაპიტალიზმის ვენების შესწავლის საკითხში, რადგან ამ ურთიერთობის ფონზე მას თავისი გარკვეული ადგილი ექირა.

სამთო წარმოების საქმეს, ისე როგორც საერთოდ მრეწველობის განვითარებას საქართველოში, შედარებით მყარი საფუძველი ჩაეყარა XVIII ს. მეორე ნახევარში. ერეკლესდროინდელ საქართველოს მრეწველობაში უვლახე დიდი ხვედრითი წონა სამთო წარმოებას ექირა.

ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის საბადოების დამუშავება ერეკლემ დიწყო ანატოლიელი ბერძენების საშუალებით. მან 1600-იანი წლების დასაწყისში დიდი სამუშაოებისა და დამარბებების შედეგად მოახერხა გიუმშიხანეს პროინციიდან (თურქეთშია) ბერძენ ოსტატთა 800 ოჯახის (2000-მდე სულს) რაოდენობით ჩამოყვანა საქართველოში<sup>4</sup>. პირველად განახლდა ახტალის ვერცხლის სადნობი წარმოება 1763 წელს<sup>5</sup>. ხოლო 1770 წელს ალავერდის სპილენძისადნობი ქარხანა ახტალის ვერცხლის ქარხნები მდებარეობდა მემომულე მელაქიშვილების მიწებზე, ალავერდის სპილენძისადნობი ქარხნები არღეთინ-დოღგორჯოკების მიწებზე.

ერეკლე მეფესა და ბერძენებს შორის საბადოების ექსპლუატაციის გამო ასეთი კონფლიქტი იყო დადებული: ახტალის ქარხნებში მიღებულ ოქრო მთლიანად მიჰქონდა მეფეს, ხოლო წარმოებულ ვერცხლად კი 25% ნატურით. დანარჩენ 75% ვერცხლს მეფე უბრუნებდა ბერძენებს ფულის სახით — ვერცხლის აბაზებით. ალავერდის ქარხნებში მყოფი ბერძენები, რომლებიც სპილენძს საკუთარი სახსრებით აწარმოებდნენ, მეფეს აძლევდნენ მიღებულ სპილენძის 10% (მეათედს). ამას გარდა მეფეს დამატებით ეძლეოდა ლითონის 2%, სამეფო ხელისუფლების მიერ ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფისათვის<sup>6</sup>.

ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით სამეფო ხელისუფლებამ ქარხნებს შიარა

<sup>1</sup> С. Эсадзе, Очерк истории горного дела на Кавказе Тиф., 1903 г, стр. 15.

<sup>2</sup> С. Гулишамбаров, ОФЗТГ Тифл. 1888 г. стр. 175.

<sup>3</sup> С. Эсадзе, Очерк., гв. 15—16.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, л. 43, л. 6.

<sup>2</sup> იქვე, ფურც. 6.

ზორჩალოსა და ყაზახის სოფლები და დაავადებულა ისინი ქარხნებისათვის მიეცათ განსაზღვრული რაოდენობა გლეხებისა — ფეხოსანი და ცხენოსანი, რის შედეგად ყოველთვიურად სამუშაოზე ვადმოდიოდა 200 — 250 კაცამდე მიწერილი ყმა-გლეხი. ქარხნებზე მიწერილი ყმა-გლეხები მუშაობდნენ წარმოებს დამხმარე სამუშაოებზე. ისინი სჭირდნენ ხე-ტყეს, სწევედნენ ნახშირს და უზიდებოდნენ ქარხნებში, რისთვისაც ბერძენი ოსტატებისაგან ლეხულობდნენ გარკვეულ საზღაურს<sup>1</sup>.

საქარხნო სამუშაოებზე — მალაროებსა და ქარხნებში — ბერძენი ოსტატებისა და მათი თანამშაველებების გარდა, მუშაობდნენ ნებითად-ქირავებული მუშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ, განსაკუთრებით იმერეთიდან. მათ ქირაობდნენ როგორც ბერძენი ოსტატები ასევე მუფე.

წარმოებაზე ნათელი წარმოდგენა რომ ექონოთ, მოკლედ განვიხილოთ აბტალისა და ალავერდის ქარხნების მუშაობა ცალ-ცალკე.

აბტალის ქარხანაში ბერძენი ოსტატები ვერცხლის მადანს იღებდნენ წერაქვეებითა და პურღლის საშუალებით. ბერძენები ამ სამუშაოს ასრულებდნენ ორ-ორი, ან სამ-სამი, ხოლო ზოგჯერ 10 კაცამდე ერთად მუშაობდნენ. ზოგიერთი მათგანი კი ამ სამუშაოს დაქირავებული მუშებით ასრულებდა.

მადნის ამოტანა მალაროდან ხდებოდა ადგილობრივ დაქირავებული მუშებით. ზედაპირზე მადანი გაარჩევდნენ, რის შემდეგ ეჭრ მიქონდათ მალაროებთან ახლო მოწყობილ ქარხნებში. აქ ცილინდრისმაგვარ ღუმელებში ხდებოდა მისი გამოწევა. მადნის გამოწევის აწარმოებდნენ ბერძენები და მათ მიერ ადგილობრივ დაქირავებული მუშები. შემდეგ ხდებოდა გამოწევის მადნის გამოღონობა სათანადო სადნომ ღუმელებში. გამოღონობის პროცესის შედეგად ლეხულობდნენ ტყეისა და ვერცხლს.

ხე-ტყის მოჭრაზე, მის დაწევასა და ნახშირის ქარხანაში გადატანაზე ყოველთვიურად მუშაობდა 100 მიწერილი გლეხი. ამას გარდა მიუფე ყოველთვიურად ქირაობდა 120 — 150 შეიარაღებული კაცს ქარხნებში საბერძენლად ბერეისათვის და სხვა საქარხნო სამუშაოსათვის.

წარმოების მეთვალყურეობისათვის მუფე ნიშნავდა „მინაშს“, რომელიც საქარხნო მიწების მფლობელი მუშაობდა იყო. მინაშეები ლეხულობდნენ ჯამაგირს — წლიურად 600 მანეთს და წარმოებელი ლითონის ნაწილს.

აბტალის ვერცხლისსადნობი ქარხანა აშუშაეების დროიდან წელიწადში იძლეოდა 150,

200, 300 და მეტ ლიტრა ვერცხლს, ხოლო „ერთ წელიწადს“ მიღებული იქნა 498 ლიტრა ვერცხლი 91 ფუთი და 23 გირვანქა ვერცხლი. მუშაობდა სხორად წლიურად ლეხულობდნენ 200 ლიტრა ვერცხლს<sup>2</sup>. სამუფე შემოსავალი აბტალის წარმოებიდან წლიურად შეადგენდა 77574 მანეთს, ხარჯები 29.293 მანეთს, ე. ი. მუფის სულთა შემოსავალი უდრიდა 48.281 მანეთს. ბერძენების შემოსავალი კი შეადგენდა 69.920 მანეთს, ხარჯები — 25.000 მანეთს, ე. ი. ბერძენების სულთა შემოსავალი უდრიდა 44.920 მანეთს 2. აბტალის ვერცხლსადნობი ქარხანა XVIII ს. 60-იანი წლებიდან 1785 წლამდე, ეიღრე მას ომარ-ხანი ააოხრებდა საუცხოო მდგომარეობაში იყო და როგორც ზემოდ დავინახეთ ამ დროისათვის მნიშვნელოვან პროდუქციას იძლეოდა.

ალავერდის ქარხანაში ბერძენი ოსტატები შეადგენდნენ „მინანგობას“, რომელიც გაერთიანებული იყო 10 — 15-მდე ოსტატი. თითოეული ოსტატი თავისთვის ქირაობდა მუშებს. XVIII ს. მიწერიულს და XIX ს. დამდეგს, როდესაც ქარხანა მეფეარადრეების ხელში იყო გადასული აქ ჩანს 3 „მინანგობა“ 46 ბერძენი ოსტატი, რომელთაც დაქირავებული ყავდათ 170 კაცი. ზოგიერთ ბერძენ ოსტატს დაქირავებული ყავდა 8 — 16 მუშამდე<sup>3</sup>. ეს დაქირავებული მუშები „ხვეულბრივ მოდიოდნენ“ ქართლიდან, ყაზახიდან, იმერეთიდან და ჯაყახეთიდან, დაქირავებული მუშების ნაწილს ბერძენები შეადგენდნენ. დაქირავებული მუშები წელიწადში მუშაობდნენ 8 თვეს და თავიანთ პატრონებს — ბერძენ ოსტატებს ამარავებდნენ მადნით მთელი წლისთვის<sup>4</sup>.

სიღუნის მადნის ამოღება უმეტესად ხდებოდა ამბურღლით. მალაროდან მადანი ზედაპირზე ამოქონდათ დაქირავებულ მუშებს. შემდეგ ხდებოდა მადნის გამოწევა ცილინდრისებრ საწევე ღუმელებში. გამოწევის შემდეგ ხდებოდა სიღუნის მადნის გამოღონობა სათანადო სადნომ ღუმელებში, რის შედეგად ლეხულობდნენ შავ სპონგის. შავ სპონგის შემდეგ სწამდნენ ბრძმელებში. მთელი ეს საწარმოო პროცესები სწარმოებდა სათანადო ოსტატებითა და ნებითად-ქირავებული მუშებით<sup>5</sup>.

ისე როგორც აბტალაში, ალავერდის ქარხნებზე მუფის ბრძანებით მიწერილი იყვნენ ყმა-გლეხები, რომლებიც დამხმარე საქარხნო სამუშაოებს ასრულებდნენ, როგორც იყო ხეტყის მოჭრა, დაწევა, ნახშირის გადაზიდვა — და სხვა.

1785 წლამდე, ეიღრე ომარ-ხანი ააოხრებდა

<sup>1</sup> С. Эсадзе. Очерк. გვ. 14.

<sup>2</sup> История, საბ. № 45, გვ. 89—90.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 96—97.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 98—99.

<sup>1</sup> История горной промышленности Закавказья в документах, Т. I.— Грузия. Тб., 1936, საბუთი № 45, გვ. 85.

წარმოებს, ალავერდის სპილენძის მღარობიდან ამოქონდათ 200.000-მდე ფუთი მადანი, რომლისგანაც ლებულობდნენ 12.000 ფუთ სუფთა სპილენძს. ფუთის სპილენძის საშუალო ფასი იყო 8-10 მანეთი. მასასადავსე ქარხნის წლიური პროდუქცია უდრდა 100 ათას მანეთზე მეტს. აქედან მეფეს ვაჭლოდა 12%, ე. ი. მეფის წლიური შემოსავალი ალავერდის სპილენძის წარმოებიდან შეადგენდა 12 ათას მანეთზე მეტს.

ალავერდისა და აბტალის ქარხნებიდან კი მეფის წლიური შემოსავალი როგორც ვხედავთ 60 ათას მანეთზე მეტი იყო. გვიან, როდესაც აბტალის საბადოები გამოფიტული იქნა შემოსავალი სამთო წარმოებიდან შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ინარჩუნებდა მნიშვნელოვან წილს. საქართველოს ანექსიის წინ მეფის შემოსავლის 89.350 მანეთში ალავერდის სპილენძის წარმოებიდან შემოსავალი შეადგენდა 10.050 მანეთს <sup>1</sup>.

სამეფო ხელისუფლება სპილენძს და ტყეიას ძირითადი იყენებდა სამხედრო მიზნისათვის, როგორც იყო ზარბაზნების ჩამოსხმა, ტურნეებისა და ვაჭნების კეთება და სხვ. სპილენძისაგან აგრეთვე ფულს სჭრიდნენ ზარბაზნაში. თავისუფალ ბაზარზე სპილენძის ძირითად მომხმარებლად გამოდიოდნენ მეჭურჭლე ხელოსნები. სპილენძი იყიდებოდა არა მარტო საქართველოს ბაზრებზე, არამედ საზღვარგარეთაც.

სამთო-საქარხნო წარმოება იმ დროს დაბალ ტექნიკურ ბაზაზე იყო მოწყობილი. წარმოების ყველა სტადია — დახვეწვითი სამუშაო, მადნის ამოღება და გამოღობა დაბალი ხელოსნური ტექნიკით წარმოებდა. როგორც წარმოების პროცესიდან დავინახეთ, სამთო საქარხნოებში არსებობდა შრომის სისტემატური დანაწილება. ქარხნებში არ იყენებდნენ არც წულის ძალას და არც ცხენბრავას. ასევე, ცხადია, ქარხნებს შიშ უფრო არ გააჩნდა ორთქლის მანქანები<sup>2</sup>. ამიტომ ეს საქარხნოები ფაბრიკები არ ყოფილან. ტექნიკური დონითა და შრომის ორგანიზაციით აბტალისა და ალავერდის ბრძედიანი ქარხნები იმ დროის მსხვილი სამთო მანუფაქტურები იყვნენ.

ერეკლე II კარგად ხედავდა, რომ სამთო წარმოება მყარ ნიადაგზე რომ დამდგარიყო ამისთვის აუცილებელი იყო ადგილობრივი კვალიფიციურებული კადრის შექმნა. კიდევ მეტი, მრეწველობისათვის საჭირო ადგილობრივი კადრის შექმნაში ერეკლე II ხედავდა ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინდარს. სამეფო ხელისუფლება ასეთი კადრის შექმნას ცდილობდა თავისუფალი და ყმა გლეხებისაგან. იგი სამთო წარმოების ადგილობრივ ოსტატებს შეღავათებს ანიჭებდა — ვალდებულებათა და გადასახადებისაგან თავისუფლებდა. 1775 წლის

29 ოქტომბრის თარიღით ერეკლე სახელმწიფოს ამილბარ მალაქაძეს წერდა: „... მადანად მი-საბარებელი შაგირობანი ქართლისა და ქაჭეთში შეეყარეთ. ვახუის ვარა ქართლისა და ქაჭეთში, რაც მისის უწმინდესობის ჩვენის ძმის ქათალი-კოქის ყმა არის ამით ექვსი კაცი აწერიით. ამის იასქელი შენა ხარ. რომელიც სახლის კაციანი კაცი იყოს იმისთანა გამოიყვანე, ოცის წლიდამ მოკიდებულ ოცდაათწამდინ რომ იყოს, ამგვარი უნდა გამოიღებ... იმ შაგირლებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი და იარაღი, ზუთ-ზუთი მინალთფი თეთრი უნდა მისცეთ. ამაზე ნურავინ დაბრკოლებდა. ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც. ეს რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს შრომისაგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია...“ <sup>3</sup>

გიორგი XII-ის ერთერთ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ოთხი ადგილობრივი შინიხელი გლეხი დანიშნულნი იყვნენ აბტალის ქარხანაში გამომდნობ ოსტატებად, სამუდამოდ ჩარიცხულნი ოსტატთა რიცხვში და განთავისუფლებულნი ყოველგვარი ვალდებულებისაგან. მეფე ქარხნის მიზნად მელიქიშვილს უბრძანებს, რომ აღნიშნულ ოსტატებს კარგად მოჰყარობდნენ და არ შეეფეროვებინათ <sup>4</sup>. მასასადავსე, ბერძენ ოსტატთა ვარდა, როგორც სჩანს, სამთო წარმოებაში შემოაბდა ადგილობრივი ოსტატებიც.

ომარ-ხანისა და ალა-მამაძე-ხანის შემოსევებში (1785 და 1795 წლებში) დიდი ზიანი მიადენეს საქართველოს მრეწველობას, და კერძოდ, სამთო წარმოებას. მაგრამ მათი საბოლოოდ მოშლა ვერ შეძლეს და ქარხნები კვლავ განაგრძობდნენ მუშაობას. თუმცა წარმოება ამის შემდეგ ერთობლად შემცირდა ასე მაგალითად სპილენძის ქარხნები ომარ ხანის შემოსევის შემდეგ წლიურად იძლეოდა 5—6 ათასამდე ფუთ სპილენძს <sup>5</sup>.

ერეკლეს შემდეგ, გიორგი XII-ის დროს ქარხნები გადაეცა მეფეარაღრებებს. ქარხნები იჯარით ქონდათ აღებული თავად ბეგთაბეგებს და ეპყარ იოსებ ქართველიშვილს <sup>6</sup>. ისინი იჯარისათვის მეფეს წლიურად უხდიდნენ 12.000 მანეთს. მეფეარაღრებები აბტალისა და ალავერდის წარმოებიდან მნიშვნელოვან მოგებას ლეზულობდნენ. მეფეარაღრებების ხელში სამთო წარმოებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა და ქარხნები ისე მუშაობდნენ როგორც წინათ 60-იანი წლებიდან მოკიდებულად.

<sup>1</sup> საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ Hd, საბ. № 3688.

<sup>2</sup> ისტორია გორ., საბ. 9, გვ. 12.

<sup>3</sup> «Тифлиские ведомости», 1830, № 58.

<sup>4</sup> С. Эсадзе, Очерк., გვ. 71; История гори. საბ. № 36.

ასეთი იყო სამთო-საქარბნო წარმოება საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარში.

ამჟამად ჩვენ უნდა განვიხილოთ XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს სამთო-საქარბნო წარმოების, ფუთავის ქარხნების, თავუთაშვილის თოფის წარმოების საქარბნოს, თავუთაშვილის საწარმოების სოციალური ბუნება, უნდა გავარჯიხოთ მათი ეკონომიური წყობა, ფუთავაშვილის საძებრო წარმოება და თავუთაშვილის თოფის წარმოების ქარხანა, როგორც აღინიშნა მოწყობილი იყვნენ წარმოების ახალ წესზე — ოსტატებისა და მუშების დაქორწინებულ შრომასზე.

ალავერდისა და ახტალის ქარხნების წარმოება, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად გერმანობიდან თავისუფალ ბერძენი ოსტატებისა და დაქორწინებულ მუშების შრომას. ნებთლადი ქარხნები შრომა ქარხნებში ფართოდ იყო აქ გამოყენებული. მას იყენებდნენ მალაროებში — მადნის ამოღების საქმეში, და ქარხნებში — ლითონის წარმოების პროცესში. საამისო საბუთენი ჩვენ მრავალი გვაქვს. ომარ-ხანის შემოსევამდე მადნის მრეწველთა ოფენობა იდგინა იყო. მარტო ახტალის მალაროება და ქარხნებში ომარ-ხანის შემოსევამდე მუშაობდა 700-დან 1000-მდე ბერძენი<sup>1</sup>. თუ ეს ცნობა გადაჭარბებული არაა უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით იმდენივე უნდა ყოფილიყო ალავერდის სპილენძის წარმოებაში. ვ. ა. ბერძენი მრეწველთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც წარმოების გაფართოებაზე მიუთითებს. აქედან რამდენი იყო ოსტატი ჩვენ არ ვიცით. ყველა ბერძენი ოსტატი არ ყოფილა და მათი ნაწილი დაქორწინებულ შრომას ეწეოდა თავიანთ ოსტატ თანამემამულეებთან. იმ დროის დაქორწინებული მუშების ოფენობის შესახებ ჩვენ ცნობები მართალია არა გვაქვს, მაგრამ სჩანს, რომ იგი მრავალრიცხოვანი იყო (ასეულობით), რადგან ბერძენ-ოსტატთა რიცხოვნობა რაოდენობაზე მეტი, თუ არა ნაკლები არ იქნებოდა. ვიან, XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყის, როდესაც სამთო წარმოება გაცილებით შემცირდა მარტო ალავერდის სპილენძსადნობ ქარხანაში იყოლებოდა 46 ბერძენი ოსტატი, რომელთაც დაქორწინებული ყვადნობ 170 მუშა. შემოდ აღნიშნული ცნობით ალავერდის ქარხანაში 1 ბერძენ ოსტატზე საშუალოდ მოდიოდა 3,5 დაქორწინებული მუშა (170 : 46). თუ ჩვენ ავიღებთ მინიმუმს, 1 ბერძენ ოსტატზე 1 ან 1 1/2 დაქორწინებულ მუშას მაინც, მაშინ ერეკლეს მიერ ჩამოსახლებულ 800 ბერძენ ოსტატზე მოვა 800 — 1200-მდე დაქორწინებული მუშა. თუ, ამას მივუმატებთ მეფის მიერ დაქორწინებულ მუშებს მაშინ ცხადი გახდება, რომ XVIII ს. 60—70-იან წლებში საქართველოს სამთო-სა-

ქარბნო წარმოებაში 1000-ზე მეტი დაქორწინებული მუშა მუშაობდა.

დაქორწინებული მუშების მუდგობა მუდგობა აღინიშნა, უახლოდან, ქართლდან, იმერეთიდან, ჯავახეთიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან. ბევრი მათგანი ჩანს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდნენ მალაროებსა და ქარხნებში. როგორც აღინიშნა ალავერდის ქარხანაში ნებთლადი დაქორწინებული მუშები 8 თვეს მუშაობდნენ შეპატრონებთან და მათ მადნით მთელი წლით ამარაგებდნენ. ნებთლადი დაქორწინებული შრომის გამოყენების შესახებ სხვა საბუთში, სადაც ლაბარია XVIII ს. მეორე ნახევარზე, ვითხვებით, რომ ვერცხლისა და სპილენძის ქარხნებში და ასევე მალაროებში მუშაობა სწარმოებდა მეტწილად თავისუფალი ბერძენი მადნისმრეწველებითა და მათი დაქორწინებული მუშებით<sup>1</sup>. ნებთლადი დაქორწინებული შრომის სამთო-საქარბნო წარმოებაში მიუთითებს რიგი სხვა საბუთებიც (История Горн., საბ. №№ 67, 95 და სხვ.).

ამრიგად, წარმოების ძირითადი საშუალებები ახტალის ვერცხლისადნობ და ალავერდის სპილენძისადნობ ქარხნებში — მადნის ამოღება, მისი გამოწევა და გამოღობა სრულდებოდა თავისუფალი ბერძენი ოსტატებისა და დაქორწინებული მუშების საშუალებით.

ვიან შედიოდა ამ ნებთლადი დაქორწინებულ მუშათა პერსონალიზმი — მიმამულეების ნებარებით გამოვლენილი, ბატონყმური დამოკიდებულებისაგან თავდასხნილი, გაქცეული ყმა-გლეხები, საწარმოო საშუალებებს, სოფლის მეურნეობას მოწყვეტილი თუ თავისუფალი ხელოსნები, საბუთებში ამის შესახებ არაფერია აღნიშნული. მაგრამ ცხადია, რომ დაქორწინებული მუშათა პერსონალი აღნიშნულ კატეგორიათა ადამიანებისაგან შესდგებოდა, რომლებიც აქ ფულის შოვნის მიზნით მუშაობდნენ და მიწერილი კი არ იყვნენ ქარხნებზე, არამედ მეწარმეებთან თავისუფალი გარიგების საფუძველზე ნებთლადი დაქორწინებული მუშები. დაქორწინებული მუშათა რიცხვის რა ნაწილი შეადგენდა ცალკე აღნიშნულ კატეგორიათა ადამიანები ესეც არაა ცნობილი. უმრავლესობა კი დაქორწინებული მუშებისა, უნდა ვიფიქროთ, ყმა-გლეხთა კატეგორიის ეკუთვნოდა.

სეთი წარმოების, სადაც ყმა-გლეხების ნებთლადი დაქორწინებული შრომა გამოყენებული რიგი მკვლევარები, არაკაპიტალისტურად აცხადებენ. მათ მიზეზად მოაქვთ მარქსის ის დებულება, რომ კაპიტალიზმი თავიდანვე ფორმულიად ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ, საწარმოო საშუალებისაგან მოწყვეტილ, ჩიტივით თავისუფალ მუშას საჭიროებს. თორის ამ დებულების ასეთი გაგება

<sup>1</sup> История горн., საბუთი № 45.

<sup>1</sup> იქვე, საბ. № 309, გვ. 362—283.

სწორი არ არის, რადგან საწარმოო საშუალებებისაგან მოწყვეტილი, „ნიტივით თავისუფალი“ მუშა ანუ ნამდვილი პროლეტარი კავიტალიზმის ძირითადი ტენდენციაა მისი განვითარების პროცესში და იგი მისი განვითარების უმაღლეს სტადიაზე გვხვდება.

საწარმოთა (მანუფაქტურა, ფაბრიკა) სოციალური ბუნების გასარკვევად, პირველყოფლისა სპიკოტონა შევისწავლოთ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება წარმოებაში, საზოგადოებრივი წყობა საწარმოში. როგორც აღვნიშნეთ „ნებისმიერადივებელ მუშების“ კატეგორიაში ნაწილი ყმა-გლეხები იგულისხმება. მაგრამ მათი დაქირაობა და მუშაობა წარმოებაში, ასევე მათი სახელწოდება „ყმა-გლეხი“, ზეენ, აქ. მივითითებს არა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმაზე, არამედ მათ წოდებრივ კუთვნილებაზე. ამიტომ ალავერდიისა და აბტალის ქაზნების, ფეთთაშვილის სამღებროს, და თავუაშვილის თოფის წამლის ქაზნის ეკონომიური ბუნების (წყობის) დახასიათებისას მთავარი არის დაქირაებული მუშების და ასევე ოსტატების არა წოდებრივი კუთვნილება (ამ შემთხვევაში „ყმა-გლეხი“) არა ის თუ რა იურიდიული საფუძველი აქვთ მათ სოფელში მიწისა და ბატონის მიმართ, არამედ ექსპლოატაციის ფორმა საწარმოში, რაც ზემოდ განხილულ საწარმოებში ნებისმიერადივებელ შრომაში გამოხატებოდა; ამ შემთხვევაში კი ექსპლოატაციის ფორმა აღნიშნულ საწარმოებში ახალია, კავიტალიზტური და იგი ფეოდალური ექსპლოატაციისაგან არსებითად განსხვავდება. საწარმოთა მეპატრონეებთან თავიანთ დამოკიდებულებაში დაქირაებული ყმა-გლეხები გამოდიოდნენ სამუშაო ძალის თავისუფალ გამოყენებად. იურიდიულად ისინი ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, ფაქტურად კი დროის მოკლე ან ხანგრძლივ მონაკვეთში თავიანთ სამუშაო ძალას ჰყიდდნენ. საწარმოები ასეთი დაქირაებული შრომით ახალ ტიპი იყო ფეოდალურ საზოგადოებაში და თავისი სოციალური სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდებოდნენ ფეოდალური სახელისონ-საწარმოებისაგან.

ჩვენს მიერ განხილულ მანუფაქტურებში თავისუფალი შრომის წარმომადგენლების გვერდით (ასეთები იყვნენ თავისუფალი ბერძენი ოსტატები და ადგილობრივი თავისუფალი ოსტატ-ხელისნები და მუშები) ყმა-გლეხების დაქირაებული შრომის გამოყენება მივითითებს

კავიტალიზტური ექსპლოატაციის სფეროს განდართობაზე, რაც გამოიხატება ამ სფეროში ყმური შრომის წარმომადგენლების მნიშვნელოვანი მანუფაქტურაში ნებისმიერადივებელ ყმა-გლეხი მრეწველი-მეპატრონისათვის ყმა კი არ არის, არამედ სამრეწველო მუშაა.

ისე როგორც ფეოდალიზაციის პროცესში ფეოდალი იმორჩილებდა, აყმევებდა და მიწაზე ამაგრებდა თავისუფალ მხენულ-მთხვეულს, ასევე ახლაც კავიტალი იმორჩილებდა და თავისი გავლენის სფეროში აქცევდა არა მარტო თავისუფალ მუშებსა და ხელისნებს, არამედ მიწაზე მიმაგრებულ ყმა-გლეხებს. ახლა პირუკუ პროცესია ამ მხრივ. ფეოდალიზში მიწაზე ამაგრებდა უშუალო მწარმოებელს, კავიტალი კი მიწიდან სწვევტს მას. რა თქმა უნდა, ეს პირუკუ პროცესები ერთმანდალ არ ხდება არც ფეოდალიზში და არც კავიტალიზმის დროს. იგი ხდება თანდათანობით და სხვადასხვა ფორმებში. (გამონაკლის შეადგენს ინგლისი, სადაც ეს მოვლენა — უშუალო მწარმოებლის ექსპროპრიაცია — ერთმანდალ მოხდა ე. წ. „ქალსიკურ“ ფორმით).

მანუფაქტურებში ყმა-გლეხების შრომა მისი ნიშანი იყო, რომ კავიტალი იჭრებოდა ბატონ-ყმური ურთიერთობის სფეროში და არღვევდა მას, გაყავდა ამ ურთიერთობის სფეროდან უშუალო მწარმოებელი — ყმა-გლეხი, ხან დროებით (საწარმოებში დაქირაებული ყმა-გლეხების ნაწილი, ასევე ქაზნებზე მიწერილი გლეხები საქართველოში წლის გარკვეული დროის განმავლობაში იყვნენ მოწყვეტილი მიწას, და ბატონყმურ ურთიერთობას), და ხან მუდმივად (ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გლეხთა თავდახსნის პროცესი, გლეხთა გაქცევა და კავიტალის მიერ მოწყობილ წარმოებაში თავის შეფარება, გლეხთა მიერ მიწის ნაკვეთის დაკარგვა-ექსპროპრიაცია და სხვ.).

ალავერდის, აბტალისა და სხვა საწარმოების ნებისმიერადივებელი მუშების დიდი ნაწილი (ყმა-გლეხები, ასევე ყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი, ხელისნები და სხვები) მოწყვეტილი არ იყო საწარმოთ საშუალებებს — მიწას წარმოების იარაღებს და სხვ. მათ გააჩნდათ თავიანთი მურნეობა სოფელში, დაკავშირებული იყვნენ მიწათმოქმედებასთან. ეს გარემოება სამრეწველო საწარმოებს არ უყარავდა კავიტალიზტურ ხასიათს.

(გაგრძელება იქნება)



# სურხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ბეჟან გიორგაძე



## ახალი მასალები მეფე ვახტანგ მე-VI-სა და სურხან-საბა ორბელიანზე

სახელმწიფო მეზემის ზელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ჩვენ მოვიხიეთ დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი დოკუმენტები ვახტანგ მეფესა და სულხან-საბა ორბელიანზე. ეს ძვირფასი მასალა მეცნ. დოქტორს მ. თამარაშვილს ამოუწერია ვატიკანისა და საფრანგეთის საეპარქო საქმეთა სამინისტროს არქივებიდან, რომლის მეთაურ ნაწილი (ერთი თაბახის რაოდენობის) გამოუქვეყნებია და მეორე ნაწილი კი (ზუთი თაბახის მოცულობის) დაუბეჭდავი დარჩენია. ზოგიერთი დოკუმენტი მ. ბროსემ და დ. მ. ლანგშაუცს გამოუქვეყნეს სხვადასხვა უცხოურ პერიოდულ ორგანოში. ეს დოკუმენტები საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ არც ერთი მათგანი ქართულად არაა დიწერილი, არამედ უცხოელების მიერაა შედგენილი უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, რომელიც თვითდამხედურმა ავტორებმა ვახტანგ მეფესა და სულხან-საბა ორბელიანთან პირადად გამოკითხულ ჩვენებათა საფუძველზე შეადგინეს და ამდენად სინამდვილის ამსახველი დირებულება შემატეს ყოველ მათგანს.

ამგვარად ჩვენს მიერ შეკრებილი უცნობი რედაციები და წერილები (მ. თამარაშვილისა და ზემოაღნიშნული ავტორების ცნობილი დოკუმენტები) ზელადა ვადთარგმნილია და ტექსტებთან შეჯერებული, ვინაიდან მცირეოდენი განსხვავებაც კი, რომელიც ფრანგულ-იტალიურ-ლათინურ და რუმინულ ტექსტების ვარიაციებშია წარმოდგენილი, საკმარის საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ მისი გამოყენების ღირებულებისათვის უფრო მეტი ნდობა მოგვეპოვებინა.

სულხან-საბა ორბელიანსა და მეფე ვახტანგ VI-ს პიროვნების შესწავლის საკითხს არა ერთმა ქართველმა თუ უცხოელმა მოღვაწემ უძღვნა გამოკვლევა და ამ მიმართულებით კვლავ განავრცობენ მუშაობას ცნობილი მწერალი და ისტორიკოსი: ნ. ბერძენიშვილი, ვარ. დონდუა, თინ. ენუქიძე, ა. ბარამიძე, გ. ლეონიძე, ლევ. მენაბდე, აკ. გაწერელია, ივ. ლილაშვილი,

ვ. ვაბაშვილი, გ. ქიქოძე და სხვანი, რომელთაც მნიშვნელოვანი გამოკვლევა მოვსოვებთ აღნიშნულ საკითხზე. ამ წარმოდგენილი უცნობი წერილები და რედაციები დამატებით შექსა პუბლიკაციის მეფის პოლიტიკურ ურთიერთობის საკითხს საფრანგეთთან და ამასთან ერთად სულხან-საბას დიპლომატიურ მოღვაწეობასაც ევროპის კარზე თავისებურ დახასიათებას აძლევენ.

ეს ახალი მასალა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს იმ პერიოდს ეხება, როდესაც სპარსეთ — თურქეთის მსახერელი გაყვანა ქართულ საზოგადოებაში ისე ღრმად შეჭრილია, რომ მორალურად დაქვეითებულია და ძველი წესები შეუშლია მას. საელესტრაციოდ საკმარისი იყო ამ წარმოგვედგინა მომსახიორე ფაბრონის რედაქცია, რომლის დეტალები სინამდვილეს ზედმიწევნით გადმოგვცემენ, როგორც ლევან მეფესა, ასევე მისი მისი ვახტანგ მეფესა და დომენტი კათოლიკოსის შესახებაც გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნიან, რომ ეს გამოუქვეყნებელი და ამდენად უცნობი წერილები სანდო წყაროდ მივიჩნიოთ, იმის გამოც რომ მას სხვა ავტორებზე ემორწმუნება.

ამ წერილში ყურადღებას აიყრობს ვახტანგის მისი, დომენტი კათოლიკოსის საქციელი, რომელიც ჯერ კათოლიკობას აღიარებს და ეჭვის წლის შემდეგ კი საერთოდ ქრისტიანობის დეტრეკებასა და მამადიანობაში გადასვლას პირდაპირ სპარსეთის შაჰს, ოღონდ კი ქართლის ტახტი მისცეს მას.

ამ საკითხის ირგვლივ უფრო დაწვრილებით 1714 წლის 8 ივნისით დათარიღებულ წერილში საველისხმო ცნობებია შემონახული — ვახტანგ მეფესა და მისი მისი დომენტი კათოლიკოსის შესახებ. სულხან-საბას ევროპაში ყოფნის დროიდან ფრანგულ წყაროებში მოიპოვება სრულიად ახალი ფაქტი ვახტანგის პოზიციასა და საქართველოში მომხდარი ამბების გარშემო, ეს არის განსაკუთრებით საინფორმაციო წერილი ფრანგული მისიონის მეთაურისა თავრიზში, რომ-

მელშიც შემდეგი ცნობა დაცულია: სარწმუნოების საკითხში სიმტკიცის გამოჩენის გამო საქართველოს მეფე ვახტანგი უფრო შეიწროვებულა ჰყავდ გამოკტილი ვიდრე ის მანამდე იყო. ამ გარემოებას საქართველოში არეულობა გამოუწვევია. ვახტანგ მირზას, ამბობს წყარო, ერთი მძა ჰყავს, რომელიც ბერძნული წესის პატრიარქია. 50 წლის ამ პატრიარქმა სპარსეთის მეფეს მოსწერა და მას სთხოვა, რომ საქართველოს მმართველობა მას ჩააბაროს, კახეთის მთავრის ქალიშვილი ცოლად მიათხოვოს და რომ იგი გამაჰმადიანდებდა, ამასთან ერთად ჰპირდებოდა აგრეთვე მრავალრიცხოვან მონების (ტყვეების) ვაგზავნის შპათან (რომელიც ზვეულებიც ხარკს წარმოადგენდა საქართველოსათვის), რომ შპას მიჰკვრიბის ცოლსა და შოელ ოჯახს ვახტანგისას, მის მძმსწულს, ე. ი. ბაქარს და ყველა დანარჩენ თავადსა და დიდებულს საქართველოსი. სპარსეთის ზელშიც იგი დიდს სიაზვნებთ მიიღო ეს ამბავი და დაუყოვნებლივ გაავაზნა შერკი სარქვრებიცა და წერტილი დომენტი პატრიარქთან, რომელშიც ჰპირდებოდა დამყოფილებას თუ დომენტი მამინეც გამაჰმადიანდებდა. იმ დროს, როდესაც ის ცხებ-სიმეგრეში მიდიოდა, რომ იგი მეფედ გამოეცხადებინათ, ქართველმა დიდებულებმა შეიტყვეს თუ არა მისი განზრახვა, პატრიარქი დაპატიმრეს და ოსეთში ერთ ადგილას გამოკეტეს და თან დარაჯებრიც დაუყენეს. მოწინავე ქართველობა მიუხედა შპის ცხებრებსა და იმ მიზნით, რომ მასზე გადაწყვეტით ემოქმედათ, გაუგზავნეს მითხოვნა ვახტანგის უკან დასაბრუნებლად, რადგან ვახტანგის გარდა ჩვენ სხვას არ ვგაემეფებთო. ავტორი დაცირებული და ქართველთა სულსეუთების კარგი მცოდნე ჩანს, როდესაც ვახტანგ მეფის დანახასათებლად ასეთ დეტალს გადმოგვცემს: ვახტანგს მფარველი არა ჰყავს და ამიტომ საშიშია ვაო თუ იგი თავიდან არ მოიშორონო, ვინაიდან იგი ერთადერთია ამ ოჯახიდან, რომელსაც შეუძლია რაიმე ვაბედული ნაბიჯის გადადგმა. მათ სურთ, რომ იგი წინასწარ გამაჰმადიანდეს. ეს კი ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომელიც მათ ჰქონდათ დადებული ქართველების დაყორობისთანავე, რომ სპარსეთის შპას უცვლელად უნდა დატოვებინა შინაგანი წყობა ქართველთა სამეფოში.

ვახტანგ მეფის მძის კათოლიკოსის შეუფერებელი საქციელი შეესაბამება იმ დროის პოლიტიკურ კონიუნქტურას, არა მყარ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს მოწინავე პირები ტრაგიკულად განიცდიდნენ, რადგან სრულიად უიმედო გარემოება იყო შექმნილი საქართველოს მომავლისათვის. ამიტომ იყო, რომ ასეთი თვალსაზრისი პიროვნების სრულიად გარკვეულად გადადგმული ნაბიჯი ტიპური მოვლენა იყო ყველა ფენისათვის იმ ხანაში, იმ

დროს როდესაც საქართველო გახიზრული იყო და ხსნას კი არსიდან ელოდა. მოწინავე წინილი ქართველი საზოგადოების ქვედა რიგების სპარსელების რელიგიურ ბაზაში გადადიოდა, რომ როგორმე თავი დაესხნა ფიზიკური განადგურებისაგან. მაჰმადიანურ წეს-ჩვევებს მისდევდა ფორმალურად, რომ ამ საშუალებით თავიანთი ქვეყნისათვის რაიმე ნაყოფი მოეტანათ და საბოლოო მიზნით გადაერჩინათ სამშობლო მოძალადეთა წაღვევისაგან. მართლაც დომენტი კათოლიკოსის მამა, ლევან მეფე, დიდად ცნობილი პირი სპარსეთის სამეფოში, თვით გამაჰმადიანებული, იმდენად განტრისხებია თავისი შვილის საქციელს, რომ ის მაგრად უცემინებია და მისი თავიდან განზრახული აზრები სრულიად განუფანტავს, ს, ეს ფაქტი, რომელსაც სხვა ავტორებიც ემოწმებიან, ერთის მხრის თითქოს განცვიფრებას უნდა იწვევდეს იმის გამო, რომ მეფე ლევან სპარსეთის დიდი მსაჯელი, თვით მაჰმადიანი, იმის მაგიერად რომ მავალითა მიმცეში უნდა ყოფილიყო თავისი შვილებისა და ხალხისათვის, სპარსული სარწმუნეობის ანუ მათი პოლიტიკური პარტიის ერთგული მოამავე. ამ შემთხვევაში სრულიად საწინააღმდეგო პოზიციიდან მოქმედებს და მოუწოდებს თავის შვილებს არ დასთმონ ქართული რწმენა და ჩვევები, ამ მიზნით მკაცრ ზომებსაც კი მიმართავს სპარსული იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ. ეს მავალითა საქმიად დამადაბრებელია იმისა, რომ ქართველობა ბრძოლას განაგრძობდა სამშობლოს გამოსხნისა და თავისუფლებისათვის სულ სხვა ფორმებსა და პირობებში.

როგორც ფაბრიონს რელიციიდან ჩანს ლევან მეფეს საიდუმლოდ კათოლიკობა მიუღია ფეხშველა კარტოლიტანული პატრი ბაზილიის მეცადინეობით. მას თავისი შეუღობა უცენია და ფარულად მაჰმადიანური სექტა და ქართული ეკლესიის შეუღობებიც უარუყვია, ზელიც კი მოუწერია კათოლიკური სარწმუნეობის აღსარების ფორმულაზე, რომელიც პაპის ტახტმა აღმოსავლელებს წესად დაუდო. თუმცა საჯაროდ ქრისტიანობის აღიარება მიზანშეწონილად არ მიუჩნეოია, მაგრამ გულთ ქრისტიანი ყოფილა და ყველა წესს საიდუმლოდ ასრულებდა. მონსინიორ ფაბრიონი გვიამბობს, რომ როდესაც ლევან მეფე გერ კიდევ საქართველოში მეფედ და მრავალი პროვინციის პატრიონად ითვლებოდა, ერთი ბატონიშვილის ქალი შეუერთავს, მაგრამ მასთან ცულქმრული კავშირი არა ჰქონია, ხოლო მას შემდეგ რაც გამაჰმადიანებულია, მუსლიმანური წესით მრავალი ცოლი

1 ქართული წყაროები აღნიშნავენ, რომ დომენტის მძა სიმონი ისე ვაუბრებოდა ამ ინტრიგას, რომ ძლივს გადაურჩენიათ პატრიარქი მის ზელიდან თვალების დათხრასო.

პეოლია. მას არ შეეძლო საქართველოდან თავისი შეუღლის ჩამოყვანა, რომ გაქრისტიანების გამო განსაცდელში არ ჩაეგდო მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომელსაც სპარსეთში ჩამოყვანდა. ვარდა ამისა ლევან მეფეს სურვილი გამოუთქვამდა რომში ემიგრანტად წასვლის შესახებ და პაპის მფარველობის იმედითა კპონია ასეთ შემთხვევაში. აქვე გვაცნობს ერთ დეტალსაც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ძის დომენტი კათოლიკოსადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ. როდესაც ლევან მეფეს შეუტყუვია, რომ ირანის შაჰის ცივილიზაციის პოლიტიკის მიზნით დომენტი კათალიკოსს განუზრახავს ქრისტიანობიდან განდგომა და გამამჰადიანება, იგი ცდილა დაეყოლიებინა რომში წასვლაზე პაპთან. როგორც ფაბრიონი აღნიშნავს სრულ სიმაბრტლეს უნდა შეიცავდეს ის გარემოება, რომ ლევან მეფის ქრისტიანობაში დაბრუნება მის ძეს დომენტის არაფერი არ სცოდნია, რადგან არ იქნებოდა სსაბრკელო, რომ ამის შესახებ არც მას და არც სხვებს რაიმე სცოდნოდათ.

1708 წლის 26 ნოემბრით დათარიღებულ მეორე წერილში, იმავე ფაბრიონის რეალკაციაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ პაპს მიუღია პატრი კაპუჩინელი ალესიოს წერილი ლეონის შესახებ, რომელიც იწოდება უმაღლეს მსაჯულად მთელი სპარსეთისა და საქართველოს მეფედო. ამ წერილში პაპს აცნობებს ლევანის ბიოგრაფიიდან ერთ მომენტს, თუ რა ვარაუდებში მოუხდა მას გამამჰადიანება. სპარსეთის ხელმწიფის კარზე მყოფ მის პირად მტრებს ქრისტიანების დევნა წამოუწყიათ, ასეთი დევნილების თავიდან ასაცილებლად გარგვრულად მამჰადიანობა მიუღია. შემდეგ თავისი შეცდომა მოუნანიებია საქართველოს მისიონერთა შემწეობით და სთხოვს, რომ მას გამოეგზავნოს ერთი პერია სიერისკაცო ტანისამოსში მისი სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელად. ამ მიზნისათვის ბრძანებს, რომ აიყვანდა პატრი ალესიო და მილანოს, კაპუჩინელი მისიონერს საქართველოში ან ისპანიაში მყოფ სხვა უფროს, მაგრამ რადგან ესენი ცნობილი არიან ზვევრასათვის, ამისათვის არ შეუძლია თავისთან იყოლოს იმ შიშის გამო, რომ არ გამოაშკარავდეს და ბრალი არ დასდონ სპარსეთის ხელმწიფის წინაშე, რომ ხელმეორედ გაქრისტიანდაო. ზემოხსენებული პატრი ალესიო კაპუჩინელი, რომელმაც ნათქვამი წერილი გამოუგზავნა, წერს, რომ ლევან მეფესთან ხანგრძლივად ვითარობდა იმ დროს როდესაც ის ავად იყო თბილისში და მას ეპყრნალობდით. მისთვის შეუსწავლუბია კათოლიკესათვის საჭირო საკითხები, ამასთანავე დაურწმუნებია ხარჯების მიტოვების აუცილებლობაში და მათგან მხოლოდ ერთის აყვანა მიუღწევდ. ამასთან ერთად თურქებზე არ უნდა გავ-

ყიდა ქრისტიანები. ლევან მეფე ბოდიშს იხდოდა, რომ ეკლესიაში არ დადიოდნენ (ჩვენს ეკლესიაში, რომ არ გამოგვადგენბულიყო მშენებლობისთვის). მას უბრძანებია თავისი შვილისათვის, ეახტანე VI-თვის, რომელიც იმ ხნობას საქართველოში შეეღდ იყო, რომ მან მსწეროს რომის პაპს შესაბამისი იმისა, რომელიც ერთ თავის კათოლიკე ბიძასთან ერთად შეადგინა ზემონათქვამი წერილი. საინტერესოა ეს ცნობა, რომ ამ მიზნისათვის პირადად შვილისათვის გამოუგზავნა ერთი სუფთა თეთრი ფურცელი, ხელმოწერილი და თავისი ბეჭედ დასმული, რომ მას საქართველოდან გაეგზავნა ეს წერილი რომის პაპისათვის. აერთი გვარწმუნებს, რომ როდესაც ეახტანე მეფე დაწმუნებულა თავისი მამის კათოლიკეობაში, მას შემდეგ მისიონერთა და კათოლიკეთა მიმართ მტრული განწყობილება შეუცვლია, ყურსაც აღარ ათხოვებდა მათ მოწინააღმდეგებს და განსაკუთრებით იერუსალიმის ბერძენ პატრიარქს, რომელიც მოუწოდებდა, რომ მისიონერები განედევნათ საქართველოდან.

თვით ეახტანე მეფის მაგალითიც კი კმარა იმის დასამტკიცებლად თუ რა ფორმებში იყო შესაძლებელი ბრძოლა ქართველობის შესანარჩუნებლად მშღვარობის ხანაში. მეფე ეახტანეი რამდენიმე წელი მედგარ წინააღმდეგობას უწევს სპარსეთის შაჰს და მის რელიგიურ იდეოლოგიას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ქვეყნის გასპარსლება. მეფე ეახტანეი დღი რეპრესიების შემდეგ ბოლოს დათმობაზე წაიდა და გამამჰადიანდა ფორმალურად. ამ როგორ ახასიათებს თეოთდამხდური აერთი ამ გარემოებას:

ამ მოგეაქვს წერილი, რომელიც სპარსეთში მყოფმა პატრი კაპუჩინელებს უფროსმა I გაავხანა საფრანგეთის საელჩოში, კონსტანტინოპოლში, ეახტანე მეფის სპარსეთში ჩამოსვლის შესახებ:

1712 წლის 28 აგვისტოს. ისპანია.

„საქართველოს მეფე, რომლის შესახებაც კეთილ ინებუთ, თქვენი აღმატებულეავე, და სწერათ მისიონერებს, უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც ისპანიაში ჩამოვლდა. მის ძმის სიყვდილის შემდეგ, სპარსეთის ჯარის გენერალის მიმხრო ეახტანეი შაჰმა დაბარა, რომ მამჰადიანობა მიადებინოს. რამდენიმე გზის უკვე მიტანა მასზე იერიში, რის გამოც მთავარი დღემდე წინააღმდეგობას უწევს დღის სიმტკიცით. მან მიიხრა ორი-სამი შეხვედრისას, როდესაც პატრი მქონდა მისი ნაბეისა, რომ უჩივნიდა ნაკუწნაკუწად აქციონ, ვიდრე საკუთარი სარწმუნოება დასთმოს. მაგრამ ეინადან ქართველი ხალხი მტკიცე არ არის სარწმუნოების საკ-

1 პიერ დ'ისტუდენმა.

თსი, ამიტომ ყოველთვის საფიქრებელია, რომ ეს მეფე შეატყობს თუ არა, რომ თავისი სახელმწიფო უნდა ჩამოართვან — დასთმოს და გამაჰმადიანდეს, როგორც ეს მოსთქმედეს მასზე უწინ მისმა მამამ, ბიძამ და ორმა მისმა ძმამ. თუმცა როგორცა ჩანს, გადაწყვეტილი აქვს უფრო ადრე თავისი სახელმწიფო მიატყოს, ვიდრე სარწმუნოება“...

საქართველოში ვახტანგ მეფის არ ყოფნის დროს კათოლიკეთა დღეწილებას ჰქონდა ადგილი. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო სპარსეთის შაის თხოვდა მიეღო ზომები ამ მოვლენის მოსაგვარებლად, მაგრამ უშედეგოდ. საფრანგეთის მთავრობამ როდესაც ნახა შაისი უღნარიაობა და მოუწადინებლობა მათი დაცვისა და მფარველობის საქმეში, გადაწყვიტა ვახტანგთან უშუალო კავშირის დაჭერა. ასეთი ურთიერთობა გრძელდებოდა მიუხედავად ვახტანგის პატიმრობისა, როგორც ეს ჩანს ამ წერილიდან დაწერილი უფროსი პატრი კალჩინელის ბიურო დ'ისუდენის მიერ 1713 წლის 11 მაის:

„... პაღლას გზით მივიღე წიგნი უღიღებულ-სლოსისა და აღმატებულების მწიგნი საქართველოს მეფეზე გადასაცემად. მეორე დღესვე მე მას წაუღე და გადაუთარგმნე, რადგან მან კარგად არ იცოდა სპარსული ენა, ამიტომ მის არ შეეძლო ამოკითხვა სპარსული თარგმანი, რომელიც წერილში იყო. ამასთანავე მას არა სურდა თავისი ქვეყნის კაცისათვის წაეკითხვინებინა იმის შიშით, რომ სპარსეთის კარს არაფერი გავგო და შერი არ ეძა მასზე. რადგან ეს საწყალი მთავარი ერთი წელია რაც იქ იმყოფება პატიმარებით. შაჰმა რა დაიბარა მას აქეთ აღარ უშეშა თავისი სახელმწიფოებში ვიდრე გამაჰმადიანობას არ მიიღებს, როგორც მისმა მამამ, ბიძამ და ძმამ თავიანთ სამთავროს შესანარჩუნებლად ქრისტიანობა დასთმეს. იგი მტკიცე ნებისყოფას იჩენს, რომ არასოდეს არ ჩაეარდეს ასეთ უღირსს მღვთმარობაში. და მე მგონია, რომ თქვენი უდიდებულესობის წერილი, რომელიც მან მიიღო დიდის მოწიწებითა და ღრმა პატივისცემით, მისთვის ვახდება კიდევ ერთ სახაზად მეტი სიმტკიცის გამოსახენად. მე არაფერს არ ვსოვავ, რომ მან შეინარჩუნოს ეს სიმტკიცე. მაგრამ მე სხვა არაფერი მაქვს მისაცემი გარდა სიტყუებია...“

კვლევ ერთი დოკუმენტი იქცევა ყურადღებას თავისი დეტალური ვახტანგ მეფისა და მისი ძმის იესეს ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს თვალსაზრისით. ქვემოთ მოტანილი ცნობა ამოღებულია ვახტანგის, დივანგვისა და საქართველოს ზოგიერთი მაგილია ბერის წერილებიდან, რომელიც თავის დროზე სულხან-საბასადმი იყო მიწერილი, რომ ეს ასეა ამ ცნობას აღსატყობებს ახალიდან რომში ჩასული ერთი უცხოში პირი, რომელსაც ალი ყული ხანთან ერთად უმოგზაურია ისაპაანიდან თბილი-

სამდე და მამასაღამე ეს ცნობა საწარმო ყველად გამოდგება ზოგიერთი ისტორიული ფაქტის დასადაგნად. აქ ჩვენ გვაქვს საინტერესო მნიშვნელობის ვახტანგ მეფის იდეურ მორალური მხარეა სა რომლის შესახებ უცხოელები პოზიტიურ დასასათებებს იძლევიან და მის პირიყენებას უფრო მაღლა აყენებენ ვიდრე შაის უნებისყოფი პოლიტიკა. სხვა წყაროებიდან არაფრე, რომ ირანის შაის ვახტანგის პოლიტიკური გეგმა რომ მიეღო, ირანის იმპერიას აელანდებოდა ვერ დაეპატრონებოდნენ და სხვა. აქვე განმეორებით განხილულია დომენტი კათოლიკოსის მცდარი ნაბიჯი. ამასთანავე ეს მომენტი ვაყოყნებულია ირანის შაის მიერ, როგორც მოსაფერხის სახაბი და იარაღი ვახტანგზე ვადაწყვეტი ზეგავლენის მოსახდენად. მას ხელახლა სთხოვეს გამაჰმადიანება, სახეში პყავდათ რა მისი ძმის დომენტის ვაწარახული ნაბიჯი, რომ ვახტანგი მეფედ ვაეგზავნათ საქართველოში. ვახტანგმა ამ საკითხზე რჩევა-დარიგება სთხოვა კათოლიკე მისიონერებს თუ როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. მისიონერების აზრით ქრისტიანულ სარწმუნოებას ჩვეულებად რადი აქვს მოჩვენებითი ან შეფერადებული მეთოდის ხმარება — ვამოყენება: ამ აზრმა ვახტანგი უფრო მტკიცე პოზიციანზე დააყენა. ამ დროიდან მოყოლებული იგი წინააღმდეგობას უწყვიდა და მზად იყო ამ მომენტში სიცოცხლე შეეწირა თავისი სარწმუნოებისათვის. ამ ვარემობამ აბხევედრა სპარსელები, რომ ის არ იყო ისეთი კაცი, რომელსაც თავის ნება-სურვილზე ადვილად დაიყოლიებდნენ. ამისათვის მათ სხვა ხერხს მიმართეს: ვანიზრახეს სათელთმაქციე გამოეგზავნათ საქართველოს მეფედ ერთი მისი ძმათავანი — იესე ანუ ალი ყული ხანი, რომელიც ბავშვობიდანვე გამაჰმადიანებული იყო და ყოველთვის ისპაანში ცხოვრობდა. შაჰი კვლავ აქვებებს ვახტანგს წინადადებით, რომ თუ ეს ის გამაჰმადიანდება, მაშინ მას ვაეგზავნიდნენ საქართველოში და არა მის ძმას. ვახტანგს უპასუხებია: მე ეს აშბავი სრულიად გულს არა მტყენს, პირიქით, კმაყოფილიც ვიქნებოდი თუკი ჩემს მავიერ ჩემს ძმას ვაეგზავნიოთ. შაჰი როდესაც დარწმუნდა, რომ ვახტანგთან არაფერი არ შეუძლია ვააწყობს ამ საკითხზე, ამის გამო მას ჩამოაიღა მისი მსახურის რიკვეთი თობსი კაცი და მათ ებრძანათ საქართველოში დაპატრუნება. მას მხოლოდ შვიდი კაციღა დაუტოვეს. ამ დღიდან ვახტანგი თავის სასახლეში ჩაიკეტა და აღარ მოიხბოვა მისთვის გამოყოფილი ულუფა დღეში 200 პისტრი, რომელსაც იმ დრომდე იღებდა სპარსელებსათვის. შაჰმა მას კვიხა თუ რა მოსახრბით აღარ აგზავნით თქვენთვის გადაკეთილ ულუფის მოსაკითხად ვინმეს და რატომ თქვენს სასახლიდან აღარ ვამოდიხართ ჩვეულებრივად. მე კრტა ხალზი დამრჩა და ამიტომ მყიარე რამ უნდა

მეყოსო. ამავე მოსაზრებით სასახლიდან აღარ გამოედევარ სრულად. პირიქით, მე დიდს სიამოვნებით ვრჩები ჩემს სახლში, რომ უფრო დამშვიდებით მივეცე ლოცვებსა და ღვთისადმი სამსახურსო. შაჰმა ყველა შესაძლებელი სამუალება მოსინჯა, რომ მიეზიდა ვახტანგი შაჰმადის სარწმუნოებაზე და როდესაც დარწმუნდა, რომ მას არ ძალუძს ამ გზით რაიმე შედეგს მიღწიოს, გადასწყვიტა მის ადგილს ვაგზავნოს ალი ყული ხანი. მას უბრძანა, რომ ისმანიდან თაერაზში სამოც დღეში მისულიყო, მანძილი, რომელიც შესაძლოა ოცდაშვიდ დღეში გაეცლო. დღეში 600 ჰიასტრი დაენიშნა იმ განზრახვით, რომ მისი შაჰ — ვახტანგი დაეხარბებინა და წაეჭებებინა გამაჰმადიანებაზე, შაჰმა დამატებით უწყალობა მთავარი ინტენდანტობა საქართველოს სამეფოს მოსაზღვრე რვა პროვინციისა, მათ შორის ლორესი, ყაზახისა და შაჰმადილისა, ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ალი ყული ხანი გზაში იყო, შაჰი ხშირად აგზავნიდა კარისკაცს ვახტანგ მეფესთან და მას განუწყვეტლივ სთავაზობდა საქართველოს სამეფოს, მასთან ერთად ყოველგვარ პატივს, უფრო მეტს ვიდრე მის მამს უწყალობა, თუკი იგი გამაჰმადიანდებოდა. მაგრამ იღებდა რა ყოველთვის ერთსა და იგივე უარყოფით პასუხს, ბოლოს გადაწყვიტა ბრძანება გაეცა ალი ყული ხანისათვის გადასულიყო საქართველოში.

უცნობი ავტორი აღნიშნავს, რომ 1714 წლის ოქტომბერის დასაწყისში ალი ყული ხანი თბი-

ლისში ჩამოსულა. თუმცა ქართული წყაროები სექტემბერის თვეს აღნიშნავენ მისი შემოსვლის დროს. ჩამოსვლისთანავე კავკასიის მუსულმანი შეაფარა მრავალრიცხოვან ხალხთან ერთად ვახტანგ მეფის შვილმა ბაქარმა თავისი დედი, დედოფლით, საქართველოს მრავალი თავადისა, ვახტანგის სიძის ვახუშტისა (არა ისტორიკოსი ვახუშტი), დიმიტრი, მეფის კარისკაცისა და სულხან საბას ძმისა, თეიმურაზისა, დედოფლის და გიორგი მეფის სიძესთან ერთად. დანარჩენნი, რომელთაც არ მოსურვებს მათთან გაყოლა ახალ მეფეს შეეგება. როდესაც ალი ყული ხანი შეიტყო, რომ დიდი ნაწილი ქართველებისა მას გაეცალა მის ძმისწულთან ერთად, ამ გარემოების გამოსარკვევად გაუგზავნა მდივანბეგი ანუ მისი პირველი მინისტრი, რომელიც სულხან-საბას ძმა იყო, რომ მოენახა ბაქრი, მისი ძმისწული და მისი სახელით ეკითხა მისთვის, აგრეთვე მათთვისაც, რომელნიც მას ვაჟყენენ თუ რა მიზეზით არ ემორჩილებიან მას და რატომ ჰკარგავენ თავიანთ ჭონებას, როდესაც შეუძლიათ მშვიდობიანად ისარგებლონ. იმის მიგვირად, რომ მდივანბეგი წასულიყო იქ სადაც ისინი იმყოფებოდნენ, განზრახ სხვა მხრისაკენ გაემართა. მიუხედავად იმისა, რომ მან ძალიან კარგად იცოდა მათი ადგილსამყოფი და ამგვარად უქმად იარა რა რამდენიმე დღე ის უკან დაბრუნდა და მოახსენა სიკრეე, თითქოს ვერ მონახა ისინი და მოისმინა, რომ ისინი ჩერქეზეთში გადასულნო.



აღ. კარანაძე



## ჰონორე ბაღვაჩის გამომუშავებული წერილები

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ბაღვაჩის ცხრა წერილი ინახება (№ 19292). ბაღვაჩი რომ საქართველოზე იყენებოდა, ვიცოდით. შორიდან შეგხართა „ლა-მაზი ქალებისა და ვაჟკაცი სიმღერების ქვეყანას“, ეწინააღმდეგებოდა თბილისში ჩამოსახლელად. 1847 წ. თავის დას ლერა სიურელის სწერდა: „ექეს-რვა თვეზე ადრე პარიზში დაბრუნებას ვერ შევეძლებ, ზამთარი იწვევა და სუსხში წამოსვლას ვერ გავებდე. პარიზში მხოლოდ აპრილის დამდეგს თუ ვიქნები, მაგრამ მაღე აუცილებლად გამოვბრუნდები, რადგან ჩვენ ვსურს ვიმოგზაუროთ ყირიზში, კავკასიაში და თბილისსაც მივალწით. ეს მოგზაურობა მომზადდებულად მიმანია. იმ ქვეყნებზე უღამაზესი აღარადფერი არსებობს“.

„პარიზის ცხოვრების სცენებში“ ბაღვაჩმა ელვარე სტრეპონები მიუძღვნა ქართულ სიღამაზეს, რომანტიკულად შეაფერადა მონად გაყვდილი მშვენიერი ქართველი ქალის ტრაგიკული თავგადასავალი.

ბაღვაჩმა ვერ მოაღწია საქართველომდე. იქნებ, მიიმე ავადმყოფობამ და განუწყვეტელმა დაიდარობამ ჩუშალა სანუკური ოცნება. მაგრამ ავტოგრაფებმა, რომლებიც დაკავშირებულა იმ წრესთან, სადაც თბილისში მოგზაურობის გეგმა წარმოიშვა, აქ მოიტანა უცდავი შემოქმედის გულისცემა.

ჩვენს ქვეყანაზე პოეტური წარმოდგენის შედეგია, რომ პავლე ფრანცის ძე ჰაკელი, რომელიც ბაღვაჩთან ერთად საქართველოში მოგზაურობაზე ოცნებობდა, ვასტული საუკუნის 60-იან წლებში სამუდამოდ გადმოსახლდა თბილისში.

პ. ფ. ჰაკელი, რომელიც რამიელის საბავო ოქს ვანაგებდა, ბაღვაჩი გაცეცო რუსეთში მეორედ მოგზაურობისას — 1847 წლის სექტემბერში. მწერალი სტუმრად მიდიოდა გრაფინია ვეელინა ჰანსკასთან, სოფ. ვირბოვნიანში, ბერდისევის მახლობლად.

ბაღვაჩის ნაწერებს იმ დროს გატაცებით კთხოვდობდნენ რუსეთში.

1843 წელს, როცა იგი პეტერბურგში, მიხაილოვსკის თეატრში გამოჩნდა, ხალხი აღფრთოვანებელი ოვაციით შეეგება.

1843 წელს მწერალი ვეელინას აცნობებდა — „დამიანური კომედია“ მომგებიან საქმედ იქცა რუსეთის წყალობით, სადაც იგი დიდი რაოდენობით იყიდებოდა“.

1847 წლის სექტემბერში ბაღვაჩი მივიდა სსახლერო დაბა რამიელში; მას თან ჰქონდა ბარგი, რომელიც წესისამებრ, ადგილობრივ მოხელეებს უნდა გაეხინჯათ. საბავო ოქსის ეფროსი პავლე ჰაკელი<sup>1</sup> მზად იყო იშვიათი სტუმრის შესახვედრად. მან და მისმა მეუღლემ მასილდამ, რომლებიც ბაღვაჩის ლიტერატურული გენის თაყვანისმცემლები იყვნენ, ოჯახში მიიპატივეს მგზავრობით დაქანცული მწერალი და გულისთადაც გაუმასპინძლდნენ. რადგან ბაღვაჩი თანმხლების ვარეშე მგზავრობდა, ჰაკელმა ახალგაზრდა სკლდათი გააყოლა ვირბოვნიანმდე.

როდესაც ჰანსკას სასახლეში მივიდა, მწერალმა სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნია გულისხმიერი მოხელისათვის სამადლობელი ბარათი მიეწერა (1847 წ. 15. IX). ამ წერილში მოხდენილად შეზავებული უცხოელი მოხელისადმი მოკრძალება და მეგობრული უშუალობა.

„მეძნელება ისე გამოვებრუნო თქვენი სალდათი, — წერს ის, — რომ არ მოგახსენათ“

1 პ. ფ. ჰაკელი — სემიონოვის პოლკის ოფიცერი, ვასტული საუკუნის 20-იან წლებში ვიურტენბურგის პრინცის (იმპერატორის ძმის) დიუტანტი ყოფილა. იგი მოწმე იყო 1825 წ. დეკემბრის ამბების: საგულისხმოა, რომ მის არქივს შემორჩა ნიკოლოზ პირველის ბარათი გრაფ მილოროდოვიჩისადმი (პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც დსკრა დეკაბრისტმა კახოვსკიმ).

პ. ფ. ჰაკელის არქივი 1934 წ. ლიტერატურული მუზეუმისათვის გადაუცია ვ. ბუბუთოვს. („ზევება“, 1934 წ., 2).

ღრმა მადლობა იმ ზრუნვისათვის, რომელიც ჩემდამი გამოიჩინეთ და იმ სამსახურისათვის, რომელიც ამ ჭაბუკმა გამიწია. უმისოდ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი. ძლიერ დაღლილი ვიყავი და ჩემს თავს ერთი დღის დასვენების ნება მივეცე. ამიტომაც მოსვლისთანავე ვერ მოვწეირე ვერ წერილი... მგზავრობით, რომელიც თქვენი ძვირფასი მფარველობით დაიწყო, მეტად წარმეტყუად ჩაიარა... გთხოვთ, ჩემი უმდაბლესი სალაშვი გადასცეთ ქალბატონ ჰაქელს..."

ვირხოვნიასი ჩამოსვლისთანავე ბალზაქს ერთბაშად დაუბრუნდა შთავაზნება და გაწმინდებით შეუდგა წერას. რამდენიმე თვე მობოჭარი შეგომქმედებით მუშაობაში დაიღია. დღე-ღამეში თერამეტრ-იც საათს შრომობდა. „შე არავის ეხედები, — წერს იგი, — ისე დაძაბულად ვმუშაობ, რომ წერტილების საწერად არც ერთი თავისუფალი წუთი არ მჩნება. ოდესმე ყველა იმ ვანკიფორდებით, რომ ამდენს ვშრომობდი და შაინც ვახერხებდი, შეგობრებისათვის ბარათები მიმწერა..."

ბალზაქი უფრთხილდებოდა პოეტური შთაგონების თვითველ წუთს, რადგან გაშვდებულ შრომას იგი დროდარო გამოფიტვამდე მიჰყავდა და მაშინ სასოწარკვეთელი გენიოსი ამოდებოდა კალამს. ასევე იყო რუსეთში გამოგზავრების წინ. „კვლავ არც ერთი სტრიქონი — მოთმინებადაკარგული სწერდა ვეველინს, — უპიკი ნილადასაც აღარ ვაღუბს ჩემი ტინის ვამოხიზნება... აღარ ვიღო როგორ მოვიქნე... ჩემში ყველაფერი ჩაყვდა... მხოლოდ სასწრაფლსა შეუძლია დამიბრუნოს შემოქმედების უნარი და მაშასადამე, სიკაცხლე..."

ეს სასწრაფლი რუსეთი აღმოჩნდა. მეგობარმა ქალმა (მომავალი მუდღეში) ვეველინამ მუშაობის იდეალური პირობები შეუქმნა მწერალს, რომელმაც მას მიუძღვნა „სერაფინა“ და „მოდესტო მინორა“. იგი საწერ მაგიდას ატკივლდებოდა, ჯიუტად ჩაკიკრიტებდა თვითველ ფრაზას და თავდაუზოგავად იბრძოდა ყოველ სტრიქონის სრულყოფისათვის. „წილიკობთ ვგრთვეთ უღმრთელი ტანჯვანი“, რომელსაც ოთხი თვე მოეწადომე. — წერს ბალზაქი, — იგი მხოლოდ ორმოც გვერდს შეიცავს. დღე-ღამეში ორ ფრაზაზე მეტს ვერ ვწერდი... ახლა „მავრენის ტყავს“ ვრანდავ სტილისტურად. უქანასველ ღაჭივს ვაძლია."

მწარე ფორტი არც რუსეთში ასვენებდა ბალზაქს. ყუთამდე ჩადგული იყო ვალბში და მისი წიგნების გამოცემით გამდიდრებული გოსსლენი სასამართლოთი ემუქრებოდა. ვირხოვნის იდილია ხანმოკლე გამოდგა. მარად მზრუნველმა ლუბარმა ბალზაქს საგანგაშო ამბები მოსწერა და სასწრაფოდ პარიზში იმყოფა. ვანკიტხილი მწერალი იძულებული გახდა ზამთრის სუსხში, 1848 წლის 2 თებერვალს, შორეულ გზას გადგომოდა. წასვლის წინ დასწერდა: „შიმა წერაღმა დიდი ლიტერატურული მუშა-

ობის ეამს მომისწრო. ეს მუშაობა ძალიან უკარგად მიდიოდა და ახლა იძულებული ვარ ვაწყუვიტო".

სტრიქონული

ბალზაქი ჯიუტად მუშაობდა მუშაობაში. ბალზაქი სამშობლოში, სუკეროდა რომ თავისი შედეგები ამჯერად მაინც დაიხსნიდა გასაკიარინად, მავრამ პარიზი რეველუციის პარიკადებით შეხვდა მწერალს და მისი წიგნებისათვის არავის ეცაღა. იმედგაცრეება ახლა განსაკუთრებით მტანჯველი აღმოჩნდა.

ფორიაქებული ბალზაქი კვლავ ვირხოვნის სასახლეში ეძებს მუდღეობებს, მავრამ რეველუციით შემოფრთხილებული რუსეთის მთავრობა ამხნად გაეცილებით მეტ სიფხიზლეს იხმნარასსურველი სტუმრისაღმი. ამოდ არწმუნებდნენ იმპერატორს, ბალზაქი ლეგიტიმისტი და საშიში არ არისო. ნიკოლოზ პირველისათვის ცნობილი იყო, რომ რეველუციონერები თანაგრანობით ეკიდებოდნენ ბალზაქს. რეველუციის მონაწილე მუშა პოეტები თავიანთ ლექსთა კრებულის წინასიტყვაობაში მადლობას უცხადებდნენ მას.

ბალზაქის 1848 წლის 28 ივლისის ოსოვნას რუსეთში გამოგზავრების ნებართვაზე თვითმპრობოღმა წაწერა: „Да, но со строго секретом“. კიევის გუბერნიის ვანდარმათა კორპუსს დაევაღა: **Иметь строго секретное наблюдение**.

ეს უნდობლობა ბალზაქსაც შეუშინებია; მან წინასწარ გაითვალისწინა, თუ რა სიმძლევებს წაწყვედებოდა როგორც მგზავრობის დრას ისე ვირხოვნიაში. მშველელად ჰაქელი ვეველბოდა და, ნებართვის მიღებისთანავე, 1848 წლის 22 აგვისტოს, პარიზიდან ვრცელი წერილი გამოუგზავნი მას. ეს ჰაქელისაღმი მოწერილი მეორე ბარათია.

ამ წერილში ბალზაქი ატყობინებს ჰაქელს, რომ ვეველინამა მეგობრებმა იგი კარგად დაუხმასათვის კიევის გენერალ-გუბერნატორ ზიბიკოვს, რომელიც, თურმე, სიხარულით მოელის მას რუსეთში.

მეფის მოხელეები ბალზაქს თავიანთი უნდობლობით შეხედნენ, ბარგის მიღება ვაძინელეს და სიმშვიდის მაძიებელ მწერალს ცხოვრება აუშღვრეს.

ჰაქელისაღმი გავგზავნილი დანარჩენი შეიდი ბარათი სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი. საიდუმლო პოლიციის არტახებში ვახლართული მწერალი ჰაქელს ნდობით ეპყრობა და თავის უკმაყოფილებას უმეღვენებს. ამდენად, ეს წერილები საინტერესო ცნობებს გვაწვდის როგორც ბალზაქის ბიოგრაფიისათვის, ისე ნიკოლოზ პირველის დროინდელ რუსეთზე.

1848 წლის სექტემბრის ბოლოს, ბალზაქი რაძივლევ ვადით, ვირხოვნიაში მივიდა. ჰაქელის ოჯახმა სიყვარულით ვაცოლა ძვირფასი სტემარა. ამ დროს პარიზიდან გამოგზავნილი ნიგუთები მიღებული იყო ბრიდში და ბალზაქმა

სთხოვა ფინანსთა მინისტრს ეროვნეცის, რომ ბარგი საბაჟო გადასახდისაგან გაეთავისუფლებინა. ამის გამო იგი პაყელს სწერდა:

„ჩემო ძვირფასო და კარგო, პატრონო პაყელ! გთხოვთ, ყველა თქვენი წყალობას ერთი სიტყვით მიუშვათ. თუ ფინანსთა მინისტრი ჩემს ბარგს უნდა დაუბრუნებდეს მიაქცევს, თავიდან ამკილდება რაძივილში გამობრუნება და, რაც მთავარია, ხარჯი, რომელიც, აღბათ, პარიზიდან რაძივილამდე მგზავრობაზე ძვირი ეღირება. დანახარჯი უნდა ვინაგირწოთ ჩემსა და თავად ანდრე მნიშვზე ერთად. რაძივილამდე მგზავრობა დამატებდა ორას-ოცი ფრანკი, ამდენივე დასკირდება უკან გამობრუნებას. ბინასა და ყოველდღიურ ხარჯზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს, სულ ცოტა, ათას ფრანკს დაიჭერს, მით უმეტეს, რომ ბარგიც უნდა გავგზავნო, რადგან მანდ შენახვა გამოქვეყნდება ამასთან, კიდეში წასასვლელად ვარ — გენერალ-გუბერნატორს უნდა წარვუდგე. ვარწმუნებთ, საფრანგეთის დღევანდელ ფინანსიურ პირობებში, ეს ნამდვილი უბედურებაა.“

თქვენ ისე გულისხმობთ, ისე განსაკუთრებულნი იყავით ჩემს მიმართ, რომ უკვე თავისთავად მოგმართათ.

იქნებ, შესძლოთ მინისტრის ნებართვით ნივთები გადმომიგზავნოთ, რომ აღარ დამპირდეს ბარგის გახსნას დაეცაწრო, დიდად დამავალბებთ, ყოველთვის თუ წერილობით მიცნობებთ. თუ ეს არ მოხერხდება, შემატყობინებთ, რათა რაძივილში ჩამოვიდე... მაშინ მცირე ფინანსიურ ნაღველს ავინახლავებდი თქვენი ნახვის სიამოვნებით და კეთილ, მახვილგონიერ ქალბატონს პაყელთან შეხვედრით, რომელიც უკვლავითაღეს პატივისცემას მოგახსენებ.

თქვენი დახმარებით შეუძლებს კვირება ჩემი ქნისა, რომელიც, ვაი, რომ ეგოდენ მქლეა ამ რვეოლუციების წლებში...“

... ვინაიდან ყოველივე წინასწარ უნდა გავითვალისწინო, თქვენი პასუხის მიღებამდე კიევი ალარ წყალ, იქნებ, მინისტრმა ბარგის ქიჩა მინც გადამახდევინოს და თქვენც ველარ მოახერხოთ ჩემი თხოვნის შესრულება. მაშინ კიევი ავიღებდი ბროდში გამგზავრების ნებართვას იგიდან ჩემი ნივთები გამოებრუნდებოდი. ძლიერ მცირედი შევა ვივარქნი დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ და ახლა სახლვარზე ეს გაუთავებელი წოწიალი ბოლოს მომიღებს. ერთის სიტყვით, ჩემი ბედი თქვენს ზელაა...“

ამ ბარათის მიღებისთანავე პაყელმა გულბოილად უპასუხა ბალზაჰს, აცნობა, რომ ძალღონეს არ დაიშურებდა მისი თხოვნის შესასრულებლად. მაგრამ სკივრების შეუქმონებლად გაცემა არ შეიძლებოდა და ამიტომ სთხოვდა — გასაღებები გადმომიგზავნეო.

პაყელის პასუხით ნაამაოვნებმა მწერალმა თორმეტ ოქტომბერს რეაგვირდინა წერილით გაახარა უტყობილ თავყანსმეყმელა.

„როგორც კი მივიღე თქვენი ბარათი, — სწერდა იგი, — გასაღებები გადაუგზავნე ჩილბერტის და ახლა თქვენი დაბრუნების მიმდით თვის უბრუნველად ვვარწმობ...“

არ ვიცი, როგორ გადაეხადეთ მდლობა თქვენი ერთი, მგობრული წერილისათვის, კიდევ უფრო რომ მუყვარებს რუსეთს, რომელსაც უკვე მთელის არსებით დავუკავშირდი.

ბედნიერია ქვეყანა, სადაც თქვენისთანა გულითადად აღამიანები იპოვიან, თქვენსავით კეთილნი და სათნონი, თავაზიანი, მანერებიდაც რომ გვხიბდავენ... ჩვენ ხომ ძველი მგობრები ვართ და შემიძლია გულახილად გითხრაო, რომ ჩემდა სანეტაროდ, ბედმა მარგუნა ხშირად გადავლასო მინილი რაძივილიდან პარიზამდე და პირიქით. დამეკითხებთ ვიცი, პარიზიდან წამოსვლისას თუ არა, უკან ვაბრუნებისას მინც დიდ სიხარულს მომიანიჭებს ჩემი მგზავრობა, რადგანაც მიმეჩქარება მგობრებთან, რომელთა განშორებისას თან მიმყვება სევდა.

ასე რომ არ იყო, არც თქვენ გეყვარებოდით, თქვენ ისე კარგად იცნობთ ცხოვრებას, შეუძლებელია არ იყოლდეთ, რომ გრძნობებთ თანახაობა...“

მაგრამ მინისტრის ნებართვა იგვიანებდა და პაყელის კეთილი სურვილები საქმეს ვერ შეულოდა.

მაღე უკვე მთელი თვე იქნება — ვერ ფარავს აღმფოთებას მწერალი. — რაც ჩამოვედი და ერთ პატარა სამგზავრო ჩანთას გარდა, რომელიც თან ჩამოვიტანე, სხვა ბარგი დღემდე არ მიმიღია. ვერც კი წარმოადგინთ, როგორ მიჭირს. აცნობთ თქვენს ფინანსთა მინისტრს, სამუდამოლ რომ არ მომიხაჯეს ერთი წყვილი საცვლის ამირა გავატარო ცხოვრება. სთხოვით, გეთყვია, დაამქარონ ნებართვის გამოგზავნა, რადგან ასეთ წამებას სისხლის სამართლის არც ერთი კოდექსი არ ითვალისწინებს...“

ბალზაჰის სკივრებში ხელს უფათურებდნენ მეფის მოხელეები და თვითმპყრობელს მოხსენებით ბარათებს უგზავნიდნენ. მწერალი ვარწმობდა ამას და ოცი ოქტომბრის წერილში პაყელს სწერდა: „მინდა მინისტრს ვთხოვო, რაც შეიძლება ჩქარა შეამოწმოს ჩემი ნივთები და დროულად გადმომიგზავნოს. მსურს აეუბნას აგრეთვე, რომ არ ვამბრებ პეტერბურგსა და მოსკოვს გამგზავრებას და არ შემიძლია ჩემი ბარგის წამოსაღებად წასვლა... თუ თქვენდამი რწმუნებული ოლქის შემოვლა მოგიხდეთ, გთხოვდით გეთქვათ ბ-ნ კლავუნსათვის, დალოდებოდა თქვენს გამობრუნებას, რათა გადმოვიცა გასაღებები. მოგვხსენება, თუცა დღე მინც დასკირდება მინისტრის ბრძანების რაძივილში მიღებას...“

საერთოდ, ამ კანონებმა ქლეა მასწყალა. შემდეგში აუცილებლად თან წამოვიყვან მონამახურეს, რომ ბარგს აღარ ვლიო...“

როგორც იქნა, ერთი თვის შემდეგ ბალზაჰმა



ფინანსთა მინისტრის ნებართვა მიიღო. 28 ნოემბრს იგი ატყობინებს პაქელს: „... ბოლოს და ბოლოს, თქვენს წყალობით, დასრულდა ჩემი ტანჯვა-წამება... აღარ დამჭირდება ტანსაცმლის ჩამოსაღებად გამოგზავრება.“

წერილში, რომელიც გუშინ მივიღე, მინისტრი მაცნობებს, რომ იგი პირადად თქვენ ვანდობთ ჩემი ნივთების შემოწმებას და თუ აკრძალული რამ აღმოჩნდება, მას უნდა გუთვზავნოთ სია ნებადსართველად.

ახლა, როცა თქვენს ხელში ვარ, გვედრებით მისწეროთ მინისტრს, რომ ზანდუკეში მხოლოდ ჩემი პირადი ნივთებია, და ვადმოიგზავნოთ ისინი ბერლინში. ამით შესაძლებლობას მოძებნით ვიმუშაო, ადამიანურად ჩავიყვან და თქვენ გლოცოთ“.

რაც ნივთების შემოწმება პაქელს დაეცისრა, დავიღარბავ და მოვარდა. დეკემბრის დამდეგს მწერალმა მიიღო დატყუებულები სკივრები, მაგრამ პაქელთან მიმოწერა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია. წერილების ტონი სულ უფრო შინაურული ხდება. უცხოელ მეგობარს მწერალი ახლა თამამად მიმართავს ცალკეულ წერილში გუთვზე და პირდაპირ ეუბნება, რომ მის ვარემ გუთვირდება რუსეთში ცხოვრება.

1849 წლის 3 იანვრისა და 15 თებერვლის ბარათებში ბალზაი სთხოვს პაქელს დახმარის პარიზიდან გამოწერილი წიგნებისა და სხვადასხვა ნივთების მიღებაში („ადამიანური კომედიის“ ტომები, ვიკის „სამშენებლო საქმე“, ბუნების დიდი ენციკლოპედია, შოკოლადი, კანდიტი, ვიოლინი, ტროსტები, მყაში და სხვ.). „მაბატეთ, რომ ევოლენ მალალი თანამდებობის პირს ასეთ პატარა საქმეებზე ვაწუხებთ, — სწერს ის, — მაგრამ თქვენში შე ეხვდავ არა საბაგო ოლქის უფროსს, არამედ კეთილსა და ძვირფას მეგობარს“.

ნიშნად მადლობისა, დიდმა მწერალმა პაქელს და მის მეუღლეს მიუძღვნა „ადამიანური კომედიის“ ვეველა ტომი ავტორგრაფით.

1848 წლის 12 ოქტომბერს ბალზაი სწერდა პაქელს:

... რადგანაც არ ვიცი, როდის დავბრუნდები პარიზში, მსურს ახლავე შევესრულო დაპირება ქალბატონ პაქელს, რომელმაც ესოდენ მსამაოვნა თანხმობით — მიიღოს ძღვენად ჩემი თხზულებები ყველაფერი ეილინე, რომ ეს წიგნები ბროდში გადმოგზავნონ კლაუზუს... ამანათები იგვიანებს, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ ქალბატონი პაქელი საახალწლოდ მიიღებს სრულ ბალზაკს. თუ ამით შევძლებდი შემემოყლებია თქვენთვის ზამთრის რამდენიმე ღამე, სულიერად თქვენთან ვიგრძნობდი თავს და ჩვეულებრივ, რომ მეც ვიყუებ სამაგიეროს გადახდას“.

ბალზაკს არც შემდეგ წერილებში იფიქვდება თავისი დაპირება. ექვს დეკემბერს იგი ატყობინებს პაქელს „... ჩემი წიგნების გამყიდველი

მწერს, რომ ბ-ნ კლაუზუს მისამართით, ბროდში, თქვენს სახელზე გადმოგზავნილია ჩემი თხზულებების სრული კრებული... კლაუზატონ პაქელს მიიღოს იგი ნიშნად ჩემი პატივისცემისა... რამვიღურ პირველი გამოხელისთანავე სიამოვნებით აღუბუქდავ ვაბოთ მოკლე მიძღვნის წარწერას, რაც ავტორთა მეგობრული გრძნობების გამოხატვის პრივილეგია ვახლავთ და რომლითაც სიხარულით ვისარგებლებ ამ შემთხვევაში“.

მოგვიანებით, 15 თებერვლის წერილში, ბალზაი ღიმილით შენიშნავს: „მეშინია, ქალბატონმა პაქელმა მძიმე ხარკად არ ჩასთვალოს „ადამიანური კომედია“. აუხსენით მას, რომ ეს შხამი საათია, როცა მას მცირე დროით მიიღებენ, მაგრამ ობიექტად გადაიქცევა, თუ ბოროტად ისარგებლებენ“.

პ. პაქელს პირადი არქივის მასალებიდან ჩანს, რომ მის ოჯახში, თბილისში, 1900-ან წლებამდე ინახებოდა „ადამიანური კომედიის“ 1846 — 1847 წლების (ფურნოს) გამოცემის ყველა ტომი პირორე ბალზაკის ავტორგრაფით „ბ-ნ პაქელს, პატვისიცემის ნიშნად, ავტორისაგან“; „ქ-ნ პაქელს, პატვისიცემის ნიშნად, ავტორისაგან“.

უნდა ვითქვითო, რომ დიდი მწერლის ხსოვნასთან დაკავშირებული ეს ძვირფასი რელიკვია შემოინახულია ჩვენს დედაქალაქში, რომელიც ოჯახის წიგნთსაცემი ან ბიბლიოთეკაში; მის კვალს, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მივგავნით.

ბალზაი ხშირად ეპატივებოდა თავმდაბალ მოხელესა და მის მეუღლეს ვიჩხოვნიაში, სადაც იგი დარჩა 1850 წლის აპრილამდე. ეს იყო ბალზაკის ცხოვრების მძიმე წლები და მას სიამოვნება მახლობელ ადამიანებთან გულგია საუბარს.

დიდებული შემოქმედი, რომლის გმირებით თავისუფლად შეიძლებოდა იმდროინდელი ქალაქის დასახლება, იძულებული იყო ზამთრის ქარაშოტში წერილმანი ნივთებისათვის ეხეტიალა, შეეთუღ კაიკის დასციკუნება, მაშინ, როცა მის თხზულებათა გამოცემლები ქისას ოქროთი ივსებდნენ.

პაქელისადმი წერილების მშვიდ ტონში ოდნავადაც არ შეიშინევა ეს მძიმე სულიერი მღვდლები. 1849 წლის იანვარში გარდაცვლილი შატობრიანის ნაცულად საფრანგეთის აკადემიის წევრობის კანდიდატად ბალზაკი დაასახლეს, მაგრამ მემურნეებმა გააშავეს იგი; მან მხოლოდ ორი ხმა მიიღო... კალმოსანი ქერცოვი დე ნოაი აირჩიეს... რამდენიმე თვის შემდეგ ბალზაკის ნაცულად გრაფი დე სენ პრისტი გახდა აკადემიკოსად.

„გული არ დაგწყვიტოთ ყურნალებში დაბეკდილმა წერილებმა, — ამშიდებდა ვეველიან მანსკას ბალზაკი, — საწყენიც იწებოდა პირიქით რომ უოფილიყო. საფრანგეთში დაიღუპება მწერალი, სიცოცხლეშივე თუ შეამკობენ დაფ-



ნის გვირგვინით. შეჩვენება, ცილისწამება, დაუ-  
ფასებლობა, აუღიარებლობა და მისთანანი არ მა-  
შინებს. დრო მოვა და გაიგებენ, რომ ეცხოვ-  
რობდა მხოლოდ ჩემი კალმით და ჩემს ქიხასს  
არც ერთი დაუშასხურებელი კამიკი არ შეშა-  
ბდები,—რომ ერთნაირი ვულგარობით ეხვედ-  
ბოდი ძაგებასა და ქებსა და ჩემს ქმნილებებს  
ეთოთოლებელი ხელით ვწერდი მტრების  
ღრინაცვლსა და ლიტერატურულ შეხლა-შემოხ-  
ლას...

ჩემი შურისძიება მხოლოდ ეს იქნება, რომ...  
დაეძულო „წერილი ბერყუებში“ და კვლავ ვაი-  
ძულო მტრები გამაგებებით წარმოსთქვან: „ჩვენ  
გვეგონა მისი მარაგი ამოიშრიტა, მან კი ისევ  
შედეგად შექმნა“... ეს სიტყვები აღმოხდა ქალ-  
ბატონ რეზისი, როცა წაიციხა „ონორიანა“ და  
„დაიეთ სეშარი“...

მეგრამ ბალზაქი ამოდ ვიეტობდა... თავის  
ტივილები სტანჯავდა, ცხვირიდან სისხლი სდი-  
ოდა და წერაც აღარ შეეძლო. ერთადერთ ნუ-  
გეშიდ ეველინასთან შედუღებას თვლიდა და  
აეადმყოფს ზამთრის სუსხში ზშირად უხდებო-  
და კიდედ მოხველებთან ნებართვისათვის გამ-  
გზავრება.

თქვესმეტი წლის მეგობრობის შემდეგ, 1850  
წ. 14 მარტს, ბალზაქმა ბერლინეში ჯვარი და-  
იწერა და იმავე გაზაფხულზე სამშობლოში გა-  
ემგზავრა. გრადინია ჰანსკას მეფემ ნება არ  
დაართო, რომ რუსეთში მამულებს მფლობე-  
ლად დარჩენილიყო, რადგან ის უტყობელ მისთ-  
ხოვდა. დადგა მძიმე განსაცდელი. შეეღებებისა-  
გან ხსნა აღარ იყო გაძლიერდა ჰორავები. ჩაჭრა  
შემოქმედების ცეცხლი, მათერებელი სტევენი  
შეხვდა უკანასკნელ პიესებს და დევკაცი ლო-  
ვინში ჩაიშასხრა. უკანასკნელი წერილი ტვი-  
ფილ გორიესთან მეუღლეს უკანახა: „მე არ  
შეშობლია არც კითხვა, აღარც წერა“.

ბალზაქის გარდაცვალების შემდეგ ძვირფასი  
გახდა მისი თეთთეული ავტოგრაფი. ბიოგრა-  
ფები, მკვლევარები, კოლექციონერები, გულ-  
მოდგინედ ეძებდნენ დიდი მწერლის თეთთეულ  
სტრიქონს. ერთ მათგანს, ვიკონტ სუდბერგ დე  
ლოვენელს ჰაკელის კვლიც მიუგნია და რამ-  
დენიმე ბარათიც გამოუგზავნია თბილისში. ამ  
წერილთა ავტოგრაფებიც ახლა ლიტერატუ-  
რულ მუზეუმს გუთუნის...

პაველ ჰაკელს არქივი ინახებოდა მის ვაე-  
თან, მიხეილთან, რომელიც კავკასიის საცენზუ-  
რო კომიტეტის თავმჯდომარედ მსახურობდა  
თბილისში.

1891 წ. ლოვენელი ბრიუსელიდან სწერდა  
მას: „...ბუნდნეგრი ვიწენბი, თუ საშუალებას  
მომცემთ გავიეცნო ბალზაქის ავტოგრაფებს ან  
სუვენირებს რუსეთში მისი უოფნის ირგვლივ...  
ვთხოვთ ამ წერილებს ან მათ თარიღიან პი-  
რებს“.

მიხეილ ჰაკელმა მხოლოდ ცხრა თვის შემდეგ  
უპასუხა მას: „... შემდეგისათვის ვინახავ სია-

მოწენბას, რომ გავიზიაროთ ზოგერთი ჩემი  
მოგონება რაძივილში ბალზაქს უფუნდნეგრი  
და ენქარობ გამოვიგზავნულ ბალზაქს კცხრა  
წერილის ავტოგრაფი, ვთხოვთ მიიღოთ იგი  
მისი გენის ერთ მწერალე თაყვანისმცემლისა-  
გან... მისალოდნელია, ამ წერილებში თქვენი-  
ვის უცნობი სახელები შეგხვდეთ, შამინ  
გთხოვთ შეშეკითხოთ, რაზედაც დაუყოვნებლივ  
გიაპსუებუბთ... ბალზაქის კელტი, ასე ვთქვათ,  
ტრადიციულია ჩვენს ოჯახში. მეც 20 წლის  
ასაკიდან გატაცებთ ვითობლივი „ადაშია-  
ნურ კომედიას“, რომლის თეთთეულ ტომს  
ბალზაქის ავტოგრაფი ამშვენებდა“...

1891 წ. ნოემბერში ლოვენელმა მიხეილ  
ჰაკელს გამოუგზავნა ბალზაქის წერილების სა-  
კეთარი ხელთ შესრულებული ნუსხა, რომელ-  
საც უნეკალერი მნიშვნელობა აქვს. იგი წარ-  
მოადგენს საქართველოს ლიტერატურულ მუ-  
ზეუმში დაცული ჰაკელის არქივის შემადგენელ  
ნაწილს, რაც ამ ბარათების სწორად გაცემის  
საშუალებას იძლევა და ნათელს ჰყენს ბალზა-  
ქის რუსეთში ყოფნის პერიოდს.

სრულად მოგვყავს პონორე ბალზაქის ერთ-  
ერთი წერილი:

პარიზი, 22 აგვისტო 1848

ჩემო კეთილო და ძვირფასო გენერალო,  
უკრაინაში დაბრუნებას ნებართვა მივიღე და  
კვლავ თქვენს სასაზღვრო უბანზე ვაელოთ. ამას  
წინათ ბ-მა გრადმა ორლოვმა<sup>1</sup> შეაცნობა, რომ  
თქვენი მიიღებთ სათანალო ვანერგულებას.  
ჩემ მხრივაც გთხოვთ, ნუ მომაცლებთ თქვენს  
მომხმბლავ გულშემატკივრობას.

ცხადია, არ ვაპირებ ბორბლად გამოვიყენო  
ასეთი თავჯანბრობა და მამინდელით<sup>2</sup> თქვენ  
მოგანდობთ ჩემი მგზავრობის ყველა საზრუნაო,  
რადგან ამჯერად დაზოვლად გავაფრთხილეთ ბ-  
ნი გრადი მნიშევი<sup>3</sup>, რომელიც ემშროციციდან<sup>4</sup>  
რაძივილში<sup>5</sup> ჩამოვა ჩემ შესახებდრად. მეგრამ  
აი, რისთვის მტრის ვისარგებლო თქვენი გულ-  
კეთილობით.

აქ ახლა ის ვართლებულია მდგომარეობა,  
რომ მოსამსახურეს ვერ დავიჭირავებ, ამჯერა-  
დაც მარტო მომიხდება პარიზიდან ბროდში<sup>6</sup>  
ჩამოსვლა. და რაც მსურს, რაც შეიძლება,  
სწრაფად ვიმგზავრო, ბარგის გამო რკინიგზის  
უოველ სადგურზე მომიწევდა შეჩერება, მე კი  
ერთი სიტყვაც არ შესმის ვერმანულად, რადგან  
მთელი ჩემი სიცოცხლე ვანაცვალ ფრანგულ  
ენას, რომელზედაც მხოლოდ ახლა ვიწვევ ასე  
თუ ისე მოსათმენად წერას.

მიტომ ჩემი წიგნები აქვე ჩავაბარე საბაეო  
უწყუბას შესამოწმებლად და ახლა რაძივილში  
ვგზავნი მოყოხებულ<sup>7</sup>, თქვენი მისამართით,  
თქვენვე განდობთ მათზე მზრუნველობას და  
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მათ ჩემს ჩაოს-  
ვლაძედ.

მამ, ასე, რამდენიმე დღის შემდეგ სიამოვნე-  
ბა შექენბა, კვლავ შეგხვდეთ თქვენ და ქალ-

ბატონ ჰაქელს. ჩვენი რევოლუციის საზარელმა დაიღვარებამ, რომელმაც ყველა გავიანთა, დაიწვევების კალთა გადაათარა ფრანგული პრესის ქორებს? რუსეთში ჩემს უკანასკნელ მგზავრობაზე. ვიმედოვნებ, ამჯერად მაინც დავტყვებინო ინკოგნიტოს სანატრელი უპიარატესობით. ბევრ სინტერესო ამბავს მოგიყვებით. არ ვიცი, რა მოელის საფრანგეთს. რუსეთის პროვინციად გადაიქცევა, ისე თუ გავრძელება; ამ წუთში, როცა ამ ბარათს გწერთ, შემამარწუნებელი ბრძოლა მზადდება ასამბლეაში და სანქცროლ თუ არ გამოემგზავრე, ვინ იცის, შეშფეღშიც შევიწინარჩუნებენ თუ არა მოგზავრობის თავისუფლებას.

მოვდივარ, რათა რუსეთში ვპოვო მუდღერობა და სიმშვიდე, რუსეთი ახლა ჩემი საყვარელია, ხოლო საფრანგეთი — კანონიერი მუდღერ

და, როგორც ბევრი სხვა ქმარი, მეც ჩემს საყვარელთან მერ სიამოვნებას ვიგრძობინებ. ვიდრე კანონიერ მუდღერსთან.

ჩემი ბარგი საშიშროების თავისაგან შედგება, რადგან ისეთი ნივთები არ წამოიპოლია, რომლებიც ყოველდღიურად არ დამკირდება. გამოიწყალის შეადგენს ერთი პაკეტი სამეცნიერო წიგნებით, პაკეტი, რომელსაც თქვენთან ერთად გაეხსნი ცენზურისათვის კიევში გადასაგზავნად. ამანაბებს წარწერილი აქვს ჩემი გვიარი, აგრეთვე სიტყვები: „სამზარუნელოდ ბატონ გენერალ ჰაქელს, საბაჟო ოქვის უფროსს, ყველაფერი გასინჯულაა საბაჟო უწყების მიერ“.

მოლოდინით, რომ მალე ვისიამოვნებ თქვენთან შეხვედრით და შესაძლებლობა მომეცემა, გამოვხატო მოწიწება ქალბატონ ჰაქელსთან, რომელმაც კეთილ ინება და გამახსენა თავისი

Paris ce 22 Aout 1861.  
 Mon bon et cher General  
 J'ai obtenu la permission de  
 servir en Ukraine, et par votre force  
 bien Mr. le Comte Odoff m'a donne avis  
 il y a deux jours, que vous recevez des  
 lettres à ce sujet. Je viens donc vous en  
 demander la continuation de vos bontés  
 et complaisances; bien entendu que  
 si en arrivant par vos soins à votre  
 camp, par cette fois, Mr. le Comte [Odoff] m'a  
 sera bien averti et viendra me chercher  
 de Mironowicz à Radziwilloff. Voici ce que j'ai  
 tends de votre bonté.  
 Nous avons ici les plus grandes  
 difficultés à faire admettre un itinéraire  
 et je voyageais cette fois encore tout seul  
 de Paris à Besdy. Et comme je suis  
 avec la plus grande rapidité, j'arrive  
 à chaque semaine de feu, à Besdy  
 de mes bagages, attention que f. m.



26.03.1847

En attendant que j'aille  
 voir de bons bois, de la plantation des  
 mêmes bons bois, je me suis adressé  
 à l'écriteur, avec la suite de mes lettres  
 sur son ouvrage, et de trouver les  
 les appointements renouvellements des  
 timbres de reconnaissance avec les  
 autres de ma part [votre] [les] [mait.] et  
 [ce] [s] [s] [s]

de Balza

Je suis très reconnaissant à nouveau  
 à votre général pour son [Bibloff]  
 qui a bien voulu quand j'arrivais à  
 l'écriteur de son avis je ne suis pas  
 [ce] [s] [s] [s]

სტენიონი, ამასთანავე, დაიმედებელი, რომ ეს  
 იქნება გულისთავი განახლება პატრიისცივის  
 გრძნობათა, რითაც დაემთები თქვენი დიდად  
 შონატრული და შორილი ღე ბალზაჰი.

მე ისევ კარგად წარმადგინეს თქვენს გენე-  
 რალ-გენერალთან (მიბიკოეთან), რომელსაც  
 ერთი წელი შეგობრისთვის უკითხავს, როდის  
 ჩამოვაო, სრულიად არ მაშინებს ზოღერა, რა-  
 შელსაც, იმედია, უნებლად გადაურჩა თქვენი  
 სამკვიდრო.

შენიშვნები

1. გრადე ორლოვი — რუსეთის ჯანდარმთა შე-  
 ვ-
2. ბალზაჰს შედეგელობაში იქვს 1847 წ. სექ-  
 ტემბერი, როცა პირველად ვაეცნო პაეელს.

3. ანტრე შნიშევი — გრაფინია ეველინა პანსკას  
 ნოთესაეო.
4. ვიშნოვიცი — დაბა უკრაინაში
5. რაძივილი — საბაზღერო დაბა უკრაინაში,  
 ადგილსამყოფელი იმ საბაეო ოლქისა, რომ-  
 ლის უფროსადაც პ. პაეელი მსახურებდა.
6. ბროლი — ქალაქი რუსეთ-ავსტრიის საზღვარ-  
 ზე, იმ დროს პორტო-ფრანკო.
7. ეველინა პანსკასთან შეგობრული ურთიერ-  
 თობის გამო ფრანგული გაზეთები ცილს  
 სწამებდნენ ბალზაჰს.
8. იველისხმევა ობზულეზათა კრებული, რომე-  
 ლიც ბალზაჰმა უსახსოვრა ქ-ნ პაეელს.

ბიოგრაფიული მახარბიანი



ივანე როსტომაშვილი  
(1852—1924)

ყოფელი მიუღლომელი მემბტიანე ივანე პავ-  
ლეს ძე როსტომაშვილს უსათოოდ მოკლოთ-  
ნებს მგ-19 საუკუნის საქართველოს მოღვაწე-  
თა იმ პლეადს, რომელსაც ახასიათებდა უმწიკ-  
ვლობა, უსახლერო პატრიოტიზმი და ქართვე-  
ლი ხალხის ეროვნული და ეკონომიური აღორ-  
ძინებისათვის ვაჟკაციური ბრძოლის უნარი.  
ამიტომ იყო, რომ ამ მუღამ მოუხეენარ მოსაქმე  
კაცს დიდმა ილიამ „ჩვენი ფუტკარი“ უწოდა.

ივ. როსტომაშვილი დაიბადა 1852 წელს თე-  
ლავის მახრის სოფ. კურდღელაურში. თელავის  
საქალაქო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობ-  
ლებმა ის შეიყვანეს სამხედრო სკოლაში, მაგ-  
რამ პატარა ენოს სულ არ იტაცებდა სამხედ-  
რო კარგობა, — მისი ბუნება მოწოდებული იყო  
სახალხო საქმისათვის, ამიტომ თავის პროფესი-  
ად აირჩია ისეთი კეთილშობილური საქმე, რო-  
გორიც არის პედაგოგობა. 1874 წელს საოსტა-  
ტო (სამასწავლებლო) სემინარიის დამთავრების  
შემდეგ ის დაინიშნა მასწავლებლად სოფელ  
კახში (საინგილო), სადაც სულ ცოტა ხნის გან-  
მავლობაში საკმაოდ დაიმსახურა ხალხის ნდო-  
ბა და პატივისცემა. მისი მუშაობა არ განისაზ-  
ღერებოდა სკოლის ოთხ კედელში — მუშაობდა  
ხალხში: საქართველოდან თითქმის მოწყვეტილ  
ამ კუთხეში აღვივებდა ეროვნულ სულისკვეთე-  
ბას, სკოლის გარეშე დარჩენილ ახალგაზრდო-  
ბას ასწავლავდა წერა-კითხვას, სისტემატურად  
აბარებდა გლეხობაში საუბარს სხვადასხვა სა-  
ბჭობობოტო საკითხებზე, ებრძოდა სოფლის  
ბობობად. ხარხ-ვაკრებს, პოლიციის მოხელე-  
თა თვითნებობას, რომლებიც ერთმანედ ასისი-  
ნებდნენ ივ. როსტომაშვილის წინააღმდეგ, შუთ-  
ხზეს სხვადასხვა სახის ბრალდებანი და მისციეს  
პასუხისგებაში, საიდანაც მან ძლიეს დაახწია  
თავი.

ახალგაზრდა ენთუზიასტი, „გამათავისუფლე-  
ბელი სიოთი“ მსუნთქავი მასწავლებელი სა-  
ინგილოდან მოხსნეს და გადაიყვანეს მასწავ-  
ლებლად ჯავახეთში, სადაც მის თანამოკალმე  
ილია აღზახაშვილთან ერთად, კიდევ უფრო  
ენერგიულად მოკიდა ხელი ხალხის კულტურო-  
ბა და გავითვინობიერების საქმეს. მაგრამ  
ყველაზე უფრო შესხეთ-ჯავახეთში ის გაიტაცა  
ქართველი ხალხის მწარე წარსულზე ბევრის  
მეტყველება ისტორიულმა ძეგლებმა, „ჯავახეთ-  
ის ნახვამ დამარწმუნა, ივანეს ივ. როსტო-  
მაშვილი, რომ საქართველოს ეს კუთხე მდიდა-

რია ბევრი უცნობი ნაშთებით, რომ მათ შეს-  
წავლას შეუძლიან ნათელი მოპოვინოს ჩვენი ის-  
ტორიის ზოგიერთ მხარეს“. და იმ ისიც შეუდ-  
გა ისტორიულ ძეგლების შესწავლას. მან ფხიზთ  
შემოიარა თითქმის მთელი მესხეთ-ჯავახეთი,  
საფუძელიანად შეისწავლა ციხე-სიმაგრეები და  
გელსია-მონასტრების ნანგრეები, ამოკოხბა  
მათი წარწერები, გადაალო ფოტოსურათები და  
შეაგროვა აუარებელი მასალა, რომლებიც შემ-  
დგომში გამოქვეყნდა წიგნად ქართულ და რუ-  
სულ ენებზე, რამაც მკვლევართა სერიაზული  
ყურადღება მიიბყრო. ცნობილი ქართველი  
მკვლევარი და მეცნიერი ივ. თაყაიშვილი რუ-  
სულ ენაზე გამოცემულ ერთ-ერთ კრებულში  
წერდა: „... ასეთი სისრულით არც ერთ მკვლევ-  
ვარს არ შეუგროვებია ჯავახეთის ტაძრების  
წარწერები, როგორც ეს შესლო ბ-მა როსტო-  
მაშმა, ამ უკანასკნელის მეოხებით დღემდე რუ-  
ბრატურაში უცნობ ტაძრებს და მათ წარწე-  
რებს პირველად ვეცნობით“... საერთოდ ისტო-  
რიისა და სოქველეთა დაცვის და შესწავლის  
სურვილით შეპყრობილმა ივანემ მოათავსა წე-  
რილი „ივარიანი“ სათაურის საქართველოს  
ისტორიისა და არქეოლოგიის წრის დაფუძინების  
საპირობა ტფილისში“, რომელშიც ის გულის-  
ტკივილით აღნიშნავდა თუ როგორ თელავა და  
თელაშუა პარტახებმა ჩვენი მამაც წინაპართა  
ძეგლები და ურჩევდა ამ საქმისათვის გულშე-  
მატკივართ შეეღრინათ მათ შესასწავლად და გა-  
დასარჩინად წრე, რაც შესაძლებელი გაბდა  
შობლოდ ჩვენს პირობებში.

მოუხედავად ივ. როსტომაშვილის ასეთი  
მრავალფეროვანი საქმიანობისა, ის, როგორც  
პედაგოგი, უფრო მაინც სწავლა-აღზრდის საკი-  
თების გარშემო ტრიალებდა: იბრძოდა სწავ-  
ლების ეროვნულ სინადაზე დამყარებისათვის,  
ნათლად ხედავდა, რომ სკოლა მოწყვეტილი  
იყო ცხოვრებიდან, რომ მოხარდი თობა არ  
იყო აღუტრელი პრაქტიკული ცოდნით, ამი-  
ტომაც უერ კიდევ მაშინ წამოაყენა სკოლის პო-  
ლიტექნიზაციის საკითხი, რომლის შესახებ  
წერდა: „ყოველ მასწავლებელში, დაწყებული  
სახალხო მასწავლებლიდან ედრე უნივერსიტე-  
ტამდე სამწეო-სატექნიკო საგნები ისეთივე უფ-  
ლებებით და პატივით უნდა ისწავლებოდეს,  
როგორც სხვა ყველა საგანი, რათა მოწყვეტ პა-  
ტარობიდანვე იწრთენებოდეს და განმტკიცდ-  
ბოდეს სამეურნეო-სატექნიკო საგნების სიყვა-



რულში, ტრფილებში“. მაგრამ ივ. როსტომაშვილის ეს ხმა მაშინ დარჩა მალაღებლის ხმად. არა ნაკლებ მზრუნველობას იჩენდა ის სასკოლო სახელმძღვანელოთა შედგენისა და გამოცემის საქმეში; მან შეადგინა და გამოსცა „ართმეტრიული გამოცენები სახალხო სკოლებისათვის“, „ქართული ანბანი ოჯახში და სკოლაში საშარებლად“, „ხედავოგვია და ფსიქოლოგია, პრაქტიკული სახელმძღვანელო მშობელთა და მასწავლებელთათვის“, „საფუძვლები ზნეობრივი აღზრდისა ჩვენს ქვეყანაში“, „ნერვა ანუ ქართული წერა-კითხვის შესასწავლად სრული სახელმძღვანელო“ და სხვ.

ივ. როსტომაშვილის სახელმძღვანელობისა და სწავლების იდეების შესახებ ხშირად იყო კამათი, ამართებოდა პაექრობა, როგორც საბაქოვო მასალებიდან ჩანს, ერთ ასეთ პაექრობას დასწრებია ი. ჭავჭავაძე, რომელიც როსტომაშვილის შესახებ წერდა: „ჩემის ფიქრით, ცოდვია ასე თუ ისე თვალი და ყური არ ათხოვოს კაცმა ამ მან როსტომაშვილის მიერ გამოთქმულ დღდა-აზრსა და თავის სასწორზე არ ასწრდის-წონოს ან საპოვდ, ან საბაქოდ. ამისთანა ძარღვიანმა აზრმა ვანქოთხავად არ უნდა ჩაიბროს, თუ ჰქუა ჰქუობს და გული გულობს სადმე“.

დაუფასებელია ივ. როსტომაშვილის ღვაწლი აგრეთვე საპედაგოგიკური ლიტერატურის განვითარების საქმეში. მან შეადგინა და გამოსცა 35-დღე საუკეთესო მოთხრობა და ზღაპარი, რომლებსაც საფუძვლად დაედო ხალხში შეგროვილი ლეგენდები, ზღაპრები და მოთხრობილი ამბები, ასეთებია „მეფე ლამიანა“, „მებადურის შვილი“, „თაგუნია-ქალი“ და სხვ., რომლებიც დღესაც ხალხით იკითხება და არ დაუკარგავთ აღსარდულობითი მნიშვნელობა.

ჯავახეთიდან თელავში დაბრუნების შემდეგ იწყება ივ. როსტომაშვილის მუდმივი თანამშრომლობა „ღრობაში“, „კვალში“, „ივერი-ში“, და სხვ. იმ დროს თთქმის არ წამოჭრილა ჩვენში არც ერთი პტიკონული საკითხი, რომელსაც მისი მადლიანი კალამი არ შეხებოდეს. წერდა სტუდენტებს ფსიქოლოგიით: „კახო-კახორი“, „ვანო“, ივ. როსტ.“ და სხვ. თელავში მისი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრძოლა ჩარჩ-ვაჭრებთან, რომელთა ასალაგმავად მან დააარსა საზოგადოებრივი საეპკორო — „დუბის“ სახელწოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა კოოპერატიული ვაჭრობის დანერგვას. მისივე ინიციატივით დაარსდა სახალხო, ბანკი და მთელი რიგი კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომელთაც ივ. როსტომაშვილი ერთგულ დარჩაღად ედგა.

1894 წლიდან თბილისში საბოლოოდ დასახლების შემდეგ, ივ. როსტომაშვილი ხელს კიდევს პოპულარულ, ხალხისათვის მეტად საჭირო პატარ-პატარა წიგნების გამოცემას, რომელ-

საც უფრო ხელისმომწერით აგრეცელებდა ხალხში. ის ყოველთვის პირნათლად მზრუნველობდა ნაქის ვალდებულებას ხელმძღვანელობაში, რასაც ადასტურებს თუგინდ „კვალში“ მოთავსებული ცნობა: „ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები: „1) „სწავლა განათლება და მისი ისტორია, 2) „უცის ვინაობა მოვლა-მოწყენა“: წიგნაკები გამოცემულია ივ. როსტომაშვილის მიერ სუფთად და რიგაინათ, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე გამოცემები. ი. როსტომაშვილის სულ 18 წიგნი გამოუცია წელს და ამით მთავრდება მისი დაბრუნება“. და უნდა ითქვას, რომ წელიწადში 18 სახელწოდების წიგნის გამოცემა, რაივ პატარა მოცულობისა არ უნდა ყოფილიყო თითოეული მაშინდელ მძიმე სასტამბო პირობებში, ძალიან დიდ საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ ასეთი დაუღალავი და ტემპერამენტური კაცის ხელით უვლადური აღვირად და სწრაფად კეთდებოდა. ტყველი კი არ წერდა „ცნობის ფურცელი“, რომ „პატივცემული როსტომაშვილის ხელში საქმე ჩვეულებრივ კი არა, თითქო ედისონის ელექტრონული მანქანებით კეთდება... ის არა თუ თავის თავს არ მთარბენენებს, სხვისაც მთარბის სცემს: ჩემსავით გაიქეთითი!“

ფრნალ-გაზეთების სიყვარულით ვატყუბულმა ივ. როსტომაშვილმა დააარსა აგრეთვე ცნობილი პოპარესული ფურნალი „მოგზაური“, რომელიც გამოდიოდა 1901-1904 წლებში, ხოლო 1910 წელს — იაფფასიანი (ღირდა 2 კაპ) გაზეთი „სინათლე“, რომლის ფურცლებზეც ხშირად თავსდებოდა ჩვეოლციური შინაარსის წერილები. გამოთავისუფლებული იდეებით გამსჭვალულმა ივ. როსტომაშვილმა „სინათლის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსა მეთაერი სახელწოდებით — „ერთობა ღვთაება — პატივი მისს“, რის გამო გაზეთი დახურეს, ხოლო ვის გამოცემელ-რედაქტორს მეტეხის ციხეში უკრეს თავი. დიდის ეპი-ვატახით და თავისი გაველნიანი ნათესავების წყალობით 63 წლის მოხუცმა მოღვაწემ ძლივს დააწაჟა თავი სამედამო კატორიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აღფრთოვანებით შეხვდა ივ. როსტომაშვილი. „არაღამ ამ დღეს მოვესწარ, აწი მოვედე აღარ შენაღებებო“, უთქვამს როსტომაშვილი თავის თანამოკალმე და თანამებრძოლ ი. იმედოშვილისათვის, რომლის მოგონებაში ივ. როსტომაშვილზე დაცულია სახალხო განათლების მუხტემში.

ასეთია სულ მოკლე ამ „არამეულებრივი ნიქისა და ეპიქონ სინდისის“ მქონე უანჯარო აღამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამიტომ იყო, რომ 35 წლის წინათ მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდ პატივისცემითა და მწუხარების გრწმობით მიაბარა ივ. როსტომაშვილი ქართველ მოღვაწეთა დიდების პანთეონის მიწას.



ქანორ ჩაკვიანი



## ღვინის მსხვილი მემწველობის შემხნა საბჭოთა სამართველოში

### 1. ღვინის მემწველობის ორი საწყისი

ვენახების წერილგლეხური საკუთრება განსაზღვრავდა წარსულში მეღვინეობის ხასიათსაც: იგი უმთავრესად შინაური წარმოების ფორმას ატარებდა და შინამრეწველობის დონემდეც მხოლოდ სავაჭრო მეღვინეობის რაიონებში ამაღლდა. მეღვინეობის ტექნიკა ორივე შემთხვევაში, ტრადიციული რჩებოდა. არ იცვლებოდა ღვინის დაყენების საუკუნეობით გამომუშავებული ტექნოლოგიაც. ყველა ამის მიზეზი იყო რევოლუციამდელი საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობა და წერილი წარმოების შეზღუდული სამეურნეო შესაძლებლობანი, მისი უუნარობა ღრმა ტექნიკური გარდაქმნებისადმი.

ამით სრულებითაც არ გვინდა ვთქვათ, რომ ქართული მეღვინეობის ტექნიკასა და ტექნოლოგიას არაერთი ღირსებები არ ჰქონდა. პირიქით, ხანგრძლივი ისტორიული პრაქტიკის შედეგად ქართველმა ხალხმა შეიმუშავა შინაური წარმოების პირობებისათვის სავსებით შესაფერი და წერილი მწარმოებლისათვის ხელმისაწვდომი სამეღვინეო ინვენტარი და ღვინის დაყენების წესები. მეღვინეობის ქართული წესები იმითაც გამოირჩევიან, რომ უზრუნველყოფენ ნამდვილი, ბუნებრივი ღვინის დამზადებას. ასეთ ღვინოს

კი ყოველი მომხმარებელი დიდად აფასებს. ეს თვისი, სხვათა შორის, წამოაყენა და ბრწყინვალედ დაასაბუთა ჯერ კიდევ მძიან წლებში დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ.

იმ ხანებში ზოგიერთმა სპეციალისტებმა საქმის შეუსწავლელად და სრულიად უსაფუძვლოდ იწყეს ქართული მეღვინეობის განქიქება. ამ არამკითხველ „კრიტიკოსების“ საპასუხოდ ილიამ 1887 წელს „ივერიაში“ გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია „ღვინის ქართულად დაყენება“, რომელსაც მეგრძოლი სტილით გადმოცემული საგნის ღრმა მეცნიერული ანალიზი განსაკუთრებულ ადგილზე აყენებს მთელს ჩვენ ძველ პუბლიცისტიკაში. მონოგრაფიაში ურყევი საბუთებითაა დამტკიცებული, რომ ქართული მეღვინეობა შეუფარდებოდა მაშინდელი სქართველოს ეკონომიურ პირობებს, რომ მისი ცხოველმყოფელობის მიზეზები „საეკონომიო მიზეზნი არიან და, მათსადამე, ისეთნივე გარდაუვალნი, როგორც თვითონ ბუნების მოთხოვნნილებანი.“<sup>1</sup>

ღვინის დაყენებისა და დამკვლეები-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 123. საგულისხმოა, რომ ი. ჭავჭავაძის ეს შესანიშნავი დორმულირება უახლოვდება მარქსიზმის შეხედულებას ეკონომიური კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ.



სათვის, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭურჭელს. ზოგიერთებს ქართული მეღვინეობის უდიდეს ნაკლად მიაჩნდათ ქვევრების გამოყენება. მათ არ ესმოდათ ან ავიწყდებოდათ, რომ მეღვინეობის წვრილი მეურნეობებისათვის, რომელთაც კაპიტალური სარდაფების აშენების ძალა არ შესწევთ, ქვევრი ყველაზე უფრო შესაფერი ჭურჭელია ღვინის დასადუღებლად და შესანახად. ცნობილია, რომ მაღალი ტემპერატურა და საერთოდ ტემპერატურის ცვალებადობა იწვევს ღვინის გაფუჭებას. მიწაში ჩაფლულ ქვევრში კი ღვინო უფრო დაცულია ტემპერატურის გავლენისაგან, ვიდრე ზის კასრში. ამიტომაც, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, ევროპაში, სადაც მეღვინეობაში თითქმის ყველგან კასრებს ხმარობენ „...მარანს, ანუ სარდაფს, აკეთებენ იმ წინდახედულობით, რომ ღვინის ჭურჭელი ხსენებულს განსაცდელს მოაშორონ, და ჩვენ კი თვითონ ჭურჭელს ღვინისას ვაყენებთ იმ მდგომარეობაში, რომელზედაც იმ განსაცდელს ხელი არ მიუწვდებათ.

ჩვენი კარგი ქვევრი, იმით, რომ თითქმის ქვად ქცეულ თიხისაა და მიწაში ჰზის, სწორედ იმ სამსახურს გვიწევს, რასაც კარგი სარდაფი, ანუ მარანი ევროპელს.<sup>2</sup> ამრიგად, ქვევრი ერთსა და იმავე დროს ასრულებს კასრისა და სარდაფის მავიერობას.

ცხადია, ი. ჭავჭავაძე არ ფარავს და, მით უმეტეს, არ იცავს ქართული მეღვინეობის ნაკლოვანებებს და სრულუბითაც არ გამოდის სასარგებლო სიახლეთა შემოტანის წინააღმდეგ. ის მხოლოდ ხაზს უსვამს იმ დადებით მხარეებს, რაც ღვინის დაყენების ქართულ წესს აქვს და განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ამ წესით გაკეთებული ღვინო ნამდვილია, „ბუნებურია“. ამვე დროს ილია მთელი თავისი ფართო ერუდიციისა და ურყევი ლოგიკის ძალით ანადგურებს იმათ, ვინც საქმეში ჩაუხედა-

ვად, ყურმოკრული ამბების გამეორებით უეარგისად აცხადებს ქართული მეღვინეობის ყველა ზერზმასა და საწარმოო ინვენტარს.

ერთგვარი ეპვი გამოთქვა ქვევრის მიმართ პროფესორმა ვ. პეტრიაშვილმაც თავისი დროისათვის შესანიშნავ შრომაში „ღვინის დაყენება“. იგი ფიქრობდა, რომ ქვევრი სულ შესაფერისი ჭურჭელი არ არის ღვინის დასამწიფებლად და დასამკვლევლად. „ყველაზე დიდი ნაკლუდევანება ამ ჭურჭლისა, — წერდა ვ. პეტრიაშვილი, — იმაში მდგომარეობს, რომ იმას ძალიან განიერი, ფართო პირი აქვს და, მასასადავს, იმის გერმეტული დახურვა იმ პირობით, რომ მუდამ საესე იყოს, შეუძლებელია... ღვინის მომწიფების დროს [კი] შესანახავი ჭურჭელი მუდმივ გავსებული უნდა იყოს.“<sup>3</sup> მიწაში ჩაფლული ქვევრის სხვა ნაკლად პროფ. პეტრიაშვილს ის მიაჩნდა, რომ ასეთ პირობებში მისი კედლების ფორების საშუალებით ჰაერი სათანადოდ ვერ იმოქმედებს შიგ მოთავსებული ღვინის დამწიფებაზე და აგრეთვე ამ ფორების მეშვეობით შეიძლება მოხდეს ერთგვარი იდიფუზია მიწასა და ღვინოს შორის.

პროფ. პეტრიაშვილი ამ მოსაზრებებს, რასაცვირველია, საბოლოოდ არ თვლიდა. პირიქით, იგი თავის შრომაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამ გამოკვლევა არის საჭირო.“<sup>4</sup>

საკითხი მეღვინეობის ქართული წესებისა და ინვენტარის შესახებ შემდგომშიაც არა ერთხელ წამოჭრილა. რუსეთის ბაზარი მოითხოვდა უმთავრესად ევროპული წესით. დაყენებულ ღვინოებს, რომელთაც ნაკლები ტანინი და ნაკლები სიმყავე ექნებოდათ. ამასთან დაკავშირებით აყენებდნენ ღვინის წარმოების ტექნოლოგიაში გაუმჯობესებათა შეტანის წინადადებებს. ბევრი ლაპარაკი იყო ამ საკითხზე კახეთის

<sup>3</sup> პროფ. ვ. პეტრიაშვილი, ღვინის დაყენება, თბ., 1895, გვ. 200

<sup>4</sup> იქვე, გვ. 201.



მევენახეთა ყრილობაზედაც, რომელიც 1899 წელს შედგა. მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არაფერი შეცვლილა და ღვინის თანამედროვე, საბჭოთა მრეწველობის შექმნამდე ღვინის წარმოებაში გამოყოფილებივ ბატონობდნენ ქართული ადგილობრივი წესები.

ი. ჭავჭავაძის ნაშრომის გამოქვეყნებიდან 27 წლის გასვლის შემდეგ, 1914 წელს, იმავე საყვედურით მიმართავდა ზოგიერთ სპეციალისტს საქარის სანერგის გამგე ა. დემენტიევი. „ის პირები, ვისაც მეღვინეობის დარგში სპეციალური განათლება მიუღიათ, — წერდა იგი, — ჩვეულებრივად სრული უნდობლობით ეპყრობიან მეღვინეობის ხერხებს, რომლებსაც უხსოვარი დროიდან იყენებენ ამიერკავკასიის მხარეში. მიაჩნიათ რა ყველა ეს ხერხები უვარგისად, ჩვენი სპეციალისტები თავსაც არ იწუხებენ მათ შესასწავლად.“ შემდეგ დემენტიევი აღნიშნავს, რომ ღვინის დაყენების ქართული წესის ერთ-ერთი დადებითი მხარეა ქვევრების გამოყენება. „ქვევრების სიიაფემ, — განაგრძობს ის, — როგორც შეძენისას, ისე ექსპლოატაციის დროს, მაიძულა მიმეჭკვია მათთვის ყურადღება; და როცა ისინი კარგად შევისწავლე, იმ დასკვნამდე მივდი, რომ ზოგიერთი გაუმჯობესების შემდეგ ქვევრებს, როგორც ღვინის დასადუღებელ ჭურჭელს, შეუძლიათ დააკმაყოფილონ უადრესად მომთხოვნი მეღვინე... დუღილი ქვევრში მიმდინარეობს უკეთ და უფრო სრულად, ვიდრე კასრებში... და ქვევრებში დადუღებული ღვინოები შეიცავენ გაცილებით მეტ სპირტსა და ნაკლებ სიმკვავეებსა და დაუდულარ შაქარს, ვიდრე კასრებში დადუღებული ღვინოები“<sup>5</sup>.

ამავე დასკვნამდე მივიდა ექსპერიმენტის გზით მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქიმიკოსი — ენოლოგი და შემდგომში ცნობილი საბჭოთა მეცნიერი

კ. მოდებაძე. „იმ ციფრობრივი მონაცემების შედარებით, — ვგითხოვრებთ მის სტატიაში, — რომლებიც ასახავენ ტბილის ფიზიკური და ქიმიური ცვალებების სურათს ქვევრებში და კასრებში დუღილის დროს, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროცესი, რომელზედაც უმთავრესად დამოკიდებულია ღვინის მთელი შემდგომი ბედი, სახელდობრ დუღილი, უფრო თანაბრად მიმდინარეობდა ქვევრში, ვიდრე კასრში“<sup>6</sup>. ქვევრში დადუღებული ტბილიდან მიღებული ღვინო შეიცავდა კ. მოდებაძის მიერ მოხდენილი ანალიზის თანახმად ნაკლებ შქროლავ სიმკვავებს, ნაკლებ შაქარსა და მეტ ალკოჰოლს, ვიდრე იმავე ტბილის კასრში დადუღებით მიღებული ღვინო.

ღვინის ხანგრძლივად შესანახად კი, ამერიკული ვაზების საქარის სანერგის მუშაკების აზრით, ქვევრები უფრო გამოუსადეგარი აღმოჩნდნენ: ზაფხულის ცხელ ამინდში ღვინო მათში ხშირად იქანგებოდა. მაგრამ წვრილგლებური მეღვინეობისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა: ხელმოკლე გლებები თავის ღვინოს ჩვეულებრივად ზაფხულის დამდეგამდე ასაღებდნენ.

ეს მოკლე მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ ტრადიციულ ქართულ სამეღვინეო ტექნიკას მართლაც ის მთავარი ღირსება აქვს, რომ იგი, ჯერ ერთი, კარგად შეესაბამება წვრილი წარმოების მოთხოვნილებას და მეორეც, უზრუნველყოფს ნამდვილი, ბუნებრივი ღვინის დაყენებას. მაგრამ ასეთ ბაზაზე შეუძლებელია მსხვილი სოციალისტური მეურნეობის წარმოება: ეს ტექნიკა აუარებელ შრომას მოითხოვს და დიდად ზღუდავს მექანიზაციის გამოყენებას. მისი შემწეობით, მეორე მხრით, შეუძლებელია ღვინოების განსაზღვრული მყარი ტიპების გამომუშავება სამრეწველო მასშტაბით. ხოლო ეს აუცილებელი პი-

<sup>5</sup> Труды лаборатории при Сакарском штормнике американских лоз, вып. VII, Т., 1914, стр. 47, 57.

<sup>6</sup> Там же, стр. 67.

რობაა მათი შეუფერხებელი რეალიზაციისათვის, ვინაიდან მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამა თუ იმ სახელწოდების ღვინოს მუდამ დაახლოებით ერთი და იგივე თვისებები ახასიათებს. დასასრულ, ქართული ძველი სამეღვინეო ტექნიკა ვერ უზრუნველყოფს ღვინის ხანგრძლივად შენახვას და დამკვლევას; უამისოდ კი შეუძლებელი იქნებოდა სრულად გამოიქვლივებულიყო ყველა ის ღიდი პოტენციალური ღირსებები, რომლებიც საქართველოში მეღვინეობის საუკეთესო რაიონების ღვინოებს აქვთ.

გაუმჯობესებას მოითხოვდა ღვინის დაყენების საქმეც. ღვინის წარმოებაში შესანიშნავი ქართული წესების გვერდით უნდა დანერგულიყო აგრეთვე საერთო ევროპული ტექნოლოგია. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიპყრდნენ ქართული სუფრის ღვინოები მათთვის შესაფერადგის ამ ტიპის ღვინოებს შორის საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა საქართველოს ღვინის მსხვილი მრეწველობა უარს ვერ იტყოდა ძველი ქართული მეღვინეობის მდიდარ მემკვიდრეობაზე, მაგრამ მარტო ამ მემკვიდრეობის ბაზაზე მისი აგება შეუძლებელი და მიზანშეუწონელი იქნებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო ღვინის მოწინავე ევროპული ტექნოლოგიით წარმოების პრაქტიკული გამოცდილება და სპეციალური მანქანებისა და საერთოდ სასარდაფო მეურნეობის მინიმუმი, რომლებიც გახდებოდნენ გამოსავალ წერტილად ღვინის თანამედროვე მრეწველობის შექმნის საქმეში. ამ მხრივ რევოლუციამდელ საქართველოში ყველა სხვა მეურნეობებთან შედარებით მეტი გამოცდილება დააგროვეს და უკეთესი ტექნიკური ბაზა შექმნეს ყოფილი საუფლისწულო უწყების მამულებმა. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გადასვლის შემდეგ ამ მამულების მეურნეობა საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ სახელმწიფო ღვინის მრეწველობას.

## 2. საუფლისწულო უწყების მამულების როლი რამეთუღვინეობის საქართველოს მეღვინეობის განვითარებაში

### ა) საუფლისწულო მამულების შექმნა

1886 წელს საუფლისწულო უწყებამ შეიძინა თავად დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძის მამულები შიგნი-კახეთში და ამდროიდან ხელი მოჰკიდა საქართველოში თავისი მეღვინეობის მოწყობის საქმეს. შექმნილი მამულების საერთო ფართობი აღემატებოდა 13 000 დესეტინას, საიდანაც 11 000 დესეტინაზე მეტი ტყეს ეკავა, ხოლო დაახლოებით 2 000 დესეტინა ნათესებს და კარმიდამოებს. სულ ამ სავარგულების და მათზე მოთავსებული ნაგებობებისა და ნარგავების საფასურად დ. ჭავჭავაძის მემკვიდრეებს საუფლისწულო უწყებამ 1 050 000 მანეთი გადაუხადა<sup>7</sup>.

საარქივო მასალები საშუალებას არ იძლევიან განესაზღვროთ, თუ რა ფართობი ეჭირა ვენახს დ. ჭავჭავაძის მამულებში გაყიდვის მომენტში. ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტებში ცალკე ნაჩვენებია მხოლოდ ურიათუბნის ვენახი—21 დესეტინა და მუკუზნისა — 54 დესეტინა, წინანდალში, ნაფარეულში და ზეგანში არსებული ვენახები კი სხვა სავარგულებიდან გამოყოფილი არ არის. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით სხვა წყაროდან, რომ მარტო ნაფარეულში დ. ჭავჭავაძის ვენახს 300 დესეტინაზე მეტი ეკავა ერთ ნაკვეთად. ამ მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დ. ჭავჭავაძის იმ მამულებში, რომლებიც საუფლისწულო უწყების ხელში გადავიდა ვენახებს 450 დესეტინამდე, ანუ 490 ჰექტარამდე ფართობი ეკავათ.

ახალი მეპატრონისათვის გადაცემული სპეციალური შენობებისა და სამეღვინეო ინვენტარის უზრალო ჩა-

<sup>7</sup> საქართველოს სსრ ცენტ. სახ. ისტორიული არქივი, ფონდი, 34-ბ სა-მე 437, ფ. 34—37, აგრეთვე „Столетие уделов 1797—1897“, СПб, 1897, стр. 83.

მოთვლაც კი გვარწმუნებს, რომ დ. ჰავე-  
ჰავაძის მეურნეობაში მეღვინეობა ფარ-  
თო მასშტაბით წარმოებდა. გაყიდვის  
მომენტში თავადის მამულებში ირი-  
ცებოდა: ქვიტყირის მარანი — 9, ხის  
მარანი — 2, საწნახელი (ნავი) — 15,  
ქვეერი — 371<sup>8</sup>. გადაცემული ინვენტა-  
რის სიებიდან, სხვათა შორის, ჩანს,  
რომ, დ. ჰავეჰავაძის მამულებში ღვინოს  
მხოლოდმხოლოდ ადგილობრივი, კა-  
ხური წესით აყენებდნენ. ხის ჭურჭელი,  
სპეციალური მანქანები ან რაიმე გაუმ-  
ჯობესებული ტექნოლოგიური მოწყო-  
ბილობა ამ სიებში მოხსენებული არ  
არის.

საუფლისწულო უწყება, ცხადია, მარ-  
ტო დ. ჰავეჰავაძის მამულების ყიდვით  
არ დაკმაყოფილებულა. იგი შემდგომაც  
განაგრძობდა მიწების შეძენას საქარ-  
თველოში. ყველაზე დიდი მამული მან  
1891 წელს იყიდა. ეს იყო თავად ალ.  
ჯამბაკურ-ორბელიანის მიწის მასივები  
თბილისისა და ბორჩალოს მაზრაში  
24164 დესეტინა საერთო ფართობით.  
თვითნებულ დესეტინა სავარგულში ჯამ-  
ბაკურ-ორბელიანმა მიიღო 29 მან. და  
97 კ., ხოლო სულ — 723 984 მან. და  
50 კაპ. 9. ამავე წელს საუფლისწულო  
უწყებამ შეიძინა აგრეთვე თბილისის  
გუბერნიაში თავად სეიატოპოლკ-მირს-  
კის მამული, რომელიც 20 851 დესეტინ-  
ის მოიცავდა. სულ კი საუფლისწულო  
უწყებამ „1865-დან 1897 წლამდე თბი-  
ლისის გუბერნიაში იყიდა 61 894 დეს.  
ვარგისი და გამოუსადეგარი მიწა დესე-  
ტინა 80 მანეთად (1881 — 1890) და 37  
მანეთად (1891 — 1896)“<sup>10</sup>.

ახალი მიწების შეძენა საუფლისწულო უწყე-  
ბისათვის ძალიან არ იყო. ქართველი თავადები  
პირდაპირ ზელში სწრიდნენ ამ გულზე მყოფ-  
ველს თავიანთ მამულებს. ამ მხრივ დამახასია-  
თებელია თავად მიხეილ ჰავეჰავაძის მაგალითი.

1895 წელს მ. ჰავეჰავაძემ საუფლისწულო  
უწყებას საფილად შესთავაზა თავისი ტყეები

და კარმიდამო, რომელიც წინააღმდეგ საუფ-  
ლისწულო მამულის გვერდით მდებარეობდა.  
წინააღმდეგობის მიუხედავად მან სწრაფად უწყე-  
ბის მთავარ სამმართველოს მამულებში შე-  
იქმნა, რომ ჰავეჰავაძის ტყე არავითარ ღირებუ-  
ლებას არ წარმოადგენს და მისი შეძენა საპრო-  
ბო არ არის. „რაც შეეხება თავადის კარმიდამო-  
სო, — წერდა ბლანკი, — მისი ნახევრად დან-  
გრეული საძაგელი სახლი, რომელიც წინააღ-  
მდეგობის პარკის საზღვარზე დგას, მართლაც აფუ-  
ქებს წინააღმდეგობის საერთო ხედს და სწორედ  
იმისთვის, რომ ეს სახლი დაეანგრიოთ, სასურ-  
ველი იქნებოდა კარმიდამო შეგვეძინათ“. მან-  
რამ ჰავეჰავაძემ განაცხადა, რომ „12 ათას მან-  
ეთზე ნაკლებად კარმიდამოს არ გაუიღო...  
მოლაპარაკებლად ჩანს, რომ იგი დიდ იმედს  
ამყარებს საუფლისწულო უწყების ქველმოქმე-  
დებზე და ამ პირის მხარდაჭერაზე, ვისაც მან  
წერილი გაუგზავნა“.

შემდგომი მიმართებით ბლანკი სამმართველოს  
უწყებას, რომ ჰავეჰავაძის საეზოვე შიშის ნამ-  
დელი იყო 500 მანეთია, „ხოლო შენობები  
სულ არაფრად ღირან“, რადგან ნაგები არიან  
რგვალი ქვით, რომლის ღირებულება იქვე ჩამ-  
დინარე კისისხევის რივიდან ვადმოზღვის  
ხარჯით განისაზღვრება, ხის ნაწილები კი  
იმდენად დამპალია, აუკვლავ შენობებს დატყე-  
ვის საფრთხეში აყენებენო.“ დაბოლოს ბლანკი  
თანხმდება ეს შენობებიც 300 მანეთად შეაფა-  
სოს და თან დასძენს: „ნაკლები არ დაჯდება  
მათი დანგრევა“, რადგან კირით ნაგები ძველი  
ქვის ფედლების დარღვევა ადგილობრივი კირის  
თვისებების გამო უდრებსად დიდ სიმწირეს  
წარმოადგენსო“.

მაგრამ ჰავეჰავაძეს არ გაუმართლდა საუფ-  
ლისწულო უწყების მოხელეთა ქველმოქმედე-  
ბისა და ესთეტიკურ გრძნობებზე და თავისი  
პროტექტორის ვალენაზე დამყარებული იმე-  
დები. 1896 წლის 8 იანვარს მას „სრული პა-  
ტივისცემითა და ერთგულებით“ აცნობეს, რომ  
მისი მამულის შესყიდვის წინადადება „უარყოფილ  
იქნა“<sup>11</sup>.

ჯამბაკურ-ორბელიანისაგან შეძენი-  
ლი მიწების ერთ-ერთ საუკეთესო მა-  
სივზე საუფლისწულო უწყებამ მოაწყო  
გიაურ-არხის მამული, სადაც მთავარი  
დარგი მევენახეობა იყო. ამას ისიც უნ-  
და დაეუმატოთ, რომ შემდგომში მის  
ხელშივე გადავიდა ი. კ. მუხრან-ბატონ-  
ის ცნობილი მეურნეობა მუხრანში და  
შეიქმნა საუფლისწულო მამული სოფ.  
ვაქეში, შორაპნის მაზრაში.

<sup>8</sup> საქართველოს სსრ. ცენტრ. სახ. ისტ. არქივი, ფონდი 34-ს, საქმე 437, ფ. 34 — 37.

<sup>9</sup> იქვე, საქმე 361, ფ. 106.

<sup>10</sup> История уделов за столетие их существования, т. I, СПб, 1902, стр. 207.

<sup>11</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. ისტ. არქივი, ფონდი 361, საქმე 27, ფ. 33 — 39.

ამრიგად, საქართველოში საუფლისწულო უწყებას თავისი მამულები ჰქონდა მევენახეობის თითქმის ყველა ძირითად რაიონებში. მაგრამ ამ მამულებიდან მეღვინეობის განვითარებაში დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კახეთის საუფლისწულო მამულებმა. ჩვენც ამიტომ მოკლედ გავეცნობით მათი საქმიანობის ისტორიას.

1905 წლამდე საუფლისწულო უწყების მეურნეობები კახეთში გაერთიანებული იყვნენ ერთ მამულად, რომელსაც კახეთის საუფლისწულო მამული ეწოდებოდა. მამულის სამმართველო წინანდალში იყო მოთავსებული. 1905 წელს კახეთის საუფლისწულო მამული წინანდალის, მუკუხნის და ნაფარეულის მამულებად გაჰყვეს.

1890 წლის აღწერით კახეთის საუფლისწულო მამულის მიწის ფონდი 13 770 დესეტინას უდრიდა. ამ ფართობიდან 10 785 დეს. ეჭირა ტყეს, 1 195 დეს. ნათესებს, 25 დეს. კარმიდამოებს და 477 დეს. ვენახებს. ამასთან ვენახებში ვაზებით დაკავებული იყო 360 დეს.

1887 წლიდან მამულის აღმინისტრაცია შეუდგა ახალი ვაზის გაშენებას დაღუპული ვენახების აღვილზე და ძველი ნარგავების შევსებას. 1890 წელს ახლად გაშენებულ ვენახებს უკვე 221,15 დეს. ეკავათ, ძველი ვენახების ფართობი კი 150 დეს. არ აღემატებოდა<sup>12</sup>.

შემდგომში კახეთის საუფლისწულო მამულებში დაღუპული და გადაბერებული ვენახების ნაცვლად ახალს აშენებდნენ, მაგრამ ვენახის საერთო ფართობი თითქმის უცვლელი რჩებოდა. კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის ანგარიშის მიხედვით, 1910 წელს კახეთში საუფლისწულო ვენახებს ეჭირათ 343,19 დეს., აქედან: წინანდალში — 100,16 დეს., ეტუხანში — 128 დეს. და ნაფარეულ-

ში — 115,03 დეს.<sup>13</sup> 1918 წელს, მას შემდეგ, რაც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ საუფლისწულო უწყება სხვა ფეოდალურ გადმონაშთებთან ერთად ისტორიის სანაგვეზე გადაუძახა, კონტრრევოლუციური ამიერკავკასიის კომისარიატი იძულებული შეიქნა საუფლისწულო მამულები ე. წ. სამხარეო საადგილმამულო კომიტეტის გამგებლობაში მიეღო. მამულების მისაღებად გამოყოფილი კომისიის აქტებიდან ჩანს, რომ 1910 წელთან შედარებით ვენახების ფართობი იქ რამდენადმე შემცირებულა და 1918 წლის გაზაფხულზე 341,4 დეს. უდრიდა.<sup>14</sup>

როგორც ცნობილია, უკვე გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ოფიციალური ორგანოები და პირები უნდობლობით ეპყრობოდნენ ქართველ გლეხობას, რომელსაც, მათი აზრით, თითქოს არ შესწევდა სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების განვითარების უნარი. ამ საფუძველზე მეფის ბიუროკრატია ადგენდა და ნაწილობრივ კიდევაც ახორციელებდა საქართველოში გერმანელი და სხვა კოლონისტების ჩამოსახლების პროექტებს. თავის უნდობლობას მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები ვაზის ადგილობრივ ჯიშებზედაც აერცვლებდნენ. ისინი ცდილობდნენ ხელაღებით შეეცვალათ ქართული ვაზები ევროპული ჯიშებით და ამით დაეძლიათ ქართული ღვინოების ვითომდა „უხეშობა“.

სამაგიეროდ მეფის მთავრობა ნდობით მოსავდა და წყალობით ავსებდა ზვენიმ ბედის საძიებლად ჩამოსულ სხვადასხვა ჯურის ევროპელ ვიწინდარებს. ამ მხრეს ტიპიურია ბარონ ლონგილის მაგალითი. მეფის ხელისუფლებამ მას სოფ. ქოჯნარში, ქეთაისის ახლ. უფასოდ გამოუყო მიწა მამულის მოსაწყობად. ლონგიელს უნდა გაეშენებია სანიმუშო ვენახი და თავისი მაგალითით „აემაღლებია“ მევენ-

<sup>12</sup> იქვე, სექცე 244, ფ. 11.

<sup>14</sup> საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრ. საბ. არქივი, ფონდი 134, სექცე, 4 ფ. 79-82.

<sup>12</sup> იქვე, ფონდი 351, სექცე 2, ფ. 1 და 2.

ხეობის კულტურა ადგილობრივ მოსახლეობაში. ამასთან ლონგეილის მთავარი ვალდებულება იყო ვაზის ვეროპული ჯიშების შემოტანა და გავრცელება მაგრამ, როგორც მისი ერთ-ერთი თანამედროვე გეაუწყებს, ლონგეილმა, რომელიც „მთავრობისაგან ლეზულობდა სუბსიდებს მხარეში ვაზის საუკეთესო სახეების დასანერგავად ადგილობრივ მკვიდრთათვის ნერგის უფასოდ დარიგების გზით, მოასწრო მიცემული ფულის ანგარიშზე თავისი ფერმის ასე თუ ისე მოწყობა და პარისში გამგზავრება; მერმე კი სული პატრონს ჩააბარა, ასე რომ მიცემული ფული მხარისათვის წყალში გადაყრილი შეიქნა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიჩვენა, რომ შეეცაზებობის საქმეში ლონგეილი თერმე სრულად უმეცარი ყოფილა.“<sup>15</sup>

30 წლის მანძილზე კახეთის საუფლისწულო მამულების ვენახების ჯიშობრივ შემადგენლობაში მომხდარმა ცვლილებებმა ასახეს ამ შეხედულებათა თანდათანობითი გაქარწყლება და საბოლოო კრახი.

1896 წლისათვის კახეთის საუფლისწულო მამულში გაშენებული იყო შემდეგი ვეროპული ჯიშები: კაბერნე — 23,06 დეს., გამე — 13,5 დეს., რისლინგი — 11,2 დეს., პინოს ჯგუფის ვაზები — 11,2 დეს. ამავე დროს 8 დესეტინა ეკავა სხვადასხვა ამერიკული ჯიშის ვაზს.<sup>16</sup> 1910 წლის მონაცემებში უკვე სულ აღარ ჩანან გამე, პინოს ჯგუფი და ამერიკული ჯიშები. რისლინგი თუმცა შემონახულა, მაგრამ მას თითქმის სამჯერ ნაკლები საშუალო მოსავალი მოუცია დესეტინაზე, ვიდრე მის მეტოქეს რქაწითელს. კაბერნეს ფართობი 26,6 დესეტინამდე გაზრდილა.<sup>17</sup>

რისლინგი კახეთში არა მარტო მცირე მოსავლით ხასიათდებოდა, არამედ ღვინოსაც მისთვის უჩვეულო დაბალი ხარისხისას იძლეოდა. რაც შეეხება

კაბერნეს, იგი კახეთისათვის მეტად ძვირფასი ჯიში გამოდგა: იძლევა თელიანის მარკით ცნობილ შესანიშნავ, წითელ ღვინოს. მაგრამ კაბერნე მხოლოდ აესებს და ამდიდრებს ვაზის სამრეწველო ჯიშებს საქართველოში. ის სრულებითაც არ ჩაითვლება კონკურენტად საფერავისათვის, რომლის ვეროპული წესით დაყენებული და დამკვლავებული წითელი ღვინო ხარისხით თელიანის თანაბარია და ამავე დროს ნამდვილად ორიგინალური, ქართული. მოსავლიანობით კი საფერავი კაბერნეს ბევრად სჯობნის.

ფილოქსერის გამოჩენასთან დაკავშირებით, 1910 წელს კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი უწყების მთავარ სამმართველოში წარდგენილი პატაკით ნებართვას ითხოვდა გაეშენებია ახალი ვენახები ამერიკული საძირეებით „იმ ფართობზე, სადაც ახლა ვეროპული ჯიშებია, რომლებიც ძლივს ჯახირობენ ნაფარეულში და იძლევიან სულ უმნიშვნელო მოსავალს...“ „ამერიკული ვაზების არსებულ სანერგეს, — განაგრძობდა იგივე მოხელე, — ამჟამად შეუძლია მოგვეცეს მასალა ყოველწლიურად 10 დეს. ვენახის ჩასაყრელად და ამრიგად, უახლოეს 3 წელიწადში მამულს 27 დეს. საცოდავი, უშემოსავლო ვენახის ნაცვლად უხვად მსხმოიარე ვენახი ექნებაო...“<sup>18</sup> ამ სიტყვებში უნებლიედ მოცემულია ის სამართლიანი განაჩენი, რომელიც ისტორიამ ვაზის ქართული ჯიშებისადმი უნდობლობას და მის მატარებლებს გამოუტანა.

საუფლისწულო მამულების გამოცდილებას ვაზის უცხოური ჯიშების შემოტანის მხრივ ქართული მევენახეობისა და მეღვინეობისათვის უთუოდ დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გამოცდილებით დადასტურდა, რომ ვაზის ქართული ჯიშები — საფერავი, რქაწითელი, მწვანე თავიანთი

<sup>15</sup> П. Дзюбенко, Виноделие на Кавказе, Т., 1886, стр. 6 — 7.

<sup>16</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. საისტ. არქივი, ფონდი 361, საქმე 54, ფ. 18-19.

<sup>17</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 244, ფ. 11.

<sup>18</sup> იქვე, საქმე 251, ფ. 27-28.

სამეურნეო თვისებებით და პროდუქციის ხარისხით სათანადო ტიპის ევროპული ჯიშების დონეზე დგანან და ამათგან მხოლოდ თავიანთი ორიგინალური, ასე ვთქვათ, „ეროვნული“ სახით გამოირჩევიან. სწორედ ეს არ უნდოდათ გაეგოთ არა მარტო უვიც მოხელეებს, არამედ ზოგიერთ სერიოზულ სპეციალისტებსაც. ამ ადამიანების გემოვნება ევროპულ ღვინოებზე ჩამოვალდა. ამიტომაც ბევრი მათგანი თვლიდა, რომ ევროპული ვაზის ყოველი ჯიშით და ღვინის ყოველი ტიპი — ეს ნიმუშია და რაც ამ ნიმუშიდან განსხვავდება — ღმერთმა გვაშროსო.

ამგვარ შეხედულებას იმდენად ძლიერად ჰქონდა ფესვი გადგმული, რომ მას ნაწილობრივ ხარკი გადაუხადა ისეთმა ცნობილმა სპეციალისტმაც, როგორც არის ა. ა. ეგოროვი, რომელსაც საერთოდ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული მეღვინეობის განვითარებაში. 1904 წელს მ. პოპიჩის თანავეტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში ა. ეგოროვი დამსახურებულად აქვს საფერავს და ამავე დროს ამტკიცებს, რომ „კახეთში გავრცელებული ყურძნის თეთრი ჯიშით რქაწითელი ღვინის ხარისხის თვალსაზრისით გაცილებით ნაკლებ ინტერესს იწვევს, ვიდრე საფერავი“. შემდეგ სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ კახეთის პირობებში რისლინგის შესახებ ისინი ძალაუხებურად უარყოფით აზრამდე მიდიან და დაასკვნავენ: „ვიწინადან დიდი მოსავლიანობის მიუხედავად, რქაწითელი არამყარ პროდუქტს იძლევა, ახლანდელი ცდების მთელი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ მოინახოს ჯიშით, რომელიც იძლევა დიდ მოსავალს და მყარ პროდუქტს.“<sup>19</sup> ეს ამოცანა შემდგომში გადაწყდა... იმავე რქაწითელის აღმოჩენით, რასაც მოწმობს, სხვათა შორის, თვით ა. ეგოროვის გვიანდელი

შრომები — „კახური ღვინის საიდუმლოს გახსნა“ და სხვები, რქაწითელი 1910 წელს კახეთის საუფლისწულო მამულების ვენახებში რქაწითელს ეკავა 134,7 დეს., ანუ მთელი მათი ფართობის 39,3%, საფერავს — 115,7 დეს., ანუ 33,7%<sup>20</sup>. შემდგომში ამ ჯიშების ზედრიწონა ნარგავებში სულ მუდამ იზრდებოდა.

ასე შეინარჩუნეს ისტორიულად მათთვის მიჩენილი ადგილი ქართველი გლეხის შემოქმედებითი ნიჭითა და დაუღალავი ხელით გამოყვანილმა ვაზის ჯიშებმა — საფერავმა და რქაწითელმა. კახეთის ნიადაგზე ისინი იძლევიან მაღალ მოსავალს და საქვეყნოდ ცნობილ ჩინებულ სუფრის ღვინოებს, რომლებიც საბჭოთა მეღვინეობის სიზაყეს შეადგენენ.

## ბ) ვაზის კულტურა

საუფლისწულო უწყებამ შესძლო დაენერგა თავის მამულებში ვენახის დამუშავებისა და მოვლის მაღალი კულტურა. მის მიერ 90-იან წლებში მოწვეული სპეციალისტი „საფრანგეთის მოქალაქე“ მერლ დე მასონო, რომელიც ჯერ უფროს მეღვინედ იყო წინანდალში, ხოლო 1892 წლიდან განაგებდა „მევენახეობას და მეღვინეობას კავკასიის ყველა საუფლისწულო მამულებში“, ცხოვრობდა და ძირითადად მუშაობდა კახეთში<sup>21</sup>. როგორც ჩანს, მასონომ პირველმა გადმოიტანა კახეთში ვენახის მოვლის მოწინავე ფრანგული მეთოდები. პირველი ღონისძიება, რომელიც კახეთის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციამ ახლად შექმნილ მოუფლელ ვენახებში გაატარა, ეს იყო გამეჩხერებულ ნარგავების შეესება. 1887-დან 1890 წლამდე ამ საქმეზე 7683 მანეთი დაიხარ-

<sup>19</sup> А. А. Егоров, Вопросы виноделия, М., стр. 12, 31.

<sup>20</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. სანსტ. არქივი, ფონდი 351, საქმე, 244, ფ. 11.

<sup>21</sup> იქვე, ფონდი 361, საქმე 25, ფ. 10-11.

ჯა. 22 საანგარიშგებო მასალებიდან ირკვევა, რომ მეჩხერიანობის ლიკვიდაციას შემდეგშიც უღარესად სერიოზული ყურადღება ექცეოდა.

მასონომ შემოიღო ვაზის გასხვლის ფრანგული წესები და მეურნეობაში ამ საქმეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნიადაგი ვენახებში სანიმუშოდ მუშავდებოდა.

1892 წელს მასონოს ინიციატივით კახეთში პირველად იქნა გამოყენებული ვაზის საყრდენის ახალი სახე — მავთულის შპალერი. კახეთის საუფლისწულო მამულში მან ოთხ სხვადასხვა უბანში მავთულზე დააყენა 2,3 დეს. 4-5 წლის ვენახი. შედეგმა მალე იჩინა თავი. „ეს (მავთულზე დაყენებული) უბნები, — ვკითხულობთ მამულის მმართველის პატაკში ამ საკითხის გამო, — მკვეთრად განსხვავდებიან იმავე ხნის მეზობელი ვენახებისაგან, რომლებიც ისეთსავე პირობებში იმყოფებიან დარგვის, გასხვლის და მოვლის მხრივ. განსხვავება განსაკვიფრებელია. მეზობელ საუფლისწულო ვენახებში ძირზე 2-დან 5-დე მტევანია, მავთულზე დაყენებულ ვენახში კი — 10-დან 15-დე შესანიშნავად განვითარებული მტევანი გამოუკლებლივ ყოველ ძირზე.“<sup>22</sup> ამ წარმატებით დამთავრებული ცდის შემდეგ შპალერზე გადაყვანა ფართოდ ტარდებოდა.

მამულის ადმინისტრაცია სიძულწესს არ იჩენდა სოკოვან დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური მეთოდების გამოყენებაში. საკმარისია ითქვას, რომ 1896, 1897 და 1898 წლებში ნაყრის, ჭრაქის და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო წამლობაზე მან დახარჯა 49614 მანეთი, რაც მსხმოიარე ვენახების დამუშავების მთელი პირდაპირი ხარჯების 17%-ს შეადგენდა.<sup>24</sup>

ვენახების დამუშავების გაადვილე-

ბისა და გაუმჯობესების მიზნით მამულებმა ყველა ძველი ნარგავებზე — განდათანობით გადაიყვანეს მწკრივებზე. წინანდლის მამულში, მაგალითად, ეს სამუშაო 1909 წლისათვის დაამთავრეს. „1908 წლის გაზაფხულიდან მწკრივებზე გადაიყვანთ კიდევ 3 ღეს. ადგილობრივ ნარგავებს; შეიძლება მომავალ წელს ისიც მოვახერხოთ, რომ ყველა ადგილობრივი ნარგავები გადაიყვანოთ მწკრივებზეო“ — ვკითხულობთ მამულის 1908 წლის ხარჯთაღრიცხვისათვის დართულ განმარტებით ბარათში.<sup>25</sup>

900-იან წლებში კახეთის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა ვენახებში რიგთა შორის პლანტაციის გასაქვებლად. ამ ვენახებში ვაზი ზერელედ დამუშავებულ ნიადაგზე ან თხრილებში იყო დარგული და დამაკმაყოფილებელ მოსავალს არ იძლეოდა. ახალი პლანტაჟი 1 არშინის სიღრმეზე კეთდებოდა. ამ ღონისძიების მიზანი იყო „ერთი მხრით იმ შეცდომებისა და ნაკლოვანებების ლიკვიდაცია, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ვენახების გაშენებისას, და მეორე მხრით — 15 წლის განმავლობაში უკვე დამჯდარი და გამორეცხილი ნიადაგების გაფხვიერება.“<sup>26</sup> პლანტაჟმა, მამულის ხელმძღვანელების აზრით, „ბრწყინვალე შედეგები გამოიღო.“

ვენახებში შექონდათ როგორც ადგილობრივი, ისე ქიმიური სასუქები.<sup>27</sup>

ვენახების კარგი მოვლით მამულებმა დიდად გაზარდეს ყურძნის მოსავალი. მაგალითად, 1890 წელს წინანდლის ჯგუფის ვენახებისაგან სულ მიიღეს 4310 ედრო ღვინო, ანუ 160 ედრო სშუალოდ ერთ დესტრინაზე<sup>28</sup>. 1900 წელს ამ ვენახებისაგან მიიღეს

<sup>22</sup> იქვე, ფონდი 89, საქმე 153, ფ. 75—90.

<sup>23</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 46, ფ. 77 და 390-392.

<sup>24</sup> იქვე, ფ. 390—392

<sup>25</sup> იქვე, ფონდი 357, საქმე 2 ფ. 3

<sup>22</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 2, ფ. 2.

<sup>23</sup> იქვე, ევ. 42-43.

<sup>24</sup> იქვე, ფონდი 361, საქმე 54, ფ. 16.

19130 ვედრო ღვინო, ანუ უკვე 250 ვედრო ერთ დესეტინაზე, ხოლო 1904 წელს — 35 082 ვედრო, ანუ 350 ვედრო ერთ დესეტინაზე.<sup>29</sup> შემდგომ წლებში წინანდლის ვენახების მწარმოებლობა კიდევ უფრო გადიდდა და 1907 წელს მან მაქსიმუმს მიაღწია; ამ წელს იქ მოიკრიფა 53000 ფუთი ყურძენი — 538 ფუთი ყურძენი საშუალოდ დესეტინაზე, ანუ 84 ცენტნერი ჰექტარზე<sup>30</sup>. ყურძენის დაახლოებით ასეთივე მთლიანი მოსავალი მოვიდა 1910 წელსაც და მისგან მიიღეს 49 500 ვედრო ღვინო — 495 ვედრო დესეტინაზე<sup>31</sup>. ყურძენის საშუალოწლიური მთლიანი მოსავალი კი 1906 — 1910 წლებში წინანდლის მამულში უდრიდა 45 700 ფუთს. ღვინის გამოსავლიანობის 65%-იან ნორმას თუ ავიღებთ, ამ რაოდენობის ყურძენიდან გამოვიდოდა 39.600 ვედრო ღვინო, ანუ 396 ვედრო საშუალოდ 1 დესეტინა ვენახზე.<sup>32</sup>

სულ კი კახეთის სამივე მამული 1898 წლიდან მოყოლებული რეგულარულად იძლეოდა 100 ათასამდე ვედრო ღვინოს ყოველწლიურად, ხოლო 1907 წელს მათ დააყენეს 155 ათასი ვედრო — 450 ვედროზე მეტი საშუალოდ ერთ დესეტინა ვენახზე<sup>33</sup>. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ღვინის გამოსავალი საუფლისწულო მამულებში რამდენიმეჯერ მიუახლოვდა ამ ციფრს. ვენახების დამუშავების მექანიზაციის მხრივ საუფლისწულო მამულებს დასაკვეხნი ბევრი არაფერი ჰქონდათ. ყველა სამუშაოებს, პლანტაციის ჩათვლით, აქ ხელით აწარმოებდნენ და მხოლოდ რიგთაშორისი ხენისათვის იყენებდნენ ცხენის გუთანს. შიშიმე და შრომისტევადი სამუშაო — ვენახის შეწამლვა ბორდოს ხსნარით დიდი ხნის

განმავლობაში ზურგზე მოსაკიდო აპარატებით სრულდებოდა. მხოლოდ 1908 წელს გამოსცადა საუფლისწულო მამულებმა ცხენის გასაბამი სასხურებელი აპარატები ნაფარეულის ვენახებში. შემდეგ ეს აპარატები შეიძინეს და მათ ყველა მამულში იყენებდნენ<sup>34</sup>.

საუფლისწულო მამულების ხელმძღვანელთა ნაკლები დაინტერესება სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერებით მშინდელ კახეთში მუშა ძალის დიდი სიღარიბით აიხსნებოდა. კახეთის საუფლისწულო მამულის 1905 წლისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვით ერთი მუდმივი მუშის საშუალოთვიური ხელფასი 16 მანეთით და 30 კაპიკით არის განსაზღვრული<sup>35</sup>. კიდევ უფრო მცირე ხელფასს აძლევდნენ დროებით მუშებს, რომელთა მეშვეობით სრულდებოდა სამუშაოების უდიდესი ნაწილი ვენახებში. როგორც წინანდლის საუფლისწულო მამულის მმართველის 1905 წლის ანგარიშიდან ჩანს, დროებითი მუშის დღიური ხელფასი საშუალოდ უდრიდა 45—50 კაპიკს, ე. ი. თვეში 12—13 მანეთს<sup>36</sup>.

დამახასიათებელია, რომ საუფლისწულო უწყების მევენახეობა-მეღვინეობის მამულებიდან კახეთის მამულებს ხელფასის ყველაზე დაბალი განაკვეთები ჰქონდათ დაწესებული. ასე, მაგალითად, 1905 წლის ივნისში იმპერატორის განკარგულებით დამტკიცებული განაკვეთების თანახმად დღეში საშუალოდ ეძლეოდა (კაპიკობით):<sup>37</sup>

	აბრაჟ-ფიორის მამულში	კახეთის მამულებში
მუშა-მამაკაცს . . . . .	90	60
მართობითი აქვის მობარდს 15—17 წ.) . . . . .	50	45
მცირეწლოვანს . . . . .	35	30

ხელფასის დაბალი დონე კახეთის მამულებში უმთავრესად იმიტ აიხსნებო-

<sup>29</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 46, ფ. 390—392  
<sup>30</sup> იქვე, ფონდი 89, საქმე 153, ფ. 91  
<sup>31</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 244, ფ. 10—11  
<sup>32</sup> იქვე, საქმე 256, ფ. 49—50.  
<sup>33</sup> იქვე, ფონდი 89, საქმე 153, ფ. 91.

<sup>34</sup> იქვე, საქმე 195, ფ. 20.  
<sup>35</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 64, ფ. 100.  
<sup>36</sup> იქვე, ფ. 381—384.  
<sup>37</sup> იქვე, ფონდი 357, საქმე 4, ფ. 42.



და, რომ იქ მომუშავე ნაკლებად შეგნებულნი გლეხები არ იყვნენ ორგანიზებული და საუფლისწულო უწყებების მოხელეებს საშუალება ჰქონდა ისინი მოურიდებლად ეყვლინათ. მაგრამ აი დადგა 1905 წლის მრისხანე დღეები და რევოლუციურმა ტალღამ კახეთშიაც მოაღწია. „...ისე ჩანდა, თითქოს რევოლუციურმა პროპაგანდამ კახეთში შემზადებული და ხელსაყრელი ნიადაგი ვერ ჰპოვა და მარცხი განიცადა, — ატყობინებდა კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი უწყების მთავარ სამმართველოს. — მაგრამ ახლა გულკეთილი კახელებიც აღელდნენ: გლეხური მოძრაობა მოედო თითქმის მთელ სილნალის მხარას და თელავის მხარის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით ალაზნის ვალმა რაიონს... გლეხური მოძრაობა შეეხო კახეთის მამულის სამმართველოს მუშებსაც, რომლებმაც 18 მარტს ერთი წლიური მუშის წაქეზებით დაწესებულ დროზე ადრე დატოვეს სამუშაო და დემონსტრაციულად წავიდნენ მამულას კარმიდამოდან.“<sup>38</sup>

რევოლუციურმა ამბებმა და ამ ამბებთან დაკავშირებით მუშების მიერ მოთხოვნების წამოყენებამ აიძულეს მამულების ადმინისტრაცია ეფიქრა ერთი მხრით ხელფასის გადიდებისა და მუშებისა და მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე და მეორე მხრით — სამუშაოთა ზოგიერთი სახეების შექანიზაციაზე.

1905 წელს „გულკეთილი“ კახელების რევოლუციური გამოსვლებით აშკარად დამფრთხალი „საუფლისწულო უწყება... ცხოვლად გამოეხმაურა მუშა-პერსონალის მიერ განცხადებულ საპირობებებს: ყველა მუშებს და დაბალ მოსამსახურეებს მიეცათ ერთდროული ფულადი დახმარება, დადგინდა ნავთისა და სათბობის გაცემა, მამულებში დაწესდა ექიმის თანამდებობა და მუშებსა და მოსამსახურეებს დაპირება მიეცათ,

რომ 1906 წლიდან გაუდიდდებოდათ ჯამაგირები.“<sup>39</sup>

მაგრამ ამ პალიტიკებით მუშების გულის მოგება შეუძლებელი იყო. 1906 წლის 4 ივნისის პატაკით წინანდლის მამულის მმართველი იტყობინება, რომ გაიფიცნენ კასრების სახელოსნოს მუშები, რომ დღიურმა მუშებმა მოითხოვეს ხელფასის გადიდება და როცა ადმინისტრაცია დათმობაზე წავიდა, ორი დღის შემდეგ მათ კიდევ უფრო დიდი მოთხოვნა წამოაყენეს. ასეთივე მოთხოვნა წარმოუდგინეს ადმინისტრაციას თელიანის მუშებმაცო, განაგრძობს პატაკის ავტორი, ვეცადეთ ხვეწნა-მუდართა და დარიგებებით დაგვეშოშინებია ისინი, მაგრამ, ავტიაციით აღგზნებულებმა, ყური არ ათხოვეს გონების ხმას და გადაწყვიტეს არ გამოვიდნენ სამუშაოდ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე.“<sup>40</sup>

მიუხედავად მუშების გაფიცებისა და ადმინისტრაციის დაპირებებისა, მუშების ხელფასი კახეთის საუფლისწულო მამულებში შესამჩნევად არ გაზარდილა. როგორც ხარჯთაღრიცხვებიდან ჩანს, 1908 წელს მევენახეობაში ერთი მუდმივი მუშის საშუალო თვიური ხელფასი იქ ავიდა მხოლოდ 17 მანეთ და 40 კაპიკამდე, 1909 წელს კი — 18 მანეთ და 60 კაპიკამდე. ხელფასის ეს დონე რევოლუციამდე უცვლელი დარჩა. იგი არ ამადლებულა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგაც, თუმცა ომის წლებში ფართო მოხარების საქონლის ფასები შეუდარებლად გაიზარდნენ. 1914 წლის ანგარიშში წინანდლის მამულის ადმინისტრაცია იძულებული იყო ელიარებია, რომ „მუშები, რომლებიც თვეში 16—17—18 მანეთს ღებულობენ, დღევანდელი მომენტისათვის სრულ სასოწარკვეთილებამდე არიან მიყვანილი. ჯამაგირი მათ პურის საყიდლადაც კი არ ყოფნით.“<sup>41</sup>

<sup>38</sup> იქვე, საქმე 64, ფ. 381..

<sup>39</sup> იქვე, საქმე 103, ფ. 3.

<sup>41</sup> იქვე, საქმე 407, ფ. 215.

საარქივო მასალებში ვერ შევხვდით რაიმე ცნობას საუფლისწულო მამულებში სამუშაო დღის ხანგრძლიობაზე. წინანდლის მამულის მმართველის მხოლოდ ერთ პატაკში, რომელიც მუშების რეგულაციურ მოთხოვნებს შეეხება და 1906 წლის 14 ივნისით არის დათარიღებული, ნათქვამია, „ვენახებში ცხრასათიანი სამუშაო დღის დაწესება არ შეიძლება მიღებულ იქნეს.“<sup>42</sup> 1914 წლის ანგარიშში იმავე მამულის მმართველი, მამულის მუშების გაქირავებული მდგომარეობის ხაზგასასმელად, მიუთითებს მკვალითებზე, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ, რომ სხვა მეურნეობებში მუშებს უკეთესი პირობები აქვთ. იგი წერს: „ახლა მემამულეები დღიურ მუშას 16 — საათიან სამუშაო დღეში უხდიან 1 მან. 20 კაპ. და აძლევენ კვებას, ხოლო რკინიგზა უხდის 1 მან. 10 კაპ. 2-სათიან სამუშაო დღეშიო“, ერთ-ერთ დოკუმენტში მამულის ადმინისტრაცია განგაშს სტებს იმის გამო, რომ მუშები სამუშაოდან წავიდნენ 5 საათზე. ეს ჩვენებები მოწმობენ, რომ მამულებში მუშებს გათენებიდან დაღამებამდე ამუშაებდნენ. ამასთან ადმინისტრაცია ყოველგვარ ხერხს ხმარობდა მუშების შრომის ინტენსიფიკაციისათვის. „უნიადან მუშახელის გაძვირება არა წარმოვალი, არამედ მუდმივი მოვლენაა, — წერდა 1905 წლის ანგარიშში წინანდლის მამულის მმართველი, — ...მე ცალკე ნაწილებს ყველა გამგებების ყურადღება მივაქციე იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტად გადიდდეს მუშების შრომის პროდუქტიულობა.“<sup>43</sup>

საუფლისწულო მამულების ადმინისტრაცია არ ფარავდა, რომ ის იძულებულია იზრუნოს მექანიზაციაზე, რადგან თურმე „უაღრესად ძნელია მიაღწიო მუშახელის მაღალი ფასების შემცირებას... თუ ხელთ არ გექნება განსაკუთრებული საშუალებები იმისთვის, რომ გააქარწყლო ხელფასის ამალღების ტენ-

დენცია, რასაც აყვავა ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ აგიტაციის (გეგმვით, ახლა კი საკუთარი თაოსნობით) [სხვათა] „გაქარწყლების“ საუკეთესო საშუალებად იგი თვლიდა „ადამიანის ხელით შრომის სფეროს შემცირებას.“<sup>44</sup>

მაგრამ საუფლისწულო უწყებამ ვერ შესძლო ამ სფეროს შემცირება. გარდა ცხენის გასაბმელ სასხურებლებისა, რომლებზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, მევენახეობაში მას რაიმე ტექნიკური სიახლე არ შემოუტანია.

მამულების ადმინისტრაციას ხსენებულმა სასხურებლებმაც არ გაუმართლეს იმედი. „ცხენის აპარატების გამოჩენა, — ამტკიცებდა წინანდლის მამულის მმართველი 1908 წელს, — უაღრესად ღრმა მორალურ ზემოქმედებას მოახდენს არა მარტო დღიურ მუშებზე, რომლებსაც ეს აჩვენებთ, რომ უიმართოდ თავისუფლად შეგვეძლება იოლად წასვლა, არამედ მუდმივ მუშებზედაც, რომლებმაც ამაში უხდა დაინახონ—და ეს საუფუძველს მოკლებულიც არ იქნება, — რომ ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში შეიძლება მოხდეს წლიური მუშების შტატების შემცირებაც.“<sup>45</sup> ნამდვილად კი „მოხდა“ ის, რომ თუ 1909 წლის ხარჯთაღრიცხვაში, რომელსაც თან ახლდნენ ეს სიტყვები, მუდმივი მუშების რიცხვი 32 კაციით განისაზღვრებოდა და მათ შესაძლებლად 6696 მანეთი იყო გათვალისწინებული, 1910 წელს მუდმივ მუშათა რაოდენობა 45 კაცამდე ავიდა და მათი წლიური ხელფასი 10000 მანეთს შეადგენდა.

მხოლოდ 1911 წლის ხარჯთაღრიცხვაზე დართულ განმარტებით ბარათში გაბედა წინანდლის მამულის მმართველმა მოეხსენებია უფროსთათვის, რომ „ყველაზე ეკონომიური იქნებოდა... ზიადგი მზადდებოდეს არა ხელით, არამედ მანქანით, ე. ი. პლანტაჟი (მიწის გადაბრუნება) წარმოებდეს ორთქლის გუთნის

<sup>42</sup> იქვე, საქმე 103, ფ. 43.  
<sup>43</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 64, ფ. 382.

<sup>44</sup> იქვე, ფონდი 89, საქმე 153, ფ. 75.  
<sup>45</sup> იქვე, ფ. 21.

შემწეობით.<sup>46</sup> მაგრამ ვინაიდან ასეთი გუთნის შექმნა „დაკავშირებულია დიდ ერთდროულ ხარჯთან (7-დან 9000 მანეთამდე)“, მან უკან დაიხია და შეიტანა წინადადება გადაიღოს გუთნის ყიდვა 2 — 3 წლით.<sup>46</sup> ორთქლის გუთანი გაზოჩნდა კახეთის საუფლისწულო მამულებში მხოლოდ 1915 წელს, როცა მოქმედ არმიის გლეხების მობილიზაციის გამო უკვე ადვილი აღარ იყო მუშა ძალის შოვნა პლანტაციის გასაკეთებლად.<sup>47</sup>

ცალკე დგას კახეთის საუფლისწულო მამულებში სეტყვასთან ბრძოლის საკითხი. საუფლისწულო უწყება, უცხოეთის მაგალითის მიხედვით, ცდილობდა სეტყვისაგან ვენახების დაცვას სეტყვის ღრუბლებისათვის მორტირების სროლით. მორტირების პირველი სადგური მოეწყო 1901 წლის ზაფხულზე ნაფარეულის მამულში. შემდეგ ამ სადგურების რიცხვი 50-მდე აიყვანეს. მორტირები განლაგებული იყვნენ სპეციალურად შერჩეულ პუნქტებში საუფლისწულო მამულების ტერიტორიაზე. მათი შენახვა წელიწადში 3 500 მანეთამდე ჯდება.<sup>48</sup>

ძნელია იმის თქმა, თუ როგორი იყო ამ სადგურების ეფექტიურობა. მამულების მმართველები მათ მოქმედებას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მოსავლის შენარჩუნების საქმეში. მამულის ერთ-ერთი წლიური ხარჯთაღრიცხვისათვის დართულ განმარტებით ბარათში მისი მმართველი წინა ორ წელს მიღებულ კარგ მოსავალს მიაწერს როგორც სპეციალისტების კარგ საწარმოო მუშაობას, ისე იმას, რომ „ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს სეტყვის ღრუბლებს და ამის შედეგად დროულად ეწყობოდა მორტირების სროლა.“<sup>49</sup>

როგორც არ უნდა იყოს ეს გამოცდილება, მისი შესწავლა „შედგენით“ არ იქნებოდა სათანადო სპეციალისტების მხრით. დღევანდელი სარაკეტო ტექნიკა ატმოსფეროში შეუდარებლად უფრო მძლავრი ჭურვების გაგზავნის საშუალებას იძლევა. იქნებ მათი გამოყენება მართლაც მოიტანდა სასურველ შედეგს სეტყვასთან ბრძოლაში.

### ა) მეღვინეობა

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ კახეთის საუფლისწულო მამულმა თავისი წინამორბედისაგან — დავით ჭავჭავაძის მამულისაგან მემკვიდრეობად მიიღო ქართული სამეღვინეო ინვენტარი. უდავოა, რომ თავადის მეურნეობაში ღვინოს მხოლოდმამხოლოდ ქართული წესით აყენებდნენ. ეს დასკვნა წერილობითაც დასტურდება. საიუბილეო გამოცემაში „საუფლისწულო უწყების ასი წელი“ ჩვენ ვხვდებით ქედმაღლურ განცხადებას იმის შესახებ, რომ მეღვინეობას ჭავჭავაძისთან „აწარმოებდნენ... კავკასიისათვის ჩვეულებრივი პირველყოფილი წესით.“<sup>50</sup>

საუფლისწულო უწყება კი დაინტერესებული იყო ევროპულად დაყენებული ღვინოების წარმოებით და მალე მიაღწია წარმატებას ამ საქმეში. 1897 წლისათვის წინანდალში აშენდა ახალი დიდი სარდაფი, სადაც ერთდროულად 150 000 ვედრო დასამქველებელი ღვინო თავსდება. ამ დროისათვის „ღვინის დაყენების თვით წესი შეცვლილი იქნა წარმოების ამ დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.“<sup>51</sup> მეღვინეობის ქართული ხერხები თანდათანობით განიღვნა და ღვინის ევროპული წესით დაყენება გახდა ერთადერთ მიმართულებად კახეთის საუფლისწულო მამულში. მამულის 1904 წლის ანგარიშში სვეტი, რომელშიაც უნდა შეეტანათ „ადგი-

<sup>46</sup> იქვე, საქმე 256, 49—57

<sup>47</sup> საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 134, საქმე 79, ფ. 2, 3.

<sup>48</sup> საქ. სსრ ცენტრ. საისტ. არქივი, ფონდი 351, საქმე 64, ფ. 103.

<sup>49</sup> იქვე, საქმე 46, ფ. 77—79.

<sup>50</sup> Столетие удолов, СПб, 1897, стр. 83-84

<sup>51</sup> იქვე.

ლობრივი წესით ქვევრებში“ დაყენებულ ღვინის რაოდენობა, შეუქცებელი დარჩა. <sup>52</sup> მაშასადამე, ამ წლის მოსავლიდან მთელი ღვინო — 121 000 ვედრო — ვეროპული წესით იყო დამზადებული, შემდგომში საუფლისწულო მამულეები ქვევრებსა და ღვინის დაყენების ქართულ წესებს აღარ დაბრუნებია.

1891 წლის აგვისტოდან თითქმის 15 წლის განმავლობაში კახეთის საუფლისწულო მამულეებში მეღვინეობას ხელმძღვანელობდა ჩვენთვის უკვე ცნობილი მასონო. საუფლისწულო უწყება დიდად აფასებდა მასონოს როგორც სპეციალისტს და აძლევდა მას იმ დროისათვის მეტად დიდ ჯამაგირს — 40 000 ფრანკს, ანუ 13 337 ოქროს მანეთს წელიწადში. ამას გარდა მასონოს უფასოდ ჰქონდა მიცემული ბინა გათბობითა და განათებით და შეეძლო ესარგებლა „მამულის ღვინით და მისთვის და მისი ოჯახისათვის საჭირო სხვა პროდუქტებით.“ <sup>53</sup> შედარებისათვის შეგვიძლია მივუთითოთ, რომ იმავე 90-იან წლებში კახეთის საუფლისწულო მამულის მმართველის მსხვილი მოხელის ბლანკის მთელი წლიური ჯამაგირი 2 800 მანეთს უდრიდა. <sup>54</sup>

მასონოს შერჩევით ხდებოდა წინანდლის სარდაფისათვის ტექნოლოგიური გაწყობილობის შექმნა. 1892 წელს მან, მაგალითად, დაუკვეთა საფრანგეთში მახილის სამი წნეხი, რომელიც მამულმა იმავე წლის ოქტომბერში მიიღო. <sup>55</sup> „მოძრავი ქონების უწყისით 1896 წლის 1 ნოემბრისათვის“ კახეთის საუფლისწულო მამულში ირიცხებოდა: ყურძნის საჭყლეტი მანქანა — 25 ცალი, მათ შორის 3 — კლერტსაცლელებით, წნეხი — 24, ტუმბო — 13, პასტერიზატორი — 1, კასრების ასაწევი ჯალამბარი — 3, ორთქლის ქვაბი — 4, ამას გარდა

მამულის სარდაფში ჰქონდათ ბოთლების თავდასაცობი, საჩამომსხმელო და სხვა მანქანები. სარდაფი კარგად იყო მომარაგებული ლაბორატორული ხელსაწყოებით — სხვადასხვა არეომეტრებით და სხვ. <sup>56</sup>

მამულის სპეციალისტები თვალყურს ადევნებდნენ მეღვინეობის ტექნიკის განვითარებას საზღვარგარეთ და დროულად აყენებდნენ საკითხს ახლად გამოჩენილი მანქანებისა და ტექნოლოგიური გაწყობილობის სხვა ელემენტების შექმნის შესახებ. ასე, მაგალითად, 1909 წელს პირველად გამოიწერეს გილბოს სისტემის მაცივარი და, როგორც მამულის ანგარიშიდან ჩანს, მის საწარმოო გამოცდას „ბრწყინვალე შედეგები მოუცია.“ <sup>57</sup> 1903 წელს კახეთის საუფლისწულო მამულის შევენახეობის და მეღვინეობის მაშინდელი გამგე, ცნობილი სპეციალისტი გ. გოგოლ-იანოვსკი უკვე წერს: „გასულ და მიმდინარე წელს ნაფარეულის, წინანდლის და ზეგანის მარნებისათვის სამი მაცივრის შექმნით მოხდა დუდილის ტემპერატურის რეგულირება და აღარ ყოფილა ღვინის არანორმალური დადუღების შემთხვევა“. ის აყენებს საკითხს კიდევ ერთი მაცივრის შექმნის შესახებ ამჯერად მუჯუნის მარნისათვის. <sup>58</sup> მანქანები და ტექნოლოგიური გაწყობილობა სისტემატურად ახლდებოდა, ხდებოდა აგრეთვე მათი შეცვლა უფრო სრულყოფილი ნიმუშებით.

ღვინის დასადუღებლად, დასაძველებლად, შესანახად და გასაგზავნად მამული იყენებდა მხოლოდდამხოლოდ მუხის ჭურჭელს. 1898 წლის 1 ნოემბრისათვის მარტო წინანდალში ირიცხებოდა მუხის ბუტები (300 — 800-ვედროიანი) — 168 ცალი 66 000 ვედროს საერთო ტევადობით, მუხის კასრები (20 — 50-ვედროიანი) — 4 285 ცალი 91 000

<sup>52</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. სიხიტ. არქივი, ფონდი 351, საქმე 46, ფ. 369—370

<sup>53</sup> იქვე, ფონდი 361, საქმე 25, ფ. 10—15.

<sup>54</sup> იქვე, ფონდი 357, საქმე 2, ფ. 8.

<sup>55</sup> იქვე, ფ. 92.

<sup>56</sup> იქვე, ფონდი 361, საქმე 43, ფ. 1—37.

<sup>57</sup> იქვე, ფონდი 351, საქმე 71, ფ. 8.

<sup>58</sup> იქვე, საქმე 46, ფ. 77—79

ვედრის საერთო ტევადობით.<sup>59</sup> მთელი ეს ჭურჭელი მზადდებოდა წინანდალში მამულის კარგად მოწყობილ სახელოსნოში.

მასონო, ისევე როგორც მისი წინამორბედები, დაყენებით ნერგავდა კახეთის საუფლისწულო მამულში ვაზის უცხოურ ჯიშებს. ისიც, ალბათ, ფიქრობდა, რომ მხოლოდ ამ ჯიშების ყურძნიდან შეიძლება ნამდვილი ევროპული ტიპის ნაზი სუფრის ღვინოების მიღება. მაგრამ ამავე დროს მისი ხელმძღვანელობით გრძელდებოდა ადრე დაწყებული ცდები რქაწითელის და საფერავის ტიპისაგან ევროპული ღვინოების დასაყენებლად. ეს ცდები წარმატებით დაგვირგვინდა. ისეთი ავტორიტეტი, როგორც პროფესორი მ. ზოვრენკოა, წერს, რომ საუფლისწულო მამულმა ამ პერიოდში „მიადწია მშვენიერ შედეგს ევროპული ტიპის რქაწითელის დაყენებაში“ და ასეთი ღვინის საუკეთესო ნიმუშებად ასახელებს 1893 და 1890 წლის ღვინოებს<sup>60</sup>. ხოლო ქართული ღვინოების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ა. ეგოროვი საუფლისწულო უწყების დროინდელი ღვინოებიდან გამოკყოფს ურიათუბნის ვენახის 1891 წლის საფერავს, რომელსაც, მისი სიტყვით, „განსაკუთრებით აფასებდა და კახეთის საუკეთესო ღვინოდ თვლიდა ცნობილი დეგუსტატორი და მეღვინე ლ. ს. გოლიცინი“<sup>61</sup>.

როგორც ზემოთაღნიშნულთა კახეთში შემოტანილი ევროპული ვაზებიდან საუცხოო შედეგი მოგვცა კაბერნეშ. საუფლისწულო მამულში უკვე 90-იანი წლების დამდეგიდან იწყეს კაბერნეს ყურძნიდან ბორდოს ტიპის განთქმული ღვინის — თელიანის დამზადება. თელიანის კაბერნეს განსაკუთრებით კარგ ნიმუშებად მ. ზოვრენკოს მიაჩნია 1893,

1896, 1898 და 1900 წლის მოსავლას ღვინოები.<sup>62</sup>

მასონოს ხელმძღვანელობით კახეთის მამულში შემოღებულ იქნა საფურის სუფთა კულტურების გამოყენება ტკბილის დასადუღებლად. ერთ-ერთ თავის პატაკში მასონო წერს: „დაახლოებით 6 000 ვედრო ღვინო მიღებულია „მონტრასეს“, „შაბლის“, „ერმიტაჟის“, „მურსოს“ და „მუტონ-როტშილდის“ საფურებით. ეს საფურები ზოგჯერ განსაკუთრებულ ეფექტს იძლევიან... საფური „მედოკი“, რომელიც კაბერნეს დასადუღებლად გამოიყენეთ, იძლევა ნამდვილად შესანიშნავ ღვინოს, რომელიც, მე დარწმუნებული ვარ, ბაზარზე გამოჩენისთანავე გააკვირვებს კომპეტენტურ მომხმარებლებს.“<sup>63</sup>

შემოწახული ნაბეჭდი პრეისკურანტებიდან<sup>64</sup> ჩანს, რომ 1913 — 1914 წლებში თბილისის საუფლისწულო სარდაფთან არსებულ ღვინის სავაჭროში იყიდებოდნენ კახური საუფლისწულო მამულების ღვინოების შემდეგი ყველაზე ძველი ნიმუშები:

ღვინოების მარკები	მოსავლის წელი
№ 45 წინანდალი	1888
№ 46 მუქუზანი	1891
№ 47 ნაფარეული	1891
№ 48 თელიანი	1897 <sup>65</sup>
№ 64 წინანდალი	1890
№ 65 მუქუზანი	1893
№ 66 ნაფარეული	1892

მაშასადამე, 90-იანი წლების პირველი ნახევრის დასასრულისათვის კახეთის საუფლისწულო მამულში უკვე ბევრ შექ-

<sup>59</sup> М. А. Ховренко, Общее виноделие, стр. 92.

<sup>60</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. სისიტ. არქივი, ფონდი 361, საქმე 53, ფ. 2-4 (ორიგინალი ფრანგულ ენაზეა).

<sup>61</sup> სამტრედიის № 1 ღვინის ქარხნის არქივი, საქმე 393, ფ. 25, 27.

<sup>62</sup> მ. ზოვრენკოს მოწმობით, თელიანის მარკის ღვინო შექმნილი იყო უკვე 1893 წელს.

<sup>59</sup> იქვე, ფონდი 361, საქმე 43, ფ. 69—70

<sup>60</sup> М. А. Ховренко, Общее виноделие, М., 1909, стр. 92.

<sup>61</sup> А. А. Егоров, Вопросы виноделия, М., 1955, стр. 14.

მნილი ევროპული წესით დაყენებული ქართული სუფრის ღვინოების ყველა ძირითადი მარკა. უნდა ვიფიქროთ, ღვინოების ამ მარკების ტექნოლოგია შემდგომში ზუსტდებოდა და იხვეწებოდა, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ იგი მთლიანად შემუშავდა 1890 — 1895 წლებში.

მასონის უშუალო თანაშემწედ ამ პერიოდში არა მარტო შევენახებომაში, არამედ მელვინეობაშიაც იყო საუფლისწულო მამულების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ვასილ ჯაფარიძე. ეს იმიტაც მტკიცდება, რომ მამულის მმართველი უწყების მთავარი სამმართველოს განკარგულებებს მელვინეობის საკითხებზე შესასრულებლად გადასცემდა ასეთი რეზოლუციით: „ცნობობს ბ-ნ მასონოს, ხოლო მისი აქ არ ყოფნის შემთხვევაში — ბ-ნ ჯაფარიძეს.“<sup>66</sup> ვ. ჯაფარიძე კახეთის მამულში მუშაობდა 1892 წლის 1 იანვრიდან<sup>67</sup>

საუფლისწულო უწყების მთავარი სამმართველოს 1893 წლის 8 თებერვლის მიმართებით, კახეთის მამულში მოვლინებულ იქნა „მთავარი მელვინის ბ-ნ მასონოს“ განკარგულებაში „ბ-ნი გოგოლ-იანოვსკი, რომელმაც დაამთავრა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსი 1 ხარისხის დიპლომით“. შემდგომში ცნობილი საბჭოთა მეცნიერი გ. გოგოლ-იანოვსკი პირველად დაინიშნა პრაქტიკანტად, მაგრამ მალე დაწინაურდა და, როგორც მამულის ერთ-ერთი საუკეთესო მელვინე, დაინიშნა თბილისის საუფლისწულო სარდაფის გამგედ.<sup>68</sup>

უფრო გვიან მამულში სამუშაოდ მოვიდნენ მელვინეები ფ. ჟოფრიო (1894, 18 დეკემბერი),<sup>69</sup> ა. ეგოროვი (1899), მ. პობიჩი, ტ. ბააკაშვილი და სხვ. სპეციალისტთა მთელი ამ ჯგუფის მეცადინე-

ობით მიეცა საბოლოო სახე კახურ საუფლისწულო სამარკო ღვინოებს.

კახეთის საუფლისწულო მამულში, სულ შეიქმნა ევროპული წესით დაყენებული ქართული სუფრის ღვინოების შვიდი მარკა: თეთრები — № 64 წინანდალი, № 65 მუქუხანი, № 66 ნაფარეული; წითლები — № 45 წინანდალი № 46 მუქუხანი, № 47 ნაფარეული № 48 თელიანი. თითქმის ყველა ამ მარკებს ბადალი არ მოეპოვებოდა ქართული სუფრის ღვინოების ასორტიმენტში. მათი შექმნით პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ სუფრის ღვინოების, განსაკუთრებით, სუფრის წითელი ღვინოების წარმოების რაიონებიდან კახეთი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.



საუფლისწულო უწყების ოფიციალურ ისტორიაში ხაზგასმულია, რომ ამ უწყების შევენახობის მამულებს ადგილობრივი მოსახლეობა „ხშირად მიმართავს დახმარებისა და რჩევისათვის“, რომ უწყება მას „უარს არ ეუბნება არც ერთზე და არც მეორეზე და ზოგჯერ ერთგვარ თანხმბსაც კი ჰყოფს იმისთვის, რომ დაამზადოს საჭირო საშუალებები, რომლებიც მსურველებს უფასოდ ურიგდებათ“.<sup>70</sup> ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, გადაჭარბებაა. საუფლისწულო უწყება სრულიადაც არ უსახავდა თავის მამულებს ასეთ ამოცანებს. ეს მამულები ერთგვარად დახურული მეურნეობები იყვნენ. უშუალო დახმარებას ვაზის კულტურისა და ღვინის წარმოების მოწინავე წესების შეთვისებაში მოსახლეობას ისინი არ უწყედნენ. მიუხედავად ამისა, მათ საქმიანობას არ შეიძლებოდა გავლენა არ ჰქონოდა კახეთის შევენახობის განვითარებაზე. მამულების ვენახებში მუშაობდა ასზე მეტი მუდმივი მუშა. ესენი იყვნენ ადგილობრივი გლეხები, რომელთაგან ბევრს ვენახიც ჰქონ-

<sup>66</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. საისტ. არქივი, ფონდი 361 საქმე 25, ფ. 41.

<sup>67</sup> იქვე, ფონდი 361, საქმე 57, ფ. 12.

<sup>68</sup> იქვე ფონდი 361, საქმე 25, ფ. 19.

<sup>69</sup> იქვე, საქმე 57, ფ. 11.

<sup>70</sup> История уделов за столетие их существования, т. I, стр. 540.

და. მათ გარდა მამულები იჭირავებდნენ აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობიდან ასეულობით, ხოლო წლის ცალკე პერიოდებში — ათასეულობით დროებით და დღიურ მუშებს. ეს მუშები, ცხადია, ითვისებდნენ საუფლისწულო მამულების გამოცდილებას ვაზის მოვლის საქმეში და გადაქონდათ იგი თავის ვენახებში.

რაც შეეხება მეღვინეობას, ამ მხრივ საუფლისწულო მამულების გავლენა არ იგრძნობოდა. ადგილობრივი მოსახლეობა, წერდა 1914 წელს ერთი კომპეტენტური სპეციალისტი, „ჯიუტად უარობს (მეღვინეობის) ევროპულ წესებზე გადასვლას და ამ მხრივ სრულიად უგულვებელყოფს სახაზინო, საუფლისწულო და ზოგიერთი კერძო მეურნეობის გამოცდილებას.“<sup>71</sup> ეს „კონსერვატიზმი“ აიხსნებოდა არა მარტო იმით, რომ საქართველოში მიჩვეული არიან ადგილობრივი წესით დაყენებულ ღვინოებს, არამედ ეკონომიური მიზეზებით. გლეხებს და წვრილ მემამულეებს არ გააჩნდათ საშუალებები არც იმისათვის, რომ აეშენებიათ ძვირად ღირებული სარდაფები უცხოეთიდან შემოტანილი გაწყობილობით და არც იმისათვის, რომ 3—4 წლის განმავლობაში ეძველებიათ ღვინო, როგორც ამას ევროპული ტექნოლოგია მოითხოვს. მეღვინეთა ისეთი კოოპერაციული ორგანიზაციები კი, როგორც საფრანგეთშია, ჩვენში არ მოიპოვებოდნენ.

მამულების სპეციალისტ-მევენახეთა დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ თავისი საქმის მცოდნე აღაშიანები. 90-იანი წლების დასაწყისიდან კახეთის საუფლისწულო მამულების საუკეთესო სპეციალისტად მევენახეობაში ითვლებოდა ვ. ჯაფარიძე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ და აგრეთვე ა. ეგოროვის მოწმობით,<sup>72</sup> მეღვინეობაშიაც მუ-

შაობდა და მონაწილეობდა ჩვენი სუფრის ღვინოების განთქმულ ქვეყნების შექმნაში. კარგი სპეციალისტებთან და ორგანიზატორები იყვნენ საუფლისწულო მამულების მევენახეები: თუშალი-შვილი, ანდრონიკაშვილი, მეგრელიშვილი. მევენახეებად და მეღვინეებად მუშაობდნენ: ყარალაშვილი, ცინცაძე, მაკეაბარიანი, ოგჩარენკო და ბევრი სხვა.

ამრიგად, კახეთის საუფლისწულო მამულებში მრავალმხრივი პრაქტიკა მიიღო და დაწინაურდა მევენახეობისა და მეღვინეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მთელი ჯგუფი, რასაც აგრეთვე მცირე მნიშვნელობა არ ჰქონდა ღვინის დაყენებასა და ვაზის კულტურის საქმეში ახალი, უფრო სრულყოფილი წესებისა და მეთოდების დანერგვისათვის.

ერთგან უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის მაშინდელი შემთხვევითი ხელისუფალნი იძულებული გახდნენ საუფლისწულო მამულები თავის გამგებლობაში მიეღოთ. მალე ეს მამულები მენშევიკური მთავრობის ხელში გადავიდნენ და კიდევ უფრო სწრაფი ტემპით დაქანდნენ ჯერ კიდევ ომის პირველ წლებში დაწყებული ნგრევის გზაზე. 1919 წელს ყოფილ საუფლისწულო მამულებში ღვინის საშუალო გამოსავალმა ერთ დესტინა ვენახზე 83 ვედრო შეადგინა ომახდელი 400—450 ვედროს ნაცვლად. „დემოკრატიული“ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტრომ, ჩანს, არ იცოდა რა ეყო ამ მამულებისათვის და რაკი საკუთარი ძალებით მათი გაძლოლის იმედი არ ჰქონდა, დასახმარებლად ექსპლოატატორული კლასების გამოზრმედელ წარმომადგენლებს მიმართავდა. ამაზე მკვერ-მეტყველურად ლაპარაკობს შემდეგი რეზოლუცია, რომელიც ერთ დოკუმენტზე შენახულა:

„სახ. მამულების განყოფილებას

შექმნილი პირობების გამო მე მაინც საპიროთ მიმანჩია ე. რამიშვილი გადაყ-

<sup>71</sup> Труды лаборатории при Сакарском питомнике американских лоз, вып. VII т. 1914, стр. 47.

<sup>72</sup> А. А. Егоров, Вопросы виноделия, стр. 143.

ვანილ იქნას ჩაქვეში გამგეთ, ხოლო წინანდალში დაინიშნოს ბ. ფორერი. ის საკმაოდ კარგი ხაზინი იყო თავის მამულისა რომ მამულში მოსამსახურე უხეირო ელემენტებს თავი არ ააღებოს.

მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერაძე. 25/9 — 20 წ. 73

დავუმატებთ, რომ ეს ის ფორერია, რომელსაც რევოლუციამდე განჯის გუბერნიის უფროსი დიდი ვენახები და ღვინის უდიდესი საწარმოები ჰქონდა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფორერი მენშევიკურ საქართველოში შემოხიზნულა და აქ „როგორც თავისი მამულის ყოფილი კარგი ხაზინი“ ასეთი პატივით მიუღიათ.

კახეთის ყოფილი საუფლისწულო, შემდეგ სახალხო მამულების აღდგენა და შემდგომი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო. ღვინისათვის მათ ბაზაზე შექმნილი არიან გაცილებით უფრო მსხვილი, ახალი ტექნიკით შეიარაღებული, კეთილმოწყობილი საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც თავიანთ წინამორბედებს მხოლოდ გეოგრაფიული სახელწოდებებით თუ მოგვაგონებენ.

### 3. ღმინის საწარმოების გაერთიანება მსხვილ სახელმწიფო ორბანიზაციებად

#### ა) სამტრედიის შექმნა

მევენახეობა-მეღვინეობის ყოფილ საუფლისწულო მამულებს და დასავლეთ საქართველოში ამ მიმართულების ყველაზე დიდ მეურნეობას — ანანოვის ყოფილ მამულს ვარციხეში პირველ ხანებში უშუალოდ მართავდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. 1924 წელს კი ამ მამულების და ზოგიერთი სხვა მეურნეობების ბაზაზე მიწსახკომის სისტემაში შეიქმნა სახალხო მამულების ტრესტი, რომლის

წესდებაც საქართველოს სსრ სახკომ-საბჭომ იმავე წლის 18 ივნისს დაამტკიცა.<sup>74</sup>

ტრესტის 1927/1928 სამეურნეო წლის ანგარიშიდან ვტყობილობთ, რომ იგი აერთიანებდა მევენახეობის 8 მამულს მათი ღვინის საწარმოებით, ამერიკული ვაზების 7 სანერგეს, მემინდვრეობის 4, მეხილეობის 3 და მეცხვოველეობის 4 მამულს. ამას გარდა, ტრესტს ჰქონდა სპირტისა და კონიაკის ქარხნები თბილისში, გომში, ვარციხეში და ზესტაფონში.<sup>75</sup> აქედან ჩანს, რომ სახალხო მამულების ტრესტი მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალიზებულ ორგანიზაციად არ ჩაითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ტრესტის ფიზიონომიის განსაზღვრადნენ სწორედ მევენახეობა და მეღვინეობა, რომლებსაც მის მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეკუთვნოდა.

ტრესტმა დიდი მუშაობა ჩაატარა ფილოქსერისაგან დაღუპული და ამ მიწებზე დაკავებული ვენახების აღსადგენად და შესაცვლელად სახალხო მამულებში. 1923 წელს იქ არსებული 425 ჰექტარი ვენახიდან საბჭოთა ხელისუფლების დროს გაშენებული იყო მხოლოდ 13 ჰექტარი, ხოლო 1928 წელს 429 ჰექტარ საერთო ფართობიდან ახლად გაშენებული ნარგავები შეადგენდნენ 280 ჰექტარს. მაშასადამე, ამ დროისათვის სახალხო მამულებმა უკვე აღადგინეს ფილოქსერაგამძლე საძირებზე თავისი ვენახების 65%-ზე მეტი.<sup>76</sup> ტრესტი დახმარებას უწევდა მშრომელ გლეხობას ვენახების აღდგენაში. 1927/1928 წელს ამ მიზნით მან გასცა 760 ათასი ცალი დაფესვიანებული ნამყენი ვაზი და 2637 ათასი მეტრი ამერიკული ლერწი, მათ შორის საზღვარგარეთიდან შემოტა-

<sup>74</sup> საქართველოს სსრ. შთავრების 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, თბ., 1925, გვ. 65.

<sup>75</sup> საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 288, საქმე 2009, ფ. 48—61.

<sup>76</sup> გამოანგარიშებულია ზემოთ დასახელებული ორი წყაროს მონაცემების მიხედვით.

<sup>73</sup> საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 118, საქმე 1284, ფ. 20.



ნილი — 2137 ათასი მეტრი. 1928 წელს კულარის სახალხო მამულში, პირველად საქართველოში, 13,9 ჰექტარ ფართობზე შესრულდა პლანტაჟი ტრაქტორის საშუალებით, ერთი ჰექტარის პლანტაჟი ტრაქტორით 50 — 60 მანეთი დაუჯდათ, მაშინ როდესაც ამ სამუშაოს ხელით შესრულება 600 — 800 მანეთი ღირდა. ამით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მევენახეობაში ყველაზე მძიმე და შრომატევადი სახის სამუშაოს მექანიზაციას.<sup>77</sup>

მევენახეობაში ტრესტი აგრძელებდა საუფლისწულო მამულების ტრადიციას მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის ღვინოების გამოშვების მხრივ, მაგრამ ამასთან ფართოდ იყენებდა სუფრის ღვინოების წარმოების ქართულ წესებსაც.

საკუთარი მოსავლის ყურძნიდან ღვინის წარმოების დონე იმ დროისათვის ომამდელთან შედარებით ჯერ კიდევ ბევრად დაბალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვენახების ნომინალური ფართობი ტრესტის მეურნეობებში თითქმის 100 ჰექტარით აღემატებოდა საუფლისწულო მამულების ვენახების ფართობს, 1927 წელს საკუთარი მოსავლის ღვინის რაოდენობა 53 ათას ვედროს უდრიდა, ხოლო 1928 წელს — 68 ათას ვედროს, მაშინ როდესაც ომამდე მარტო კახეთის საუფლისწულო მამულებს წელიწადში 120 — 150 ათასი ვედრო ღვინო მოსდიოდათ. სამაგიეროდ ტრესტი წლითიწლით აფართოვებდა ყურძნისა და ღვინის დამზადებას გლეხურ მეურნეობებში. 1924 წელს ყურძენი და ღვინო დამზადდა ღვინოზე გადაყვანით 136 ათასი ვედრო, 1928 წელს — 400 ათას ვედრომდე.<sup>78</sup>

ღვინის სახელმწიფო მრეწველობის გვერდით იმ წლებში მოქმედებდა საკ-

მაოდ მძლავრი კოოპერაციული ორგანიზაცია „საქართველოს ღვინო“ (წოდებულა, მაგალითად, 1928/1929 წამეტრნეტ წელს 656 ათასი ვედრო ღვინო გამოუშვა.<sup>79</sup> მაშასადამე, მეღვინეობის სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების წლიური პროდუქცია იმ ხანებში ერთ მილიონ ლექალიტრ ღვინოს აღემატებოდა, მაგრამ იგი ძირითადად გლეხობისაგან შესყიდული ღვინომასალისაგან მზადდებოდა. ამრიგად, იმ დროს მეღვინეობა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ უმთავრესად შინაური და შინამრეწველური წარმოების ხასიათს ატარებდა.

1929 წლის დასაწყისში სახალხო მამულების ტრესტთან გაერთიანდა საქართველოს სსრ სმუ საბჭოს სპირტ-კონიუკის ტრესტი „საქსახსპირტი“ და მათ ბაზაზე საქართველოს სსრ მიწსახკომის სისტემაში შეიქმნა საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.<sup>80</sup> ტრესტის სახელწოდებიდან ამოვარდა ფეოდალური სიტყვიერი გადმონაშთი, მაგრამ ეს საქმის ფორმალური მხარეა. მთავარი კი ის იყო, რომ მისი სახით მოეწყო მძლავრი სამეურნეო ორგანიზაცია, რომელშიაც გაერთიანდნენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები და ღვინისა და მისი უმნიშვნელოვანესი პროდუქტის — კონიუკის მთელი ძირითადი სახელმწიფო მრეწველობა. სამტრესტი ბევრად უფრო სპეციალიზებული იყო, ვიდრე სახალხო მამულების ტრესტი, თუმცა მის შემადგენლობაში კვლავ დარჩა მეცხოველეობისა და მემინდერეობის რამდენიმე საბჭოთა მეურნეობა.

პირველ სამ-ოთხ წელიწადში ღვინის წარმოება სამტრესტში ბევრით არ გადიდებულა. მაგალითად, 1930 წელს მან რეალიზაცია უყო 626 ათას ლექალიტრ ღვინოს.<sup>81</sup> ეს, ალბათ, დაახლოებით შე-

<sup>77</sup> საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 288, საქმე 2009, ფ. 48-61.

<sup>78</sup> საქ. ს. ს. რ. მთავრობის 1924 წლის მოქმ. მოკლე ანგარიში, გვ. 66 და ზემოთ დასახ. წყარო.

<sup>79</sup> საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 377, საქმე 878, ფ. 50.

<sup>80</sup> სამტრესტის არქივი, შეკვრა № 1, საქმე 5.

<sup>81</sup> სამტრესტის არქივი, ტრესტის 1930 წლის წლიური ანგარიში, ფ. 125—126.

ესატყვისება 1929 წლის მოსავლიდან საკუთარ საწარმოებში მიღებული და შესყიდული ღვინის რაოდენობას. შემდგომში ღვინომასალების წარმოებამ სამტრესტის სისტემაში შეადგინა (ათას დეკალიტრებით): <sup>82</sup>

1931	წელს	—	295
1932	"	—	567
1933	"	—	1257
1934	"	—	1251
1935	"	—	1000
1936	"	—	1178
1938	"	—	1330
1938	"	—	1308
1940	"	—	1017

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ ღვინის მასობრივი წარმოება სამტრესტმა 1933 წლიდან გაშალა. ეს იმის შედეგიც იყო, რომ 1932 წლის აპრილში სამტრესტს შეუერთდა რესპუბლიკაში არსებული მეღვინეობის მეორე მსხვილი ორგანიზაცია — გაერთიანება „საქართველოს ღვინო“, რომელიც საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიოდა. <sup>83</sup>

1937 წლის თებერვლიდან სამტრესტი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გადაეცა. წარმოების მართვის რეორგანიზაციის შემდეგ, 1957 წლიდან იგი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში იმყოფება.

**ბ) შამპანურის წარმოების მოწყობა**

1936 წლამდე სამტრესტში იყო თავმოყრილი ღვინის მთელი სახელმწიფო

მრეწველობა. სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ(ბ) ცენტრალურ მრეწველობის 1936 წლის 28 ივლისის ცნობილი დეკრეტის შემდეგ, რომლითაც დაიწყო საბჭოთა საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ჩქარი აღმავლობა, რესპუბლიკაში შეიქმნა შამპანური ღვინოების წარმოების კომბინატი. შამპანკომბინატს სამტრესტიდან გადაეცა მუხრანისა და ვაკევის საბჭოთა მეურნეობები და ყურძნის თითქმის მთელი დამზადება ზემო იმერეთში და ქართლში. კომბინატმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში შამპანური ღვინოების მასობრივი წარმოების განვითარების საქმეში.

ლიტერატურული წყაროებიდან კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოში უკვე XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო შამპანურის წარმოების ორგანიზაციის ცდები, რომელთა დიდ ნაწილს მეღვინეობაში კვალიც არ დაუტოვებია. ასეთი ბედი ეწია მეფის მთავრობის მიერ დაარსებული „საქართველოს ღვინის კომპანიის“ სპეციალისტის ი. ლენცის მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში დაწყებულ შამპანურის წარმოებას კახეთში. ასევე ამაოდ დაშვრა „მეღვინეობასთან პრაქტიკულად გაცნობილი რეინელი გერმანელი“ ვინმე შორინიგი, რომელმაც 70-იანი წლების დასასრულს თურმე იწყო შამპანურის კეთება საჯავახური ღვინოებისაგან და მისი გაყიდვა თბილისში „მაგრამ გასაღების სიძნელემ აიძულა იგი მიეტოვებია ეს საქმე“ <sup>84</sup>.

მაგრამ ადგილი ჰქონდა ქართული ღვინომასალებისაგან შამპანურის დამზადების სერიოზულ ცდებსაც. საკმაოდ მაღალი ხარისხის შამპანური საქართველოში პირველად დამზადდა ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში 80-იანი წლების დამდეგს. ეს მეურნეობა ყოველწლიურად უშვებდა 20 — 30 ათას ბოთლ შამპანურს, რომელიც იყიდებო-

<sup>82</sup> იქვე, სამტრესტის სათანადო წლების ანგარიშები.

<sup>83</sup> დარგობრივი გაერთიანება „საქართველოს ღვინო“ შეიქმნა 1931 წლის სექტემბერში სახელმწიფოსათვის გადაეცემა იმავე სახელწოდების კოოპერაციული ორგანიზაციის ბაზაზე და იარსება სულ 7 თვე. (საქ. სსრ ოქტრევ. ცენტრ. საბ. არქივი, ფონდი 1147, საქმე 385, ფ. 1—6, აგრეთვე საქმე 388, ფ. 1).

<sup>84</sup> П. Дзюбенко, Виноделие на Кавказе. т. 1886, стр. 4 — 5.

და თბილისში და რუსეთის ქალაქებში.<sup>85</sup>

ქუთაისში 1883 — 1886 წლებში მოეწყო შამპანურის ქარხანა, რომელიც ჯერ ეკუთვნოდა გენერალ შოტს და შემდეგ პრინც ოლდენბურგისს. ეს წარმოებაც წელიწადში 30 ათას ბოთლამდე შამპანურს უშვებდა.<sup>86</sup>

უფრო ფართოდ დააყენა შამპანურის წარმოება იმერული ლეინომასალებისაგან მიპრან ანანოვმა, კაპიტალისტ ანანოვების იმ ოჯახის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც მოიკალათა დასაყვლეთ საქართველოს შუაგულში — ვარციხეში, ბაღდათში, აჯამეთში, დიმიში, ფერსათში.

1860 წლის ბოლოს მოსკოველმა ეპარქია „კომერციის მრჩეველმა“ იე. ანანოვმა ქუთაისში საჯარო ვაჭრობით შეიძინა ვრცელი მამული სოფელ ვარციხესთან, რომელსაც მისი მემკვიდრეები რევოლუციამდე ფლობდნენ.<sup>87</sup> 1918 წლისათვის ანანოვების მამულების საერთო ფართობი 8 200 ჰექტარს უდრიდა. მათ ფარგლებში იყო აჯამეთის განთქმული მუხნარის მთელი მსივი. მამულების ტერიტორიიდან ტყეს ეკავა 4.900 ჰექტარი, ვენახებს — 140 ჰექტარი, დანარჩენი ფართობი კი ეჭირა კარმიდამოებს, ხილის ბაღებს, სხვადასხვა კულტურების ნათესებს და საძოვრებს.<sup>88</sup>

ანანოვების მამულების მენეჯერული მთავრობის გამგებლობაში მიმღები კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ს. ტიმოფეევის მოწმობით, მიპრან ანანოვის ქარხანას 1912 წელს გამოუშვია 52 ათასი ბოთლი შამპანური და 1913 წელს — 55 ათასი ბოთლი. გამოშვებული შამპანურის 60% რუსეთში გაუტანიათ. მაგრამ, როგორც წყაროებიდან ჩანს, პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ანანოვი მხოლოდ იწყებდა ღვი-

ნისა და შამპანურის წარმოების გაშლას, „მიწათმოქმედების მინისტრის“ საბჭოს წევრის მოვალეობის აღმასრულებელი“ ს. ტიმოფეევი, რომელიც, ეტყობა, დიდი ხალისით არ ატარებდა მამულის ნაციონალიზაციას, ოფიციალურ დოკუმენტში წერს, რომ „სამწუხაროდ“, ომსა და „განსაკუთრებით ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მომხდარ ამბებს... სამწუხარო შედეგები მოჰყვა ანანოვის საწარმოსათვისაც“ და რომ ანანოვმა, „რომელმაც ამ საქმეზე (ვენახების გაშენება, ღვინის დასაყენებელი მეურნეობის მოწყობა) 1,5 მილიონამდე მანეთი დახარჯა, ალბათ, ამ დანახარჯების ერთი მესამედიც ვერ ამოიგო.“<sup>89</sup>

საბჭოთა ღვინის მრეწველობა განაგრძობდა შამპანურის წარმოებას, მაგრამ ძალიან მცირე მოცულობით. 1924 წელს, მაგალითად, გამოშვებულ იქნა 20 ათასი ბოთლი შამპანური,<sup>90</sup> 1930 წელს — 21,7 ათასი ლიტრი, 1935 წელს — 48,2 ათასი ლიტრი.<sup>91</sup>

შამპანკომბინატის დაარსებისთანავე დაიწყო მძლავრი შამპანური ქარხნის მშენებლობა თბილისში და მთელი რიგი პირველადი მეღვინეობის ქარხნებისა მევენახეობის რაიონებში. ყურძნის გადამამუშავების 1939 წლის სეზონისათვის უკვე ამუშავდა შამპანკომბინატის 5 ახალი ღვინის ქარხანა და თბილისის შამპანური ქარხნის პირველი რიგი. 1939 წელს შამპანკომბინატმა გამოუშვა 103,4 ათასი ბოთლი შამპანური<sup>92</sup>, 1940 წელს კი — 1650 ათასი ბოთლი.<sup>93</sup> ეს მოასწავებდა, რომ საქართველოში უკვე შეიქმნა შამპანურის მსხვილი მრეწველობა.

<sup>85</sup> იქვე, საქმე 2019, ფ. 2—3.

<sup>90</sup> საქ. სსრ. მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, გვ. 66.

<sup>91</sup> სამტრედიის არქივი, ტრესტის წლიური ანგარიშები: 1930 წლისა, ფ. 125—126; 1935 წლისა, ფ. 282.

<sup>92</sup> Советское шампанское Грузии, стр. 106. и таблица.

<sup>93</sup> საქ. სსრ. ენტრ. სტატ. სამმართველოს ცნობით.

<sup>86</sup> Советское шампанское Грузии, Т. 1940, стр. 32—33, აგრეთვე იხ. მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1946, გვ. 196.

<sup>87</sup> იქვევე წყაროები.

<sup>88</sup> Залиски Кавказского общества сельского хозяйства № 2, 1863, стр. 61.

<sup>89</sup> საქ. სსრ. ოქტ. რევ. ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 118, საქმეები 2005 და 2019.

საბჭოთა შამპანურის წარმოება ემყარებოდა მევენახეობის არა იმ რაიონებს, სადაც აწარმოებდნენ თავიანთ ცდებს პრინცი ოლდენბურგსკი და კაპიტალისტი ანანოვი. შესწავლითა და საწარმოო გამოცდილებით გამოირკვა, რომ შამპანურის დასამზადებლად უკეთეს ღვინომასალებს იძლევიან ორჯონიკიძის, სანხერის, ზესტაფონის რაიონები (ჯიში ციკქა), აგრეთვე გორის, კასპის, მცხეთის რაიონები (ჯიშები ჩინური, გორული მწვანე, ალიგოტე). შამპანურის წარმოების ბაზამაც აქეთ გადმოინაცვლა. ამავე რაიონებში გაშენდა პინოს ჯგუფის შამპანური ჯიშების ვენახები, რომელთა ფართობი 1940 წელს 383 ჰექტარს უდრიდა.<sup>94</sup>

**ბ) კონიაკი**

კონიაკი ქართული მეღვინეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტია. მეფის რუსეთის ტერიტორიაზე კონიაკის წარმოება პირველად თბილისში დაიწყო. ამ საქმის პიონერი იყო ცნობილი ქართველი მრეწველი და ფილანტროპი დ. სარაჯიშვილი.

ღვით სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წელს თბილისელი დიდბურის ოჯახში. 1871 წელს მან დაამთავრა ჰიდელბერგის უნივერსიტეტი ქიმიის დოქტორის ხარისხით. ამის შემდეგ იგი კვლავ ევროპაში დარჩა და 8 წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებს სწავლობდა. 1878—1879 წლები სარაჯიშვილმა საფრანგეთში დაჰყო და იქ, როგორც მისი ბიოგრაფი წერს, „მეღვინეობის ყველა სახეები შეისწავლა“.

1885 წელს სარაჯიშვილმა შეიძინა სპირტსახდელი ქარხანა ქ. ვლადიკავკაზის (ახლანდელი ორჯონიკიძე) ახლოს, ხოლო 1887 წელს თბილისში შოაწყო ლიჭორის ქარხანა. „მაგრამ, — გვაძეკნობს იგივე ბიოგრაფი, — არც სპირტსახდელ და არც ლიჭორის საქმეს არ შეეძლო დავამაყოფილებია დავით ზაქარაძეს და ამ დარგებში არ ეძიებდა ის თავისი ცოდნის გამოყენებას, — მისი სურვილი იყო

სისრულეში მოეყვანა დიდი ხნის მოფერებელი კონიაკის წარმოება რუსეთში“.

1888 წელს დ. სარაჯიშვილმა ცნობა ამხელისში პირველი საკონიაკე ქარხანის დასაპირველად ღვინომასალები მას შემოაქონდა თბილისში და აქ კონიაკის სპირტად ამუშავებდა. მაგრამ ეს არახელსაყრელი აღმოჩნდა და სარაჯიშვილმაც ავგო კონიაკის სპირტის გამოსახდელი ქარხნები: 1889 წელს — ყიზლარში, 1894 წელს — ვარკეიანში, 1895 — წელს — დაბა კალარაში, ქ. კომინოვის ახლო, ზესარაბიაში და 1901 წელს — გეოქაინში (ახერბათჯანი). თბილისის ქარხანაში კონიაკის სპირტი ქართული ღვინომასალებიდან იხდებოდა. ცენტრალური სარდაფი, სადაც ხდებოდა კონიაკის აუბაჟი, დაჰველება და გამოშვება, იმყოფებოდა თბილისში.<sup>95</sup>

სარაჯიშვილის ყოფილი ფირმის საწარმოები, რომლებიც პროლეტარული სახელმწიფოს ხელში გადავიდნენ და ამ ფირმის მიერ ხანგრძლივი საწარმოო გამოცდილებით შემუშავებული ტექნოლოგია საფუძვლად დაედნენ საბჭოთა კონიაკის მრეწველობის განვითარებას საქართველოში.

1913 წელს საქართველოში კონიაკის საწყოებებმა გასაყიდად გამოუშვეს 30813 დეკალიტრი უწყლო კონიაკი, ანუ 42-გრადუსიან კონიაკზე გადაყვანიით — 73366 დეკალიტრი. პირველი მსოფლიო ომის წლებში და მენშევიკების ბატონობის დროს კონიაკის წარმოება ძლიერ დაეცა და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო მისი თანდათანობით აღდგენა. 1924 წელს სახალხო მამულების ტრესტმა გამოუშვა 100 ათასი გრადუსი კონიაკი, ანუ 42-გრადუსიანზე გადაყვანიით — 2818 დეკალიტრი, 1930 წელს — 4897 დეკალიტრი და 1935 წელს — 50565 დეკალიტრი.<sup>96</sup>

სსრ კავშირის მთავრობამ და საჯ. კბ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით საქი-

<sup>94</sup> ვენახების 1940 წლის სრ. საკავშირო აღწერის შედეგები... თბ., 1941, გვ. 19—20.

<sup>95</sup> იხ. წიგნი „ღვით სარაჯიშვილის სახსოვრად“, გამოშვების თარიღი აღნიშნული არ არის.

<sup>96</sup> საქ. სს.რ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, გვ. 66 და სამტრესტის 1930 და 1935 წლის წლიური ანგარიშები.

როდ სცნეს კონიაკის გამოშვების გადიდება საქართველოში 1944 წლისათვის 500 ათას დეკალიტრამდე 1939 წლის 53 ათასი დეკალიტრის ნაცვლად. ჩვენს ქვეყანაზე გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა თავდასხმისა და შემდეგ გაჩაღებული დიდი სამამულო ომის გამო საქართველოს ღვინის მრეწველობამ ვერ შესძლო ამ დავალების შესრულება. მიუხედავად ამისა, ზსენებული დადგენილებით მტკიცე ნიადაგი შეექმნა კონიაკის წარმოების შემდგომ განვითარებას საბჭოთა საქართველოში. მის საფუძველზე თბილისში დაიწყო ახალი კონიაკის ქარხნის მშენებლობა 500 ათასი დეკალიტრის სიმძლავრით. ეს ქარხანა ექსპლოატაციაში შევიდა ომის შემდეგ წლებში.

\* \* \*

ამრიგად, 1940 წლისათვის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში შეიქმნა ღვინის ნამდვილი მსხვილი, ძირითადად მოწინავე ტექნი-

კის ბაზაზე დაფუძნებული მრეწველობა. იგი ყოველწლიურად აღდგებდა წარუმატებელი პროდუქციის გამოშვებას და სწრაფად და მის ასორტიმენტს. სუფრის ღვინოებთან ერთად საქართველო უკვე ფართო მასშტაბით აწარმოებდა შამპანურს. მთავარი მიღწევა კი ის იყო, რომ ქართულმა საბჭოთა ღვინის მრეწველობამ, მთავრობისა და პარტიის ყურადღების შედეგად, მძლავრი გაქანება მიიღო შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის. ეს კი უალრესად ესპეროებოდა საბჭოთა ქვეყანას. დრო იყო ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხის მშრომელის სუფრა ხშირად დაემშვენებია ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომისა და საქართველოს ბუნების საერთო ნაყოფს — ქართულ ღვინოებს, შამპანურს, კონიაკს.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობაში სამამულო ომის წინ დაწყებული ფართო მშენებლობა უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა ამ მრეწველობის სწრაფი აღდგენისა და განვითარებისათვის ომის შემდგომ პერიოდში.

ვაჟა გვახაჩია



## გაქარია ფაღიაშვილი და ხალხური შემოქმედება

1859 წელს, ევროპის უდიდეს და უღამაზეს ქალაქ ვენაში, რომელიც იმ დროს პარიზის შემდეგ ითვლებოდა ევროპის კულტურის კერად, სადაც მოღვაწეობდნენ ჰაიდნი, მოცარტი, ბეთოვენი, შუბერტი, ქალაქში რომელიც არისტოკრატას ართობდა შტრასენებისა და ლანერის ვალსებით და რომელიც განთქმული იყო საოპერო თეატრით... იღვმებოდა ახალი სექტაჟი გენიალური კომპოზიტორისა, ჩატარდა 70 რეპეტიციებზე მეტი და, რაც არასოდეს არ მომხდარა ოპერის ისტორიაში, ბრწყინვალე შედეგადა ვერ აითვისეს მსოფლიოში ცნობილმა მსახიობებმა, თეატრის დირექტორ იტლებული შეიქნა, ზარალის შედეგად სექტაჟი მოეხსნა. ეს ოპერა გახლდათ რიპარდ ვაგნერის „ტრისტან და იზოლდა“, რიპარდ ვაგნერისა, რომელსაც უკვე დაწერილი ჰქონდა „ტანჰოიზერი“, „ლოენგრინი“, „რიგინის ოქრო“, „ვალკირია“, მოეპოვებოდა თეორიული გამოკვლევები „ტრისტან და იზოლდა“, კლმინაცია ვაგნერის შემოქმედებითი გენიისა, რომლის სიუჟეტური სათავეც მსოფლიოში ცნობილ იშთარ-თეორ-იზოლდის უძველესი მითისგან მოდის, ოპერას, რომელსაც საფუძვლად დაედო სახალხო მომღერლის მინეზინგერის გოტფრიდ სტრასბურგერის გადამწამებული თხზულება, წარმოშობილი ხალხურ წიაღში, ცნობილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მრავალ ვარიანტებად, რ. ვაგნერის ინტერპრეტაციის შედეგად ხელმოწერილია დარჩა და გაუგებარი იმ ფართო მასებისათვის, რომლებშიც ეს თქმულება ათას წლების მანძილზე შემოინახეს და პოპულარული გახადეს.

თუკი „ტრისტანის და იზოლდას“ პირველი აკორდი საფუძველი ვახდა, როგორც გამოჩენილი მუსიკათმცოდნე კერტი აღნიშნავდა, დასავლეთ ევროპის მუსიკალური კრიზისისა, საფუძველი გახდა დეკადენტური მრავალმხრივი მუსიკალური მიმდინარეობის გავრცელებისა დასავლეთ ევროპის მუსიკაში, „ტრისტან და იზოლდას“ მითის შორეული ქართული ვარიანტი — „ახესალომ და ვთერის“ ციკ-

ლი, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეშია უძველეს დროიდანვე გავრცელებული, საფუძვლად დაედო რეალისტრ ტენდენციებზე დაფუძნებულ, ყველასათვის გასაგებ პირველ ნაციონალურ კლასიკურ ოპერას „ახესალომ და ვთერს“, რომლის შესავლის პირველი აკორდი, როგორც კომპოზიტორ შალვა მშველიძე აღნიშნავს, წინააღმდეგ „ტრისტანის“ შესავლის პირველი აკორდისა, საფუძვლად დაედო ქართული ლიტერატურულ-მუსიკალურ ენას, საძირკველი შეიქმნა ქართული საპოეთა მუსიკის რეალისტრ საფუძვლებზე აღმოცენებული ახალი განრების დამკვიდრებისათვის.<sup>1</sup>

„ახესალომის“ დაბადების თარიღია 1919 წლის 21 თებერვალი და უკვე 1923 წლის 20 თებერვლისათვის 100 სექტაჟი დაიდგა, ხოლო 1942 წელს საგანგებოდ აღინიშნა 600 დადგმა.<sup>2</sup> მაშინ, როდესაც ვაგნერის შედეგებში „ტრისტან და იზოლდას“ და პარიზის სცენაზე დადგმულმა „ტანჰოიზერმა“ თავიპირველად მარცხი განიცადეს.<sup>3</sup> „ახესალომის“ წარმატების საწინდარი, ვიმეორებთ, ხალხურობა და იქედან გამომდინარე რეალიზმი, რომელიც უანსალი საწყისია კომპოზიტორის შემოქმედებისათვის და, საერთოდ, იძლევა იმპულსს ხელოვნების განვითარებისათვის. „ახესალომ და ვთერის“ პოპულარობის მიზეზს თვით ზაქარია ფაღიაშვილი ხსნის მის ერთ-

1 შ. მშველიძე, მაღალი-დედური მუსიკისათვის („ლიტერატურა და ხელოვნება“ № 15, 1948 წ. 18(4) და „ზ. ფაღიაშვილის ხალხურობა („ლიტ. და ხელოვნ.“ № 48, 1947 წ.).

2 შ. ასლანიშვილის წინასიტყვაობა, კლავირი „ახესალომ და ვთერი“ გვ. 9.

3 „ლიტ. და ხელ. მნიშვნელოვანი თარიღები“ (1943 წ. №1).

4 ზ. ფაღიაშვილისა და რ. ვაგნერის ნაწარმოებებს შორის „ხალხურობის თვალსაზრისით ვადარებთ, სხვა თვალსაზრისით დაპირისპირება, რასაცირველია გამოიხატება.

ერთ ავტობიოგრაფიულ წერალში. „ქართული ხალხური მელოდიების სიუხვე, შევითვისე რა რუსული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მდიდარი საშეაღებები, მუსიკალური კომპოზიციის დარგში, ფართოდ გამოვიყენე ისინი განსაკუთრებული გულისხმობებით შერჩეული ხალხური ძანგების დამუშავებაში. მელოდიის სიმდიდრე, მარჯვე და მოსწრებელი კონტრაპუნქტული ხლართები, ჰარმონიის სიდიადე და სიფაქიხე, წმინდა სიყვარულის ღირსი, მუსიკალური პლასტიკურობა, მელოდიურობა და ორიენტალიზმი, — ყველივე ეს თავისი ღირსებით ყურადღებას იქცევს მთელი ოპერის მანქალა“, 1 ისეთვე დიდი როლი ითამაშა ქართული ხელოვნების განმტკიცებაში კომპოზიტორის მეორე ოპერა „დაის-მა“ (დაიდგა 1923 წლის 19 დეკემბერს, კ. მარჯანიშვილის მიერ), რომელიც „აბესალომთან“ ჯანსაღ ხალხურ მუსიკალურ ტრადიციებზე წარმოიშვა და საბჭოთა მუსიკის პირველი პერიოდს — პირველი რეალისტური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც წინაღუდგა საბჭოთა მუსიკისათვის უცხო დეკადენტურ გადაზრებს.

ჩვენ თემა — „ზ. ფალიაშვილი და ხალხური შემოქმედება“ ახალი არ არის. ამ საკითხს ეხება ყველა, ვისაც კი ზ. ფალიაშვილის შემოქმედებაზე უწერია. 2 ნარკვევი მიზნად არ ისახავს ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის განხილვას, ჩვენ მხოლოდ არმდენად არსებითი დებულებით შემოვიფარვლებით და შევხებით კომპოზიტორის მხოლოდ გარკვეულ ნაწარმოებებს.

ზემოთ მოყვანილი ავტობიოგრაფიული ციტატიდან კომპოზიტორი ჩამოთვლის სამ არსებით მხარეს, რომლებმაც „აბესალომ და ვთერას“ შექმნას მოეზადეს ნიადაგი. ისენია: 1. ქართული ხალხური მელოდიების სიუხვე; 2. რუსული და ევროპული შემკვიდრობის ათვისება და 3. ქართული მუსიკის სპეციფიკის გათვალისწინებით „რუსული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მდიდარი საშეაღებების გამოყენება“, ამის შედეგად, ქართული მუსიკის ახალი ფორმის დამკვიდრება და მუსიკალურ-ლიტერატურული ენის შექმნა.

შევებით პირველ ორ საკითხს, რომლებიც სხვა წერილებშიც ხაზგასმით აქვს აღნიშნული კომპოზიტორის: სად ათვისა ზ. ფალიაშვილმა ქართული ხალხური მუსიკა და შეისწავლა ევროპული და რუსული კლასიკური შემკვიდრებობა? ევროპულ მუსიკას იგი ბავშვობიდანვე

ისმენდა. ავტობიოგრაფიულ ცნობაში ზ. ფალიაშვილი აღნიშნავს: „როგორც კათოლიკე, ხშირად მოსიარულენი გელბინაში, სადაც სავსესით ორღანის ნაზი ხმები სმენას ატყობას და ავითარებს, ჩვენც, და მომეტებულად კი მე და ჩემი უფროსი ძმა ივანე, რომელმაც პირველმა თავის უმცროს დამძებს ჩავგინერგა სიყვარული მუსიკისადმი...“ 1 შემდეგ ფელიქს მიზანდართან შეცადინებამ, ქუთაისის კათოლიკეთა გელბინასთან არსებულმა სამრევლო სკოლამ, თბილისში მოღვაწეობამ, თბილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლამ ჯერ ნ. ს. კლუნოვისთან და შემდეგ კი მოსკოვის კონსერვატორიაში ტანეევის ხელმძღვანელობით, დაასრულა კომპოზიტორი არსებულ და დასავლეთ ევროპის მუსიკალურ კულტურის განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ხელოვანისათვის ცნობილი პედაგოგის, კომპოზიტორისა და თეორეტიკოსის სერგეი ივანეს-ძე ტანეევის სკოლა, რომელმაც თავისი ნიჭიერი მოწაფე დააფუძა პოლიფონურ მუსიკას, განსაკუთრებით „შაკერ სტლს“. ს. ტანეევის ზეგავლენა ზ. ფალიაშვილის პროფესიონალურ ოსტატობაზე და მისი დამოკიდებულება მასწავლებლისადმი კარგად ჩანს კომპოზიტორის წერილებში. ფალიაშვილის მოგოგება რეცენზიებში ბ. გლინკაზე, პ. ჩაიკოვსკიზე, ნ. რამსკოკორსაკოვზე. „ივან სუსანიანს“ პარტიტურას იგი ყველა მუსიკოსის მაგიდის წიგნად მიიჩნევს, განსაკუთრებით კი კომპოზიტორებისათვის, „როგორცა მიზანია მშობლიური მუსიკალური კულტურული შემკვიდრობის განვითარება“. იგი განსაკუთრებულ მოწიფებით იხსენებს ედუარდ გრეგს და აღნიშნავს მის ფუნქს ნორვეგიული მუსიკის განვითარებაში. შემოხვევით არ არის ამ კომპოზიტორისაგან ლტოლვა 2.

რუსული და ევროპული მუსიკის გარდა კომპოზიტორის, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ ბიოგრაფიული ამონაწერი, ათვისებული ქონდა „ქართული ხალხური მელოდიების სიუხვე“. ქალაქური ფოლკლორის ნიმუშებს იგი ჯერ ქუთაისში გაიყნო, შემდეგ კი — თბილისში. ქართული ხალხური მუსიკის სიღრმე მან ყველაზე მეტად აითვისა ლაო აღნიაშვილის ქართულ ნაყოფიერ ჯუნდში, რომელმაც მრავალი პარტიტო-სახელოვანი მუსიკოსი გამოზარდა. თბილისის სამუსიკო სასწავლებელში თვით ზ. ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა ქართული სიმღერის ანსამბლს. წარმატებით ჩაიარა ქართული სტუდენტების გუნდის კონცერტმა „ეთილშობილი საყრახული სის-

1 „ლიტ. და ხელ.“ 1943 წ. № 1

2 ბიბლიოგრაფია იხილეთ შ. კაშმაძის წიგნი „ზაქარია ფალიაშვილი“, 1948 წ. გვ. 159-170.

1 შ. კაშმაძის ზ. დ. ნაშრ. გვ. 5.

2 X. Аракелов-ის სტატია «Советская Музыка»-ში 1955 წ. № 5, გვ. 76-8 და № 8, 1938 წ. № 8 მასალები.

წლებელში მოსკოვში (1902 წ. 3 ნოემბერს) <sup>1</sup> მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ზ. ფალიაშვილი იწვევს მოღვაწეობას თბილისის საბუნებისმეტყველებელში, ვაჟთა სათავადაზნაურო და ქალთა განმანათლებელი, 1903 წელს კი იგი ფონოგრაფით ხელში მოგზაურობს სვანეთში. მან იმოგზაურა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ზ. ფალიაშვილი ავტობიოგრაფიაში წერს: „თბილისში წლის განმავლობაში შემოვიარე საქართველო და შევეკრებე 300 სიმღერა და პანგი. ყველა ამას ფონოგრაფით ვიწერდი თვით სოფელში“, „ჯერ კიდევ კონსერვატორიაში ვსწავლავდი, როდესაც ქართული ხალხური სიმღერების შეგროვებასა და დამუშავებას შეედექე“. <sup>2</sup> 1909 წელს „ფასკუნჯში“ ზ. ფალიაშვილი წერდა: „უბრძულესი და მტრად რთული ამოცანა ის არის, თუ რა გზით და როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ იმ ქართული საზოგადოების უმეტესობას, რომელსაც დღეს მივიწვევებელი აქვს თავისი საკუთარი, შამაპანისგან შექმნილი და ჩვენთვის ნაანდერძევი ვალობა-სიმღერების სიმშვენიერე, და გამსუვალული აქვს სმენა საზოგადოებრივად მუსიკით, ინტერესი აღუძრათ და შეეყვარათ ის, რასაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის, — ეროვნული კულტურული განვითარების საქმე. ქართული სიმღერა-ვალობის გავრცელებასა და მის გამშვენიერებას, ჩემს აზრით, ერთდერითი საშუალება აქვს — რაც შეიძლება მალ-მალე იმართებოდეს კონსერტები“. <sup>3</sup> და სწორედ ამ მიზნის განხორციელებას უწყობდა ხელს ქართული ფილარმონიული საზოგადოება. <sup>4</sup>

თავი მოუყარავს მრავალ ძველ საგალობელს, რომლებიც შემონახული იყო ხალხში. ამ საქმეს მიუძღვნა ბევრი სტატიაც და გამოკვლევაც. ქართული მუსიკის შესახებ წერდაც ზ. ფალიაშვილი, კორგანოვი, ტუფოვი და სხვ. 1885 წლიდან მოყოლებული ზედხედ გამოდიოდა კრებულები, მაგალითად, 1885 წელს — ან ბენაშვილის „ქართულ სიმღერათა კრებულო“, 1886 წელს — ი. რატილის „ალილო“ (27 ხალხური სიმღერა, ხელნაწერი), 1890 წელს — გროზდოვის 19 მეგარული სიმღერა, 1893 წელს — ს. კენკოვის 5 ქართული სიმღერა, 1895 წელს — იპოლიტოვ-გვანოვის 12 ქართული სიმღერა, 1896 წელს — ზ. ჩხიკვაძის — კრებული „სალამერი“, 1899 წელს — ი. კარგათელის მიერ 50 ქართული სიმღერების კრებული, შენიშვნებითურთ, მისივე — 1912 წელს ქართული სიმღერების კრებული, 1900 წელს — ფ. ქორიძის ქართულ ხალხურ სიმღერათა კრებული, 1901 წელს — დ. არაიშვილის 500 ქართული სიმღერა, 1908 წელს — მისივე ფიქსირებული 83 სიმღერა, ხოლო 1916 წელს — 225 სიმღერა. ყველა მოსკოვში გამოცემული. ცხრასიან წლებში ქართული მუსიკის შესახებ წერილებს აქვეყნებდნენ: მ. ბალანჩიქაძე, დ. არაიშვილი, ი. კარგათელი, ზ. ფალიაშვილი.

ზ. ფალიაშვილის ფოლკლორული ჩანაწერებიდან ცნობილია მის მიერ დამუშავებულ: 1. თანე ოქროპირის წიგნის წესის საეკლესიო საგალობლები; ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ხმამეწობრილი (1911 წ. 22 საგალობელი, ქართლ-კახური კილო); 2. რვა ხალხური სიმღერა, შემუშავებული შერეული გუნდისათვის (1911 წ.); 3. 42 ხალხური სიმღერა... ხალხური პარამონიზირებით (1911 წლის გამოცემა); 4. 18 საეკლესიო საგალობელი (ქართლ-კახური კილო. ფილარმონიის საზოგადოების გამოცემა). საუბრადღებია მის მიერ დამუშავებული თვლი რიგი სტატიები და ნარკვევები: „მოგზაურობა კახეთში“, „მოგზაურობა სვანეთში“, კრებულების წინასიტყვაობა, ქართული სიმღერების მოკლე მიმოხილვა, რეცენზიები სხვადასხვა ეყრნალ-გაზეთში.

ზ. ფალიაშვილის მოღვაწეობა მკვიდროდ არის დაკავშირებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მამულიწვილურ საქმიანობასთან, იგი უშუალო და აქტიური ძალი იმ ეპოქისა, რომელსაც ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორიაში „დავითების ხანა“ ეწოდება. ეს ის პერიოდია, როდესაც ილია ავაკი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი მოღვაწეობენ, როდესაც გამოდის „სურათფორი ხალხური ნიშნები“ დიდი აღნიშნულისა (1891 წ.), თავისუფალი სვანის (1893 წ.), ალ. ცაგარელისა და ი. ყიფშიძის, იაკობ ვოგეზაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, თედო რაზ-

<sup>1</sup> შ. კაშმაძის ზ. დ. შრ. გვ. 14, 17.  
<sup>2</sup> „ლიტ. და ხელოვნება“. 1943 წ. № 1.  
<sup>3</sup> ამონაწერი ვ. ჩხიკვაძის სტატიიდან „ზ. ფალიაშვილი და ხალხურობა“ („ლიტ. და ხელ.“ 1944 წ. № 18 28/5).  
<sup>4</sup> იხილეთ ამ საკითხზე შ. კაშმაძის სტატია „ქართული ოპერისა და ფილარმონიის სათავე“ („ლიტ. და ხელ.“ 1945 წ. № 39).



კაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალ. ხახანაშვილისა და სხვათა წერილები, გამოკვლევები, კრებულები, როდესაც ქართული პარტის ფურცლებზე იბეჭდება მოწოდებები, ტექსტები, სტატეები ხალხური შემოქმედების შესახებ. თუ რამდენად ახალი იყო ეს საქმე — და ჯერ კიდევ მოთმინებული ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკა — ნათლად მეტყველებს ზ. ფალიაშვილის ნარკვევი „ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები“.

ცხადია, ეს საქმე სრულიად ახალი იყო, თანდათან იკადრებდა ფეხს და ძლიერდებოდა. შემდეგში კი ზ. ფალიაშვილმა პრაქტიკულად დასაბუთა თავისი ღრმა შეგნება, შესისხლორცება ქართული სხვადასხვა ენობის მემკვიდრეობისა. რაც შეეხება ფალიაშვილის მეცნიერულ ანალიზს, იგი ბევრად უფრო შემოფარგლულია როგორც ქართული, ასევე უცხოური მუსიკალური მემკვიდრეობის თეორიულად გამოკვების საკითხებში, ვიდრე დ. არაყშვილი, რომელიც ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის, როგორც მეცნიერების, საფუძვლის ჩამყარებელია. ზ. ფალიაშვილი ღრმად შემეცნებოდა ლაშქარისთვის წინამორბედებისა, მათი საქმის გამგრძელებელია, როგორც ფოლკლორული მასალების შემყრები; მისი დამუშავებული მასალა ზუსტი და სანდო წყაროა ქართული მუსიკის მკვლევარისათვის. ქართული მუსიკის ბუნებას იგი ინტუიციურად ვერძობდა, მისი ორგანიზმი გაცილებით იყო ნაციონალური სულით, რომელიც ბრწყინვალედ გამოვლინდა პირველ კლასიკურ ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. ყოველგვარი წინასწარი ტრადიციების გარეშე ჩიხსაბა და შემოქმედის პირველი დიდი ფორმა ფალიაშვილის ტალანტის შემწეობით იცადა ეთნოგრაფიულ ნაციონალიზმს, ეპიგონობას და დსევდო-ქართულ სტილს. <sup>1</sup> ზ. ფალიაშვილისათვის ქართული სიმღერა წარმოადგენს „ცოცხალ პოეტურ და ინტონაციურ მასალას, ცოცხალ ენას ხალხისას, რომელიც სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვაგვარად მეტყველებს“. <sup>2</sup> ზ. ფალიაშვილმა „ერთი ეპოქის ფარგლებში საგრძნობლად გააფართოვა ქართული მუსიკის თემატისა და აბრევირების დიაპაზონი“, „იქ ხალხური მასალა დამატურგული აუცილებლობის დაქტორია“ <sup>3</sup>.

„ხალხურობა“ ზ. ფალიაშვილის შემოქმედებაში მრავალმხრივ იჩენს თავს, იგი ვლინდება

ქართული მუსიკის სპეციფიკის გამოვლენაში, სადაც საქართველოს სხვადასხვა ენობის მუსიკალური მემკვიდრეობა, ასევე, როგორც ერთიანი მრავალფეროვანი მხატვრული ტილო; ფალიაშვილის შემოქმედებაში დაეცლია ქართული ხალხის განწყობილება, ფსიქოლოგიური სიტუაცია, გამოვლენილი მრავალმხრივ, სულიერ განწყობილებებში, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები, კოლორიტი ხალხისა და პეიზაჟის, ფრანკოლოგია შესისხლორცებული ქართული სიტყვის ბუნებასთან, განსხვავებული სოციალური ფენების მისწრაფებები; სცენაზე უფრო ხედავ ხალხის წიაღში წარმოშობილ ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც მეტყველებენ ყველასთვის გასაგები ენით, განიცდიან უშუალოდ. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სექტატული რელიგიურად ვლინდება მათი სახეობი, ნაწარმოებში ეთნოგრაფიულად გამართული დრამატურგიული სქემით, სადაც ხალხი წაშყვანი ძალაა, იგი სცენური სიტუაციის მთავარი მოქმედი პერსონაჟია. მუსიკალური მასალა სიმფონიზებულია, განვითარებულია, სიმღერებზე ზღბდა თვით საფენოდ მასალის (ამ მხრივ შეუდარებელია „აბესალომის“ III მოქმედების გუნდი), ცალკეული ფოლკლორული ინტონაციური ჩანასახების, ყველგან და ყოველ სიტუაციაში დაეცლია ხალხური ელფერი, ყველგან იწის მისწრაფება, სათქვენო კომპოზიტორი იტყვოდა. „ჩემი თავი და მიზანი“, — წერდა კომპოზიტორი, „მისწრაფება ყოველ ჩემს შემოაბაში ყოფილა და მედამაც იქნება, რომ ქართული ჰანგების პარამონიატორმა თუ შემთხვევლმა არასეზით არ უნდა უღლატოს იმ პრინციპს, რომელიც თავდაპირველთაგანს წარმოადგენს ხალხური ჰანგების დამუშავებაში, ანუ შეთხვევაში. ეს პრინციპი ვახლავთ მთლიანად და სუფთად დაცვა ქართული კოლორიტისა, რაც თვით ხალხის გულიდანაა იღონადენო, არასაკერველია, ყველაფერი ეს ევროპულ ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მსოფლიო მუსიკალურ ფორმებში ჩამოყალიბებული მისივე კანონზე დამყარებული და ბუნებურად შექმავებული უნდა იყოს.“ <sup>1</sup>

ზაქარია ფალიაშვილი სოფლური და ქალაქური სხვადასხვა სოციალური ფენების ხალხურ, რელიგიურ-მართლმადიდებლურ და ეათოლიკურ მუსიკალურ მასალას შემდეგნაირად იყენებს მის შემოქმედებაში: 1. აბღენს მის ციტირებას (შეუქმშულად. გაფართოებულად, ნაწყვეტის სახით); 2. იღებს ძირითად ინტონაციას და ავითარებს; 3. იძლევა საყუთარ ინტონაციებს და ფორმა ხალხური სპეციფიკითაა შემოფარგლული (ინტონაციურად,

<sup>1</sup> ვლ. დონაძე, ქართული მუსიკის კლასიკოსი. („ლიტ. და ხელ.“ 1943 წ. № 1).

<sup>2</sup> გ. ჩხაკაძე, ზ. ფალიაშვილი და ხალხურობა („ლიტ. და ხელ.“ 1944 წ. № 19).

<sup>3</sup> ვლ. შაქავერიანი, „ქართული მუსიკის კლასიკოსი“ („კომუნისტი“ 1953 წ. № 236 6/10).

<sup>1</sup> ავტობიოგრაფიული ამონაწერი რ. შადურის სტატიიდან „ზაქარია ფალიაშვილი“ („მნობობი“, 1947 წ. № 12, გვ. 136-137).

ვათაისწინებელია ჰარმონიულ-პოლიფონიური, მეტრულ-რიტმული და ტემბრაობრივი მხარე); 4. არის შენახვევა, როდესაც გამოყენებულ სიმღერას, სცენურ სიტუაციასთან დაკავშირებით უცვლის განწყობილებასა და ფუნქციას.

ხალხობის სხვადასხვა სახის გამოვლენისათვის, ტექსტისა და სცენური სიტუაციის გარდა, არსებითაა მისი მუსიკალური ანალიზი<sup>1</sup>.

ძირითადი მუსიკალური მასალა წარმოადგენილია ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელ კილოში, იშვიათად ვხვდებით სუფთა შავორისა და მინორის გამოყენებას.

კილოები შეტანილია ფუნქციონალობის თვალსაზრისით და მათი გამოყენება განსაზღვრულია სცენური სიტუაციის განწყობილებით. მაგალითად, შავორ ელჩურ კილოს ვხვდებით სახეობით სიტუაციების დროს, ამ მხრივ უცვლელი სახით აქვს ციტირებული ცნობილი კახური სიმღერა „ჩაკრულო“ (II მოქმედებაში), რომელიც სკენდური მოდულაციური განვითარების შედეგად აღწევს უფრო მეტ დაძაბულობას, გრანდიოზულობას, ქართული სუფრისათვის დამახასიათებელ სიღიაღვსა და სიღაბრბაისლეს. ეპეკურ-ეოლურ კილოშია (ბ) — მთიულური („დაისი“ — III მოქმედება) მოკემულა, მიქსოლიდიური fis — მოკემულა „ლაშქრულში“<sup>2</sup>, კილოების ხასიათი არა მარტო ციტირებულ ნიმუშებშია დაცული და სათანადოდ გამოყენებული, არამედ საკეთილად თემატური მასალის გაშლა-განვითარებაშიც. მაგალითად, „ეექებდი ბედსა“ („აბესალომის“ III მოქმედება). მწუხარე-ფრიგიულში, „ქვირფასო თიერ“ იწყება გის ეოლური, შემდეგ გის დორიული და გადადის გის ფრიგიულში, რომელიც საშლოეობრივი ელფერის აძლევს მელიოდურ ქარგას. დორიულშია „გმორღები ტურფავ“ („დაისში“). ასევე „დაისის“ — „მტერი ბარში შემოვიდა“ განწყობილებათა მიხედვით ეოლური და დორიული კილოს მონაცვლეობა ვეაქვს, ფრიგიული კილოა საორკესტრო პოსტლუდიაში შაროსა და მალბაზის დუეტის შემდეგ — I მოქმედებაში. კილოს გამოყენება ხასიათის მიხედვით — ხალხური მუსიკის ტრადიციასა და რგი საუკუნეთა განმავლობაში შემადგებოდა, კილოს ხასიათის შეპირისპირება სიტუაციასთან უკრ კიდევ ძველ საბერძნეთში იყო ცნობილი. ქართული ხალხური მუსიკისათვის იგი ჩვეულებრივი მოვლენაა. არა მარტო კილოების ხა-

სიათის მიხედვით მონაცვლეობას ვხვდებით ზ. ფალიაშვილის შემოქმედებებში, არამედ იგი ხშირად იყენებს ხალხურ მოვლენებს, უკრებს კილოს ერთსა და იმავე საფეხურზე მონაცვლეობისა. მაგალითად, „ავთანდილ ვაღინაღი“ („აბესალომის“ I მოქმედება). ეს მელოდია ამგვარი სახით არ არის ფიქსირებული, იმავე ტექსტზე კი მრავალ განსხვავებულ სასიმღერო ვარიანტს ვაგონებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ იმდენად ზუსტადაა გამოყენებული ქართული მუსიკის კანონზომიერება, რომ ისმენი და, გგონიათ, ციტირებული მასალა ამ შედეგს იგი აღწევს კილოს ერთ ტონზე მოდულაციის საშუალებით და ინტონაციური მხარით. გუნდი იწყება გ მიქსოლიდიურით, ფრიგიული კადანსით გადადის f-ის მიქსოლიდიურზე, ანალოგიური კადანსი ვაგრცვლებულია ხალხურ სიმღერებში, მაგალითად, დ. არაყიშვილის ჩაწერილ „წაიყვანს თამარ ქალი“<sup>3</sup>. ერთ ტონზე კილოს მონაცვლეობა „ქვირფასო თიერ“ (III მოქმედება) — ტონიკა სულ გის — არის, კილო კი იცვლება: ეოლური, დორიული, ფრიგიული, ანალოგიური ზერბია დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილ „იავ ნანაში“ მოცემული<sup>4</sup>; ეოლური მი, დორიული მი, ეოლური მი, მიქსოლიდიური მი, ეოლური მი. მთელი სიმღერის საფუძველია ეოლური მი. ანალოგიური შემთხვევებია ფიქსირებული დ. არაყიშვილის ჩაწერილ „მუშერში“ (V ტ. 109, № 1, 26 გვ.), № 22 „გოგონა“ (დორიული f მიქს. და ბოლოში ეოლური D), „ხეურთა“, „ჩონგურთა“ (ფალიაშვილის) და სხვ...

კილოები, განწყობილება თიქმის უცვლელად დატოვებული „ჩაკრულოს“ გარდა „მრავალეამიერსა“ და „შხედრულში“ (მიქსოლიდიური, კილო დადაბლებული VII საფეხურით).<sup>5</sup> დიეტონიზშია დამახასიათებელი, მაგალითად, „დაისის“ „ფერბულში“, „ალი ფაშას“, ცანგალასა და ტიროს ექვლებებში“, ლეურში. ფალიაშვილთან, როგორც ეს განალოზებული აქვს ქრ. თბილელს<sup>6</sup>, ხშირია ხალხური ავთენტური კადანსების გამოყენება I-VII-II-I, ან I-II-VII-I; ნახვევარტურული I-VII, კთხვით ინტონაციებში I-II, ან რთული ნახვევარკადანსი I-VI-VII („ცანგალა და გოგონა“, „მთიულური“).

ქალაქური ფოლკლორული მასალების გამო-

<sup>1</sup> ჰარმონიული ანალიზის დროს რიგი საკითხების კონსტრუქციისათვის მივმართავდი პროფ. შ. ასლანიშვილს.

<sup>2</sup> X. ტბილელი, О народности музыкально-го языка оперы З. Палиашвили «Даиси» («Советская Музыка» 1951 წ. № 8, გვ. 71-81

<sup>1</sup> დ. არაყიშვილის — 5, 64, № 2, შ. ასლანიშვილი „ქართლ-კახური საგუნდო სიმღ. პარმ.“ გვ. 101.

<sup>2</sup> იქვე, № 3 შ. ასლანიშვილთან, გვ. 123-124.

<sup>3</sup> ქ. თბილელი, ზ. ფალიაშვილის „დაისი“ და მუსიკალური ენის ხალხობის საკითხი“ („ლიტ. და ხელ.“ 1951 წ. № 28 15/7).

<sup>4</sup> «Сов. музыка» 1951 წ. № 8, გვ. 77-81.

ყენების, ან მისი ზეგავლენით წერის ნათელ-საყოფად ყველაზე რეალური საშუალებაა პარ-მონიული ანალიზი. ქალაქური მუსიკისათვის დამახასიათებელია, კადანსები: I-II-V-I ან I-VI-II-V-I; ქალაქური მუსიკალური ფოლკლო-რი, კილის ფუნქციის გაფართოებით, მაჟორია-სა და მინორის გამოყენებით არის განსაზღვ-რული, მელოდირ მსგელობაში, ხშირად გადიდებული სკეუნდით და გარკვეული მე-ლიზმაციური ქარგით.

„აქსალომ და ეთერში“ ქალაქური ფოლ-კლორის ზეგავლენა ვრცობა „მე ბანი-ბანად გეძებდი“ (კლავირი გვ. 17, № 4), რომელიც ვარიანტია „ბუნდოვან გელსა“,<sup>1</sup> ქალაქური იური დაკრავის მარობის კანცონეტისა. ქალაქურ-ი მუსიკის იური დაკრავს „წამწამსა და წამ-წამს შუა“ (ნამდვილი მაჟორია გამოყენებუ-ლი). სიმფონიისათვის აღვნიშნავ, რომ ჩვენ მიერ ნახმარი ტერმინი „საკუთარი“ პირობი-თად უნდა ვთავაზოთ. აქ ივლესხმება, რომ არ არის არც ციტირებული მთლიანად და არც არამე ინტონაციით აღებული ხალხურიდან და შემდეგ დამუშავებული.

ქალაქური ინტონაციები შევრლია ეთერის IV მოქმედების I არიაში, ეს თემა იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატშიც“ არის ფიქსირებული, ფალიაშვილსა შოგოვებმა ჩანაწერი (იხ. გვ. 22), „ნანა და ქალთა გუნდში“ ვხვდებით კადანსს I-II-I, რომელიც ვერტოვმა ქალაქურ მუსიკას აბასიათებს, აქ პარმონიული მაჟორია გამოყე-ნებული. ქალაქური მუსიკისათვის დამახასია-თებელი კადანის გვხვდება, როგორც აღვნი-შნეთ, „წამწამსა და წამწამს შუა“: II-V-I, ქალაქურია ფინალის ანამბლი: ეთერის, მარია-ხის, ნათელსა, აქსალომისა და გუნდის (გვ. 321). „ღაისში“ ქალაქური მუსიკისათვის დამახასია-თებელი ელემენტები ბევრად სპარბობს „აბე-სალომისას“. მაგალითად, „ლეურის“ პარმო-ნიული ვნა ქალაქურია, ინტონაციურად კი, სოფლურია (მაჟორია), ასევე ნათს გამოსვლი 1 მოქმედებაში, ქალაქურია „თავი ჩემო“, რომელიც დ. არაყიშვილის ჩაწერილთან ძალიან ახლოსაა.<sup>2</sup> ქალაქურია II მოქმედებიდან ცან-გალას ეტლიტები, „შუქურ ვარსკვლავი“, „წუბური ღაიყო“ (ფინალიდან) და სხვა მრავ-ალი. „შუქურ ვარსკვლავის“ შესავალში გა-მოყენებული მელიზმაციკა, მარის ტრიოლის ხასიათი, გადიდებული სკეუნდის გამოყენება მელოდირ ფიგურაციებში — ეს აღმოსავ-ლური თანამართლებსა ზომიერებით არის და-იქული, იმ ზომიერებით, როგორც იგი ცნო-ბილია თბილისის ანაკლორში, ზაიათურის სტილი აღმოსავლეთ საქართველოში საქაოდ

გავრცელებულია, მაგრამ იგი წმინდა ქართუ-ლი მუსიკის ზეგავლენით არ არის ის, მკვეთ-რად გამოვლენილი, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ეს სტილისტური სამართა-სარც სხვა ქართული კომპოზიტორებისთვის იყო უცხო (დ. არაყიშვილი, ვ. დოლიძე, შ. აბმა-იფარიშვილს ძველი თბილისის სიმფონიური სურათები). თვით ზ. ფალიაშვილს თავის ნა-წერებში ორიენტალიზმზე მრავალჯერ გამო-უთქვამს საკუთარი შეხედულება. მაგალითად, მის ავტობიოგრაფიაში „ღაისის“ შესახებ კომ-პოზიტორი წერს: „ქართული პანგების გვერ-დით აქ გვხვდება აღმოსავლური ნორმებიც“, „ოპერის შესავალი დამახასიათებელი მელოდირ ვეზიბატავ განთიადის (აიბს), რელიეფურ სიმფონიურ სურათს, აქ მოცემულია ზურნის პანგის — „საარი“,<sup>1</sup> თუმცა ზურნის ტემბრ-თან ეს ინტონაცია საქაოდ დაცოლებულია და უფრო საღამურის პანგზე მოცემულ პასტო-რალად შევიგრძნობა. თვით ქართული მუსიკა კომპოზიტორის აღმოსავლურ და დასავლურ მუსიკის თავსებად ცენტრად მიიჩნედა. მაგალითად, იგი 1920 წ. № 1 ვაზთ „არღუ-კინში“ წერდა:

«Грузинская музыка — наша музыка, зани-мает современно особое положение: в ней скрещиваются Запад и Восток. Именно это старался я подчеркнуть при создании своей оперы «Абесалом и Этери». Этого принци-па связи Запада с Востоком я буду придержи-ваться и впредь, видя в нем основу сво-его творчества и прогресса грузинской му-зыки»<sup>2</sup>

ეს შეხედულება მართლაც არის გამოყენებუ-ლი მის ნაწარმოებებში. მაგალითად, თუ იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყენებს ევროპუ-ლი მუსიკისათვის დამახასიათებელ მაჟორსა და მინორს, ფორმებსა, გამოსახვის საშუალებებს, მეორე მხრივ, ქალაქური ფოლკლორის ფარგ-ლებში მიმართავს აღმოსავლურ ინტონაციებს, მელოდირ ზერხებს, მაგრამ ეს ორივე მხარე იმდენად არის შეზავებული მისი მუსიკის ძირი-თად ხასიათთან, ქართული მუსიკის სპეციფი-კასთან, რომლის ფუძე საქართველოს სოფლ-ური ფოლკლორია, რომ ნასახივ არ არის სტილისტური სიტყვების, ყოველივე ორგანო-ლად ვითარდება. დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორი, გარდა სვანური სიმღერებისა, უმოაგრესად ციტირებულა: და-სავლეთ საქართველოს სიმღერების ინტონაცი-ებზე დამუშავებული მასალა, გარდა სვანური-ისა, იშვიათად გვხვდება. სვანურია, მაგალითად, ეთერისა და ნათელას დუეტი (კლავირი № 19), რომელშიც დამუშავებულია „ო საბრეა ნამ-

<sup>1</sup> შ. ასლანიშვილი, „ნარკვევები“ 1, სანო-ტო მაგალითები № 113, 148.

<sup>2</sup> დ. არაყიშვილი TEK 5, გვ. 237 № 11.

<sup>1</sup> „ლიტ. და ხელ.“ 1943 წ. № 1.

<sup>2</sup> ციტირებულია ზ. არაქელოვის სტატიიდან.

უსურ ჯაჩვლიანის" (იხ. ჩანაწ. № 25) ინტონაციები. თერის მიმართებაში ანესალომისადმი (II ნაწილი, კლავირი გვ. 28-29) გამოყენებულია აგრეთვე „ბუბა კაქუჩელას" (იხ. ჩანაწ. № 18) ინტონაციები. რომლებიც ბრწყინვალედ აქვს გაშლილი ხელოვანს. სენური ინტონაციები გამოყენებულია, აგრეთვე „ანესალომის" II მოქმედების „სანადირის" გუნდში (მდრ. კრებ. № 23), „საბრელას" — ხმების დაპირისპირების ხერხი მერმანის ინტონაციებშიც არის მოყმული (მდრ. კლავირი № 17). დასაყვამ საქართულოს სხვა ეთხეები მეტწილად ციტირებულია „დაისისა" და „ანესალომ" და ეთერი-ში, მაგალითად გურული „ალიფა" — „ალი-სი" — ცალკე დამუშავებული დასავლეთ საქართულოს სიმღერები, მაგალითად, „სულიტა-ში", სადაც გამოყენებულია ფხაზური ხალხური სიმღერები „ახაყ მანა", „სანადირი", „ადკრისის სიმღერა", რაჭული „სახუმარო".

ზ. ფალიაშვილი არა მარტო საერთო მუსიკალური ინტონაციები აქვს ათვისებული და გამოყენებულია, არამედ სასულიეროც (მართლმადიდებლური და კათოლიკური). კათოლიკური ქორალა „ანესალომის" შესავლის პირველი ფრაზა და ამ ფრაზაზე აგებული ფინალური გუნდი, რომელიც აზოგადებს ნაწარმოების დღეა-არსს, ეს თემა მას შემდეგ კათოლიკურ მესაში აქვს დამუშავებული. კათოლიკური ქორალის ინტონაციებს ეხებებით „დაისის" II მოქმედებაში — სატაპრო რიტუალის სცენაში.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ზ. ფალიაშვილი მთლიანად ცვლის ხალხურიდან ციტირებულ ინტონაციის ხასიათს, ფუნქციონალიზაცია და იყენებს მას ნაწარმოების სცენურ სიტუაციასთან შესაბამისად. მაგალითად, სენური საგლობელი „გოიდივო" — ქალაქის ტრფილების ინტონაციად აქვს გამოყენებული „დაის-ში"; ხალხური ტემში დარღვეულია, უფრო ადრეველი და ინტიმური ხასიათის შეგუებული. ეთერის მელიოდა (II მოქმედება № 2) „იყანანების ციკლს" უსალოდება I, სიმღერის დანიშნულება, ფუნქცია კი სახეცვლილია, „ურმელის" ინტონაციები, რომლებიც ავტორის უშუალო შემოქმედების შედეგია და არ არის ციტირებული, სტილიზებული სახით მოცემულია მალაზას პირველ გამოსვლაში („დაისის" I მოქმედება), ამ მონაკვეთში აღდგინდა ახლოს დგას მუსიკა ხალხურთან, რომ როგორც „ეთანდლე გადინადირას" მუსიკაში, მას აღიქვამთ ციტირებულ ხალხურ მუსიკასავით. „ურმელის" ინტონაციური ქარვა გამოყენებულია „ანესალომის" IV მოქმედების — ეთერის

არიამი (კლავირი № 1, გვ. 218) — „დედამთილი — შამამთილი" I.

სტილიზებული სახით აქვს მოცემული ფალიაშვილის მესტიერის კუბურებში „დაისის" I მოქმედებაში. ეს ინტონაციები დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს მესტიერული პოეზიისათვის.

ზ. ფალიაშვილი, როგორც დაერქმუნდით, იყენებდა არა მარტო საყუთარ ხალხურ ჩანაწერებს, არამედ იგი იცნობდა და თვალყურს ადევნებდა სხვა მოღვაწეთა ფოლორულ ჩანაწერებს და, როცა კი გამოიყენებდა, აღნიშნავდა კიდევაც. „ანესალომ" და ეთერი" და „დაისში" მას გამოყენებული აქვს სიმღერები, მაგალითად, დ. არაყიშვილის, შ. იპოლიტოვიანოვის. ის ქარგარეთელის და სხვათა კრებულებიდან. მაგალითად, „ანესალომის" „მარული" II მოქმედებიდან ახლოს დგას ის ქარგარეთელის მიერ ჩაწერილ მარულთან (№ 32), 4 მოქმედების „მერმანო" ინტონაციურად წააგავს „ეთერიზე" შექმნილს (ის ქარგარეთელის კრებული № 14), „მეზლი მუხას" ინტონაციებიცაა გამოყენებული (როგორც ი. ზურაბიშვილს აქვს მიითხებელი მის საგულისხმოდ ნარკვევში — „ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „ანესალომ" და ეთერი")<sup>2</sup> ანესალომის ცნობილი მიმართვა „ვის განდათ ქალი ეთერი" — „ეთერი შენსა ღალატსა" ინტონაციებში ემთხვევა, აგრეთვე, პ. კარბელაშვილის მიერ ფიქსირებულ დემეტრე I საგლობელზე დაწერილ მუსიკას „შენ ხარ ვენახი" მ. ი. ზურაბიშვილს არის „არ დღე დავიდეგა, რას მოვესწარი" ბოლო მანქნა „გაფრინდი შავო მერცხალოს" ბოლოს ანარკვლად, „მირზიას" თემა კი („ანესალომის" II მოქმედების ცვეცის შუა ნაწილი) ავად. ი. ჯავახიშვილს და ი. ზურაბიშვილს მიანიჭდა ქალაქური სიმღერის თემად — „იზითა და კინტარითა" 4 თვით „ანესალომის" ხალხური ციკლიდან, რომელიც უსოდენ პოპულარულია საქართველოში; მე-4 მოქმედებაში გამოყენებულია „მერმანო" (მდრ. ქარგარეთელთან № 14), რომელიც აშლილ განვითარებულა. ეს თემა — „მეცამა, მერმან შენსა მუხასა" ადრინდელი ვარიანტი გუნდის პარტია იყო და არა ორკესტრისა (იხილეთ კლავირის დამატება № 4), იგი ორი ვარიანტის სახით ფიქსირებულია დ. არაყიშვილით (ჩაწერილი წინამძღვარიანთარში და ზოგუნში), ის ქარგარეთელთან; არ არის გამოქვეყნებული, მეგრამ ფიქსირებული იყო, აგრეთვე, ზ. ფალიაშვილის მიერ, რომელმაც ამ თემაზე ვაფთა

1 იქვე, გვ. 294, მაგალ. № 225.

2 თბილისი, 1944 წ. გვ. 97 და „მნათობი", 1940 წ. № 11, გვ. 155.

3 „მნათობი", გვ. 156.

4 იქვე, გვ. 158.

გუნდის სიმღერა აავტო. ეს თემა აბესალომის ციკლისა, როგორც დ. ჯანელიძე აღნიშნავს წარმოადგენდა გაბასების ციკლს ძველი ქართული საფერხული ტრავედისა.<sup>1</sup> ამგვარივე ხასიათითვე არის იგი გამოყენებული ოპერის „ლუეტის“ სცენაში. გაბასება ხდებოდა ხალხურ ვარიანტში გუნდსა და სოლისტს შორის, გუნდი-ოპერის ადრინდელ ვარიანტში, როგორც აღნიშნეთ, მართლაც ჰქონდა გამოყენებული აქტორს, მაგრამ შემდეგში იგი შეიცვალა სოპრანოთა ფაქტობრივად, სადაც საგუნდო სიმღერის ხასიათი შენარჩუნებულია<sup>2</sup> „დაისში“, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სიმღერებისა, გამოყენებულია „სულ ბორცოთ“, „ორთავ თვალის სინათლევ“<sup>3</sup> მოქმედების შარხა და მალხაზის დეტეში,<sup>3</sup> მრავალი სიმღერაა გამოყენებული „ლატავრაში“, აქტორისავე მრეკ დამუშავებულ საგუნდო სიმღერებში. მრავალი ქალაქური და სოფლური ინტონაცია ფიქსირებულია რომანსებში, ქართულ სუიტაში, კანტატაში, საბავშვო სიმღერებში.

ფოლკლორული მასალების გამოყენება მართო ციტრებით და უარყოფით მოვლენად არ უნდა გავიგოთ. ქართულ ფოლკლორთან შემოქმედის ურთიერთობას ჩვენ ვხედავთ კომპოზიტორის აზროვნების - ყოველ დეტალში, ხალხურ შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირს ჩვენ ვხედავთ იმ ნაციონალურ სულსა და რეპრეზენტურ ჯგანად მიმართულებაში, რომელიც თავს იჩენს ყოველ ბეგრაში, შესისხლბორცებულში ქართულ რეალრობასთან, კულტურასთან, ქართულად აღმანიანს ფსიქიკასთან. ციტრება ეს „აბესალომს“ და „დაისს“ კიდევ უფრო ახლოებს ხალხურ სინამდვილესთან, აძლიერებს სცენურ სიტუაციას, ქმნის კოლორიტს. ციტრება ბევრ დიდ ხელოვანს ახასიათებს. მაგალითად, ჩაიკოვსკიმ მოახდინა ციტრება — „პიკოს ქალში“, მოცარტის კონცერტის I ნაწილის II თემისა და გრეტის ოპერა „როჩარდ ლომველის“ თემისა.

„აბესალომში“ ციტრებები „მყარული“ და განსაკუთრებით „ჩაიკოვლო“. ესენი განადგომულ ხალხურ ტროლებს, სადაც ჩანს ქართული სუფრის ტრადიცია, მდიდარი კულტურა, აღმავალი საზემო განწყობილება, იგრძნობა ნაციონალური დიდება. ამ სიმღერის ჩართვა ციტრების სახით კიდევ უფრო აძლიერებს საზემო კოლორიტს. ხალხური დღესასწაულების ტრადიცია ჩანს „დაისში“ II მოქმედებაში (ცელესიის წინ დამისთვება), აქაც ციტრების სახით

თავა ფიქსირებული ცეკვა „მთიულური“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სხვადასხვა მანერის შთაბეჭდილებას. ზღაპრულად მოქმედების სილიერით იყენებს სხვადასხვა სოციალური ფენის ფოლკლორულ მასალებს. ამ მხრივ საყურადღებოა დახვეწილი თავშეაყვებულა, არისტოკრატიული ნაყლებად ტემპერამენტოანი სალონური აბესალომის ქართული ცეკვა (II მოქმედების ბოლო) და ცეცხლოვანი, მისობრივი, აღგზნებული, დინამიკური „დაისის“ ცეკვება.

სოციალური უთანასწორობის იდეა, რომელიც ნათელ ხაზად ვხედავს ხალხურ ეთერის, ბრწყინვალედ არის გააზრებული ოპერაში, რაც განსაკუთრებით ელენდება „აბესალომის“ პირველ მოქმედებაში. სოციალური უთანასწორობის თემა, გააზრებული კომპოზიტორის მიერ, გველინება დრამატურგიული განვითარების ძირითად კონფლიქტურ მასალად. ხალხურება — „აბესალომში“ აქტორისა რელიეფურად ელინდება გუნდების გამოყენებაში: ეანრული გუნდი (მონადირეთა სიმღერა I მოქმედებაში), საზეიმო სიტუაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა — გუნდი (II მოქმედებაში „ჩაიკოვლოში“), ოპერის ტრაგედიულობა ძირითადი ხასიათის შემქმნელი გრანდიოზული გუნდი მესამე მოქმედებაში, ოპერის ძირითადი დედაარსის განაზოგადებელი ფუნქციით — ფინალური გუნდი (IV მოქმედებაში), ასევე „დაისში“ ეანრული სურათების ამსახველი სამივე მოქმედების გუნდები, გუნდები მოქმედ ბირთვა სულიერი განწყობის, მათი სახეთარელიეფტრობის გამომავლენებელი, მთავარი დინამიკური ძალა, მთავარი მოქმედი პირის ფუნქციით, მაგალითად, „აბესალომის“ III მოქმედების ტრავედია, რომელიც ნაწარმოების მუსიკალური კულმინაცია, ვითარდება აბესალომისა და გუნდის დამირისპირებით, მშინ როდესაც მთელი მოქმედება ეთერისაღმია მიმართული და ტრავედის ძირითადი მიზტება ეთერი — უმობრადია სცენაზე (მას შხოლოდ მოყლე რბულია აქვს). მთავარი მოქმედი პირის სცენურ სიტუაციას, როგორც ეს ქართულ საფერხულ, და ამ შემთხვევაში, ქართულ ტრავედია სფერხულ ტრადიციას მოსდევს, გუნდი და სოლისტი ავითარებენ. გუნდები ფალიაშვილის შემოქმედებაში ისეა დამუშავებული, რომ აქტორის მიერ ქართული სამშინონობის გადატანას — ეერატულა.სოპერო შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ოთხმხიან განლაგებას — პარმონიული საფუძველი და კოლორატურულია არ ერღვევა, ფიო „აბესალომის“ III მოქმედების საგუნდო მასალა, დამუშავებული „მეციკი სტილის“ პოლიფონიური კანონების ოსტატური გამოყენებით, ვეუება ქართული ხალხური მრავალმხიანობის ბუნებას. ფალიაშვილი მიხდენილად იყენებს

<sup>1</sup> ქართული თეატრის საწყისები, გვ. 131, თბილისი, 1948 წ.

<sup>2</sup> მ. ასლანიშვილი, ნარკვევები, II, გვ. 20-21.

<sup>3</sup> ი. ჩიჯავაძე „დაისის“ ხალხური წყაროები (ლიტ. და ხელ.“ 1953 წ. № 4).

ენარულ სერათებში ხალხური ყოფისათვის დამახასიათებელ ჩვეულებებს, წესებს, ხალხური პოეზიის ფორმებს, სპეციფიკას. მაგალითად, ხალხური ზეიშის დროს „დაისის“<sup>1</sup> მოქმედებაში მოხდენილად არის გამოყენებული: კაფორა, დამუშავებულია გამოცანები, ანდაზები, მესტირის კუბლები ხალხური ფორმით, ინტონაცებითა და ნათესავებით, ხასიათითაა ფიქსირებული, ეთნოგრაფიული ადათწესია „დაისის“ ფარციაობის სცენაში დატული (111 მოქმედება), სცენაზე ნათლად ჩანს ქართველებსათვის დამახასიათებელი ქალის კულტი, საღმრთაწილო სიტუაციები, თეთ პერსონაჟები ხალხის წილიდანაა მოცემული, ისინი სხვადასხვა სოციალურ ფენებს განეკუთვნებიან, ასეთია, მაგალითად, აბესალომისა და მერმანის მალხაზის წყე და, მერე შხრიე, ცანგალა, ტიტო. დედინაცვალე, ეთერი. კოლორატისათვის და ქართული ზღაპრული ელფერის დაცვისათვის ავტორი იყენებს ხალხური ზღაპრების დამახასიათებელ პერსონაჟებს — ციფრს ცხრა-ცხრა და-მმანი კარისკაცი, მონადირეები, სეფე-ქალნი, მომღერალთა და მუმესიკეთა გუნდნი, ან ატრიბუტებს — უკვდავების წყარო, ბროლის კოშკი...

კომპოზიტორის მიერ მასალის დაუშვებებაში დიდი ლეაწლი მიუძღვით ცნობილ ლიბრეტისტებს — პ. ამირანაშვილს და ე. გუნისს.

ეროვნული სულისცვეთება ჩანს არა მარტო უშუალოდ მუსიკალურ მასალაში, არამედ იმ ფრაზეოლოგიაში, სიტყვიერი ტექსტის ბუნებაში, რომელიც ორგანულად არის შერწყმული (როგორც ამას ზაზასმით აღნიშნავს ო. ზურაბიშვილი) მის მელიოდურ ქარგასთან. მაგალითად, „აბესალომის ფრაზები შეიცავენ უაღრეს ლირიზმს, მელიოდურობას, და ქართული სიმღერის დამახასიათებელ ფორმალაგებსა და მელოზმებს, მაგალითად, სიტყვაზე „გაგეხსნა“

(„გაგეხსნა—აა ოქროს საკინძი“), ან სიტყვაზე— „დაგინახე“ („დაგინახე, მყის აეტრადი...“)<sup>1</sup> „ასეთივეა, ე. ო. მელიოდური ტექსტული თანდარუხის მიმართვა „დაიერადი შენთან მოწყალეო მეფე აბიო-ღეინო მიართვი უანწითა“.<sup>2</sup> ყველა დეტალში ჩანს „საკერველი ალო ქართული სიტყვის თავისებური მელიოდურობის გამოცნობისა“<sup>3</sup> ფალიაშვილის ენა შეესაბამება ქართული მღერის, საერთოდ, ქართული მელიოდის ბუნებას“, რომელიც კომპოზიტორს ინტუიციურად ჰქონდა შესისხლბორცებული. ხალხობა ვლინდება კიდევ შემდეგ დეტალებში: ტემპრისა და მეტრო-რიტმულ მხარეებში. ტემპრი კოლორატის შემქმნელია. ამ მხრივ იგი ბრწყინვალედ არის მოცემული „დაისის“ შესავლის საწყის მელიოდებში, სადაც ასახულია პასტორალური ფონი, და იმავე ოპერის I მოქმედებაში. კოლორტი ბრწყინვალედ ჩანს ცეკვებში (სხვადასხვა საბის დასარტყმელ ინსტრუმენტთა გამოყენებით). კოლორტს კიდევ უფრო აღრმავებს, ის გარემოება, რომ ციტირებულ მასალაში სამშინი ხალხურ გუნდში ავტორს ქალთა ხმები შეჰყავს; მეტრი და ტემპი ქართული სიტყვის ბუნებასთან, სპეციფიკასთან არის შეზავებული და ხასიათი ხშირად ამ თვისებიდან გამომდინარეობს და ვითარდება. ზომა როგორც ეს ქართულ სიმღერებს ახასიათებს, ხშირი ცვალებალია. მაგალითად, აბესალომის ხანმოკლე შესავალში ჯერ გვაქვს 4-4 შემდეგ 5-4, 3-4 და 3-4; ამ თვალსაზრისით ორივე ოპერის კლავირი უაღრესად საყურადღებო სურათს იძლევა, როგორც ეხედავთ. სპეციფიკა ქართული ხალხური მუსიკისა ვლინდება შემოქმედის ყოველ დეტალში.

<sup>1</sup> „მნათობი“, 1940 წ. № 11, გვ. 112.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 115.

ქვემო. თაყაიშვილი



## მომონებები\*

ბანა ხომ ამიერ და იმიერტაოს საზღვარზე მდებარეობს და, იმ ზაფის ძალით, ისიც ჩვენებს დარჩათ, ისევე როგორც ტაოს უმთავრესი ციხე-სიმაგრე ფანასკერტი, სადაც გარდაიცვალა მერე ბაგრატ III. ბასილია წესიერად აასრულა ზაფის პირობა: სამი წლის შემდეგ გამოუგზავნა ბაგრატს მძევლად წაყვანილი შვილი. ამასობაში ბასილი მოკვდა, მის მამიერ გამეფებულმა თანამმართველმა კონსტანტინემ კაცი აფრინა, მძევალი უკან მოაბრუნეთო, მაგრამ ველარ მოუსწრო, რადგან, მატანეს სიტყვით, იგი უკვე ბანაში მოსულიყო, ე. ი. საბავსოში. ერთი სიტყვით, საესებით მკაფიოდაა გამოჩნული ამ ცნობებში იმიერ და იმიერტაო.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ რომ სწერია, მტბევარს უკან საქურველთმტვირთველი უღვას და ხელში მიხვლილი უჭირავს, რადგან მტბევარი ეპისკოპოსი შევეთის ერისთავიკ არისო, ეს ძალიან თავისებური მოკლეა. კათოლიკურ სახელმწიფოებში კი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩვენში ერთადერთი შემთხვევა ესაა, რომ საზღვრული პირი იმავე დროს აღმინისტრაციული პირიც (ერისთავი) ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეს იმ გმირობის შედეგად დაწესებულა, რომლითაც დაიცვა საბა მტბევარმა კონსტანტინე იმპერატორის ჯარისაგან ტბეთის ციხე, თვით მისი და ანაწელი ეპისკოპოსის (მგონი, იოანეს) აშენებულა. ბიზანტიელებმა ხომ ის ციხე ვერაფრით ვერ აიღეს, ამასობაში კონსტანტინე მოკვდა და მისი მხედრობაც უკან გაბრუნდა. კონსტანტინემ ბასილის შემდეგ სულ ორ წელიწადს იტოცხლა (1205—1207 წწ.). სუმბატ დაეთის ძე წერს, „ღმერთმა დასაჯაო...“ ასე, ბევრი რამაა ჯერ კიდევ გამოუვლეველი, თითქმის წერტილმანებია, მაგრამ უთვლედ უნდა გაიკვდეს.

ვიღოთ თუნდაც საკითხი, თუ ვის გვუთვნიდა ბანა? ბაგრატ IV-ს დედა მარიამ დედოფალი (ზოგი წყაროს მიხედვით — არწრუნის ქალი, ზოგის მიხედვით — სხვა), ეტყობა, ძალიან ჰყვარებდა ქალი იყო, რაკი ისე კარგად შეუნახავს ქვეყანა, სანამ 7 წლის ბაგრატიც,

მეფედ ხელდასმული, დაეაყვადებოდა. თვითონ წაივდა ბიზანტიაში და იმპერატორის ნათესავი ქალი — ელენე — მოკვარა ვაჟი-შვილს ცოლად. პოდა, „ქართლის ცხოვრებაში“ სწერია (და, მგონი, სუმბატაც უწერია), ბიზანტიიდან რომ მოუვიდა სადღეოფლო 13-14 წლისა, ბაგრატი ბანაში შეხვდა და იქ იყრობა გვირგვინიო. მართალია, ანასეულ ნუსხაში ამ ადგილას სწერია — „...გვირგვინი ბაგრატსაო“, მაგრამ ეს გადამწერის შეცდომაა და სხვა ნუსხებში რომ იყრობა გვირგვინი ბანასა“ არის, ისაა მართალი, სწორედ იმის თქმა უნდა, ეტყობა, მემტანესს, რომ ბანის დიდებულ ტაძარში იყრობეს მეფე-დედოფალმა გვირგვინი. თორემ რაღა აზრი აქვს იმის თქმას, რომ „ბაგრატს უყრობეს გვირგვინი?“ ცხადია, რომ მას შერთავდნენ იმპერატორის ნათესავ ქალს და არა სხვა ვინმეს.



მას შემდეგ, რაც შევიძელი სუმბატის ქრონიკის გულდაგულ შესწავლა, მოხერხდა პირველ ბაგრატიონთა გენეალოგიის დაზუსტება და გარკვევა. ამას ბევრი კარგიტი სჭირდებოდა, იე, ჯავახიშვილს არა ჰქონდა საამისო დრო და მოცალეობა და, ბროსესავით, ერთ და იმავე პირად მიიჩნია ორი დავითი. ახლა ისიც ვასაგებია, თუ რამ შეიყვანა ისინი შეცდომაში, აშოტ V-ს, სუმბატ I-ს რომ არ აღნიშნავენ მის შვილთა შორის. მათ ვაითვალისწინეს მხოლოდ ისინი, ვინც მამის სიყვდილის შემდეგ დარჩა და არ ვაითვალისწინეს ის, რომელიც მამამისზე ადრე გარდაიცვალა. ეს გაბრუნება არაყვის არ შეუმჩნევეია და აღუნიშნავს.



ბიზანტიის იმპერატორი ლეონისა და იდარნასეს ურთიერთობა საინტერესოა. არაბებმა ერთი სომეხი დააწინაურეს, რომ თავისკენ მიემხროთ. ლეონმა რომ ეს შეიტყო, არაბების ჯიბრზე გამოუგზავნა ადარნასეს იმიონი-

\* დასასრული .იხ. „მნათობი“, № 8.



ები (ტანისამოსი და სხვ.), რომ ის თავისეინ მიემსრო. ამით ისარგებლა ადარნასემ და გახდა ქართველთა მეფე. ეს იყო „ლეონ ბრძენი“, ტიტო სომეხი.

ტარონელები ბაგრატიონები იყვნენ, ტარონში მერე გადასახლებული და გასომხებული. ჩვენი თორნიკე ბერაც ტარონელი იყო, ბარდა სკლიაროსი რომ დამარცხა. იმათში ბევრს ერქვა სახელად თორნიკე, მთელი დინასტია იყო ნ. აღონის აქვს ეს ამბები აღწერილი, მაგრამ ზოგ რამეში ცდებია... გრიგორიკოსი ლაბატობდა ბიზანტიელებს და იმპერატორმაც იცოდა ეს ამბავი, მაგრამ მაინც უუვავებდა, რომ გაეერთელებინა.

ქართველი ბაგრატიონები თუკი ფეხს მოიკიდებდნენ ქვეყანაში, მერე თავს აჯლავდნენ და გალომებულნი, შეუბოვრად იცავდნენ მას და კოდეჯე გაძლეს სრულ 1000 წელიწადს, როგორც მმართველმა დინასტიამ.

მარტო ის რაღა ღირს, ბიზანტიელებმა რომ ერისთავთ-ერისთავი გურგენი დიდი ამბით პატრიარქოსად აიყვანეს და მერე ელჩს რომ არტანუჯის მითვისება დაავალეს, ხოლო დაუვიწყარა და გურგენმა მისისხანე წერილი გაუგზავნა და კოდეჯეც ააღებინეს ხელი იმ განხარაბეზე? ბიზანტიელთ-გან გუშინ ისე ვანდიდებულმა და კვლავაც ალბათ ბევრის მომლოდინე გურგენმა თვითონ მოაწერა ხელი იმ წერილს. დავითთან ერთად. იმ დროისათვის ეს პირდაპირ სისწავლელად საბოლოოდ — სომხეთში ბაგრატიონებმა სულ 2 საუკუნე იმეფეს, ჩვენი კი 10 საუკუნეს. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი და ამას ასხნა და ჩვენება უნდა.

სუმბატის ქრონიკის ეს გამოცემა რიცხვით მესამე იქნება (მეორე — მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ იყო). ყველა ურევდა იმ ვენსლოვისს, სპეციალისტებიც კი, და ამ ახლა უკვე საბოლოოდ იქნება გარკვეული... ბევრი რამ გამოეტოვებ შეგ (მაგ., ერისთავების შესახებ; ს. კაქაბაძის შეცდომების კრიტიკა — შატერდის ვარიანტი კელიშისაზე უფრო ძველია, რომ აცხადებს, და სხვ.) და მერე ცალკე წერილებად ვფიქრობ დამუშავებს.

აყად. ს. ჯიანაშიას ფრიად საყურადღებო ნაშრომში („ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“) მშვენივრადაა გამოქვეყნებული ქართლის აზნაურთა შეხმატებულეული ბრძოლა ქართლის მეფის წინააღმდეგ. მეფობის გაუქმება და ფეოდალიზმის საბოლოოდ გამარჯვება ქართლში, VI საუკუნეში... პირველ დიდი ერისთავს გუარამს იოანე სახანოეც ერისთავივარს უწოდებს და ს. ჯიანაშიას მართებულად

მოაჩნია ეს ტერმინი ყველაზე უფრო რეალურად.

საყურადღებოა მისი სხვა ნაშრომებიც, იმეფე პერიოდს რომ ეხება.

გასარკვევია, თუ იხსენიება რომელსამე ები-გრადოეული ძეგლში ან სხვა ტექსტში ცნება „ქართლი“ ჯეარის ტაძრის წარწერაზე უფრო ადრე? ამა და ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით საკურო იქნებოდა, ისტორიის ინსტიტუტს ჩაეტარებინა მკითრე ვათხრათი მუშაობა ზარზ-მისა და ვერდღის ეკლესიათა გარშემოსაწმენდად: ებე იქვე აღმოჩენილიყო, ბოლნისისა და ჯეარის მსგავსად, რაიმე საყურადღებო ძეგლი წარწერა?

რატომ სულ არ ასენებენ ქართული წყაროები იბერისა?

ძალიან ანგარიშგასაწვეად მიმიჩნია ჩემი თანამშრომლისა და დამზარის, — გ. ლომთა-თიძის მიერ მოწოდებული მოსაზრება: ეგებ სწორედ იმიტომ, რომ ძველი წყაროები და-კარგულ-მოსპობილია ქართების მიერ იბერთა დაძლევისა და პოლიტიკურად დაჯგბნის შედეგად; გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულთა ხსენების აღმოფხვრის მიზნით, შეგნებულად? ამ საკითხზე ღირს შემდგომი დაფიქრება!



მე რომ მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ გამოვეცი, იმას წინ უძღვის თხზულება, რომელსაც „განთა ქვაბი“ ეწოდება. მაშინ იგი არ იყო სრულა. შემდეგ აღმოვაჩინე, შევაეგე და შესანიშნავი რამ გამოდის, ცალკე მინდა გამოცემა. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს მთელი ჩვენი ისტორიოგრაფიის სათავე და მერეე შეგ შეტანილი ტენდენცია, ნებროთის წიგნი და სხვა...



ძველად წარწერების რიგიანად ამოკითხველი მეციერები ძალიან ცოტანი გვაუდდნენ და ახლა, ჩანს, მეტნი არიან. ა. შინაძეუ და ნ. ბერძენიშვილზე რომ აღარა თქვას რა, უდროვოდ გამსვენებულს, აშკარად მეტად ნიჟერ მკლევარს, ლ. მუსხელიშვილსაც აქვს რამდენიმე რთული და ძნელად ამოსაკითხი წარწერა კარგად, დაკვირვებით და დამაჯერებლად ამოკითხული და განმარტებული (ბოლნისის, სამშვილდის, სვეტიცხოვლისა და სხვა), დმანისსა და ბოლნისშიც ბეჯითად უმუშავია და ამ უკანასკნელში ზომ ის უდიდესი მნიშვნელობის მქონე წარწერა აღმოუჩენია. დმანისისა და ბოლნისის მიდამოებშიც ნაყოფიერი ექსკურსიები ჩაუტარებია და უცნობი ძეგლებიც მიუგველია. ოღონდ ის კი მივიკრს, რა-გორ გამოჩნა იმ რაიონში, უფრო ბოლნისისა-



კენ მდებარე საინტერესო ძეგლი, სათხეს ეკლესიის ნანგრევები, საიდანაც შე თავის დროზე ჩამოიკრუნა მშვენიერი კანელი, ახლა რომ ზელოვნების მუზეუმში ინახება. წარწერაც იყო იქ და საჭირო იქნებოდა მისი გულდასმით შესწავლა. ახლა ამ საქმის გაკეთება შეეძლება ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის, რომელიც, აკად. ნ. ბერძენიშვილის მეთაურობით, შესდგომია ქვემო ქართლის სისტემატურ ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას... სათხე მდებარეობს სოფ. კაზრეთს სამხრეთით, მისგან 3-4 კილომეტრზე. ეკლესიის ნანგრევები არის მთის ძირას, დაბურულ ტყეში. სარკმლის თავებზეა ამოკრილი რამდენიმე მოკლე წარწერა. მათი გადმოღების გარდა, საჭირო იქნება თვით ეკლესიის გვერდის გაზომვა და ფოტოსურათებისა და აგრეთვე ესტამპაჟების გაკეთება და, ბოლოს, ნანგრევების გარშემოხარა, რათა გამოჩენილ იქნეს ის ქვები, რომლებიც აკლია.

იმ სათხეს რაღაც „მედი არა სწყლიობს“: კალენი და მხატვარი რომ შიგავლინით ძეგლების დასაველად, სავანებოდ იფუხენი სათხეს მდებარეობაც, მაგრამ ვერ შიგანეს. მერე კიდევ დ. გორდევს უძებნია — შიხარა, ზუთ დღეს ვიარე და ვერ ვიპოვე. სათხეც, პითარეთიცა და წულერულაშენიც ღამა გიორგის აშენებულა ეკლესიება და ამ ორის კიდევ ერთხელ შესწავლა არ იქნებოდა ზედმეტი, ისევე როგორც ნაქალაქარ დბანისში მდებარე ბაზილიკაზე ღამა გიორგისავე მიერ მიშენებული ეკლესიის კედლის წარწერისა, რომლის წაკითხვასაც უსწორებს ლ. მუსხელიშვილი თავის წინამორბედებს — ბარტოლომეისა და ბროსეს.

გარდა ამისა, ხელახლა დასათვალიერებელი და შესასწავლა: კაზრეთის სამების ეკლესია (ყველა ფსაღია გადმოსაღები, წარწერა ერთია, ზემოთ: „ათანადლი“); ქვეშის ციხე; პატარა ეკლესია სამტრედიოში (საერთო ზედი და წარწერები); გუდარები; ღორისთავი (ეგვბ მოინახოს ის წარწერა, რომელსაც ალ. ორბელიანი აღნიშნავს თავის ხელნაწერში; საფლავის ქვებიცაა საინტერესო) და პირდებული (გმირთვეთილის ციხიდან უნდა ჩასვლა, პირდაპირ). 1

ყვარყვარე ათაბაგის გენეალოგიისათვის საყურადღებო მასალას იძლევა სადგურ-მხარის ჯვარის წარწერები. ამ ათაბაგთა — მზეკებუქისა და სხვათა — ცოლების შესახებ კი არაფერი ვიცით, მხოლოდ ერთგან ინახივება როდამი. არც ფრესკებზე არიან გამოხატული, რომ სახეები მაინც გვენახა იმ ათაბაგებისა,

რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ათამაშეს სამცხის გვიანდელ ისტორიაში. ეგვბ კი არის საღვე ასეთი ფრესკა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით? საფარის ტაძარი იმ დროს უკვე ბევრი უნდა რაფერი იყო.

ყვარყვარეს დროს სამცხე კარგა შორს ჩადიოდა, ჯერ კიდევ სამხრეთით. კლარჯეთი მაგათ ეცუთენოდა, მაგრამ ტაო — ღარა. აჭარისკენაც შორს გადიოდა სამცხის საზღვარი, მაგრამ ქანეთი გურიელს ეჭირა. ის კი ანა და, კარგა ხანს ზარზაპა გურიელს ეცუთენოდა. ამითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ იქარი ტაძრის ფრესკებზე თითქოს გურიელთა ტიპებია გამოხატული (ბოლოდროინდელებს, XIX საუკუნის გურიელებსაც კი ჰგავან, ვახტანგსა და ჯაბას, ისევე თმაჯანელინი არიან).



ეკორთის წარწერები გადმოღებული და წაკითხული მაქვს, მაგრამ ზოგიერთი რამ გუგუბრად აღმარა და ჩემი თხოვნა იქნება ახლანდელი ისტორიკოს — არქეოლოგებისადმი, ვისაც სიარულზე გული ერჩის და წარწერების კითხვა ემარჯვება ინახულონ ის ძეგლი და შეამოწონ წარწერა — სახელდობრ, შესამე, რომელიც ფოტოგრაფიისათვის მიუწვდომელი იყო და გადმოსაწერადაც მწელი... საერთოდ, მახსოვს, ბევრი გეაწვალა ეკორთამ: გაებზრდით შიხარა დარის ლოდინით შე და ერმაკოვი, რომ რიგინად გადმოგველო სურათები, ის მიუწვდომელი წარწერა კი ხელით გადმონაწერის მიხედვით მაქვს ამოკითხული... კარგა ხნის განმავლობაში დადიოდნენ საქართველოს ყველა კუთხეში ე. წ. „საფილოსოფი და სხვები“. ერთი მათგანის წევრები იყვნენ ილია ნაკაშიძე და ექ. ვასილ წერეთელი. ილიას ძალიან ეხერხებოდა ასეთი რამეები და, ეკორთაში რომ მივიდნენ, ჩემი თხოვნით გადმოხატა წარწერა „დავითისა და დავითის გუჯარი“ რომა მაქვს გამოცემული, ისიც მისი გადმონაწერია.

აკმა რომ თქვას, ეკორთის იმ წარწერაში ერთადერთი სიტყვა — „აქოუბელ“-ია უცნაური და გამოსარკვევი, თორემ სხვა ყველაფერი ცხადია.

ერთ-ერთ წარწერაში დაქარაგმებული სახელი ატხსენი, როგორც „თვალის გუგა“, მაგრამ ბევრი არ დამეთანხმა (ს. ჯანაშიას წლისთავის სესიაზე წაეკითხე მოხსენება ეკორთის წარწერებზე). ასეთი სახელები კი იყო ჩვენში ძველად: ჩემს გამგელს ერქვა, მაგალითად, „თვალმანია“. ხახულის წარწერაში ინახივება სიტყვა ოსტრტი „თვალის“; არის სახელი „თვალშვენიერიც“. რა თქმა უნდა ბუნებრივია, ქართულში სიტყვა „თვალ“-საგან ნაწარმოები სახელების სიხშირე.

<sup>1</sup> სადღესოდ ქვემო ქართლის.

საერთოდ კი, ძალიან თავისებური წარწერებია: „ბესელელი“, ერთი და მეორე... ბიბლიური ანალოგიების მოშველიებითა და საკმაოდ დაწვრილებით აღნიშნავს თავის ლექსს აშეუნებელი. ამგვარი სამშენებლო წარწერა კი ჩვენში ძალიან იშვიათია, ასე რომ ამ შემთხვევაში მალაონელი უნდა ვიყოთ იკორთის აშეუნებლის მრავალსიტყვაობისა და თუნდაც კეხინისა, თორემ სხვა ჩვენი ძველი მშენებლები ნაკლებად თუ იჩენდნენ ხოლმე თავს და ამიტომ სამუდამოდაა ჩვენთვის დაკარგული მათი ვინაობა. სომხურ ძეგლებზე, პირიქით, ხშირად ძალიან დაწვრილებიანა აღნიშნული მშენებელთა ვინაობაცა და დამსახურებაც და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ხელსაყრელია მათი კულტურის შემოქმედთა ისტორიისათვის. ჩვენ კი, მავალითად, ისიც არ ვიცით (და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ), თუ ვინ აგვიშენა და დაგვიტოვა ჯვარის ტაძარი, ბაგრატის ტაძარი, სამთავრო და ბევრიც სხვა...

იკორთის ტაძრის აშენება ნამდვილად ღირდა თავმოწონებამ! ისეთი მშვენიერი ნაგებობა, თამარის დროისა, ჩვენ შერთი არა გვაქვს. რა შესანიშნავი ღვკორი აქვს?... მისი ტოლუბა ბუნდარია, კაბენიც, მაგრამ მასთან ვერც ერთი ენა მოვა. ღვკორით თითქოს XI საუკუნის ძეგლებს უფრო ჩამოგავს, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ასე მრავალფეროვანი ღვკორი. სამთავისაც კი ვერ შეედრება ამ მხრივ იკორთსა. იკორთა უნიკუმი და ასეთი ძველები განსაკუთრებით კარგად უნდა შეეინახოს!



ვერობის სიძველესადაცებში და ანტიკვარტთან რომ საქართველოდან გატანილია და გაუიღვლი სიძველეები ენახე, მათ შორის რამდენიმე ხატი გიორგი ორბელიანის ოჯახიდან იყო იქ მოხვედრილი, მისი ცოლის წყალობით. გიორგი იყო გრიგოლ ორბელიანის ძმისწული და დიდძალი ქონებაც ღარჩა. აღუქანადრეს ბაღის პირდაპირ, მას ქვემოთ ჰქონდა მშვენიერი სახლი 1) და იქ ცხოვრობდნენ. გიორგი სამხედრო კაცი იყო, მაგრამ დიდი წოდება არა ჰქონია. ერთხანს ბორჩალოს მახრის თავდაზნებრობას წინამძღოლობდა. სწავლა ოქსფორდის უნივერსიტეტში ჰქონდა დამთავრებული. საყვარელი, თავმდაბალი კაცი იყო. ჩვენ გვეხმარებოდა არქეოლოგიურ მუშაობაში, მის მამულებში მყოფი ძეგლების გაწმენდაში. მისი ცოლი, მგონია, ერისთავის ქალი იყო, ისიც დიდი მამულების პატრონა. ერთი მოურავი ჰყავდათ, არტო უახაროე. ღამაზი ბიჭი იყო, აღფრმანობდა, და ის შეიყვარა

გიორგის ცოლმა. მოურავს ქალების, ქალადის თამაშისა და დროს ტარების, ქალადური აინტერესებდა და სულ ერთიანი ნაგებობა ნიადავ ქონება, ყველაფერი ხელთ იგდო ქალბატონის მუშეობით, დასტუყა ამრიგად უნდა იყოს გაყრდელი ის ხატებიც, თუმცა ქალბატონი თითქოს დიდი ღვთისმოსავიც იყო: რვეოლუციის შემდეგ რომ გაუჭირდა, ყველაფერი დაჰყიდა და იმით ცხოვრობდა. მაგრამ ხატებს კი ხელი არ ახლო, არც კი აჩვენებდა არავის.

იქ ენახე კიდევ ნიკო ჭავჭავაძის ნაქონი ნივთები. ნიკო თავის დროზე გამოჩენილი პატრონი იყო. ერთხანს დაღისტანს შმართველობდა. მერე იქ გარდაიცვალა, ოპერაციის შედეგად. იური ჭავჭავაძე მისი ძმისწული იყო. ილიას ნათესავები არ ყოფილან, სხვა შტოს გვეუთვროდნენ. ნიკო უცოლოდ მოკვდა, მაგრამ ძალიან კი უყვარდა ღამაზი ქალები.



ჩემი პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა ის იყო, დ. ბაქრაძეს რომ წავეყვი მცხეთაში და იქიდან სვეტიცხოვლის ხელნაწერები რომ ჩამოვიტანეთ საეკლესიო მუზეუმში. ეს მოხდა 1889 წლის 17 თებერვალს, თანახმად იმ მუზეუმის დაბეჭდილი ანგარიშისა.

ამ ბოლო დროს რომ გაეარდა ხმა, თითქოს ამერიკელებს აღმოუჩენიათ პალესტინის რომელიღაც გამოქვაბულში ქართული, სომხური და კობტური ხელნაწერები, თუ მოჭორილი არ გამოდგა, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, კერძოდ, ჩვენთვის. თუ იქ მართლა არის ქართული ხელნაწერები, უფოდ ძველი ოქნება ასეთი რამედა თუ გვიშველის, თორემ პირდაპირ სამარცხვინო საქმე გვიქრის: ხომ რამდენხანს იყო ჩვენი დამწერლობა ხანმეტი, XI საუკუნეში გიორგი მთაწმიდელმაც იცოდა, რომ გვექონდა ასეთი და გერე კი არც ერთი ხანმეტრად დაწერილი სახარება არ ჩავყარდნია ხელთ! საოცარია, როგორ უნდა მოსპობილიყო ასე პირწმინდად ის ძველი ხელნაწერები? თუმცა, მეორე მხრივ, ეს რაღად უნდა გვიკვირდეს, როცა ჩვენს მუზეუმზე აღბანებლებს X საუკუნეში ჯერ კიდევ თავიანთ ენაზე ჰქონიათ მღვდელმსახურება და დღემო არაა ნაპოვნი თუნდაც ერთი ნამცეცი ხელნაწერი. მხოლოდ ამ ბოლო დროს მიაკვლია ილია აბულაძემ აღბანერ ანბანს ენიშნაქონი ხელნაწერში. ახლა თითოერთლა ქვაზე დაწერილი იპოვნეს აზერბაიჯანელმა არქეოლოგებმა. მაგრამ რა გამოვიდა, რომ ვერ კითხულობენ? ისე კო ზოგი ასო ქართულსა ჰგავს და ზოგი — სომხურს. ეტყობა, ორივეთაგან ნასისებში და ნარევი. ალბათ სამივე ერთად წარმოიშვა. IV საუკუნეში. დიდი სურვილი აი გვაქვს პოვნისა, მაგრამ რომ არსადა ჩანს უფრო ადრინდელი ქართული ნაწერი?

1) ამჟამად „საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის სფოვადობა“ იმ შენობაში დაბინავებული.



ჩემი ჩამოსვლის შემდეგ აქ დასრულებული, რედაქტირებული თუ დაწერილი ნაშრომები გამოსაქვეყნებლად ასეა განაწილებული:

- 1) „სუბმატის ქრონიკა“ — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში.
- 2) „1917 წლის ექსპედიცია ოსმალეთის საქართველოში“ — მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმში.

3) მოხსენება „ოსმალეთის საქართველოს“ შესახებ — საქ. პოლიტ. და მეცნიერული ცენტრის გამაგრებულ საზოგადოებაში (ცალკე წიგნად უნდა დაიბეჭდოს) და ძერწ. „მხანათობში“, პ. ინგოროყვას შეშველობით.

4) მოკლე შინაარსი „1917 წ. ექსპედიციისა“ (უშთაერესად წარწერები და სხვ.) — იქვე, ირჩევ ადგილს.

5) „როდის გადაიქცა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?“ — წერილი ძერწ. „მხანათობში“.

6) „არიან — ქართლი“ თუ „არიან — ქართლი“ — აკადემიის მოამბეში (ა. შანიძის მეშვე.)

7) „იკორთის ნაქარგობანი“ — იქვე (ა. შანიძის მეშვე.)

8) „ბარაკონის ჯვარი“ — იქვე (ა. შანიძის მეშვე.)

9) „დავით აღმაშენებლის ჯვარი“ — იქვე (ა. შანიძის მეშვე.)

10) „ზოცო-ბასილის გენეალოგია“ — ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის მოამბეში.

11) „ჩხარის გელსიის ხატები და ხელნაწერები“ — იქვე

12) „ეგრძაში ნახელი ქართული სიძველეები“ (ანტიკვარებთან და მუზეუმებში) — იქვე

13) „ვატიკანის ქართული სახარება“ — თბილისის უნივერსიტეტის შრომებში.

14) „ქუაბი საგანძური“ — იქვე

15) „სომხთ-საბრძელოს წარწერები“, II ნაწილი — იქვე.

16) „ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერა“ — იქვე.

17) „როგორ იწყებოდა „ვეფხისტყაოსანი“? — (ა. შანიძის მეშვეობით).

18) „ქართული სამეზუელო განძველებას საზღვარგარეთ წაღებისა და დაბრუნების ისტორია“ — წერილი.



ეცდილობ, ახლავე მოეწიესრავო ჩემი ნაწერების ბიბლიოგრაფია, თორემ ისეთი რთული შესადგენია, რომ უჩემოდ ყველას ძალიან გაუძნელდება. ბევრი რამ მაქვს დაბეჭდილი სხვადასხვა, ზოგჯერ ნაკლებ ცნობილ ორგანოებში, ხშირად მერე ცალკეცა მაქვს წიგნად ამბეჭდილი, ზოგი რამ ქართულადაცაა და რუსულადაც, და უოველივე ეს შეიძლება აირიოს ერთმანეთში.

გელათის სიძველეები გამაგრებულნი დამრწინა, თუმცა ხელნაწერი მაქვს და ფოტოსურათებიც. ერთ ამათგანზე გადაღებულია მარგალიტდაყარი ქოშები, რომლებიც რომელიღაც ეპისკოპოსის ნაქონი უნდა იყოს (ეცით ხოლმე ასეთი ქოშები) და ჩვენებური ნახლპარის წყალობით კი მინცადამინც თამარ მეფის ქოშებდაა მიჩნეული — ასე სჩვევია ხალხს (თამარ მეფის საფლავისა ირ იყოს, ყველგან რომ ის ვეულებათ).

გელათში არის დავით აღმაშენებლის დროის წარწერები და ისინი ცნობილია. ერთი მათგანი შემორჩენილია მერმინდელ ჯვარზე (რომელზედაც მიუტრავთ იგი), ვერცხლის ფირფიტაზე ზარნიშით გამოყვანილი: „ღმერთო, ყოველისა დამბადებელო, აღიდე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით აღმაშთა, ქართველთა, ქერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტიანობისა, ამინ“ ვინც აღრე გამოაქვეყნა ეს წარწერა, ისინი „პეტროპოლის მადეირ“ „ლუკა“-ს კითხულობდნენ (ასომთავრული „ლ.“ და „პ.“ ჰკვანან ერთმანეთს). მე ვასწორებ ამ შეცდომას: „საქართო“ არასოდეს არ ყოფილა მოხსენებულა ნაქართველოს მეფეთა წოდებულებასში, და ეს ისტორიულად არც იქნებოდა კანონზომიერი: ლუკაში არასოდეს ყოფილან საქართველოს მეფეთა ყმანი. მეორე წარწერა ჰყონდიდელის ხატზეა პალეოგრაფიულად ისიც საინტერესოა და გამოცემის ღირსი. შესამე წარწერისაგან (ფრესკაზე) შემორჩენილია მხოლოდ ერთი სიტყვა „დავით“. დანარჩენი ყველა განახლებულია.

საერთოდ, კიდევ რამდენი რამაა გამოსაცვლელი, მოსანახავი, გამოსაცემი, ვინ მოთელის? მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უკვე ბევრი რამ გაყვთა ამ მხრზე?



გულანი (სამლეთო წერილიდან ამოღებული და სხვა საკითხების კრებული, ხშირად ძალიან დიდი ხელნაწერი) საქართველოს ბევრ ეკლესიაში იყო შემორჩენილი: გელათში, შემოქმედში, ციხეში, ქვემო ქალაში და სხვ. გელათის გულანი მე გადამოეწერე და მერე გამოსცა კ. კეკელიძემ, რომელმაც გამოარკვია, რომ იგი შეიცავდა სიმონ მეტაფრასტის თხზულებას, ბიზანტიოლოგიაში უცნობს.



პ. ლარაძის „დიდარიანის“ ხელნაწერთან დაკავშირებითაც მოუვიდა ალ. ხახანაშვილის ერთი გაუგებრობა. ის ლარაძე დიდი „ავან-ჩაენი“ იყო თეიმურაზ ბატონიშვილისა, მან გამოიყვანა თეი-



მერაბი სპარსეთიდან. მაგრამ, ეტყობა, ცბიერი კაცი ყოფილა. ტყუის, როცა აცხადებს, პირველად რომ დავეწერე დილარაბანი, ის იოანე პატონიშვილმა მოხივავა, მიითვისა და თავისი სახელი დაწერაო. არაფერი იმგვარი არა იოანეს ნაწერებში.

ლარაბის მამა სამეგრელოდან გადმოსახლდა ერეკლეს დროს. იგი კარგი კაცი იყო და ერეკლეს დიდი მომხრე, მან დაიკვია ჭეშის ცხე. ერეკლემ იმ კუთხეში მიუბოძა მამულები და მან კიდევაც დააარსა იქ სოფელი „გერისი“, „ლარაბის სოფელი“...

იმ ლარაბეთა ერთ-ერთი უკანასკნელი შთამომავლის ცოლი ჩემს დროს გარდაიცვალა. დიდი მამულები ჰქონდა, გომარეთის მხარე სულ იმას ეკუთვნოდა და მარტოღობარტო ცხოვრობდა თავის „ლარაბის სოფელში“ (ახალში). ერთი მორეკავი ჰყავდა მხოლოდ, სახელად სულხანი. იქაურობა სულ თათარ ყაზალებს ჰქონდათ აკლებული, სავსე იყო იქაურობა. მაგრამ იმ ქვრივს მათი სრულიად არ ეშინოდა: პატრივობა, აჰმევედა და ისინიც, ყველას რომ აწიოკებდნენ, იმას ხელს არ ახლებდნენ. ძალიან კარგი მეოჯახე ქალი იყო, მაგრამ უსუფთოდ კი ცხოვრობდა, თემცა ყველაფერი სავსებით საკმარისი ჰქონდა... მერე მისი მამულები გერეკალმა გაბაშვილმა იგდო ხელთ. იმ მხარეს რომ ვიყავი ექსპედიციამო, ლარაბის ჭვრივი ყურადღებით მექცეოდა, სავალსაე კი მიგზავნიდა ხოლმე. ამბობდა, თუთრწყაროში რომ იყო გოლიცინი, ცოლად მირთავდა. მაგრამ არ წავეყვირო...

გომარეთში ჩამდგენჯრამე ვიყავი ექსკურსიაზე. იმ კუთხეში ერთადერთი ქართული სოფელი იყო და იქდა ცხოვრობდა ძველი ქართული მოსახლეობის ნაშთი. 200 კომლი იყვნენ და მათ შორის მხოლოდ ერთმა კაცმა იცოდა ხელის მოწერა. მომიკვდა გული იმათ ასეთ ყოფაზე და ვგაბასწენევი სკოლა წერაკითხვის საზოგადოებას, რომ ცოტა მაინც შესულიყო განათლება გომარელებში. ჯერ არაფრის გოლისათვის არ უნდოდათ სკოლა, მეუბნებოდნენ: „შენ ალბათ გაბატუებ, ეგ სკოლა რომ ჩვენთვის იყოს სახეირო, თავს არ შეიწყებდა, ალბათ მეტე ისევე ჩვენ დაგვიყვება კისერზეო“ ერთი გორდელაქე ვეგზავნი იქ მასწავლებლად (მართენ გოთუასთან ნაშუშეარი) და ჩამდენიშეც სხვა. მეტე კი გაუფას გემო სწავლას გომარელებში და კმაყოფილი იყვნენ...

იქ, სათავეში, ერთი სოფელია და იქაური ქართველები კიდევაც ვაბერძნებულყვენენ, სრული მოწყვიტრობა — მიტოვებულობისა და მათთან ბერძნების ჩამოსახლების გამო.

„დილარაბანი“ გამოსკია მდებდელმა და ხალხსანმა მწერალმა ზაქარია გულისაშვილმა — იმ ლარაბის ჭვრივის ხარჯით. მე მოვეწყე ის საქმე.

მეცნიერული მუშაობისათვის, მარტო ჩემი და განათლება თურქე არა კმაია: რაღაცა სხეცაა საჭირო, ნებისყოფა, შეუპოვრობა, ენერჯია თუ სხვა... მაგალითად, ჩემი ქვისლი ივანე ნიქარაქე სენია და შესანიშნავად იცრობს თავის სამშობლოს, სენურიც კარგად იცის, ძალიან განათლებული და ნიქიერი კაცია. კლასიკურ ენებს ასწავლიდა და ახლაც მუშაობს უნივერსიტეტში, ასწავლის. თავის დროზე ძალიან დაახლოებული იყო ნ. შართან და ბევრსაც ეხმარებოდა სენური მასალებით. ჩამდენი არ ვუქაიდავ, ვუხეუწე, ვარცხვინე, რას ლაზრობ-მეთქი, მაგრამ მაინც ვერ გავაბუდვინე მეცნიერული მუშაობისათვის ხელის მოკიდება. მეტე-და მაშინ როგორ გვიტობდა განათლებული და კეთილსინდისიერი მკვლევარები?! სენური ენისა და ეთნოგრაფიის მშვენიერი სპეციალისტი დადგებოდა, მაგრამ რომ არა ქნა...

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ჩემი უნივერსიტეტის ერთი პირველ პროფესორთაგანი, ბრწყინვალე ნიქისა და განათლების, მოწინავე იურისტი და თან ზედმიწევნით ინტელიგენტი კაცი იყო. არ დაუწერია და პროფესორად რომ წამოვაუენეთ, ვერ მოუუნახეთ ვერაფერი, რომ წარგვედგინა და ისე ავიჩიეთ. მოლაპარაკე კი მშვენიერი იყო. თავის დროზე რეკოლუციონერთა პროცესებზე გამოდიოდა ხოლმე დამკვედად და ბევრსაც უშველა. აჭარლების ცნობილი პროცესი რომ იყო ბათოში, მაგას დაეკავლეთ მათი დაცეცა... უნივერსიტეტი ოდენაში გაათავა. სათავად-ანხურო ბანკის სტიპენდიატო იყო. მე ვუგზავნიდი ხოლმე ფულს. ერთი პირობა რაღაცა მეუჩენა და უკანვე გამომიგზავნა: „გადაწყვიტე, ჩემი შრომით ვიჩინო თავიო“. მე ისევე ვაუგზავნი და მიეწყება: „თუ არ დაგვირდეთ, ბანკში შეიტანეთ და იქ იყოს შენახული-მეთქი“. მაღე დიდი მადლობის წერილი გამომიგზავნა: „როგორ მიხვდით? სწორად ძალიან გამოჭირდა კიდევაც გამოვიყენეო“.

ამ ბოლო დროს ჩემი ძველი ლიტერატურის ბევრი ძველია ფილოლოგიურად შესწავლილი და გამოკემული, რაც ძალიან კარგი საქმეა. მაგალითად, ამას წინათ დაიკვია სკანდინავიის დისერტაციო მ. ვაბაშვილმა — „ქართული ფიზიოლოგის ლექსიკონი“. ატორაფე-რატეს ეტყობა, რომ კარგად გუფუიერობია. ასე უნდა გამოიკეს ყველა ძველი ტექსტის ლექსიკონი და მაშინ ვებე ეშველოს რამე ძველი

ქართლის შესწავლას, თორემ უამისოდ არასოდეს არ გვექნება ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი, და ეს კი სამარცხენო ნაკლია ჩვენი.



აეკო წერეთლისაგან შემორჩენილი რამდენიმე ნივთი ჩემთან ინახება და მინდა გადავცე ამ ლიტერატურულ მუზეუმს, ან საქართველოს მუზეუმს, ან სხვითრის სახლ-მუზეუმს.



კონსტანტინე გამსახურდია რომ ევროპიდან ჩამოვიდა, უნივერსიტეტში მომავითხა და მთხოვა, არქეოლოგიის კათედრაზე აშუქვანა სამუშაოდ, მაგრამ მაშინ მე მალე წავედი კიდევე ევროპაში და აღარ მოეწყო ეს საქმე, თორემ ავიყვანდი. მუშაობა და კორკიტი, ეტყობა, უყვარს და დიდად ნაყოხი კაცოცაა. ამიტომაც, რომ ასეთი ნაყოფიერი მწერალი დადგა.



პირდაპირ ზღაპრულად ვარდაქმნილი და გამშვენიერებული დამხვდა თბილისი, რომ ჩამოვედი. მარტო სტალინის სახელობის სანაპირო, მისივე სახელობის პარკი, ყოფ. თავისუფლების მოედანი (ქარვასლა რომ დაუნგრეთა და ვაფთვართოვებიათ) და კომკავშირის ხეივანი რადა ღირს? სანაპიროს ადგილას ზომ ამშობრებული სანაგვე-წყუმები დავტოვე, როცა მივედილი! მთაწმინდის თბემიდან გადამოხედვას არაფერი შეედრება! არსად მსოფლიოში ასეთი ლამაზი ქალაქი არ მოიძებნება. პარკში არაფერი ამის შესავსი არაა... მთაწმინდის პარკი ზომ წინაა ჩემი ცოლოვრის, პოლტარაკების საკეთრება (გაბაშვილის ქალის ნაშობივი) იყო და იმ მამულ — ადგილებში ზმირად მივლია (მასხოვს, ერთხელ გამორჩენილი თურქოლოგი ავად. ოღუენურგოც მწყადა სტუმრად ოქროყანაში — მშვენიერი ადამიანი იყო, რუსეთის აკადემიის მუდმივ მდიუნად არჩეული. — და ძალიან მოეწონა იქათობა). მაგრამ სად მაშინდელი ოქროყანა და მისი

მიდამოები და სად ახლანდელი პარკი? დიდი გაქანებითა და გემოვნებითა... ქველდურნი! გაცეთებელი მთაწმინდის პანტეონი... ქარვასლა და მოწყობილი და მოვლილი? ბევრი ღირსეული ნეშტიც გადაუტანიათ იქ.



ერთი მამა მყავდა, (ნიკოლოზი ანუ „ნიკოკია“) ოზურგეთში ცხოვრობდა და იშვიათად ვხვდავდი ხოლმე. ერთხელ დეპემა მომცა, ავად ვარო, მაგრამ ვერც მაშინ წავედი, ჩემი მუდმივი მოტულებობისა გამო. ოღონდ მულები მივაშველე და თან ზომები მივიღე, რომ კარგ ექიმებს ემკურნალათ მისთვის. ნაშტანი ნაწევი დამჩხა და მერე, რომ შევხვდი, მითხრა: „სულელი ვარ, ჩემი ავადმყოფობა კი არ უნდა მეცნობებინა, არამედ უნდა მომეწერა დეპემა — „Найдена археологическая жемчужка“ და ენახავდი, კისრისტებით თუ არ ჩამოიბრუნდი ოზურგეთში“.



საფრანგეთში სამუზეუმო ქონებასთან ერთად წაღებული მქონდა დიდი მთავრის ბორჯომის სასახლიდან გადმორჩენილი და თავის დროზე რის ვაი-ვაგლახით გადნარჩუნებული ბიბლიოთეკა, რომელშიც შესანიშნავი წიგნები და ალბომები იყო თავმოყრილი. განსაკუთრებით ნაბოლონის ხანა ჰქონდა დიდ მთავარს თუ კარგად წარმოდგენილი იმ თავის ბიბლიოთეკაში, რომ ევროპის ყოველ უნივერსიტეტს შეეხარებოდა და რომ გავუყოფდა, ნახევარ მილიონს მაინც ავიღებდი თუ ლამაზად. მე ზომ ადრევე მოეწერე იქ, გამოვზავეთ დებუტაცია ნივთებისა და წიგნების წასაღების თაობაზე-მეთქი. დებუტაცია კი არა და ერთი ვიღაც უდიკო კაცი გამოვზავენს (მგონი გველესიანი იყო გვარად). იმას გამოვატანე ის წიგნები ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის. იმანაც წამოიღო და გარეშდა. არც სხვას უცნობებია ვისმე, მიიღეს თუ არა წიგნები. მერე ჩვენი ჩემმა მამამ მომწერა, მიიღესო. ახლა რომ იხედავთ, მუღუნებია, დატკეპლად დავანაწილეთ და გავტრიეთ დანარჩენ წიგნებშით!

ეპითიმე თაყაიშვილის მოგონებათა შესახებ

ქართული კულტურის ძეგლთა თავდადებული მოპირნახულე, დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ე. თაყაიშვილი 1945 წ. 11 აპრილს დაუბრუნდა საქართველოს საფრანგეთიდან, სადაც იგი მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ედგა გუშავად ჩვენს უჭირფასეს საგანძურს, სამუზეუმო ქონებას. მადლიერმა სამ-

შობლომ ღირსებულად დაათვას მცოვანი პატრიოტი მეცნიერის ღვაწლი ეროვნული კულტურის წინაშე და სრული საშუალება მისცა, ყოველმხრივი ზრუნვით და ხელშეწყობით გარემოცულს, განეგრძოთ თავისი საყვარელი საქმიანობა. იგი ჩამოსვლისთანავე კვლავ არჩილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად (დამსახურებული პროფესორის წოდებაც მიენიჭა), ხოლო 1946 წელს იბრჩიეს საქართვე-

1 ახლა ლენინის მოედანი.

ლის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ორივე დაწესებულებაში წარმართა გაცხოველებული საქმიანობა მუშაობა, ოთხმოცდაათწლიანი წელში გააძლიერა მისი სამედიცინო ემპირიული ხალისითა და მხნეობით მიყო ხელი ამ დიდი ხარვეზის შევსებას, რომელიც საქართველოდან ძალაუფლებურად გადახვეწამ წარმოქმნა მის ხანგრძლივსა და საოცრად დაძაბულ შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. მართალია, ე. თაყაიშვილი უცხოეთშიც წერდა და დროგამოშვებით ბევრდენად ატრახებდა ქართველად, ფრანგულად და ინგლისურადაც, მაგრამ მაინც მრავალი მნიშვნელოვანი გამოქვეყნებული ნაკვლევი ჩამოკვდა უკანვე.

ის ბოლო რვა წელიწადი, რომელიც ე. თაყაიშვილმა სამშობლოში გაატარა, უღირსად ნაყოფიერი გამოდგა: ხანდახმულობის მიუხედავად, მას შემოაბა არ შეღწევეტობა (გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს). ამ აღფრთოვანებულ შრომის შემდეგ იყო, რომ 1946 — წლების მანძილზე გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის 16 ნაკვლევი, რომელთაგანაც ორი ცალკე წიგნად გამოისცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ) „სენმატ დავათის ძის ქრონიკა“, 1949 წ. და „Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии“, 1952 წ.), ხოლო დანარჩენი დაბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, საქ. მუზეუმის მოამბეში და ერთიც გაზ. „კომუნისტში“. გარდა ამისა, დაშინებულ იქნა 16 ნაშრომი, რომელთაგან ორიოდვე წარმოადგენს ქართულად უკვე გამოცემულის რუსულ თარგმანს, ან — პირაქით.

მტკიანი ფეხი და ბოლო დროს შემოჩვეული ავადყოფობა ძალზე უზღუდავდა ე. თაყაიშვილის შინიდან გამოსვლის საშუალებას. ორსადა წელიწადს თუ კიდევ დადიოდა ავროპაში და თბილისის მიდამოებში კი დასერილობდა, მერე და მერე თითქმის სულ სახლში გამოიკეტა და ზოგჯერ ლოგინში მწოლაბრეც კი მუშაობდა; უნივერსიტეტში, აკადემიაში და მუზეუმ-ბიბლიოთეკებში ათასში ერთბედა თუ შეიძლებდა ხოლმე გაეღას. გარდა ამისა, მას სენამხედველობაც შესუსტებული ჰქონდა, ხელზეც საგრძნობლად უკანალებდა და წერა უჭირდა. მისი ძველი თანამშრომელი და მეგობარი, ირ. სონღღღაშვილი (გარდაიცვალა ამა წლის იანვარში) ჩვეულებისამებრ ერთგულად ემეველებოდა მუშაობაში მაგრამ სამსახური (იგი ხელოვნების მუზეუმის საგანძურის მცველი იყო) არ აძლევდა საშუალებას, რომ დიდა დრო მოენდომებინა ამ საქსაბოვის. ყოველივე ამის გამო აუცილებელი შეიქნა და 1948 წლის 10 მარტიდან თბილისის უნივერსიტეტში კიდევაც დაუნისნა ე. თაყაიშვილს თანამემქმე, რომელიც უნდა მოხმარებოდა მას სათანადო ლატერატურის გაცნობაში, მასალების მოყრევაში, მოფიქრებულ ნაშ-

რომთა დწერაში და დწერაბოთა დასაბეჭდად გამზადებასა თუ ბეჭდვასში.

ეს საპატოო და საინტერესო „საქმე წილად ხვდა ამ სტრუქტურის ავტორს, რომელიც მანამდე წლამდე უწევდა თანამშრომლობას ე. თაყაიშვილს (ნ. ლოლობერიძის ზმირი და არსებითი დახმარებით); ცდილობდა შეემსებებებინა მისთვის ტვირთი და რაც შეიძლებოდა უკუეგად გაემართა დასაბეჭდი ნაშრომები, რომელთა ერთეალობა და ჰვენი ისტორიული მეცნიერებისათვის სარგებლიანობა სრულიად უკველია. საინტერესო იყო ეს თანამშრომლობა იმიტომ, რომ ესოდენ დღი გაქანების ქართველ საზოგადო მოღეწესთან, ამდენი ძეგლის აღმოჩენ-გამომკვლევად ისტორიკოსთან და არქეოლოგთან თითქმის ყოველ საღამოს შეხვედრა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნამდვილ სკოლას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ე. თაყაიშვილს ბოლომდე შერხა ვისაოცარი მესხიერება, ცოცხალი, გამპრიახი აზროვნება და დაუშრეტელი ხალისი ამა თუ იმ მოვენისა და პიროვნების შესახებ თავისი შეხედულებების სხვათათვის გაზიარებისა. ამისთანავე, მას ხელთ ჰქონდა ძალზე მდიდარი არქივი (მირალიცა და, ნაწილობრივ, აგრეთვე მის მიერ შექმნილი ქართული საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოებისა), რომელსაც უცხოეთში ისევ დასაყვალბდა, როგორც საბუნებო ქონებას და ისევე „ნიათქმეაქებელი“ ჩამოიტანა თან (ამეამად დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქაბათველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში).

ე. თაყაიშვილი ძალიან იჩქაროდა თავის ნაშრომთა გამოქვეყნებას, ვითო ყველაფერი ვერ მოვასწროთ (და აკი მართალიც გამოდგა: რაც მოასწრო, თითქმის ერთი იმდენი დაუბეჭდავი დარჩა და უკრაც არა ისმის რა მათი დაბეჭდვისა, თუმცა უმეტესობა თვით მინვე გადასცა სათანადო რედაქციებს). მიუხედავად ამისა, დროდადრო ის თვითონვე მოიხურებდა ხოლმე წარსლის გახსენებას და გონებაში განსაყოფრებით ჩარჩენილი ამბების მოყოლას. გასახსენებელი (და თაყმასწონიც) ხომ ნამდვილად უმარავი რამ ჰქონდა, და იმიტომ ამეკარი წილსკლა ჩვენს მუშაობაში ზოგჯერ ყარგანბნობით გრძელბებოდა ხოლმე, ზმირად ჩვენს შევითხეებით გაღევებული. ჩვენც ვედილობდით, არც ერთი საზოგადოებრივად საყურადღებო ამბავი და აზრი არ გამოგერჩენოდა აღუბუსხველი ოთხი წლის მანძილზე ასეთი, სახელდახელო ჩანაწერი მრავლად დაგვეყოფოდა. ამეკარი ინტერესი რომ შეგვატყო, ე. თაყაიშვილმა თვითონვე გამოანახა, შიგადაშიგ, დრო და — უკერ ჩვეულებრივი მუშაობისაგან „შესვენების“ საბოთ, ხოლო მერე და მერე უკვე ვანჯრას და ზმირად მთელი საღამომობითაც კი — გვიყარანებებდა მოგონებებს, რომლებმაც ერთ კარგა მოზრდილი რვეული შეიავსეს. ყარნახის დროს ხანდახან შეჩერდებოდა და გვეკითხებოდა, „ნამეტანი დაწ-

ვრღობით ხომ არ ვიამბობთ, არის კი ეს საინტერესო?" ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვარწმუნებდით, რომ, პირადად, რაც შეიძლება დაწერილობით უნდა გახსენოს, ახან და ანა-ფიორი არ უნდა გამოტოვოს ზოგჯერ, პირადად, თვითონ პეკინიდან კმაყოფილების ამა თუ იმ ეპიზოდის მოგონება და ხალისიანად დასძინდა ხოლმე: „აი, ეს კი კარგი მასალა მოგვეცით; ასეთი რამეები უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ დაიკარგოს!“ და ა. შ. ზოგი რამ საკმაოდ ვრცელად ვახსენა ჩვენგან „შეკვეთილ“ თემებზედაც. ამიტომად შედგა ჩანაწერები, რომელთა მოცულობამ 10 თაბახს გადააშტა. სამწუხაროდ, მოხუცმა ერთი მესამედით კი ვერ მოასწრო იმისა, რის ჩაწერინებასაც თვითონ აპირებდა. ესე, მაგალითად, ბევრი უნდოდა და შედარებით ცოტა რამ გვიამბო ქართულ მწერალთა შესახებ; განზრახული ჰქონდა მის მიერ თავმოყრილ ქართულ ხელნაწერთა თავგადასავლის სათითაო ფოტოკოპია და მხოლოდ რამდენიმე დასცალდა და ა. შ.

ახლა საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ ორიოდ სიტყვის თქმა ამ ჩანაწერთა შედგენილობა-აღნაგობისა და ნაგვარობის შესახებ.

ე. თაყაიშვილის მიერ ნაქარნახვე მოგონებათა ერთ რვეულს, რომელშიც ძირითადად ავტობიოგრაფიული ამბებია, მან თვითონ დაარქვა სახელად „მცირე მოგონებანი“. ისინი ჩაწერილი გვაქვს 1949 წლის 23 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე. მანამდე, იმავე წლის იანვარში, ნაწილობრივად გვქონდა ჩაწერილი ავტობიოგრაფიული მოგონებანი „ზოგი რამ თითქმის მეორედგამად ამ ორ ჩანაწერში, მაგრამ ეს ვარიანტებიც კარგად ავსებენ ერთმანეთს. ამ ჩანაწერთა შერწყმა სასურველად არ მიგვაჩნია, რადგან ერთი საგანგებოდ ნაქარნახვე და ამის შესაბამისად გამართულია, ხოლო მეორეში უფრო შემთხვევითი „წიაღსვლა“ აღნუსხულია. ორივეში მოთხრობილია ე. თაყაიშვილის ქუთაისის გიმნაზიაში და პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის, თბილისის პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი მწვავე კომფლიქტის ამბები, საზღვარგარეთ გამგზავრებისა და იქ ყოფნის ვითარება — მოკლედ. ქართლოგოგორი თანამშრომლებთან ყოველთვის არაა დაკული, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ხელს მოთხრობის ათვისებას. გზადაგზა ავტორი მოკლედ და შეფთოდ გვიხატავს თანამოსწავლეობა, მასწავლებელთა, თანამშრომელთა და, საერთოდ, თანამედროვეთა პორტრეტებს.

ნაქარნახვე მოგონებათა მეორე რვეულს (ჩაწერილს 1950 წლის 26 იანვრიდან 4 მაისამდე) ავტორმა სახელად უწოდა „მცირე მოგონებანი ქართულ მოღვაწეთა შესახებ“. აქედანაც ჩანს, რომ იგი მრავალი პიროვნების მოგონებას და ცალ-ცალკე, თავისებურად სხარტად დახასიათებას აპირებდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ილია

ქაქავაძით დაიწყო („ზოგი რამ მოგონება ილია ქაქავაძის შესახებ“) და, როგორც მისმა აღმწერილი იყო, ისე გაიტაცა ამ უზარმაზარ მწერ-ვე იმდროინდელი საქართველოს ბელადად მიხნეული კაცის პიროვნების, მოღვაწეობის, საქმიანი თუ რუხაბური გარემოცვის ავა-გარისა და ზოგჯერ უცნობი დეტალების გახსენებამ, რომ მერე დრო აღარ დარჩა სხვა მოღვაწეთა ამის საგანგებოდ მოთხრობისათვის, რის გამოც ბევრი ამთავანი მხოლოდ ილიასთან დაკავშირებით აღმოჩნდა დახასიათებული — კეთილად თუ სუსხიანად, ვისაც როგორც ეყარებოდა.

საერთოდ, თვალში საცემია ე. თაყაიშვილის უსაზღვრო გულწრფელობა, პირუთენელობა შეფასებისას, რაც სავსებით შეესაბამება მისი ხასიათის საყოველთაოდ ცნობილ მთლიანობას და მიზანშეწონიერებას და სანგეიანობას ტემპერამენტს. მას არ უყვარდა მამაპელობა, მკობა-მოკიბვა და ამა თუ იმ მოსაზრებით სინამდვილის „შელამაზება“. სრული უფლება ჰქონდა ეთქვა (და ერთხელ გამოიძიებდა კიდევაც), „ტუთილს მტერზედა კი არ ვიტყვი“. ამიტომაცაა, რომ მის მოგონებებში, შთავსად კარგი რეალისტი მწერლის ნაწარმოებია, არც ერთი, თუნდაც საყოველთაო მოწიფებით მოხილი პირის პორტრეტი არ მოგვაგონებს მტრის-მეტად კობტა ხატს: ყოველი მთავანი მოღვაწეცაა და თან კაციც, რომლისთვისაც „არაფერი აღამიანერი უცხო არ არის“. ე. თაყაიშვილი, გახსენებისას, არც დამსხტრებებს უკარგავს ვისმეს, ოღნავ მაინც, და არც ამა თუ იმ სისუსტეს უქმნაღეს, ოღონდ ამ უკანასკნელს ბოროტად კი არ აღუნიშნავს, არამედ უფრო თანაგრძნობითა და მეგობრული ორიონით (თუ-კი, რა თქმა უნდა, ქართული საქმის მტერს არ ეხება სიტყვა). სულთა და გულით, მთელი თავისი დიდი შრომა-მხნეობით ნამდვილი და უანგარო მამულაშვილი, ე. თაყაიშვილი, ყოველთვის გადაჭრითა გრძნობს პატრიოტიზმის უფუნერსა და ივადყოფურ გამოვლინებას, რასაც საბოლოოდ ზიანის მტეტი არა მთავსს რა ერთგული საქმისათვის.

ყოველივე ეს აორკეცებს ე. თაყაიშვილის მოგონებათა მიმზიდველობას: დამწებებულ ვართ, რომ ქართული მკითხველი მას ისეთივე გატაცებით დაეწაფება, როგორც მემამულური ლიტერატურის მრავალ ცნობილ ნიმუშს, რომლებშიც დოკუმენტურობა, სამართლიანი განსჯა და მხატვრულობა მოხდენილადაა შეზავებული ერთიმეორესთან. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მივიჩნით ამჯერად ზოგიერთი კუბურის გაკეთება გარკვეული თვალსაზრისით.

ჩანაწერთა მეორე თავს შეადგენს ჩვენი საგანგებო, არა ერთგზის თხოვნით, 1949 წლის იანვარში ნაქარნახვე მოგონებანი ე. თაყაიშვილის გათხრობით არქეოლოგიური მუშაობის შესახებ. მიუხედავად შედარებით მცირე მოცულობისა, ეს მოგონებანი მაინც უაღრესად სა-



ყურადღებოა ავტორის მეცნიერული მოღვაწეობის მრავალმხრივობის დასახასიათებლად და ამასთანავე ზვეწში ამ დარგის ისტორიისათვის. აღნიშნულ თავს ბევრი რამ დაუშვარტეთ სხვადასხვა დროს სპეციუსის მიერ მოტანილი მონახობრივადანაც.

დასასრულ, მეოთხე თავში წარმოდგენილია იროპულ მეტი ცალკეული ეპიზოდი თუ კრიტიკული შენიშვნა-მოსახრება, რომლებიც შევარჩიეთ ჩვეს ოობა წლის (1740 — 1952) სახელდაბელო ჩანაწერებიდან. ამ უყანასწენს ეკეთებდით ე. თაყაიშვილთან ერთად მის ნაშრომთა მოწესრიგება-თარგმნისას, როდესაც მსკოვან მეცნიერს, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი რამ ასწენდებოდა (თუ იმ წუთს მონდიოდა აზრად), ისეთი, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მოკლებული მეცნიერულსა თუ შემეარისტულ ინტერესს. ხშირად ეს შენიშვნები მოგვარონებენ ერთგვარ „ინტიმურ სკოლითებს ამქამად უყვე გამოქვეყნებული და ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, მაგრამ მამინ უჯრ მხოლოდ დასაბედად გამოზადებული ნაშრომბები („1917 წლის ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, „სროლის ვარდამუჟნა ინერტსა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ. აქვე შემოდის უჯრ კოდვე გამოქვეყნებული შრომა ევროპაში ნახული ქართველი სიძველეები“, „იუროთის მონასტერი და მისი წარწერები“). ჩამდენიმე შენიშვნა გამოქვეყნებულია იმ მეცნიერთა ნაშრომების მიმართ, რომლებსაც ე. თაყაიშვილი იცნობდა ზოგი შეიცავს დამატებითის განმარტებს და ძველას, ნაშრომისა თუ დებულებათა შეფასებას და ხანდახან შემდგომი დღეულის ამოცანებსაც.

ამიტომ ეს შენიშვნები, მოგონებებთან ერთად, გამოქვეყნების ღირსად მივიჩნით. ბევარი მათგანი მუხტოთ თაყაიშვილი კი არ მოგვეტყვიარა, არამედ ავტობიოგრაფიულ მოგონებებს ჩაურთეთ სათანადო ადგილებში.

ე. თაყაიშვილის სასაუბრო ქართული უადრესად თავისებური იყო და ასევეა იგი ასახული ჩვენს პირვანდელს ჩანაწერებში. მისი ათულომობთ ნაშრომის მეთახელებს კარგად მოეხსენებოთ, რომ იგი წერდა რეკლავიკამდელ ქართველ მწერალთა და მეცნიერთათვის ჩვეული ლიტერატურული ენით. ზეპირად კი ეს მკვირცხლი მოხუცი ნამდვილ გურულ კოლოზე მბრძველებდა და მოკულ, ზატოვანი წინადადებებით, ხალხური სტყუების უხვად მიშველოებით გამოიქვამდა აზრს. გარდა ამისა, ხშირად, თუკი უფრო მარჯვედ მიიჩნედა, რუსულსაც გამოურედა ხოლმე იმავე გურული ინტონაციით. („ასე ვიკოდით ყველა იმდროინდელბმა, თეთი ილია ქავკავამემც კიო“, გვიპასუხა

ერთხელ შეკახვაზე“). ასეთი რამები ვანუმეორებელ კოლორტს ანკვემდრ ქვეყნებში თაყაიშვილის საუბარს და ჩვენც „მეცნიერებმა ჩაწერისას „ზელი არ გვიტრიალდებოდა“, რომ ზედმიწევნით სიზუსტით არ გადამოგვეცა ქაღალდზე მისი ყოველი სიტყვა; თუშეცა კი მაინვე ვიყავით დარწმუნებული რომ ამგვარად გამოქვეყნება არ შეიძლებოდა და საფუძელიანი ენობრივი რედაქცია დასკირდებოდა (მკირე ნაწილი თვით ავტორმავე გადაიკითხა და თვითონვე დაუნდობლად აღმოფხვრა შიგ „გურულიზმებმა“). ასეც მოხდა: პირვანდელი ჩანაწერები არქივსდა შერჩა (ისევე როგორც ავტორისა და ჩამწერის დიალოგები, ჩამწერის რეპარტები და აქამდე ავტორის დასახასიათებლად ჩართული თითოთროლა შტრიხი) და გამოსაქვეყნებლად გადაწერისას ისინი თანამედროვე სიაღერატურო ქართულს კვალობაზეა გამართული. აქვე დაძვნეთ, რომ ე. თაყაიშვილის საუბარს ძალიან ახასიათებდა ისეთი სიტყუები, როგორცაა „რა ქვიანა“, „მოშითმინე“ და „გვემისი?!“ ძალიან ხშირად მოვიხიბდა ზეპირად ნათქვამი წინადადების წყობის ცვლა და გამოსწორება. ამასთანავე, სულ ამოვლეთ ან შევარბილეთ სახემარო და ხშირად ფრიად ლაღი (ზოგჯერ ანეგდოტთა მოშველიებით ნათქვამი) კომენტარები ან ეპითეტები ამა თუ იმ მოვლენისა და პირის მიმართ, რომლებიც აცხოველებდნენ ნაშრომს, მაგრამ დასაბედად არ ყოფილან განუთვინი.

თან კი სულ იმის ცდაში ვიყავით, რომ შეძლებისამებრ შეგვენარჩუნებინა ე. თაყაიშვილის თავისებურება და სისხარტე, რომელიც ყველას ესმომბა, ვისაც ერთხელ მაინც მოუხსენია მისი საუბარი. გვერნია, ჩვენს მცდელობას მთლად ფუძედ არ ჩაუვლია.

განზრახული გვაქვს, უახლავს ხანში ცალკე წიგნად გამოეკეთე ექვითიმე თაყაიშვილის ყველა მოგონება, ოდონდ, როგორც ზემოთაც ითქვა, ზოგიერთი რამის გამოკლებით. ასეთი გამოკლებული უფრო იქნება გამართლებული რომ მისი საქამოდ ვრცელი მოგონებანი ქართველი მწერლების (ი. ქავკავამის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის ევაფმეველასა და ე. ნინოშვილის) შესახებ, საქართველოს ლიტერატურული მუხტუმის მიერ ჩაწერილი, უყვე დაიბეჭდა („ლიტერატურის მარტინე“, წიგნი მე-ნ, ნაკვეთი პირველი, 1952 წ. გვერდი 1 — 63), ისე რომ შეიძლება ზოგი განმეორებისაგან თავის შეკავება და მხოლოდ მნიშვნელოვანი სხვაობის შემცველი ვარიანტების შეტანა წიგნში.

ეს იყოს მკირე სახსოვარი ჩვენი დიდი, ამგდარი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების ხუთი წლის თყვე.





## შავე შოთაძის



### ნიკო ნიკოლაძის წერილები სერგეი მუსხისაძის

ნიკო ნიკოლაძის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად, მისი პირადი წერილებიც ფასდაუდებელ ღირებულებას წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესასწავლად. კერძოდ სერგეი მუსხისაძის მიწერილ წერილები, რომლებსაც ვაჭყეყნებთ, მეტად საყურადღებოა და ინტერეს-მოყვებელი არ უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის. ამ წერილებში მოცემულია მთელი რიგი მასალები ჩვენი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ნათლად ჩანს მთელი ის სიძნელეები, რომლებიც კი წინ ეღობებოდა ხალხისათვის თავდადებულ ადამიანებს თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დროს. მფის ცენზურა და მისი სულის შემზოთველი პირობები, რომელშიაც უხდებოდა მეშაობა მაშინ ერთადერთ ქართულ გაზეთ „დროებას“, ნათლად არის ასახული ამ პირად წერილებში. ამასთან ერთად ცხადად ჩანს აგრეთვე საშობლოს მოსიყვარულე მკითხველსთან სასიძაღულო მოლაპარაკება გატაცებული მეშაობა ქართული ეროვნული კულტურისა და თავისუფლების მოყვარე ხალხის მომავალი ცხოვრების ასაღორძინებლად.

#### 1 წერილი.

ფრანკფურტი (მაინე) 3 აგვისტოს 1869. მხოლოდ სერგეი მენდერე პირობის აღსრულებლობაზე? აა, უშველებელი გველი წერილი 2). ჯერ შენ ვგაც ვუყოფა. ზოგი სხომისთვის იყოს.

როცა შენ ამ წერილს წაიკითხავ, შენ შეატყობ, რომ შე საშინლად აურაუროვებ მაში სხვა და სხვა ნაირი „ელემენტები“. შთა აწერილობაც არის, ზემოთაც, დაცინებაც და დარიგებაც. ეს მე აბიტომ ვეწინა, რომ არ ვიცი რომელი მხრით მივადგე შე მკითხველს. შე მისი გეგმა კარგათ არ ვიცი, და ეს პირველი წერილი დავწერე ისე,

როგორც მუხიანტი კამერტონით თავის იარაღს ამხალვებს. დაბეჭდე, და ყური უდგე საზოგადოების აზრს, შეიტყვე მიიქცია თუ არა ამ წერილმა ვინმეს ყურადღება, რომელმა მხარე უფრო იმოქმედა, რა უფრო აღვიძებს მკითხველს — დაცინება და გულწრფელობა; მისწერე ვინმეს ქეთისშიაც, შევატყობინო ამ კითხვების პასუხი, და მერმე რამდენიც გინდა იმდენ წერილს ჩამოგიტან, ან გამოგიგზავნი. მასალა ნუ გეშინია, ბევრი მაქვს, და სურვილიც. ერთი რამეს მეტი არ მაკლია, ეს მკითხველების გემოს ცოდნა.

შე ხეილ — ზეგ ბეტერბურგს მივდივარ, და იქ მგონია ერთ ორ თვეს დავრჩები.

ერთ რამეს კიდევ გთხოვ. თუ ჩემი ძმობა გაქვს, და თუ შესაძლებელია ეს წერილი ერთ ნუმერში დაბეჭდე. რა უშავს, რომ ერთი ნუმერი მარტო ერთ სტატიას ეკავოს, — აქ ეს ზომიერად ხდება. მაგერათ სტატიას უფრო სრული მოქმედება ექნება. და რედაქციას, ერთი კვირის მოსვენება, შემდგომი ნომრების გასაუფრთხებლად, თუ ეს არ შეიძლება, სტატია მარტო სამ ნაწილად გაუყავი: პირველი ნაწილი 1 გვერდიდან 12-მდე; მეორე 12-დან 22-მდე. და შესამე ბოლომდე. თუ ესეც არ შეიძლება, სტატიას ნუ დაბეჭდ, როდისმე სხოგან დავბეჭდ, „სბორნიკში“.

ენა, მგონია, თავისუფალია. მაგრამ ძალიან ხშირათ ერთი და იგივე სიტყვა ერთ ალაგას სხვა და სხვა ნაირათ არის ნახმარი. თუ შენ არ დინაზარებ და ხეირიანათ, „Сторо“ ვარდარავ კორექტურის დროს, თვალებს, ხომ კარგი, თუ არა და არა უშავსარა.

ნახვამდის, ჩემო სერგეი; ამ წიგნის პასუხი გიორგი წერეთელს 3) გამოუგზავნე, ჩემდა-გად-მოსაცემათ.

#### შენი ნ. ნიკოლაძე.

მართლა, კინალამ დამავიწყდა: მე-20-ც გვერდზე, ბოლოს უნდა ჩაუყვრო რვა თუ ათი-ოდე სთრიქონი რ. ერთისთვის ლექსიდან 4) კოლეს ტურფას შეეყარო“. ეს ლექსი „ჩონგურ-შია“ 5), მგონი დაბეჭდილი. შენ თვითონ იცი, რამდენი სთრიქონი მოუხდებოდა ეს ეპიზოდს;

მე ეს კარგათ არ მახსოვს. ერთი სიტყვით, საქმე შენთვის მომინდია.

ამ წერილის გარდა კიდევ მაქვს მისი დაბოლოება, მის ძირიდან დამხრებულს, და იქედან ფრანკფურტს დაბრუნება. მაგრამ მის გამოგზავნას მერვე მოვესწრებო. როცა შენ პასუხს მივღებ. ესლა კი ფრანკფურტელების მუსაიფი პრესიელების ფრანკფურტს მოსვლაზე ცოტათი უდროო უნდა იყოს. შენ როგორ გგონია? გეთყავა, ცნებურას ნუ დააყოფინებ ნამეტნათ ამ წერილს ნ).

ეცადე, ერთმე, იქნება ბევრი არა დააკლოს რა. მართლი კი რომ ვითხრა, მე შით ვერას ვხედავ დასაყვერავს.

ნახემადი. ნაცნობები ყველანი მომივიოხებ სიყვარულთ.

ქალაქი მრჩება, სჯობია დაწერილი გამოგზავნო. მე ვიყავი იტალიაში, გამოვიარე შვეიცარიაში, სადაც ჩემი ძმა ?) დავტოვე. და აგერ ორი თვეა აქა ვარ, და ნემეტურ ენას ვაკვებ. ლაბარაკი კიდევ მიძნელდება. კითხვას კი უღიწითლოდ ვახეჩებ. დემართო, რა ძნელი ეს უბედური ენა. — ჩემი საქმეები ძალიან უხაროთ არის, მაგრამ ამაზე როდისმე მერე მოვყვები. თუმანოვა და მე ტბა [ოვრატისი] ვახსნა ვერ მოვახერხებ წრეულს, ამიტომ, რომ აყოფაშვილი ადესაში წავიდა და კიდევ სხვა მიზნისთვის, მაგრამ გაისისთვის იმედი ვვაქვს. წრეულს რამე სპორნიკს, ან ალმანახს დავებულო. დავამზადე საწერათ, და საკორექტურათ.

თუ იცი რითი გათავდა კიკვიძის საქმე? გამტყუნეს, თუ გაამართლეს? შენი თეთთან რას შევბი, როგორაა შენი საქმეები, რისი იმედი გაქვს? მომწერე.

ქორილი \*) მე არ მირჩევს პეტერბურღში წასვლას. იმან ჩემი მიზეზები არ იცის, რომ იყოღეს, მაშინ ხომ გზაზე დამხვდება, და ძალით დამბარუნებს. მე ძალიან მჭირია პეტერბურღში მისვლა, ეგზამენისთვის და კიდევ უფრო მეტათ რომელღმე ყურნალში კორრესპონდენციის ადგილს მოვსისთვის. ეს ადელი არ არის, ამიტომ რომ პეტრე უწყებაების\* მეტი მე არ დავთანხმდები, და и то не безусловно. გგონია, რომ ისევე ეჯობინოს, ცალკე წიგნათ რომ დავებულო „как живет одни из наших провинциалов“. ჯერ მე მართო „контра“ მაქვს შემდგარი.

მერე მინდა ანტონოვიჩს \*) ვარდაცე რამდენიმე აზრები, თნ агонии русск. литер — მერე კიდევ ბევრი შინაური საქმეები მაქვს. — მე დავბრუნდები სექტემბერში, ან ოქტომბერში. ღრო ეგზამენის დაქვრახე კიდია.

ესლა კი მშვიდობით.

მელქიშვილს \*\*) უთხარი, რომ მისი ბიძაშვილი მე ვერ მოვაქებნეთქ.

II წერილი

პეტერბურღი, 1869.

ძალი სერგეი ვეონ გვერე მსხუხუხე წინ წიგნზე, მომიტყვე: შენ ხომ კარგათ იცი, რომ უთავბოლო კაცი ვარ. მივსდგეთ საქმეს.

ჯერ ჩემ სტატიაზე !). ზოგიერთი ადგილები, ვამსაკეთებთ მეორე ნაწილში ვამალაშინებას თუ დაკოდეას წაუხდენია: მე წერეთელსაც ?) ვაჩვენე აქ ორიოდ ადგილი, სადაც ორი ან ერთი სიტყვის გამოცვლას მთელი აზრის ღირსება დუკარავდეს, მაგრამ რა ვაქწყობა. მე სრულიად დემეშვიდი რუსული ანდაზით: „Волка бояться в лес неходить“.

„ღრობაზე“ მოგვეწერა კირილესთვის ?), რომ იყისრებდი შენ ამ ვახეთს, გ. წერეთელი ან მე რომ დავებმარებოღეთ. „ისრობა“ ადელია, და დამმარებაც ხომ იმაზე უფრო ადელია საქმეა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვინცობაა, ვახეთ რომ ვაკეთდეს, (ან ვაკეთოთ) და მერმე მისმა ეხლანდელმა propriétaire-ებმა რომ ხელიდან გამოგვეღლიტონ? შენ ამაზე რას იტყვი? თუ მოგცემენ იონი ვახეთს შენ „безвозвратно“, ა не „на правах аренды“, იყისრე უსათოთ. შენ შეგაძლია პირობა დაუღო, რომ მინემ ვახეთი იარხებებს, მათ სტამბაში, იბეჭდება, по такой то и по такой то цене за печатным лист известного размера. გგონია დავეთანხმებთან. როცა შენ ა მ შ ა ი რ ა თ ვახეთს ხელში ჩაივდება, მაშინ ჩვენ ვიციით როგორ ვაკვაიცილებთ. თუ ორი წლის მერმე შენ ათასი ხელის მომწერი არ გვეოლა, ცუდი კაცები ვიქნებოთ...

თუ ეს პირობა ძნელი ასასრულებელია, იყისრე ერთი წლით, — მე გპირდები, რომ ვახით, წლის დამლევს 300 მანეთით შემოვიღებო, თუ დელიტი გვექნა. ამ სასახი მანეთის გარდა, მე მოგცემ ვახით, წლის დამწევებს, ჩემი „სამგზავრო შენიშვნების“ ვაკრძელებას (приблизительно на 10 фельетонно) და „ამერიკანელის აზრები საქართველოზე“ (ამერიკანელი ინენიერი W. Scorn-ის კორრესპონდენციები, ვითამე დამებულონი ნიუ-იორკის, 1869).

მის გარდა ერთი თვეა მას აქეთ, რაც გამოვიდა (მართლა, არ ვხუმრობ) ლონდონში თხულებდა: „Travels in she central Caucasus and Bashan, including visits so Ararat and Tabreer and ascents of Kazbek and Elbrus by D—W Tresfield“, (путешествие по среднему кавказу и Вазану [гористая страна к северу от Палестины] посещение Арарата и Тавриза и восхождение на Казбек — Эльбрус, соч. Дугласа Фрешфильда, Лондонь, 1869).

ამ თხულებას დიდი ღირსება არა აქვს რა, მაგრამ მისი მიზეზით შეიძლება რომ ორიოდე აზრი ჩააქედოს კაცმა ჩვენ მკითხველს. ამ აზ-

რის ანტონოვიჩი 4 არის, რომელმაც მიხრა, რომ თუ მაგ წიგნის „რეზიუმეს“ მოგვეცემ „Космос“-ში დავებუდეთო.

აქედრი ყმარწილებს დიდი იმედი ნერა გაქვსრა. ენეი ბლომით ლაბარაკობენ, ფიცხლათ სჯიან, სასტიკათ ასპარეზზე გამოსვლას ეშხადებიან, მაგრამ ჯერ ეს დეზები არაიეს გავუეთებია, რომლითაც მაგათი წინ გადენა საქმისკენ შეეძლება კაცს.

შე იმედი გაქვს ნოემბერში გნახო. მაშინ უფრო კარგათ მოვილაპარაკებთ. მომწერე თუ რამე გკონდეს სათქმელი ამ ადრესით В. О. по Большому проспекту Д. № 22, кв. 15.

გ. წერეთელს გაახსენე, რომ თუ ეხლავე აქ არ გამოიზიანა 130 მანეთი, დამკლავს: მე აქ უფროშით ღაერჩები, და არც მავას შეემარტება ამ ჩემი აქ დარჩენით რამე.

(უთხარა, რომ ამას, რომ შენი ძმის ივანესი ერთი თემანი ემართა, მე გარდაეხიხადე).

[ნ. ნიკოლაძე] ხელმოწერელია.

III წერილი.

პეტერბურგი. 16 ნოემბერი 1869

მძო სერგეი ვიორგის! და შენი წიგნები მივღე, რომელშიაც თქვენი თქვენი მდგომარეობას მწერთ, შენ—დაწერილებით, და ვიორგი 06-шим местами. ამ წიგნებზე პასუხის მოწერა, მკონია, საჭირო არ არის, რადგანაც იმედი მაქვს მალე გნახათ, და მოვილაპარაკებთ. შენ მწერ განსაკუთრებით იმ საგანზე, შეგიძლიან შენ თუ არა ჩემი პსევდონიმის გამოცხადება შენი თანამშრომლების რიცხვში. მე ამ შენ კითხვაზე გუტყვი, რომ შეგიძლიან თქო. მაგრამ ამასაც დაუმატებ, რომ ძალიან კარგი იქმნისადა, რომ შენს გამოცხადებაში ზოგიერთი უხეირო და უპატიოსნო კაცების სახელი არ გადრო. მე შემიძლია მაგალითად განიშნო ორი ჩენი მწერალთაგანი, ა. წერ 2. და ანტ. ფურცელაძე 3 ადრე თუ გვიან ჩენს (ესე იგი შენ, ვიორგის 1, მე და ჩვენს თანამშრომლებს) დავეჭირდებამ ამისთანა კაცების დახვლა, და ჩემი აზრით ძალიან ცუდია მათი რეპუტაციის გადიდება ეხლა, და მერმე მისივე დარღვევა. შენ გეკონება, რომ ეს ჩემი აზრი უსაფუძლოა, მაგრამ დამიჯერე, მე ამ ორი კაცს კარგათ ვიცნობ, ეს ერთი და მეორე, რომ ესენი მუდამ იყენენ ჩვენს ლიტერატურაში ახალი მიმართულების წინააღმდეგეები (გაიხსენ ფურცელაძის მოქმედებები 1863) ერთი სიტყვით შენს გამოცხადებაში იქონიე სახეში მარტო იმისთანა კაცები, რომელთაც შენ შეეცმლოს კაი ხანი ხელგარდახვეული იარაო.

შენი აზრი ისტორიულ მიმოხილვაზე — მომწონს და რაც ჩემგან შეიძლება, შევასრულებ. კირილესკი დავითანხმებ, თუ შეიძლება.

ვიორგის! დებემა მოეწერე, მე აქ სულ ცუდოლოთ ვარ.

იმ დებემის მოწერის შემდეგ მწერ წერე მომივიდა, რომ ფულის იმედი ჯერ-ჯერობით ნუ გაქვსო. შენც ამნაირათ მწერ. რა გაქნათ, მწილია. მაგრამ „на нет и суди нет“; ძალიან კი დამამადლებლით როგორმე რომ გამოგვგზავნათ ამიტომ რომ წრეთელს შე იმდენი ფული დახხარჯე 3500 მ., რომ ხელახლავ მაშის თითქმის ვერ ვხობო...

შენ ძმას მოველაპარაკებ 7. შენ მწერ, რომ აქედრი ყმარწილებს მე არ მოეწონიარ — რა გეწერობა, ისევე ეს სჯობია, რომ მაგათზე ჩენს ხმა არ ამოვიღოთ, მაგათ თვალში ან უნდა პი-სარკივო მაღალ ღმერთზე უფრო მეტათ მოგანდეს, ანდა მუდამ საქმიანი „ღუოს“ (один в поле не воин) უნდა ჩამოგავედ. მე ამ ორ მოთხოვნილებას ვერ ვასრულებ, — ასე ვამინჯე, რომ ხშირათ ვიციანი, ქალების არ მეშინია, და არც ნამეტნათ ვერიდები, — მაშ რალა გასაკვირველია, რომ მე ორ გროშათაც არ ვვარგვივარ? ნახვამდის შენი ნ. ნიკოლაძე.

IV წერილი

პეტერბურგი. 5 დეკემბერი 1869

მძო სერგეი! მე, მართალია, დიდი ხანი არის რაც შენთვის წიგნი არ მომიწერია, მაგრამ ამში ჩემი მოუცულობა და უთავბოლოობაა დანაშაური. საქმე კი იმაში მდგომარეობს, რომ მე თვითან არ ვიცოდი, რა მომეწერა.

ეხლა შენმა წიგნმა მასალა მომცა.

შე მკონია მალე მოვიტო შენ. — შეიძლება, რომ აქ მე ორი კვირის მეტი არ დავარე. „დროებაზე“ შენ ხელ ახლავ გეტყვი, რომ ძალიან ცუდათ ქენი, რომ მტკიცეთ არ იიღე ხელში მაგ გახვითი. ერთი წელიწადი რაა? ბარკლამ სულ აგელო ან... მაგრამ რაც მოხდა, მოხდა.

„დროებისთვის“ ვიშოვებ, მე ერთი მშვენიერი ადუტედავი სტატია, ანტონოვიჩის „О пище и ея общественном значении“. შენ ამ მწერალზე მანდ ყვირილს ნუ დაიწყებ, და იმედი, რომ ხშირად მოგვეცემს ძალიან ხეირიან და პოპულიარულ სტატიებს. ისტორიულ სტატიებისთვის მასალა გერა არ შემიკრებია, მაგრამ თან კი ბლომით ჩამოვიტან წიგნებს და მასალებს. კირილეს რამეს დასწერს, აქ სხვაზე შე იმედი არა მაქვს, ისევე მანდ მოიხერხე თანამშრომლების შოენა. — კრიტიკული ნაწილი, რომ ჩემი საქმეა, — მაგამი რამდენიც გინდა იმდენი დამასაქმე — უღელს პატიოსნათ გავსწეე. საქმე ფელეტონშია, иривый, остроумный заменимый и дельный. სადაა ამნაირი ფელეტონი? ვეცადოთ, რომ ეს რუბრიკა კარგათ ავაშსოთ, დანარჩენი ადილო საქმეა.

აქ უნდა ვიშოვო მე ვინმე იმისთანა, რომელიც მუდამ კვირაში თოთო კორრესპონდენციას გამოგვიხვავინდეს აქედრ რუსულ „შინაგან“ საქმეებზე. შენ, რასაკვირველია, თანახმა ხარ, ამ

აზრებ. მაგრამ უფულოთ აქ ვინ რას დასწერს? ვეცდები კი, და თუნდაც რომ ათიოდე თემანი გავიღეს, წელიწადში, დავბირდები. თუ რედაქციამ არა დარჩა რა, მე როგორმე ვიყისრებ ამას თავზე. შენ რას იტყვი?

თუ ლმობია ქა და შენი სიტყვები ასრულდა იმ პოლემიკაზე. რომელიც ჩვენ გველის (ესე იგი თუ ინაშვილმა!) და სხე. მოგვაყარეს თავიანთ დამპალი მუხის ზარბაზნებიდან ათასნაირ ენაზე დაწერილი ლოდები) ხომ კარგი. მაგრამ ისე კი ეჯობინება, რომ ცოტა ხანს ყური წაუფრთოთ და ხმა არ გავცეთ. ჩვენი გარეშება ამ ბოეშებს ფებს და ენას აუღვამს, და ისინი მუდამ დღე ლანღვას დაიწყებენ. მაშინ ჩვენ შეგვექალბა ლახათიანათ მათი შებრქევა და თან ორიოდ სიტყვების დამატება *о нашем истощившемся долготерпении и пр.*

წარმოიდგინე, რა საგანზე ვერბაზე მე ახლა მასალა? „ქველი და აბალი დრო“ — ეს არის ჭეშ მეორე დებოტის სახელი. ამ სტატიაში მინდა ოთხი თუ ხუთი მაგალითი მოვიყვანო იმისთანა, რომელიც ამჟიართ დაანახებს საზოგადოებას, რომ ჩვენი მამები, ესე იგი წინამძებრი ჩვენი, ესე იგი ეხლანდელ ხალხზე უფრო კეთილანა და სწავლული არ იყვნენ, რომ იმათ ბევრი რამ არ იცოდენ რაც ჩვენ ვიცით, რომ ისენი თავიანთ დროისთვის ისე აწყობდენ თავიანთ სიყოფის, როგორც მოხდებოდათ მაშინდელ მდგომარეობას და მაშინდელ სწავლა-გონებას. მასალადავ ეხლა ჩვენი დროის ხალხსაც შეუძლია ეცადოს უწინდელი წესდებულების, ჩვეულებების და მნეს შეცვლა, ისე, როგორც მის ეხლანდელ მდგომარეობას და საჭიროებას მოუხდება. — მაგალითებათ უწინდელი უგუნერების მოიყვან (დაწერილებული ახსნით და აწერით) ტელეგრაფს, ან რკინის გზას, ორიოდ ფიზიკურ გამოჩენას (მაგალითათ *Склетальный анализ*) უწინდელი (ან *первоначальны*) კაცის ცხოვრებას, მათ რწმუნებაებს და სხე. რას ფიქრობ შენ ამ საგანზე, თუ მოგახერხებ, კარგი რამ უნდა გამოვიღეს.

ის ორი საგანი, რომელზედაც მე შენ წინათ მოგწერე (ამერიკანელი წიგნები და სიმზავრო შენიშვნები) მალე დაიწერება. შენი ძმა) კარგათ არის თავის თანამცხოვრებლებს მალე მოზორდება.

ნახეამდის.

P. S. მე იქნება ქუთაისს პირდაპირ წაიღე. ამ შემთხვევაში მე ქუთაისიდან ქალაქს ამოვალ ძალიან მალე.

[ნ. ნიკოლაძე] [ხელმოუწერელია]

წიგნების.

ქუთაისი, 14 იანვარს 1870.  
ძმად სერგეი, მე აგერ ათი დღე ვარ ქუთაისს და ჯერ კიდევ ვერ მოვახერხებ შენთვის წიგნას მოწერა. — ამის ბრალი ისაა, რომ მე

ფოთიდან ცხენით წამოვედი, გაცვივდი გზაზე, და ეხლა მუდამ დანტვრეული და თითქმის სწეული ვარ.

მე მოვედი აქ 5 იანვარს. შამა (ხუმი) ოდესს დარჩა, და ამ კვირაში ჩამოვა ქუთაისს. მაშინ მე წამოვალ ტფილისს, თქვენ სანახავათ. მაქობამდი რა მოგწერო? სტატეები ჯერ არ დაიწერია, მაგრამ დღესწორს კი გამოგიგზავნი რამეს, ერთ ან ორ საფელტონოს. ხელს მოწერა აქ თურმე სუსტათ მიღის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ შარშანდელზე ნაკლები არ ვიშოვეთო. მაგრამ, ჩემი აზრით კი ის ეჯობინება, რომ რაც ქუთაისში გამოსავანია, „დროება“ ერთის ვინმე სახელით გამოგზავნო, და იმან დააჩიგოს. აქ ფორტალიონთან ხელს აწერენ ზოგიერთები, და ის 3 ან 4 მანეთით თელი წლის განმავლობაში უხიანება 7 მანეთის განხეთს. მე მგონია, რომ „დროებაში“ რომ გამოვხადო დავსა ტფილისში და ქუთაისში, გავგზავნულათ ექვსი მანეთი (ან ქუთაისში ექვსი და ათი შუთრი) და თან დამატო — გაზეთი ქუთაისის, ხელს მომწერლებს შეუძლიან მიიღონ ამა და ამ კაციდგან — საქმე უფრო კარგათ წავა. თუ შენ ნებას მომიცემ, მე ამ პირობით ვაეასალბ ბილეთებს — ამიტომ რომ აქ მე ყველა იმას მეტუნება რომ „დროება“ ჩვენ არ მოგვდისო, აძლენი და აძლენი ნომრები დაგვეკლდაო და სხვა ამ გვარ რამეებს.

მე ჯერ წიგნადელი „დროება“ თვალთ არ მინახავს. ვითავეა გამოვიგზავნე ერთი ეგზემპლარი ჩემ სახელზე აქ. აგერთვე გიორგიმ უთხარი სასოფლო ვაზეთს ნე დამაქლებს.

სხვა, ზოგიერთ ლიტერატურულ საქმეებზე იმედი მაქვს მალე მოველამარაკო პირისპირ.

პეტერბურგიდან (კირილე) გამოგიგზავნის „ნათარგმნი“ კორექსორდენციებს. მგონია მოგეწონება და მოგეხმარება.

შენი წიგნი კი ჩამომისწრება, თუ მალე მომწერ. მე მგონია ამ ორ კვირებში ვერ გამოვიღე აქედან. მაშ მომწერე რაც გექნეს მოსაწერო.

გიორგიმ) და ჩემ ნაცნობებს მოკითხვა გარდაეცი.

შენი ნ. ნიკოლაძე.

VI წერილი

19 აპრილს 1870. ტფილისს.

ძმად სერგეი „დროება“ (მე 15 №) მზათ იყო გეშინწინ საღამოს, მაგრამ რაღაცა საუბედუროთ ცენომრმა ლიფლანდიის აღრესი გადაასწორა. და ამის გამო ზედამდე (20) არ გამოვა — ეს ნომერი ძალიან სუსტია, ამიტომ რომ ბევრი ილაგი მიერ ბონაპარტეს პროცესმა და ლიფლანდელ აღრესმა დაიკავეს, და სხვა ვეღარ ჩავატეთ რა!). მაგიერთ იმედი მაქვს, რომ შემდეგა ნომერი, რომლის შედგენაში მე უფრო მეტ მონაწილეობას მივეღებ, გვარაანე გამოვიღებ. მეუთხობმეტე ნომერში იქნება ჩემი ფელტონი „ქველი ნინოენიის გულის ტყვილი“.) უნდა

გითხრა, რომ ეს ფელეტონი კარგი რამ იყო, მაგრამ ცენზორმა ბოლოს რასაც შე საზოგადოებრივ ცრუ „ახალ“ კაცებზე ვამბობდი სულ აღვოკატებს მიაწერა: როგორ შეიძლება რამე ცუდის თქმა ახალ კაცებზეო, ისინი სამსახურში არიანო!.. ამნაირად ფელეტონის ბოლო სულ წაბნდინა, და ესა ფელეტონი კვლ მოჭირდ ცენს დაემსგავსა. მაგრამ შე მაინც მგონია, რომ სულ არააზობას ვგვიც სჯობდა.



შენი „описание“-ბი სრულებით ასრულებული არიან, — მაგრამ შენ ისეც უნდა იცოდეს, რომ შე სხვანაირად არ შეგიძლია მოგვეცულისაი. ეს შე გულმოსულობით და დაუხდევლობით კი არ ვქვნი, სრული და წყნარი განზრახვით. მართალია, საუბრე კარგი რამეა, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი მოხმარების ნება გვინდეს — მე კი ისე ვიყავი, რომ მიმივთ დაფლულ მადანს ვუწევი, და არც იმას ვარგებდი არაფრად, ჩემ დროს და ღონესაც კი ვკარგავდი.

რა ვქნა მე ასე ვარ გამოზრდილი, ახლა ხომ ვერ გამოვიცილები. ჩემ თვალბში სიმდიდრეს Само по себе არაფერი ღირსება არა აქვს — და შე არ შემობლოა მხოლოდ იმისთვის მოვალა თავი და ტვინი ამოვიხმო, რომ სხვას მდიდარი ვეგონო, ერთი სიტყვით, შე ასე ამიტომ მოვიტყეცი, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეიძლებოდა. იმედი მაქვს, რომ რაც უნდა დამემატოს, რა გინდ ცუდ მდგომარეობაში ჩავეარდ, იმისთანა ტანჯვაში მაინც არ ვიქნები, რომელშიაც შე ჭუთისში ვიყავი ამ ერთი წლის განმავლობაში... აქედან შენ არ გეგონოს, რომ შე შენ და შენ მეგობრებს ვუმღერი დობროლიუბოვის) ლექს:

Я ваш, друзья, хочу быть вашим,

На труд и долю я готов..

არა, მე ჯერ არა ვარდამიწყევტია რა ჩემ მომავალზე. მგონია პეტერბურგში წავიდე, თუ შენი პროექტები აქ კარგათ არ ასრულდა, თუ კარგათ ასრულდა, მაშინ ხომ ვნახავ... ერთი სიტყვით შენ მინდ კარგათ გააწვე შენი საქმეები, კარგი კორტესპონდენტები იმოვნი, შეგონე

რომ სტატიების დაწერა თუ არ შეუძლიათ ამბები მაინც შეგატყობინონ უბრალო წიგნებით, იმოვნი ავტენტები, როგორც ამირხედი თურქე, და მალე მოდი, მოვილაპარაკოთ. აქ შენ მოსვლამდე „დროებს“ მე მოუარ, მართალია, მაგრამ ის კი სჯობია რომ მალე მოხვიდე; რაც უფრო მალე მოხვალ, მით უკეთესად გაეწყობა „დროების“ საქმეები.

თუ კიდევ რჩებოდე ცოტა ხნობით მინდ, მოწერე რამე ამბები, „შინაგან ცნობებისთვის“.

ესა ერთი შენ საუვედურზე უნდა გითხრა. შენ მომწერე, თუ გახსოვს, რომ ჩემ მოწერილ ამბებს ლოლესი) და კალანდარაშეილისი) მეტს ნერავის ეტყვიო. — პირველს შე შენი წიგნი ვუჩვენე; მეორეს სიტყვით უთხარი. — მეტისთვის კი არა მითქვამს რა, ვარდა იმისა რომ „დროების“ საქმეები კარგათ მიდის თქო. — არ ვიცი, ვინ რა გითხრა შენ, — როცა მოხვალ, მაშინ მითხარი ეს საქმე...

ჩვენსა მიღი უსათუთო, და ჩემ დას ანუშკას აქვს ჩემი დატოვებული წიგნები, რომელიც მე ტფილისში მომიქნდა და ველარ წამოვიდე; გამოათვი ეს წიგნები და თუ შეგეძლოს შენ თვითონ წამოიდე, თუ არა და კარგათ ჩაალაგე კოლოფში, და ფურგენით გამოგზავნე. გაშინჯე ჩემი წიგნები, და თუ რამე მოგეწონის წამოიდე. — როცა შენ აქ მოხვალ და შევიტყობთ მდგომარეობას, მაშინ, თუ აქ დავჩიო, აქ გამოვიწერ დანარჩენ წიგნებს, თუ არა და პეტერბურგს ვავაგზავნივ...  
სხვა შენი შინაურები და ჩვენი საერთო ნაცნობები სივფარულით მომიკითხე.

შენი წ. ნიკოლაძე.

P. S. იმედი მაქვს ესა ვეცოდინება ჩემი დაგვიანების მიზეზი, და ისე გულდამწვარი არ იქნები, აქ შე ვეღო იმას მეუბნება, მესხი დილიდან საღამომდე თქვენი გინების მეტს არას შერებოდაო. არა გრცხვენია?

ღმერთო, რა კაცი ყოფილა თქვენი ცენზორი! ამისთანა ჯერ შე არაფერი მინახავს. იმან ჯერ არ იცის ჩემი აქ ყოფნა, არც „დროებაში“ თანამშრომლობა.

(გაგრძელება იქნება)



## კონსტანტინე ჰიჭინაძის პრეტორიული



კონსტანტინე ჰიჭინაძის პრეტორიული ნაწარმოებთა ერთობილიანი გამოცემა გამოცემულია „საბჭოთა საქართველოში“. ამ ნაწარმოებებში იტყობება ქართული ლექსის უცვლელი, მხრები-ლი პრეტორიული სუნთქვა და მგზნებარება, რაც ნამდვილი ხელოვნების თვისება და ნიშანია. მის პრეტორიულ, მართალია, ახასიათებს აშკარად გამოხატული რაციონალიზმი, მაგრამ ეს ნაკლებად ჩრდილავს მისი ლირიკის ემოციურ ბუნებას. ხშირად გვხვდება მის ლექსებში გონების თვლით დანახული სურათები, ისტორიული სიუჟეტები ან პრეტორიული სხეულები: მის ნაწარმოებებში არა ერთგვან ენახეთ დაკვირვებულად, დამაფიქრებლად მოახლოვდეთ ადამიანის გულახდილ საუბარს ან მოხდენილ ჩანახატებს, მაგრამ ყოველივე ეს განხორციელებულია ძლიერი განცდით, რძმა გაახრებობით და ცხოვრების კარგი ცოდნით.

ამ ნაწარმოებთა თემატიკა მრავალფეროვანია. პრეტორიული აღფრთოვანებულია იმ პარაქითა და ხევეთ რომელიც მშრომლებს ჩვენს ქვეყანაში შეუქმნიათ. მისი პრეტორიული ჩანგი ძალეზად ეღერს მშინაც, როდესაც იგი მშობლიური ქვეყნის პეიზაჟებს გვიჩაბებს, ან სატრფილო სტრიქონებს აბოვანებს. მაგრამ მისი პრეტორიული ხმა ყველაზე მეტად ძლიერია მშინ, როდესაც იგი პატრიოტული ლირიკის მშვენიერ ნიმუშებს ქმნის. ატორიული თავის პატრიოტულ გრძნობებს ამეღვენებს არა დეკლარაციულად, არამედ რაიმე კონკრეტული მოვლენის ასახვით. ზოგი ამმავე ჩვენს სინამდვილიდან არის აღებული, ასეთებია, მაგალითად, მისი ციკლები „მშობლივთა კახეთში“ ან „ეზობში“, სადაც მსუყვე ფერებით არის გადმოცემული ქართული სოფლის ძარღვიანი და მკლავმგარი ცხოვრება. ასეთია, აგრეთვე, მისი ლექსების ციკლი — „რკალი“, სადაც თავისებურად გავშქებულია დიდი სამაჟლო ომის მძაფრი დრამა რომლის მწარე და სასტიკი გამოცდა გმირულად ვადიტანა ჩვენმა ქვეყანამ.

კონსტანტინე ჰიჭინაძე ხშირად მიმართავს ჩვენს სახელოვან ისტორიულ წარსულს, ასეთია მისი ლირიკული ლექსი „ვარძიის წყარო“, რომლითაც ატორიული გახსნა თავისი კრებული.

ისტორიული ლირიკაში კონსტანტინე ჰიჭინაძე ახერხებს დროის კოლორიტის გადმოცემას. აშგვარი ხასიათის ნაწარმოებებში მუდამ დაუღლია ის მძლავრი სურნელი, რომელიც გააჩნია ისტორიულ წარსულს, მის უძველეს გმირულ მატანეს („სერაფიტი“ და სხვა).

ისტორიული ლირიკის, ისევე როგორც მთლიანად კ. ჰიჭინაძის პოეზიის შედგერად ჩვენ მისი ცნობილი „პრესტორია“ მიგვანია. ეს მაღალინიჭიერი ნაწარმოები მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ მასში თავი იჩინა ატორის პრეტორიული ხელწერის ყველაზე დამახასიათებელმა და არსებობმა ნიშნებმა, ან თუნდაც იმით, რომ კარგი მატრული მიგნებით არის წარმოდგენილი ნაწარმოებში ისტორიზმი, აშგვარი მხარეები ქარზად იტყობება პრეტორიული სხვა ლექსებშიაც. „პრესტორია“ ვაშოირჩევა ექსპრესიულობით, პრეტორიული სიმძაფრით, მკვეთრი რელიეფურობით და არტისტული შესრულებით.

ამ ლექსში თითქმის ქართული ერის უშორესი წარსულია დანახული. როგორც ჩვენ, ისე პრეტორიული ზუსტად არ იცის, თუ როგორია ეს წარსული, მაგრამ მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ჩვენი ისტორია არ უნდა იწყებოდეს იმ დროიდან, რომელ დროიდანაც შემონახულია ყველაზე მეტი ცნობები ჩვენი სამშობლოს შესახებ. ერთი ქართველი ისტორიკოსი თავის დროზე წერდა: ოდესღაც შემდინარეთში გვიცხოვეთთ ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი მტრით დასახლებული ადგილები ან ერთფეროვანი უღამნოები. ქართველი პრეტორიული წერს „იყო ტრუბლი, მოსინიკი და ქაროდელი, — შენი ზღამრული განდიღების ნამსხვრევი ბევერი...“ და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „აშურბანაზალს უგზავნიდ ამაც დესპანებს და დიდ სოლომოს კომერციის წარმშეკრულ ეღჩებსო“. ჩვენი ერის აზიის შეთველში სახლობით და მის მი-



ელავს ჰიჭა ბროლივით და იცინის ვარციხე, მეც მიგულეთ ტოლივით, თუშა ძველი ვარციხე!

საინტერესოდაა მოფიჭრებული ლექსებია ცკალიდან — „შემოდგომა კახეთში“, როგორც მრავალი მისი პოეტური ნაწარმოები, ასევე „შემოდგომა კახეთში“ სიუჟეტურ ლექსს წარმოადგენს. მასში აღწერილია არა მარტო ფერადოვანი და სურნელებით აესებული კახეთის ბუნება, ბუნების წყნით სავსე ბროწეულის, ატმის, ვაშლის, ლუღის და კომშის მოსავლის აღება, არამედ ის ნამდვილად ადამიანური და ჯანსაღი სიხარული თუ მხიარულება, რაც მუდამ თან ერთვის ბუნების ძლენის მოთავსებას ბარლებში, მარანებში, სხვეებზე ან გრილ ხარდაფებში...

ლექსი „შემოდგომა კახეთში“ სამაშალო ომის პერიოდშია დაწერილი, და მასში, ცხადაა გამოკრთის ის დრამატული ნოტები, რომელთაც აღბეჭდილია, საერთოდ, იმ ხანის ქართული პოეზია... ამ ლექსში ჩვენ ვხედავთ, რომ შეიძლება მშანი გურჯაანელი ჯარში წასულან და ზეარში ახლა მწიფე ნაყოფს ჰკრეფს პაპას დაყოფებული ხელი. ამ საერთო შრომიდან თითქოს გამოართულა ერთი მკერდგანიერი ვაჟაკა. პოეტს პირველად იგი თაღითი და დენერტირი ჰკონია, მაგრამ, როდესაც თელთურებს ვაძღვება და ჰარი ვაფერიალებს მას უმწეოდ ჩამოკიდებულ ცალ უშვლავო სახელოს, პოეტი ხედება, რომ ამ ადამიანმა წმიდად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

ღრმა გრძნობით და სიუჟარულით არის შესრულებული პოეტის მიერ ის ლექსები, რომელიც მიძღვნილი არიან ჩვენი სამაყო წინაპრებისადმი: რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, ვაჟასადმი და სხვა. „ნაყოფი ბარათაშვილი განჯაში“ — ასე ეწოდება იმ ლექსს, რომელიც ნამდვილი გულისტკივილით გადმოგვცემს დიდი ქართული ეპოსისის ბედურულ ცხოვრებას. ე. ჰიჭინაძე საყოთარი ფანტაზიით აესებს დიდი პოეტის უღიმღამო ცხოვრების ჩვენთვის

უცნობ მომენტებს, პოეტს წარმოუდგენია, თუ რამდენ თათრის ქალს უნატრია, რომ მათ ქალაქში მტკორები ქართული „ისტორიული-ნაიკი“ ქრისტიანი არ უოფილიყო. და თუშეა ერთი პატარა ბევის ასული გიმრისფერი თვალებით ზეგრავდა ფერმკრთალ და მეოცნებე სახის ჰაბუსს და „ჩაღრი ვაჟაკი, როგორც საცერი მის მოლოდინში“, დედა ამ შევევრემანი ასულისა არ უქებდა არჩევანს: „მეტად ხმელია, აღმათ რაიმე სენი ვალევალი“.

ქართული საზოგადოება ე. ჰიჭინაძეს იცნობს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, რუსული, დასავლეთ ევროპისა და ამიის კლასიკური პოეზიის ქართულ თარგმნის საქმეშიც. ქართული გადმოიღო შესანიშნავი ძველი რუსული ეპოსი — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, პუშკინისა და ლერმონტოვის პოემები და ლექსები, აგრეთვე ბევრი სხვა ძველი და თანამედროვე რუს მწერლის ნაწარმოებები. მასვე ეკუთვნის დანტეს „ჯოჯობეთის“ თარგმანი, შესრულებული კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად.

ბრწყინვალე გერმანულ ეპოსს — „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ბირონის „იკენსა“ და „მანფრედს“, ედგარ პოს, ემილ ვერპარნის, ნიხაშის, ომარ ხაიშის, გოეთეს, პიუგოს, აგრეთვე თანამედროვე იაპონელი პოეტიკლასიკოსის ისიკავა ტაეუბოყეს შესანიშნავ ლირიკს ქართული მკითხველი იცნობს ე. ჰიჭინაძის ნაყოფიერი მთარგმნელობითი მუშაობის შედეგად.

კონსტანტინე ჰიჭინაძე ლექსის ფორმის ყარგი ოსტატია. მისი პოეტური ფარსა მუდამ ვამოცვეთილია და ელერადი, ხოლო აზრი ყოველთვის ღრმაა, შესრულება არტისტოზით გამსჭვალული. მისი პოეზია მუდამ იყვებოდა და იმეჟადაც იყვებება ქართული პოეზიის მდიდარი ტარდიციებით. ამიტომ არის, რომ კონსტანტინე ჰიჭინაძის შემოქმედებას მნიშვნელოვანი აღვლილ უკავია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

გურამ ანასაზა

### როსტომ ბეჰანიშვილის ახალი რომანი



საბჭოთა მრავალფეროვან ლიტერატურის ბევარი ნაწარმოებია მიძღვნილი დიდი ოქტომბრის რევოლუციისადმი, არ არის მხატვრული სიტუაციის ატყვართი ეპიკის დარჩენილი, რომელიც ნაკადი არ იყო ვარდასული გმირული დღეების გამაღივლებლად და მათინ, როგორც ჩანს, ჯერ არ ვართ მიპლოვებელი, ამ მხრივ შესაძლებლობის ზღვართან ახალ შესაძლებლობას ხსნის არა ეპიკობრივი, არამედ ლიტერატურული ხერხების სიახლე.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში როსტომ ბეჰანიშვილმა ამ მხრივ საყურადღებო ნაწარმოები შექმნა — რომანი „სამაშულე რქა“ მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი, მისი წინა და მომდევნო მოვლენებისადმი.

მაგრამ აქ ერთგვარი განმარტებაა საჭირო: არასწორი იქნება ვთქვათ, რომ რომანი „სამაშულე რქა“ უშუალოდ მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი.



„სამამულე რქას“ არ აქვს ისტორიულობის პრეტენზია, მისი გმირები არ არიან ისტორიული პაროვნებები და არც ნაწარმოების სიუჟეტში ავტორული ისტორიული მოვლენების საფუძველზე. ეს ნაწარმოები საყოფაცხოვრებო მასალის რომანია, მაგრამ მაინც მასში უვლდება იგრძნობა ოქტომბრის დღეების გმირული სული.

ახალგაზრდა მწერალი 1905 წლის რევოლუციის, სტოლინის რეაქციის პერიოდს, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, საბჭოთა სოფლის კოლექტივიზაციას არ აქცევს საგანგებო, მხატვრული ანალიზის და სინთეზის საგნად. იგი ამ მოვლენებს ეხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა რომანისათვის ფონის შესაქმნელად. „სამამულე რქაში“ თითქმის უვლდება ისტორიულობის, გამარჯვებული ეპოქის კონკრეტული საზოგადოებრივი მოვლენის განცდა, მაგრამ ეს ისტორიულობა არასოდეს არ დომინანტობს ნაწარმოების სხვა, შავალთაოდ, საყოფაცხოვრებო მოტივზე; სხვათაობად რომ ვთქვათ მწერალი ისტორიულ მოვლენებს იყენებს ნაწარმოების ფონად, რომელზედაც იშლება რომანის შრავლერიტიკური გმირების რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრება. საყოფაცხოვრებო საკითხები დაყენებულია გარკვეული ისტორიული მოვლენების პარალელურად. მიუხედავად ამისა, რომ მათ დამოუკიდებელი ხასიათი აქვთ, ისინი ემთხვევა მათ მიღმა განვითარებულ საზოგადოებრივ ამბებს. ისტორიული და საყოფაცხოვრებო მოტივების ასეთი ორგანული პარალელიზმი ახალგაზრდა ავტორის სამუალებს აძლევს კარგად დაჯიხატოს მის მიერ აღებული ნახევარსაუცხოვარი ეპოქის თვითრეული მონაცემით. საყოფაცხოვრებო ხასიათის რომანი ამრავალ თავისთავში იერთიანებს ისტორიული რომანის ღირსებებსაც.

უღდა ითქვას, რომ რ. ბეგანიშვილისათვის ისტორიული ამბების ამ ასპექტში მოცემა არ წარმოადგენს პრინციპულ სიახლეს. ეს უფრო მისი შემოქმედებითი გამოცდილების შემდგომი გაღრმავება და გაგრძელებაა: 1957 წელს გამოცემული მითხრობების კრებულში შესულ ნაწარმოებში — „ვთველი“ — უკვე მოცემულია უბრალო ადამიანების პირადი ხედვრის ჩვენებით სხვადასხვა ეპოქის დასურათების ცდა.

რომანი „სამამულე რქა“ სამ ნაწილად იყოფა. თვითრეულ ნაწილს თავისი თვითრეული და იდებრი დამოუკიდებლობა გააჩნია.

რომანის პირველი ნაწილი „მიწისჭერა“ მოიცავს პირველ პერიოდს 1905 წლის რევოლუციიდან პირველ მსოფლიო ომის უკანასკნელ დღეებამდე...

მითხველი ეცნობა ცხრასიანი წლების ქართული სოფლის უმძობრობასა და სიდუხჭირეს. ეს ის პერიოდი იყო, როცა ქართულ სოფელში შეიჭრა სამრეწველო კაპიტალიზმი. ცხოვრების ახალი ტალღამ დაარსება ძველი მორალური

ნორმები, ხოლო ახალი მორალური ნორმები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. სამწუხედლოდ დაკარგა ძველი საბჭ და იქცა საზოგადოების უბარზიტეს ელემენტად. მისახლეთაზემ ჯერ კიდევ შემორჩენილი რელიგიურ გრძობებს უსინდისოდ ეწეოდა ექსპლოატაცი: ღმერთის შიშით და სხვადასხვა რელიგიური ტრუტწმენებით ხლებოდა ადამიანების მატერიალური გამარცხა. მატერიალურ განანავებაზედ ერთვოდა სულიერი სიღატაკეც: ხალხს არ გაანდა ეს ზნეობრივი ან იდეური რწმენა, რომელიც მას მოშავალს დაანახებდა და გაუადვილებდა უფერულ აწმყოს ვადატანას.

სოფელი საყვია ხელმოყარული ადამიანებით. ზიზსა და ამავე დროს სიბრაღულს იწვევს პელო, კონკრეტარუნე, ტინიგაფო და სხვა სოფლის ადმინისტრაცია და სამუდგლოება სა-მარტსინოიდ უვლეს ახალგაზრდა მწევეს ჯამ-ბარას. შემზარად შთაბეჭდილებას ტოვებს ჯამ-ბარას მიერ არ არსებული ცოდვიზის მონანიება. ასეთ უსინბარულო დროს სოფელს უბრუნდება მისი მკვიდარი-ნიკა ზალდაშვილი. ნიკა თბილისიდან სპეციალურად არის მოვლინებული, რომ გოცო მუშა რევოლუციონერი. მისი დანიშნულებაა რევოლუციის ნაპერწყალი შეიტანოს ქართულ სოფელში.

ნიკა ზალდაშვილი რომანის პირველი ნაწილის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ავტორის ძირითადი მიზანი წიგნის პირველ ნაწილში ზალდაშვილის ხასიათის ვახსნაა. ავტორის ჩანაფიქრით ზალდაშვილის ხასიათი განზოგადოებულად გამოხატავს 1905 წლის მომდევნო პერიოდის დამღეპველ გავლენას უკეთესი საზოგადოებისათვის მებრძოლ უბრალო ადამიანის ბედზე, რომელიც არ ეყო ძალა დაქვლია დროებით მარცხით გამოწყვეული გულგატეხილობის და გზაბანუელობის გრძობებით.

ნიკა ზალდაშვილი სოფლიდან 17 წლის წინ წავიდა. მისთვის ეს ნაბიჯი ცხოვრებაზე გულ-აყრუების გამოხატულება იყო: საყვარელი მეუღლე მშობიარობას გადაყვა და ნიკას აღარ შეეძლო დარჩენილიყო იმ ადგილას, რომელიც აღუტრავდა მოგონებებს ძვირფას მუდღელზე. ამეამად სოფელს დაუბრუნდა. მისმა ჩამოსვლამ გამოიღო შედეგი: სოფელში აჯანყება იწყება. ავტორი ცდილობს 1905 წლის რევოლუციის ფონს შექმნას, და გლუბების ჩაფრებთან ბრძოლის პატალურ სცენას აღწერს:

„ამბედრებული გლუბების ყვირილი ისეთი მოულოდნელი და ზარდაცემი იყო, რომ სანამ ვინმე გონს მოსვლას მოახერხებდა, პირველ საუფოგოდან ჩაფრებს მუსრი გაავლეს“ (გვ. 35).

თავისთავად დაუჯერებელია, რომ ბრძოლის ბედი ერთგვარი მხარის ყვირილის ძალით გადაწყდეს. მაგრამ მეტე ვაუტუპრობს იწყევა: ეს ფაქტ, რომ ავტორი ამ ხერხს ორიოდ გერ-

დის შემდეგ ისევ მიმართავს, მაგრამ უკვე რეგულარულ ჯართან შეხვედრისას:

„ღამის სიბნელეში მათი (გლეხების) ხმა ისეთი თავზარდაცემეში იყო, თანაც ავლენოდა ხევის იდენტული გამოძახილი იმდენად გაღიჯებულადა უფინას, რომ ჯარისკაცებმა ფიქრზე თავს მთელი ქიზიყი დაგვეკაო“, ამის შიშით ჯარისკაცები უბრძოლველად განიარაღდნენ „მალე რიყეზე გადაყრილი თოფების ჯახენი შიანმა“ (გვ. 37). ამჟამად ათობლებს ავტორი 1905 წლის რევოლუციური ბრძოლის სიმბოლოებს.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებას თან მოჰყვა მისი ავტორი მონაწილის ნიკა ზალდაშვილის დაპატიმრება. მიწის და ოჯახის მოვლარული, სოფელს შეჩვეული ადამიანი მეორეჯერ, ამჯამად უკვე იძულებით, მოწყდა სამშობლოს. უკვე ასაკში შესული ნიკა მწირედ გამოდის ერთადერთი შევითან განსწორებას. მთელი ადამიანური სითბო, რომელიც მას გააჩნდა, წლების მიუსაფარი და უმეგობრო ცხოვრების შემდეგ, მიმართული იქნა თავისი პირშემოსადში. ნიკაზე ოჯახის სიყვარული ყველა გრძნობაზე მალდებდა, მაგრამ ოჯახის სიყვარულს იგივე ადამიანური გრძნობა თხრის უწყარულს ნიკასა და მის შეიღს შორის. გაშვებულ უსიბარულო ახალგაზრდობის შემდეგ ერთადერთ ბედნიერებად ოჯახი იქნა. მან თავისი ოჯახი დაუპირისპირა მშობელს და ამგვარად თავი ცხოვეთსუფლა მასზე ზრუნისაგან. თავის ცხოვრების უმძიმეს წუთებში შეიღისაგან დაკარგულმა ნიკამ შეიღს დაკარგულითვე უპასუხა: მასში თანდათან მოკვდა (უფრო სწორედ მიიძინა) მშობლიური გრძნობა.

რ. ბეჟანიშვილი გამოცდილი რეალისტის დამაჯერებლობით გვიხატავს მამა-შვილის ერთმანეთთან გაუცხოვების და გადაიწყვეტის მოძმე პირობებს. თითოეულ ადამიანს თავისი პირადი ცხოვრება აქვს და როცა ვინმე (ან რამე) ამ პირად ცხოვრებას ეხება მას აღარ უოფნის დიდსულოვნება შემოინახოს თავისთავში პატივისცემა და სიყვარული თუნდაც უახლოესი ადამიანისადმი.

სასაგლის მოხდის შემდეგ სულიერად დაცურებული და ამ სიყვარულით გაწამებული სურვილების, იმედების, მიზნების უქონელი ნიკა, ქვეყნობიერად მისიწრადის სიკვდილისაგან. მაგრამ ბედნიერა შემთხვევის შედეგად იგი უმცროს მეთურთა ერთწლიან სასწავლებელში მოხვდა. იწყება ახალი პერიოდი ნიკა ზალდაშვილის ცხოვრებაში. ყოფილი რევოლუციონერი მეფის არმიის ოფიცერი გახდა.

ავტორი ვალდაყვალ მისდევს ნიკა ზალდაშვილის ცხოვრებას. უარყოფილი მამა და ცხოვრებისაგან ვარყული მოქალაქე ესწრაფვის სითბოს და სიბარულს, მასში ქრება მამობრიობა და იღვრება მამაკაცობა. იგი თავდაიწყებით შეიყვარებს თათრის ქალიშვილს—ლალას. მშობ-

ლიურმა გრძნობამ როც არ გაუშვიათა იგი კვლავ ინტიმურ გრძნობას დაუბრუნდა.

ჯერ კიდევ ადრე მოთხრობაში „წყვეტილი ღამის“ ავტორს უნდოდა ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში ეჩვენებინა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს ერთობლივი მონაწილეობა. ამგვარად არ შეეცხებოთ ჩანაფიქრის მხატვრულ გადაწყვეტას, მაგრამ ავტორის როლები უდავოდ სწორად ქონდა განაწილებული. მკითხველს ბუნებრივად მიაჩნია შორეული ლენის ოქრის საზღაოებზე რუსის, უკრაინელის, ქართველის და სხვათა თანამეგობრობა.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს „სამამული რქაში“. ნაწარმოები უფრო მოიგებდა თუ შექრალი დრამატუზმის გაძლიერებას მიზნით არ გავდოდა ტიპური ვარემოდან და ქართველი ადამიანის წინააღმდეგობრივ ცხოვრებას ქართული საზოგადოების თავისებურებით გახსნიდა. ავტორს სხვა თვალსაზრისითაც მართებდა მეტი წინდახედულება. რადგან რ. ბეჟანიშვილმა გვერდი არ აუარა თავის რომანში თათრის ქალიშვილისათვის ერთგობი როლის მიცემას, საჭირო იყო მას ეს როლი დაკვირვებით შეერჩია. მოყვანილით რადღენ ფაქიზია მის, ჯაჯახიშვილი დალი მასანის ჩვენებაში. აქ პიროვნების დიდებით თვისებები და პირადი ადამიანური ხედვრი ერთმანეთთანაა შეხამებული. რ. ბეჟანიშვილი ლალს გვიხატავს საუცხოო ბუნების ქალიშვილად, იგი გულწრფელადაა შეყვარებული ნიკა ზალდაშვილზე. ლალა მალდებდა რელიგიური რწმენაზე, მამისა და თანამოედელთა რისხვას გმირული სიმშვიდით იტანს. ნათესაეზბისა და თანამემამულეებისაგან მოკუთილი ქალიშვილი იწყებს მისთვის აქამდე უცნობ და მძიმე ცხოვრებას.

ავტორი მეტისმეტად ჰკაცრ პირობებში აყენებს თავის გმირს, ლალა პატრონებისა და უანგარობის ნიშით აღტურვა, მაგრამ მანვე გზა გადაუჭრა ამ ნიჭს. ახალგაზრდულ იმედობით და თავდაიწყებით მიჯნურთან შეერთებული ლალა მალე საკუთარი თავის ამარად რჩება: ნიკა ზალდაშვილი ფორნიკის ხაზზე გადასვავთ. ლალი იღუპება სამინეტი სიკვდილით: უღრამოდ დაბერებული, დამახინჯებული, უშოამომავლო.

ნიკას ხასიათის გახსნისთვის ლალა, როგორც ახალგაზრდა ქალიშვილი კარგადაა გამოყენებული. ლალამ ქალწუღური უშეალობით შესძლო სითბო შეეტანა ნიკას გაციებულ გულში. ნიკას ცხოვრებაში დამდგა ახალი ბედნიერა ხანა. მან დაიწყო წარსული სიამბილი და ვატაკებით ეზიარა ახალ სიბარულს, თუმცა მალე კვლავ დაიარღვა ნიკას ბედნიერება: იგი ავსტრიის ფორნტზე გადაიყვანეს. მალე ნიკამ ახალი სულიერი ტრამვა მიიღო: იგი მოწამე ხდებდა ლალას სიკვდილისა. ნიკამ დაკარგა უკანასკნელი სიბარული და ამიერიდან მას ცხოვრებასთან არაფერი არ აკავშირებდა. ავტორი სწორად მოიტკა-

რომ სულეზრად მვედარი ადამიანი ფიზიკურად და დღეუბა ავსტრიის ფრონტზე.

ნოკა ცხოვრების მიერ გზაბანებული ადამიანის ნიშნებია. რა უნდოდა მის ცხოვრებისაგან? მოსიყვარულე მეგობარი, კარგი ოჯახი, მისთვის უცხო საზოგადოებრივი ინტერესები. შეუძლებს ვარდაცვალება მოელი ტრაგედიაა ნიკასათვის, იგი ცხოვრებაში ვეღარ ხედავს იმ დადებითს, რომლისთვისაც კვლავ ღირს ბრძოლის გაგრძელება. ნოკა ტრევებს სოფელს. მისი მშეთოვარე განწყობილება ხდება რევოლუციის დამამგზავრობის მიზეზი. ნოკა ებმება რევოლუციის საქმეში, მაგრამ არსებითად იგი უცხო რჩება რევოლუციისათვის, ამიტომაც აჯანყების დამარცხების შემდეგ ეს ადამიანი შედის არმიის ისე, თივე ერთგული ოფიცერი ხდება, როგორც ერთგული მებრძოლიც წინათ რევოლუციისათვის იყო. ნოკა სიმშვიდეს მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც ხედება მეგობარ ქალიშვილს — ლალას. ავტორი საქმიად რთულ ფსიქოლოგიურ სვლას აყუთებს: მისი გმირი ბედნიერებას კარგავს რევოლუციის ვარდაცვალებისთან დაკავშირებით, მაგრამ ხანგრძლივი მარტოობის შემდეგ კვლავ ბედნიერი ხდება ახალი სიყვარულით.

ნოკა ზალდაშვილის სახით მწერალმა რევოლუციის წინა პერიოდის ფონზე დაგვიხატა უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლი, უზარალო ადამიანის ცხოვრების მდინარეებიდან ამოვადების, დამახინჯების, გადაგვარების მძიმე პროცესი. ასეთია ზოგად ხატვებში „სამამულე რქის“ პირველი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე საუკუნის ათიანი წლების უპრყოფითი ტენდენციების მხატვრულ ასახვას.

რომანის მეორე ნაწილი „ამადლი“ ეხება რევოლუციის შემდგომ პერიოდს, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციას. მაგრამ პირველი თავები რევოლუციის წინა დღეების ფონზეა გაშლილი. ეს ავტორის ერთგვარი ანალოგიისათვის აღიპირდა, თუ წიგნის პირველ ნაწილში ნოკა იღუპება და შეიძლება ეს დაღუპვა მკითხველმა აღიქვას, როგორც ნიკას დასჯა სოფლიდან გაქცევის გამო, რომანის მეორე ნაწილში მსგავსი უკუღმართი ბედი ეწვევა ნიკას თანატოლს, სოფლის საყვარელ მშრომელ ადამიანს — ხარებებს. სოფელს ჯერ გვაღვა წევს, ხოლო შემდეგ ხალხის ერთადერთი შემოსავლის წყაროს — ვენახს სეტყვა ანადგურებს. ხარება მოვარდნილი წყლის წინააღმდეგ ბრძოლაში იღუპება. ავტორი ამ ეპიზოდით ანოვადებს ხალხის მძიმე მდგომარეობას. მშრომელი ადამიანის ხსნა არ არის. ასეთ საზოგადოებრივ ყოფაში სამამულე რქა ვერ იხარებს, იმას დაღუპვა მოვლის.

წიგნის მეორე ნაწილის ძირითადი გმირია ანანი, ტრაგიკულად დაღუპული ხარების შვილი. ავტორი აქ ტენდენციას იჩენს დაუპირისპირის ხელმოკლე ავანტიურისტის ნიკას ვეფი სოფლის მუყაითი მშრომელის ხარებებს მემკვიდრეს. ჯამბარა სულეზრად განდგომილია

ხალხისგან. უმამოდ აღზრდა და საზოგადოებასთან ზნორმა უთანხმოებამ მასში უკიდურესი ინდივიდუალისტი ჩამოაყალიბა. ჯამბარას არ წამს არაფერი, არ სურება არაფრის, მისი ერთადერთი მიზელი საკუთარი თავია, მიზანი — ოჯახი. ოლონდ ესაა რომ იგი ამ მიზნისაკენ პატიოსანი გზით მიდის, მაგრამ, ის ვინც საზოგადოებას არ ეყრდნობა და საკუთარი ძალისა და სურვილების ამარა რჩება წინასწარაა განწირული მარცხისათვის.

ახალი საზოგადოებრივი ძალების მოქმედება, სოფლის კოლექტივიზაცია ჯამბარასათვის რჩება როგორც უცხო მოკლენა, რომელსაც არ შეიძლება მისთან ქაშიონდა რაიმე საერთო. იგი ამ დროს თავის ოჯახზე ფიქრით იყო ვართული. ნაადრევად დაქორციელებულა შერიონი ერთბაშეშინი ქვრივი — მელანი. მაგრამ მან ამ ნაბიჯით არამც თუ ვერ შესძლო ოჯახური კერის შექმნა, არამედ ახალი სადარდებელი გაუჩინა თავის თავს.

მელანი — უთოდ კარგადაა დახატული. რაც მთავარია ახალგაზრდა მწერალი ამ რთული ხასიათის ჩვენებისას იჩენს შესანიშნავ ზომიერებას და თანმიმდევრობას. მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე სტრიქონითაა მოხსენებული მელანის უმანკო ახალგაზრდობა, მკითხველი სინანული გრძნობობაა საესე ამ ადამიანისადმი; ვინ იყო მელანი? ძლიერი გრძნობების ქალიშვილი, რომელსაც შეეძლო ჰემპირიტი სიყვარული, მაგრამ როგორც ეს ძველად ხდებოდა, მას არ მისცეს ნება შეგობრის არჩევისა და ცოლად შერთვის მიხრწილი მოხუცი, ახალგაზრდული ოცნებები სამუდამოდ დასამარდა. მან, როგორც ქალმა ვერ პოვა ბედნიერება, და თავისი ძლიერი პიროვნებას მთელი სიყვარული შეაღია ერთადერთ შვილს — სტეფანეს. ხოლო როცა დაქვრივდა, სრულიად გარკვეული მიზნით — შვილისთვის ქონება მიეცა — გაჰყვა ჯამბარას. იგი აღმოჩნდა კარგი დედა და ცდილ დღღინაცვალურ ჯამბარა სეფანის წინაშე დადგა: შვილისათვის სიყვარულს დაუპირისპირდა შეუღლისადმი საყვარული. შეუძლებელია დათვიწყოს მკითხველმა ჰემპირიტი მხატვრული ოსტატობით შესრულებული სურათი, როდესაც ჯამბარა პირველად ამჩნევს ცოლის ორგულობას ვერებისადმი. ავადმყოფი სოსიკოს სასოფლათთან მამაკაცი უმწეობით გაჩერებულ ჯამბარას მწარე წუხილი იპყრობს. იგი ხედავს რომ ვერაგულადაა მოტყუებული: მისი შვილი გაიცეითლი ქალაშნით დადის, ხოლო გვირ აბლთ-აბლთ. მუდოდ კარგავს თავის მიწოდველობას, ქალური მომზობლობის ძალას ანელებს მისი, როგორც ადამიანის, არაკეთილშობილება. აბლა ჯამბარას მარტობა სურს, არ უნდა ცოლი მადღ დაბრუნდეს შეზობლიდან, მის ცხოვრებაში მტკივნეული საკითხი წამოიჭრა, საჭიროა, ამ კითხვის პასუხი ვასუხი და მან მართლაც ვასცა პასუხი ამ კითხვას: იგი მელ-



ნოს გამოჩნდა და უმეგობროდ დაჩვენებულა მთელი ყურადღება ვენახზე გადაიტანა. მაგრამ როცა მისთვის შეიღოს ინიციატივით სოფელში კოლმურერნობა ჩამოყალიბდა და საჭირო გახდა ვენახის სოფლის საერთო საკეთილშესრულად გადარჩევა, ჯამბარაძე აღმალა დაეცა და გარდაიცვალა.

სახარბიელო ხედვრი არც მელანოს დაურჩა: შეიღისადმი მონური ერთგულებით და სიყვარულით შეპყრობილმა თავისი ერთადერთი შეიღი გაათავისუფლა ცხოვრებისათვის საჭირო ფიქრითადაც და მოქმედებდა. ამის გამო სტეფანე აღიზარდა ინტერტულ, ღწენ, უნებნისყოფილადამიანად, მაგრამ მელანომ ვერ შეძლო შეიღისთვის მურვეობის ბოლომდე გაწევა. და როდესაც ცხოვრებამ სტეფანეს საქმე მოსთხოვა, დედის მიერ გაუსაქმრებულმა შეიღმა გულის ჯვარი ისევ დედაზე აყარა: სტეფანემ საშინლად შეიჭრულა მელანო და სახარბიელო მოხუცებულს მარტობაში, წყლის ნატრებაში აღმოხდა სელი. ასეთი დარჩა ამ ორი აღამიანის — ჯამბარაძის და მელანოს — ხედვრი ცხოვრებაში, ისინი, ამის გამო, რომ ცხოვრებამ მათ ხასიათი გაუქველმართა, ავტორის სამართლიან ჩანაფიქრის მიხედვით, არ შეიძლება გამოდგეს ახალ ცხოვრების სამამულე რქად. ჩვენს ცხოვრებას სხვა უფრო ღირსეული აღამიანი სჭირდება.

ასეთი აღამიანი არის ანანია. ქართველი გლეხის დარბაისლობა, გაჭირვების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი, აღამიანებთან ურთიერთობაში ავტორიანი, სიხარულის გარემოში მხიარული და მწუხარებისას მწუხარე, — ამ როგორ წარმოდგება ჩვენს წინაშე ანანია. ეს აღამიანი თვითონ არ არის ჩამბული რევოლუციის საქმეში, მაგრამ მან ახალი ცხოვრების სივარდელი მამიდან მიიღო შეწყვიდრეობა. მისი სულის ყველაზე ღრმა ფენა იღტვის ახალი ცხოვრებისაკენ, ახალი საზოგადოებისაკენ, რა ფენა უნდა ეს ღტოლვა არამც და არამც არ არის ცნობიერი ხასიათის. იგი უფრო განსაზღვრული კლასობრივი რეფლექსიაა, ანანია ცდილობს თანასოფრელებს ერთ მილიან კოლექტივად შეაკავშიროს. ასე უფრო ადვილია გაჭირვებათა დაძლევა. განსხვავებით ჯამბარაძისაგან, რომელიც თავისი სახლის ზღვრების იქით ვერაფერს ხედავს, ანანიას გათვალისწინებელი აქვს თანასოფრელები ბედნიერების მინიჭებლობა სოფლის თვითურდო მცხოვრებლისათვის. აღტაცებას იწყებს ანანიას მიერ გამოჩენილი უტეხი ნებისყოფა, როდესაც იგი, დიდსულოვანი აღამიანის მოთმინებით, დგას ფერფლად ქველად წასახარის წინაშე. სახლის დაღუპვის უბედურებამ არამც თუ გვიტყვის, არამედ, როგორც ეს ზმირად ხედავ ძლიერ აღამიანებთან, ბრძოლის და შრომის მეტი სურვილი გამოიწვია.

ანანია, მართალია, თვითონ არ ყოფილა ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე, მაგრამ მას შემდეგ რაც რევოლუცია მოხდა და მის წინაშე განმარტა ახალი საზოგადოებრივი ყოფის ძი-

რითადი თავისებურებანი, ეს მუყათი გლეხი კაცი გადაჭრით გამოვიდა ბრძოლდეს: მთელი ცხოვრების საწინააღმდეგოდ. ცხოვრებელი კი ვერ ბერი იყო. ანანიამ სოფლის სხვა მოწინავე აღამიანებთან ერთად ჩამოაყალიბა კოლმურერნობა და დაიწყო მისი დაცვა კულაქერი ელემენტებისაგან, საქმე იარაღით ბრძოლახდაც კი მოვიდა. ანანიას გაჩერება თვით საყვარელი ვაჟის ილას დაღუპვამაც კი ვერ შეძლო.

არის ერთი პატარა დეტალი, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ანანიას დიდებულებებს. კულაკებთან დამოკიდებულებაში, ამ ურთიერთობებში სადაც დაპირისპირება პრინციპული ხასიათისაა, ანანიამ არ იცის რა არის დამთობა, მაგრამ მას ყოფნის ძალა გვერდი აუაროს პატარა უსიყვარულესს, ყურადღების ფიქსირების გზით არ მისცეს დიდი ფსიქოლოგიური წონა თვითურდო გაუგებრობას.

სტეფანემ არა ერთხელ გამოიწვია ანანიას გულისწყრომა, მაგრამ ეს უკანასკნელი არისოდეს არ იღებდა ნაწყენის სახეს, მაშინაც კი როცა ბნელ საქმეებში წარუმატებლობით გაბოროტებულმა სტეფანემ ვერაგულად მოკლა ანანიას ოჯახის დედა ღორი, ანანია კვლავ მღვდმარე დარჩა; კიდევ მეტიც მასში აღშფოთება დამალია მამულიშვილობამ და ცუდი მოვლით გაზრებული ვენახის მოვლაშიც კი წახებარა დაუნდობელ მეზობელს. აღამიანი დიდი ზნეობრივი მოვლენია, რომ მას სამტრიად გადაეიკლო მყვენებელი მატერიალური ზარალი გამო. სულ სხვა საკითხია პრინციპული შეუთანხმებლობა, მაგალითად კულაკებთან და სხვა.

ანანიას სახე განსაკუთრებით იმით არის საინტერესო, რომ ავტორმა იგი თვით ხალხის წილიდან ამოხარდა, მისცა მას თვითმყოფელი, მოუღვრეული ბუნება. ანანია ხალხის შეიღა.

ანანიასთან სამკვდრო-სასიციოცხოდაა დაპირისპირებული სოფლის ბოროლა-ქიტელა და მის მიერ დავეშილი ქინძიგაფი და ბასა.

ქიტელა სოფლის საქმისათვის და რომ შეაჩეროს სოფლის განახლების პროცესი მიმართავს ყველა საშუალებას. ქიტელაში არ მოქმედებს რაიმე კლასობრივი რწმენა. მას არ გააჩნია არცერთი მოსაზრება, თავისი პოზიციების გასამართლებლად; მისი მოკავშირეებიც — ქინძიგაფი და ბასა — მისათვის უმართლო აღამიანები. მათ ხომ ახალგაზრდობიდან გაყიდეს სული ლეკაპურის მოსაპოვებლად. ეს სამეული ეშვება ყოველგვარ სისამაგლეში. რათა რღვევა შეიტანოს კოლმურერნობის რღვევაში, მათი ზელიდან იღუპება კიშპალა, ილა და ღონიარო, ქიტელასა და ქინძიგაფოს ერთად აპატრებუნ და მათ სასიკვდილო განაჩენის შესრულების წინ საპატიმროში თავისებენ.

ძნელად შეიძლება დევრადირებულ აღამიანების ისეთი ცოცხალი ფერებით, ისეთი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით დაბატვა, როგორც ამას რ. ბეგინიშვილი აღწევს რომანის

მეორე ნაწილის ბოლო გვერდებზე. დაბატონებული შეიპყრობს პირვეტყველი შიში. ავტორმა ადრე ვგახეხე, რომ არცერთ მათგანს არ ავლია ვაბედულება, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება იმდენად მოკლებულია მოტივებებსა თუნდაც საკუთარი თავის წინაშე, რომ დანაშაულში მხილების დროს ისინი მორალურად განიარაღებული დარჩნენ. მათ მიერ დანაშაული ჩადენილი იყო მდინარე, პირვეტყველი ქვედა გრძობების კარხანით, რ. ბეჟანიშვილმა კარგი მხატვრული აღოთ წუდა იმ ჰუმანიტეზბას, რომ ვაბედულება საბოლოო ანგარიშში ზნეობრივ ადამიანთა ხვედრია.

ასეთია რ. ბეჟანიშვილის მეორე ნაწილის გმირების ურთიერთობანი ძირითად ხაზებში. მაგრამ წიგნის აღნიშნულ ნაწილში ყურადღებას იქცევს რამდენიმე ეპიზოდური ხასიათი.

რ. ბეჟანიშვილმა ეუმორისტული ტონი შექმნა კომპალას სახით. კომპალამ პირად ცხოვრებაში, რომ ვერ ნახა ბედნიერება რეეოლუციას შეეკედლა და შეეცადა იქ ეხოვა თავისი აღვილი. მან ეს შეძლო კიდევ: კომპალა ახალი საზოგადოების ერთგული მომხრეა, მაგრამ მის მიერ ექლავებთან ბრძოლის საჭიროება ისე ცალმხრივად და დასახული, რომ ზნორად იგი სიცილს იწვევს. კომიზმს ქმნის ის, რომ კომპალას არ გააჩნია პირადი ცხოვრება.

ჩვენი საზოგადოების პირველი წლების გლეხობის ერთ ნაწილს კარგად ასახავს ლვინაურა. იგი შეძლებული გლეხია და კოლმეურნეობას გაურბის, მაგრამ ვერც ექლავებთან პოულობს საერთოს. ლვინაურა იღუპება კიდევ ამ მერყეობის მიზეზით.

ცალკე უნდა გამოყოფთ პელო, ის ბევრს ოცნებობდა საკუთარი ოჯახის შექმნაზე, მაგრამ ოცნება ოცნებად დაურჩა. პელო კარდაკარ დადის და ჰორებით იოხებს გულს. ეს ქალი მთელი საზოგადოების მიმართაა ვაბორტებული და ვეჯას აფედრის საკუთრი თავს.

რ. ბეჟანიშვილმა პელო რეალისტურად დავიხატა, მაგრამ იგი ისე ხშირად წუხს ვაუთხოვრობის ფიზიოლოგიურ მხარეზე, რომ ბოლოსდაბოლოს ეს ტლანქი სინანული ფიზიოლოგიურ ნდომათა დაუკმაყოფილებლობის შესახებ ანტიესთეტიკურად განაწყობს მკითხველს.

„სამამულე რქის“ შესახებ ნაწილი „არწმენა“ ადამიანებს ვიჩვენებს ახალ ურთიერთობაში: კლასობრივი ბრძოლა დამთავრდა, მტერი აღარ მოქმედებს იარაღით, მან საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ვამარჯვების იმედზე და ახლა ლამობს ვაძქვრობით და თაღლითობით ვაიტანის თავი. მაგრამ რომანის შესახებ ნაწილში ნათელი, საზვიამო ტენდენცია ჰარბობს უიმედობისა და მტრობის ტენდენციას. ადამიანები ახლა თავისუფალი არიან და მათი ენერჯია მრავალმხრივ გამოვლენას პოულობს შრომასა და მხიარულებაში.

წიგნის შესახებ ნაწილში სოფელს აგრარიზმის სპეცილობით უბრუნდება ვაბმარას შევლის-

შელო ნინო. სოფელს სპეცილობისტიები ჰირდება და ლოლიცერია, რომ იქ სამშენებელ-მშენებელს: სოფელთან დაევიწროებული აღმკვეთი: ვაბმკვეთი: ახალგაზრდა, მომხიბლავი, შრომისმოყვარე, ადამიანთა მოყვარე ნინოსა და ანანიას ვაეს კოლეა შორის დამყარდება ინტიმური ურთიერთობა. ისინი ეხიარენ სიყვარულის ადამიანებულ, სულის ვამაკეთილშობილებელ გრძნობას.

ჩვენი ცხოვრების მანკიერ თვისებათა მატარებლად კვლავ სტეფანეს ოჯახი რჩება. სტეფანეს ვაფი გუჯა ჩამოყალიბდა ლოთ და ვაესწორებულ ჩხუბისთავად. მამამ თავისი ლეკვი დავეშა იმგვარად, რომ ძალდობით იტაცებდეს ცხოვრების საშუალებებს. მაგრამ მათ ვეხეკვეშ მიწა კარგავს სიმყარეს. საზოგადოება ახდენს ამ ადამიანების ვანაძირებას და საბოლოოდ გუჯა აღმოჩნდება საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე.

„სამამულე რქის“ შესახებ ნაწილის ცენტრალურ დადებით გმირად ისევ ანანია რჩება.

ახალგაზრდა მწერალი რომანის მრავალრიცხოვან გმირთა მკაცრი მამხილებელია. მათი უმრავლესობა დაუზღვეველია სერაიოზული ნაკლებობებისაგან. ავტორი თავიდან იშორებს უზნეო და დეფექტურ ადამიანებს, ამისთვის იგი ორ სხვადასხვა საშუალებებს იყენებს, ჯერ ერთი, ქმნის ისეთ საზოგადოებრივ წრეს უარყოფითი პერსონაჟის ვარშემო, რომ ვაჩვენებს მისი დაღუპვის ვარღუევალობას. ან კიდევ მეტო, ვაყენებს მისი სურეალური დაღუპვის ფაქტის წინაშე. ასე იქცევა რ. ბეჟანიშვილი სტეფანეს და პელოს მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში მწერალს უარყოფითი გმირი ფიზიკურ დაღუპვამდე მიყავს. ასე ხდება კონკრეტულად რენეს, წიკას, ქიტელას და სხვათა მიმართ.

მწერალი არ არის ვანურჩვეული, მისი ზნეობრივი მსჯავრი ამ ადამიანთა მიმართ ვასხვაეებულია, მაგრამ ისინი ერთიანდებთან საერთო ნიშნის მიხედვით: არცერთი მათგანი არ ვამოდგება სამამულე რქად.

ადამიანთა ამ მსჯავრებების პროცესის ვარედგას ანანია, უფრო მეტიც, რამდენდაც ვითარდება მოქმედება ნაწარმოებში იმდენად უფრო მკაფიო ხდება ანანიას მოქალაქეობრივი და ადამიანური კეთილშობილება და ეს მიღწეულია ყოველგვარი ვანსაკუთრებული ვარშემ. ანანიას მორალური სახე მტკიცედ უთავსდება ჰართევი გლეხის თვისებებს.

ავტორს ნაწარმოებში მომხდარი ამბები დღევანდლობამდე მოაქვს. მრავლის მნახველი და მუდამ ვამარჯვებული ანანია გრძნობს, როგორ ვარბება მოხეტეულობის უძლიერობა. ყოველი მომღვენო დღე წინა დღეზე საინტერესოსა, მაგრამ მას თან მოსდევს უფრო მეტი ფიზიკური დაძაბულობა. ანანიას ცხოვრებას ბოლო წლების ვანცდებში კარგად არის ეს წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა ადამიანის სოციალური და ფიზიოლოგიურ მომენტებს შორის — დაქვრი-

ლი, ანანიას სული კვლავ გაუტეხელია, იგი თავს შთაგონებს საყუთარ დაუმარცხებლობას. შესანიშნავადაა ჩაფიქრებული გასაუბრება მას და ცხოვრებას შორის, ანანიას არ სურს დაიჯეროს, რომ დადგა მისი ცხოვრების დაისი, მაგრამ სულ უფრო მზარდი სისუსტე დაინებით აგონებს მოახლოებულ მწუხრს. რა სადაა და მართალი მწერალი ანანიას წუხილის აღწერისას: „სალამობები სულ უფრო მოკლე ხდებოდა, მზე ჩაკიდოდა თუ არა, დედამიწას ბნელი ეფარებოდა, ანანია გრძნობდა, მისი ცხოვრების საღამო შორს აღარ იყო...“ (გვ. 275).

ანანია კვდება ღრმად მოხუცებული, ანანიას მაგალითზე რ. ბეჟანიშვილმა გვიჩვენა ახალი საზოგადოების და ზნეობრივი აღმშენის ღრსეობითა თანხვედრა. ანანია ღირსია იყოს ახალი ცხოვრების საშაჟლე რქა და იგი რჩება კიდევ ის მხოლოდ მოხუცებულობამ დაამარცხა, მაგ-

რამ მის თვისებებს გააგრძელებს მისი ვაჟი და სარძლო...

რ. ბეჟანიშვილის ჩაფიქრებულ-მწიფე ზეგნი საზოგადოების ნახევარსიუეტოვანი ისტორია ენჯენეზინა აღამინთა შორის ურთიერთობის და მათი ხასიათის ზეგნების გზით. მწერლის ეს განზრახვა აღარ იძლეოდა საშედეგებს მთლიანი სიუეტის შესაქმნელად. ნაწარმოები თავისთავად დაიყო სხვადასხვა დროს შესაბამის ნაწილებად. რომანის სამივე ნაწილი ფაქტიურად დაშლილია ნაწარმოებში. მწერალი ცდილობს მათ მთლიანობას ნათესაური კავშირების საშედეგებით. რომანში რამდენიმე თაობა ენაცვლება ერთმანეთს, მაგრამ ნათესაობა არ არის ესთეტიკური კატეგორია და რაღა თქმა უნდა ამ გზით არ მოხერხდა რომანის მხატვრული მთლიანობის შენარჩუნება.

ჯამალ შარაშიძე

ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში



დღემდე ყველასათვის იდებდა მისაწვდომი არ იყო ილ. ჭავჭავაძეზე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომლებიც განხვეულია რევოლუციამდე ქართულ-ევრანალ-გაზეთებში. მისასაღმებელია, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაკლი ახლა გამოსწორებულია დიდ კლასიკოსის შესახებ კრიტიკული წერილების ორი კრებულის გამოცემით. ისინი შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დავით ი. ბოცვაძემ.

პირველ კრებულში შეტანილია ცოტად თუ ბევრად ცნობილი თითქმის ყველა კრიტიკული წერილი, რაც კი 1870 — 1898 წლებში დაბეჭდდა ქართულ ენაზე ილ. ჭავჭავაძეზე. გამსაყუთრებით ყურადღებას იქცევს ალ. ჭავჭავაძის, ანტ. ფურცელაძის, ნ. ნიკოლაძის, სტ. ჭარელაშვილის, ე. შველიძის, ა. ლასტის, კ. აბაშიძის, სილ. ხუნდაძის და მ. ნასაძის სტატიები. მეორე კრებულში, მოთავსებულ წერილების ქრონოლოგიური საზღვრებია 1907 — 1919 წლები. ინტერესს იწვევს კ. აბაშიძის, გ. ჯავახიშვილის, ალ. ხახანაშვილის, გ. ქიქოძის, რ. ფანცხავას და სილ. ხუნდაძის წერილები.

კრებულში შეტანილი ბევრი წერილი საგანგებოდ ილ. ჭავჭავაძეზე არაა დაწერილი (მაგ. ალ. ცაგარის და სხვ.), ან ილ. ჭავჭავაძის არა მთელ შემოქმედებას, არამედ მის რომელიმე ერთ ნაწარმოებს ეხება (მაგ. ნ. ნიკოლაძის, ე. შველიძის, მიხ. ხელთუფლიშვილის და სხვა წერილები), ზოგიერთი წერილი ტენდენციურიცაა (მაგ. დ. სოსლანის, შ. დავითაშვილის, მიხ.

ხელთუფლიშვილის, ფ. შაბარაძის, მ. ტ-ძის და სხვ.), ზოგიერთი მეტად უსუსურია, მაგ. ნ. ყობიანიას „მიმლიოგრაფია“, გ. თუმანიშვილის „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვლიერება“, ალ. სარაჯიშვილის „მწერლობა“, დ. სოსლანის „საკვირაო მასალათი“ და სხვ. მაგრამ მათი მნიშვნელობა გასაგებია, — სხვა რომ არა იყოს რა, საკითხის ისტორიის ვეცნობით.

ზოგიერთმა რეცენზენტმა ი. ბოცვაძეს უსაყუედურა კრებულებში რამდენიმე ტენდენციური წერილის შეტანის გამო. ზენ პირიქით ვიტყოდით: ეს კრებულები ზომ დოკუმენტურ მასალათი კრებულების ტიპისაა, და როგორ შეიძლება, რომელიმე დოკუმენტის გამოტოვება. არათუ ეს, მკითხველისათვის, რომელსაც იოლად ყველაფერზე არ მიუწვდება ზელი, საინტერესო იქნებოდა ილიაზე სხვა ტენდენციური მასალების გაეცნობაც, რომელთაც ბოცვაძე მოიღებია.

ამავე დროს, გაუმართლებელია არატენდენციური კრიტიკული წერილების ნაწილის პირველ კრებულში შეტანალობა იმ მოტივით, რომ ისინი „შევიდნენ 1955 წელს გამოცემულ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის მიძღვნილ-ქრესტომათიის პირველ ტომში“ (I, გვ. 4). თუ ასეთი მოტივით ეიხელმძღვანელებდით, მაშინ საზოგადოთ ზედმეტი გახდებოდა ასეთი კრებულების გამოქვეყნება რომელიმე მწერალზე.

ზენ კიდევ უფრო სამწუხაროდ მიგვიჩინა ის, რომ ასეთ „გამოტოვებას“ გაჟვეა აკ წერეთლის ისეთი შესანიშნავი წერილი, როგორი-

„ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, I, 1957 წ., და II, 1958 წ.,

ცა „აროდენიმე სიტყვა „ჩანჭურის“ შესახებ“ („ცისკარი“, 1865, № 9). ეს ის წერილია, რომელშიც პირველადაა წამოყენებული სახელმძღვანელო აზრი ილ. ჭავჭავაძის ადგილზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ ერთს ტახტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვართადღეობენ არიან, ერთს გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ, ერთის უმეორესთან გაგება ძნელია“.

ილ. ჭავჭავაძეზე კრიტიკული წერილების ორ წიგნში ერთი სიტყვაც არ იყო ილიას განუყრელი თანამოსაგრის აკ. წერეთლისა, მაშინ, როცა ამის საშუალება გვქონდა, მეტად გულდასაწყვეტია. არათუ ეს, ილიაზე, მისი სხვა გამოწვევებშიც უნდა დაგვეძებნა. ასევე ილ. ჭავჭავაძეზე, თუ მის ნაწერებზე ვიყავს, ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის, ირ. ევდოსვილის და სხვ. სიტყვები თუ გამოწვევებშიც უნდა შესულიყო ამ კრებულებში. კრებულები ამით არ დაზიანდებოდა, პირაქით, გამოდიდრდებოდა, მკითხველი მეტ სარგებლობას დაინახავდა წიგნებში, აგრეთვე გაუმართლებელია არა „ჯორჯაძის კრებულებში შეერთდობა, რომელსაც ილ. ჭავჭავაძეზე მეტად საყურადღებო აზრები გაიანია“.

ზოგიერთ წერილში, გამოორბეები და შინაარსის თხრობა კრებულების შემდგენს შეუცვლავს. ეს კარგია, მაგრამ საჭირო იყო პირველი რიგში ეს შეხებოდა სტ. ჭრელაშვილის, შ. დავითაშვილის, მახ. ხელთუფლიშვილის და სხვ. წერილებს.

ასეთი კრებულების ხარისხს თუ რამდენად ვნებს საკომენტარო ნაწილის სიღარიბე, ეს გასაგებია. ი. ბოცვაძე მარტო ორგანოს ასახელებს, სადაც ესა თუ ის წერილი დაიბეჭდა და თარიღს. ჩვენ გვჭირდება არა გვეპარება, რომ მას შეეძლო საჭირო კომენტარები დაერთო, მაგრამ როგორც ჩანს, ბოცვაძეს ამაში ნაწილობრივ ხელი შეუშალა მთელი ყურადღების თავის ვრცელ შესავალ წერილზე ვადატანამ. პირველ წიგნში 559 გვერდია და აქედან 200 გვერდამდე მის შესავალ წერილს („ილ. ჭავჭავაძე ქართული ლიტერატურულ კრიტიკაში“) უჭირავს. ავტორი ქრონოლოგიურად გამოკვეთს ეინ, როდის, რა კრიტიკული აზრები განავითარა ილ. ჭავჭავაძეზე და იწინებს ან იწინებს იმას, რასაც მკითხველი უამისოდაც გააგებდა თვით სტატიებიდან. ავტორის კრიტიკა ხშირად ასეთია: „ბოსლეველი სამართლიანი შენიშვნით“ (გვ. 78). „ბოსლეველი ხასტიკად ცდება“ (გვ. 80). „ა. აბაშიძე სწორად შენიშნავს“ (გვ. 74), „ა. აბაშიძის მართებული დასკვნით“ (გვ. 87), „სილ. ხუნდაძე სწორად შენიშნავს“ (გვ. 153). „მკითხველი დაგვეთანხმდება, რომ ეს შეხედულება სწორია არ არის“ (გვ. 143) და მისთ. ავტორი არ აყენებს პრობ-

ლემებს, რაც XIX საუკუნის თუ XX-ის დამდგის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკის წარმართავდა, არ გვაყრებს მის დონეს, თითოხდ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების რა მხარე გაშუქდა, ან ხელშეხებული დაჩნდა, რა მემკვიდრეობა გაემოგვეცა ჩვენ... ასეთ კითხვებზე პასუხის მიღებას თვით უნდა შეეცადოთ, რაც საშუალო მკითხველს ძალღონეს ნამდვილად აღემატება და ასეთ ნაშრომს კი უმეველად მოეთხოვება.

ი. ბოცვაძის ნაშრომში არაზუსტადაა ასწილი ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის აღმოცენებისა და დამკვიდრების და მასში ილ. ჭავჭავაძის ადგილის პრობლემა (გვ. 147, 153-154), ილ. ჭავჭავაძის კლასთა ბრძოლისადმი დამოკიდებულების საკითხი და სხვ. 70-ანი წლების ბოლოსა და 80-ანი წლების დასაწყისში ილ. ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, საგანგებოდ ქადაგებს კლასთა შორის შვეიდობას, შემდეგში, ილ. ჭავჭავაძე თანდათან რწმუნდება ასეთი ქადაგების უნადაგობაში, მაგრამ მთლიანად ვერ თმობს. ამიტომ არ გვაქვს საფუძველი ვიძიებთ: „დიდი მოაზროვნის მილოდინს ცივი წყალი გადაესხა“ (გვ. 110). „ილ. ჭავჭავაძე დაიბნა“ (იქვე), „ჩიხში მომწვედელმა“ (იქვე), „80-ანი წლების მიწურულს ილ. ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ კლასობრივი ზავის ქადაგება უიმედო ოცნება იყო“ (იქვე) და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ილ. ჭავჭავაძე არათუ 80-ანი წლების ბოლოს, თვით 80-ან წლებშიც, არა მტკიცედ დარწმუნებული ამ ქადაგების დიდ საფუძვლიანობაში, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ვერ იმეტებს მას. ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის დღეებშიც ილია კლასობრივი ზავისაკენ მოუწოდებს: „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენა ც ე ე რ ა რ ს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მიეცნოთ და ციხე — სიმაგრე ჩვენი ჩვენივე შიგნიდან გაუტეხოთ“ (ილ. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., IX, 1928, გვ. 191).

როცა ილია წერს „უზარმაზარი თხრილი ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიც არ მოგვედის. ამ თხრილს პირს ვდგევართ და საყმათა ხელი გვკრან — შიგ ვადავირებებით დღეობდითანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიმოვის... ისეთი ღრმია ეს თხრილი, ისეთი უძირით“ (იქვე, გვ. 14) — რა თქმა უნდა იმას არ გულისხმობს, რასაც ი. ბოცვაძე: „ცხადია, ამის შემდეგ კლასთა და წოდებათა დაზავებაზე ფიქრიც კი უნდებოდა იყო“ (I, გვ. 111), არამედ სამრწველო კაპიტალიზმისადმი საქართველოს მოუშადადებლად შეხედვრას.

თუ მითითებული ნაყოფანებანი არა, სარეცნობი კრებულების დადებითი შნიშვნელობა გაიცილებით უფრო გაიზრდებოდა.



# ახალი წიგნები



## გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

- თელ ჯავახიშვილი — მოთხრობები, ტ. II. სარედაქციო კოლეგია: ირ. აბაშიძე, ს. კილაი, გ. ნატროშვილი. რედ. რ. ბეჟანიშვილი. გვ. 582, ფასი 12 მან.
- ახალი აბაშიძე — ერთტომეული. რუსთაველის ნაქველევზე. რედ. ბორის მიტცხელავა, გვ. 366, ფასი 9 მან.
- ლორთქიფანიძე — თხზულებათა სრული კრებული. ტ. II, რედ. დ. ბენიშვილი, გვ. 652, ფასი 22 მან. 40 კაპ.
- დ. ბარამიძე — სულხან-საბა ორბელიანი. რედ. თ. გოგოლაძე, გვ. 188, ფასი 4 მან. 10 კაპ.
- ამირანაშვილი — თხილი. რედ. შ. ტყემალაძე, გვ. 46, ფასი 65 კაპ.
- აბაშიძე — საკოლმეურნეო და საკარმიდამო ნაკვეთების გამწვანება. რედ. დ. ფაილოძე, გვ. 32, ფასი 45 კაპ.

## საბლირგამი

- იორაშვილი — ქარავი მტკვრის პირას. რედ. ე. ბაიძე, გვ. 108, ფასი 1 მან. 60 კაპ.
- გოგოლაშვილი — ძმები. რედ. ე. ქარელიშვილი, გვ. 264, ფასი 6 მან. 70 კაპ.
- ნიელ დეფო — რობინზონ კრუსო, თარგმანი ე. ჭეღვიძრისა, რედ. ე. მარამიძე, გვ. 576, ფასი 18 მან.
- იხე გვახალია — სურამი. რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 224, ფასი 5 მან. 35 კაპ.
- სუხბაია — რას გვიამბობს საქართველოს მიწა. რედ. შ. ძველია, გვ. 136, ფასი 1 მან. 95 კაპ.
- შაბოვა — საშინი ხეობა. თარგმანი შ. კილაშვილისა, რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 152, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- ფიცხელაური — ეანგბადის თავგადასავალი, რედ. შ. ქვეციანიძე, გვ. 52, ფასი 75 კაპ.



3360 8 3.

6.09/221



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО  
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»